

თამარ მახარაძე
ნიმე შატბერაშვილი

სოციალური მუშაობის
კვლევის მეთოდები



სოციალური მუშაობის
კვლევის მეთოდები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თამარ მახარაძე
ნინო შატბერაშვილი

სოციალური მუშაობის
კვლევის მეთოდები



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

წინამდებარე სახელმძღვანელო სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდებს ეხება და გათვალისწინებულია სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის, რომლებსაც კვლევის მეთოდების საბაზისო ცოდნა აქვთ. სახელმძღვანელო შედგება 12 თავისგან. მასში თავმოყრილია ის ძირითადი თემები, რომელთა გაშუქება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური მუშაობის კვლევის მიმართულებით საჭირო ცოდნისა და უნარების დაუფლებისას. სახელმძღვანელო დაეხმარება მომავალ პრაქტიკოს სოციალურ მუშაკებს, ეფექტურად გამოიყენონ კვლევის მეთოდები პრაქტიკულ საქმიანობაში.

სამეცნიერო რედაქტორი იაგო კაჭკაჭიშვილი, თსუ-ის პროფესორი

სახელმძღვანელო მომზადებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „სახელმძღვანელოების კონკურსის“ ფარგლებში.

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021

ISBN 978-9941-13-989-5 (pdf)

შინაარსი

ნინო შატერაშვილი. თავი I. სოციალური მუშაობა და კვლევა – რატომ ვსწავლობთ კვლევას სოციალურ მუშაობაში?.....	9
შესავალი.....	9
I. კვლევის განვითარების ისტორია სოციალურ მუშაობაში.....	9
II. სოციალურ მუშაობაში კვლევის სპეციფიკურობა.....	11
III. საკვლევო სფეროები, თემები და ჯგუფები სოციალური მუშაობის კვლევაში.....	17
IV. სოციალური მუშაობის კვლევის მიზანი და მიზეზები.....	19
V. სოციალური მუშაობის კვლევის გამოყენება.....	24
VI. თავის შეჯამება.....	25
VII. ძირითადი კითხვები /ან კითხვები რეფლექსიისთვის.....	26
VIII. სავარჯიშოები.....	26
ნინო შატერაშვილი. თავი II. რატომ არის მნიშვნელოვანი მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკა სოციალურ მუშაობაში.....	28
შესავალი.....	28
I. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის განვითარების ისტორია.....	28
II. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის განსაზღვრება.....	29
III. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის ეთიკა.....	31
IV. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის გამოყენების პროცესი.....	32
V. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის გამოყენების გამონვევები სოციალურ მუშაობაში.....	45
VI. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის გლობალიზაცია.....	55
VII. თავის შეჯამება.....	58
VIII. ძირითადი კითხვები/ან კითხვები რეფლექსიისთვის.....	61
IX. სავარჯიშოები.....	61
ნინო შატერაშვილი. თავი III. პროფესიული ღირებულებები და ეთიკური საკითხები კვლევაში.....	62
შესავალი.....	62
I. ეთიკის კოდექსის შექმნის ისტორია.....	62
II. ეთიკის მნიშვნელობა სოციალური მუშაობის კვლევაში.....	64
III. ეთიკა კვლევის განხორციელების პროცესში.....	70
IV. ეთიკური დილემები.....	75
V. პროფესიული ფასეულობების თავსებადობა იდეოლოგიურ შეხედულებებთან.....	81
VI. თავის შეჯამება.....	84
VII. ძირითადი კითხვები/კითხვები რეფლექსიისთვის.....	87
VIII. სავარჯიშოები.....	87

თამარ მახარაძე. თავი IV. ლიტერატურის გამოყენება კვლევის პროცესში.....	89
შესავალი.....	89
I. რას გულისხმობს ლიტერატურის მიმოხილვა ?	89
II. პოტენციური წყაროები ლიტერატურის მიმოხილვისთვის	92
III. როგორ უნდა დავწეროთ ლიტერატურის მიმოხილვა	95
IV. ლიტერატურის მიმოხილვის შინაარსის ორგანიზება – კონკრეტული თემის მაგალითზე	99
V. კვლევის მეთოდები, რომლებიც ფოკუსირებულია ლიტერატურის მიმოხილვაზე.....	100
VI. თავის შეჯამება	103
VII. ძირითადი კითხვები /ან კითხვები რეფლექსიისთვის	104
VIII. სავარჯიშოები.....	105
ნინო შატერაშვილი. თავი V. თანამონაწილეობითი კვლევის მნიშვნელობა	
სოციალურ მუშაობაში.....	106
შესავალი.....	106
I. ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის განსაზღვრება	106
II. ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის ისტორია.....	107
III. ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის პრინციპები	109
IV. ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის პროცესის აღწერა	111
V. ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის ძლიერი და სუსტი მხარეები	116
VI. ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის სახეები	118
VII. ქმედებაზე ორიენტირებული თანამონაწილეობითი კვლევის შესაბამისობა სოციალურ მუშაობასთან	121
VIII. თავის შეჯამება	125
IX. ძირითადი კითხვები /ან კითხვები რეფლექსიისთვის	127
ნინო შატერაშვილი. თავი VI. როგორ გამოვიყენოთ კვლევის	
თვისებრივი მეთოდები სოციალურ მუშაობაში.....	129
შესავალი.....	129
I. თვისებრივი კვლევის განვითარების ისტორია.....	129
II. ტერმინის განსაზღვრება	130
III. პარადიგმა, მეთოდოლოგია თუ მეთოდი?	131
IV. თვისებრივი კვლევა სოციალურ მუშაობაში.....	131
V. სოციალური მუშაობის კვლევისთვის მახასიათებელი პარადიგმები	133
VI. შერჩევის მეთოდი სოციალური მუშაობის თვისებრივ კვლევაში	138
VII. სოციალური მუშაობის თვისებრივი კვლევის მეთოდები	142
VIII. თვისებრივი კვლევის შეფასების სტანდარტები	149
IX. თავის შეჯამება	153
X. ძირითადი კითხვები/კითხვები რეფლექსიისთვის.....	154
XI. სავარჯიშოები.....	154

თამარ მახარაძე. თავი VII. დამოკიდებულებების კვლევა	
სოციალურ მუშაობაში.....	156
შესავალი.....	156
I. როგორ ყალიბდება და იცვლება დამოკიდებულებები?.....	156
II. დამოკიდებულებების გაზომვა	159
III. დამოკიდებულებების კვლევა და სოციალური მუშაობა	163
IV. თავის შეჯამება	169
V. ძირითადი კითხვები /ან კითხვები რეფლექსიისთვის	171
VI. სავარჯიშოები.....	172
ნინო შატერაშვილი. თავი VIII. კვლევის შერეული მეთოდების გამოყენება	
სოციალურ მუშაობაში.....	174
შესავალი.....	174
I. ისტორია	174
II. რატომ კვლევის შერეული მეთოდი?.....	175
III. კვლევის შერეული მეთოდის სხვადასხვა დიზაინი.....	176
IV. რატომ ვიყენებ კვლევის შერეულ მეთოდს სოციალური მუშაობის კვლევაში.....	184
V. თავის შეჯამება	186
VI. ძირითადი კითხვები/კითხვები რეფლექსიისთვის.....	187
VII. სავარჯიშო	187
თამარ მახარაძე. თავი IX. ინტერნეტისა და სოციალური მედიის გამოყენება	
სოციალური მუშაობის კვლევაში.....	189
I. შესავალი.....	189
II. კვლევაში ინტერნეტის გამოყენების თავისებურება	190
III. რა არის სოციალური მედია?.....	191
IV. მონაცემების შეგროვების სტრატეგიები	194
V. სოციალური მედიის მონაცემთა შეგროვება და ანალიზი	197
VI. ეთიკური საკითხები ინტერნეტით კვლევის ჩატარებისას	199
VII. თავის შეჯამება.....	200
VIII. კითხვები რეფლექსიისთვის.....	202
IX. სავარჯიშოები.....	202
თამარ მახარაძე. თავი X. საჭიროებათა კვლევა	204
I. შესავალი.....	204
II. რა არის საჭიროებათა შეფასება	204
III. რატომ არის მნიშვნელოვანი საჭიროებათა შეფასება	206
IV. საჭიროებათა კვლევის მონაწილეები	206
V. საჭიროებათა კვლევისას გამოყენებული მეთოდები	208
VI. თავის შეჯამება.....	215
VII. ძირითადი კითხვები/კითხვები რეფლექსიისთვის.....	216
VIII. სავარჯიშოები.....	216

თამარ მახარაძე. თავი XI. პროგრამის შეფასება.....	218
I. შესავალი.....	218
II. რატომ არის მნიშვნელოვანი პროგრამის შეფასება	218
III. შეფასების სქემა და ძირითადი კომპონენტები	220
IV. პროგრამის შეფასების ძირითადი ტიპები	222
V. პროგრამის შეფასების დაგეგმვა და განხორციელება	227
VI. თავის შეჯამება.....	234
VII. ძირითადი კითხვები/კითხვები რეფლექსიისთვის.....	235
VIII. სავარჯიშოები.....	236
თამარ მახარაძე. თავი XII. კვლევის შედეგების გავრცელება –	
პოლიტიკასა და პრაქტიკაზე ზემოქმედება.....	237
I. შესავალი.....	237
II. კვლევის ანგარიშის სტრუქტურა	237
III. კვლევის შედეგების გავრცელების გზები.....	240
IV. სოციალური მუშაობის კვლევის შედეგების გავლენა პრაქტიკასა და პოლიტიკაზე.....	242
V. თავის შეჯამება	243
VI. კითხვები რეფლექსიისთვის	244
VII. სავარჯიშოები.....	244
ავტორების შესახებ.....	246

თავი I

სოციალური მუშაობა და კვლევა – რატომ ვსწავლობთ კვლევას სოციალურ მუშაობაში?

შესავალი

წინამდებარე თავში განვიხილავთ კვლევის მნიშვნელობას სოციალურ მუშაობაში, მისი განვითარების ისტორიას, სპეციფიკას, საკვლევ სფეროებს, თემებსა და სამიზნე ჯგუფებს. გაგაცნობთ სოციალური მუშაობის კვლევის მიზანსა და მიზეზებს. შევეცდებით, ასევე, გავიაზროთ სოციალური მუშაობის კვლევის შედეგების გამოყენების მიზნები და გამოწვევები. წარმოგიდგინთ კრიტიკოსთა მოსაზრებას სოციალური მუშაობის კვლევის დანიშნულებასა და ხარისხზე.

I. კვლევის განვითარების ისტორია სოციალურ მუშაობაში

სოციალური მუშაობის კვლევის განვითარება უკავშირდება სოციალური რეფორმების საჭიროების აღიარებას. მისი მიზანი იყო სოციალურად დაუცველთა სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გამოაშკარავება და ამ ფაქტებზე დაყრდნობით რეფორმის განხორციელება. ეს იყო სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული ქმედება.

წინა საუკუნის დასაწყისში კვლევა სოციალურ მუშაობაში წმინდად ფასეულობებზე დაყრდნობით და სასიკეთო ცვლილებებზე ორიენტირებით ხორციელდებოდა (Brandy, 1986). უკვე მაშინვე გამოიკვეთა ანალიტიკური აზროვნების მნიშვნელობა „დახმარების“ პროცესებში. მერი რიჩმონდი 1917 წელს ხაზგასმით აღნიშნავს განსხვავებას სოციალურ კვლევასა და სოციალურ დიაგნოსტიკებს შორის. პირველში სოციალური მუშაკი დამკვირვებელია, ხოლო მეორეში „თვალს ხუჭავს და ფიქრს იწყებს“ (Munro, 2002a; Richmond, 1917:347 in Yliopisto, 2010). ამან კიდევ უფრო მკაფიოდ გამოკვეთა შესწავლისა და კვლევის მნიშვნელობა მომსახურების შექმნისას, მიწოდებისას და მისი შედეგების შეფასებისას.

პროფესიის განვითარების ისტორიის დასაწყისში სოციალური მუშაობა მიიჩნეოდა „მეცნიერებაზე დაფუძნებულ დამხმარე ხელოვნებად“ (Zimbalist, 1977 in Rubin and Babbie, 2011), თუმცა მთელი მეოცე საუკუნე გამოირჩეოდა კვლევისა და პრაქტიკის დაშორებით. პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები იშვიათად ეცნობოდნენ კვლევებს და კიდევ უფრო იშვიათად ითვალისწინებდნენ კვლევის შედეგებს პრაქტიკაში. ისინი, უპირატესად, პროფესიულ კონსენსუსზე დაყრდნობით ახორციელებდნენ პრაქტიკას. ამასთან დაკავშირებით პოლემიკა 1970-იან წლებში დაიწყო, როდესაც გამოვლინდა სოციალური მუშაობის უშუალო პრაქ-

ტიკის არაეფექტიანობა (Fischer, 1973; Wood, 1978; Mullen and Dumpson, 1972 in Rubin & Babbie, 2011). ამის ფონზე დაიწყო განვითარება კლინიკური პრაქტიკის ემპირიულმა მოდელმა (the empirical clinical practice model) (Jayaratne and Levy, 1979 in Rubin and Babbie, 2011). სოციალურ მუშაკებს მოუწოდებდნენ, შეეფასებინათ მათივე პრაქტიკის ეფექტიანობა ერთეული შემთხვევის შეფასებითი დიზაინის (single-case designs)¹ გამოყენებით. მათ ასევე ავალდებულებდნენ, პრაქტიკის განხორციელების შეფასების ეტაპზე პრაქტიკული გადამწყვეტილებები მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით განეხორციელებინათ, მეცნიერულად სანდო საზომი ინსტრუმენტების გამოყენებით.

სოციალური მუშაობის კვლევის ტრადიცია ორი ძირითადი მიმართულებით ფორმირდება: თეორიიდან პრაქტიკისაკენ და პრაქტიკიდან თეორიისაკენ. მეცხრამეტე საუკუნეში ეს ორი ტენდენცია თანაბრად და ურთიერთგადაჯაჭვულად ვითარდებოდა. სოციალური მუშაობა სულ უფრო და უფრო უკავშირდებოდა სოციალური კეთილდღეობისთვის ბრძოლას და ხდებოდა „სოციალური ცვლილებებისაკენ“ მიმართული (Soydan, 2012).

კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორმა სიდნეი ზიმბალისტმა შეისწავლა 1870–1960 წლებში განხორციელებული სოციალური ცვლილებისაკენ მიმართული კვლევები აშშ-ში. აქ შედიოდა როგორც სოციალური მუშაობის, ასევე სოციალური კეთილდღეობის კვლევები. მან ამ უკანასკნელთა განვითარების შესწავლისას რამდენიმე „ტალღა“ გამოყო, რომლებიც შემდეგ ექვს თემას მოიცავდა: სიღარიბის მიზეზები და დისტრიბუცია, სოციალური გამოკითხვის მოძრაობა, სოციალური მომსახურებების ეფექტიანობა, პრობლემური ოჯახები, სოციალურ მუშაკთა საქმიანობის აღწერა (Zimbalist, 1977 in Soydan, 2012:472).

პრაქტიკული საქმიანობა, კლიენტისადმი პროფესიული და პრობლემისადმი სუბიექტური დამოკიდებულება იმპულსია პროფესიული და სოციოპოლიტიკური შეხედულებების ფორმირებისთვის, რომელიც, თავის მხრივ, ასტიმულირებს კვლევით საქმიანობას. ერთ-ერთი პირველი ამერიკელი სოციალური მუშაკის, ედიტ აბოტის აზრით, პრობლემისადმი სუბიექტური დამოკიდებულება ანოციერებს კვლევას, მიუხედავად იმისა, რომელ სოციალურ პრობლემაზე ვმუშაობთ: ბავშვების მიტოვების პრევენციის, ხანდაზმულთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა თუ დასაქმებულთა უფლებების დაცვის საკითხზე. მისი აზრით, ისტორიულად სწორედ პრობლემისადმი სუბიექტური დამოკიდებულება აღმოჩნდა სოციალური მოძრაობის მამოძრავებელი ძალა (Brandy, 1986).

სოციალური მუშაობის კვლევის განვითარების მეორე ტალღა 1930-იან წლებში აზვირთდა, მაგრამ, ბრენდის (1986) აზრით, კვლევამ უკვე შეფასებითი ფუნქცია შეიძინა. ფასდებოდა მომსახურება, პროგრამა, ჩარევის მეთოდი და ინსტრუმენტები. მომსახურებების ეფექტიანობისა და კვლევაზე დაფუძნებული ცოდნის

¹ ერთეული შემთხვევის შეფასების დიზაინი კლიენტის სისტემის განმეორებადი შეფასებაა, ჩარევის ან პოლიტიკის ეფექტიანობის გაზომვისათვის წინასწარ შემუშავებულ ინდიკატორებზე დაყრდნობით.

შესახებ დებატები ჩვენს დრომდე გრძელდება. სოციალური მუშაობის კონსულტირების მოკრძალებული შედეგების გამო, გადაწყდა პრაქტიკის კოგნიტიურ-ქცევითი მეთოდით განხორციელება და კვლევითი მოდელების გამოყენება.

სოციალური მუშაობის მესამე ტალღა კი მონაწილეობითი კვლევის განხორციელებას უკავშირდება. კვლევის ეს სახეობა მიზნად ისახავს სოციალურ ტრანსფორმაციას მიკროდონეზე, მარგინალური ცვლილებების ნაცვლად. ჯიანოტისა და დე უიტის აზრით (1983 in Brandy 1986:70), კვლევის ამ სახეობაშიც „ფაქტები“ და „ფასეულობები“ განუყოფელია, რაც იმას ნიშნავს, რომ კვლევა ვერ იქნება ნეიტრალური.

ამას მოჰყვა სოციალური მუშაკების მიერ განხორციელებული მომსახურების ზეგავლენის კვლევები 1951 წელს, რომლებშიც ინდივიდუალური სავსე ექსპერიმენტების შედეგები იყო მიმოხილული. თუმცა ამ კვლევების შედეგების მიმოხილვა მხოლოდ 1972 წელს დაიბეჭდა (Mullen et.al, 1972 in Mullen, Shulluk 2011). 1988 წელს ვიდეკა-შერმანმა გამოსცა 61 კვლევის მიმოხილვა, რომლებიც ჩატარდა 1965–1983 წლებში და აფასებდა სოციალური მუშაკების პრაქტიკის შედეგებს ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში. ამას მოჰყვა რეიდისა და ფორტუნის მიმოხილვა, რომელიც 1990–1999 წლებში განხორციელებული სოციალური მუშაობის 130 კვლევას აფასებდა (Mullen, Shulluk, 2011).

სოციალური მუშაობის კვლევის განვითარების ისტორიის საერთო ეტაპობრივი მახასიათებლების მიუხედავად, სხვადასხვა ქვეყანაში განვითარების ისტორია განსხვავებულია. მაგალითად, პროფესიის განვითარების ხანგრძლივი ისტორიის მქონე გაერთიანებულ სამეფოში სოციალური მუშაობა ორი მიმართულებით განვითარდა ბოლო პერიოდში: ერთი საზოგადოებისა და სოციალური მუშაკის როლის ანალიზისას პოსტმოდერნისტულ თეორიებს ეყრდნობა, მეორე კი – ინტრაპროფესიულ კონსენსუსს სოციალური თეორიის მნიშვნელობაზე სოციალური მუშაობის განათლებაში. ამან კვლევის ორიენტაცია (ასევე აშშ-ში) გადახარა ინტერპრეტაციული და ფემინისტური მეთოდოლოგიების გამოყენებისაკენ (როგორებიცაა: ეთნოგრაფიული, ნარატიული, ბიოგრაფიული და ძალაუფლებით აღჭურვის სტრატეგიები, ქმედებაზე დაფუძნებული კვლევა) (Yliopisto, 2010). მაგალითად, ფინურ სოციალური მუშაობის კვლევაში სოციალური კონსტრუქტივიზმია დომინანტი თეორიული პერსპექტივა.

II. სოციალურ მუშაობაში კვლევის სპეციფიკურობა

მარში (1983 in Brandy, 1986) ამტკიცებს, რომ მკვლევარ სოციალურ მუშაკთა პირველ პლედასაც კი ნათლად ჰქონდა გააზრებული ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც სოციალური მუშაობის კვლევას გამოარჩევს ყველა სხვა სოციალური კვლევისაგან. ესენია:

- მისი პრაგმატული ფოკუსი;
- მკვლევართა მოცდილება შესასწავლ სოციალურ პრობლემაზე მუშაობაში;
- მკვლევართა უშუალო ჩართულობა მომავალში ამ პრობლემის მოგვარებაში.

და მაინც, რას შეუძლია გახადოს სოციალური მუშაობის კვლევა გამორჩეულად კარგი? კითხვას ასე სვამს შოუ და თავადვე გვთავაზობს 6 საორიენტაციო კრიტერიუმს (შოუ, 2007). ამ უკანასკნელთა განხილვამდე კი ის გვირჩევს, გადავხედოთ, როგორ წარმოადგენენ საკუთარ იდენტობას სხვადასხვა პროფესიული თემის წარმომადგენლები ეკონომიკური და სოციალური კვლევის საბჭოს გამკვლევში (ESRC, 2005), ან ჩავატაროთ ემპირიული კვლევა, რა სამუშაო მეთოდებსა და მეთოდოლოგიას იყენებენ სოციალურ მეცნიერებებში სხვადასხვა პროფესიული თემის წარმომადგენლები. მართალია, ეს ამის გაკეთების ერთადერთი გზა არ არის, მაგრამ ამ კითხვებზე საპასუხოდ ერთადერთი შეზღუდვა კი არსებობს – პასუხი შთაგონებითი უნდა იყოს.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი უფრო შთაგონებითი განაცხადებია, ორივე შემთხვევაში მსგავსებებსაც ვხვდებით და განსხვავებებსაც. ერთ-ერთი განმასხვავებელი ის არის, თუ რამდენად ემყარება სფეროს ბუნება თეორიულ საფუძვლებს და რამდენად მოიცავს ის გამოყენებას, ე.ი., რამდენადაა ის გამოყენებითი მეცნიერება. განსხვავებაა ასევე იმაშიც, თუ როგორ ხედავს თითოეული დისციპლინა ბალანსს ზოგად კვლევითსა და ამ დისციპლინისთვის დამახასიათებელ უნარებს შორის.

მაგალითად, ეკონომიკისა და სოციალური კვლევის საბჭოში (Economic and Social Research Council – ESRC) ზოგიერთი სფეროსთვის მახასიათებელი განაცხადი (სოციალური მუშაობის, მათ შორის) უფრო გრძელი და მოცულობითია, ვიდრე სხვა სფეროებისა; თითქოს ისინი მათ განმასხვავებლობას უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, ვიდრე ისინი, რომლებიც მოკლე აღწერას იძლევიან. აი, რა არის ნათქვამი სოციალური მუშაობის შესახებ:

4.1 კვლევის ზოგადი მეთოდების კურსზე დამატებით სტუდენტები სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდებზე საგანმანათლებლო კურსში შეძლებენ შემდეგის დემონსტრირებას:

- სენსიტიურობას კვლევის ეთიკური და მართვითი ასპექტებისადმი;
- კვლევის პროცესში საკუთარ და სხვების როლზე რეფლექსიის უნარს;
- სოციალური და პოლიტიკური კონტექსტის შესახებ ცოდნისა და კვლევის გამოყენებას;
- ცოდნასა და სენსიტიურობას კვლევის ემანსიპატორული მიდგომით ჩატარებისადმი.

პირველ სამ პუნქტს ნებისმიერი სოციალური მეცნიერების კვლევის სტანდარტის ჩამონათვალში აღმოვაჩინოთ, მაგრამ ხაზებს შორის ნათქვამია, რომ სოციალურ მუშაობაში ეს საკითხები სპეციალურ მნიშვნელობას იძენს. მეოთხე არის ასპექტი, რომელიც სოციალურ მუშაობაში უფრო მეტადაა ხაზგასმული, ვიდრე სხვა მეცნიერებებში, თუ საერთოდ კეთდება ასეთი აქცენტი.

4.2 სოციალურ მუშაობაში კვლევის სწავლისას სტუდენტები სწავლობენ და ურთიერთობენ ადამიანებთან როგორც ინდივიდებთან, ოჯახის, სოციალური ქსელების, თემისა და საზოგადოების წევრებთან. ამიტომ კვლევის კურსის მიზნებია:

- უთანასწორობისა და მრავალფეროვნების ნათლად გააზრებით კვლევის ამოცანის ჩამოყალიბება, ამ საკითხებზე რეფლექსიის უნარის განვითარება და, სადაც შესაძლებელია, ამ პრობლემების დაძლევაზე მუშაობა კვლევის ყველა ეტაპზე;
- კვლევის მომხმარებელთა შეხედულებების შესაბამისი ფორმით გათვალისწინების საჭიროების გააზრება, კვლევის პროცესში ამით გამონვეული დაძაბულობის შეფასება, განსაკუთრებით, თუ ის მონაწილეობით ჩარჩოში ხორციელდება;
- სოციალური მუშაობის კვლევის მულტიდისციპლინური და ინტერდისციპლინური მიდგომების პოტენციასა და შეზღუდვებზე კრიტიკული ხედვის ფორმირება და მათი ინტეგრირება სოციალური მუშაობისა თუ ზრუნვის კვლევაში.

სოციალური მუშაობის კვლევის ერთი მკვეთრად განმასხვავებელი მახასიათებელია ის, რომ კვლევა უნდა მოიცავდეს იმგვარი სტრატეგიის განვითარებას, რომლის ფარგლებშიც ის პრაქტიკის გამონვევებს უპასუხებს. ეს პერსპექტივა რამდენიმე მიმართულებით შეიძლება განვითარდეს, მაგალითად: იმის ხელახლა გააზრებით, თუ რას ნიშნავს „პრაქტიკული“ კვლევის განხორციელება, ე.ი. კვლევის, რომლის შედეგებზე დაყრდნობით პრაქტიკა მოდიფიცირდება ბენეფიციართათვის მომსახურების ეფექტიანობის ზრდის მიზნით და, ასევე, რას ნიშნავს „პრაქტიკოსის კვლევა“, რომელიც კვლევას ახალი ცოდნის მოპოვებისათვის ახორციელებს მხოლოდ. საკმაოდ დიდი მიღწევებია პრაქტიკოსის კვლევის პერსონალიზებული მოდელისაგან განთავისუფლების კუთხით, რომ მან აკადემიური კვლევა არ განიხილოს მხოლოდ როგორც მოცემულობა და არ შეზღუდოს პრაქტიკოსთა მიერ კვლევის პრაქტიკაში გამოყენების ძალისხმევა (შოუ, 2007).

იმის დადგენა, თუ რა არის წარმმართველი სოციალური მუშაობის კვლევაში, რთულდება თავად სოციალური მუშაობის ამბივალენტური ბუნებიდან გამომდინარე. მოგეხსენებათ, ის ხასიათდება სამი სხვადასხვა მხარის შეხედულებების ინკორპორირების საჭიროებით: მომსახურების მიმღები, საზოგადოება ან სახელმწიფო და სოციალური მუშაკის პროფესიული განსჯა (Forrester, 2012 in Gray, Midgley, Webb, 2012). ხშირია მიკუთვნებულობასთან დაკავშირებული გაურკვევლობებიც. ამის კარგი მაგალითია როიზის (1988, Rubin & Babbies, 2012) მიერ ჩატარებული კვლევა. ის იმ ბუნდოვანების დემონსტრირებას ახდენს, რომელიც ახლავს სოციალური მუშაობის კვლევისა და სხვა სოციალური მეცნიერებების წინააღმდეგ აღმოცენებული კვლევების მიკუთვნებულობის საკითხს. საკამათოა, რომელი მეცნიერების კუთვნილებაა მის მიერ განხორციელებული კვლევა, რომელიც ეხებოდა მოსახლეობის წინასწარი განწყობების შესწავლას საარჩევნო ოლქებში იმის თაობაზე, გაზრდილიყო თუ არა გადასახადები სოციალური მომსახურებების მიწოდების უზრუნველყოფისათვის. გამოკითხვის შედეგები პოლიტიკოსებს დაეხმარებოდა სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკის ფორმირებაში მოახლოებულ არჩევნებზე.

თითქოს ეს კვლევა მიეკუთვნება სხვა სოციალურ მეცნიერებას, მაგრამ არსებობს სამი მიზეზი, რომელთა მიხედვითაც ის სოციალური მუშაობის კვლევაა:

1. როიზი სოციალური მუშაობის მიმართულების პროფესორი იყო, როდესაც კვლევა განახორციელა;
2. კვლევა სოციალური მუშაობის ჟურნალში დაიბეჭდა;
3. მისი კვლევის მიზანი იყო ცოდნის ბაზის ფორმირება, რომელზე დაყრდნობითაც სოციალური მომსახურებების მიმწოდებლები განახორციელებდნენ მომსახურებების ადმინისტრირებას (Royse, 1988 in Rubin & Babbies, 2011).

საუკეთესო სოციალური მუშაობის კვლევა ცდილობს, შეეჭიდოს იმის განსაზღვრის სირთულეს, თუ ვის ხმას აჟღერებს კვლევის შედეგები, ან რა პერსპექტივით. ეს კი დიდი გამოწვევაა. მაგალითად, შეპარდმა (2001, ფორესტერთან, 2012) დებრესიული დედებისა და მათი სოციალური მუშაკების ინტერვიუებისას იმდენად განსხვავებული შედეგები მიიღო, რომ მონაცემთა ტრიანგულაცია და დასკვნის გაკეთება ვერ მოახერხა. ამის ნაცვლად, შესაძლოა, უნდა აღწერათ სოციალური მუშაკებისა და დედების შეხედულებები ცალ-ცალკე. სხვა მულტიმეთოდურ კვლევაში სოციალური მუშაკებისა და მომსახურების მიმღებთა ან მომსახურების მიმღებთა და დონორების შეხედულებების ინკორპორირება მოხდა იმისათვის, რომ შინაარსი და საინტერესო მონაცემები მიეღოთ (ფორესტერი გრეისთან, მიდგლისა და სტივენთან, 2012).

„და მერე რა?“ საკვლევი პრობლემის შერჩევა ხშირად მომდინარეობს სოციალური მომსახურებების მიმწოდებელთა და/ან სოციალურ პოლიტიკოსთაგან, რადგან ეს მათი ინტერესის დაკმაყოფილებას ემსახურება. მათი, ე.ი. გადანყვეტილების მიმღებთა, საჭიროებების დაკმაყოფილებას ემსახურება ის, რაზე დაყრდნობითაც უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს სოციალური მომსახურებები. თუმცა კვლევის იდეებისთვის შთაგონება შესაძლოა მოვიდეს ნაკითხულის, მოსმენილის, ნანახის ან, უბრალოდ, უეცრად გაელვებული იდეისაგან (Rubin & Babbies, 2011).

სანამ შევუდგებით კვლევას და ამაში დიდ ენერჯიასა და დროს ჩავდებთ, შევეცადოთ, იდეა გავატაროთ „და მერე რა?“ ტესტში, ე.ი. ვუპასუხოთ შეკითხვას – რა სასიკეთო ცვლილებას მოუტანს კვლევა სოციალური მუშაობის მომსახურებითა და სოციალური კეთილდღეობის სისტემით მოსარგებლებს?

ხანდახან ასეთ მოსაზრებებსაც გავიგებთ, რომ, მაგალითად, სოციალური მუშაობის კვლევის განმასხვავებელი ნიშანია პოზიტივიზმის რადიკალური კრიტიკა. სოციალურ მუშაკთა აზრით, პოზიტივისტები საკუთარ სამუშაოს ხედავენ არა მხოლოდ როგორც მკაფიოდ ობიექტურსა და უსაფრთხოს, არამედ როგორც სუბიექტურობის მახისგან თავდაღწევის საშუალებას (Everitt, 1992 in Shaw, 2007). არსებობს სხვა არგუმენტიც – რომ რაოდენობრივი კვლევა მკვეთრად პოზიტივისტურია და სოციალური მუშაობის ფასეულობებისთვის თვისებრივი კვლევის მეთოდი უფრო შესაბამისია. რასაკვირველია, პოზიტივისტური გადმონაშთები სოციალური მუშაობის კუთხე-კუნჭულებშიცაა შემორჩენილი, მაგრამ სოცია-

ლური მუშაობის კვლევა დაზარალებდა, თუ ჩვენ განსხვავებებზე გავაკეთებთ აქცენტს. ეს კოლეგებისა და სხვა პროფესიის წარმომადგენელთა მოსაზრებების მოსმენისადმი ნაკლებ მოტივირებულს გაგვხდის. არადა, თუ ერთობლივ მომსახურებებს ვავითარებთ, ერთობლივ პროექტებს ვქმნით, რატომ არ გავაკეთოთ ერთობლივი კვლევები?

შესაბამისად, სოციალური მუშაობის კვლევა განმასხვავებლად კარგი იქნება, თუ:

- მიაღწევს მეთოდოლოგიურ სრულყოფილებას ყველაფერში, რასაც კი აკეთებს;
- განახორციელებს სოციალური მუშაობის კვლევას ხარისხიანად, სიღრმისეულად;
- შეინარჩუნებს სოციალური მეცნიერებების წარმომადგენელთა თემთან აქტიურ კომუნიკაციას;
- შეესაბამება სოციალური მუშაობის მიზნებს;
- ატარებს კვლევას სოციალური მუშაობისათვის ორგანულ გარემოში;
- მიზნად ისახავს კვლევის იმ ასპექტების აღმოფხვრას, რომლებიც არ შეესაბამება სოციალური მუშაობის კვლევას.

რადგან კვლევა თანამედროვე ისტორიაა, სოციალური მუშაკები კი ამ ისტორიის მთხრობელნი, შემგრძნებნი და შემცვლელნი არიან, სწორედ მათ აწევთ ადამიანური ისტორიების თხრობის ტვირთი. ამიტომ არის, რომ კვლევის ის მეთოდები გამოიყენება სოციალურ მუშაობაში უფრო ხშირად, რომლებიც გვეხმარება სხვადასხვა სტრუქტურის ფუნქციონირებისა და ადამიანთა ცხოვრებაზე მათი ზეგავლენის გააზრებაში, სხვადასხვა თემის ცხოვრების სტილის გაანალიზებაში, იმაზე დაკვირვებაში, თუ როგორ იცვლება სხვადასხვა სოციალური ერთობის, კლუბის დანიშნულება, როგორ მიიღება გადაწყვეტილებები სხვადასხვა ორგანიზაციასა და გაერთიანებაში. აგრეგირებული რაოდენობრივი მონაცემები ინფორმაციას გვაძლევს ერების, ქვეყნების, ქალაქების შესახებ, მაგრამ, სოციალური მუშაობისაგან განსხვავებით, ხელშესახებად ვერ წარმოგვიდგენს, მაგალითად, სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის ისტორიებს (Brandy, 1986).

სამწუხაროდ, არსებობს მეთოდოლოგიურად სუსტი სოციალური მუშაობის კვლევებიც. განსაკუთრებით, შერეული მეთოდით განხორციელებული კვლევები, რომლებიც რაოდენობრივი ანალიზის სიმწირით გამოირჩევიან (კვლევის შერეულ მეთოდსა და მის გამოყენებას სოციალურ მუშაობაში მომდევნო თავში წარმოგიდგინებ). და პირიქითაც, ზოგჯერ რაოდენობრივი კვლევა, მიუხედავად იმისა, რომ მაღალი ხარისხის ანალიტიკური ნაშრომია, არ არის საკმარისად ძლიერი მეთოდოლოგიური თვალსაზრისით. მასში არც წარმატებული პრაქტიკის მაგალითებია სრულყოფილად აღწერილი და არც კვლევის მეთოდი (RAE, 2001; Overview Report on UOA41 Social Work შოუსთან, 2007). მაგრამ მთავარი ეს არ არის, ძირითადი პრობლემა მეთოდოლოგიური წარმოსახვის არარსებობაა. ჩვენ (სოციალურ მუშაობაში) გვჭირდება მეტი ეთნოგრაფია, ყურადღება კვლევის შედეგებისადმი.

დარია ზავირსეკი გვაცნობს (2006) გამოცდილი მკვლევარი სოციალური მუშაკების აზრს. ისინი თვლიან, რომ კვლევა სოციალურ მუშაობაში განსაკუთრებული მგრძობელობით ხორციელდება, იმისათვის, რათა მაქსიმალურად შემცირდეს მასში მონაწილეთა დისკომფორტი და ამან მათთვის მაქსიმალური სარგებელი მოიტანოს. ამიტომ იკვეთება კვლევის ზოგიერთი მეთოდისადმი განსაკუთრებული სიმპათია. ზავირსეკი ფიქრობს, რომ კვლევის ეთნოგრაფიული მეთოდი არასოდეს ფოკუსირებს მხოლოდ სუბიექტის სამყაროზე, არამედ ჩვენს სამყაროსა და სივრცეზე „ჩვენსა“ და „სხვას“ შორის (ოკლი, 1995 ზავირსეკთან, 2006:132). მისი აზრით, მკვლევარსა და ინტერვიუერს შორის „საერთო სივრცის“ ფორმირებისთვის მნიშვნელოვანია ურთიერთსარგებლიანი სიტუაციის შექმნა. ის კი ხშირად უგულებელყოფილია კეთილდღეობის ინსტიტუტებში. ეთნოგრაფიული კვლევის პროცესში მკვლევარი იღებს „საჩუქარს“ ინფორმაციის, მონაცემებისა და ისტორიების გაზიარების სახით; მეორე მხრივ, ის საპასუხო საჩუქარს გასცემს მოსმენის, ემპათიისა და ხანდახან სოციალურ მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობის სახით.

კვლევის ამ სახეობის საშუალებით უხილავი მომსახურების მიმღები საჯარო სივრცის ნაწილი ხდება, ზეგავლენას ახდენს საჯარო პოლიტიკაზე, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებასა და პროფესიული ცოდნის ცვლილებაზე.

მაგალითისთვის ზავირსეკი წარმოადგენს ძალადობის მსხვერპლ ქალთა თავშესაფარში ჩატარებულ კვლევას, რომელშიც ქალთა 81 %-მა განაცხადა, რომ სწორედ მათ უნდა ჰქონდეთ აქტიური როლი სოციალური მომსახურებების შექმნასა და მიწოდებაშიც. თუმცა როდესაც ჰკითხეს, ასეთი შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში თავად თუ მიიღებდნენ მონაწილეობას, მათ თქვეს, რომ ეს ძალადობის მსხვერპლმა სხვა ქალებმა უნდა გააკეთონ. ამ პასუხმა ნათელყო, რომ დახმარების პროცესი აფორმირებს „ვიქტიმიზებულ იდენტობას“, ნაცვლად იმისა, რომ დაეხმაროს ამ ქალებს ძალაუფლებით აღჭურვაში, შეხედულებების ტრანსფორმაციაში. აი, სწორედ ამიტომაც მნიშვნელოვანი სოციალური მუშაობის კვლევის განხორციელება სოციალურად დაუცველ ადამიანებთან, განსაკუთრებით კი, ქმედებაზე ორიენტირებული მონაწილეობითი კვლევისა, რომლის პროცესშიც, გარდა მოკვლევისა, მომსახურების მიმღებნი მოქმედებენ, რაც მათ აძლიერებს (მონაწილეობით ქმედებაზე ორიენტირებულ კვლევას დეტალურად განვიხილავთ მომდევნო თავში).

სოციალური კეთილდღეობის ინსტიტუტებში კვლევის განხორციელება ხშირად ითხოვს, რომ მკვლევარი დისტანცირდეს ამ ინსტიტუტის პროფესიული გუნდისაგან. ერთ-ერთ ასეთ ეთნოგრაფიულ კვლევაში, რომელიც ფსიქიატრიულ დაწესებულებაში განხორციელდა, მომსახურების მიმღებმა პირებმა გამოხატეს ნუხილი იმის თაობაზე, რომ შიშობდნენ, მათი ნათქვამი ფსიქიატრამდე არ მისულიყო. ამიტომ მკვლევარ სოციალურ მუშაკებს მოუწიათ საავადმყოფოს სხვა პერსონალისაგან დისტანცირება. ამის გამო მათ განსხვავებული სამუშაო განრიგით მუშაობა დაიწყეს. ისინი შაბათ-კვირას და სამუშაო დღეებში საღამოობით მუშაობდნენ და არ იყენებდნენ იმავე სამუშაო სივრცეს, რასაც დაწესებულების თანამშრომლები. ამით ნათლად ახდენდნენ იმის დემონსტრირებას, რომ მომსა-

ხურების მიმღებთაგან მოპოვებულ ინფორმაციას სხვა თანამშრომლებს (ექიმებს, ექთნებს) არ გაუზიარებდნენ (ზავირსევი, 2006).

III. საკვლევი სფეროები, თემები და ჯგუფები სოციალური მუშაობის კვლევაში

კვლევა სოციალურ მუშაობაში, ისევე, როგორც ყველა სხვა მეცნიერული კვლევა, ცდილობს პრობლემის ამოხსნას. განურჩევლად იმისა, რისი მოკვლევა გვინდა, არსებობს ამის გაკეთების უამრავი გზა (რუბი და ბაბი, 2012).

მკვლევარი სოციალური მუშაკები და პრაქტიკოსები პრობლემის გადაჭრის იდენტიურ პროცესს გადაიან სოციალური კეთილდღეობის გამონვევებთან გასამკლავებლად. პრაქტიკაც და კვლევაც პრობლემის ფორმულირებით იწყება. ეს მოიცავს ამ უკანასკნელის აღიარებას, მის განსაზღვრასა და მისი სპეციფიკის დაზუსტებას. ამის შემდეგ მკვლევრებიც და პრაქტიკოსებიც იკვლევენ და არჩევენ მისი დაძლევის ალტერნატიულ სტრატეგიას. კვლევაში, ისევე როგორც პრაქტიკაში, ეს ფაზები ურთიერთდამოკიდებულია. თუმცა გაუთვალისწინებელი გარემოებები მომდევნო ფაზაში გადასვლის საშუალებას თუ არ გვაძლევს, ვუბრუნდებით წინა ფაზას. მაგალითად, წარმოიდგინეთ, რომ თქვენ გჭირდებათ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების თანამშრომელთა გადამზადება ბავშვთა განვითარების საკითხებში, რაც ინსტიტუციონალიზაციის უარყოფითი შედეგების შესწავლის წინა მოსამზადებელი ტრენინგია. თქვენ დიდ წინააღმდეგობას აწყდებით, რადგან ტრენინგის მონაწილეები ამ დაწესებულების სტაჟიანი თანამშრომლები არიან და, სულაც რომ ესმოდეთ, რატომ აქვს უარყოფითი ზეგავლენა ბავშვის განვითარებაზე დიდი ზომის სააღმზრდელო დაწესებულებაში ცხოვრებას, მათთვის ის უფრო აქტუალურია, რომ ზრუნვის ამ ფორმის გაუქმების შემდეგ უმუშევრობა არ დაემუქროთ (რუბი და ბაბი, 2011). სხვათა შორის, ქართული რეალობა ზუსტად ასეთი იყო, როდესაც ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმა დავიწყეთ 1999 წელს. ჩვენ, ქვეყნის პირველ სოციალურ მუშაკებს, თვრამეტივეს ერთნაირად გვიჭირდა სააღმზრდელო დაწესებულებების სიახლისადმი ასე რეზისტენტულად განწყობილ თანამშრომლებთან ურთიერთობა. არადა, მათ ამ დაწესებულებებში მცხოვრებ ბავშვთა მშობლებზე საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდათ. ჩვენი ამოცანა ბავშვთა ნაწილის ოჯახებში დაბრუნება იყო, ნაწილის კი იმ დროს ახალფორმირებული ალტერნატიული ზრუნვის ფორმაში – მინდობით აღზრდაში – გაყვანა. თუ ყველა ტრენინგის ჩატარების შედეგად ხედავთ, რომ მონაწილეთა ცნობიერება არ გაიზარდა, ახალი უნარ-ჩვევებიც არ ჩამოუყალიბდათ, თქვენ ამოცანის ხელახლა გააზრება გჭირდებათ. და თან, ამის კეთება იმდენ ხანს, რამდენსაც მიზნის მიღწევა ითხოვს, თუ, რასაკვირველია, ქმედითობაზე¹ ორიენტირებული სოციალური მომსახურებების მიწოდების პოლიტიკა ამის საშუალებას გაძლევთ.

¹ მომსახურების მიწოდება და/ან ღონისძიების განხორციელება მაქსიმალურად დაბალი ხარჯით მინიმალურ დროში.

რადგან სოციალური მუშაობა ასეთი მრავალფეროვანი პროფესიაა, პოტენციური საკვლევე საკითხი ულევია. ის შეიძლება ეხებოდეს ნებისმიერ სოციალურ სფეროს, პრობლემას ან ჯგუფს, იქნება ეს ფსიქიკური ჯანმრთელობა, მართლმსაჯულება, ბავშვთა კეთილდღეობა თუ სხვა რომელიმე სოციალური სფერო; იქნებთან ეს ბავშვები, ხანდაზმულები, დამოკიდებულების მქონე პირები, სასჯელაღსრულების სისტემის სტუმრები¹, ქალები, უსახლკაროები თუ სხვა რომელიმე სამიზნე ჯგუფი. რაც შეეხება სოციალურ პრობლემებს, ეს სოციალური მუშაობისთვის და სოციალური მუშაობის კვლევისთვის საასპარეზო ველია, ეკოლოგიურიდან დაწყებული, ინტერპერსონალური ურთიერთობებით გამოწვეული პრობლემებით დასრულებული (რუბი და ბაბი, 2012).

ყოველ საკვლევ სფეროში კვლევა შეიძლება იყოს მიმართული ინდივიდის, ჯგუფის, ორგანიზაციის ან უფრო დიდ სოციალურ სისტემაზე ორიენტირებული საკითხების შესწავლაზე. ის შეიძლება იყოს სამიზნე მოსახლეობის მახასიათებლების, სოციალური მუშაობის მომსახურებების, სოციალური მუშაკების მიერ სუპერვიზიის ან ტრენინგის, სოციალური კეთილდღეობის სააგენტოების მიერ ადმინისტრირების, სოციალური პოლიტიკის, მომსახურების მიმღებთა და თემის საჭიროებების კვლევა; ან სოციალური სააგენტოების საჭიროებებზე რეაგირების ეფექტიანობის კვლევა; ან სპეციალისტების დამოკიდებულებების შესწავლა სხვადასხვა ჯგუფის ან პრობლემის მქონე მომსახურების მიმღებებისადმი და ა.შ. (რუბი და ბაბი, 2011).

სოციალური მუშაობისთვის კვლევაში, სხვა სოციალური მეცნიერებისაგან განსხვავებით, თემის შერჩევის მამოძრავებელი მუხტი შეიძლება იყოს სოციალური სააგენტოების წინაშე არსებული პრობლემები ან სოციალური კეთილდღეობის სფეროში არსებული გადაუჭრელი საკითხები. ეს არ ნიშნავს, რომ პრობლემის იდენტიფიცირების პროცესი არ არის თეორიული, თუმცა კვლევის საბოლოო ღირებულება არის პრაქტიკული სამუშაოსა და სოციალური კეთილდღეობის თვალსაზრისით სარგებლიანობა. ფაქტობრივად, პრობლემის არსებულ თეორიასთან დაკავშირებით, იზრდება კვლევის გამოყენების შანსი, რადგან თეორია ქმნის ჩარჩოს იმისათვის, რათა სხვებმაც ჩვენეულად გაიაზრონ კითხვის ფორმირების არსი და მნიშვნელობა. თუ ბილ რეიდის ნააზრევს გავყვებით, დიდი განსხვავებაა ამ ორ კონცეფციას შორის: განვიხილავთ კვლევას როგორც „პრაქტიკის მოდელს“ თუ როგორც „ცოდნის ბაზას პრაქტიკისათვის“ (პარტონი და კირლი, 2010:28 გრეისთან, მიდგლისთან და სტივენთან, ... :399).

როდესაც ვამბობთ, რომ სოციალური მუშაობის კვლევა სოციალური კეთილდღეობის სისტემის წინაშე არსებული პრაქტიკული პრობლემების გადაჭრას ემსახურება, „გამოყენებითობის“ კონოტაციას ვერ ავცდებით. აი სწორედ ეს არის, რითაც სოციალური მუშაობის კვლევა განსხვავდება „წმინდად“ სამეცნიერო კვლევისაგან, რადგან ეს უკანასკნელი ცოდნის თავმოყრას ემსახურება ცოდნისათ-

¹ მათ ასე ვუწოდებთ კორექტულად.

ვისვე. თუმცა მთლად ასეც არ უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მუშაობის თეორია შეიძლება არ ემსახურებოდეს ზოგადად თეორიული ცოდნის დაგროვებას სოციალურ მეცნიერებებში, მის მიგნებებს შეიძლება მაინც ჰქონდეს ეს ეფექტი. პოლანსკი (Polansky, 1975 in Rubin & Babbie, 2011) გვაუწყებს, რომ მისი სოციალური მუშაობის კვლევა „ქცევითი მიმბაძველობა ბავშვებში“, უფრო მეტად ციტირებული იყო სოციალური ფსიქოლოგიის ლიტერატურაში, ვიდრე სოციალური მუშაობისა. იმავე მიზეზით, არაა აუცილებელი, რომ გამოყენებითი მიზანი ჰქონდეს კვლევას იმისთვის, რათა ცოდნის ბაზა შექმნას კეთილდღეობის პრობლემების გადასაჭრელად. სოციალური მუშაობა ყოველთვის „სესხულობს“ სოციალური მეცნიერებების საბაზისო ცოდნას კეთილდღეობის სისტემის პრაქტიკული პრობლემების დაძლევისათვის.

მაგალითად, კვლევა, რომელიც აფასებს, რამდენად ზემოქმედებს ოჯახის სტრესის მაჩვენებელი ბავშვების სკოლის გაცდენებზე, შეიძლება ჩაატარონ როგორც განათლების ფსიქოლოგებმა, ასევე სოციოლოგებმა. მაგრამ თუ საკვლევი პრობლემის შერჩევის მიზანია პოლიტიკოსთა ინფორმირება, მაშინ ამ პრობლემის დაძლევისათვის სკოლის სოციალური მუშაკების დაქირავება ან სოციალური მუშაობის მომსახურების მიმართვა ამ ოჯახების სტრესის დაძლევაზე მუშაობისაკენ, კვლევა სოციალური მუშაკებისათვის განსაკუთრებული ინტერესის საგანი იქნებოდა.

IV. სოციალური მუშაობის კვლევის მიზანი და მიზეზები

სოციალური მუშაობის კვლევა მრავალ სხვადასხვა მიზანს ემსახურება. ერთი კონკრეტული კვლევის ჩატარებას, შესაძლოა, განსხვავებული მიზეზები ჰქონდეს. რუბინისა და ბაბის (2011) აზრით, ოთხი ყველაზე მეტად მახასიათებელი მიზეზი კვლევის მიზნების მისაღწევად არის: მოკვლევა, აღწერა, ახსნა და შეფასება. მათი გამოყენება კვლევის დიზაინში შესაძლოა სხვადასხვა დანიშნულებით. მოდით, თითოეული ცალ-ცალკე განვიხილოთ:

- **მოკვლევა** – სოციალური მუშაობის თითქმის ყველა კვლევა საკითხის შესწავლისათვის ხორციელდება. ამის მიზეზია საკითხის კარგად გაცნობა ან ახალი საკითხის შესწავლა, ან საკითხის შესწავლა ახალი მეთოდით უფრო სარწმუნო შედეგების მისაღებად.

მოდით, მაგალითისთვის ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში დეინსტიტუციონალიზაციის მოძრაობა განვიხილოთ. ეს მოძრაობა დაიწყო 1955 წელს და აქტიურ ფაზაში შევიდა 1960 წელს, როდესაც გამოაშკარავდა, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის სიმპტომების კონტროლისათვის მედიკამენტებს იყენებდნენ. ის უკავშირდებოდა პაციენტთა უფლებების დაცვასა და მათ იძულებით ინსტიტუციონალიზაციას. დეინსტიტუციონალიზაციის პოლიტიკას ბევრი მიესალმა, მაგრამ მას ბევრი ოპონენტიც ჰყავდა, რომლებიც მას ნაჩქარევ გადანყვეტილებად მიიჩნევდნენ, რადგან სათემო მომსახურებები ჯერ არ იყო საკმარისად განვითარე-

ბული და საჭირო იყო უფრო კარგად გააზრებული პოლიტიკის გატარება, რათა სიახლეს პაციენტები უფრო არ დაეზიანებინა, მაშინ, როდესაც მომხრეები კმაყოფილი იყვნენ პაციენტთა უფლებების დაცვითა და მათი სამკურნალო დაწესებულებებში გამოკეტვის დასრულებით.

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი ყოფილიყავით იმ დროს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში ან სათემო პროგრამაში. თქვენ მოგინევდათ მოსახლეობაში გასვლა და ყოფილი პაციენტების საცხოვრებელში ვიზიტი, მათ ნათესავეებსა და ახლობლებთან შეხვედრა, მათ საცხოვრებელ გარემოზე დაკვირვება, იმის გარკვევა, ვინმე ხომ არ ჩაგრავს ყოფილ პაციენტებს, იმის მონიტორინგიც, იღებენ თუ არა ისინი შესაბამის მედიკამენტებს, დანიშნულების შემთხვევაში, თუ ჰყოფნიან შემოსავალი ცხოვრებისათვის? როგორ ატარებენ დროს? ეს ახალი პოლიტიკა მძიმე ტვირთი ხომ არ არის ოჯახებისთვის და ა.შ.

არასოდეს რომ არ წარმოგედგინათ თავი მკვლევრად, თქვენ მაინც მოგინევდათ მოკვლევითი სამუშაოს ჩატარება. იმისათვის, რათა კითხვარი მომზადებულიყო უფრო დიდმასშტაბიანი კვლევისათვის, თქვენ უკვე გექნებოდათ ჩატარებული არასტრუქტურირებული ინტერვიუები ყოფილ პაციენტთა მცირე რაოდენობაში.

კვლევის ამ სახეობის შეზღუდვა ის არის, რომ იგი იშვიათად იძლევა ამომწურავ პასუხებს საკვლევ კითხვებზე. ეს უკანასკნელნი მხოლოდ მიგვანიშნებს პასუხებს და აღმოგვაჩინებს საკვლევ მეთოდს, რომელიც პასუხებს მოგვაციხინებს. კვლევის ეს სახეობა იშვიათად არის სრულყოფილი, რადგან არანარმომადგენლობითია. სამაგიეროდ, როგორც კი შერჩევისა და წარმომადგენლობითობის საკითხს ჩაუფიქრდებით, საშუალება გექნებათ გაიაზროთ, მოცემული კვლევა კითხვაზე პასუხს იძლევა, თუ პასუხისაკენ გზას გიკვალავთ.

- **აღწერითი** – უმრავლესი სამეცნიერო სოციალური კვლევის მიზანია სიტუაციის ან მოვლენის აღწერა. სოციალური მუშაობის კვლევაში ეს ყველაზე გავრცელებული მიზეზია. მკვლევრები აკვირდებიან სიტუაციას და/ან მოვლენას და ზედმიწევნითი სიზუსტითა და აკურატულობით აღწერენ მას.

ჩვენს წინა მაგალითში დენისტიტუციონალიზაციის შესახებ აღწერითი კვლევა შეისწავლიდა ყოფილ პაციენტთა წარმომადგენლობითი რაოდენობის ცხოვრების წესს, მედიკამენტების მიღების სპეციფიკას, საცხოვრებლის ტიპს, მათ შემოსავალს. ავტორის აზრით, ქვეყნის სტატისტიკის სააგენტო აღწერითი კვლევის კარგი მაგალითია. სოციალურ მუშაობაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი აღწერითი კვლევაა *სოციალური მუშაობის განათლების საბჭოს* მიერ ჩატარებული ყოველწლიური გამოკითხვა სოციალური მუშაობის უმაღლეს სასწავლებლებში. ის აღწერს სტუდენტებისა და პედაგოგების მახასიათებლებს თითოეულ სასწავლებელში. ამ კვლევის შედეგებს თუ გაეცნობით, შეიტყობთ, რა ტენდენციებია სოციალური მუშაობის განათლებაში, იზრდება თუ მცირდება აპლიკანტთა რაოდენობა სწავლის სხვადასხვა საფეხურზე, როგორია ქალთა ან ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების ჩარიცხვის მაჩვენებელი და ა.შ.

კვლევის ამ სახეობაში მნიშვნელოვანია აღწერის ხარისხი და გენერალური ერთობლიობის საკითხი – განზოგადებულობა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ აღწერითი კვლევები მხოლოდ რაოდენობრივ კვლევებში გვხვდება. ის თვისებრივ კვლევაშიც ფართოდ გამოიყენება. თუმცა, რაოდენობრივისგან განსხვავებით, თვისებრივ კვლევაში აღწერა ნიშნავს არა მხოლოდ მშრალი მონაცემების ასახვას, არამედ მათ მიღმა სიტუაციის, გარემოს, ადამიანების მდგომარეობისა და ყოველდღიურობის გადმოცემას. ჩვენი წინა მაგალითის შემთხვევაში, თუ კვლევა თვისებრივი მეთოდით განხორციელდებოდა, გავიგებდით, რატომ ირჩევს ან არ ირჩევს ადამიანი სოციალური მუშაობის მიმართულებაზე სწავლას, ან რა არის მიზეზი იმისა, რომ, უპირატესად, გოგონები ირჩევენ ამ მიმართულებას, ან რა გამოწვევების წინაშე აყენებს მისაღები გამოცდები და/ან სასწავლო პროცესი სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელს, რას გრძნობენ სტუდენტები სწავლისას, რა სახის მხარდაჭერას იღებენ ლექტორებისაგან და ა.შ.

- **ახსნა** – სოციალური კვლევის მესამე მიზეზია მოვლენების ახსნა. თუ წინა მაგალითებს გამოვიყენებთ განხილვისათვის, მაგალითად, ელექტორატის განზრახვა კვლევის აღწერითი მიზეზია, ხოლო საბაბი, რატომაც ისინი ხმას აძლევენ ან არ აძლევენ გადასახადების მატებას სოციალური პროგრამების დაფინანსების ზრდისათვის, უკვე ახსნითი.

ჩვენს რეალობას რომ მოვარგოთ მაგალითი, უფრო თვალნათლივ წარმოდგენისთვის, ბავშვზე ძალადობის შემთხვევა განვიხილოთ. მოგეხსენებათ, ბავშვზე ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში, უწყებებს მართებთ შეტყობინება¹, რასაც შესაბამისი რეაგირება მოჰყვება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი ორგანოსა და პოლიციისაგან. ფაქტი, რომ ბავშვზე ძალადობა არ არის შეტყობინებული, აღწერითი ნაწილია, ხოლო მიზეზი, რატომ არ ატყობინებენ ძალადობის ფაქტს, მაგალითად, პედაგოგები ან სკოლის ადმინისტრაცია, უკვე ამ მოვლენის ახსნაა.

კვლევის ამ სამი მიზეზის ერთმანეთისაგან განმასხვავებელი ნიშნების გააზრება მნიშვნელოვანია, მიუხედავად იმისა, რომ უმრავლეს კვლევაში სამივეა წარმოდგენილი. მაგალითად, დეინსტიტუციონალიზაციის მაგალითში სოციალური მუშაკისათვის საინტერესო იქნებოდა, გაერკვია, ჩარევის რომელი ფორმა უფრო სასარგებლო ყოფილი პაციენტების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ამიტომ თქვენი კვლევის *მოკვლევითი* ასპექტი იქნებოდა სოციალური მუშაკების გამოკითხვა ღია კითხვებით, მათი მოსაზრების გასაგებად იმის თაობაზე, თუ რა მიაჩნიათ ეფექტიან ჩარევად, რაც საუკეთესო შედეგებს იძლევა. მისი აღწერითი ნაწილი იქნებოდა სხვადასხვა ტიპის მომსახურების მიმღები პაციენტების ზუსტი ოდენობის პროფილების შექმნა, ხოლო მისი *ახსნითი* ნაწილი – იმის გააზრება,

¹ საქართველოს მთავრობის დადგენილება N437 ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე, 2016, 12.09.

რამდენადაა სოციალური მუშაობის ჩარევაზე დამოკიდებული ყოფილი პაციენტების ცხოვრების ხარისხისა ან რეჰოსპიტალიზაციის განსხვავებული მაჩვენებლები.

- **შეფასება** სოციალური მუშაობის კვლევის მეოთხე მიზეზია. შეფასება შეგვიძლია როგორც პოლიტიკის, ისე პროგრამის, პროექტის ან ჩარევის (პროგრამის შეფასებას ცალკე თავიც კი ეთმობა ამ სახელმძღვანელოში). შეფასებითი კვლევით ჩვენ, პრაქტიკულად, სამივე ნინა მიზეზს მოვიცავთ.

მაგალითად, მოკვლევითი მიზეზით კვლევისას თუ ჩვენ ვარკვევთ, რა ტიპის მომსახურებები სჭირდებათ ადამიანებს, აღწერითი კვლევისას შევაფასებთ, რამდენად მიესადაგება მათ მიერ დასახელებული მომსახურებები მათ მიერვე განსაზღვრულ, „საჭირო“ მომსახურებებს. აღწერითი გამოკითხვა შეიძლება აფასებდეს, ასევე, შეესაბამება თუ არა მომსახურების შედეგი მის მიზანს. ახსნითი გამოკვლევისას კი შეგვიძლია გავანალიზოთ მომსახურებით სარგებლობის განმაპირობებელი ფაქტორები, როგორებიცაა, მაგალითად, ეთნიკურობა, რელიგია. ამით შეგვიძლია ავხსნათ, რატომ ჭარბობს ამა თუ იმ ეთნიკური წარმომავლობის ადამიანი მომსახურების მიმღებთა შორის.

პოლიტიკის, პროგრამის, პროექტისა თუ ჩარევის მიზნის მიღწევის შეფასებისათვის სამივე ნინა მიდგომის გამოყენება შეგვიძლია. მაგალითად, თუ ველის სოციალურ მუშაკებს დავეკითხებით, რომელია ყველაზე ეფექტიანი ან ყველაზე ნაკლებ ეფექტიანი ტექნიკა ჩარევის მიზნის მიღწევისათვის, ჩვენ მოკვლევით შეფასებას გამოვიყენებთ. ეს დაგვეხმარება ჩარევის ტექნიკის შერჩევაში. წარმოიდგინეთ, რომ ვაფასებთ მომსახურების შედეგებს იმასთან მიმართებით, თუ მომსახურების რამდენმა მიმღებმა შეძლო ან ვერ შეძლო სწავლის დასრულება. ამ სახის კვლევას ჩვენ აღწერითს ვუწოდებთ. ახსნითს ვუწოდებდით, თუ ჩვენი კვლევის დიზაინი საშუალებას მოგვცემდა, დაგვედგინა, რამდენად მიენერება მიღწეული შედეგები ჩარევას. სანამ არ შეგვიძლია იმის დადგენა, რომ სწორედ ჩვენი ჩარევა და არა რაიმე სხვა გარე ფაქტორია წარმატების მიზეზი, კვლევას ახსნითს ვერ ვუწოდებთ.

გარდა ამისა, არ შეიძლება, არ შევეხოთ სოციალური მუშაობის კვლევის საერთაშორისო პრაქტიკას. ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი სოციალური მუშაკი და მკვლევარი შულა რამონი (2007) ხაზს უსვამს შედარებითი კვლევის მნიშვნელობას სოციალურ მუშაობაში და ამით ყურადღებას გვამახვილებინებს მსგავსებებისა და განსხვავებების, წარსულისა და აწმყოს, აწმყოსა და მომავლის გააზრების საშუალებაზე არსებულ რეალობაში. მისი აზრით, თითოეული კვლევითი პარადიგმა ფორმირდება დაშვებათა ერთობლიობით იმის თაობაზე, თუ რა არის კარგი კვლევითი მეთოდოლოგია, რომელიც რეალობის ჩვენეული გაგების გადამონმების საშუალებას მოგვცემს და რას უნდა ემსახუროდეს ის. იგი გვაცნობს ტრიპოდის (2007) კვლევას და მის მოსაზრებას იმაზე, თუ რა უნდა იყოს სოციალური მუშაობის კვლევის მიზანი. ტრიპოდი სოციალური მუშაობის კვლევის მიზნებს შემდეგნაირად აყალიბებს:

- კონცეფციის ჩამოყალიბება და ოპერაციონალიზაცია;
- კონცეფციის რაოდენობრივი და თვისებრივი აღწერა;
- ჰიპოთეზის ჩამოყალიბება;
- კორელაციური ჰიპოთეზის დატესტვა;
- მიზეზშედეგობრივი ჰიპოთეზის დატესტვა.

განასხვავებენ სუპრანაციონალურ, ინტერნაციონალურ და ტრანსნაციონალურ კვლევას. სამივე შეიცავს შედარებითობის განზომილებას, თუმცა განსხვავება არის შედარების დონეზე. ბევრი საინტერესო ტრანსნაციონალური კვლევა სოციალური მუშაკების ჩართულობის გარეშე არ იქნებოდა ასეთი ხარისხიანი.

სწორედ ერთ-ერთ ასეთ კვლევას გვაცნობს რამონი. ნაშრომი რუმინელი და ამერიკელი წყვილების მიერ შვილად აყვანის შედეგებს იკვლევს. ის განხორციელდა რუმინეთში კომუნისტური რეჟიმის დაცემის შემდეგ. ამ პერიოდში გამოიზიარდა ბავშვების სავალალო მდგომარეობა მაშინ არსებულ ბავშვთა დიდი ზომის სააღმზრდელო დაწესებულებებში. კვლევა ცდილობს მსგავსებებისა და განსხვავებების გააზრებას რუმინელი ბავშვების აღზრდისას, ამ უკანასკნელებისა და მშობლების ურთიერთობასა და შვილად აყვანის შემდგომ ბავშვების ქცევაში. ის ცდილობს გაშვილებამდე გარემოს ზემოქმედების შეფასებას ბავშვის ქცევაზე გაშვილების შემდეგ და მშვილებელი ოჯახების მხარდაჭერის საჭიროების დადგენას.

კვლევაში მონაწილეობის საშუალება მშობლებსაც ჰქონდათ, სურვილის შემთხვევაში. მონაწილეებს ორი კითხვარი დაურიგდათ: ბავშვის ქცევისა და ბავშვისა და მშობლის ურთიერთობის შკალა. შერჩევითი ერთობლიობისა და კვლევის დიზაინის შერჩევისას გათვალისწინებული იყო კვლევის სამიზნე ორ ქვეყანას შორის განსხვავებები, მაგალითად, ბავშვის ასაკი შვილად აყვანის პროცესში. მკვლევრებმა შედარებითი გამოკითხვის დიზაინი გამოიყენეს.

კვლევას საინტერესო მიგნებები ჰქონდა. მშობლები ორივე ქვეყანაში თავს კარგად გრძნობდნენ ბავშვთან ურთიერთობის კუთხით. აღმოჩნდა, რომ რუმინელი მშობლები მეტ დროს ატარებდნენ ბავშვებთან, ვიდრე ამერიკელები; ბავშვის ქცევის შკალაზე ამერიკელთა შვილებს უფრო მაღალი მაჩვენებლები ჰქონდათ, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი ქცევითი სირთულეები აღემატებოდა რუმინეთში გაშვილებული ბავშვებისას.

ქცევითი სირთულეები მძაფრდებოდა ბავშვების ასაკის მატებასთან ერთად, თუმცა ამერიკელი მშობლები უფრო ასაკოვანი იყვნენ, ვიდრე რუმინელები. ტრიპოდისმა აქცენტი მშობლებისა და ბავშვების ასაკზე გააკეთა, თუმცა არ მიაქცია ყურადღება ბავშვების გამოცდილებას გაშვილებამდე, ბავშვების მდგომარეობის განსხვავებულ წინაპირობებს იმ შემთხვევებში, ისინი რჩებოდნენ საკუთარ სამშობლოში თუ სხვა ქვეყანაში შვილდებოდნენ.

ასე რომ, პასუხი შეკითხვაზე, რა უნდა იყოს სოციალური მუშაობის კვლევის მიზანი – ცოდნის წარმოება თუ მსოფლმხედველობის ტრანსფორმაცია და პოზიტიური სოციალური ცვლილებები – არის „ორივე“ (ჰამპრისი, 2008:14).

V. სოციალური მუშაობის კვლევის გამოყენება

კვლევის მიგნებების გამოყენების საკითხის განხილვისას რამდენიმე კონცეფცია ჩამოყალიბდა. დღემდე მიმდინარეობს დისკუსია იმაზე, თუ როგორ შეგვიძლია კვლევის შედეგების პროფესიული პრაქტიკის ცოდნის ბაზად და ემანსიპატორული მიზნებისთვის გამოყენება. ეს მიდგომები განსხვავდება კვლევის სტრუქტურის, გამოყენებისა და ამოცანების გადანაწილების მიხედვით მკვლევარსა და პრაქტიკოსს შორის, პრაქტიკოსსა და მომსახურების მიმღებს შორის.

ამასთან, როგორც იცით, სოციალური მუშაობის კვლევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მომსახურების მიმღებთა მონაწილეობას ამ პროცესში. მოდით, შევეცადოთ იმის დაზუსტებას, თუ რა იგულისხმება მონაწილეობაში (თუმცა ამაზე მომდევნო თავებში დეტალურად ვისაუბრებთ)? მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებული ტორონტოს ჯგუფის აზრით, მკაფიო განსხვავებაა კვლევაში მომსახურების მიმღებთა ჩართვასა და მათ ჩართვას შორის თანასწორთა შეფასების პროცესში, კვლევაში უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართვასა და ემანსიპატორულ კვლევას შორის (Hanley, 2005 in Shaw, 2007). ასეთ განსხვავებულ კვლევებში კვლევის მიგნებების გამოყენების მნიშვნელობაც იცვლება. ის უფრო მეტად იხრება სოციალური ადვოკატობისა და ემანსიპატორული დანიშნულებისაკენ.

მიუხედავად დიდი მიზნისა, პროფესიულ წრეებში ამ საკითხისადმი კრიტიკული დამოკიდებულებაც არსებობს, რაც მკვლევრებისადმი კვლევის გამოყენების მკაცრ მოთხოვნებს აყენებს. ამ ციტატაში ნათლადაა გამოხატული აკადემიური წრეების წარმომადგენელთა შეხედულება სოციალური მუშაობის კვლევაში მომსახურების მიმღებთა ჩართულობასთან დაკავშირებით:

„ვფიქრობ, ჩვენ მომსახურების მიმღებთა ჩართულობას ხარისხის ტესტირებისთვის ვიყენებთ და, ვფიქრობ, ეს უკიდურესად მდორე მეთოდოლოგიაა. ჩემი აზრით, რაც უნდა გავაკეთოთ, ეს არის, დავასაბუთოთ, რომ მომსახურების მიმღებთა ჩართულობა მეთოდოლოგიის ნაწილია“ (შოუ და ნორტონი, 2007 გრედიგთან, შოუსთან და სომერფელდთან, 2012:398).

მკვლევრები ხაზს უსვამენ ცოდნის სხვადასხვაგვარობასაც. ისინი განასხვავებენ ცოდნის გამოყენების ორ – *განმარტებით* და *ინტერვენციულ* – კონცეფციას. მკვლევარსა და პრაქტიკოსს შორის ამოცანების გადანაწილებისა და კონცეპტუალიზაციის თანმიმდევრული პროცესის ერთ-ერთი მაგალითია *ცოდნის გადაცემის მოდელი*. ეს კონცეპტუალიზაცია წარმოადგენს სწორხაზოვან, ცალმხრივ ურთიერთობას კვლევასა და პრაქტიკას შორის, მაშინ, როდესაც მკვლევრები არიან ცოდნის გამგზავნები, პრაქტიკოსები კი – მიმღებნი. ხოლო კვლევის პროცესშივე ცვლილებაზე მუშაობა სცდება ახსნასა და განმარტებას და ქმედებაზე ორიენტირებული მიდგომაა (დიუი და კოლეგები 1993; ოტო, 1971, გრეისთან, მიდგლისთან და სტივენთან, 2012). ალბათ, თავადაც ხვდებით, რომელია უფრო შესაფერისი სოციალური მუშაობისათვის.

VI. თავის შეჯამება

სოციალური მუშაობის კვლევას სხვა კვლევებისაგან სოციალურ მეცნიერებებში გამოარჩევს მისი არანეიტრალურობა, მონაწილეობითი და ემანსიპატორული ბუნება და მკვლევრის პასუხისმგებლობა, ჩაერთოს მასში წარმოდგენილი პრობლემის მოგვარებაში. შესაბამისად, კვლევის სტრატეგიის შერჩევისას იგი უნდა დაფიქრდეს, რამდენად უპასუხებს კვლევა პრაქტიკის გამონევენებს, შეძლებს ის კლიენტთა არა მხოლოდ „ჩართვას“ კვლევაში, არამედ, კვლევის მიგნებებზე დაყრდნობით, საკითხის მათთან ერთად ადვოკატობას ან მათ მიერ ადვოკატობის ხელშეწყობას.

სოციალური მუშაობის კვლევას ართულებს, მაგრამ, ამავე დროს, განსაკუთრებულ მნიშვნელოვნებას სძენს ჩვენი პროფესიული ყურადღებისა და მგრძობელობის, ცოდნისა და გამოცდილების არა მხოლოდ მკვლევრის მეცნიერული ინტერესის დაკმაყოფილებისაკენ მიმართვა და ცოდნის თავმოყრა ცოდნისათვის, არამედ მომსახურების მიმღების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებისაკენაც. შესაბამისად, სოციალური მუშაობის კვლევის შედეგები გამოიყენება არა მხოლოდ პროფესიული პრაქტიკის ცოდნის ბაზად, არამედ ემანსიპატორული მიზნებისთვისაც. სწორედ ამიტომ სოციალური მუშაკების მიერ განხორციელებული კვლევები ფართოდ მოხმარებადია, მათ მიგნებებს ითვალისწინებენ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები.

სოციალური მუშაობის კვლევას დიდი პოტენცია აქვს, იყოს მულტიდისციპლინური და ინტერდისციპლინური, ჩამოაყალიბოს კრიტიკული ხედვა შეზღუდვებსა და პრობლემებზე. ამიტომ სოციალური მუშაობის კვლევა და პრაქტიკაც მეტად სასარგებლო იქნება როგორც სოციალური მუშაკებისათვის, ასევე მათი კლიენტებისათვის, თუ აქცენტებს განსხვავებების ნაცვლად მსგავსებებსა და ურთიერთსარგებელზე გავაკეთებთ. ცოტაა სოციალური მუშაობის მომსახურება, რომლებიც სხვა სპეციალისტების ჩართვას არ ითხოვდეს ან სოციალური მუშაობის კვლევა, რომელთაც სხვა პროფესიის წარმომადგენელთა მოსაზრებების გათვალისწინება ან მათით სარგებლობა არ სჭირდებოდა; ისევე, როგორც ბევრი არ არის პროექტი ან პროგრამა, რომლებშიც მხოლოდ სოციალური მუშაკები ან რომელიმე სხვა პროფესიის წარმომადგენლები არიან ჩართულნი. ამიტომ მულტიდისციპლინურად მუშაობა მხოლოდ სარგებლის მომტანია როგორც კვლევაში, ისე პრაქტიკაში, იქნება ეს მიკრო-, მეზო- თუ მაკროდონეზე.

პრაქტიკაც და კვლევაც პრობლემის ფორმულირებით იწყება. ამას მოჰყვება ამ პრობლემის დაკავშირება არსებულ თეორიებთან და მისი დაძლევის ალტერნატიული სტრატეგიის შემუშავება. მყარი თეორიული ბაზა კვლევის გამოყენების შესაძლებლობას ზრდის, რადგან ის საშუალებას იძლევა, კითხვის ფორმირების არსიცა და მნიშვნელობაც ყველასათვის გასაგები გახდეს.

სოციალური მუშაობა ყოველთვის „სესხულობს“ სოციალური მეცნიერებების საბაზისო ცოდნას კეთილდღეობის სისტემის პრაქტიკული პრობლემების დაძლევისათვის. კვლევას სოციალურ მუშაობაში სხვადასხვა მიზანი და მიზეზი აქვს, როგორებიცაა: მოკვლევა, აღწერა, ახსნა და შეფასება (Rubin & Babbies, 2011).

ისინი შესაძლოა, სხვადასხვა დანიშნულებით გამოვიყენოთ. თუ მოკვლევა საკითხის უკეთ შესწავლისათვის ხორციელდება, აღწერითი მიზეზი სიტუაციის/მოვლენის ზედმინვენიტი სიზუსტით აღწერისთვის ტარდება, ახსნითი – ამ სიტუაციებისა და მოვლენების გააზრებისა და ახსნისათვის, შეფასებითი კი სამივე წინა მიზეზს შეიძლება მოიცავდეს და სიტუაციის/მოვლენის თუ ჩატარებული ჩარევის შეფასებისთვის გამოიყენება. მაგალითად, მოკვლევითი კვლევისას, თუ ჩვენ ვარკვევთ, რა ტიპის მომსახურებები სჭირდებათ ადამიანებს, აღწერილობითი კვლევისას შევაფასებთ, რამდენად მიესადაგება მათ მიერ დასახელებული მომსახურებები მათ მიერვე განსაზღვრულ საჭიროებებს. აღწერითი გამოკითხვა შეიძლება აფასებდეს, ასევე, შეესაბამება თუ არა მომსახურების შედეგი მის მიზანს. ახსნითი გამოკვლევისას შეგვიძლია გავაანალიზოთ მომსახურებით სარგებლობის განმაპირობებელი ფაქტორები, როგორებიცაა, მაგალითად, ეთნიკურობა, რელიგია. ხოლო თუ ჩვენ ყველაზე ეფექტიანი ან ყველაზე ნაკლებეფექტიანი ჩარევის ინსტრუმენტების და/ან ტექნიკების მიგნება გვინდა, შეფასებას შევუდგებით. შეფასებითი კვლევით ჩვენ სამივე წინა მიზეზს მოვიცავთ.

სოციალური მუშაობის კვლევაში ყველაზე გავრცელებულია აღწერითი მიზეზი და ის გამოიყენება როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ კვლევაშიც, თუმცა, რაოდენობრივისაგან განსხვავებით, აღწერა სოციალური მუშაობის თვისებრივ კვლევაში მხოლოდ მშრალი მონაცემებით არ შემოიფარგლება, არამედ მათ მიღმა ფაქტებისა და მოვლენების, მათდამი ადამიანთა დამოკიდებულებებისა და მათ გამო ადამიანთა მდგომარეობის აღწერას მოიცავს. სოციალური მუშაობის კვლევის მიზანია როგორც ცოდნის წარმოება, ასევე მსოფლმხედველობის ტრანსფორმაცია და პოზიტიური სოციალური ცვლილებები (ჰამპრისი, 2008:14).

VII. ძირითადი კითხვები /ან კითხვები რეფლექსიისთვის

1. თქვენი აზრით, როიზის კვლევა რომელი სხვა პოლიტიკური მეცნიერებების კვლევა შეიძლებოდა ყოფილიყო?
2. რისთვის უნდა მიექცია ყურადღება ტრიპოდის კვლევას?
3. რა სამუშაო გამოვლინდა ტრიპოდის კვლევის მიგნებებიდან სოციალური მუშაკისათვის? რა რეკომენდაციები იქნებოდა სოციალური მუშაკებისთვის კვლევაში?
4. დაასახელეთ სოციალური მუშაობის კვლევის, მინიმუმ, ერთი მკვეთრად განმასხვავებელი მახასიათებელი.
5. რითი განსხვავდება სოციალური მუშაობის კვლევა „წმინდად“ სამეცნიერო კვლევისაგან?

VIII. სავარჯიშოები

სავარჯიშო N1

ზემოთ განვიხილეთ ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმა. ბავშვთა განვითარების საკითხებში ტრენინგის შემდეგაც სააღმზრდელო დანესებულების პერსონალის ცნო-

ბიერება არ გაიზარდა ამ საკითხთან მიმართებით. შესაბამისად, მათ არც ახალი უნარ-ჩვევები ჩამოუყალიბდათ. არადა, მნიშვნელოვანია, მათ მინიმალური ცოდნა ჰქონდეთ ამ საკითხებზე. თქვენ ამოცანის ხელახლა გააზრება გჭირდებათ. რაზე დაყრდნობით შეუდგებოდით ამ ამოცანის ჩამოყალიბებას?

სავარჯიშო N2

კვლევის მოკვლევითი მიზეზის განხილვისას ფსიქიკური ჯანმრთელობის დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაციის შემთხვევას გაეცანით. რა იქნებოდა კვლევის ახსნითი ნაწილი?

სავარჯიშო N3

წარმოიდგინეთ, იწყებთ თქვენთვის საინტერესო სოციალური საკითხის კვლევას. წინამდებარე თავში წარმოდგენილი კვლევის მიზნის მიღწევის მიზეზთაგან რომელს გამოიყენებდით და რა იქნებოდა თქვენი კვლევის:

- მოკვლევითი და/ან
- აღწერითი და/ან
- ახსნითი და/ან
- შეფასებითი ნაწილი?

გამოყენებული ლიტერატურა

Brandy, V. (1986). Social Work Research in Relation to Social Development in Zombabwe. *Journal of Social Development in Africa*, 1:67-80.

Forrester, D. (2012). Evaluation Research, in Gray, M., Midgley, J., and Webb, S. (2012). *The SAGE Handbook of Social Work*. ch.28. SAGE Publications Ltd.

Gredig, D., Shaw, I., Sommerfeld, P. (2012) in Gray, M., Midgley, J., and Webb, S. (2012). *The SAGE Handbook of Social Work*. SAGE Publications Ltd.

Humphries, B. (2008). *Social Work Research for Social Justice*. Palgrave macmillan.

Mullen, E.J., Shulluk, J. (2011). Outcomes of Social Work Intervention in the Context of Evidence-based Practice. *Journal of Social Work*, 11(1):49-63. SAGE.

Ramon, Sh., (2007). *Comparative Methodology in the Social Sciences, with Special Reference to Social Work and Social Policy*.

Rubin, A., Babbies, E.R. (2011). *Research in Social Work*, Boos/Cole Cengage Learning

Shaw, I. (2007). Is Social Work Research Distinctive? *Social Work Education*, 26(7):659-669. Routledge.

Soydan, H. (2012). Understanding Social Work in the History of Ideas. *Research on Social Work Practice* 22(5):468-480.

Yliopisto, J. (2010). *Theory and Theorizing: Intellectual Context of Social Work Research*, ch.1.

თავი II

რატომ არის მნიშვნელოვანი მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკა სოციალურ მუშაობაში

შესავალი

წინამდებარე თავში გაგაცნობთ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პრაქტიკას (მდპ) და წარმოგიდგინებთ მეთოდებს, რომლებიც ქმნის ამგვარ პრაქტიკას. კვლევის ამ მეთოდების განხილვისათვის კი საჭიროა გავიაზროთ, რა არის მტკიცებულება, რა შეიძლება იყოს მისი ფორმირების წყარო, რას აძლევს მტკიცებულებებით ინფორმირებული პრაქტიკის განხორციელება სოციალური მუშაობის პრაქტიკას სხვადასხვა დონეზე, რას ნიშნავს ის სოციალური მუშაკის, მისი მომსახურებით მოსარგებლისა და/ან სოციალური პრობლემის დაძლევისაკენ მიმართული პოლიტიკის ფორმირების, განხორციელებისა თუ შეფასებისათვის. უნდა განვიხილოთ, აგრეთვე, რა გამოწვევების წინაშე აყენებს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის გამოყენება სოციალურ მუშაკს. შევეხებით მტკიცებულებების ტრანსფერის საკითხს. განვიხილავთ, რასაკვირველია, პრაქტიკის ამ ფორმის განვითარების ისტორიასაც.

სოციალური მუშაობის პრაქტიკა, თავისი ბუნებით, ინოვაციური მიდგომების დანერგვისა და ადაპტირებისთვის შესანიშნავ ნიადაგს ქმნის. ის სხვადასხვა წარმატებული პრაქტიკის კომპონენტის შეთავაზების საშუალებას იძლევა. მას არა მხოლოდ მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკით შეუძლია მომსახურების განვითარება, არამედ პრაქტიკაზე დაფუძნებული მტკიცებულებებითაც ძალუძს პრაქტიკის ახალი მიდგომებისა და ახალი პროფესიული კულტურის დანერგვა, რომელზე დაყრდნობითაც მოემსახურება ხალხს და ხელს შეუწყობს სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვას. თუმცა არსებობს კონტრავერსიებიც მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის გამოყენებაზე სოციალურ მუშაობაში. წინამდებარე თავში შევეცდებით ამ საკითხების მიმოხილვასაც.

I. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის განვითარების ისტორია

მდპ-ის მოდელი თავდაპირველად სამედიცინო სფეროში აღმოცენდა. მისი ყველაზე პრიმიტიული მოდელის კლინიკური გამოყენება პაციენტისა და პროფესიონალის მონაწილეობას გულისხმობდა, თუმცა რეალურ ცხოვრებაში, მათ შორის სოციალურ მუშაობაშიც, მას მეტი მონაწილე შეიძლება ჰყავდეს. მაგალითად, მართლმსაჯულების სისტემაში სოციალური მუშაობის განხორციელების

შემთხვევაში, მართლმსაჯულების სისტემის სტუმრები, მათი ოჯახის წევრები, სისტემის თანამშრომლები არიან პროცესის მონაწილენი; ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში – ბავშვი, მისი მშობლები, სისტემის სხვა სპეციალისტები; სკოლის სოციალური მუშაობის შემთხვევაში – მოსწავლე, მშობლები, მასწავლებლები და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები არიან პროცესის მონაწილენი.

სოციალურ მუშაობაში მდპ-ის დანერგვას რამდენიმე მიზეზი აქვს. უპირველესია სოციალური მუშაობის გადაჭარბებული ყურადღება პროფესიული სტატუსისადმი, რადგან სოციალური მუშაკების მიერ განხორციელებული ჩარევები ხშირად იყო თავდასხმების სამიზნე. მათ ედავებოდნენ ჩარევის განხორციელებას გაურკვეველ სამეცნიერო საფუძველზე. ამიტომაც მდპ-ის პროფესიული საქმიანობის დამაჯერებლობას გაზრდიდა, პრაქტიკა მტკიცებულებით გამყარებული და ჩარევის ყოველი ეტაპი უფრო სანდო გახდებოდა (Huang, 2009).

მდპ-ის განხორციელების პროცესის ფასილიტაციისთვის ყველაზე ცნობილი მოდელებია: RE-AIM (იმიფრება, როგორც reach, efficacy, implementation, maintenance / ხელმისაწვდომობა, ქმედითობა, განხორციელება, შენარჩუნება), რომელიც განავითარა გლასგომ (2009); სოციალური მუშაობისთვის ყველაზე შესაფერის მოდელად კი მიჩნეულია ARC (იმიფრება, როგორც Availability, Responsiveness and Continuity / ხელმისაწვდომობა, მყისიერება/ეფექტიანობა, განგრძობადობა), რომელიც ჩარლზ გლისონმა განავითარა. ეს თემსა და ორგანიზაციაზე ორიენტირებული მოდელია, რომელიც მდპ-ის განხორციელებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას სოციალურ კონტექსტს ანიჭებს. მოდელი მომსახურების მიმდებარეთვის მაღალხარისხიანი მდპ-ის განხორციელების ხელშეწყობაზეა ორიენტირებული. მოდელს უფრო დეტალურად მომდევნო ქვეთავებში განვიხილავთ.

II. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის განსაზღვრება

მდპ-ს ორი ძირითადი მნიშვნელობა აქვს: ერთი მიესადაგება ძლიერ ემპირიულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით განხორციელებულ ჩარევას, რომლის დროსაც „ძლიერი (robust)“ განისაზღვრება არა მხოლოდ როგორც საყოველთაოდ, არამედ ამ კონკრეტულ სფეროში და/ან პრაქტიკაში გაზიარებული მეთოდოლოგიური სტანდარტები; მეორე მნიშვნელობით ის გულისხმობს მდპ-ზე დაყრდნობით განხორციელებულ ჩარევას, კონკრეტული სოციოკულტურული კონტექსტის გათვალისწინებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგულისხმება იმგვარი პრაქტიკის განხორციელება, რომელიც ამკვიდრებს პროფესიულ კულტურას პროფესიული სამუშაოს შესრულებით (Soydan&Palinkas, 2014).

მდპ-ის მოდელი შეიქმნა იმისათვის, რომ პროფესიონალებს პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებაში დაეხმაროს მუდმივცვალებად გარემოში, რომელშიც სოციალური და ქცევითი რეალობის აღქმა ახალ-ახალი გამონვევების წინაშე გვაყენებს. მდპ ჩვენს ხელთ არსებული საუკეთესო მტკიცებულების გამოყენების

საშუალებას გვაძლევს იმ დაშვებით, რომ ეს მტკიცებულება არის არა ერთადერთი ჭეშმარიტება, არამედ მიზეზშედეგობრივ კავშირებთან დროებითი დაშვება (Soydan&Palinkas, 2014).

მდპ-ის განსაზღვრება, რომელიც მოიცავს ამ პრაქტიკის ყველა ძირითადი განზომილების მისადაგებას სოციალური მუშაობის პრაქტიკასთან, შემოგვთავაზა ამერიკელმა სოციალურმა მუშაკმა, ალენ რუბინმა (2008:7).

მდპ არის პროცესი, როცა მიიღება პრაქტიკული გადაწყვეტილებები, რომლებშიც ინტეგრირებულია პრაქტიკისას მიღებული კვლევითი მტკიცებულებები, მომსახურების მიმღებთა მახასიათებლების, ღირებულებების, უპირატესობებისა და გარემოებების გათვალისწინებით. როდესაც ეს გადაწყვეტილებები მოიცავს ჩარევის შერჩევას, პრაქტიკოსები უნდა შეეცადონ მომსახურების მიმღებისთვის პოტენციურად ყველაზე ეფექტიანი მომსახურების მიწოდებას და გაითვალისწინონ:

1. ყველაზე ძლიერი ხელმისაწვდომი მეცნიერული მტკიცებულება;
2. პრაქტიკოსის ცოდნა;
3. მომსახურების მიმღებთა თვისებები, ღირებულებები, უპირატესობები და გარემოებები;
4. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გაზომვა, რამდენად მიიღწევა სასურველი შედეგი შერჩეული ჩარევის მეთოდით;
5. თუ ჩარევა სასურველ შედეგს ვერ აღწევს, ალტერნატიული ჩარევის შერჩევა და შეფასების გამეორება.

მდპ-ის სანაცვლოდ ლიტერატურაში გამოიყენებოდა, ასევე, ტერმინები: *მტკიცებულებით ინფორმირებული პრაქტიკა* და *მტკიცებულებით მხარდაჭერილი პრაქტიკა*. პირველის ერთ-ერთ ფორმად არნდ-კადიგანმა (2011) *პრაქტიკაზე დაფუძნებული მტკიცებულება* განსაზღვრა (პდმ) და განავითარა ეპისტემოლოგია, რომელიც პრაქტიკაზე დაფუძნებული მტკიცებულების ლეგიტიმაციას ახდენს თერაპიული ჩარევისას.

ზოგიერთი მკვლევარი იყენებს ტერმინს – *პრაქტიკაზე დაფუძნებული კვლევა* (Arnd-Cardigan, 2011 in Soydan&Palinkas, 2014). ის განისაზღვრება როგორც „კვლევით ინსპირირებული პრინციპების, დიზაინისა და ინფორმაციის მოპოვების ტექნიკების გამოყენება პრაქტიკაში, აღმოცენებული კითხვების საპასუხოდ“ (Dodd&Epstein, 2012:11 in Soydan&Palinkas, 2014:33). ასეთი კვლევა პრაქტიკის გაუმჯობესებისათვის გამოიყენება. ეს მიდგომა ხაზს უსვამს მის მყისიერ პრაქტიკულ გამოყენებას პრაქტიკოსი-მკვლევრის მიერ. ეს კვლევები შეიძლება განახორციელოს როგორც ინდივიდუალურმა სოციალურმა მუშაკმა, ასევე სოციალური მუშაკების ან მულტიდისციპლინურმა გუნდმა კვლევითი კონსულტაციების თანხლებით ან მის გარეშე. თუმცა, როდესაც ასეთი კონსულტაციები ხელმისაწვდომია, ისინი სრულიად თანამშრომლობითია, კვლევითი კომპონენტის დომინირების გარეშე.

დოდისა და ეპშტაინის (Dodd&Epstein, 2012:13 in Soydan&Palinkas, 2014:34) აზრით, პდკ არის „რეაქცია სოციალური მუშაობის კვლევის სწავლების, ფიქრისა

და წერის ტრადიციულ მიდგომებზე“. ავტორები ასხვავებენ მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკისა (მდპ) და პრაქტიკაზე დაფუძნებული (პდკ) კვლევის მეთოდებს. პირველი კვლევის დედუქციური მეთოდია, რომელიც უპირატესობას ანიჭებს რანდომიზებულ საკონტროლო კვლევებს (**randomized control trials**). მას მეცნიერები უძღვებიან. მაშინ, როდესაც პდ კვლევა პრაქტიკულ სიბრძნეზე დაფუძნებული ინდუქციური მიდგომაა, უარყოფს რანდომიზებულ საკონტროლო კვლევებს და მას პრაქტიკოსები ახორციელებენ.

მიუხედავად იმისა, რომ პდკ და მდპ არ არიან ერთმანეთის ჩამნაცვლებლები მრავალი მიზეზით: ორივე მიდგომა, სამეცნიერო დიზაინის, სტანდარტისა და სოციალური მუშაობის ჩარევის შედეგების განსაზღვრისადმი მათი დამოკიდებულების გამო, თანხმდება პროფესიული პრაქტიკისა და თავად პრაქტიკოსთა მნიშვნელობაზე. მაგალითად, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის კლასიკური განსაზღვრებით, პრაქტიკოსების პროფესიული განსჯა და უნარები პროცესის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. პრაქტიკოსის პროფესიული განსჯის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მდ პრაქტიკის პროცესში ყველა კომპონენტის ინტეგრირება და ჰარმონიზება, ე.ი. არც მდ პრაქტიკის განხორციელება იქნებოდა შესაძლებელი. უფრო მეტიც, აღსანიშნავია, რომ მდპ გულისხმობს მომსახურების მიმღებთა ჩართულობას და მათი მახასიათებლების გათვალისწინებას. გემბრილი (2006 in Soydan&Palinkas, 2014) შემდეგნაირად განსაზღვრავს მდპ-ში მომსახურების მიმღებთა ჩართულობის გზებსა და მნიშვნელობას:

1. მომსახურების მიმღებთა შორის არსებული განსხვავებების გათვალისწინება განზოგადებულ ჩარევაში სამეცნიერო სტანდარტის დაცვით;
2. მომსახურების მიმღებთა ხელშეწყობა კრიტიკული აზროვნების ფორმირებასა და პრაქტიკასთან დაკავშირებული კვლევის კრიტიკაში ნვლილის შეტანაში;
3. მომსახურების მიმღებთა, როგორც ინფორმირებული მონაწილეების, ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
4. მომსახურების მიმღებთა, როგორც ცოდნის პირველწყაროთა, უპირატესად ჩართულობა მდპ-ის ინტერპრეტაციისა და განხორციელების პროცესში.

რუბინი და ბაბი (2011) აქცენტს აკეთებენ მდ პრაქტიკასა და მდ პროცესს შორის განსხვავებაზე. თუ პირველი მდპ-ის არაერთჯერადი ქმედებაა, რასაც ხშირად ემპირიული მონაცემებით მხარდაჭერილ ჩარევას უწოდებენ, მეორე ერთჯერადი ჩარევაა, რაც კვლევითაა ინფორმირებული.

III. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის ეთიკა

სოციალური მუშაობის მთავარი ეთიკური პრინციპია „არ ავნო“ მომსახურების მიმღებს. ამიტომ მნიშვნელოვანია ზიანის გამომწვევი საერთო მიზეზების პრევენციასა და აღმოფხვრაზე დაფიქრება. სუსტ მტკიცებულებაზე დაყრდნობით მოქმედება, პროცესის გამჭვირვალობისა და მომსახურების მიმღების მო-

ნაწილობის გარეშე, სოციალურ მუშაკს მანკიერი პრაქტიკის განხორციელების რისკის წინაშე აყენებს. მტკიცებულებებით გაჯერებული პრაქტიკის მიწოდების გარეშე, სოციალური მუშაკი ექსპერიმენტს ატარებს, რომლის შედეგიც არ იცის, ე.ი. უგულებელყოფს ეთიკურ მოსაზრებებს. მდპ პროფესიულ გაურკვევლობებთან გამკლავების ერთგვარი ეთიკური საშუალებაა. ის პირდაპირაა დაკავშირებული სოციალური მუშაობის ეთიკის კოდექსთან (Soydan&Palinkas, 2014).

IV. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის გამოყენების პროცესი

სოიდანის და პალინკასი (2014) მდპ-ის გამოყენების სტანდარტად ხუთსაფეხურიან მოდელს გვთავაზობენ, რუბინი და ბაბი (2011) კი ექვსსაფეხურიანს. ორივე მოდელი მიჩნეულია მოქნილ ინსტრუმენტებად, რომლებიც გულისხმობენ კრიტიკულ აზროვნებასა და განგრძობითი სწავლის სურვილს, ახალი იდეებისადმი ღიაობას, ახალი და ძლიერი არგუმენტის ძიების პროცესს და ავტორიტარული ინფორმაციის არიდებას. მოდით, შევეცადოთ ორივე მოდელის ნაერთის გამოყენების გააზრებას სოციალურ მუშაობაში.

პირველი საფეხური: ადვილად საპასუხო კითხვის ფორმირება

ყველა პროფესიონალისთვის ცნობილია, რომ პრობლემის ფორმულირება არის პროცესი და მას გარკვეული დრო სჭირდება. პროფესიონალმა შესაძლოა, ცდისა და შეცდომის მეთოდს მიმართოს და მას პრობლემის რამდენიმეჯერ რეფორმულირება დასჭირდეს, სანამ ისეთ კითხვას ჩამოაყალიბებს, რომელზეც პასუხის მოძიება იქნება შესაძლებელი.

მოდით, რამდენიმე მაგალითი განვიხილოთ.

მაგალითი 1. ჩვენ გვინტერესებს, რა ტიპის ჩარევას ყველაზე ეფექტიანი ფსიქოემოციური და ქცევითი პრობლემების მქონე სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვთან მუშაობისათვის?

თითქოს ნათელი და მკაფიო შეკითხვაა, მაგრამ, აი, ნახეთ, რამდენი მონაცემის დაკონკრეტებას საჭიროებს იმისათვის, რომ მივიღოთ რაც გვჭირდება.

1. ჩარევა იმ ბავშვის შემთხვევაში, რომელსაც არა ერთი, არამედ რამდენიმე ტრავმა აქვს, განსხვავებული იქნება, ბუნებრივია, იმ ბავშვის შემთხვევაში ჩარევისაგან, რომელსაც ერთი ტრავმა აქვს განცდილი. კონკრეტული ჩარევა შეიძლება ეფექტიანი იყოს ბავშვთან მხოლოდ ერთეული ტრავმით, მაგრამ არაეფექტიანი ან ნაკლებეფექტიანი მრავლობითი ტრავმის შემთხვევაში;
2. ჩარევა იმ ბავშვების შემთხვევაში, რომლებიც იმავე გარემოში დარჩნენ სექსუალური ძალადობის განცდის შემდეგ და რომლებმაც გარემო შეიცვალეს ამ ფაქტის გამო. მაგალითად, მოძალადენი ან ძალადობის ფაქტზე შეუსაბამოდ მორეაგირენი ოჯახის წევრები აღმოჩნდნენ და ბავშვის გადაყვანა გახდა საჭირო სახელმწიფო ზრუნვაში, მაგალითად, მცირე საოჯახო ტიპის სახლში;
3. ჩარევა გოგონების შემთხვევაში შეიძლება განსხვავდებოდეს ჩარევისაგან ბიჭების შემთხვევაში;

4. ბავშვის ასაკიც განსხვავებულ შედეგებს შემოგვთავაზებს სავარაუდოდ. მაგალითად, 6-12 წლის გოგონებში ეფექტიანი ჩარევა, შესაძლოა, არ იყოს ეფექტიანი 14-16 წლის გოგონების შემთხვევაში;
5. ასევე შეიძლება დაგვეჭირდეს არა მხოლოდ იმის დაკონკრეტება, რა მეთოდებია ეფექტიანი, არამედ – რა მიდგომებია საჭირო. რადგან, მაგალითად, თუ გვინტერესებს კოგნიტური ქცევითი თერაპიის (Cognitive Behavioral Therapy (CBT)) გამოყენება უფრო ეფექტიანი თუ ქცევითი – სულ სხვა საძიებო შედეგებს ველოდებით, ხოლო თუ გვინტერესებს სასკოლო ჩარევის რა მიდგომაა ეფექტიანი – სულ სხვას. ასევე, შესაძლოა, მეთოდებისა და მიდგომების კომბინაციითაც დავინტერესდეთ. მაგალითად, კოგნიტური ქცევითი თერაპიის მეთოდით მომუშავე სპეციალისტთა ჯგუფი ახორციელებს სასკოლო ჩარევებს მოზარდებში საგანმანათლებლო და უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ ძალადობრივი ურთიერთობებისა და „პაემნების“ პრევენციაზე.

შესაბამისად, გამოდის, რომ უნდა დავანანევროთ კითხვა ტრავმის ეპიზოდების, სიმძიმის, ბავშვების ასაკის, სქესის, მუშაობის მეთოდების, მიდგომებისა და ა.შ. მიხედვით. თუ ძიებას დავინწყებთ, მაგალითად, მხოლოდ დიაგნოზით, შესაძლოა, ამოგვიგდოს ამ დიაგნოზზე უამრავი სხვადასხვა მეთოდით მუშაობის შეფასების შედეგები. ჩვენ კი სხვა მახასიათებლებიც გვინტერესებს.

შესაბამისად, შეგვიძლია ჩამოვაცალიბოთ კითხვა შემდეგნაირად:

- ა) რა ტიპის თერაპიული ჩარევაა ყველაზე ეფექტიანი ფსიქოემოციური და ქცევითი პრობლემების მქონე, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გოგონებისათვის (აქ ვაკონკრეტებთ პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე მახასიათებლებს)?

ან უფრო დავაკონკრეტოთ ეს შეკითხვა:

- ბ) რა ტიპის თერაპიული ჩარევაა ყველაზე ეფექტიანი მოსაზღვრე პიროვნული აშლილობის მქონე, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი 12 წლის გოგონებისათვის (აქ კიდევ უფრო ვაკონკრეტებთ პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე მახასიათებლებს)?

ან თუ გვინტერესებს ორი განსხვავებული ტრავმით გოგონები:

- გ) რა ტიპის თერაპიული ჩარევაა ყველაზე ეფექტიანი პოსტტრავმული, სტრესული აშლილობისა და მოსაზღვრე პიროვნული აშლილობის მქონე, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები სექსუალური ძალადობის მსხვერპლი 12 წლის გოგონებისათვის: დირექტიული თუ არადირექტიული თამაშით? (აქ უკვე ორი დიაგნოზით ვაკონკრეტებთ პირველ მახასიათებელს და მოვიცავთ მეორე, მესამე და მეოთხე მახასიათებლებსაც),

ან

- დ) რა ტიპის სასკოლო ჩარევაა (აქ იგულისხმება როგორც თერაპიული მეთოდი, ასევე სასკოლო ჩარევის მიდგომა) ყველაზე ეფექტიანი ფსიქოემოციური და

ქცევითი პრობლემების მქონე, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი 12 წლის გოგონებისათვის? (აქ ვაკონკრეტებთ ხუთივე მახასიათებელს)

ან

- ე) რა ტიპის სასკოლო ჩარევაა ყველაზე ეფექტიანი ფსიქოემოციური და ქცევითი პრობლემების მქონე, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი 12 წლის გოგონებისათვის? (აქაც ვაკონკრეტებთ ყველა მახასიათებელს).

თუმცა ისიც გაითვალისწინეთ, რომ, რაც უფრო დახუნძლულია მახასიათებლებით საძიებო ინტერესი, მით უფრო რთულია შესაბამისი მასალის მოძიება.

მაგალითი 2. ჩვენ გვინტერესებს, სოციალური მუშაკები რა შემთხვევაში ახორციელებენ უფრო ეფექტიანად ადვოკატობის ფუნქციას?

ესეც თითქოს ნათელი და მკაფიო შეკითხვაა, მაგრამ, აი, ნახეთ, რამდენი მონაცემის დაკონკრეტებას საჭიროებს იმისათვის, რომ მივიღოთ, რაც გვჭირდება.

1. ვიკვლევთ სოციალურ მუშაკებს, რომლებსაც აქვთ მიღებული უმაღლესი განათლება სოციალურ მუშაობაში?
2. ვიკვლევთ სოციალურ მუშაკებს, რომლებიც არიან დაქირავებულნი საჯარო თუ არასამთავრობო სექტორში? თუ ორივეს ერთად, რადგან სწორედ ამის შედარება გვჭირდება?
3. ვიკვლევთ, უმაღლესი განათლების წიაღში მიღებული ცოდნა ადვოკატობის ფუნქციის ეფექტიანად აღსრულების განმაპირობებელი ფაქტორი თუ განგრძობითი განათლების გამართული სისტემა?
4. ვიკვლევთ რომელიმე კონკრეტული ქვეყნის პრაქტიკას (რადგან გვინტერესებს სოციალური მუშაობის ისტორიის/პრაქტიკის ზეგავლენა ადვოკატობაზე), თუ, ზოგადად, ამ მიკუთვნებულობის გარეშე? და ა.შ.

შესაბამისად, ვაყალიბებთ კითხვას შემდეგნაირად:

- ა) რა გამოცდილების მქონე სოციალური მუშაკები ახორციელებენ ადვოკატობის ფუნქციას უფრო ეფექტიანად: ისინი, რომლებსაც ცოდნა მიღებული აქვთ უმაღლესი განათლების თუ ისინი, რომლებსაც ცოდნა მიღებული აქვთ განგრძობითი განათლების ფარგლებში? ე.ი. გვინტერესებს გამოცდილების ზეგავლენა ადვოკატობის ფუნქციის აღსრულებაზე (აქ ვაკონკრეტებთ მესამე მახასიათებელს)

ან ასე:

- ბ) რა გამოცდილების მქონე სოციალური მუშაკები ახორციელებენ ადვოკატობის ფუნქციას უფრო ეფექტიანად: არასამთავრობო თუ სამთავრობო სექტორში დასაქმებულები? ე.ი. გვინტერესებს სექტორის ზეგავლენა ადვოკატობის ფუნქციის აღსრულებაზე (აქ ვაკონკრეტებთ მეორე და მესამე მახასიათებლებს),

ან ასე მოიცავთ თითქმის ყველა ფაქტორს:

- გ) ხანგრძლივი პროფესიული განვითარების ისტორიის მქონე ქვეყნებში გამოცდილი სოციალური მუშაკები უფრო ეფექტიანად ახორციელებენ ადვოკატობის ფუნქციას სამთავრობო სექტორში, თუ გამართულია განგრძობითი განათლების სისტემა, ე.ი. გვანტიერესებს, რამდენად ახდენს სტრუქტურისადმი მიკუთვნებულობა (რადგან სამთავრობო სექტორის სოციალურ მუშაკებს ყველაზე მეტად უნევთ ჩვენი პროფესიის დუალური, შტაუბ-ბერნასკონის მიხედვით კი, სამგზის ფუნქციისაგან (2008) მაკონტროლებლის როლის აღსრულება) ადვოკატობის როლის დომინაციას მაკონტროლებლის როლზე და რამდენად განაპირობებს ამას გამართული განგრძობითი განათლების სისტემა (აქ ვაკონკრეტებთ ოთხივე მახასიათებელს).

რუბინი და ბაბი (2011) საინტერესო დამხმარე პრაქტიკულ ტექნიკას გვაცნობენ. ისინი გვიჩვენებენ, რომ ერთზე მეტი ჩარევის ეფექტიანობის იდენტიფიცირებისათვის კითხვა კმაშ (CIAO) აკრონიმის დახმარებით ჩამოვყალიბოთ. ეს აკრონიმი ასე იშვიფრება:

- კლიენტის მახასიათებელი (Client characteristic);
- მოაზრებული ჩარევა (Intervention being considered);
- ალტერნატიული ჩარევა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)(Alternative intervention);
- შედეგი (Outcome).

მაგალითად, ჩვენი N1 (გ) შემთხვევის გათვალისწინებით, აი, როგორ კითხვას მივიღებთ:

რა ტიპის თერაპიული ჩარევაა ყველაზე ეფექტიანი პოსტტრავმული სტრესული აშლილობისა და მოსაზღვრე პიროვნული აშლილობის მქონე, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი 12 წლის გოგონებისათვის: დირექტიული თუ არადირექტიული თამაში?

- თუ პოსტტრავმული სტრესული აშლილობისა და მოსაზღვრე პიროვნული აშლილობის მქონე, მცირე საოჯახო ტიპის სახლში მცხოვრებ, სექსუალური ძალადობის მსხვერპლ 12 წლის გოგონას
- მოვემსახურებით არადირექტიული თამაშის თერაპიის გამოყენებით
- ან დირექტიული თამაშის თერაპიის გამოყენებით,
- რომელი გამოიწვევს ტრავმის სიმპტომების შემცირებას?

მეორე საფეხური: მტკიცებულების მოძიება

მდბ ოპტიმალურად განხორციელდება, თუ სოციალური მუშაობა ისეთ ორგანიზაციაში ხორციელდება, რომელშიც მტკიცებულების მოპოვების პროცესი ხელშეწყობილია. ორგანიზაციული კულტურის მნიშვნელობაზე მდბ განხორციელებაში აქ არ შეგანყენთ თავს, რადგან ქვემოთ ამას დეტალურად მიმოვიხილავთ.

თქვენ კი, როგორც ახალგაზრდა მკვლევრებს ან სპეციალისტებს, ალბათ უკვე გაქვთ ლიტერატურის მოძიების საბაზისო უნარ-ჩვევები, მაგრამ მაინც შეგახსენ-

ნებთ სასარგებლო პროფესიული ლიტერატურის მონაცემთა ბაზებს, რომლებიც ჩვენი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შეუფერხებლად, დამატებითი აფილაციის მოთხოვნის გარეშე, სტუდენტის სტატუსის მითითებით შეგიძლიათ გამოიყენოთ. ასევე მოგანოდებთ რამდენიმე ინტერნეტრესურსს, რომელთა გამოყენებაც პროფესიული ინტერესის დაკმაყოფილებაში, მტკიცებულების ძიების პროცესში დაგეხმარებათ:

- www.campbellcollaboration.org
- www.cochrane.org
- www.apa.org
- www.criziinterventionnetwork.com
- www.psychguides.com
- www.guidelines.gov

არსებობს რამდენიმე დამხმარე ტექნიკა და/ან სტატისტიკური პარადიგმა, რომლებიც მდპ-ის გამონვევების დაძლევაში დაგეხმარებათ, მაგალითად, ბეისის ანალიზი. ანალიზის ეს მოდელი საშუალებას აძლევს მკვლევარს, პრაქტიკული სიბრძნე მტკიცებულებად აქციოს და არსებული მონაცემები გააერთიანოს (Stamey, Sherr & Williams, 2011). ამ და სხვა ამგვარი ტექნიკის შესწავლა სცდება ამ სახელმძღვანელოს ფორმატს და მათ, სავარაუდოდ, რაოდენობრივი კვლევის კურსის ფარგლებში დაეთმობა დრო.

მესამე საფეხური: მტკიცებულების ხარისხის კრიტიკულად შეფასება

ყველა მეცნიერული და ძლიერი მტკიცებულება აღიარებული სინამდვილის სავარაუდო შეფასებაა, ვარაუდი კი დაშვებაა და არა აბსოლუტური ჭეშმარიტება. ძლიერი მეცნიერული მტკიცებულება მოცემული მოვლენის ალბათობით ახსნაა. მაგალითად, X – დამოუკიდებელი ფაქტორი ხდება და მას Y – დამოკიდებული ფაქტორი მოჰყვება. მეცნიერული მტკიცებულების შექმნის პროცესს საფრთხეს უქმნიან ფაქტორები, რომლებიც მტკიცებულების ხარისხსა და სიძლიერეს ასუსტებს. ამ ფაქტორთა უმრავლესობა ასუსტებს მტკიცებულების ვალიდურობას. მიუხედავად იმისა, რომ, მტკიცებულებების შექმნის ქსელების განვითარებასთან ერთად, გაიზარდა ცნობიერება მტკიცებულების ხარისხთან მიმართებით, მეცნიერები აგრძელებენ ტენდენციური მტკიცებულებების შექმნას და სამეცნიერო ჟურნალებიცა და სხვა სამეცნიერო მედიაც აგრძელებს ტენდენციური კვლევების გამოქვეყნებას, არა აუცილებლად განზრახ, არამედ პრაქტიკული სირთულეების, უნარების ნაკლებობისა და უცოდინრობის გამო.

მნიშვნელოვანია, სოციალური მუშაკები ფლობდნენ გარკვეულ ცოდნას, რომ მათ შეძლონ მტკიცებულების ხარისხის დამოუკიდებლად შეფასება. ეს კი მოიცავს არა მხოლოდ ვალიდობის გააზრების, არამედ კარგი და მაღალი ხარისხის მტკიცებულების განსხვავების უნარს ნაკლებად მისაღები ხარისხის მტკიცებულებისაგან.

რუბინისა და ბაბის (2011) აზრით, მომსახურების ეფექტიანობისთვის მტკიცებულების შეფასებისას ორი მთავარი შეკითხვა გვეხმარება:

თავი II. რატომ არის მნიშვნელოვანი მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკა სოციალურ მუშაობაში

1. მომსახურების შედეგი სანდო, ვალიდურ მონაცემებზე დაყრდნობით გაიზომა?
2. კვლევის დიზაინი გვაძლევს საშუალებას, რომ დანამდვილებით დავადგინოთ, რამ მოახდინა ზეგავლენა კლიენტის ქცევაზე – ჩარევამ თუ რაიმე სხვამ?

კვლევების რანგირება მდბ-ის სხვადასხვა იერარქიით ხდება. ეს მტკიცებულების შეფასების საშუალებას გვაძლევს. ყველაზე ნაქები იერარქია პასუხობს მდბ-ის კითხვებს ჩარევის, პროგრამის ან პოლიტიკის ეფექტიანობის შესახებ. კოლევები გვაცნობენ ამ იერარქიას ქვემონარმოდგენილ ცხრილში (Rubin&Babbies, 2011, Soydan&Palinkas, 2014).

ცხრილი 2.1

კვლევის იერარქია მდბ-ის კითხვებისათვის ჩარევის, პროგრამის ან პოლიტიკის ეფექტიანობაზე (საუკეთესო მტკიცებულება ყველაზე მაღლაა განთავსებული და იგულისხმება, რომ მაღალი დონის კვლევას საუკეთესო დიზაინი აქვს, განსაკუთრებით, გაზომვის ცდომილების თვალსაზრისით).

I საფეხური	რანდომული, კლინიკური კვლევების სისტემური მიმოხილვა ან მეტაანალიზი და სხვა საუკეთესო დიზაინის ექსპერიმენტები ან კვაზი-ექსპერიმენტები
II საფეხური	განმეორებული, რანდომული, ექსპერიმენტული კვლევები და სხვა ეფექტიანად ფორმირებული ექსპერიმენტული კვლევები
III საფეხური	რანდომული, კლინიკური კვლევები და სხვა რანდომული ექსპერიმენტები
IV საფეხური	კვაზიექსპერიმენტები
V საფეხური	ერთეული შემთხვევის შეფასებითი ექსპერიმენტები
VI საფეხური	კორელაციური კვლევები
VII საფეხური	<ul style="list-style-type: none"> - დაკვირვების შედეგად მიღებული მტკიცებულებები - პრე- და პოსტტესტის შედეგად მიღებული მონაცემები, საკონტროლო ჯგუფის არსებობის გარეშე - ჩარევისას ან ჩარევის შემდეგ კლიენტის გამოცდილების შესწავლა თვისებრივი კვლევის მეთოდით - კლიენტთა ან მონაწილეთა გამოკითხვა

ყველაზე ღირებული, შესაბამისად, ამ იერარქიის ყველაზე მაღალ საფეხურზე, სისტემური მიმოხილვა ან მეტაანალიზია, რომელიც საუკეთესო დიზაინის გამოქვეყნებული კვლევების შეფასებას სწორედ ზემოთ ხსენებულ ორ კრიტერიუმთან მიმართებით ახდენს – რამდენად გვეძლევა კლიენტის ქცევაზე ჩარევის ზემოქმედების გაზომვის საშუალება; შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კლიენტის ქცევის ცვლილება ჩარევას მიემართება და არა რაიმე სხვას? თუ ამ კითხვებზე პა-

სუბი დადებითია, კვლევის ამ დიზაინს რანდომულ, ექსპერიმენტულ (Randomized Control Trials) ან რანდომულ, კლინიკურ კვლევას (Randomized Clinical Trials) ვუწოდებთ (Rubin & Babbies, 2011).

მიჩნეულია, რომ სისტემური მიმოხილვები (და მიმოხილვებში წარმოდგენილი მეტანალიზი) ქმნის უფრო ძლიერ და სარწმუნო მტკიცებულებას, ვიდრე ინდივიდუალური კვლევები. ეს დაშვება რამდენიმე ფაქტორს ეფუძნება: პირველი, თავისი არსით სისტემური ანალიზი მოიცავს ერთზე მეტი კვლევის შედეგს. მეტ მტკიცებულებას კი მეტი წონა აქვს. ერთი მთლიანობა უფრო წონადია, ვიდრე მისი შემადგენელი ნაწილების ერთობლიობა; მეორე, ასეთი მიმოხილვა აფასებს ინდივიდუალური კვლევების ხარისხს და გამორიცხავს ხარისხის დანესებულ კრიტერიუმთან შეუსაბამო კვლევებს; მესამე, ის ტარდება გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, მკაცრად განსაზღვრული პროცედურის, შეზღუდვებისა და ტენდენციურობის ნათელყოფით, რაც მკითხველს კვლევის ხარისხის დამოუკიდებლად შეფასების საშუალებას აძლევს.

ავტორების აზრით, ამას მოჰყვება განმეორებული, რანდომული, ექსპერიმენტული კვლევები და რანდომული, ექსპერიმენტული კვლევის დიზაინის მქონე, ინდივიდუალური კვლევები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი კვაზიექსპერიმენტული ხასიათისაა, რადგან არ იყენებენ კლიენტთა შემთხვევითი შერჩევის მეთოდს.

რა განსხვავებაა ამ დონეებს შორის? თუ პირველი დონის მტკიცებულება საშუალებას გვაძლევს კლიენტებს შორის განსხვავებების, ამ კვლევისადმი მათი დამოკიდებულებების მიუხედავად, ისინი მოხვდნენ საექსპერიმენტო ან საკონტროლო ჯგუფში და, შესაბამისად, კვლევის შედეგები მათი წინასწარი განწყობების ფაქტორს გამორიცხავდეს შედეგების ინტერპრეტირებისას, მეორე, მესამე და მეოთხე დონეთა მტკიცებულება ასე დამაჯერებლად ამის დასკვნის საშუალებას არ გვაძლევს. თუმცა ეს მტკიცებულებები კვლევის შედეგებზე განსხვავებულობის წინასწარი ზეგავლენის ფაქტორის გამორიცხვისათვის სხვა საშუალებებს მიმართავენ.

კვაზიექსპერიმენტებისას გამოყენებული პროცედურები ჩამოუვარდება შემთხვევითი შერჩევის პროცედურას, თუმცა, თუ ის მართებულად გამოიყენებს ამ პროცედურებს, ეს მტკიცებულების ხარისხზეც დადებითად აისახება და ჩარევის მართებულად წარმართვის საშუალებასაც მოგვცემს (Rubin & Babbies, 2011), მაგრამ იმის ავტომატურად დასკვნის საშუალება მაინც არ გვეძლევს, რომ ან რანდომულ-ექსპერიმენტული, ან კვაზიექსპერიმენტული ყველა კვლევა მაღალი ხარისხის მტკიცებულებას ქმნიდეს.

იერარქიის უფრო ქვედა, მეხუთე, დონეზე ერთეული შემთხვევის შეფასებითი დიზაინია. ეს კვლევები ექსპერიმენტულ და კვაზიექსპერიმენტულ ლოგიკას მისდევენ და ადამიანის პროგრესს ჩარევამდე და მის შემდეგ გულდასმით ზომავენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს კვლევები კლიენტთა ჯგუფებს ვერ ადარებენ და კვლევის რეპლიკაციით ვერ ამყარებენ მტკიცებულებას, მათ აქვთ უნარი, ძლიერი მტკიცებულება შექმნან ჩარევის ეფექტიანობის შესახებ.

უფრო ქვედა იერარქიის მტკიცებულებები ისეთ კვლევებს მოაქვს, რომლებიც კლიენტის მდგომარეობის გაუმჯობესებას პრე- და პოსტტესტების შედარებით ახდენენ. მაგალითად, კორელაციური კვლევები, რომლებსაც სტატისტიკით არ აქვთ ზურგი განმტკიცებელი, გვიჩვენებენ, რომ ჩარევის სხვადასხვა ისტორიის მქონე კლიენტებს სხვადასხვა დამოკიდებულება აქვთ (Rubin & Babbies, 2011).

რუბინისა და ბაბის (2008) აზრით, იერარქიის ყველაზე ქვედა საფეხურზე მოიაზრება შემთხვევითი, მხოლოდ დაკვირვების შედეგად მიღებული მტკიცებულებები. ეს ნყაროები ფასდაუდებელია, როდესაც სხვა, უკეთესი მტკიცებულება არ არსებობს. ისინი ათვლის წერტილად შეიძლება გამოვიყენოთ, თუმცა ვალიდური ნყარო ვერ იქნება.

ექსპერტული მოსაზრება, მისი განმარტების მიხედვით, ძალაუფლებას ეფუძნება და ამიტომაც ვერ იქნება სრულიად დამოუკიდებელი. აქედან გამომდინარე, მტკიცებულების იერარქიის კიბეზე ის ფსკერთან ახლოს მდებარე საფეხურზეა განთავსებული და არ არის რეკომენდებული. თუ მაინცდამაინც უნდა გამოიყენონ ის (ექსპერტული მოსაზრება), აუცილებელია, ეს გაკეთდეს სიფრთხილით და გამჭვირვალედ, აღიარებულ ინსტიტუციურ ნყაროზე დაყრდნობით, როგორცაა, მაგალითად, community guide (www.thecommunityguide.org) (Soydan&Palinkas, 2014).

რადგან მტკიცებულების ხარისხზე ვსაუბრობთ ამ ქვეთავში, უფრო დეტალურად განვიხილოთ ვალიდობის საკითხი.

ვალიდობა

ვალიდობა ნიშნავს დასკვნის გაკეთებას, სიმართლესთან მიახლოებას (დასკვნის, რომელიც ემპირიულ მტკიცებულებას ეფუძნება). დასკვნა მოიცავს: ა) ემპირიული მტკიცებულების შეფასებას წინა მიგნებებზე დაყრდნობით და ბ) მის მხარდამჭერ, ხელმისაწვდომ თეორიებს, თუმცა დასკვნის ვალიდობა ადამიანის განსჯას ეფუძნება და ამიტომაც დაურწმუნებლობას იწვევს.

რა გვაძლევს კვლევის მაღალი სტანდარტისა და ვალიდობის უზრუნველყოფის გარანტიას? თუ გავიხსენებთ ჩვენ მიერ ზემოგანხილული მტკიცებულების იერარქიას, მოგვაგონდება, რომ მაღალი დონის კვლევის დიზაინიც კი არ იძლევა უფრო სარწმუნო დასკვნის გაკეთების გარანტიას. ეს რამდენიმე სხვა ასპექტზეა დამოკიდებული. შადიში და მისი კოლეგები (2002 in Soydan&Palinkas, 2014) გვაფრთხილებენ, რომ ვალიდობა დასკვნას მიემართება და არა დიზაინსა და მეთოდს, რადგან იმავე დიზაინმა შესაძლოა, უფრო მეტად ან ნაკლებად ვალიდური კავშირი გაგვაკეთებინოს სხვადასხვა სიტუაციაში. მაგალითად, რანდომული ექსპერიმენტი არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ვალიდური დასკვნა გაკეთდება არსებული აღწერილობით, მიზეზშედეგობრივ კავშირებზე. ბოლოს და ბოლოს, კვლევაში მონაწილეთა რაოდენობის ცვლილებამ (მაგალითად, დასაწყისიდან ბოლომდე მონაწილეთა რაოდენობის შემცირებამ / attrition) შეიძლება დააზიანოს რანდომიზაცია, ძალაუფლების სისუსტემ ეფექტი არ დაგვანახვოს, დაუზუსტებელი სტატისტიკის

გამოყენებამ მოახდინოს ზეგავლენა მონაცემებზე, შერჩევის ცდომილებამ ეფექტიანობის სწორად გაზომვის საშუალება არ მოგვცეს.

ვალიდობა ორ ძირითად კრიტერიუმზე დაყრდნობით ფასდება:

1. პირველი საბაზისო კრიტერიუმია ე.წ. *შინაგანი/ინტერნალური ვალიდობა* და უნდა უპასუხოს კითხვაზე: მოახდინა თუ არა საექსპერიმენტო სტიმულმა მნიშვნელოვანი ცვლილება ამ კონკრეტულ შემთხვევაში?
2. მეორე – *გარეგანი/ექსტერნალური ვალიდობა*, გულისხმობს რეპრეზენტატიულობას ან განზოგადებას და პასუხობს კითხვაზე: რომელ მოსახლეობაზე, ვითარებასა და ცვლადებზე შეიძლება ამ ეფექტის განზოგადება (კემბელი, 1957 in Soydan&Palinkas, 2014)?

მოგვიანებით, კუკმა და კემბელმა (1979 in Soydan&Palinkas, 2014) განავრცეს მოსალოდნელი შედეგების ვალიდობის ტიპოლოგია და დამატებით სტატისტიკური დასკვნა და კონსტრუქტის ვალიდობა შემოგვთავაზეს. კრონბახმა (1982) შემოგვთავაზა განზოგადების არატენდენციური შეფასების საზომი. სულ ახლახან კი შადიშმა, კიკმა და კემბელმა (2002) შეიმუშავეს ექსპერიმენტირების თანამედროვე ელემენტები, მათ შორის, შესაძლო დასკვნის ვარიაციისა (counterfactual inference) და გამოყენების დონე (treatment dosage). ვალიდობის თანამედროვე ტიპოლოგია სწორედ განვითარების ამ პროცესზე დაფუძნებით აღმოცენდა.

მოდით, უფრო დეტალურად განვიხილოთ, რა საფრთხეების წინაშეა შინაგანი და გარეგანი/ექსტერნალური ვალიდობა.

შინაგანი ვალიდობა და მის წინაშე არსებული საფრთხეები

ძირითადი პრობლემა მიზეზსა და შედეგს შორის კავშირების გაანალიზებისთვის იმის დამტკიცებაა, რომ ერთი კონკრეტული მიზეზი და არა რომელიმე სხვა მოვლენა ან ცვლადი იწვევს კონკრეტულ შედეგს. საქმე გვაქვს მიზეზშედეგობრივი ურთიერთობის შინაგანი ვალიდობასთან თუ ყველა სხვა ფაქტორი, რომელსაც შეეძლო შედეგის გამოწვევა, გათვალისწინებულია და მიზეზსა და შედეგს შორის კავშირი დამყარებულია. ნებისმიერი სხვა ფაქტორის გამოჩენა, რომელმაც შესაძლოა, იგივე შედეგი გამოიწვიოს, მიჩნეულია საფრთხედ შინაგანი ვალიდობისთვის. კემბელი (2002 in Soydan&Palinkas, 2014) თავის ნაშრომში გვაცნობს საფრთხეებს შინაგანი ვალიდობისთვის. ჩვენ მათ შორის რამდენიმეს მიმოვიხილავთ, ესენია: ისტორია, არასტაბილურობა, ასაკობრივი სიმწიფე, მონაწილეების პერიოდული შემცირება, ინსტრუმენტირებაში მიკერძოებულობა. მოდით, თითოეული ცალ-ცალკე განვიხილოთ:

- **ისტორია** ეხება რეალურ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებს, რომლებიც ხდება ჩარევის განხორციელებისა და შემდგომ პერიოდში. ის იმის დადგენის საშუალებას გვაძლევს, თუ რა შედეგი გვექნებოდა ჩარევის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ტიპის საფრთხეები შესაძლოა ავირიდოთ ქმედითობის საზომ მკაცრად კონტროლირებად კვლევებში, ის დიდი გამოწვევაა სავსე

კვლევებისთვის (მაგალითად, ეფექტიანობის კვლევა), რომლებიც რეალურ ცხოვრებისეულ გარემოში მიმდინარეობს;

- **ასაკობრივი სიმწიფე** ბუნებრივი პროცესია. ასაკის ცვლილებასთან ერთად, ჩვენი დამოკიდებულებები მოვლენებისადმი იცვლება. სიმწიფის პროცესმა შესაძლოა იმავე შედეგებამდე მიგვიყვანოს, რომლებიც ჩარევით იყო დაგეგმილი. შესაბამისად, ეს შინაგანი ვალიდობისთვის საფრთხეს წარმოადგენს. ამ საფრთხის კონტროლი, გარკვეულწილად, შესაძლებელია იდენტური ასაკობრივი ჯგუფების შერჩევით.
- **მონაწილეების პერიოდულ შემცირებასთან** გვაქვს საქმე, როდესაც ექსპერიმენტს მონაწილეები აკლდება სხვადასხვა მიზეზით ყოველ შემდეგ ეტაპზე. როდესაც პოსტტესტის ეტაპზე მონაწილეთა რაოდენობა მცირდება თავდაპირველ ოდენობასთან შედარებით, შედეგები შესაძლოა დამახინჯდეს და მონაწილეთა შემცირებით გამონვეული ცდომილება მივიღოთ.
- **ტესტირების ტენდენციურობა** გამოწვეულია ტესტის/ინსტრუმენტის შინაარსის ცვლილებით. განსაკუთრებით, განგრძობით კვლევებში, საზომი ინსტრუმენტების შინაარსიცა და მნიშვნელობაც შეიძლება იცვლებოდეს სუბიექტებზე განხორციელებული კვლევის პროცესში. ამიტომ რთული დასადგენია, შედეგები ინსტრუმენტის ცვლილებით აიხსნება თუ ჩარევის ეფექტით.

გარეგანი ვალიდობა და მის წინაშე არსებული საფრთხეები

ერთი გარემოდან მეორეში ცოდნის განზოგადება ძალიან სადავო საკითხია სოციალურ და ბიჰევიორისტულ მეცნიერებებში. ერთ-ერთია იმის გააზრება, ჰიპოთეზის დატესტვას ვახდენთ თუ მის ფორმირებას. 1997 წელს უილიამ ჯეიმს მაკგირმა გამოაქვეყნა ნაშრომი, რომელშიც ხაზგასმული იყო ფსიქოლოგიისთვის ჰიპოთეზის ფორმირებაში ჩართვის საჭიროება, რაც უგულებელყოფილი იყო და ძირითადი ფოკუსი ჰიპოთეზის ტესტირებაზე გაკეთდა. მან *ევრისტიკული მიდგომა (heuristic approach)* წარმოადგინა მეცნიერთა დასახმარებლად სტუდენტების განათლებაში. მისი ტიპოლოგია ეფუძნებოდა დაშვებას, რომ არსებული თეორიაცა და ემპირიული მტკიცებულებაც უნდა გამოიყენებოდეს სხვა სატესტო გარემოშიც, არგუმენტირებული განზოგადებების ჰიპოთეზირებისთვის. ეს ვარაუდი პრაქტიკული ინსტრუმენტია და ითვალისწინებს ცხოვრებისეულ გარემოებებს; მაგალითად, პრაქტიკოსმა შეიძლება დაინყოს დანაშაულის პრევენციის პროგრამის განხორციელება, რომელიც ეფექტიანია უმრავლესობის წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის, უმცირესობათა რომელიმე ჯგუფშიც. მსგავსად ამისა, გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა ერთ ქვეყანაში შესაძლოა, დაინყონ პროგრამის განხორციელება, რომელიც წარმატებული იყო სხვა ქვეყანაში, როგორცაა, მაგალითად, პროგრამა *Oportunidades*. ის განვითარდა და დაიტესტა მექსიკაში და წარმატებით განხორციელდა სხვა დაბალ და საშუალო შემოსავლიან ქვეყნებში (Nigenda&Gonzalez-Robledo, 2005 in Soydan&Palinkas, 2014). მდ ინფორმაციის

წარმატებით გამოყენება სხვადასხვა კონტექსტში საჭიროებს განზოგადების უნარიანობას ან ამ ჩარევების გარეგან ვალიდობას.

რომ შევაჯამოთ, განზოგადების უნარიანობის საკითხს განსაზღვრავს დამაჯერებელი წინა კვლევების, თეორიებისა და ემპირიული მტკიცებულების ბაზაზე აღმოცენებული ჰიპოთეზა, რომლის დატესტვაც შესაძლებელია (Soydan&Palinkas, 2014). ამ საკითხს კიდევ უფრო დეტალურად მომდევნო თავში შევეხებით, რომლებშიც მტკიცებულების გლობალიზაციის საკითხზე ვიმსჯელებთ.

მეთოხე საფეხური: მტკიცებულებისა და კლიენტის თავსებადობა

მდპ-ის სიახლეა მეცნიერული მტკიცებულების მოპოვებისთვის და/ან განხორციელებისთვის პირობების გამრავალფეროვნება. თავდაპირველ ვერსიაში მდპ-ის ლოკუსი განისაზღვრებოდა როგორც „ურთიერთქმედება საუკეთესო მეცნიერულ მტკიცებულებას, მომსახურების მიმღების ფასეულობებს, მოლოდინებსა და პრაქტიკოსის პროფესიულ გამოცდილებას შორის“ (Sackett et al, 1997 in Rubin&Babbies, 2011:31). განახლებულ მოდელში მდპ განისაზღვრება როგორც „საუკეთესო მეცნიერული მტკიცებულების ადაპტაციისა და ინტეგრაციის ურთიერთქმედება მომსახურების მიმღების უპირატესობებსა და ქმედებებთან, პრაქტიკოსის ექსპერტიზასა და ყველა მონაწილე მხარესთან ინტერაქციის შესაბამისად ფორმირებულ კლინიკურ პირობებსა და გარემოსთან“ (Haynes et al. 2002 in Soydan&Palinkas, 2014:31).

იმის განსაზღვრა, თუ რომელი ჩარევაა ყველაზე შესაფერისი კონკრეტული კლიენტისათვის, რამდენიმე ფაქტორითაა განპირობებული. ერთ-ერთი მთავარი არის მტკიცებულების ხარისხი, რომელიც მესამე საფეხურის განხილვისას წარმოგიდგინეთ. ხშირად ისმის შეკითხვა, თუ რამდენი კვლევაა საკმარისი იმისათვის, რათა ინტერვენცია მტკიცებულებაზე დაფუძნებულად ჩაითვალოს. მიუხედავად იმისა, რომ ზუსტი რეცეპტის გაცემა აქ რთული საქმეა, მეცნიერები ერთი ან ორი კვლევის საკმარისად ჩათვლის უფლებას გვაძლევენ. ამასთან, იმასაც გვიჩვენებს, რომ ერთი ძლიერი მტკიცებულებით განმტკიცებული ჩარევა უფრო ფასეულია, ვიდრე რამდენიმე სუსტი კვლევით მხარდაჭერილი. აქვე იმასაც მიგვითითებენ, რომ ვკონცენტრირდეთ არა იმდენად იმაზე, თუ რამდენად მტკიცებულებით-ინფორმირებულია კვლევა, არამედ რომელი მტკიცებულებაა საუკეთესო მოცემული მომენტისათვის. ამასთან, გასათვალისწინებელია, რამდენად შეესაბამება კონკრეტული მტკიცებულება თქვენს კლიენტს ან კლიენტთა ჯგუფს. თუ მტკიცებულება თქვენი კლიენტების განსხვავებულ კლიენტებზე განხორციელებული ჩარევისაგან წარმოიქმნა, შესაძლოა არ იყოს იმდენად სასარგებლო, რამდენადაც თუნდაც უფრო სუსტი დიზაინის კვლევის შედეგად მიღებული მტკიცებულება, მაგრამ უფრო მსგავს კლიენტებზე განხორციელებული ჩარევით (Rubin&Babbies, 2011). ამასაც ნაწილობრივ შევეხეთ ზემოთ.

აი, მაგალითად, გაიხსენეთ ჩვენი ზემორე – პირველ საფეხურზე ფორმირებული – საკვლევი შეკითხვა: *რა ტიპის თერაპიული ჩარევაა ყველაზე ეფექტიანი*

თავი II. რატომ არის მნიშვნელოვანი მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკა სოციალურ მუშაობაში

პოსტტრავმული სტრესული აშლილობისა და მოსაზღვრე პიროვნული აშლილობის მქონე, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი 12 წლის გოგონებისათვის – დირექტიული თუ არადირექტიული თამაშით? თუ ვეძებთ მტკიცებულებებს 12 წლის, მცირე საოჯახო ტიპის სახლის ბინადარი გოგონებისთვის ყველაზე ეფექტიანი ჩარევების შესახებ და ვერ ვპოულობთ, მაგრამ ვიპოვეთ მინდობით აღზრდაში განთავსებული ამავე ასაკის გოგონებზე განხორციელებული კარგი კვლევა, ასეთ შემთხვევაში აჯობებს, ალბათ, საცდელად მას დავეყრდნობით.

ექსპოზიციური თერაპია მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის პროცესში (Rubin&Babbie, 2011)

კეროლი სოციალური მუშაკია და მუშაობს ტრავმირებულ ქალებთან, რომლებიც მდპ-ის პროცესში არიან ჩართულნი. კეროლმა თავისი პრაქტიკული გამოცდილებით იცის, რომ გახანგრძლივებული ექსპოზიციური თერაპია (PET) და ტრავმის თერაპია (EMDR) ყველაზე ეფექტიანი მიდგომაა პოსტტრავმული სტრესული აშლილობისას. კეროლის კლიენტი სარაა. ის ახალგაზრდა ქალია, რომელსაც პოსტტრავმული სტრესული აშლილობა აწუხებს, სექსუალური ძალადობის შემთხვევის შედეგად, რაც მას ღამით დახურულ, მრავალსართულიანი პარკირების ადგილას შეემთხვა. კეროლმა დაგეგმა სარასთან ექსპოზიციური თერაპიით (EST) ჩარევის დაწყება, რაც ექსპოზიციური თერაპიის ორი ფორმით ხორციელდება: წარმოსახვითი და In vivo ექსპოზიცია. ორივე ემპირიულად მხარდაჭერილია და თანმიმდევრობით გამოიყენება ერთ ადამიანთან. კეროლი, ნესისამებრ, დაიწყებს წარმოსახვითი კომპონენტით, რომელიც გულისხმობს მომხდარის განმეორებით, დეტალურად აღწერას თერაპიულ გარემოში. ყოველი თხრობისას სარა ახალ-ახალ ემოციურ თუ შეგრძნებით დეტალს გაიხსენებს.

როდესაც კლიენტი მზად იქნება, სარა დაიწყებს In vivo ექსპოზიციას. პროცესი იწყება ადგილების, ხალხის, გარემოებების აღწერით, რაც სარას მოაგონებს ტრავმას და ამით გამოიწვევს პოსტტრავმატულ აშლილობას. სარა ყოველ ნივთსა ან მომენტზე დისტრესის ხარისხის მიხედვით რეაგირებს. მისთვის წარმოუდგენელია ინციდენტის ადგილას მისვლა, უფრო მეტიც, მას პარკირების სხვა ადგილასაც კი გაუჭირდება მისვლა მარტოს, თან ღამით. მაგრამ მეგობართან ერთად ნაკლებ სტრესული იქნება, მეგობართან ერთად დღისით კიდევ უფრო ნაკლებ სტრესული, ხოლო ინციდენტის ადგილიდან მოშორებით, ღია პარკირებაზე დღისით მისვლა კიდევ უფრო ნაკლებად სტრესული. In vivo ექსპოზიციურ სიტუაციაში სარა ასე მცირე და უსაფრთხო ნაბიჯებით გაუძღვება მის სიაში ყველაზე მაღალი დისტრესის მაჩვენებლიან სიტუაციასთან მიახლოებას, ყოველი ახალი გამოცდილების კეროლისათვის გაზიარებით.

კეროლს ესმის, ძლიერი თერაპიული კავშირის დამყარება კლიენტსა და მას შორის ეფექტიანი *ექსპოზიციური* თერაპიის წინაპირობა რომ არის. თუმცა გახანგრძლივებულ *EST* გადასვლამდე ის იგებს, რომ სარა თვითმკვლევლობაზე ფიქრობს დანაშაულის გრძნობის გამო – მან აბორტი გაიკეთა სექსუალური ძალადობის შედეგად დაორსულების შემდეგ. კეროლი ხვდება, რომ სარა არ არის მზად გახანგრძლივებული, *ექსპოზიციური* თერაპიისათვის. უფრო მეტიც, კლინიკური თერაპიის ალლო მას ჰკარნახობს, რომ სარას დებრესიისა და თვითმკვლევლობის სიმპტომების აღაგმვა პირველი რიგის ამოცანაა, სხვა პოსტტრავმული სიმპტომები კი მომდევნო ეტაპის. ისინი მოიცდიან, სანამ არ აილაგმება თვითმკვლევლობის რისკი.

კეროლს კოლეგა მეგობარი ჰყავს, რომელიც პოსტტრავმული და თვითმკვლევლობის მცდელობის შემთხვევებზე მომუშავე, მდპ-ის ემპირიულად დამტკიცებული ჩარევების სპეციალისტია. ის კეროლს ეთანხმება, რომ სარას თვითმკვლევლობაზე ფიქრი უნდა უსწრებდეს სხვა ტრავმის დაძლევის თერაპიას. როგორც კი სარა დაასრულებს თერაპიის ამ კურსს, კეროლი გააგრძლებს სარასთან მუშაობას.

სარამ კი ამასობაში აღარ მოისურვა წარმოსახვითი *ექსპოზიციური* თერაპიის კურსის გავლა, იმის წარმოდგენაც კი ზარავდა, ტრავმის წარმოსახვით გავლა რომ მოუწევდა. კეროლი მას უხსნის ინ ვივო თერაპიის პროცესს და სარა გადანყვეტს, ცადოს. კეროლს სჯერა, რომ ინ ვივო კომპონენტის შემდეგ სარა განგრძობით კომპონენტსაც ცდის.

კეროლი, კლინიკურ გამოცდილებაზე დაყრდნობით, კლიენტის კლინიკური მდგომარეობისა და უპირატესობის გათვალისწინებით მოქმედებს სარასთვის მომსახურების მიწოდებისას. ასეთი ქცევით კეროლი იწყებს *EST*-ს, როგორც მდპ-ის პროცესის ნაწილს და გვიჩვენებს, ეს საქციელი რა სივრცეს ქმნის კლინიკური მოქნილობისათვის და არ ითხოვს, პრაქტიკოსი მოქმედებდეს მექანიკურად, რაიმე მზა რეცეპტის მიხედვით.

ასევე, გახსოვდეთ, რომ ნებისმიერი კვლევის განხორციელებისას კლიენტის ღირებულებითი სისტემა და კვლევაში მონაწილეობის თაობაზე მისი სურვილი უნდა გაითვალისწინოთ.

მეხუთე საფეხური: შედეგისათვის შეფასება

ნებისმიერი მდპ-ის ინტერვენციის მიზანია მომსახურების მიმღებთა მდგომარეობის გაუმჯობესება. ამიტომაც მდპ-ის შედეგების გააზრება მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ვიცოდეთ, რას მივალწიეთ, რამდენად მივეუახლოვდით დასახულ მიზანს და/ან რაიმე დაუგეგმავი შედეგი ხომ არ მივიღეთ (შესაძლოა საზიანო). ამ მიზნის მისაღწევად, არაფორმალური დაკვირვებისა და ურთიერთობის პარალელ-

თავი II. რატომ არის მნიშვნელოვანი მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკა სოციალურ მუშაობაში

ლურად, რუბინი (2008) გვთავაზობს ქცევითი ჩანაწერების წარმოებას, ინდივიდუალური რანგირებისა და სტანდარტიზებული სკალის შექმნას.

V. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის გამოყენების გამონვევები სოციალურ მუშაობაში

მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის განხორციელების ერთ-ერთი ბარიერია „სუსტი კავშირები მათ შორის, ვინც იკვლევს და აწოდებს მომსახურებებს (Barrat, 2003:143 in Soydan&Palinkas, 2014:137). რუთისა და მათუსიზის აზრით კი (Ruth&Matusitz, 2013 in Soydan&Palinkas, 2014), მდბ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რანდომიზებული საკონტროლო ცდების (RCT) შედეგების თავმოყრას იერარქიული ცოდნის სტრუქტურის შენებისას. მტკიცებულება ზევიდან ქვევით მოდის. სოციალური სფეროს მეცნიერები აწარმოებენ სტატისტიკით ინფორმირებულ ექსპერიმენტებს და მანდატს აყალიბებენ პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის მიერ მიღწეულ შედეგებზე დაყრდნობით. სოციალურ მუშაობაში პრაქტიკოსი ცოდნის მიმღები უფროა (მტკიცებულების), ვიდრე პარტნიორი ინფორმაციის გაზიარებაში. ეს ნაპრაალი კვლევასა და პრაქტიკას შორის თანამშრომლობის სისუსტის შედეგია. სოციალური მუშაობის ადგილობრივი აქტორები უგულვებლყოფილი არიან და იძულებულნი, გამოიყენონ განზოგადებული პრაქტიკა (Ruth & Matusitz, 2013 in Soydan&Palinkas, 2014:137). არადა, არსებობს გარკვეული წინეხიცი კი, რომ მოხდეს მდბ-ის დანერგვა სოციალურ მუშაობაში, თუმცა სკეპტიკური დამოკიდებულება იმისადმი, თუ რამდენად არის სოციალური მუშაობა პრაქტიკის ამ მეთოდის განხორციელებისათვის შესაბამისი სივრცე.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალი მდბ, ჩარევა, პოლიტიკა არსებობს, მათ მაინც იშვიათად თუ იყენებენ სოციალური მუშაკები; ხოლო რომლებსაც იყენებენ, ისინი ვერ ქმნიან მტკიცებულებას იმისათვის, რათა მათი ეფექტიანობა დადგინდეს. სხვადასხვა მკვლევრის გამოთვლით სხვადასხვა დროს, მდბ-ის გამოყენების მონაცემები განსხვავებულია, თუმცა პრაქტიკა თითქმის არასოდესაა სრულად, მტკიცებულებით ინფორმირებული. ჰოგვუდისა და კოლეგების (Hoagwood et al., 2002 in Soydan&Palinkas, 2014) გამოთვლებით, სახელმწიფო რესურსებით დაფინანსებული პროგრამებიდან მოზარდთათვის მხოლოდ 10% იყენებს მდბ-ს. რაგჰავანისა და კოლეგების მიერ მოგვიანებით განხორციელებულმა კვლევამ კი გვიჩვენა, რომ მოზარდთა 60% იღებს მდ მომსახურებებს ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში (Raghavan, et al., 2010 in Soydan&Palinkas, 2014).

სახელდება რამდენიმე მიზეზი კვლევასა და პრაქტიკას შორის არსებული ნაპრაალის ასახსნელად სოციალურ მუშაობაში. ერთ-ერთ მთავარ პრობლემად სახელდება ის, რომ ინდივიდუალური პრაქტიკა, ჩვეულებრივ, მიმართულია სპეციფიკური პრობლემების მოგვარებისაკენ და ინდივიდუალური პრაქტიკაც ამ მხრივ ფასდება. სოციალური მუშაკის მომსახურებით მოსარგებლენი კი მრავალი პრობლემითა და სიმპტომით ხასიათდებიან. მდბ, რომელიც დეპრესიული სიმპტომების

ალაგმვაზეა ორიენტირებული ვეტერანებში, შესაძლოა, არ იყოს ეფექტიანი თანმხლებ მდგომარეობასთან გამკლავებისთვის, მაგალითად, ნივთიერებების მოხმარების ან პოსტტრავმატული სტრესული აშლილობის დაძლევისთვის. ანალოგიურად, თუ მძპ-ს ვიყენებთ მოზარდთა ქცევითი პრობლემების დასაძლევად, ის არ იქნება ეფექტიანი, თუ პარალელურად მუდმივად გვინევს უფრო მწვავე პრობლემების დაძლევაზე მუშაობა. მაგალითად: თუ ოჯახში კრიზისული სიტუაციაა; ან თუ ერთი პრობლემის დაძლევაზე მუშაობისას სხვა პრობლემა წამოიყვანოს თავს.

ამიტომ მომსახურების მიმღებთა პრობლემების სირთულე და ნაირგვარობა აისახება მათთვის შეთავაზებული მომსახურების კომპლექსურობაშიც. ეს მძპ-ის განხორციელებისთვის ხელშემშლელი ფაქტორებია. არადა, კვლევებმა ცხადყო, რომ პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები ამას ჯეროვნად ვერ იაზრებენ. მაგალითად, შვედეთში ჯანდაცვის სექტორში განხორციელებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ ჩვენი შვედი კოლეგების 78% ჯეროვნად ვერ აფასებს კლინიკური გარემოსთვის მახასიათებელ ბარიერებს (Heiwe et al., 2013; Rosen, 2003 in Soydan&Palinkas, 2014).

ასევე ხელშემშლელია კონსენსუსის არარსებობა იმის თაობაზე, თუ რისგან შედგება საჭირო და თვითკმარი მტკიცებულება, რათა შევძლოთ მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდება ამ მომსახურების მიღების საჭიროების მქონე პირებისათვის. ერთი მხრივ, ზოგიერთთა მოსაზრებით, ყველა მტკიცებულება უნდა შეფასდეს ოქროს სტანდარტთან, რანდომიზებულ საკონტროლო ცდებთან (RCT-თან) მიმართებით, შესრულდეს უმაღლესი სიმკაცრით ვალიდობისა და სანდოობისთვის; მეორე მხრივ, სხვათა აზრით, სტანდარტი აუფასურებს მტკიცებულების სხვა ფორმას, განსაკუთრებით, მტკიცებულებას, რომელიც თვისებრივი მეთოდით ან პირადი გამოცდილებითაა მიღებული, მაშინაც კი, თუ ეს მეთოდები ვალიდობისა და სანდოობის იდენტურ სტანდარტს მიესადაგება. თვისებრივი მეთოდი არც შექმნილა ეფექტიანობის გაზომვისათვის. ამიტომაც თავად განსაზღვრებითვე ის უკვე მტკიცებულების იერარქიის დაბალ საფეხურებზე ექცევა, თუმცა ეს არანაირად არ აკნინებს თვისებრივ მეთოდს, როგორც მეცნიერულ მეთოდს (Soydan&Palinkas, 2014).

როსენის (2003) დაკვირვებით, კვლევაზე დაფუძნებული მიდგომების პრაქტიკაში გამოყენებას რამდენიმე კომპლექსური ფაქტორის ზეგავლენა განაპირობებს. ეს ფაქტორები შემდეგნაირად ჯგუფდება:

1. ცოდნის მახასიათებლები;
2. პრაქტიკის განხორციელების ადგილის მახასიათებლები;
3. პრაქტიკოსის მახასიათებლები;
4. მეთოდის მახასიათებლები, რომლის საშუალებითაც ცოდნა პრაქტიკაში გამოიყენება;
5. სოციოკულტურული კონტექსტი, რომელშიც ის გამოიყენება (ამ ფაქტორზე დეტალურად ვისაუბრებთ მომდევნო თავში).

ცოდნის ლიმიტი

მიუხედავად იმისა, რომ, მეცნიერთა აზრით, სოციალურ მუშაკებს კვლევითი მტკიცებულებებისადმი ლიმიტირებული წვდომა აქვთ (Aserton, 2002; Gilgun, 2005; Proctor et al., 2007 in Soydan&Palinkas, 2014) და სწორედ ეს არის მდპ-ის წარმატებით განხორციელებისთვის ხელშემშლელი მიზეზი, კვლევები გვიჩვენებს, რომ პრაქტიკოსები არ არიან შეთანხმებული, რა არის მტკიცებულება და როგორ შეიძლება მისი გამოყენება. ეს ნათელყო ბარატის (Barrat, 2003 in Soydan&Palinkas, 2014) კვლევამაც, რომელიც გაერთიანებული სამეფოს სოციალური მომსახურებების დეპარტამენტში განხორციელდა. ზოგადად, ცოდნის ბარიერია მტკიცებულებასთან დაკავშირებული დაურწმუნებლობაც. ამის მიზეზია ის, რომ კვლევაზე დაფუძნებული განზოგადება ყოველთვის შეზღუდული ვალიდობისაა (ვალიდობა დეტალურად განვიხილეთ წინა თავში), რადგან უკავშირდება იმ მოსახლეობასა და შერჩევით ერთობლიობას, რომელთანაც ის ჩატარდა (როზენი, 1983, 1996 in Soydan & Palinkas, 2014).

დიდი გამოწვევაა განზოგადებული შეხედულებების ინდივიდუალურ კლიენტზე გამოყენება. არაერთი მეთოდი არსებობს მომსახურების მიმღების კმაყოფილების ალბათობის გამოსათვლელად; აღსანიშნავია ერთ-ერთი ასეთი მეთოდი *number needed to treat*. ის მომსახურების მიღებისთვის დამატებით პოზიტიურ პასუხებს ავლენს, ე.ი. იმ ადამიანთა რაოდენობას, რომელთაც ჩარევა სჭირდებათ (Mullen&Streiner, 2004; Straus, McAlister, 2000 in Soydan&Palinkas, 2014). მაგალითად, საჭირო გახდა 1592 შვედი ქალის მამოგრაფიული სკრინინგი, რათა სკრინინგის დაწყებიდან 7 წლის თავზე გამოვლენილიყო 1 ძუძუს კიბოს შემთხვევა, რომელმაც სწორედ ამ სკრინინგის წყალობით აირიდა სიკვდილი (ტაბარი და კოლეგები, 1985 in Soydan&Palinkas, 2014). ეს მეთოდი სასარგებლოა, მაგრამ შეზღუდვებიც აქვს (Laupacis, Sackett, Roberts, 1988 in Soydan&Palinkas, 2014) და ავტომატურად არ აკომპენსირებს ჩარევის ეფექტიანობის მეცნიერული მეთოდის ნაკლს.

ცოდნა პრაქტიკის სრულყოფისათვის ხშირად მტკიცებულების სიმცირის გამოცაა ღარიბი და არასაკმარისი. თუმცა ეს არ უნდა ნიშნავდეს მტკიცებულების დეფიციტის შევსებაზე ავტომატურად უარის თქმას. ამ გამოწვევას შეგვიძლია რამდენიმე ხერხის გამოყენებით გავუმკლავდეთ: პირველი, უნდა გვახსოვდეს, რომ, როდესაც ვიღებთ პროფესიულ გადაწყვეტილებას მცირე მტკიცებულებებზე დაყრდნობით ან საერთო მტკიცებულების გარეშე, კიდევ უფრო ფხიზლად უნდა ვიყოთ შედეგების მონიტორინგისას; მეორე, მტკიცებულების სიმცირე შეიძლება დაკორექტირდეს მოგვიანებითაც. როგორც კი ცოდნის ხვრელი იდენტიფიცირდება, ის გაგვაკვლევინებს გზას საჭირო კვლევამდე (Soydan&Palinkas, 2014).

ზოგადად, ორგანიზაციებს, სოლიდური ცოდნის ბაზით, აქვთ ახალი ცოდნის ინკორპორირებისა და გაზიარების მეტი პოტენცია, შესაბამისად, მდპ-ის შესწავლისა და ინიცირების საშუალება (Aarons et al., 2011 in Soydan&Palinkas, 2014).

პრაქტიკის სწორედ იმ სფეროებს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, რომლებშიც ცოტაა კვლევითი მტკიცებულება. მტკიცებულების ინფლაციის საკითხს მეთოდოლოგიური დაკორექტირებით მოვახერხებთ. როგორც კი შევნიშნავთ, რომ ჩარევას მცირე ან უმნიშვნელო დროებითი ეფექტი აქვს, ეს უნდა გავიაზროთ და აღმოვფხვრათ. არსებული ვალიდური და რელევანტური შეფასების ინსტრუმენტების გამოუყენებლობას ან არასაკმარისად გამოყენებას ტრენინგით, ინფორმაციის გავრცელების გამოსწორებითა და ამ ინსტრუმენტების დაფინანსების გაზრდით უნდა გავუმკლავდეთ (Mullen et al., 2005:74-75 in Soydan&Palinkas, 2014). სპეციალისტების ცოდნის დონის ამაღლებისას კი დიდი დროის დახარჯვა ტრენინგზე (Gioia&Dzidosz, 2008 in Soydan&Palinkas, 2014) ან ტრენინგსა და მდპ-ის პირველ გამოყენებას შორის (Palinkas et al., 2008 in Soydan&Palinkas, 2014) პერიოდის გახანგრძლივება განხორციელებისათვის ბარიერია. მოკლედ, განათლებითა და კვლევით მტკიცებულების სიმწირის გამონწვევას გავუმკლავდებით (Mullen et al., 2005:74-75 in Soydan&Palinkas, 2014).

სტრუქტურული დეტერმინანტების მეტაანალიზმა გვიჩვენა, რომ მენეჯერთა თანაფარდობა დამსაქმებლებთან პოზიტიურადაა დაკავშირებული ინოვაციების განხორციელებასთან, მაშინ, როდესაც გადანყვეტილების მიღებაში ავტონომია, პირიქით, ნეგატიურადაა დაკავშირებული ინოვაციების განხორციელებასთან. კერძო სექტორის ორგანიზაციებს მეტი ორგანიზაციული მხარდაჭერა აქვთ მდპ-ის გამოყენებაში, ვიდრე საჯაროს. ასევე, ორგანიზაციებს უფრო ფორმალისებულის, ცენტრალისებულის და დიფერენცირებული სტრუქტურითა და ფორმალური კვლევითი ინფრასტრუქტურით მეტი წარმატება აქვთ ინოვაციური პრაქტიკის დანერგვასა და განხორციელებაში (Aarons et al., 2011 in Soydan&Palinkas, 2014).

ორგანიზაციული კულტურის სტრუქტურაცა და პროცესიც შერწყმულია გაზიარებულ ფასეულობით ორიენტაციასთან. ფასეულობითი ორიენტაცია ყალიბდება ძირითადი (ნორმატიული ფასეულობების), სოციალური ფასეულობების (prescriptive ethics) და მათი ფიზიკური გამოხატულების (artifacts) ტრადიციული ურთიერთქმედებით. სწორედ ეს ფასეულობები აძლევს მიმართულებას ორგანიზაციას. კულტურული ლოგიკა, რომელიც ნორმატიული ფასეულობების არტიკულირებას ახდენს, ხსნის, რატომ აკეთებს სოციალური მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაცია იმას, რასაც აკეთებს (მაგ., მონყვლადი მოსახლეობის საჭიროებებს აკმაყოფილებს), მაშინ როდესაც სოციალურ ეთიკაში ასახული სოციალური ცოდნა ხსნის, როგორ კეთდება ეს (მაგალითად, დეპრესიის ან შფოთვის დასაძლევად მომსახურება ხორციელდება მდპ-ზე დაყრდნობით). ნორმატიული და სოციალური ფასეულობები გვიხსნიან, რა კეთდება, ვინ აკეთებს, როდის და სად (Hatch, 1993 in Soydan&Palinkas, 2014). ეს სამი ელემენტი იერარქიულად შემდეგნაირად ლაგდება: ნორმატიული – იერარქიის ყველაზე მაღალ საფეხურზე, რომელსაც მოჰყვება უფრო ცნობიერების დონის ფასეულობები, რომლებიც ქცევის სტანდარტი და მიზანია და არტეფაქტები, რომლებიც ფსკერზეა (Davies, Nutley, Mannion, 2000; Palinkas, Allred, Landaverk, 2005 in Soydan&Palinkas, 2014). რაც

უფრო მაღლა დგას ელემენტი, მით უფრო რეზისტენტულია გარე ცვლილებიდან. მაგალითად, სოციალური მუშაობის ინტერვენციის ეტაპზე მდპ-ის განხორციელებისთვის ხელშემშლელია სააგენტოს კულტურა, რომელიც არ არის მდპ-ის მხარდამჭერი (Manuel et al., 2009 in Soydan&Palinkas, 2014).

ორგანიზაციული კლიმატი ხშირად ორგანიზაციულ კულტურაში ერევათ, არადა, ის ეხება დასაქმებულთა აღქმებსა და ემოციურ დამოკიდებულებას სამუშაო გარემოსადმი (ჯოისი და სლოკომი, 1984; სელსი და ჯეიმსი, 1988). გლისონი, დიუკი და გრინი (2006) გეთავაზობენ კლიმატის განსაზღვრის ორ დონეს. ინდივიდუალურს – ფსიქოლოგიურ კლიმატს, რომელიც ინდივიდის აღქმა იმაზე, თუ რა ფსიქოლოგიური ზეგავლენა აქვს სამუშაო გარემოს მის კარგად ყოფნაზე (ჯეიმსი და ჯეიმსი, 1989). თუ დასაქმებულები საერთო შეხედულებებს იზიარებენ, მათი აგრეგირებული აღქმა ორგანიზაციულ კლიმატს აღწერს (ჯონსი, ჯეიმსი, 1979; ჯოისი და სლოკომი, 1984 გლისონთან, დიუკთან და გრინთან, 2006:858). უფრო მეტიც, აღმოჩნდა, რომ ორგანიზაციულ კლიმატს დიდი ზეგავლენა აქვს სახელმწიფო დაფინანსებით მიღებული მომსახურებების კლინიკურ შედეგებზე ახალგაზრდებში. ზოგადად, ინოვაციების დანერგვისათვის ხელშემშლელია თანამშრომელთა მუდმივი ცვლა, მყიფე ორგანიზაციული კლიმატი (Edmonson, Bohmer, Pisano, 2001, Swain et al., 2010, Woltmann et al., 2008 in Soydan&Palinkas, 2014).

მდპ-ისადმი კეთილგანწყობა მეტად იგრძნობა ნაკლებბიუროკრატიულ (Aarons, 2004 Soydan&Palinkas, 2014), არამოგებიან, კერძო, ვიდრე სახელმწიფო დაფინანსების მქონე ორგანიზაციებში; ორგანიზაციებში, რომლებსაც პრაქტიკოსებისადმი სოლიდარობის განცდა აქვთ და ორგანიზაციის მისიისა და მიზნის ერთგულება ახასიათებთ (Landgren, Krull, de Saxe Zerden&McCarty, 2011 in Soydan&Palinkas, 2014), მცირე ზომის ორგანიზაციებში, ნაკლები მომსახურების მიმღებით, ორგანიზაციებში მაღალი კოლექტიური პასუხისმგებლობითა და ნაკლები ფოკუსირებით ადვილად გაზომვად შედეგებზე (Smith, 2013 in Soydan&Palinkas, 2014).

კიდევ ერთი ბარიერი, რომელიც მაღალხარისხიანი მდპ-ის განხორციელებას უშლის ხელს, არის მოსაზრება მდპ-ის ხარჯთეკონომიურობაზე. მტკიცებულებაზე დაფუძნებულ მედიცინაზე (EBM) ემპირიული დაკვირვება მოთხოვნასა და რესურსებს შორის ნაპრალებზე გახდა მდპ-ის იდეოლოგიური კონტრარგუმენტი. გიბსმა და გამბრილმა (Gibbs&Gambrell, 2002 in Soydan&Palinkas, 2014) ეს არგუმენტი ახსნეს „მდპ-ის“ უცოდინრობად (გვ. 458), შტრაუსმა და მაკალისტერმა კი (Straus&McAlister, 2000 in Soydan&Palinkas, 2014) დააკლასიფიცირეს „მდკ და-ფუძნებული მედიცინის პერცეფციად“ (გვ. 838).

მოღვივდა მოსაზრება, რომ ადეკვატური მტკიცებულების მოპოვებისადმი ბარიერები სულ უფრო და უფრო იზრდება; რომ მთავრობა მდპ-ს გამოიყენებს ხარჯების შემცირების ინსტრუმენტად, ნაცვლად მაღალი ხარისხის მტკიცებულების გამოყენებისა. ეს კი ზრუნვის ხარისხს გააუარესებს (Mullen&Streiner, 2004 in Soydan&Palinkas, 2014).

პრაქტიკის არჩევანი განპირობებულია არა მხოლოდ მისი ეფექტიანობით, არამედ პრაქტიკოსის ექსპერტიზითა და მომსახურების მიმღების სურვილით. ღირებულება მხოლოდ იმის ნახევარია, რაც უნდა გამოვიკვლიოთ, მეორე ნახევარი – სარგებელი ან ეფექტიანობაა. ზოგიერთი ჩარევის სარგებელი შესაძლოა, უფრო ნაკლები იყოს ერთ ფულად ერთეულზე და შედეგიც უფრო მცირე, მაგრამ მისი ხარჯთსარგებლიანობის თანაფარდობა უფრო მაღალი, ვიდრე უფრო ძვირიანი, მაგრამ უფრო ეფექტიანი ჩარევისა. ამიტომ ყოველთვის ის არ არის აქტუალური, რა შედეგს მიგვაღებინებს 1 ფულადი ერთეული. რუბინი და ბაბი (2011) ხაზს უსვამენ იმას, რომ მდბ ორიენტირებულია, მიაგნოს ყველაზე ეფექტიან ჩარევას და არა ყველაზე იაფიანს.

ორგანიზაციული ბარიერები

ორგანიზაციული კონტექსტი აქტუალური გახდა სოციალურ მუშაობაში მდბ-ის ახალი, ინოვაციური მიდგომების წარმოშობის შემდეგ. ამ მხრივ, დიდი ცვლილება მოხდა მდბ-ზე დაფუძნებული ჩარევების ინდივიდუალურ დონეზე გამოყენებიდან ორგანიზაციულ დონეზე გამოყენებამდე. წინა თავში განვიხილეთ, რა მახასიათებლები უნდა ჰქონდეს ორგანიზაციას, მდბ-ის განხორციელება და მდგრადობის შენარჩუნება რომ შეძლოს. ამიტომაც აქ აღარ განვაგრძობთ ამ თემას.

პრაქტიკოსების დამოკიდებულება სხვადასხვაგვარია მდბ-ის გამოყენებისადმი. მომსახურების ახალგაზრდა მომწოდებლები მეტ მზაობას ამჟღავნებენ მდბ-ის დამკვიდრებისადმი, ვიდრე მათი უფროსი კოლეგები (Aarons&Palinkas, 2007; Palinkas&Aarons, 2009; Palinkas et al., 2008 in Soydan&Palinkas, 2014). თუმცა ისინიც კი, რომლებიც იყენებენ მდბ-ის პრინციპებს, წუხან იმაზე, რომ მდბ მომსახურების მიმღებთან მათ თერაპიულ ალიანსს უშლის ხელს (Palinkas et al., 2013). მსგავსად ამისა, მომსახურების მიმწოდებლები, რომლებიც სოციალური მუშაობის პრაქტიკას ხედავენ უფრო როგორც ხელოვნებას, ვიდრე მეცნიერებას, გაცილებით ნაკლებ მოსურნენი არიან, დანერგონ მდბ (Soydan&Palinkas, 2014).

პრაქტიკოსთა შეზღუდული დრო და რესურსები ყოველთვის სახელდება მდბ-ის განხორციელების ხელშემშლელ ფაქტორად სოციალური სფეროს ყველა მიმართულებით (Glasgow, Lichtenstein, Marcus, 2003 in Soydan&Palinkas, 2014). ორგანიზაციების ხელმძღვანელთა განცხადებით, თანამშრომლებისათვის მდბ-ის ტრენინგებზე დროის დახარჯვა ორგანიზაციის ხარჯთანაა დაკავშირებული (Palinkas&Aarons, 2009 in Soydan&Palinkas, 2014). კიდევ ერთი ხშირად დასახელებული ბარიერი არის უკუკავშირისა და მდბ-ის გამოყენების მოტივაციის ნაკლებობა. სააგენტოს პერსპექტივიდან თუ შევხედავთ, უფრო ეფექტიანი მომსახურება შემოსავლის შემცირებასთან ასოცირდება, რადგან მისი მიმღებისგან შემოსული საფასური იკლებს.

მდბ-ის გამოყენებისა და მდგრადობის შენარჩუნების ირგვლივ არსებული ურთიერთსაინააღმდეგო მოსაზრებებისა და გამონკვევების გადანყვეტად პროფესიული კულტურის დანერგვა მიიჩნევა, რომელიც აფასებს მდბ-ს და იაზრებს მისი

გამოყენების დანიშნულებას მაღალხარისხიანი მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფისათვის. ამას თავისი სახელმძღვანელო პრინციპები აქვს, რომლებშიც აღწერილია მისი გამოყენებისა და მდგრადობის შენარჩუნების ინსტრუქციები. ამის მისაღწევად ჯერ უნდა განვმარტოთ, რა არის პროფესიული კულტურა.

მისი ფართო განმარტებით, კულტურა არის გაზიარებული შეხედულებების ნაკრები, რომელიც ქცევის მოდელად გამოიყენება. როგორც ქცევის მოდელი, პროფესიული კულტურა ეფუძნება პოზიტიურსა და ნეგატიურ გამოცდილებას. ის ამკვიდრებს ნორმატიულსა (როგორ და რატომ უნდა მოხდეს რაღაცეები) და პრაგმატულ როლებს ქცევისთვის. ეს შეხედულებები იერარქიულად ლაგდება, ნორმატიული წესები ზედა საფეხურზეა მოქცეული და განაგებს, რა უნდა მოხდეს, პრაგმატული კი ქვევით და კარნახობს, როგორ უნდა მიიღწეს ეს მიზნები (Bailey, 1973 in Soydan&Palinkas, 2014). სოციალური მუშაობის პროფესიული კულტურის ნორმატიული ელემენტებია სოციალური სამართლიანობის ხელშეწყობა, ადამიანთა კარგად ყოფნის მხარდაჭერა, საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებაში დახმარება, განსაკუთრებული აქცენტით მონყვლადთა ძალაუფლებით აღჭურვა. პროფესიული ქცევის პრაგმატული ელემენტი კი იქნება თერაპიული ან საკონსულტაციო მიდგომის/მეთოდის კონკრეტულ სამიზნე ჯგუფთან მუშაობისათვის ადაპტირება. მაგალითად, აშშ-ში კოგნიტიური ბიჰევიორისტული თერაპიის ადაპტირება ესპანურენოვანი კლიენტებისთვის, რომლებსაც არ სურთ, იყვნენ სტიგმატიზებული დეპრესიისთვის მკურნალობის გამო (Soydan&Palinkas, 2014).

არსებობს სოციალური მუშაობის პროფესიული კულტურის სამი ძირითადი ელემენტი მდპ-სთან დაკავშირებული კულტურული გაცვლა-გამოცვლის პრაქტიკისათვის, ესენია:

1. ძირითადი პრინციპების დანესება. ეს პრინციპები უნდა უკავშირდებოდეს სოციალური მუშაობის პრაქტიკის მიზნებს; მომსახურების მიმღების საჭიროებასა და იმ თემის საჭიროებებს, რომლებსაც სოციალური მუშაკი ემსახურება; და მკვლევრებსა და პრაქტიკოსებს შორის ინტერაქციის წესების დადგენას, რომლებიც განსაზღვრავს ეთიკური ან მორალური (ნორმატიული) და პრაგმატული ქცევის ურთიერთქმედებას;
2. იმის აღიარება, რომ ყველა დამოკიდებულება და ქცევის წესი გაზიარებული უნდა იყოს პარტნიორებს შორის;
3. ინოვაციებისა და ექსპერიმენტების განხორციელების ხელშეწყობა.

ეს გაცვლა-გამოცვლა დიდი კონტრიბუციაა როგორც კვლევისთვის, ისე პრაქტიკისთვის.

სოციალურ მუშაკთა თემს პროფესიული კულტურა განათლებითა და პრაქტიკის განხორციელების სისტემების საშუალებით გადაეცემა. ის დანერგულია ორგანიზაციებში, რომლებშიც ვმუშაობთ და მომსახურებებში, რომლებსაც ამ მომსახურებებით მოსარგებლებებს ვანოდებთ. პროფესიული კულტურა ებმის ორგანიზაციულს და კვლევისა და პრაქტიკის ორ კულტურას, რომლებიც ჩვენს პროფესიას განსაზღვრავს. გამოდის, რომ ორგანიზაციული და პროფესიული კულტურა გადაჯაჭვულია.

შეუთავსებლობა სოციალური მუშაობის კონცეპტუალურ მოდელებთან

მომსახურების მიწოდების რთულ სისტემაში, მდპ-ის განხორციელების პრაქტიკული გამოწვევების გარდა, მდპ მიიჩნევა ძველმოდური პოზიტივისტური პარადიგმის მანიფესტაციად, რომელსაც არანაირი როლი არ აქვს სოციალურ მუშაობაში (კარგერი, 1983 in Soydan and Palinkas, 2014). როზენი (2003:200 in Soydan and Palinkas, 2014) აღნიშნავს, რომ სოციალურ მეცნიერებებში, განსაკუთრებით სოციალურ მუშაობაში, გავრცელებული ცოდნის ორიენტაცია დადგა იმ გამოწვევის წინაშე, რომ ის გახდეს მექანიკური, არაჰუმანური, ძალაუფლებით აღჭურვის შემასუსტებელი, ანტიფემინისტური და, ზოგადად, ნაკლებმგრძობიარე პიროვნული და კულტურული მრავალფეროვნებისადმი. სოციალურ მუშაობაში ლოგიკური პოზიტივიზმი და მისი მსგავსი ეპისტემიოლოგიური განშტოებები გამოწვევის წინაშეა. ისინი, თითქოს, შეუფერებელი მოდელებია კვლევისა და ცოდნის ფორმირებისთვის, ზოგადად და განსაკუთრებით, უშუალო პრაქტიკის განხორციელებისას.

ტრადიციული მეცნიერული მიდგომებისა და მეთოდოლოგიის დისკრედიტირება, როგორც პოზიტივისტური, დეტერმინისტული ან რაოდენობრივი – მოახდინა ტაისონმა (1995 in Soydan and Palinkas, 2014), რომელიც კვლევის „ევრისტიკულ პარადიგმას (heuristic paradigm)“ ადვოკატობდა, განაცხადა რა, რომ სოციალური მუშაკის მიერ პოზიტივისტური კვლევის მეთოდების გამოყენება სოციალური სამართლიანობის პრინციპებზე უარის თქმის ტოლფასია.

ზემოთ ვახსენეთ, რომ ARC-კომპონენტები მოიცავს ღონისძიებებს, რომლებიც მისი განხორციელების პროცესს უწყობენ ხელს. ეს ღონისძიებები ცხრილშია მიმოხილული და ათივეს განხორციელება ცვლილების აგენტის მიერ ოთხ ფაზას მოიცავს (პრობლემის იდენტიფიკაციას, მიმართულების განსაზღვრას, განხორციელებას, სტაბილიზაციას) სამ დონეზე (თემი, ორგანიზაცია, ინდივიდი). პირველი 6 ღონისძიება პირველ ფაზაში ხდება, მე-7 და მე-8 – მეორე ფაზაში, მე-9 – მე-სამე ფაზაში, ხოლო მე-10 მეოთხეში.

ცხრილი 2.2

ხელმისაწვდომობის, მყისიერი რეაგირებისა და განგრძობითი ჩარევის ღონისძიებები

1	ურთიერთობები თემის ლიდერებთან, დაინტერესებულ პირებთან, თემის წარმომადგენლებსა და ძირითად ჯგუფებთან მყარდება ცვლილების აგენტების მიერ იმისათვის, რომ დამყარდეს კომუნიკაცია, გაზიარდეს ინფორმაცია, დაიძლიოს ბარიერები სამიზნე პრობლემების გადალახვისათვის.
2	მომსახურების მიწოდებელთა, თემის ლიდერთა ქსელის განვითარება.
3	ჯგუფის შეჭიდულობის ფორმირება სამიზნე მოსახლეობისა და პრობლემების დაძლევისათვის ძალისხმევის კონსოლიდაციის მიზნით.

4	საინფორმაციო და მონაცემთა მართვის სტრატეგია სამიზნე პრობლემის გავრცელების არეალის დადგენისა და არსებული ჩარევების ან მომსახურების ზეგავლენის შეფასებისათვის.
5	მომსახურების ეფექტიანობასა და ხელმისაწვდომობაზე უკუკავშირი.
6	გადაწყვეტილების მიღების მონაწილეობითი პროცესი, რომელიც თემის წარმომადგენლებსა და მომსახურების მიმწოდებლებს მომსახურების განხორციელებასა და სათემო მხარდაჭერაში ჩართვის საშუალებას მისცემს.
7	კონფლიქტების რეზოლუცია განსხვავებული შეხედულებებისა და ინტერესების მედიაციისათვის, სამიზნე პრობლემის დაძლევის მიზნით.
8	ხარისხის გაუმჯობესების უწყვეტობა ცვალებად ინსტიტუციურ მონყობასა და პოლიტიკაზე საპასუხოდ, სამიზნე პრობლემის დაძლევისათვის.
9	სამუშაოს ფორმატის განახლებაში მომსახურების მიმწოდებელთა ჩართულობა, მომსახურებისადმი ბარიერებისა და წარმატების მიღწევაში ხელშემშლელი ფაქტორების აღმოსაფხვრელად.
10	მტკიცებულებებზე დაფუძნებული ჩარევის განხორციელების თვითრეგულირება და სტაბილიზაცია, მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის თვითმყოფადობის ხელშეწყობისთვის (ინფორმაციის, ტრენინგის, სამუშაო ინსტრუმენტების თვალსაზრისით), მტკიცებულებაზე დაფუძნებული მომსახურებების მიწოდების უწყვეტობის უზრუნველყოფისათვის მომავალშიც.

ARC-მოდელის ეფექტიანობა ხელს უწყობს მდპ-ის განხორციელებას და მომსახურების მიმღებთა მდგომარეობის გაუმჯობესებას. ეს ორმა კვლევამ ცხადყო: პირველში გლისონმა და კოლეგებმა (2010) განახორციელეს მულტისისტემური თერაპიის (MST) რანდომიზებული საკონტროლო ცდა (RCT) და ARC-ის ორგანიზაციული ინტერვენცია მათი ეფექტიანობის გაზომვისათვის პრობლემური ქცევის მქონე ახალგაზრდებში სოფლის 14 დასახლებაში, ტენესიში. კვლევამ მულტისისტემური თერაპიის ქვეშ მყოფი 9-იდან 17 წლამდე 615 მოზარდი მოიცვა, რომელთაგან ნაწილს ჩაუტარდა ARC, მეორე ნაწილს კი – არა. მრავალდონიანი შერეული ეფექტის რეგრესულმა ანალიზმა მომსახურების მიღებიდან 6 თვის შემდეგ ცხადყო, რომ მოზარდთა პრობლემური ქცევა მათში, ვინც მულტისისტემურ თერაპიას ARC-პირობებში იღებდა, იყო კლინიკური ზღვრის ქვემოთ, გაცილებით დაბლა, ვიდრე სხვა გარემოში და ამ მოზარდების მცირე ნაწილი მოხვდა ოჯახს გარეთ ზრუნვის ალტერნატიულ მომსახურებებში (16%), საკონტროლო ჯგუფთან შედარებით (34%).

მეორე კვლევაში (Glisson at al., 2013 in Soydan&Palinkas, 2014), რომელიც 5-იდან 18 წლამდე ასაკის ბავშვებს ემსახურებოდა 18 სათემო ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამიდან, შემთხვევითი შერჩევით შექმნეს ARC პირობებში მომსახურების მიმღებთა ჯგუფი. სწორედ ARC პირობებში განხორციელებულმა 18 ჩარევამ აჩვენა გაცილებით უკეთესი მდგომარეობა ამ ბავშვებში. ანალიზმა ასევე ცხადყო, რომ შედეგები საუკეთესო იყო იმ პროგრამებში, რომლებშიც ყველაზე განვითარებული იყო ორგანიზაციული სოციალური კონტექსტი, ამას კი ARC ჩარევა მოსდევდა.

რამდენიმე მკვლევარი განარჩევს **ინსტრუმენტულ და კონცეპტუალურ მოდელს**. პირველი უკავშირდება გადანყვეტილების მიღებას. ეს ავტომატურად გულისხმობს, რომ კვლევის მტკიცებულება უნდა იყოს ინსტრუქციული გადანყვეტილებისთვის, მაშინ როდესაც კონცეპტუალური მოდელი მტკიცებულებაზე ფიქრს უკავშირდება. პირველის მთავარი მახასიათებელია გადანყვეტილება, მეორის კი ინფორმირების პროცესი – კოგნიტური მოდელი იმის გამოსათვლელად, თუ რა დრო სჭირდება დავალების/ამოცანის შესრულებას. ინსტრუმენტული მოდელი ფოკუსირდება კვლევის მტკიცებულების გამოყენების შედეგზე, კონცეპტუალური მოდელი კი – მტკიცებულების გამოყენების პროცესზე (Kennedy, 1984 in Soydan&Palinkas, 2014).

მდპ-ის პროფესიული კულტურა იმის გააზრებას უნდა ეფუძნებოდეს, რომ არსებობს სხვადასხვა ტიპის მტკიცებულება. ყოველი მათგანი კი გარკვეული სიძლიერისა და შეზღუდვების მქონეა. ჩვენ განვიხილეთ მდპ-ისთვის მახასიათებელი ორი კატეგორიის მტკიცებულება: გლობალური და ლოკალური. როგორც გახსოვთ, გლობალური გარეგანია, რადგან ის სააგენტოს ან იურისდიქციის გარეშე წარმოიშობა, ეფუძნება სამეცნიერო ხარისხის სტანდარტებს (მაგ., RTC-ს) და ხაზს უსვამს ერთი ქვეყნიდან მეორეში მიგნებების განზოგადებისა და გადატანის უნარიანობას. ლოკალური მტკიცებულება კი, პირიქით, ინტერნალურია, სააგენტოში ან იურისდიქციაში წარმოიშობა, შეიძლება მოიცავდეს ადმინისტრაციულ მონაცემებს, ეფუძნება პერსონალურ გამოცდილებას (ან მონაცემების შეგროვებაში მათ ჩართულობასა და ანალიზს, ან შესწავლილი მოსახლეობის შესახებ ინფორმირებულობას), ხაზს უსვამს მოსახლეობისა და მისი საჭიროების სპეციფიკურობას. კვლევის მტკიცებულების გამოყენება არასოდესაა სრულიად ერთი ან მეორე ტიპის. პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები უფრო მიდრეკილნი არიან ლოკალური მტკიცებულებების გამოყენებისაკენ, რადგან ისინი უფრო ნაცნობი და ხელშესახებია, თუნდაც არ შეეფერებოდნენ ხარისხის იმავე სტანდარტებს. მათ აკლიათ გარეგანი ვალიდობა.

მტკიცებულებისათვის საჭირო მახასიათებლები

მიუხედავად ორივე ტიპის მტკიცებულების განსხვავებული მახასიათებლებისა, ორივე ტიპის მტკიცებულებისაგან შეიძლება რაიმეს სწავლა, ისევე როგორც კვლევის ორივე მეთოდს (რაოდენობრივსა და თვისებრივს) შეუძლია ამ პროცესში სპეციფიკური როლის შესრულება. მართალია, კვლევითი მტკიცებულებების სორტირების ტრადიციული იერარქიული მონყობა რაოდენობრივ ექსპერიმენტულ კვლევებს ამ იერარქიის ზედა საფეხურზე ათავსებს, თვისებრივ აღწერით კვლევებს კი ქვედაზე (Soydan&Palinkas, 2014), მაინც გზა მდპ-ისაკენ შეიძლება განვიხილოთ როგორც ნაბიჯები, რომლებიც იდენტიფიკაციით იწყება და გადადის აღწერაში, განმარტების განზოგადებაში, განმარტების ტესტირებაში, ფორმირებასა ან კონტროლში. იდენტიფიკაცია, თავდაპირველად, იმ კვლევებისა და ანგარიშების შესწავლით იწყება, რომლებიც მიუთითებს ადრე შესწავლილი ფე-

ნომენის არსებობაზე. ამ უკანასკნელის შესწავლა შესაძლოა ითხოვდეს რაოდენობრივი (სიხშირეები, პროცენტები) ან თვისებრივი (შემთხვევის შესწავლა) მონაცემების შეგროვებას ან ორივეს ერთად. ორივე მეთოდოლოგიური მიდგომა გამოდგება მომდევნო ნაბიჯისთვის, რომელიც არის ცვლადებს შორის ასოციაციის იდენტიფიკაცია და ჰიპოთეზის ფორმირების პროცესი იმის ასახსნელად, რატომ არიან ცვლადები ერთმანეთთან დაკავშირებული.

მომდევნო საფეხურია ჰიპოთეზისა და დაშვებების ვალიდობის დატესტვა. ეს ნაბიჯი პროსპექტული, დროში განმეორებადი კვლევის მეთოდისა¹ და კვლევის რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებას ითხოვს. საბოლოო ნაბიჯი კი ექსპერიმენტული პირობების შექმნაა, რომლებიც მკვლევარს ცვლადებს შორის ასოციაციების ალტერნატიული ახსნის კონტროლის საშუალებას აძლევს, როცა ერთი ცვლადი მიზეზია და მეორე ან დანარჩენი – ეფექტები. ამ ნაბიჯს, ჩვეულებრივ, სჭირდება რანდომიზებული საკონტროლო ცდების (RCT-ს) გამოყენება და რაოდენობრივი მეთოდი (პალინკასი, პრესაში). თვისებრივი მეთოდები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამეცნიერო ძიების ადრეულ, აღწერით ფაზაში და მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვისა და იმ კონტექსტის სიღრმისეულ შესწავლას საჭიროებს, რომელშიც ის არსებობს. რაოდენობრივი მეთოდები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეცნიერული ძიებისა და მიგნებების სხვა მოსახლეობაზე განზოგადების ბოლო – მტკიცებით საფეხურზე. გამოდის, რომ ორივე მეთოდი ფუნდამენტურია მდპ-ის პროფესიული კულტურისთვის სოციალურ მუშაობაში.

VI. მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის გლობალიზაცია

სამეცნიერო ცოდნის შექმნის უპირველესი ამბიციია ცოდნის განზოგადება საზღვრებს მიღმა. რა გარემოებებია ხელშემწყობი ან ხელშემშლელი სოციალური მომსახურებების მტკიცებულებების წარმატებით გავრცელებისთვის საზღვრებს მიღმა? მეცნიერული მტკიცებულებების გლობალიზაცია, განსაკუთრებით, სოციალური და ქცევითი ჩარევებისას, დიდწილად დამოკიდებულია ფაქტორებზე, რომლებიც ხელს უწყობს ან, პირიქით – ხელშემშლელია, ინოვაციების ატაცებისა და ინტეგრაციისთვის.

მტკიცებულებების პრაქტიკაში გადათარგმნა ეფექტიანი, მტკიცებულებაზე დაფუძნებული ჩარევის (მდჩ) (Evidence Based Intervention/EBI) განვითარებითა და შეფასებით, თავისთავად, დიდი გამოწვევაა, ხოლო მისი ერთი გარემოდან მეორეში გავრცობა კიდევ უფრო ართულებს ამოცანას. ორივე პროცესი კულტურულ გარემოში ხორციელდება. მუდმივცვალებად და განვითარებად კულტურულ გარემოში, კულტურულად გრძნობიერი, უნიკალური და საერთო მახასიათებლების

¹ თუ დროში განმეორებადი კვლევის მეთოდი ითხოვს, უმეტესწილად ან სრულიად სხვადასხვა მონაწილისგან შემდგარ კვლევის შერჩევით ერთობლიობას, პროსპექტული, დროში განმეორებადი კვლევის მეთოდი მთელი კვლევის განმავლობაში ერთი და იმავე მონაწილეებისაგან შემდგარ შერჩევით ერთობლიობას ითხოვს.

იდენტიფიცირება არის მდრ-ის „გადათარგმნისა“ და „ტრანსპორტირების“ საუკეთესო გზა. გამოდის, რომ მდრ-ის საზღვრებს მიღმა განხორციელების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია ამ ჩარევების კულტურული ადაპტაცია. მდრ-ის კულტურულ ადაპტაციაზე კვლევა კი ჩანასახოვან მდგომარეობაშია.

ფიქრი მტკიცებულების ტრანსპორტირებაზე ან გლობალიზაციაზე აღიარებს საზღვრებს მიღმა ტესტირების ფასეულობასა და საჭიროებას განმეორებადი კვლევების მეშვეობით. თუმცა გლობალური ტრანსპორტირების ცნება სცდება განზოგადებისუნარიანობას, ეწევა რა კულტურული, სოციალური და ორგანიზაციული ფაქტორების აქტიურ მაძიებლობას, რომლებიც, ამ ახალ კონტექსტში, შესაძლოა, მტკიცებულების ნაკლებობით ან არარსებობით ხელშემშლელი აღმოჩნდნენ, ან პირიქით.

კლასიკური შეკითხვა – „იმეორებს თუ არა კვლევა Y კვლევა X-ს? – აკნინებს კვლავწარმოებისა და განზოგადებისუნარიანობის კონცეფციას ყველა სამეცნიერო მიღწევის საფუძველშივე. კვლავწარმოება გულისხმობს, რომ X კვლევის დიზაინისა და განხორციელების დეტალები იმდენად აკურატულადაა რეპორტირებული, რომ დამოუკიდებელ მკვლევარს შეუძლია გაიმეოროს იგივე ექსპერიმენტი (კვლევა Y) და შედეგი ეკვივალენტურია. თუმცა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, რაც რაციონალური ჩანს, როგორც დაშვება, ძალიან რთულად განსახორციელებელია რეალურ ცხოვრებაში. ჰანსენის (2011 in Soydan&Palinkas, 2014) მტკიცებით, ჩარევა იმდენად კომპლექსური პროცესია, რომ სუსტი ჩარევის გეგმაც კი განაპირობებს ხოლმე განმეორების წარუმატებლობას, სხვა დამატებით ფაქტორებთან ერთად.

„ტრანსპორტირებადობის უნარიანობის“ ერთ-ერთი სპეციფიკური შემთხვევა ეხება ჩარევას ერთი და იმავე ქვეყნის (რომელშიც ყველა საერთო ეროვნულ-კულტურულ მახასიათებლებს იზიარებს) სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში. მდპ-ის, მდრ-ის გავრცელებასა და გამოყენებაზე ჩატარებულ კვლევებში წინ წაწევა გამოიწვია წინააღმდეგობებმა, რომლებიც ახლდა იმის გარკვევას, უნდა შეიქმნას თუ არა განსხვავებული პროგრამები სხვადასხვა ეთნიკური წარმომადგენლობის ჯგუფებისთვის, მათ საჭიროებებზე უფრო ეფექტიანად რეაგირებისათვის.

ეთნიკური განსხვავებები დიდი გამოწვევაა სოციალური მუშაობისთვის დასავლეთის ქვეყნებში, რომლებშიც მდპ და მდრ განვითარდა და ძირითად მოსახლეობაზე დაიტესტა. მაგალითად, მინდობით აღზრდაზე ჩატარებულმა ემპირიულმა კვლევამ გამოავლინა განსხვავებული შედეგები ეთნიკურ ჯგუფებში და არა აუცილებლად მენისტრიმული ჯგუფების სასარგებლოდ (Burkas, 2008 in Soydan&Palinkas, 2014); მეორე კვლევამ ცხადყო, რომ ლათინოამერიკელ და თეთრკანიან მინდობით აღსაზრდელებში უფრო მაღალია სიკვდილობა, ვიდრე მათ თანამედროვეებს შორის მთლიან მოსახლეობაში, თუმცა აფროამერიკელი ბავშვების სიკვდილობა მინდობით აღზრდაში იდენტურია საერთო მოსახლეობის მაჩვენებლებისა (ბარტი და ბლექველი, 1998). კიდევ ერთ კვლევაში ჯონსონ-რეიდმა და ბარტმა (Jonson-Reid, Barth, 2000 in Soydan&Palinkas, 2014) აღმოაჩინეს,

რომ მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრის რისკი აფროამერიკელ მინდობით აღსაზრდელებში უფრო მაღალია, ვიდრე ლათინოამერიკელ და თეთრკანიან ბავშვებში, პირველი განთავსებისას ბავშვის ასაკის, სქესის, განთავსების ისტორიის კონტროლის პირობებში.

კიდევ ერთმა მეტაანალიტიკურმა კვლევამ, რომლის მიზანი იყო იმის დადგენა, თუ რამდენად ეფექტიანია მეინსტრიმული ანტისოციალური ქცევის დაძლევისაკენ მიმართული პროგრამები, რამდენად შესწევთ მათ უნარი, აკადემიური მოსწრება ან თანასწორთა შორის ურთიერთობები გააუმჯობესონ, ან სხვა პოზიტიური ცვლილებები გამოიწვიონ ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფებში, ნათელყო, რომ ეფექტი მთლიანობაში იდენტური იყო ყველა ეთნიკური ჯგუფისთვის, სტატისტიკურად უმნიშვნელო განსხვავებით მიწოდებული მომსახურებების ტიპებს შორის. ამ კვლევის შედეგების წარმოდგენა უილსონმა და კოლეგებმა (Wilson et al., 2003 in Soydan&Palinkas, 2014) 305 კვლევის სინთეზირებით მოახდინეს.

ახალ ქვეყანაში ეფექტიანი ჩარევის წარდგენის, გავრცელების, განხორციელებისა და მდგრადობის განმსაზღვრელი არის ამ ქვეყნის ღიაობა და მზაობა ინოვაციური ჩარევებისთვის. პალინკასი და სოიდანის (2012) წარმოგვიდგენენ, სულ მცირე, 4 დონეს, რომლებზეც „გადათარგმნა“ ხდება:

1. დიდი სისტემები და მაკროგარემო, რომლებიც განსაზღვრავს მომსახურებების მიწოდებისა და მიღების კულტურულ განზომილებებს;
2. ორგანიზაციული დონე, რომელზეც მიზნის მიღწევის გეზი და პროცედურებია ფორმირებული;
3. ჯგუფის ან გუნდის დონე, რომელზეც ინტერაქციის სხვადასხვა პატერნი ხორციელდება, პრიორიტეტები იკვეთება და საქმიანობები ნაწილდება;
4. ინდივიდუალური დონე, რომელზეც მომსახურების მიმღებისა და პრაქტიკოსის ურთიერთობა ხორციელდება და მოლოდინები, ფასეულობები და უპირატესობები, რომლებიც განსაზღვრავს მომსახურების მიმღების დამოკიდებულებას ჩარევისადმი.

გეოგრაფიული მახასიათებლები, ენა, რელიგია და ისტორიულად იდენტური მოვლენები შეადგენს კულტურულ განმსაზღვრებლებს, რომლებიც ქვეყნის რეზიდენტებს ინოვაციებზე იდენტური რეაგირებისკენ უბიძგებს. ჰოფსტიდი (Hofstede, 1991 in Soydan&Palinkas, 2014), ამ სფეროს მკვლევარი, გამოყოფს 4 მახასიათებელს, რომლებიც ქვეყნებს კულტურული ნიშნით განსხვავებს:

1. ძალაუფლებითი დისტანცია იერარქიის საფეხურზე მყოფთა შორის;
2. კულტურული აქცენტები კოლექტივიზმსა და ინდივიდუალიზმს შორის განსხვავებებზე;
3. გენდერული როლების დიფერენციაცია;
4. დაურწმუნებლობის არიდების ხარისხი.

ჩარევის წარმატების განმსაზღვრებელ ფაქტორებს შორის (ეროვნული, კულტურული, მტკიცებულებითი ინფორმაციის შესაბამისობა ქვეყნის მოსახლეობასთან, სოციალური მუშაობის სააგენტოების მზაობა, მიიღონ სიახლეები) ერთ-

ერთი უმთავრესია მომსახურების მიმღების, მისი ოჯახისა და თავად სოციალური მუშაკის დამოკიდებულება ჩარევისადმი.

VII. თავის შეჯამება

მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის მოდელი პროფესიონალებს ეხმარება პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებაში მუდმივცვალებად სოციალურ გარემოში. მდპ ჩვენს ხელთ არსებული საუკეთესო მტკიცებულების გამოყენების საშუალებას გვაძლევს იმ დაშვებით, რომ ეს მტკიცებულება არის არა ერთადერთი ჭეშმარიტება, არამედ მიზეზმდეგობრივ კავშირებზე დროებითი შეთანხმება (Soydan&Palinkas, 2014).

მდპ-ს ორი ძირითადი მნიშვნელობა აქვს: ერთი მიესადაგება ძლიერ ემპირიულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით განხორციელებულ ჩარევას, როცა „ძლიერი“ განისაზღვრება არა მხოლოდ როგორც გაზიარებული მეთოდოლოგიური სტანდარტი, არამედ მოცემულ ვითარებაში სპეციფიკური ცოდნისა და პრაქტიკის სანიმუშო მეთოდების გამოყენება; მეორე მნიშვნელობით ის გულისხმობს, მდპ-ზე დაყრდნობით განხორციელებულ ჩარევას კონკრეტული სოციოკულტურული კონტექსტის გათვალისწინებით (Soydan&Palinkas, 2014).

ავტორები ასხვავებენ მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკისა (მდპ) და პრაქტიკაზე დაფუძნებული კვლევის (პდკ) მეთოდებს. პირველი კვლევის დედუქციური მეთოდია ის, რომელიც უპირატესობას ანიჭებს რანდომიზებულ საკონტროლო კვლევებს. მას მეცნიერები იყენებენ მაშინ, როდესაც პდკ კვლევა პრაქტიკულ სიბრძნეზე დაფუძნებული ინდუქციური მიდგომაა, უარყოფს რანდომიზებულ საკონტროლო კვლევებს და მას პრაქტიკოსები ახორციელებენ.

მიუხედავად იმისა, რომ მდპ და პდკ ერთმანეთს არ ენაცვლებიან მრავალი მიზეზით, ორივე მიდგომა, სამეცნიერო დიზაინის, სტანდარტისა და სოციალური მუშაობის ჩარევის შედეგების განსაზღვრისადმი მათი დამოკიდებულების გამო, თანხმდება პროფესიული პრაქტიკისა და თავად პრაქტიკოსთა მნიშვნელობაზე. მაგალითად, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის კლასიკური განსაზღვრებით, პრაქტიკოსების პროფესიული განსჯა და უნარები პროცესის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. პრაქტიკოსის პროფესიული განსჯის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მდ პრაქტიკის პროცესში ყველა კომპონენტის ინტეგრირება და ჰარმონიზება, ე.ი., არც მდ პრაქტიკის განხორციელება იქნებოდა შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ მდპ გულისხმობს მომსახურების მიმღებთა ჩართულობასა და მათი მახასიათებლების გათვალისწინებას.

რუბინი და ბაბი (2011) აქცენტს აკეთებენ მდ პრაქტიკასა და მდ პროცესს შორის განსხვავებაზე. თუ პირველი მდპ-ის არაერთჯერადი ჩარევაა, რომელსაც ხშირად ემპირიული მონაცემებით მხარდაჭერილ ჩარევას უწოდებენ, მეორე ერთჯერადია, რომელიც კვლევითაა ინფორმირებული.

თავი გვაცნობს მდპ-ის განხორციელებისათვის ყველაზე შესაფერის მოდელს სოციალურ მუშაობაში – თემსა და ორგანიზაციაზე ორიენტირებულ მოდელს

(ARC-ის), რომელიც მდპ-ის განხორციელებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას სოციალურ კონტექსტს ანიჭებს. მოდელის ეფექტიანობა ხელს უწყობს მდპ-ის განხორციელებას და მომსახურების მიმღებთა მდგომარეობის გაუმჯობესებას (Soydan&Palinkas, 2014).

ავტორები (სოიდან და პალინკასი, 2014; რუბინი და ბაბი, 2011) მდპ-ის გამოყენების სტანდარტად ხუთსაფეხურიან მოდელს გვთავაზობენ, რომლის:

- პირველი საფეხური – ადვილად საპასუხო კითხვის ფორმირებაა;
- მეორე საფეხური – მტკიცებულების მოძიებაა;
- მესამე საფეხური – მტკიცებულების ხარისხის კრიტიკულად შეფასებაა;
- მეოთხე საფეხური – მტკიცებულებისა და კლიენტის თავსებადობაა;
- მეხუთე საფეხური – შედეგისათვის შეფასებაა.

თავში წარმოდგენილია კვლევის იერარქიის სისტემა მტკიცებულების შეფასებისათვის (Rubin&Babbies, 2011, Soydan&Palinkas, 2014). ამ იერარქიის მიხედვით, ყველაზე მაღალ საფეხურზე სისტემური მიმოხილვა ან მეტაანალიზია. სისტემატური მიმოხილვები (და მიმოხილვებში წარმოდგენილი მეტაანალიზი) ქმნის ყველაზე ძლიერ და სარწმუნო მტკიცებულებას, რადგან ის ერთზე მეტი კვლევის შედეგს მოიცავს. მეტ მტკიცებულებას კი მეტი ნონა აქვს.

თავში ვეცნობით, ასევე, მიზეზშედეგობრივი ურთიერთობის შინაგანი და გარეგანი ვალიდობის განმაპირობებელ, ხელშემწყობ და ხელშემშლელ ფაქტორებს. პირველზეა საუბარი, თუ ყველა სხვა ფაქტორი, რომელსაც შეეძლო შედეგის გამოწვევა, გათვალისწინებულია და მიზეზსა და შედეგს შორის კავშირი დამყარებულია. ნებისმიერი სხვა ფაქტორის გამოჩენა, რომელმაც შესაძლოა, იგივე შედეგი გამოიწვიოს, მიჩნეულია საფრთხედ შინაგანი ვალიდობისთვის; ხოლო მეორე კიდევ უფრო მეტ ძალისხმევას მოითხოვს ჩვენგან, რადგან მდპ-ის საზღვრებს მიღმა განხორციელებას მუდმივცვალებად სოციალურსა და კულტურულ გარემოში კულტურულად მგრძობიარე მახასიათებლების იდენტიფიცირება სჭირდება. ეს კი არცთუ ისე ადვილი ამოცანაა.

თავი გვაცნობს ორი კატეგორიის მტკიცებულებას: გლობალურსა და ლოკალურს. პირველი გარეგანია და სააგენტოს ან იურისდიქციის გარეთ წარმოიშობა. ის ეფუძნება სამეცნიერო ხარისხის სტანდარტებს (მაგ., RTC-ს) და ხაზს უსვამს ერთი ქვეყნიდან მეორეში მიგრებების განზოგადებისუნარიანობას; მეორე, კი, პირიქით, ინტერნალურია, სააგენტოში ან იურისდიქციაში წარმოიშობა, ეფუძნება პერსონალურ გამოცდილებას, ხაზს უსვამს მოსახლეობისა და მისი საჭიროების სპეციფიკურობას. პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები უფრო მიდრეკილნი არიან ლოკალური მტკიცებულებების გამოყენებისაკენ, რადგან ისინი უფრო ნაცნობი და ხელშესახებია, თუნდაც რომ არ შეეფერებოდნენ ხარისხის იმავე სტანდარტებს. მათ აკლიათ გარეგანი ვალიდობა.

სოციალურ მუშაობაში მდპ-ის დანერგვაზე გარკვეული წნეხისა და მისი გამოყენების ხელშემწყობი ფაქტორების მიუხედავად, მის განხორციელებას წინააღობებიც ახლავს. ერთ-ერთი წინააღობაა მკვლევარსა და მომსახურების მიმწოდე-

ბელს შორის არსებული სუსტი კავშირები. არადა, მეცნიერები სტატისტიკით ინფორმირებულ ექსპერიმენტებს სწორედ პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის მიერ მიღწეულ შედეგებზე დაყრდნობით აწარმოებენ. პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი ცოდნის მიმღები უფროა (მტკიცებულების), ვიდრე პარტნიორი ინფორმაციის გაზიარებაში. ეს ნაპრალი კვლევასა და პრაქტიკას შორის თანამშრომლობის სისუსტის შედეგია, რის ასახსნელადაც რამდენიმე მიზეზი სახელდება სოციალურ მუშაობაში: ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ინდივიდუალური პრაქტიკა, ჩვეულებრივ, მიმართულია სპეციფიკური პრობლემის მოგვარებისაკენ, მაშინ როცა კლიენტი სოციალურ მუშაკთან მრავალი პრობლემით მოდის. შესაბამისად, მომსახურებაც მხოლოდ ამ ერთ საკითხზე ორიენტაციით ფასდება, ხოლო თუ მომსახურების მიმღებთა პრობლემების მთელი ნაირგვარობა აისახება მათთვის შეთავაზებულ მომსახურებაში, ეს მდპ-ის განხორციელებისთვის იქნება ხელშემშლელი ფაქტორი;

მეორე ხელშემშლელი ფაქტორია კონსენსუსის არარსებობა იმის თაობაზე, თუ რისგან შედგება საჭირო და თვითკმარი მტკიცებულება, რათა შევძლოთ მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდება კლიენტისათვის. ერთთა აზრით, ყველა მტკიცებულება უნდა შეფასდეს ოქროს სტანდარტთან, რანდომიზებული საკონტროლო ცდებთან (RCTs-თან) მიმართებით, შესრულდეს უმაღლესი სიმკაცრით ვალიდობისა და სანდოობისთვის; მეორეთა მოსაზრებით კი, სტანდარტი აუფასურებს მტკიცებულების სხვა ფორმას, განსაკუთრებით მტკიცებულებას, რომელიც თვისებრივი მეთოდით ან პირადი გამოცდილებითაა მიღებული, მაშინაც კი, თუ ეს მეთოდები ვალიდობისა და სანდოობის იმავე სტანდარტს მიესადაგება.

როსენი (2003) გვაცნობს კვლევაზე დაფუძნებული მიდგომების პრაქტიკაში გამოყენებაზე ზეგავლენის განმაპირობებელ ფაქტორებს, ესენია: ცოდნის მახასიათებლები; პრაქტიკის განხორციელების ადგილის მახასიათებლები; პრაქტიკოსის მახასიათებლები; მეთოდის მახასიათებლები, რომელთა საშუალებითაც ცოდნა პრაქტიკაში გამოიყენება; და სოციოკულტურული კონტექსტი, რომელშიც ის გამოიყენება.

თავი გვაცნობს კვლევის ინსტრუმენტულსა და კონცეპტუალურ მოდელს. პირველში მტკიცებულება ინსტრუქციულია გადანყვეტილებისთვის, მაშინ, როდესაც მეორე მასზე ფიქრს უკავშირდება; პირველის მთავარი მახასიათებელია გადანყვეტილება, მეორის კი ინფორმირების პროცესი – კოგნიტური მოდელი იმის გამოსათვლელად, თუ რა დრო სჭირდება დავალების/ამოცანის შესრულებას. ინსტრუმენტული მოდელი ფოკუსირდება კვლევის მტკიცებულების გამოყენების შედეგზე, კონცეპტუალური მოდელი კი – მტკიცებულების გამოყენების პროცესზე (Kennedy, 1984 in Soydan&Palinkas, 2014).

მიუხედავად წარმოდგენილი კონტრავერსიებისა, უნდა გვახსოვდეს, რომ, მტკიცებულებებით გაჯერებული პრაქტიკის მიწოდების გარეშე, სოციალური მუშაკი ექსპერიმენტს ატარებს, რომლის შედეგიც არ იცის, ე.ი. უგულებელყოფს ეთიკურ მოსაზრებებს. ის ვერ იქნება დარწმუნებული, რომ იცავს ეთიკის უმთავ-

თავი II. რატომ არის მნიშვნელოვანი მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკა სოციალურ მუშაობაში

რეს პრინციპს: „არ ავნო“ მომსახურების მიმღებს. მდპ პროფესიულ გაურკვევლობებთან გამკლავების ერთგვარი ეთიკური საშუალებაა. ის პირდაპირაა დაკავშირებული სოციალური მუშაობის ეთიკის კოდექსთან (Soydan&Palinkas, 2014).

VIII. ძირითადი კითხვები/ან კითხვები რეფლექსიისთვის

1. მდპ-ის განხორციელების ბარიერებიდან, თქვენი აზრით, რომელი არის ყველაზე რთულად გადასალახავი ჩვენს რეალობაში?
2. ერთი ძლიერი მტკიცებულებით განმტკიცებული ჩარევა უფრო ფასეულია, თუ რამდენიმე სუსტი კვლევით მხარდაჭერილი?
3. როგორ გადავლახოთ მდპ-ის გამოყენებასა და მდგრადობის შენარჩუნების ირგვლივ არსებული გამოწვევები?
4. რომელი კვლევები ქმნის ყველაზე ღირებულ მტკიცებულებას?
5. რით განისაზღვრება მტკიცებულების ღირებულება?

IX. სავარჯიშოები

სავარჯიშო N1

თქვენ გაინტერესებთ ეფექტიანი ჩარევები ადრეული ქორწინების პრევენციისათვის. გჭირდებათ მტკიცებულებით ინფორმირებული პრაქტიკა. როგორ დაიწყებთ პრობლემის ფორმულირებას ძიების დაწყებამდე?

სავარჯიშო N2

კოლეგამ გაგიზიარათ საინტერესო მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკა ადრეული ქორწინების შედეგად პოსტტრავმულ სტრესთან გამკლავების მექანიზმებზე. თქვენ ამ პრაქტიკის ჩვენს ქვეყანაში დანერგვა მოისურვებთ. რა ფაქტორების გათვალისწინება გჭირდებათ ინტერვენციის განხორციელებამდე?

გამოყენებული ლიტერატურა

Huang, Y. (2009). A Reflection on Reasons, Preconditions, and Effects of Implementing Evidence-based Practice in Social Work. *Social Work*, 54 (2):177-81.

Mullen, E.J., Shulluk, J. (2011). Outcomes of Social Work Intervention in the Context of Evidence-based Practice. *Journal of Social Work*, 11(1):49-63. SAGE.

Rubin, A. (2011). Teaching EBP in Social Work: Retrospective and Prospective. *Journal of Social Work* 11(1):64-79.SAGE.

Rubin, A., Babbies, E.R. (2011). *Research in Social Work*, Boos/Cole Cengage Learning.

Soydan, H., Palinkas, L. (2014). *Evidence-based Practice in Social Work: Development of a New Professional Culture*. Routledge.

Stamey, J., Sherr, M.E., Williams, N.J. (2011). Bayesian Analysis for Evidence-based Practice in Social Work. *Social Work Research*, 35(1):46-52. Oxford University Press.

თავი III

პროფესიული ღირებულებები და ეთიკური საკითხები კვლევაში

შესავალი

წინამდებარე თავში განვიხილავთ სოციალური მუშაობის კვლევის ეთიკის სტანდარტებს პროფესიული ეთიკის სტანდარტების ფონზე. წარმოვაჩინოთ ეთიკის მნიშვნელობას კვლევის განხორციელების სხვადასხვა ფაზაში გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მიმოვიხილავთ ყველაზე გავრცელებულ ეთიკურ დილემებს რეალური და არარეალური სიტუაციების განხილვის ფონზე. შევეცდებით, წარმოვადგინოთ, კვლევის რომელ ეტაპზე დგას ეთიკური გამოწვევების წინაშე სოციალური მუშაკი უფრო ხშირად. გავაშუქებთ პროფესიული ფასეულობების თავსებადობას იდეოლოგიურ შეხედულებებთან. გავიაზრებთ კვლევის პროცესის ზეგავლენას სხვადასხვა დაუცველ ჯგუფზე და მკვლევრის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ეთიკურ მიზანშეწონილობას.

I. ეთიკის კოდექსის შექმნის ისტორია

აღამიანებთან დაკავშირებული კვლევების ირგვლივ ეთიკური საკითხები იყო და არის კიდევ აქტუალური. ამას ბევრი მიზეზი აქვს. ამ უკანასკნელთა შორის კი ისტორიის ის პერიოდებია, როდესაც არათუ ეთიკური, არამედ ჰუმანური სტანდარტების დაცვაც კი არ ხდებოდა. ამის ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული მაგალითია წინა საუკუნეში განხორციელებული ჰოლოკოსტის ექსპერიმენტი, რომელშიც, სამწუხაროდ, სწორედ მხარდამჭერი პროფესიის წარმომადგენლები იყვნენ აქტიურად ჩართულნი. ეს პერიოდი კი არც ისე შორია, ისტორიისათვის კი მით უფრო (Rubin&Babbie, 2011).

ასეთივე არაეთიკური და დაუნდობელი კვლევა განხორციელდა 1932 წელს ალაბამაში, როდესაც ათაშანგით დაავადებულებს ტესტირების შედეგები არ გაცნეს და მათ ცრუ მიზეზით მკურნალობას სთავაზობდნენ, თან მაშინ, როდესაც უკვე გამოგონილი იყო ათაშანგის მკურნალობის წამალი. მკვლევრები კი ამ დროს აკვირდებოდნენ დაავადების პროგრესირებას. ამ ექსპერიმენტს დიდი გამოხმაურება არც მოჰყოლია, მისადმი ბევრი კითხვისა და კრიტიკის მიუხედავად, სანამ 1965 წელს აშშ-ის სამხედრო სამსახურში მომუშავე სოციალურმა მუშაკმა არ დააყენა ამ ექსპერიმენტის საკომიტეტო მოსმენაზე განხილვის საკითხი სენატში 1972 წელს. უნდა გვახსოვდეს, რომ ეთიკური პასუხისმგებლობები გვაკისრია

არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ვახორციელებთ კვლევას, არამედ მაშინაც, როდესაც თავს ვიკავებთ ასეთი კვლევით ნაკარნახევი პრაქტიკის განხორციელებისგან (Rubin&Babbie, 2011).

ეთიკის კოდექსთა უმრავლესობა შეიქმნა პროფესიის განვითარებიდან ათი წლის შემდეგ. უფრო ხშირად ეს პროფესიული ასოციაციის დაფუძნების თანმდევი პროცესია. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ის 1960 წელს შეიქმნა, გაერთიანებულ სამეფოში – 1970 წელს, სამხრეთ აფრიკაში – 1980 წელს, ხოლო გერმანიასა და ესპანეთში – 1990 წელს, რაც საგრძნობლად დაგვიანებულია პროფესიის განვითარების თითქმის საუკუნოვანი ისტორიის ფონზე ზოგიერთ ამ ქვეყანაში (Weiss-Gal & Welbourne, 2008). საქართველოში ეთიკის კოდექსი შეიქმნა საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის დაარსებისთანავე, 2005 წელს.

ზოგიერთ ქვეყანას სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციის ეთიკის კოდექსის საფუძველზე აქვს ფორმირებული ეროვნული ეთიკის კოდექსი, მაგალითად: გერმანიას, შვედეთს, ესპანეთს. ზოგიერთ ქვეყანას კი დამოუკიდებელი ეროვნული ეთიკის კოდექსიც აქვს შექმნილი. ასეთი ქვეყნებია, მაგალითად: აშშ, გაერთიანებული სამეფო და უნგრეთი. არიან ქვეყნები, რომლებშიც რამდენიმე სხვადასხვა პროფესიულ ორგანიზაციას სხვადასხვა კოდექსი აქვს ფორმირებული და მათი გაერთიანება ვერა და ვერ ხერხდება. ასეთი ქვეყანაა, მაგალითად, ინდოეთი (Weiss-Gal & Welbourne, 2008).

კოდექსი სხვადასხვაგვარადაა სანქცირებული სხვადასხვა ქვეყანაში. ამას პროფესიის რეგულირების საკითხიც განსაზღვრავს. მაგალითად, სამხრეთ აფრიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ის სანქცირებულია, რადგან პროფესია რეგულირებადია. ეს კი ნიშნავს, რომ მისი დარღვევა ექვემდებარება ლიცენზიის შეჩერებას ან ჩამორთმევას. ქვეყნებში, რომლებშიც პროფესიის რეგულირება სავალდებულო რეგისტრაციით შემოიფარგლება, ეთიკური ნორმების დარღვევა დერეგისტრაციას იწვევს; სხვა ქვეყნებში ის დეკლარაციული ხასიათისაა (Weiss-Gal & Welbourne, 2008). ამ წიგნის მომზადებისას კოდექსი არ არის სავალდებულო დოკუმენტი, თუმცა 2018 წელს მიღებული სოციალური მუშაობის შესახებ კანონის მიხედვით, ის ექვემდებარება დარეგულირებას.

იშვიათად თუ წააწყდებით, უფრო სწორად, ვერ წააწყდებით ეთიკის კოდექსს, რომელიც არ მოუწოდებდეს სოციალურ მუშაკებს გაძლიერებაზე ფოკუსირებულ მიდგომას, ძალაუფლებით აღჭურვაზე ორიენტაციას, მონაწილეობის ხელშეწყობას, კომპეტენტურობას, ანგარიშვალდებულებას. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, სოციალური მუშაობის მომსახურების მართვაში უნდა იყოს ინკორპორირებული (Healy, 2010).

პელედმა და ლიჩენტრიტმა განსაზღვრეს სოციალური მუშაობის კვლევის, განსაკუთრებით კი თვისებრივი კვლევის, ხუთი ეთიკური სახელმძღვანელო პრინციპი (Peled &Leichtentritt, 2002):

1. კვლევის ეთიკა კვლევის თითოეული ეტაპის განუყოფელი ნაწილია;
2. ეთიკური კვლევა ძალაუფლებით აღჭურავს მონაწილეებს, განსაკუთრებით, სოციალურად დაუცველ, ხმის უფლების არმქონე ადამიანებს/ჯგუფებს;

3. ეთიკურ კვლევას სარგებელი მოაქვს მონაწილეებისათვის;
4. ეთიკური კვლევა „არ ავნო“ პრინციპს იცავს როგორც უშუალოდ მონაწილეების, ასევე მათთან დაკავშირებული პირების მიმართ (მაგალითად, ოჯახის წევრები);
5. ეთიკური კვლევა მკვლევრისგან ტექნიკურ კომპეტენციებს ითხოვს.

II. ეთიკის მნიშვნელობა სოციალური მუშაობის კვლევაში

სოციალური მუშაკის წინაშე მრავალი ეთიკური საკითხი დგას, იქნება ეს ინდივიდუალური უფლებებისა და კეთილდღეობის, საზოგადოებრივი კეთილდღეობის თუ თანასწორობისა და ჩაგვრის საკითხი (მეისი, 2008 შატერაშვილთან 2011). უმრავლეს შემთხვევაში, სამივე საკითხი ერთდროულადაც კი წამოიჭრება ხოლმე. სწორედ სხვადასხვა ეთიკური პრინციპის დაბალანსება არის მთავარი პროფესიული თავსატეხი სოციალური მუშაკისათვის. ამიტომაცაა სოციალური მუშაობა რთული პროფესია, პასუხისმგებლობების უამრავი შრით.

სოციალური მუშაკის საქმიანობა, იქნება ეს უშუალო, პირისპირ ურთიერთობა მომსახურების მიმღებთან თუ მათთან ირიბად ურთიერთობა სოციალურ პრობლემებზე მუშაობით, ნებისმიერ კონტექსტში, გამყარებული უნდა იყოს იმ ფუნდამენტური და უმნიშვნელოვანესი პრინციპით „პიროვნების პატივისცემის“ შესახებ, რომელიც კანტისეულ „კატეგორიულ იმპერატივად“ იწოდება (მეისი, 2008 შატერაშვილთან 2011:40):

„მოიქეცი ისე, რომ კაცობრიობა, როგორც შენი, ისე ყოველი სხვა პიროვნების სახით, შენთვის მუდამ იყოს მიზანი და არასდროს – მხოლოდ საშუალება“.

ეს კი ნიშნავს, რომ განურჩევლად იმისა, უშუალო პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი ხარ, მაკროპრაქტიკოსი, მკვლევარი თუ პედაგოგი, ადამიანის ღირსებასა და თავისუფლებას, არჩევანის უფლებას მუდამ პატივს უნდა სცემდე და ანგარიშს უწევდე. ადამიანი არის არსება, რომელსაც აქვს რაციონალური აზროვნებისა და თვით დეტერმინიზმის უნარი. კანტი ერთ-ერთ კატეგორიულ იმპერატივში სწორედ მორალური განსჯის მნიშვნელობას უსვამს ხაზს (მეისი, 2008 შატერაშვილთან, 2011:38):

„იმოქმედე იმ პრინციპით, რომელიც, თანახმა იქნები, იქცეს უნივერსალურ ჭეშმარიტებად“.

ეთიკური ქცევის რამდენიმე პარადოქსით გამოწვეული პრობლემები სოციალური მუშაკის პრაქტიკის ყოველდღიურობაა. მთავარი პარადოქსი, რასაკვირველია, მომდინარეობს პროფესიის სამმაგი მანდატიდან: მისი პასუხისმგებლობიდან კლიენტისა და საზოგადოების წინაშე; მისი პროფესიული ვალდებულებიდან – მეცნიერულ საფუძველზე ფორმირებული ქმედებების სახელმძღვანელო პრინციპებიდან; და პროფესიული ეთიკიდან გამომდინარე (Staub-Bernasconi, 2009).

ამის გარდა, კიდევ რამდენიმე პარადოქსია, მშვიდად ყოფნის საშუალებას რომ არ იძლევა. ამ თავში ჩვენ მოგვინევეს მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე შეჩერება, რომლებიც კვლევასთან მეტადაა დაკავშირებული: თვითალიარება, როგორც საჭირო და, ამავე დროს, სარისკო ქცევა კლიენტის მხრიდან; თანასწორობა და სამართლიანობა (Weinberg, 2016); მომსახურების მიწოდება მყისიერად თუ მისი ხარისხის ნიშნის მიხედვით შეფასების შემდეგ.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ პროფესიული ეთიკის კოდექსი, როგორც ზემოთ აღინიშნა, 2005 წელს შექმნა¹. კოდექსი ამკვიდრებს პროფესიული ეთიკის პრინციპებსა და სტანდარტებს, რომლებითაც თითოეულმა სოციალურმა მუშაკმა უნდა ვიხელმძღვანელოთ, განურჩევლად იმისა, საველე სამუშაოებს ვახორციელებთ თუ მაკროპრაქტიკას, კვლევით საქმიანობას თუ აკადემიურს. კოდექსი გვეხმარება ეთიკური პრობლემების გადაჭრაში და საშუალებას გვაძლევს, ჩვენივე პროფესიული ქცევის ეთიკურობა შევაფასოთ.

კოდექსი ეფუძნება სოციალური მუშაობის ძირითად ფასეულობებს: სოციალურ სამართლიანობას, პიროვნების ღირსებას, ადამიანთშორის ურთიერთობებს, საზოგადოების ერთიანობასა და პროფესიულ კომპეტენტურობას. კოდექსი ექვს სტანდარტს აყალიბებს და წარმოადგენს ეთიკურ პასუხისმგებლობებს: კლიენტისა და კოლეგების მიმართ, სამუშაო ადგილზე, თავად სოციალური მუშაკის, სოციალური მუშაობის პროფესიისა და ფართო საზოგადოებისადმი (სოციალური სამუშაოს ეთიკის კოდექსი, 2006).

კვლევის სტანდარტები მოექცა N5 სტანდარტის ფარგლებში. წარმოგიდგინებ სტანდარტის N5.02 პუნქტის ზოგიერთ ქვეპუნქტს:

„5.02/ბ: პროფესიული ცოდნის წყაროების გამდიდრების მიზნით, სოციალურმა მუშაკმა პოპულარიზაცია უნდა გაუწიოს კვლევას სოციალურ მუშაობაში.

5.02/გ: სოციალური მუშაკი კრიტიკულად უნდა მიუდგეს სოციალური სამუშაოს სფეროში აღმოცენებულ სიახლეებს და უნდა შეისწავლოს ისინი. სოციალური მუშაკი ვალდებულია, გამოიყენოს შეფასების მეთოდები და კვლევის შედეგები პროფესიულ პრაქტიკაში.

5.02/ე: შეფასების/კვლევის განმახორციელებელმა სოციალურმა მუშაკმა კვლევის ყველა მონაწილისაგან უნდა მიიღოს კვლევაში ნებაყოფლობით მონაწილეობაზე წერილობითი თანხმობა [...]

5.02/ზ: სოციალურმა მუშაკმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაგვემოს ან აწარმოოს კვლევა/შეფასება თანხმობის პროცედურების შესრულების გარეშე ან ისეთი კვლევა, როგორცაა, მაგალითად, ნატურალისტური დაკვირვებისა და საარქივო კვლევის გარკვეული ფორმები. ასეთი რამ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, თუ არსებობს ძლიერი მტკიცებულება იმისა, რომ მსგავსი კვლევა გამართლებულია შესაძლო სამეცნიერო, საგანმანათლებლო და ან სხვა მნიშვნელოვანი

¹ კოდექსი 2006 წელს დაიბეჭდა „ფონდი ღია საზოგადოების“ მხარდაჭერით.

ღირებულების გამო და რომ არ არსებობს სხვა ასეთი ეფექტური ალტერნატიული პროცედურა, წერილობითი თანხმობის მოპოვების პირობებში.

5.02/თ: სოციალურმა მუშაკმა კვლევის/შეფასების მონაწილეებს უნდა შეატყობინოს, რომ მათ ნებისმიერ დროს შეუძლიათ შეწყვიტონ მონაწილეობა კვლევაში ყოველგვარი ჯარიმის გარეშე.

5.02/კ: კვლევის/შეფასების განმარტებულმა სოციალურმა მუშაკმა მონაწილეები უნდა დაიცვას ფიზიკური თუ გონებრივი სტრესის, კვლევასთან ასოცირებული სხვადასხვა სახის ზიანისა და საფრთხისაგან.

5.02/მ: კვლევის/შეფასების განმარტებულმა სოციალურმა მუშაკმა უნდა უზრუნველყოს მონაწილეთა კონფიდენციალურობა ისევე, როგორც მათგან მოპოვებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა. სოციალური მუშაკი ვალდებულია კვლევის მონაწილეებს შეატყობინოს იმ შეზღუდვების შესახებ, რომლებიც მათ კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით არსებობს. მან ასევე უნდა შეატყობინოს მონაწილეებს, თუ რა ზომები იქნება მიღებული მათი კონფიდენციალურობის დასაცავად და როდის მოხდება კვლევის ჩანაწერების ლიკვიდაცია.

5.02/ნ: კვლევის/შეფასების ანგარიშის მომზადებისას სოციალური მუშაკი ვალდებულია, არ გამოააშკარაოს მონაწილეთა კონფიდენციალური ინფორმაცია იმ შემთხვევაში, თუ მას არ აქვს მოპოვებული თანხმობა მონაწილისგან ინფორმაციის საჯაროობაზე.

5.02/ყ: სოციალურმა მუშაკმა უნდა გაიღრმავოს ცოდნა კვლევის პრაქტიკის ეთიკასთან დაკავშირებით და უნდა გაუზიაროს იგი სტუდენტებსა და კოლეგებს.“

როგორც ხედავთ, სტანდარტი ხაზს უსვამს კვლევაში ნებაყოფლობითი მონაწილეობის, კონფიდენციალურობის, მონაწილეთა ინფორმირებულობის ვალდებულებებს, მკვლევრის პასუხისმგებლობას კვლევის ანგარიშის მომზადებისას; ის ასევე წარმოადგენს კვლევაში მონაწილეობის შეწყვეტის უფლებას, კონფიდენციალურობის შეზღუდვების შესახებ შეტყობინების ვალდებულებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სტანდარტი წარმოადგენს მისგან გადახვევის შესაძლო მიზეზებსა და/ან დასაშვებ ნორმებს.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ 2007 წელს სოციალური მუშაობის პროფესიული სტანდარტებიც მოამზადა. დოკუმენტის მიზანია სოციალური მუშაკების დახმარება პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებაში პროფესიულ ფასეულობებსა და ეთიკის სტანდარტებზე დაყრდნობით. ის წარმოადგენს სოციალური მუშაობის პრაქტიკის ძირითადი მიმართულებებისა (როგორებიცაა: სოციალური პოლიტიკა, სოციალური მომსახურების ადმინისტრირება, კვლევის მეთოდები, უშუალო პრაქტიკა) და სოციალური მუშაობის საქმიანობის სფეროების სტანდარტებს (როგორებიცაა: მუშაობა ბავშვებთან და მოზარდებთან, ჯანდაცვის სისტემის პაციენტებთან, ნივთიერებებზე დამოკიდებულ პირებთან და ა.შ.). დოკუმენტი ცალკე სტანდარტად წარმოადგენს „პრაქტიკის სტანდარტებს

სოციალური მუშაობის კვლევის წარმოებისთვის“. სტანდარტი ხუთპუნქტიანია და ხაზს უსვამს ეთიკისა და კომპეტენციის საკითხებს, განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის წარმოებაზე (ამ უკანასკნელზე წინა თავში ვისაუბრეთ) (სოციალური სამუშაოს პროფესიული სტანდარტები, 2007).

უმრავლეს ეთიკის კოდექსში ნათლადაა სოციალურ მუშაკთა ეთიკური ვალდებულებები ასახული, თუმცა ბევრი კოლეგისაგან გვსმენია, რომ, მიუხედავად ამისა, პრაქტიკის განხორციელების ადგილას ეთიკური ნორმების დაცვა რთულდება. ეთიკური სოციალური მუშაობის განხორციელებისთვის ორგანიზაციული კლიმატის მნიშვნელობაზე ბევრს საუბრობენ. მის ფორმირებაზე პასუხისმგებლობა ხაზგასმულია სოციალური მუშაობის საერთაშორისო თუ ეროვნულ ეთიკის კოდექსებში (Healy, 2010). ამაზე ბევრი კოლეგა წერს, საუბრობს, მაგრამ პრობლემა პრობლემად რჩება. ამის მიზეზად სხვადასხვა ახსნას გვთავაზობენ. ზოგიერთი ავტორი თავად პროფესიის მრავალმანდატიანობას ასახელებს, განსაკუთრებით, როდესაც უშუალო პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი სახელმწიფო სისტემაშია და საქმეებული და სახელმწიფო პოლიტიკის ბრმა აღმსრულებლად წარმოდგენია დამქირავებელს (იმედია, თავად სოციალური მუშაკი ასე არ ფიქრობს). ზოგიერთი კოლეგა ამას სოციოეკონომიკურსა და პოლიტიკურ ცვლილებებს მიანერს და/ან იდეოლოგიური პარადიგმების ცვლას მსხვერპლშენიერულ პროფესიად მიიჩნევს.

ბევრი სოციალური მუშაკის ხედვით, წინა საუკუნის პირმშო – მენეჯერიალიზმია არათავსებადი პროფესიულ ეთიკასთან. ჰილი ამტკიცებს, რომ, გარკვეული დოზით, შედეგებზე ორიენტირება და მათი გაზომვა მნიშვნელოვანია პრაქტიკის ეთიკური მართვისთვის ისევე, როგორც ქმედითობის ფაქტორის გათვალისწინება, მაგრამ მენეჯერული მიდგომა შეუძლებელს ხდის სოციალური მუშაობის სხვა ეთიკური სტანდარტების დაკმაყოფილებასაც. ეს გულისხმობს ადეკვატური რესურსებისათვის ადვოკატობას, თანამშრომლების პროფესიულ მორალსა და სოციალურ სამართლიანობაზე პასუხისმგებლობას. მისი აზრით, მენეჯერიალიზმი – როგორც მართვის მიდგომის პაკეტი – უნდა ჩანაცვლდეს მართვის სხვა მოდელით, რომელიც უფრო შეესაბამება პროფესიულ ეთიკას. ხშირად დავაა იმაზე, თუ რამდენად ეთიკურია ისედაც მწირი რესურსების უმიზნოდ და განუსაზღვრელად ფლანგვა, თუმცა ამაზე დავისას არ შეიძლება ის არ გვახსოვდეს, რომ უფრო არაეთიკურია რესურსების შემცირება ზრუნვის ხარისხის ხარჯზე (Healy, 2010).

რასაკვირველია, ეფექტიანი მართვა არ უნდა აგვერიოს მენეჯერიალიზმში. ის კომპეტენციის, როგორც ეთიკური იმპერატივის, კომპონენტად უნდა იქცეს. ის კოლეგებში ეთიკური შეცდომების არიდებისა და/ან შემცირების წინაპირობაა (Healy, 2010)). 1980-იანი წლებიდან ლამის დღემდე სოციალური მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციებში დაიწყო მათივე მთავარი ფუნქცია – იმ ადამიანების დახმარება, რომლებსაც ეს სჭირდებათ და საზოგადოებრივი პრობლემების შემცირება, თუ არ ან ვერ ხერხდება მათი ალაგმვა. მენეჯმენტის ეთიკის მთავარი თავსატკივარია ახლა ამ როლის დაბრუნება (Healy, 2010).

მზარდი სოციალური პრობლემები დიდი გამოწვევის წინაშე აყენებს არა მხოლოდ სოციალური მუშაკების კლიენტებს, არამედ თავად სოციალურ მუშაკებსაც. მათი პროფესიული პასუხისმგებლობა ამ სირთულეების ფონზე უნდა განხორციელდეს ჯეროვნად, რაც დიდი გამოწვევაა მათთვის როგორც პრაქტიკის, ისე კვლევის განხორციელებისას. დავინყოთ სულ თავიდან. სოციალური მუშაობის კვლევა ითხოვს ადამიანების პერსონალური მონაცემების გაცნობას. ეს კი ხშირად ისეთი ინფორმაციაა, რომელიც შესაძლოა, არც მათმა მეგობრებმა, არც ნათესავებმა ან ოჯახის წევრებმა იციან. სოციალურ მუშაკ-მკვლევრებს კი უწევთ ამ ინფორმაციის გამომზეურება. თქვენ იკითხავთ, ასეთი ინფორმაციის მოპოვება ხომ ყოველდღე უწევს პრაქტიკოს სოციალურ მუშაკს? ვერ შეგედავებით, ასეა – მათ სჭირდებათ ასეთი ინფორმაციის მოპოვება; მაგრამ განსხვავება ისაა, რომ ეს მათ კონკრეტული კლიენტის მომსახურებისვე ინტერესში სჭირდებათ. ეს კი ერთი და იგივე არ არის, მხოლოდ იმ ნიშნით თუ იგივეება, რომ ორივე ადამიანთა საერთო ინტერესებს ემსახურება და საზოგადოების კეთილდღეობისათვის ხორციელდება (Rubin&Babbie, 2011). ეს სწორედ ზემოთ ნახსენები ეთიკური ქცევის პარადოქსს უკავშირდება – თვითალიარება, როგორც საჭირო და, ამავე დროს, სარისკო ქცევა კლიენტის მხრიდან. ამიტომ სოციალურ მუშაკს დიდი დაფიქრება მართებს იმაზე, თუ როგორ მოიქცეს ეთიკურად – შეძლოს ამ ინფორმაციის კლიენტის საზიანოდ გამომზეურების არიდება და საზოგადოებისა და პროფესიული თემისთვის სასარგებლოდ გამოყენება.

სოციალური მუშაკების ბენეფიციარები შესაძლოა კვლევის პროცესში ფსიქოლოგიურადაც დაზიანდნენ. მათ ხშირად ისეთ კითხვებზე უწევთ პასუხების გაცემა, რომლებიც მათ ცხოვრების არასასიამოვნო მომენტებს ახსენებს ან არასახარბიელო მდგომარეობაში ყოფნის ეპიზოდებს უცოცხლებს მეხსიერებაში. მაგალითად, ადამიანი სასჯელს იხდის კანონსაწინააღმდეგო ქმედებისათვის ან მისი დამოკიდებულება მიმდინარე საზოგადოებრივი მოვლენებისადმი არ არის პოპულარული, ან მისი მდგომარეობა ღირსების შემლახავია. შესაძლოა, ისინი შემწეობის მიმღებნი არიან და ამას ისედაც განიცდიან, კვლევის ყოველი შეკითხვა კი მათ სწორედ ამას ახსენებს. უახლებს მათ ამასთან დაკავშირებულ უსიამოვნო გრძნობებს (Rubin&Babbie, 2011).

სოციალური მუშაობის კვლევამ შესაძლოა, მათში მათივე ხასიათისა თუ მდგომარეობის შტრიხები, დამოკიდებულებები თუ შეგრძნებები გააღვიძოს, რომლებიც მათ საერთოდ მივიწყებული აქვთ იმ მომენტისათვის. შესაძლოა, მკვლევარს ეს შეუმჩნეველიც დარჩეს, რადგან არც გაუმჟღავნოს მონაწილემ. რეტროსპექტიულად, შესაძლოა, ძველი საქციელი ამორალური ან უსამართლო აღმოჩნდეს მათთვის. დიდი შანსია, ეს უხილავი უხერხულობები, რბილად რომ ვთქვათ, მონაცემების ანალიზისა და კვლევის ანგარიშის წარდგენისას განახლდეს, და თან ყოველ ჯერზე, რამდენჯერაც ამ კვლევას, წიგნს წაიკითხვენ ან მასზე ვინმე დაიწყებს საუბარს შეხვედრებზე, მედიაში თუ პრივატულად (Rubin&Babbie, 2011).

როგორც სოციალურ მუშაკს, თქვენ მრავალი ეთიკური ვალდებულება გაქვთ თქვენი კლიენტების წინაშე, როგორც უშუალო, ისე მაკროპრაქტიკისას, მაგრამ ეს არ გათავისუფლებთ კოლეგების წინაშე არსებული ვალდებულებებისაგან. ნებისმიერი მკვლევარისათვის ყველა სხვაზე უფრო ნათელია, რა არის კვლევის სუსტი მხარე ან ტექნიკური ხარვეზი. ამის შესახებ თქვენი მკითხველის ინფორმირება გმართებთ. არასწორია შეხედულება, რომ მხოლოდ წარმატებული კვლევების შესახებაა საჭირო საზოგადოების ინფორმირება. მეცნიერებაში იმის ცოდნა, რომ კორელაცია ცვლადებს შორის არ არსებობს, ისევე მნიშვნელოვანია, როგორც იმისა, რომ ორი ცვლადი კორელაციაშია. მაგალითად, თუ კვლევა აჩვენებს, რომ ჩარევამ არანაირი ეფექტი არ მოახდინა ბენეფიციარზე, განა მნიშვნელოვანი არ არის, პრაქტიკოსმა იცოდეს ეს, რომ ალტერნატიულ ჩარევაზე დაიწყოს ფიქრი (Rubin&Babbie, 2011).

წარმოიდგინეთ, ეძებთ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ კვლევას, რომელიც თქვენი კლიენტის საჭიროებების შესაბამისად ჩარევის განხორციელებაში დაგეხმარებათ. თქვენ იპოვეთ ერთი კვლევა, რომელიც ინტერვენციის ეფექტიანობაზე საუბრობს. დავარქვათ ამას ინტერვენცია X. ამ ინტერვენციის არაეფექტიანობა კი გამოვლინდა რამდენიმე კვლევაში, თუმცა ასეთი ანგარიში ვერ იპოვეთ. არავინ ჩათვალა საინტერესო მონაცემად ინტერვენცია X -ის ნულოვანი შედეგის გამომზეურებაა. თქვენ ინტერვენცია ეფექტიანი გგონიათ. არადა, ამ ანგარიშებში შესაძლოა, გაცილებით არაეფექტიან, უფრო კონსისტენტურ ინტერვენციებზე ყოფილიყო ინფორმაცია. წარმოიდგინეთ, რომ თქვენი კლიენტი აფროამერიკელია, ხოლო კვლევა, რომელიც თქვენ მოიძიეთ ინტერვენცია X-ზე, კავკასიური რასის წარმომადგენლებზე განხორციელდა. მაგრამ სხვა კვლევები, უარყოფითი შედეგებით, სწორედ აფროამერიკელებზეა განხორციელებული. კვლევის მიგნებების გამოუქვეყნებლობის უარყოფითი შედეგები, ეთიკური თვალსაზრისით, ნათელია. ეს თქვენ არაეფექტიანი ინტერვენციის განხორციელებისაკენ გიბიძგებთ (Rubin&Babbie, 2011).

ადამიანურად გასაგებია სურვილი, რომ წარმატებული კვლევა განხორციელოთ. ნულოვანი შედეგი არ ნიშნავს აუცილებლად იმას, რომ კვლევის პროცესი არასწორადაა წარმართული. თუმცა, შესაძლოა, ესეც იყოს მიზეზი. მკვლევარებმა უნდა აირიდონ ცდუნება, წარმოადგინონ საკუთარი პროდუქტი, როგორც გულდასმით დაგეგმილი ანალიტიკური სტრატეგია, როდესაც ეს ასე არ არის. ხშირად მიგნებებამდე მოულოდნელად მივდივართ, მიუხედავად იმისა, რომ რეტროსპექტიულად ადვილად და აშკარად დასაანახავია (Rubin&Babbie, 2011).

მიუხედავად მდპ-ის გამოყენების აუცილებლობის „თითქოსდა“ აღიარებისა სოციალური მომსახურებების მიწოდებისას, არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც. ეს მოსაზრებებიც ეყრდნობა მეტაანალიტიკურ კვლევებს, რომელთა მიხედვითაც, მომსახურების წარმატება დამოკიდებულია არა იმდენად ჩარევის მეთოდისა და ინსტრუმენტების შერჩევაზე, რამდენადაც კარგ თერაპიულ ურთი-

ერთობაზე კლიენტსა და სპეციალისტს შორის. ამას დიდი ფრინველის ვერდიქტი¹ უწოდა მეტაფორულად ლუბორსკიმ და კოლეგებმა 1975 წელს. ამ დაუსრულებელი დებატების პროცესში არაერთმა მეტაანალიზმა საპირისპირო დაამტკიცა და ცხადყო მდპ-ზე დაყრდნობის გარეშე განხორციელებული ჩარევების საზიანო ზეგავლენა ისეთ შემთხვევებზე მუშაობისას, როგორებიცაა, მაგალითად: შიზოფრენია, ოჯახური დისფუნქცია, კომუნიკაციის გაუმჯობესების პროგრამები ადამიანებთან აუტისტური სპექტრის აშლილობით და ა.შ. (Rubin, 2011; Mullen, Shulluk, 2011).

ამიტომ სოციალურ მუშაკს ბევრი ფიქრი მართებს ჩარევის დაწყებამდე, დიდი დროის დათმობა მაძიებლობისთვის, რათა სწორად შეარჩიოს ჩარევის სტრატეგია. მან ძალისხმევა არც ჩარევის შედეგების გააზრებას, შეფასებასა და კოლეგებისათვის გაზიარებას უნდა მოაკლოს. კვლევის დასრულებამდე მას ისედაც ხშირად უტრიალებს ასეთი კითხვები თავში:

- შევძლებ ამ თემაზე ისევ მუშაობას?
- მევალება თუ არა ადვოკატობა კვლევის შედეგების კვალდაკვალ? თუ ვერ შევძელი ...
- მევალება თუ არა ჩემი კვლევის შედეგების გამოყენების მონიტორინგი და ჩარევა, თუ ვხედავ, რომ ის არამართებულად გამოიყენება? ან რა დოზით ჩარევა მევალება.

ჯერ კიდევ იყოფიან კვლევის მწარმოებლები და მისი გამომყენებლები – რომელი ცოდნა უნდა გაზიარდეს და რა დოზით. ხომ არ ჯობია, ან რა დოზითაა უკეთესი, ის პოლიტიკური მოსაზრებებით არ გაზიარდეს. ეთიკური არჩევანი არის სოციალური სამართლიანობითა და ადამიანის უფლებებით ნაკარნახევი არჩევანი (მერტენსი და გინსბერგი 2009).

III. ეთიკა კვლევის განხორციელების პროცესში

სხვადასხვა ქვეყანაში კვლევების ჩატარების მსურველთ მართებთ კვლევის პროექტის საბჭოს წინაშე წარდგენა. ამ საბჭოების მიზანია ადამიანთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა. დაფინანსების არმქონე პროექტებიც, მათ შორის, სტუდენტური პროექტებიც კი, განიხილება ნორმალურ სიტუაციაში (Rubin&Babbie, 2011).

კვლევის ეთიკის მთავარი პრინციპია მოხალისეობრივი მონაწილეობა. კვლევის მონაწილეებზეა დამოკიდებული გადაწყვეტილება იმის თაობაზე, მიიღებენ თუ არა კვლევაში მონაწილეობას. მონაწილეები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ არა მხოლოდ კვლევის მიზანსა და პროცესზე, არამედ მის მოსალოდნელ შედეგებზეც კი. თუმცა ეს ნორმა ზოგიერთ შემთხვევებზე არ ვრცელდება (Rubin&Babbie,

¹ გახსოვთ, ალბათ, ფრინველის პერსონაჟი ნაწარმოებში „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“, როდესაც მან შეჯიბრის მოგების შემდეგ განაცხადა, რომ ყველამ მოიგო და პრიზიც ყველას უნდა ერგოსო.

2011). მაგალითად, წარმოიდგინეთ, პანდემიის აკრძალვისას, პრაქტიკულად, როდესაც ეს სახელმძღვანელო იღებს საბოლოო სახეს, მკვლევრები განსაზღვრავენ, ვინ და რა კომპოზიციით, რა მოტივით გადის აკრძალული ზონებიდან. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, არავინ გააფრთხილებს ქალაქიდან გამსვლელ მძღოლებს ამ კვლევის შესახებ.

მოხალისეობრივი მონაწილეობის ნორმის დარღვევა ზოგჯერ განპირობებულია კვლევის მიზნის შენიღბვით, რადგან მკვლევრები შიშობენ, რომ მიზნის გამჟღავნება რადიკალურად შეცვლის კვლევის მონაწილეთა ქცევას, თავად იმ სოციალურ პროცესს და/ან მოვლენას, რომელიც შეისწავლება. ასეთ შემთხვევებში, კვლევის განხორციელების ფაქტი ბოლომდე გაუმჟღავნებელი რჩება (Rubin&Babbie, 2011).

ერთ-ერთი ასეთია როზენჰანის კვლევა (Rosenhan, 1973), რომელშიც მკვლევრები ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა ჰოსპიტალში, სამედიცინო პერსონალის ინფორმირების გარეშე, პაციენტის როლში ცდილობდნენ იმის გარკვევას, შესაძლებელია თუ არა „ნორმალური“ ადამიანის ამოცნობა, რომელსაც აღარ სჭირდება ჰოსპიტალიზაცია. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მათ ეს ვერ შეძლეს. მკვლევრებს რომ ამ კვლევის შესახებ ექიმებისთვის ეცნობებინათ, სავარაუდოდ, კვლევა აზრს დაკარგავდა. თუმცა ის ფაქტი, რომ ნებაყოფლობითი მონაწილეობა და ინფორმირებული თანხმობის მიღება კვლევას შეუძლებელს ხდის, არ გვათავისუფლებს ამ ვალდებულებისაგან და არ ამართლებს კვლევის ჩატარებას (Rubin&Babbie, 2011).

ხანდახან მკვლევრები არ მალავენ, რომ იკვლევენ, თუმცა მიზეზს ნიღბავენ. მაგალითად, წარმოიდგინეთ, რომ ხართ რომელიმე სოციალური კეთილდღეობის სააგენტოს თანამშრომელი და სააგენტომ შემწეობის მიმღებთა საყოფაცხოვრებო მდგომარეობის შესწავლა დაგავალათ. მათი მიზანი შემწეობის მიმღებთა მდგომარეობის გაუმჯობესებაა (Rubin&Babbie, 2011). ყოველ შემთხვევაში, გაცხადებული მიზანი ეს არის. ალბათ გახსოვთ, ჩვენთანაც რა ამბავი იყო ამასთან დაკავშირებით. შემწეობის მიღების მსურველები მუდამ ჩიოდნენ იმის გამო, რომ მათ სახლში არსებული ნივთები არ ასახავდა რეალურად მათ მძიმე სოციოეკონომიკურ მდგომარეობას. ამიტომ აპლიკანტები იძულებულები იყვნენ, მუდამ სიტუაციის დამძიმების რეჟიმში ყოფილიყვნენ. ზოგს ოჯახიდან ნივთების გატანაც კი უწევდა. ეს ნივთები ხშირად მათი შექენილიც კი არ ყოფილა, მაგალითად, ნაჩუქარი იყო.

ჩვენი სოციალური დახმარების პროგრამის პირველ ტალღაში, მართლაც, შეფასების ეტაპის ბევრი ასეთი ხარვეზი გამოვლინდა, რის გამოც დაკორექტირდა კიდევ შეფასების წესი. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ თქვენს სიტუაციაში კვლევის მიზანი, მართლაც, შემწეობის მიმღებთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაა, მათ თუ გაუცხადებთ, რომ კეთილდღეობის სააგენტოს თანამშრომელი ხართ, სავარაუდოდ, მიღებული პასუხები არ იქნება მართალი. ისინი შეეცდებიან, სიტუაცია გააზვიადონ და თავიანთი მდგომარეობა დამძიმებულად წარმოგიდგი-

ნონ. თუ კვლევა აკურატულ მონაცემებს არ წარმოადგენს, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების სტრატეგიაც არ იქნება მართებული. ერთი მარტივი გზაა, არ გაამხილოთ, რომ სააგენტოს წარმომადგენელი ხართ და მათ უთხრათ, რომ საუნივერსიტეტო კვლევითი ცენტრის თანამშრომელი ხართ. ეს კვლევის ხარისხს ნამდვილად გააუმჯობესებდა, მაგრამ, ეთიკური თვალსაზრისით, რამდენად სწორი იქნებოდა?

ღირდა თუ არა როზენჰენის ან თქვენი კვლევის ჩატარება? უფრო ეთიკური ჩაუტარებლობა ხომ არ იქნებოდა? რადგან, როგორც ვთქვით, ინფორმირებული თანხმობის მოპოვება კვლევის ჩატარებას აზრს დააკარგვინებდა. პასუხი ამ კითხვებზე დამოკიდებულია იმაზე, თუ რა საზოგადო სიკეთე მოიტანა კვლევამ. ეს კი, პირველი კვლევის შემთხვევაში, იყო დაკვირვება, იდენტიფიკაციის შესაძლებლობა და, ზოგადად, ფსიქიკური ჯანმრთელობის კლინიკებში არსებული ზრუნვისა და დიაგნოსტიკის პრობლემების აღაგმვა ან შემცირება მაინც. მან კი აშკარად გადაწონა კლინიკოსთათვის მიყენებული ზიანი ნებაყოფლობითი მონაწილეობის ან მონაწილეობის მიუღებლობის შანსის არმიცემისათვის. მეორე კვლევაში კი მონაცემების აკურატულობაზე იყო დამოკიდებული მომსახურებით მოსარგებლეთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების შანსი, ამის გარანტიას კი, თითქოს, მათი ინფორმირება თქვენი ვინაობის შესახებ არ იძლეოდა. თუმცა იმის დადგენის საჭიროება, გადაწონა თუ არა (ან რამდენად გადაწონა) კვლევის სარგებელმა ეთიკურად სათუო პრაქტიკის განხორციელებისაგან მიყენებული ზიანი, ეთიკური ნორმის დადგენის საკითხია და სცდება ნებაყოფლობითი მონაწილეობის საკითხს.

მოხალისეობრივი მონაწილეობის პრინციპი მნიშვნელოვანია, მაგრამ, თუ ამ ნორმის დარღვევის აუცილებლობაში დარწმუნებული არ ვართ, იმაში მაინც უნდა ვიყოთ დარწმუნებული, რომ სამეცნიერო კვლევის სხვა მნიშვნელოვან ნორმებს არ ვარღვევთ – არ ვვნებთ კვლევაში მონაწილეებს (Rubin&Babbie, 2011).

თუ საქმე მარტივად და სასურველად, უფრო სწორად, ეთიკის ნორმის შესაბამისად მიდის, მონაწილეებთან საკუთარი ვინაობის ან მიზნის გამჟღავნებას წინ არაფერი უდგას, თქვენ მათი თანხმობა გჭირდებათ კვლევაში მათი ჩართვისათვის. თანხმობას სპეციალური ფორმის საშუალებით ვიღებთ ჩვეულებრივ. თანხმობის ფორმა უნდა მოიცავდეს სრულ ინფორმაციას კვლევის შესახებ, რათა პოტენციურმა მონაწილეებმა შეძლონ მონაწილეობის შესახებ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება. მათ უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია კვლევის პროცესზეც, პოტენციურ ზიანზეც, ანონიმურობაზეც და კონფიდენციალურობაზეც.

მოდით, აქვე განვმარტოთ განსხვავებები მათ შორის და შემდეგ დავუბრუნდეთ თანხმობის ფორმის შექმნის დეტალებს. ანონიმურობა ნიშნავს, როდესაც შეუძლებელია პირის იდენტიფიკაცია, ე.ი. კვლევის მონაწილე ვინ იყო, ვერ გავიგებთ. ანონიმურობა ზრდის პასუხების სარწმუნოებას, რადგან რესპონდენტი გათავისუფლებულია პასუხებში მის სახელთან დაკავშირებული უხერხულობებისაგან. ეს მკვლევარს უხერხული შეკითხვებისგანაც ათავისუფლებს, რაც ზოგიერთი კვლევის ან ზემდგომის ცნობისმოყვარეობას შეიძლება ახლდეს. კონფი-

დენციალურობა კი ნიშნავს, რომ მკვლევარმა იცის, ვისგან მიიღო ინფორმაცია, მაგრამ მისი ვინაობის გაუმჟღავნებლობის პირობას იცავს.

კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვას ერთი უხერხულობა ახლავს: როდესაც მკვლევარი სოციალური მუშაკი ინფორმაციის მიღებისას აღმოაჩენს რესპონდენტისადმი საფრთხის ფაქტს. მაგალითად, ის ბავშვიანი ქალია და ოჯახური ძალადობის მსხვერპლია, მას ემუქრებიან ყოველდღიურად; ან კვლევა ბავშვებთან ტარდება და შეიტყვეთ, რომ მასზე ფსიქოლოგიურად ძალადობენ მასწავლებლები სკოლაში. თქვენი, როგორც სოციალური მუშაკის, მოვალეობაა შეტყობინება, არადა, კვლევის დასაწყისში კონფიდენციალურად დარჩენის პირობა მიეცით რესპონდენტებს. შეტყობინებას ჩვენი კანონმდებლობაც გავალდებულებთ. არჩევანი არ არის, თუმცა სიტუაცია უხერხულია. ამიტომ, ასეთი სიტუაციის ასარიდებლად, კვლევის მონაწილეები ამ ვალდებულების შესახებ ინფორმირებულნი უნდა იყვნენ. ეს თანხმობის ფორმის ნაწილი უნდა იყოს.

თანხმობის ფორმის მომზადების შესახებ საუბარი დავასრულოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალის გაცნობით. თუ კვლევის მონაწილე სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ერთი და იმავე ოჯახის წევრია, საჭიროა ცალ-ცალკე თანხმობის ფორმა – კვლევაში ზრდასრულთა და ბავშვის მონაწილეობაზე (Rubin&Babbie, 2011). ბუნებრივია, ამ ფორმებში ტექსტის ენაც და ზომაც განსხვავებულია. ბავშვებისათვის მომზადებული თანხმობის ფორმა უფრო მცირე ზომისაა და მარტივი ენითაა შედგენილი. ფორმის ხელმომწერის ეკვიზიციის უნარიც გასათვალისწინებელია. ასევე, თუ ხელმომწერი სხვა ენაზე მოსაუბრეა, ფორმა უნდა ითარგმნოს.

კვლევის მონაწილეთა ინფორმირების გარეშე კვლევის განხორციელებას არაერთხელ მოჰყვა განხილვა და კრიტიკაც კი. ხშირად ეს დებატები სამეცნიერო წრეებს მიღმა დაიწყო და/ან გაგრძელდა კიდეც და კვლევის თავდაპირველი ვერსიით განხორციელების მიზანშეწონილობის საკითხიც კი დაისვა. ამასთან განხილვა არა მხოლოდ კვლევითი პროექტის ხელმძღვანელის, არამედ კვლევაში მონაწილე სხვა სუბიექტების ეთიკური პასუხისმგებლობის საკითხიც. მნიშვნელოვანია, ჩვენი წილი პასუხისმგებლობის გააზრება შეეძლოთ, რა როლშიც არ უნდა ვიყოთ – ხელმძღვანელ პოზიციაზე თუ რიგით შემსრულებლად. ალბათ გაგიგიათ მილგრამის კვლევა ან ფრაზა „მე მხოლოდ ბრძანებებს/დავალებებს ვასრულებდი“, რომელიც უკვე ფრთიან ფრაზად იქცევა, როცა ვცდილობთ ჩვენი ქცევისათვის და/ან გადაწყვეტილებისათვის პასუხისმგებლობის სხვაზე გადაბრალებას (Rubin&Babbie, 2011).

დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა სულ ახლახანს, 1990 წელს, მომხდარ ცნობილ კვლევას, რომელიც ცნობილია „უიღბლო ტეხასელების“ სახელწოდებით. ეს კვლევა მიზნად ისახავდა იმის შესწავლას, თუ როგორ გაიტანდა შემწეობის მიმღებთა ნაწილი თავს შემწეობის გარეშე, მაშინ, როდესაც მეორე ნაწილი შემწეობით მოსარგებლეა. ექსპერიმენტში მონაწილეებმა არ იცოდნენ კვლევის ამ დეტალის შესახებ. ამ საპილოტე პროგრამის მიზანი სახელმწიფო რესურსების დაზოგვა და შემწეობის მაძიებელთა სოციალური გააქტიურება იყო. საქმე ისაა, რომ კეთილ-

დღეობის სისტემით მოსარგებლები, დასაქმების ან ტრენინგში მონაწილეობის შემთხვევაში, 4-თვიან სამედიცინო და ბავშვზე ზრუნვის ბენეფიტს იღებდნენ. ახალი პროგრამით კი ამ ბენეფიტის 10 თვემდე გაზრდა დაიგეგმა. ამ ცვლილების მიზანი იყო შემწეობის მიმღებთა დასაქმების მოტივაცია, თუნდაც დამსაქმებელი მათ არ სთავაზობდეს სამედიცინო ან ბავშვზე ზრუნვის სუბსიდიას. მაგრამ, შემწეობის გახანგრძლივებასთან ერთად, სახელმწიფომ შტატებს ასეთი პირობა ნაუყენა: უნდა ჩატარებულიყო სამეცნიერო კვლევა, რომელიც გაზომავდა, თუ რამდენად ეფექტიანი იყო ახალი პროგრამა. ეს კი შემწეობის შემთხვევითი შერჩევით გაცემას გულისხმობდა, ე.ი. შემწეობის ყველა პოტენციური მიმღები ვერ ისარგებლებდა გახანგრძლივებული ვადით. კვლევა ცდილობდა იმის გარკვევას, იწყებს თუ არა ადამიანი სამსახურის მაძიებლობას, თუ მას შემწეობის იმედი არ აქვს (Rubin&Babbie, 2011).

ორივე საკვლევი ჯგუფის მონაწილენი უნდა ყოფილიყვნენ მაქსიმალურად იდენტური მახასიათებლებით. განსხვავება მხოლოდ იქნებოდა ახალი შემწეობისადმი ხელმისაწვდომობა. თუ კვლევა დაადგენდა, რომ გახანგრძლივებული მხარდაჭერის მიმღებნი გავიდოდნენ კეთილდღეობის სისტემიდან უფრო ადრე, ვიდრე ამ მხარდაჭერის მიღების გარეშე დარჩენილნი, მაშინ ადვილი დასასაბუთებელი იქნებოდა მხარდაჭერის მიზანშეწონილობა/ეფექტიანობა და ისიც, რომ სწორედ ეს მხარდაჭერაა და არა რაიმე სხვა, კეთილდღეობის სისტემიდან მათი გასვლის განმაპირობებელი ფაქტორი. ჩვეულებრივ, ასეთ ექსპერიმენტებში მონაწილეთა ნახევარი ხვდება ხოლმე საკონტროლო ჯგუფში, ამ ექსპერიმენტში კი მხოლოდ 10 % მოხვდა. ეს კი იყო 800 ადამიანი. სწორედ ისინი მოინათლნენ პრესის მიერ „უიღბლო ტეხასელებად“, რომლებიც უსამართლოდ დაზარალდნენ – ამოვარდნენ პროგრამიდან და თან 2 წლით, რომ ზემოქმედების ფაქტორებზე უკეთ მომხდარიყო დაკვირვება და შედეგები უფრო მკაფიოდ წარმოჩენილიყო. კრიტიკის კულმინაცია კი ის იყო, რომ ეს 800 ადამიანი არ უნდა ყოფილიყო ინფორმირებული ახალი პროგრამის შესახებ საერთოდ. უფრო მეტიც, შემთხვევითი შერჩევით მცირე ჯგუფის შერჩევამდე, ყველა ძველ – მცირეპერიოდიან ბენეფიტს მიიღებდა, ე.ი., სანამ მცირე ჯგუფი არ განისაზღვრებოდა, მანამდე ახალი ბენეფიტი, – გახანგრძლივებული ვადით, არ გაიცემოდა. გამოდის, რომ მთელი არსი იყო ახალი პოლიტიკის დატესტვა და არა, უბრალოდ, განხორციელება (Rubin&Babbie, 2011).

ამ ცვლილების მხარდაჭერები ამტკიცებდნენ, რომ განხორციელების ეს პრინციპი ნაკარნახევია ახალი პროგრამის უნებლიე უარყოფითი ეფექტების დასატესტადაც. მაგალითად, როგორცაა ზოგიერთი ბიზნესმენის გადანყვეტილება ბავშვზე ზრუნვის ან ჯანმრთელობის დაზღვევის შეწყვეტის თაობაზე, თუ შეიტყობდნენ, რომ დაზღვევის პერიოდი სამჯერ გაიზარდა. ეს დაბალშემოსავლიან დასაქმებულებს სამსახურისთვის თავის დანებებისკენ უბიძგებდა და მათ ისევ კეთილდღეობის სისტემის მომხმარებლებად აქცევდა. ასეთ შემთხვევაში, ამ გახანგრძლივებული ბენეფიტით, ე.ი. კეთილდღეობიდან დასაქმებისკენ გზამ, შესაძლოა, კიდევ უფრო გააძვიროს კეთილდღეობის პროგრამა (Rubin&Babbie, 2011).

კვლევის კრიტიკოსები კი ამ ექსპერიმენტის ავტორებს ეთიკური სტანდარტის დარღვევაში ადანაშაულებდნენ, მოხალისეობრივი მონაწილეობისა და ინფორმირებული თანხმობის პრინციპის უგულვებელყოფის გამო. ამ კვლევას ათაშანგის კვლევასაც კი უტოლებდნენ ეთიკური პრინციპების დარღვევის კუთხით, განაცხადეს რა, რომ „ადამიანებს არ უნდა მოექცეთ როგორც ნივთებს, თუნდაც ამით სასარგებლო ინფორმაციას იღებდეთ“ (Rubin&Babbie, 2011:114). საქმე იქამდე მივიდა, რომ შტატის ხელისუფლებამ მიმართა ფედერალურს, რათა გაეუქმებინა ეს მოთხოვნა და საკონტროლო ჯგუფის 800 ბენეფიციარის ნაცვლად პროგრამის დეფიციტის გამოვლენის სხვა სტატისტიკური პროცედურა მოეფიქრებინათ. საკონტროლო ჯგუფის წევრებისათვის წერილის გაგზავნაც კი დაიგეგმა, რათა მათთვის მათი სტატუსი აეხსნათ (Rubin&Babbie, 2011).

IV. ეთიკური დილემები

რთულია მკაფიო გამყოფის დანახვა ეთიკურსა და პოლიტიკურ საკითხებს შორის სოციალური მუშაობის კვლევაში. ეთიკაცა და პოლიტიკაც იდეოლოგიური ფონის ზეგავლენით ყალიბდება. მაგრამ ხშირად, რაც მისაღებია პოლიტიკური თვალსაზრისით, მიუღებელია ეთიკურით. ძალაუფლების სტრუქტურას სხვადასხვა დონეზე დიდი მნიშვნელობა აქვს. მხოლოდ ის, რომ კვლევა მაღალი მეცნიერული სტანდარტითაა ჩატარებული, სამწუხაროდ, არ გარანტირებს პოლიტიკურ ან მორალურ დონეზე მის წარმატებას (Sobocan, 2010). ადამიანები არ ეთანხმებიან ერთმანეთს როგორც პოლიტიკურ, ასევე ეთიკურ საკითხებში. მოდით, შევეცადოთ, პოლიტიკურსა და ეთიკურს შორის არსებული განსხვავებები წარმოვაჩინოთ.

მიუხედავად იმისა, რომ ეთიკური და პოლიტიკური ხშირად გადაჯაჭვულია, სოციალური მუშაობის კვლევის ეთიკა უკავშირდება კვლევაში გამოყენებულ მეთოდებს, მაშინ, როდესაც, პოლიტიკური თვალსაზრისით, უფრო ფასეულია კვლევის პრაქტიკული ღირებულება და გამოყენების პერსპექტივა. ასე მაგალითად, ზოგიერთი სოციალური მუშაკი ეთიკური თვალსაზრისით აკრიტიკებს მომსახურებების ეფექტიანობის შეფასებას კლიენტთა ერთი ჯგუფისათვის მიწოდებული მომსახურებების შეფასების ფონზე, მაშინ როდესაც მომსახურების მიღება უგვიანდება კლიენტთა მეორე ჯგუფს (რადგანაც შედეგების გაზომვის გააზრებას დრო სჭირდება). მათი აზრით, ზიანი, რომელიც გამონეულა მომსახურების დაგვიანებით, გადანონის (ე.ი. უფრო მძიმე ტვირთია) ეფექტიანობის კვლევის შედეგებისგან მიღებულ სარგებელს. ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით თუ შევხედავთ, თუკი ეფექტიანობის კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ მომსახურება არ არის ეფექტიანი, მისი მიწოდების გაგრძელება აზრს მოკლებულია და არც მიმწოდებელი ორგანიზაციის იმიჯზე ან მხარდაჭერის მოპოვების შანსებზე აისახება დადებითად. თუმცა პოლიტიკოსებს ისიც ადარდებთ, მომსახურების მიწოდებისგან თავშეკავება მომსახურებისგან მიღებული საფასურის შემცირებას რომ გამო-

ინვეს და მომსახურების მიღების საჭიროების მქონეთათვის მისი მიუწოდებლობის გამო საზოგადოებრივ პროტესტსაც რომ გააღვივებს (Rubin&Babbie, 2011).

მეორე, ეთიკური ასპექტი განსხვავდება პოლიტიკურისაგან, რადგან არ არსებობს სოციალური მუშაობის კვლევის ეთიკის კოდექსის მსგავსი პოლიტიკური ქცევის კოდექსი. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ეთიკურ ნორმას აქვს თანმდევითი პოლიტიკური ასპექტი, მაგალითად, „არ ავნო“ პრინციპი ნათლად უკავშირდება სამოქალაქო უფლებებსა და თავისუფლებებს, – არ არის განვითარებული პოლიტიკური ნორმები, რომლებზეც შეთანხმდნენ მკვლევარი სოციალური მუშაკები. ერთადერთი, ისიც ნაწილობრივ თანმხვედრი, გამონაკლისია ზოგადად გაზიარებული შეხედულება, რომ მკვლევრის პოლიტიკურმა ორიენტაციამ არ უნდა მოახდინოს გავლენა სამეცნიერო კვლევაზე ან პოლიტიკური ინტერესის გამო არ უნდა გავაყალბოთ ან დავამძიმოთ, ან, პირიქით, შევამსუბუქოთ კვლევის მიგნებები (Rubin&Babbie, 2011).

მუდმივი განხილვის თემაა კვლევის ობიექტურობის საკითხი. რამდენად ძალუძს კვლევას, სოციალურ მეცნიერებებში იყოს ობიექტური. ეს, მართლაც, რთულია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მკვლევრები სუბიექტურები არიან სოციალური მოვლენების აღქმაში. ბევრი მეცნიერი თვლის, რომ სოციალური კვლევა შეუძლებელია იყოს სრულიად ნეიტრალური ფასეულობითი თვალსაზრისითაც. მათი აზრით, ფასეულობითი სისტემა ყოველთვის ახდენს ზეგავლენას კვლევაზე – მის მთელ პროცესზე, დაწყებული კვლევის კითხვის შერჩევიდან, დასრულებული ცვლადის შერჩევამდე. ფასეულობითი სისტემის ზეგავლენით ხდება კვლევის ერთეულის შერჩევაც კი. ასე მაგალითად, სახელმწიფო ბიუროკრატიული სისტემის თანამშრომელი მკვლევრები მიდრეკილნი არიან, უპირატესად, დაინტერესდნენ იმით, თუ რამდენად ზოგავს ესა თუ ის პროგრამა ან პოლიტიკა სახელმწიფო რესურსს. მაგალითად, შემთხვევის მართვის კომპონენტის ჩართვა ჯანმრთელობის სისტემაში რამდენად ზოგავს ჰოსპიტალიზაციის ხარჯს ფსიქიკური პრობლემების მქონე ბენეფიციარების შემთხვევაში. ამ მიზნით შეპყრობილნი შესაძლოა, საერთოდაც არ დაინტერესდნენ ბენეფიციარის კარგად ყოფნის ინდიკატორით, ხოლო კლინიცისტები, უპირველეს ყოვლისა, პროგრამის ეფექტიანობას სწორედ ფსიქიკური პრობლემების მქონეთა სიმპტომატიკასა და ცხოვრების ხარისხზე ზეგავლენის მიხედვით გაზომავდნენ, რადგან მათ სჯერათ, რომ ეს გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე გადასახადის გადამხდელთა თანხების დაზოგვის მაჩვენებლის ზრდა. მათთვის ეს არის მომსახურების მიწოდების მიზანი და ამ მიზნის დევნაში მათ შესაძლოა, არც კი გაახსენდეთ პროგრამის ხარჯი. ასევე, მაგალითად, უსახლკარობის კვლევისას უსახლკარობის განმარტება განაპირობებს, ვინ მოექცევა კვლევის ფოკუსში: ისინი, ვინც ქუჩაში ცხოვრობენ, თუ ისინიც, ვინც მეგობრებსა და ახლობლებს აფარებენ თავს. ეს კი ფასეულობითი შეხედულებების მიხედვით სხვადასხვაგვარად შეიძლება განიმარტოს. მკვლევრები, რომლებიც უსახლკარობის აღმოფხვრისაკენ მიმართულ სოციალურ მოძრაობაში არიან ჩართულნი უფრო ფართო განსაზღვრებას აირჩევდნენ და, შესაბამისად, ადამი-

ანთა უფრო ფართო ჯგუფს მოიცავდნენ კვლევაში. ხოლო ისინი, ვინც მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო კეთილდღეობის ხარჯები უმიზნოდ იხარჯება და ღარიბ ადამიანებში დახმარებაზე დამოკიდებულების გრძნობას ზრდის, უსახლკარობის უფრო ვიწრო განმარტებას აირჩევენ (Rubin&Babbie, 2011).

ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ მკვლევარი შეუძლებელია და არც უნდა იყოს სრულიად ნეიტრალური, ფასეულობითი თვალსაზრისით. აჯობებს, მან გაითავისოს თავისი შეხედულებები და გამოააშკარაოს კიდევ. ბევრთა მოსაზრებით, საკუთარი ფასეულობები კვლევის მიზნებისაგან სრულიად რომ გაემიჯნათ ჩვენს კოლეგებს მეოცე საუკუნის დასაწყისიდან დღემდე, მაშინ არც იქნებოდა ძღვევამოსილი სოციალური მოძრაობები, რომლებმაც სრულიად შეცვალეს სამყარო. სოციალური მეცნიერების კრიტიკული თეორიის პარადიგმისგან სოციალური მეცნიერება და სოციალური ქმედება ვერ იქნება განცალკევებული. სოციალური მუშაობის მიზანი ოდითგან არის კვლევის უფრო ჰუმანური საზოგადოების ფორმირების ინსტრუმენტად გამოყენება. მაგალითად, ზიმბალისტი (Zimbalist, 1977) აღწერს, როგორ მოიცვა პროფესიამ სოციალური გამოკითხვის მოძრაობა, გარემოსდაცვითი რეფორმის განხორციელების აუცილებლობაში საზოგადოების დასარწმუნებლად, მეოცე საუკუნის დასაწყისში ურბანული პრობლემების ასალაგმად. არადა, მოძრაობა საკმაოდ შერჩევითი მიდგომით გამოირჩეოდა. გულდასმით ხდებოდა ფაქტების/შემთხვევის შერჩევა, რადგან მისი მიზანი სცდებოდა მონაცემების დაბალანსებულად ინტერპრეტაციასა და წარდგენას. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მუშაობის კვლევები შესაძლოა, უფრო ობიექტურობისაკენ იყოს მიდრეკილი ჩვენს დროში, პოზიტივისტი მკვლევრებიც კი იმედოვნებენ, რომ მათი კვლევა სოციალური მოძრაობის გამომწვევი იქნება. კვლევის ადამიანური ტანჯვისა და სოციალური უსამართლობის დაძლევის ინსტრუმენტად გამოყენებაში არაფერია მიუღებელი. სოციალური მუშაობის კვლევა ხომ სწორედ ამაზეა. სამეცნიერო თვალსაზრისით კი, ერთია, რომ ჩვენმა ფასეულობებმა გემართონ კვლევის განხორციელებისას ჰუმანური იდეალებისაკენ სწრაფვაში, ხოლო სულ სხვაა, დავმალთ ან შევცვალოთ სიმართლე, დავახარვეზოთ კვლევის პროცესი და გავაყალბოთ მიგნებები. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისიც სიმართლეა, რომ არ არსებობს ფასეულობებისაგან სრულიად თავისუფალი კვლევა. თანამედროვე პოზიტივისტები გვარწმუნებენ, რომ ეს არ ნიშნავს, ჩვენ არ უნდა შევეცადოთ სიმართლის ძიებას ჩვენივე რწმენისა და შეხედულებებისაგან მაქსიმალურად ნეიტრალური პოზიციიდან. პირიქით, ჩვენი შეზღუდვების ცოდნა დაგვეხმარება, მათი ზეგავლენისაგან გავათავისუფლოთ ჩვენი კვლევის პროცესი (Rubin&Babbie, 2011).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია იმის გააზრება, თუ რამდენად შეიძლება სრული ჭეშმარიტების დადგენა სოციალურ მეცნიერებებში, როდესაც ასე რთულია, იყო ობიექტური და ერთი კვლევის შედეგი ხშირად ეწინააღმდეგება მეორისას. უნდა გვახსოვდეს, რომ მეცნიერებაში დასკვნები მუდმივი მოდიფიცირების პროცესშია და უკვე დამკვიდრებული თეორიის სხვა თეორიით ჩანაცვლე-

ბაც ჩვეულებრივი მიმდინარე პროცესია. ამის ფონზე ბევრი სოციალური მუშაკი უპირატესობას კვლევის მიგნებებით გაჯერებული პრაქტიკის განხორციელებას ანიჭებს (მაგალითად, მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის, რომელსაც ჩვენ წინა თავში შევეხეთ დეტალურად), ტრადიციული და ავტორიტარული მიდგომების მიყოლისა და თავიანთი პატივცემული კოლეგების შეხედულებებისადმი კონფორმიზმის ნაცვლად. ამერიკის სოციალურ მუშაკთა ეროვნული ასოციაციის ეთიკის კოდექსის შესაბამისად, კვლევით გაჯერებული პრაქტიკის განხორციელებაზე უარის თქმა, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს ეს ნაკარნახევი, არაეთიკურია. უფრო მეტიც, უნდა გვესმოდეს, რომ თავად მომსახურებების მენეჯერი თუ პოლიტიკოსებიც არ არიან სრულად ობიექტურნი (Rubin&Babbie, 2011).

ყველაზე დასაფიქრებელი ეთიკური დილემა სოციალური მუშაობის კვლევაში უკავშირდება კლიენტის უფლებას, მიიღოს მომსახურება და იმას, თუ რამდენად ამართლებს გრძელ ვადაში მომსახურების მიმღებთა კეთილდღეობისთვის სწრაფვა (ე.ი. გრძელვადიანი მიზანი) ანმყოში მომსახურების მიწოდების შეყოვნებას (ე.ი. მოკლევადიანი მიზანი) (Rubin&Babbie, 2011).

ამას ორი ფასეულობის კონფლიქტი სდევს: საჭიროების მქონეთა მყისიერი დახმარება და პროფესიონალის პასუხისმგებლობა მიწოდებულ მომსახურებაზე – მეცნიერული დასაბუთება მისი სარგებლის ან ზიანის. მკვლევართა ნაწილის აზრით, საჭიროების მქონე ადამიანებს არ უნდა შეუფერხდეთ მომსახურების მიწოდება რაღაც პერიოდით ან კვლევის მიზნებისათვის. სხვათა აზრით კი, არ არის მართებული და არც ეთიკური ისეთი მომსახურების მიწოდება, რომლის ეფექტიანობაზეც ჯერ მეცნიერულად დასაბუთებული ინფორმაცია არ არსებობს. მათი აზრით, ასეთ დროს მომსახურების მიწოდების შეყოვნება ჯობს. მართლაც, რთული სიტუაციაა. ამ შემთხვევაში გადანყვეტილების მიღებისას ამოსავალი წერტილი შეიძლება იყოს მომსახურების მიმღების მდგომარეობის სირთულე. თუ მდგომარეობა უკიდურესად რთულია, აჯობებს არსებული სხვა, თუნდაც ნაკლებეფექტიანი, მაგრამ ნაცადი ინტერვენციების გამოყენება. თუ ალტერნატივა გვაქვს, კონფლიქტი მომსახურების მიღების უფლებასა და მიწოდებული მომსახურების ეფექტიანობაზე პასუხისმგებლობას შორის თითქოს მცირდება. ნაცვლად იმისა, რომ ვიკვლიოთ ახალი სატესტო ინტერვენციის ზეგავლენა საერთოდ მომსახურების გარეშე დარჩენილ ჯგუფთან შედარებით, შეგვიძლია ვიკვლიოთ მისი ეფექტი უკვე არსებული მომსახურებების ფონზე. ასე არავინ დარჩება მომსახურების გარეშე. რესურსების უკმარისობისას ეს უფრო ეთიკური სვლაა. ამ შემთხვევაში არც არავინ რჩება მომსახურების გარეშე და ახალ მომსახურებასაც, შეძლებისდაგვარად, ბევრი ადამიანი იღებს (Rubin&Babbie, 2011).

სხვა გზა რესურსების სიმწირით გამონვეული გადანაწილების ეთიკური დილემის შესამსუბუქებლად არის მომლოდინეთა სიის წარმოება. მომლოდინეთა სიაში მყოფთა რიგის მოსვლამდე შეგვიძლია დავაკვირდეთ, რა ხდება ახალი მომსახურების მიმღებ პირებში, რა ზემოქმედებას ახდენს მომსახურება, ასევე, შევადაროთ რიგში მყოფნი ამ ახალი მომსახურებით მოსარგებლებს. საბოლოო ჯამში,

ყველა იღებს მომსახურებას და მომლოდინეთა რიგში მყოფი ბენეფიციარებიც თავად წყვეტენ, მიიღონ თუ არა მონაწილეობა კვლევაში, მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობის შეზღუდვის გარეშე (Rubin&Babbie, 2011).

ასეთივე მნიშვნელოვანი საკითხია, ეთიკური თვალსაზრისით, რამდენად ახდენს ის მონაწილეთა ძალაუფლებით აღჭურვას. ბენკის მიერ ამერიკაში 1995 წელს განხორციელებულმა 15 ეროვნული ასოციაციის პროფესიული ეთიკის კოდექსის შედარებითმა ანალიზმა ცხადყო, რომ კოდექსებს შორის ფასეულობითი განსვლა არ ყოფილა. რაც შეეხება კვლევის ეთიკის კოდექსს, ამ უკანასკნელში ორი ტენდენცია შეინიშნებოდა: პოზიტივისტური, რომელიც ბიოსამედიცინო მოდელს ეყრდნობოდა და რელატივისტური, რომელიც ფემინისტურ კომუნიტარიანულ მიდგომას იზიარებდა.

კვლევის ეთიკისადმი ბიოსამედიცინო მიდგომა ეფუძნება ავტონომიის, კეთილგანწყობის, სამართლიანობისა და „არ ავნო“ ფასეულობებს. ეს ფასეულობები კი ეყრდნობა ინფორმირებული თანხმობის, კონფიდენციალურობის, ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ზიანის დაუშვებლობის, პრივატულობის, სანდო ინფორმაციის მოძიებისა და ემპირიული მასალის წარმოდგენის პრინციპებს (Clifford, 2000 in Peled & Leichtentritt, 2002). განსხვავებულია ფემინისტური კომუნიტარიანული ფილოსოფია. ის თემს, ონტოლოგიური და აქსიოლოგიური თვალსაზრისით, ადამიანზე წინ აყენებს, იზიარებს რა საერთო მორალურ ფასეულობებს. სწორედ ეს არის კვლევის სახელმძღვანელო პრინციპიც.

ამ მიდგომების მიხედვით, კვლევის ეთიკა კონტექსტუალურია. ამიტომაც მკვლევარს ეთიკური ვალდებულება აქვს არა პროფესიული ეთიკის კოდექსის მიმართ, არამედ ადგილობრივ თემში დამკვიდრებული მორალური პრინციპებისადმი. სწორედ ორმხრივი ურთიერთობები, რომლებიც ზრუნვასა და ურთიერთგაგებაზეა აღმოცენებული და არა ფორმალური კონსენსუსი, ამზადებს ნიადაგს მორალური დისკურსის წარმართვისთვის. ამიტომაც სოციალურ მეცნიერებათა მკვლევრები, განსაკუთრებით კი სოციალური მუშაკები, ახორციელებენ მორალურ ქმედებებს თანასწორუფლებიანობის პრინციპებზე დაყრდნობით და არა იერარქიული დიალოგის გზით კვლევის მონაწილეებთან.

ავტორებმა ძალაუფლებით აღჭურვის საკითხი სამი ჯგუფის მიმართ შეისწავლეს: კვლევის მონაწილეების, მოსახლეობის, რომლისგანაც შერჩევითი ერთობლიობა შეიქმნა და სხვა მათთან დაკავშირებული ადამიანებისა. შეფასდა, რამდენად მოემსახურა კვლევა მონაწილეთა ძალაუფლებით აღჭურვას, როგორც კვლევის ეთიკის გაცხადებულ პრინციპს. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ შესწავლილი კვლევების მცირე ნაწილში იყო ეს პრინციპი დაცული. ზოგიერთ მათგანში მხოლოდ ზოგიერთი და არა ყველა მონაწილის „ხმა“ იყო გაჟღერებული, მაშინ, როდესაც დანარჩენების ხმა სრულიად იგნორირებული იყო; სხვა კვლევები მონაწილეთა მოსაზრებებს წარმოაჩენდნენ მხოლოდ რამდენიმე და არა ყველა საკითხზე; გამოდის, რომ თვისებრივი კვლევის მონაწილეები გამოიკითხნენ, მაგრამ არ აღმოჩნდნენ კვლევის სრულყოფილებიანი მონაწილენი. თითქმის არც ერთ მათგანში არ

იყო აღწერილი, რა გამოცდილება მიიღეს მონაწილეებმა კვლევის პროცესში, რა რეაქციები ჰქონდათ გამოკითხვისას, რას გრძნობდნენ. მხოლოდ ოთხი კვლევის დასრულების შემდეგ გაუგზავნეს მონაწილეებს სამადლობელი წერილი კვლევაში მონაწილეობისათვის, ან გაუზიარეს კვლევის მიგნებები, უკუკავშირის მიღების მიზნით კვლევის გამოქვეყნებამდე.

ასევე, კვლევის მიგნებებზე დაყრდნობით მომზადებულ რეკომენდაციებში საუბარი იყო მომსახურებებისა და განათლებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდაზე. ეს რეკომენდაციები მიემართებოდა პოლიტიკოსებსა და სოციალური მომსახურებების მიმწოდებლებს, რაც მიჯნავდა ცოდნის მწარმოებლებსა (ე.ი. მკვლევრებს) და ცოდნის განმავრცელებლებს (ე.ი. პოლიტიკის შემქმნელებს, განმანათლებლებს, თერაპისტებს). გამოდის, რომ თუ ასეთი გამოჯვანა ხდება, კვლევის შედეგების გავრცელების საკითხიც (სად, როდის, ვის და როგორ) ეთიკურია.

ექვს კვლევაში წარმოდგენილი იყო კვლევის რეკომენდაციები, რომლებიც არასწორ ადრესატს მიემართებოდა. მაგალითად, ერთ-ერთი კვლევა (Beach and Kramer, 1999) მიზნად ისახავდა ხანდაზმულთა სახლის მზრუნველთა მოსაზრებების შესწავლას, თუმცა რეკომენდაციები მიემართებოდა სწეულ ხანდაზმულებს. მკვლევრები იზიარებდნენ მოსაზრებას: იმისათვის, რომ კონკრეტული მოწყვლადი ჯგუფის (მაგალითად, სწეული ხანდაზმულები, მოძალადე მშობლები და ა.შ.) კეთილდღეობას მივაღწიოთ, მათთვის მომსახურებების მიმწოდებელთა მოსაზრებები უნდა გავითვალისწინოთ. გამოდის, რომ კვლევის მონაწილეები (ზრუნვის მომსახურების მიმწოდებლები) გამოიყენეს სხვათა სასიკეთოდ. ეს კი მათ ექსპლუატაციის რისკის წინაშე აყენებს, განსაკუთრებით, თუ ისინი ისედაც მოწყვლად მდგომარეობაში არიან – არ აქვთ რა საკმარისი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ძალაუფლება. ზოგიერთ კვლევაში ეთიკურ საკითხებს ყურადღება ეთმობოდა კვლევის კონკრეტულ და არა ყველა ფაზაში. მაგრამ თითქმის ყველა შესწავლილ კვლევაში ექცეოდა ყურადღება კონფიდენციალურობის საკითხს.

უმრავლესი სოციალური მუშაობის კვლევა არ არის ჩვეულებრივი, რიგითი კვლევა, რადგან თავად სოციალური მუშაობა არის იდეოლოგიური პრინციპების ერთგული პროფესია, რომელსაც მიაჩნია, რომ სოციალური სამართლიანობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლა არის როგორც პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების, ასევე მკვლევარი სოციალური მუშაკების ვალდებულება (Bulter, 2000). ამ მიზნების მიღწევას კი ისინი კვლევის, განსაკუთრებით კი, თვისებრივი კვლევის საშუალებითაც ცდილობენ. ძალაუფლებით აღჭურვა საშუალებას აძლევს სოციალურ მუშაკ მკვლევრებს, რომ იყვნენ ეთიკურები. თუმცა ეს, ამავე დროს, გარკვეული გამოწვევების წინაშე აყენებს მათ. მკვლევრები ხშირად გამოყოფენ წარმატებულ და მედეგ ადამიანებს კვლევის მონაწილე მარგინალიზებული ჯგუფებიდან. ეს მონაწილეებს როლურ მოდელებად აქცევს, რადგან წარმოაჩენს, რომ მათ რთულ სიტუაციებთან გამკლავების უნარები აღმოაჩნდათ, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ჩრდილავს უამრავი მსგავსი ისტორიის მქონე ადამიანის მსგავს გამოცდილებას. არადა, ძალაუფლებით აღჭურვის კვლევის მიზანია

მთელი მოსახლეობის და არა მხოლოდ კვლევის მონაწილეთა, თუნდაც ყველაზე წარმატებულის ან პირიქით – ყველაზე წარუმატებლის, სოციალური ძალაუფლების გაძლიერება.

როგორც ხედავთ, მკვლევარი სოციალური მუშაკი საკმაოდ რთული ამოცანების წინაშე დგას კვლევის განხორციელებისას, რომ მისი კვლევა „სოციალურ მუშაკურ“, ე.ი. ადამიანთათვის სასიკეთო ცვლილებების ხელშემწყობ და სოციალური სამართლიანობის მხარდამჭერ ქმედებად ჩაითვალოს.

V. პროფესიული ფასეულობების თავსებადობა იდეოლოგიურ შეხედულებებთან

მოგისმენიათ, ალბათ, დისკუსია იმის შესახებ, რამდენად ემსახურება კვლევა საკითხის მეცნიერულ შესწავლას. ამის ნაცვლად ხომ არ არის ის მკვლევრის პოლიტიკური შეხედულებების დემონსტრირების საშუალება. მართალი, მეცნიერების აბსტრაქტული მოდელი, თავისუფალია იდეოლოგიისაგან, თუმცა სამეცნიერო პრაქტიკა – არა.

სოციალური კვლევა და პოლიტიკა ყველაზე მეტად რასობრივ საკითხებთან დაკავშირებითაა გადახლართული. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მეცნიერებების მკვლევრები ჩართულები არიან თანასწორობის მოძრაობებში სხვადასხვა ქვეყანაში, ისინი თანასწორობის იდეის სამსახურში წარმოადგენენ დასკვნებს, რომლებსაც კრიტიკაც მოჰყვა მათი კოლეგების მხრიდან და ისინი არც დომინანტ პოლიტიკურ იდეოლოგიასთანაა თანხმობაში. არაერთი ძლიერი სამეცნიერო კვლევა გამხდარა შეტევის ობიექტი სწორედ იმიტომ, რომ კვლევის შედეგები წარმოაჩენდა სხვადასხვა სოციალური პრობლემისადმი წინასწარგანმაპირობებელ ფაქტორებს რასულ ნიადაგზე. ამ კვლევების ავტორებს დიდი რისხვა დაატყდათ არა მხოლოდ საზოგადოებისაგან, არამედ კოლეგებისაგანაც. ამასთან, კრიტიკის საბაზი თითქმის ყველა შემთხვევაში იყო არა მეთოდოლოგიური საკითხი, არამედ პოლიტიკური (Rubin&Babbie, 2011).

სოციალური სფეროს წარმომადგენელთა უმრავლესობა, დეკლარირებულად მაინც, მხარს უჭერდა დე ფაქტო სეგრეგაციასაც კი სკოლებში. თუმცა ცხარე დებატები გამოიწვია 1966 წელს კოლმენის მიერ გამოქვეყნებულმა კვლევამ განათლებასა და რასაზე. ზოგადი შეთანხმების საპირისპიროდ, კოლმენმა აღმოაჩინა მცირე განსხვავება სეგრეგირებული და არასეგრეგირებული სკოლების აფროამერიკელი მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებას შორის. კოლმენის კვლევამ ცხადყო, რომ მოსწავლის აკადემიურ მიღწევებზე გაცილებით დიდ გავლენას ახდენს ოჯახი და სამეზობლო/თემი, ვიდრე საერთო სამეცნიერო სივრცეები, ბიბლიოთეკები, ლაბორატორიები ან ხარჯი თითო მოსწავლეზე. ის გააკრიტიკეს არა იმდენად მეთოდოლოგიური საკითხის, რამდენადაც იმის გამო, რომ მისი კვლევა მიიჩნის სეგრეგაციონალისტური პოლიტიკის გამოძახილად (Rubin&Babbie, 2011).

იგივე ბედი ეწია ჯენსენის 1969 წელს ჩატარებულ კვლევას ინტელექტის კოეფიციენტის (IQ) ტესტის შედეგების ინტერპრეტაციისას რასობრივი განსხვავებუ-

ლობის ფონზე. ჯენსენი შრომაში აფროამერიკელთა დაბალი მაჩვენებლების მიზეზად გენეტიკურ ფაქტორს ასახელებს. მისი კვლევა, ძირითადად, გაკრიტიკდა მეთოდოლოგიური თვალსაზრისით. მას უმტკიცებდნენ კოლეგები, რომ არსებობს მრავალი IQ ტესტი, რომელთაგან ზოგიერთი სჯობს სხვას. კრიტიკოსები აკრიტიკებდნენ მას იმის გამოც, რომ მისი კვლევა მხედველობაში არასაკმარისად იღებდა სოციოკულტურულ გარემოს. არც მეტი, არც ნაკლები, ჯენსენი რასისტად მონათლა (Rubin&Babbie, 2011).

იგივე ბედი ეწია მურეისა და ჰერნშტეინის კვლევებს 1994 წელს, როდესაც გამოიცა მათი წიგნი „ზარის მრუდი“. ნაშრომის მცირე ნაწილი საუბრობდა ინტელექტის მაჩვენებელში ეთნიკური განსხვავებების ნაწილობრივ (და არა სრულად) გენეტიკური ფაქტორით განპირობებულობაზე. მკვლევრები მიიჩნევდნენ, რომ ამერიკის წარმატების მთავარი ფაქტორი ინტელექტია, მაგრამ, რადგან ინტელექტის დონის ცვლილება რთულია, ინტელექტის მაჩვენებლის ზრდისაკენ მიმართულ სოციალურ პროგრამებზე რესურსის ხარჯვა აზრს მოკლებულია, მათ შორის, ისეთ პროგრამებზეც, რომლებიც სოციალურად მონყვლად ახალგაზრდათა ინტელექტუალურ წინსვლაში ხელშეწყობას ემსახურება. მათი შრომა გაკრიტიკდა მეთოდოლოგიურ ნიადაგზე, თუმცა ეს არ იყო მთავარი და ყველაზე მძიმე ბრალდება. ისინიც, არც მეტი და არც ნაკლები, პოლიტიკური სარჩულით გაკრიტიკდნენ ყველაზე მწარედ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ნაშრომის გამოქვეყნებისათვისაც დიდი კრიტიკა მიმართეს გამომცემლებზე. კრიტიკოსთა აზრით, ეს ნაშრომი გულს სტკენს აფროამერიკელებს და ყველაზე მეტად აფროამერიკელ ბავშვებს, რადგან მათ არ ესიამოვნებათ, გენეტიკურად ინფერიორებად რომ მიიჩნევიან. თუმცა, ბევრის აზრით, აფროამერიკელთა ისეთ მონყვლად ჯგუფად მიჩნევა, რომელიც უნდა მოვარიდოთ ღია ინტელექტუალურ მსჯელობას, თავისთავად რასისტული დამოკიდებულება (Rubin&Babbie, 2011).

როდესაც პოლიტიკური და იდეოლოგიური ძალა მეცნიერულ ნიაღვრებს აფერხებს ერთ სფეროში, ამას, სამწუხაროდ, გავრცელების ეფექტი ექნება და შეაღწევს სხვა სფეროებშიც. საქმე იქამდე მივიდა, რომ უკვე 1991 წელს, როდესაც ექსპერიმენტული გინეკოლოგიისა და ენდოკრინოლოგიის ცენტრის დირექტორი ჯონსი დაინტერესდა, რატომ არის ასეთი სიმწირე აფროამერიკელ ქალებში მკერდის კიბოს ფატალური შედეგების თაობაზე, კავკასიური რასის წარმომადგენელ ქალებთან შედარებით, მან კოლეგებისაგან ასეთი პასუხი მიიღო: რომ მათ არ სურთ პოლიტიკურად ასეთი მგრძობიარე საკითხის შესწავლის დაწყება. თან კვლევას მოუწევდა რასობრივი განსხვავებების შესწავლა კიბოსადმი გენეტიკური წინასწარგანწყობების შესახებ. ჯოუნსმა ამოხსნა, რატომ არ დაიწყო კვლევა იმის დასადგენად, არსებობს თუ არა გენეტიკური წინასწარგანწყობის ფაქტორი აფროამერიკელ ქალებში მკერდის კიბოს დროს, რადგან ასეთი კავშირი იმ მომენტისათვის უკვე 10 წლის წინ დადგენილი იყო კავკასიური რასის წარმომადგენელ ქალებში. ე.ი. მკვლევრები ერიდებოდნენ, არ აღმოჩენილიყვნენ პოლიტიკური რისკის წინაშე. თუ აღმოჩნდებოდა, რომ აფროამერიკელი ქალები უფრო მაღალი

რისკის წინაშე არიან, ვიდრე კავკასიური რასის ქალები. მას ასევე გაახსენდა ერთხელ კოლეგის ნათქვამი, რომ იგი მედიის წარმომადგენელმა გააფრთხილა, ამ თემაზე საუბრისას მორიდებოდა სიტყვა „გენეტიკურს“. ამ საკითხებზე საჯაროდ საუბრისას ყველა ერიდებოდა თავად ჯოუნსის მიპატიჟებას, იმავე საფრთხის არიდების მიზნით, მანამდე, სანამ ერთ-ერთმა რედაქტორმა არ აღმოაჩინა, რომ ჯოუნსი თავადაა აფროამერიკელი. ჯოუნსი ხაზს უსვამს, რამდენად ხელშემშლელი და საზიანო შეიძლება აღმოჩნდეს საკითხის შესწავლისთვის ფესვგადგმული პოლიტიკური ტაბუები, თან, უპირველესად, სწორედ მათთვის, ვინც ამ კვლევებში უნდა ასარგებლოს (Rubin&Babbie, 2011).

გენდერული, კულტურული თუ რასობრივი საკითხებისადმი დაბალი კომპეტენციები და გულგრილობა უარყოფითად ისახება კვლევის მთელ პროცესზე, დაწყებული მისი დაგეგმვიდან, დასრულებული მონაცემების ინტერპრეტაციამდე. თეორეტიკოსთა აზრით, ეს არის არა მხოლოდ მეთოდოლოგიური, არამედ ეთიკური ხარვეზი. ეთიკის საკითხი წამოჭრილია, რადგან ზოგიერთი კვლევის შედეგად ზიანი მიადგათ ქალებსა და უმცირესობების წარმომადგენლებს. დაბალი კულტურული კომპეტენციების მქონე ინტერვიუერმა, შესაძლოა, უნებლიეთაქი გაანაწყენოს რესპონდენტი. ცოდნის დეფიციტმა შესაძლოა, მათ მიგნებებში უგულვებელყოს უმცირესობის ჯგუფის წარმომადგენელთა საჭიროებები, არასწორად და/ან სტერეოტიპულად წარმოადგინოს ისინი და/ან გამოიწვიოს რეალობის იგნორირება. არადა, კვლევა, წესით, საპირისპიროს ემსახურება. იმავენაირად შეგვიძლია დავუშვათ, რომ გენდერულად ნაკლებმგრძობიარე კვლევამ სხვადასხვაგვარი ზეგავლენა მოადინოს მამაკაცებსა და ქალებზე. ფემინისტთა და უმცირესობათა საკითხების მკვლევრები გთავაზობენ სხვადასხვა ხერხს, რომლებიც აგვარიდებს ამგვარ ზიანსა და ეთიკურ გადაცდომებს (Rubin&Babbie, 2011).

უმცირესობის წარმომადგენელთა ჯგუფებზე განხორციელებული კვლევებისას შემდეგი პრინციპებით უნდა ვიხელმძღვანელოთ:

- დავუთმოთ დრო უმცირესობების საკვლევი ჯგუფის გაცნობას/შესწავლას;
- კვლევის ყველა ეტაპზე ჩავრთოთ უმცირესობების საკითხთა მკვლევრები, თეორეტიკოსები, რომ უზრუნველყვით მათი საჭიროებებისა და ხედვებისადმი კვლევის შესაბამისობა;
- კვლევის დიზაინისა და ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში ჩავრთოთ თავად უმცირესობის ჯგუფის წარმომადგენლები;
- არ ჩავთვალოთ, რომ ერთ ეთნიკურ ჯგუფზე განხორციელებული კვლევისას წარმატებით გამოყენებული კვლევის ინსტრუმენტები ავტომატურად წარმატების მომტანია სხვა ჯგუფზე განხორციელებულ კვლევაშიც;
- გამოვიყენოთ კულტურულად სენსიტიური ენა;
- გულდასმით განვახორციელოთ ინსტრუმენტების პრეტესტირება, ენობრივი პრობლემების ან თარგმნის ხარვეზების აღმოფხვრისათვის;
- წარვმართოთ ორენოვანი ინტერვიუების პროცესი, თუ საჭიროა;
- გავიაზროთ უმცირესობის ჯგუფების წარმომადგენელთა ინტერვიუებად ჩართვა, ნაცვლად უმრავლესობის ჯგუფების წარმომადგენლებისა;

- მონაცემების დამუშავებისას გავითვალისწინოთ განსხვავებები უმცირესობათა ჯგუფებს შორის;
- მაქსიმალურად ავირიდოთ დეფიციტებზე ფოკუსირება (მით უფრო, დაუსაბუთებლად), ყურადღება, უპირატესად, ძლიერ მხარეებზე გავამახვილოთ;
- სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს შორის განსხვავებებზე ორიენტირებასთან ერთად, წარმოვადგინოთ ერთ კონკრეტულ უმცირესობის ჯგუფში აკულტურირების ხარისხობრივი განსხვავებები;
- შევავსოთ ჩვენივე კროსკულტურული კომპეტენციები;
- დავსახოთ შერჩევის სპეციფიკური სტრატეგია, რომელიც ადეკვატურად წარმოაჩენს უმცირესობის ჯგუფს.

რაც შეეხება გენდერული ტენდენციურობისა და გულგრილობის არიდებას, ამისთვის შემდეგ ყურადსაღებ რეკომენდაციებს გვთავაზობს მარგრიტ აიჩლერი (Eichler, 1988 in Rubin&Babbie, 2011) მისსავე წიგნში „არასექსისტური კვლევის მეთოდები“:

- თუ კვლევა მხოლოდ ერთ გენდერზე ტარდება, ეს სათაურშივე წარმოვაჩინოთ და ნუ განვაზოგადებთ კვლევის მიგნებებს;
- არ გამოვიყენოთ სექსისტური ენა ან კონცეპტები (მაგალითად, არ წარმოვაჩინოთ კაცი „ოჯახის თავად“, ქალი კი „მეუღლე“);
- ავირიდოთ ორმაგი სტანდარტი საკვლევი კითხვის ფორმირებისას (მაგალითად, როგორცაა, დასაქმებასა და მშობლობას შორის კონფლიქტი დედებისათვის, მაგრამ არა მამებისათვის);
- გადაჭარბებული ყურადღება არ მივაქციოთ მამაკაცის მიერ განხორციელებულ საქმიანობებს კვლევის ინსტრუმენტებში (მაგალითად, როგორცაა სოციალური ფუნქციონირებისას მხოლოდ კარიერული საქმიანობის გაშუქება და საოჯახო საქმიანობის, ბავშვების აღზრდის იგნორირება);
- მონაცემთა ანალიზისას ყურადღება მივაქციოთ მიგნებათა შორის განსხვავებებს ქალებისა და კაცების შემთხვევაში;
- არ ჩავთვალოთ, რომ მამაკაცებზე განხორციელებული კვლევისას წარმატებით გამოყენებული კვლევის ინსტრუმენტების გამოყენება ავტომატურად წარმატების მომტანია სხვა ჯგუფზე და/ან ქალებზე განხორციელებულ კვლევაშიც;
- დავრწმუნდეთ, რომ ანგარიში თანაბრად წარმოადგენს კვლევის მონაწილე ქალებსა და მამაკაცებს.

VI. თავის შეჯამება

სოციალური მუშაობის მიზანი ოდითგან არის კვლევის უფრო ჰუმანური საზოგადოების ფორმირების ინსტრუმენტად გამოყენება სოციალური სამართლიანობის მიღწევისათვის. კვლევის განხორციელებას კი ეთიკური სახელმძღვანელო პრინციპები ახლავს. ამასთან, ეთიკური პასუხისმგებლობები გვაკისრია არა მხო-

ლოდ მაშინ, როდესაც ვახორციელებთ კვლევას, არამედ მაშინაც, როდესაც თავს ვიკავებთ კვლევით ნაკარნახევი პრაქტიკის განხორციელებისგან (Rubin&Babbie, 2011).

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ პროფესიული ეთიკის კოდექსი 2005 წელს შექმნა¹. კოდექსი ამკვიდრებს პროფესიული ეთიკის პრინციპებსა და სტანდარტებს, რომლებითაც თითოეულმა სოციალურმა მუშაკმა უნდა ვიხელმძღვანელოთ, განურჩევლად იმისა, საველე სამუშაოებს ვახორციელებთ თუ მაკროპრაქტიკას, კვლევით საქმიანობას თუ აკადემიურს. კოდექსი გვეხმარება ეთიკური პრობლემების გადაჭრაში და საშუალებას გვაძლევს, ჩვენივე პროფესიული ქცევის ეთიკურობა შევაფასოთ.

კოდექსი ეფუძნება სოციალური მუშაობის ძირითად ფასეულობებს და ექვს სტანდარტს აყალიბებს, რომელთა შორისაა კვლევის სტანდარტი. სტანდარტი ხაზს უსვამს კვლევაში ნებაყოფლობითი მონაწილეობის, კონფიდენციალურობის, მონაწილეთა ინფორმირებულობის ვალდებულებებს, მკვლევრის პასუხისმგებლობას კვლევის ანგარიშის მომზადებისას; ის ასევე წარმოადგენს კვლევაში მონაწილეობის შეწყვეტის უფლებას, კონფიდენციალურობის შეზღუდვების შესახებ შეტყობინების ვალდებულებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სტანდარტი განმარტავს მისგან გადახვევის შესაძლო მიზეზებსა და/ან დასაშვებ ნორმებს.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ 2007 წელს სოციალური მუშაობის პროფესიული სტანდარტებიც მომზადდა. „პრაქტიკის სტანდარტები სოციალური მუშაობის კვლევის წარმოებისთვის“ ამ დოკუმენტის ცალკე სტანდარტია. სტანდარტი ხუთპუნქტიანია და ხაზს უსვამს ეთიკისა და კომპეტენციის საკითხებს. ის აქცენტს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის წარმოებაზე აკეთებს.

პელედმა და ლიჩენტრიტმა განსაზღვრეს სოციალური მუშაობის კვლევის, განსაკუთრებით კი, თვისებრივი კვლევის, ხუთი ეთიკური სახელმძღვანელო პრინციპი (Peled &Leichtentritt, 2002):

1. კვლევის ეთიკა კვლევის თითოეული ეტაპის განუყოფელი ნაწილია;
2. ეთიკური კვლევა ძალაუფლებით აღჭურავს მონაწილეებს, განსაკუთრებით, სოციალურად დაუცველ, ხმის უფლების არმქონე ადამიანებს/ჯგუფებს;
3. ეთიკურ კვლევას სარგებელი მოაქვს მონაწილეებისათვის;
4. ეთიკური კვლევა „არ ავნო“ პრინციპს იცავს როგორც უშუალოდ მონაწილეების, ასევე მათთან დაკავშირებული პირების მიმართ (მაგალითად, ოჯახის წევრები);
5. ეთიკური კვლევა მკვლევრისგან ტექნიკურ კომპეტენციებს ითხოვს.

თუმცა ყველაზე მკაფიოდ განერილი ეთიკური ნორმებისა და პრინციპების დაცვაც კი რთულდება სხვადასხვა მიზეზის გამო. მათ შორისაა პროფესიის მრავალმანდატიანობა და სოციოეკონომიკური თუ პოლიტიკური ცვლილებები. პირ-

¹ კოდექსი 2006 წელს გამოიცა „ფონდი ღია საზოგადოების“ მხარდაჭერით.

ველი განსაკუთრებით იგრძნობა, როდესაც სოციალური მუშაკი საჯარო სექტორშია დასაქმებული და ჰგონიათ, რომ მისი როლი სახელმწიფო პოლიტიკის ბრმად აღსრულებაა. არადა, იგი თანაბრადაა პასუხისმგებელი კლიენტის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და მისი პროფესიული მანდატის წინაშე (Staub-Bernasconi, 2009). აქ ფასეულობითი საკითხიც იჭრება წინა პლანზე. მაგალითად, საჯარო სექტორის წარმომადგენელი მკვლევრები მიდრეკილნი არიან, უპირატესად, დაინტერესდნენ სახელმწიფო რესურსების დაზოგვით, სოციალური მუშაკები კი, უპირველეს ყოვლისა, ბენეფიციართა კარგად ყოფნითა (well-being) და კეთილდღეობით (welfare). ისინი პროცესზე არიან ორიენტირებულნი და არა მხოლოდ მიზნის მიღწევაზე. პროფესიის განვითარების ხელშემშლელ მეორე ფაქტორად კი მოიაზრება იდეოლოგიური პარადიგმების ცვლისადმი პროფესიული საქმიანობის მაღალი მგრძობელობა.

გარდა ამისა, თავი მიმოიხილავს სოციალურ მუშაობაში ეთიკური ქცევის პარადოქსებით გამოწვეული პრობლემების ზეგავლენას კვლევაზე. კვლევასთან მეტადაა დაკავშირებული თვითაღიარება, როგორც საჭირო და, ამავე დროს, სარისკო ქცევა კლიენტის მხრიდან; თანასწორობა და სამართლიანობა (Weinberg, 2016); მომსახურების მიწოდება მყისიერად თუ მისი ხარისხის ნიშნის მიხედვით შეფასების შემდეგ.

სწორედ ერთ-ერთი დილემაა ახალი პროექტის და/ან მომსახურების პილოტირების პროცესი მისი ზეგავლენის შედეგების შეფასებისთვის. მას უწევს გააზრება, ირღვევა თუ არა კლიენტის უფლება, როდესაც მას ვუყოვნებთ მომსახურების მიღებას, ამ მომსახურების ეფექტიანობაში დარწმუნების მიზნით. მკვლევარი სოციალური მუშაკი ერთდროულად გრძნობს პასუხისმგებლობას კლიენტის საჭიროებების დაკმაყოფილებაზე მოცემულ მომენტში და, ამავე დროს, ამ მომსახურების მეცნიერულად დასაბუთებულ სარგებლიანობაზე. თავში წარმოდგენილია რამდენიმე მოსაზრება ამ დილემური საკითხის გადაჭრის გასაიოლებლად.

კვლევის ეთიკის მთავარი პრინციპია მოხალისეობრივი მონაწილეობა და მონაწილეთა ძალაუფლებით აღჭურვა. თუ ამ ნორმების დარღვევის აუცილებლობაში დარწმუნებული არ ვართ, ის მაინც უნდა ვიცოდეთ ზუსტად, რომ სამეცნიერო კვლევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნორმას არ ვარღვევთ – არ ვვნებთ კვლევაში მონაწილეებს (Rubin & Babbie, 2011). თავში წარმოდგენილია ამ ნორმების დარღვევის მაგალითებიც, რომლებიც ჩაგაფიქრებთ იმაზე, თუ რამდენად ღირს კვლევის მიზნის შენიღბვა განზრახულის მისაღწევად ან ერთთა ძალაუფლებით აღჭურვის მცდელობა სხვათა დისკრედიტაციას ხომ არ გამოიწვევს. კითხვებზე პასუხების მოძიება რთულია, მაგრამ თავში წარმოდგენილი მაგალითები ამაში დაამხმარეა.

თავში საუბარია კიდევ ერთ ჩასაფიქრებელ საკითხზე – რამდენადაა შესაძლებელი წყალგამყოფის დანახვა ეთიკურსა და პოლიტიკურ საკითხებს შორის სოციალური მუშაობის კვლევაში. ამ უკანასკნელის ეთიკა უფრო უკავშირდება კვლევაში გამოყენებულ მეთოდებს, მაშინ როდესაც, პოლიტიკური თვალსაზრისით, უფ-

რო ფასეულია კვლევის პრაქტიკული ღირებულება და გამოყენების პერსპექტივა. ამასთან, თუ სოციალური მუშაობის კვლევის ეთიკის კოდექსი გზამკვლევაა სოციალური მუშაკებისათვის, მსგავსი პოლიტიკური ქცევის კოდექსი არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ, მაგალითად, „არ ავნო“ პრინციპი ნათლად უკავშირდება სამოქალაქო უფლებებსა და თავისუფლებებს – არ არის განვითარებული პოლიტიკური ნორმები, რომლებზეც შეთანხმდნენ მკვლევრები (Rubin&Babbie, 2011).

თავი ეხება კიდევ ერთ მუდმივგანხილვად საკითხს – რამდენად შეიძლება სრული ჭეშმარიტების დადგენა სოციალურ მეცნიერებებში, რადგან სხვადასხვა კვლევის შედეგები საკმაოდ ხშირად ურთიერთწინააღმდეგობრივია, დასკვნები მუდმივი მოდიფიცირების პროცესშია და უკვე დამკვიდრებული თეორიის სხვა თეორიით ჩანაცვლებაც მიმდინარე პროცესია. ამიტომაც ბევრი სოციალური მუშაკი უპირატესობას კვლევის მიგნებებით გაჯერებული პრაქტიკის განხორციელებას ანიჭებს. ამერიკის სოციალურ მუშაკთა ეროვნული ასოციაციის ეთიკის კოდექსის შესაბამისად, კვლევით გაჯერებული პრაქტიკის განხორციელებაზე უარის თქმა, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს ეს ნაკარნახევი, არაეთიკურია (Rubin&Babbie, 2011).

VII. ძირითადი კითხვები/კითხვები რეფლექსიისთვის

1. შეიკავებდით თავს ისეთი კვლევის ჩატარებისგან, რომლის შედეგებიც, სავარაუდოდ, მგრძნობიარე აღმოჩნდებოდა რომელიმე დისკრიმინირებული ჯგუფისათვის?
2. წარმოიდგინეთ, რომ ლექტორი გთხოვთ კურსთან დაკავშირებული კითხვარი შეავსოთ. მონაწილეობა ნებაყოფლობითია. მაგრამ, თქვენი აზრით, ექცევიან თუ არა სტუდენტები „სავალდებულოობის“ წნეხის ქვეშ ასეთ სიტუაციაში? უნდა შეიკავოს თუ არა ლექტორმა ამგვარი კვლევისგან თავი?
3. „უიღბლო ტეხასელების“ ექსპერიმენტის პირველადი ვერსიის კრიტიკოსების აზრით, ეს კვლევა ათაშანგით დაავადებულთა კვლევისმაგვარი, ეთიკურად კონტრავერსიული კვლევაა. იზიარებთ ამ მოსაზრებას?
4. თქვენი აზრით, „უიღბლო ტეხასელების“ კვლევა ნაკლებ კრიტიკას დაიმსახურებდა, თუ ის გაცილებით მცირე რესურსით „იღბლიან“ მცირე ჯგუფზე დატესტავდა ახალ პროგრამას?
5. იზიარებთ ზოგიერთა მოსაზრებას, რომ საჭიროების მქონე ადამიანებს არასდროს უნდა ეთქვათ უარი მომსახურებაზე არანაირი პერიოდით, კვლევის მიზნებისათვის, თუნდაც ეს მომსახურების დახვეწას ემსახურებოდეს?

VIII. სავარჯიშოები

სავარჯიშო N1

წარმოიდგინეთ, ახალი მომსახურების დანერგვისას გჭირდებათ საკონტროლო ჯგუფისათვის მოხალისე მონაწილეების შერჩევა. ვთქვათ, ასეთები მოიძებნენ. ეს ეთი-

კური გამონწვევის წინაშე ხომ არ გაყენებთ, რადგან, სავარაუდოდ, არავისთვის იქნებოდა „ზედმეტი“ ახალი მომსახურებით სარგებლობა?

სავარჯიშო N2

წარმოიდგინეთ, საჭიროა გადაწყდეს, დაიშვას თუ არა პეკინის გამზირიდან „მაკდონალდსთან“ შესახვევი, რომელიც მძღოლებს გმირთა მოედანზე ჩასვლას აარიდებდა. ამას არაერთი ადამიანი ელოდება სულმოუთქმელად. ამიტომ საჭიროა დადგინდეს, ქმნის თუ არა საცობს გმირთა მოედნის მოსახვევი პიკის საათებში. არც ამ შემთხვევაში იქნებოდა საჭირო ყოველი გამვლელი მანქანის მძღოლისაგან თანხმობის აღება?

გამოყენებული ლიტერატურა

- Healy, L.H. (2010). Ethics in Social Work Management: Contesting the Encroachment of Menegerialism in the Social Services in Zavirsek, D., Rommelspacher, B., Staub-Bernasconi, S., (Ed.). Faculty of Social Work, University of Ljubliana.
- Peled, E., Leichtentritt, R. (2002). The Ethics of Qualitative Social Work Research. 1(2):145-169 Sage Publications London, Thousand Oaks, CA and New Delhi.
- Rubin, A., Babbies, E.R. (2011). Research in Social Work, Boos/Cole Cengage Learning.
- Sarantakos, S., (2005). Social Research. Palgrave.
- Sobocan, A. (2010). Ethics in / after Social Work Research in Ethical Dilemmas in *Social Work:International Perspective* in Zavirsek, D., Rommelspacher, B., Staub-Bernasconi, S., (Ed.). Faculty of Social Work, University of Ljubliana.
- Weiss-Gall, I., Welbourne, P.(2008).Professionalization of Social Work:A Cross-national Exploration. Blachwell Publishing Ltd and International Journal of Social Welfare, 17(4):281 – 290.
- Weinberg, M., (2016). Paradoxes in Social Work Practice: Mitigating Ethical Trespass. Comtemporary Socia Work Studies Routledge, London, NY.
- შატბერაშვილი ნ., (2011) საერთაშორისო სოციალური მუშაობა. ინტელექტი.

თავი IV

ლიტერატურის გამოყენება კვლევის პროცესში

შესავალი

კვლევის პროცესში უკვე არსებული რელევანტური ცოდნის მოძიება სხვადასხვა გზით შეიძლება; ასევე განსხვავებულად არის შესაძლებელი მისი გამოყენება. სოციალური მუშაობის კვლევის დროს არსებული ცოდნის გამოყენება ხშირად მიმართულია სოციალური პრობლემების შესარჩევად და დასაზუსტებლად. მაგალითად, რამდენად გავრცელებულია კონკრეტული პრობლემა ან რამდენად ადვილია ფენომენის გაზომვა? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭიროა არსებული რელევანტური ლიტერატურის მოძიება და დამუშავება. ლიტერატურის ანალიზი, ერთი მხრივ, გვეხმარება საკვლევი კითხვის ან ჰიპოთეზის ჩამოყალიბებაში და, მეორე მხრივ, კვლევის პროცესში მოპოვებული მონაცემების დამუშავებასა და დასკვნების გაკეთებაში. ყოველთვის საინტერესოა კვლევის მიგნებების განხილვა სხვების მიერ დაგროვილი ცოდნის პერსპექტივიდან.

წინამდებარე თავში განხილული იქნება ის ძირითადი წყაროები, რომლებსაც მკვლევრები მიმართავენ მათთვის საინტერესო საკითხის შესახებ დაგროვებული ცოდნის მოსაძიებლად – განხილულია ისეთი ძირითადი წყაროები, როგორებიცაა: პროფესიული ჟურნალები, ვებგვერდები, წიგნები, კვლევის ანგარიშები, მონოგრაფიები, კვლევის პრეზენტაციები კონფერენციებზე.

განალიზებულია ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ლიტერატურის მიმოხილვის ეფექტურად მომზადებაზე, კერძოდ, განხილულია აკადემიური სტილის ძირითადი მახასიათებლები, წყაროებისა და ციტატების სწორად გამოყენების პრინციპები; ასევე განხილულია APA¹-სტილის მნიშვნელობა და სტანდარტები; წარმოდგენილია ლიტერატურის მიმოხილვის შინაარსის ორგანიზების კონკრეტული მაგალითი;

დაბოლოს, განალიზებულია სისტემური მიმოხილვისა და მეტანალიზის დამატებითი და ჩატარების თავისებურებები.

I. რას გულისხმობს ლიტერატურის მიმოხილვა ?

როგორც ზემოთ აღინიშნა, კვლევის პროცესში ლიტერატურის მიმოხილვა მკვლევრის ყურადღებას ბევრი მიზნით იპყრობს. უპირველეს ყოვლისა, მკვლევარ-

¹ *American Psychological Association (APA)*-სტილი გამოიყენება სოციალურ მეცნიერებაში აკადემიური წერისას.

რი კვლევის დასაწყისში ინტერესდება საკითხის შესახებ არსებული ცოდნით – რა სახის კვლევებია ჩატარებული და რა არის მათი ძირითადი მიგნებები; რა ცოდნა არსებობს საკითხის შესახებ. დაგროვილი ცოდნის გაანალიზების მეორე ეტაპი უკვე შეგროვებული მონაცემების ანალიზის დროს დგება. უნდა აღინიშნოს, რომ საკითხის შესახებ დაგროვილი ცოდნის მოძიება სცდება მხოლოდ ბეჭდვით მასალას და გულისხმობს ისეთ წყაროებს, როგორებიცაა: ინტერნეტი, ვებგვერდები, ელექტრონული ჟურნალები, სატელევიზიო პროგრამები და სხვა.

მაშინაც კი, როდესაც საკვლევი თემა ძალიან ახალია და მნიშვნელოვანი ცოდნა არ არის დაგროვებული ამ მიმართულებით, მკვლევარმა შეიძლება მდიდარი რელევანტური ინფორმაცია მიიღოს თემატურად ახლოს მდგომი კვლევებისა და არსებული ცოდნის ანალიზით. შესაბამისი კარგი მაგალითია მოყვანილი იეჯიდისისა (Yegidis) და კოლეგების (2012) სახელმძღვანელოში: მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში აშშ-ში მედიისა და საზოგადოების ყურადღება მიიპყრო შეყვარებულ წყვილებში გაუპატიურების (date rape) გაზრდილმა სტატისტიკამ. თუმცა ამ მიმართულებით კვლევები და დაგროვილი ცოდნა თითქმის არ არსებობდა. არ არსებობდა ცოდნა, რომელიც მკვლევრებს მიაწვდიდა ინფორმაციას ამ ფენომენის გამომწვევი მიზეზებისა და მასთან გამკლავების გზების შესახებ. როდესაც მკვლევრებმა ამ მოვლენის შესწავლა დაიწყეს, ძალიან მნიშვნელოვანი იყო შესაბამისი ლიტერატურის ანალიზი. ვინაიდან პირდაპირი კვლევები არ არსებობდა, მკვლევრებმა დაიწყეს მომიჯნავე თემებზე არსებული ცოდნის ანალიზი – ლიტერატურის შესწავლა შემდეგი მიმართულებით წარიმართა (Yegidis et al., 2012):

- ქალთა მიმართ ძალადობის ისტორია;
- ქალთა მიმართ ძალადობა სხვადასხვა კულტურაში;
- ცნება „გაუპატიურების“ ლეგალური პარამეტრები;
- ნივთიერებებზე დამოკიდებულება და ფიზიკური ძალადობა;
- სექსუალური ძალადობა;
- რისხვის გამოხატვა და მართვა.

ამ მაგალითიდან კარგად ჩანს, რომ მკვლევარმა რელევანტური ლიტერატურა შეიძლება ნებისმიერი საკვლევი თემისთვის მოიძიოს. როდესაც მკვლევარი აცხადებს, რომ ძალიან ცოტა ან არაფერია ცნობილი გარკვეული ფენომენის შესახებ, ეს მიუთითებს იმაზე, რომ მას კარგად არ ესმის ლიტერატურის მიმოხილვის ბუნება ან საკმარისი დრო და ძალისხმევა არ დაუთმო ამ საქმეს (Yegidis et al., 2020).

როგორც სოუერსი (Sowers) და კოლეგები (2010) აღნიშნავენ, ლიტერატურის მიმოხილვას სამი ძირითადი მიზანი აქვს: (1) საშუალებას გვაძლევს, უკეთესად გაგიგოთ უკვე ჩატარებული კვლევები და დავგეგმოთ ახალი; (2) გვეხმარება მიმდინარე კვლევის კონცეპტუალიზაციასა და ოპერაციონალიზაციაში; და (3) გვეხმარება კვლევის პროცესში პოტენციური შეცდომებისა და პრობლემების დაინახვაში (Sowers et al., 2010). საფუძვლიანი ლიტერატურის ანალიზი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ავტორისთვის, არამედ მკითხველისთვისაც – ის საშუალებას

აძლევს მკითხველს, დარწმუნდეს მკვლევრის სანდოობაში; ასევე დაინახოს და გაიაზროს საკვლევი თემა სხვა ავტორების პერსპექტივიდან. კვლევის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე ლიტერატურის მიმოხილვის გამოყენების მნიშვნელობა შეჯამებულია ცხრილში 4.1.

ცხრილი 4.1

როგორ იყენებენ მკვლევრები ლიტერატურის მიმოხილვას კვლევის პროცესში (Yegidis et al., 2020).

<p>კვლევის დასაწყისში, პრობლემის თავდაპირველი იდენტიფიცირებისას, გვეხმარება:</p>	<ul style="list-style-type: none"> • პრობლემის სპეციფიკურობის განსაზღვრაში; • კონკრეტულ პრობლემასთან დაკავშირებული უფრო ფართო საკვლევი თემის განსაზღვრაში.
<p>მონაცემების შეგროვებამდე გვეხმარება:</p>	<ul style="list-style-type: none"> • პრობლემის ბუნებისა და ისტორიის უკეთ გაგებაში; • იმის განსაზღვრაში, თუ კვლევის რომელი მეთოდები გამოიყენება (წარმატებით თუ წარუმატებლად) მსგავსი თემების კვლევისას; • იმის გაგებაში, პრობლემასთან მიმართებით რა პასუხი გამოიკვეთა უკვე ჩატარებულ კვლევებში; • გადაწყვიტოთ, თუ რომელია საუკეთესო გზა მონაცემების შესაგროვებლად, დავასაბუთოთ მათი ეფექტურობა და შევარჩიოთ მონაცემთა ანალიზის საუკეთესო მეთოდები; • გამოვყოთ ცვლადები, რომლებსაც გავზომავთ კვლევის პროცესში; • მოვახდინოთ ძირითადი ცვლადების ოპერაციონალიზაცია; • ჩამოვაყალიბოთ კვლევის ჰიპოთეზა.
<p>მონაცემების შეგროვების შემდეგ გვეხმარება:</p>	<ul style="list-style-type: none"> • გავანალიზოთ განსხვავება, რომელიც არსებობს ჩვენი კვლევის მონაცემებსა და სხვა კვლევებში მიღებულ მონაცემებს შორის; • გავანალიზოთ, თუ რა მიმართულებით ემთხვევა ჩვენი და უკვე არსებული კვლევების მონაცემები; • გავანალიზოთ მიღებული მონაცემები უკვე არსებული ცოდნის პერსპექტივიდან – რა სიახლეებმა იჩინა თავი, რით შეუწყო ხელი ჩვენმა კვლევამ აღნიშნულ სფეროში არსებული ცოდნის პროგრესს; • ჩამოვაყალიბოთ საკვლევი კითხვები და ჰიპოთეზები შემდგომი კვლევისთვის.

II. პოტენციური წყაროები ლიტერატურის მიმოხილვისთვის

ლიტერატურის მიმოხილვა რამდენიმე მნიშვნელოვან ნაბიჯს გულისხმობს. უპირველეს ყოვლისა, მკვლევარმა უნდა განსაზღვროს, რომელ წყაროებს გამოიყენებს ლიტერატურის გაანალიზებისას. არსებობს მრავალი ასეთი წყარო: წიგნები, ჟურნალები, ინტერნეტი, ელექტრონული ბაზები, სამთავრობო ანგარიშები და სხვ. როგორ ვარჩევთ წყაროს ლიტერატურის მოსაძიებლად? უპირველესად, ვეყრდნობით მის სანდოობას. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ „სანდოობა“ ზოგჯერ საკამათოა, რადგან ყველაზე მაღალი რეპუტაციის წყაროებიც კი, ზოგ შემთხვევაში, განიცდის პოლიტიკურ და ეკონომიკურ გავლენას (Yegidis et al., 2020).

ლიტერატურის მიმოხილვისას ყველაზე ხშირად განიხილება შემდეგი წყაროები:

- პროფესიული ჟურნალები;
- სანდო ვებგვერდები;
- წიგნები;
- კვლევის ანგარიშები;
- მონოგრაფიები;
- კვლევის პრეზენტაციები.

2.1. პროფესიული ჟურნალები

საერთაშორისო სივრცეში სოციალური მუშაობის არაერთი პროფესიული ჟურნალი არსებობს, მაგალითად, **Social Work Research**, **Social Work**, **Research on Social Work Practice** და სხვ. პროფესიულ ჟურნალებში თავმოყრილია მნიშვნელოვანი ცოდნა სოციალური მუშაობის საკვლევე საკითხების შესახებ. როგორც წესი, ჟურნალებში მოქმედებს გამოსაქვეყნებელი მასალების კოლეგების მიერ „ბრმა“ შერჩევის წესი, რომელიც იმის საფუძველს იძლევა, რომ მხოლოდ ღირებული და მნიშვნელოვანი ნაშრომები გამოქვეყნდეს და ამ პროცესზე გავლენა არ მოახდინოს ავტორის სახელმა ან ნაცნობობამ. ჟურნალების მნიშვნელობასა და გავლენას მისი იმფაქტფაქტორი განსაზღვრავს, რომელიც ჟურნალის ციტირების რაოდენობას უკავშირდება – რაც უფრო მაღალია ჟურნალის იმფაქტფაქტორი, მით უფრო ღირებულია ის პროფესიული თემისთვის; და შესაბამისად, მასში სტატიის გამოქვეყნებისთვის უფრო მკაცრი წესებია დადგენილი, თუმცა სოციალური მუშაობის ყველა პროფესიულ ჟურნალს არ აქვს იმფაქტფაქტორი. როგორ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ჟურნალის ხარისხი დამაკმაყოფილებელია და მისი, როგორც წყაროს, გამოყენება შეიძლება? უპირველეს ყოვლისა, უნდა ვნახოთ, რამდენად მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს ჟურნალი სოციალური მუშაობის პროფესიისთვის, რამდენად კარგად არის აღწერილი გამოყენებული კვლევის მეთოდები, რომლებიც მკითხველს მათი ადეკვატურობის შესახებ მსჯელობის საშუალებას მისცემს. ყურადღება უნდა მივაქციოთ ჟურნალის გამომცემელს – ის არის პროფესიული ორგანიზაცია, უნივერსიტეტი თუ სხვა ორგანიზაცია. ვნახოთ, რამდე-

ნად გამოყენებულია ოფიციალური სტატისტიკა, ციფრები და ფაქტები; რამდენადაა ნახმარი ის ტერმინოლოგია, რომელიც პროფესიისთვის არის დამახასიათებელი; ჟურნალში დაბეჭდილი სტატიები რამდენად ეფუძნება გამოყენებულ ლიტერატურას, რომელიც სტატიაში გადმოცემული შინაარსის გადამონმების საშუალებას იძლევა. აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლოა, გამოვარჩიოთ მაღალი დონის პროფესიული ჟურნალი და დავეყრდნოთ მას, როგორც მნიშვნელოვან წყაროს, ჩვენთვის საჭირო თემის შესახებ არსებული ცოდნის მოსაძიებლად. უნდა გვახსოვდეს, რომ ერთი საეჭვო წყაროს მითითებამაც კი შესაძლოა, დიდი ზიანი მიაყენოს ნაშრომს და ეჭვის ქვეშ დააყენოს კვლევის ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები.

2.2. ვებგვერდები

ინტერნეტი არსებული ცოდნის თავმოყრის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული წყაროა. ბევრისთვის ინტერნეტი არის პირველი წყარო მისთვის საინტერესო საკითხის შესახებ ინფორმაციის მოსაძიებლად. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ინტერნეტში გავრცელებული ინფორმაცია ყოველთვის სანდო არ არის, რადგან ინტერნეტში ინფორმაციის გავრცელება ნებისმიერს შეუძლია. მნიშვნელოვანია, რომ მკვლევარს კარგად შეეძლოს სანდო ვებგვერდების ამოცნობა. ქვემოთ მოცემულია ის ძირითადი რჩევები, რომლებიც მკვლევარმა უნდა გაითვალისწინოს ვებგვერდის სანდოობის შეფასებისას (Yegidis et al., 2020):

- რას გეუბნებათ ვებგვერდის ლინკი? ლინკის სახელი მიუთითებს იმაზე, რომ ეს პერსონალური ვებგვერდია, თუ ის რომელიმე ორგანიზაციასთან არის დაკავშირებული? თუ ლინკი ინსტიტუციურია, რა არის მისი „დომენი“, მაგალითად, .gov ან .org, ან .edu და სხვ. .gov-ის შემთხვევაში საქმე გვაქვს სამთავრობო უწყებასთან, .org-ის შემთხვევაში, დიდი ალბათობით, არასამთავრობო ორგანიზაციასთან, ხოლო .edu-ს შემთხვევაში საგანმანათლებლო ორგანიზაციასთან;
- გაძლევთ თუ არა მოცემული ლინკი ავტორის ან ორგანიზაციის სანდოობაში დარწმუნების შესაძლებლობას? შეიცავს თუ არა ვებგვერდი ინფორმაციას ორგანიზაციის მისიის, მიზნებისა და აქტივობების შესახებ? პერსონალური ვებგვერდის შემთხვევაში – მისი ავტორის პროფესიული საქმიანობის, ღირებულებებისა და ეთიკური სტანდარტების შესახებ? არის თუ არა ვებგვერდი დაკავშირებული სხვა ლინკებთან? როდის იყო ის ბოლოს განახლებული?
- რა არის მითითებული, როგორც ვებგვერდის ავტორის ან ორგანიზაციის ექსპერტიზის ძირითადი სფერო? რა ინფორმაცია არსებობს ვებგვერდზე ამ ექსპერტიზის დამადასტურებელი?
- რა არის ვებგვერდის ძირითადი მიზანი – სამეცნიერო საზოგადოებისთვის არსებული ცოდნის გაზიარება თუ ავტორის აზრების თავს მოხვევისა და საზოგადოებაზე გავლენის მოხდენის მცდელობა?

- რამდენად გამოყენებულია ვებგვერდზე მოცემულ ინფორმაციაში მტკიცებულებები? რამდენად არის გამოყენებული სანდო და მაღალი რეპუტაციის წყაროები?

2.3. წიგნები

წიგნები, რა თქმა უნდა, რჩება ლიტერატურის მიმოხილვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ. წიგნებში ხშირად თავმოყრილია მნიშვნელოვანი კვლევების ძირითადი მიგნებები ან განხილულია სხვადასხვა თეორიული პერსპექტივა, თანამედროვე მიდგომა და სხვ. თუმცა აქაც ფრთხილად უნდა ვიყოთ, რადგან ყველაფერი, რაც წიგნის სახით არის დაბეჭდილი, ღირებულ და სანდო ინფორმაციას არ შეიცავს. საერთაშორისო სივრცეში არსებულ პრესტიჟულ გამოცემებში, როგორებიცაა, მაგალითად: SAGE, Springer და სხვ., არსებობს მკაცრად განერილი პროცედურები და სტანდარტები, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს ნაშრომმა იმისთვის, რომ წიგნად გამოიცეს. ამ გამოცემებში დასაბეჭდად წიგნს უნდა ჰქონდეს, სულ მცირე, ორი ექსპერტის დადებითი რეცენზია, თუმცა ყველა გამომცემლობა როდი მისდევს ასეთ მკაცრ წესებს. როგორც იეიჯიდისი (Yegidis) და კოლეგები აღნიშნავენ (2020), „... არსებობს გამოცემები, რომლებიც წიგნად გამოსცემენ, ფაქტობრივად, ყველაფერს (პროფესორის სალექციო ჩანაწერებსაც კი), თუ ავტორი მზად არის, კარგად გადაუხადოს ამისთვის“ (Yegidis et al., 2020, გვ. 80). შესაბამისად, სანამ მკვლევარი გადაწყვეტს, გამოიყენოს თუ არა წიგნი როგორც ინფორმაციის წყარო, მან რამდენიმე კითხვა უნდა დასვას მისი სანდოობისა და მნიშვნელობის შესახებ. კერძოდ, როგორი რეპუტაცია აქვს ავტორს სამეცნიერო და პროფესიულ წრეში? რა იძლევა ავტორის სანდოობის საფუძველს? რომელ ორგანიზაციასთან არის აფილირებული? რამდენად კარგი რეპუტაციით სარგებლობს ეს ორგანიზაცია? რას ეფუძნება წიგნში ავტორის პოზიცია – მის სუბიექტურ შეხედულებებს თუ მდიდარ სამეცნიერო ნაშრომებსა და სტატისტიკას? რა არის მისი ჭეშმარიტი მიზანი – ხელი შეუწყოს მოცემულ სფეროში ცოდნის დაგროვებასა და წინსვლას თუ მას გარკვეული პოლიტიკური ან ეკონომიკური მიზნები ამოძრავებს? სად გამოიცა წიგნი – როგორი რეპუტაცია აქვს გამომცემლობას? რამდენად მარტივია იქ წიგნის გამოცემა? როგორია წიგნის შესახებ გამოცემული რეცენზია?

2.4. კვლევის ანგარიშები და მონოგრაფიები

კვლევის ანგარიშებსა და მონოგრაფიებში დეტალურად არის აღწერილი კვლევაში გამოყენებული მეთოდები და მიდგომები; შესაბამისად, მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა, იმსჯელოს მათ ადეკვატურობასა და სიზუსტეზე. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც უნდა დავაკვირდეთ, ხომ არ არის ანგარიშის გამომცემი დაინტერესებული კვლევის გარკვეული შედეგებით. მაგალითად, თუ კვლევა ტარდება რომელიმე სახელმწიფო სააგენტოს დაკვეთით და სწავლობს მისი ერთ-ერთი პროგრამის ეფექტურობას, შესაძლოა, ის მიკერძოებული იყოს ამ კვლევის შედეგების წარდგენისას.

2.5. კვლევის პრეზენტაციები

კონფერენციები და სიმპოზიუმები ხშირად განიხილება როგორც ინფორმაციისა და ცოდნის გავრცელების ერთ-ერთი საუკეთესო გზა, თუმცა აქაც, ისევე როგორც გამომცემლობებისა და ჟურნალების შემთხვევაში, უნდა დავრწმუნდეთ ამ ღონისძიებების სანდოობაში. კომერციონალიზაციის გზაზე ზოგიერთი კონფერენციის ორგანიზატორი, სანერო მოსაკრებლის მიღების გამო, ძალიან ასუსტებს შერჩევის კრიტერიუმებს და, შესაბამისად, შესაძლოა, საეჭვო და დაბალი ხარისხის პროდუქტი წარადგინონ კონფერენციასა და სიმპოზიუმზე.

საერთაშორისო სოციალურ მუშაობაში არსებობს ყოველწლიური კონფერენციები, რომლებიც მაღალი რეპუტაციით სარგებლობს. მათ რიცხვს მიეკუთვნება ის კონფერენციები, რომლებსაც აფინანსებს ისეთი ორგანიზაციები, როგორებიცაა, მაგალითად, National Association of Social Workers (NASW), Society of Social Work and Research (SSWR) და სხვა (Yegidis et al., 2012). საქართველოში პრაქტიკოსების მეტ ყურადღებას იპყრობს ის ღონისძიებები, რომლებიც ორგანიზებულია საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის (GASW) მიერ. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც ღონისძიების სანდოობა მნიშვნელოვნად უკავშირდება მისი ორგანიზატორების რეპუტაციასა და პროფესიონალიზმს.

III. როგორ უნდა დავწეროთ ლიტერატურის მიმოხილვა

რა არის დამახასიათებელი კარგი ლიტერატურის მიმოხილვისთვის? როგორ უნდა წარმოადგინოს მკვლევარმა საკითხის შესახებ არსებული ცოდნა ისე, რომ ის მაქსიმალურად სასარგებლო იყოს მკითხველისთვის. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ინფორმაციის დინების სწორად სტრუქტურირება – ლიტერატურის მიმოხილვის გაცნობისას მკითხველი ელის, რომ კვლევის საგნის შესახებ მალევე მიიღებს ინფორმაციას. მაგალითად, როდესაც ვატარებთ კვლევას, რომელიც სწავლობს თამაშდამოკიდებულებას ახალგაზრდების თვითმკვლელობაზე, მკითხველი ელის, რომ დასაწყისშივე მიიღებს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ განვითარდა ლუდომანია, როგორ უკავშირდება ის თანამედროვე სოციალურ პრობლემებს, რა არის ცნობილი ახალგაზრდების თვითმკვლელობების მიზეზების შესახებ, რამდენად უკავშირდება მას აზარტულ თამაშებში მონაწილეობის ისტორია და სხვა. საკვლევი თემის შესახებ უკვე არსებული ცოდნა წარმოდგენილი უნდა იყოს ისე, რომ მოცემული კვლევის მიზანი მის ლოგიკურ გაგრძელებად გამოჩნდეს. ლიტერატურის მიმოხილვის ნაკადი უნდა იყოს ლოგიკური, თანმიმდევრული და მიემართებოდეს ზოგადიდან უფრო კონკრეტული მოსაზრებებისკენ. კარგად უნდა ჩანდეს, თუ როგორ იყენებს მკვლევარი არსებულ ცოდნას თავისი კვლევის საგნის გააზრებაში; და როგორ მიდის უფრო კონკრეტული საკვლევი საკითხებისა და ჰიპოთეზებისკენ.

დიდი მნიშვნელობა აქვს ტექსტში წყაროებისა და ციტატების სწორად გამოყენებას – მიზანშეწონილია, ციტატების შეზღუდულად, ზომიერად ხმარება. ცი-

ტატიების სიჭარბემ შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მკითხველი, რადგან ისინი ყოველთვის გარკვეული კონტექსტიდან არის ამოღებული. როდესაც მოგვყავს სტატისტიკა, აუცილებელია შესაბამისი წყაროს მითითება – ეს საშუალებას აძლევს მკითხველს, გადაამოწმოს მოცემული ციფრების სიზუსტე. თუმცა აუცილებელია, გავითვალისწინოთ, რომ სტატისტიკა ლოგიკურად უნდა უკავშირდებოდეს საკვლევ თემას და არ უნდა იყოს, უბრალოდ, იმის მტკიცებულება, რომ მკვლევარი კარგად არის ინფორმირებული საკითხის შესახებ.

სათანადო მრავალრიცხოვანი ლიტერატურის დამუშავების შემდეგ მკვლევარს უჩნდება სურვილი, ყველაფერი ასახოს ლიტერატურის მიმოხილვაში; თუმცა, მაგალითად, თუ ათი სტატია ერთსა და იმავე მოსაზრებას ავითარებს, აუცილებელი არ არის ყველა მათგანის ციტირება – საკმარისია ორი ან სამის წყაროდ მოყვანა.

როგორ უნდა შევარჩიოთ საჭირო წყაროები ციტირებისთვის? წყაროებზე მუშაობისას, მხოლოდ იმ სტატიების ციტირება უნდა მოვახდინოთ, რომლებიც ჩვენი კვლევის შესაფერისია; ასევე ციტირებისას აქცენტი, ძირითადად, უნდა გავაკეთოთ დასკვნებსა და მიგნებებზე და თავი ავარიდოთ კვლევების აღწერასა და ზედმეტ დეტალებს (Bem in Yegidis et al., 2012). ხშირად ისმის კითხვა – ლიტერატურის მიმოხილვისას მხოლოდ თანამედროვე კვლევებსა და წყაროებს უნდა დავეყრდნოთ? რა თქმა უნდა, მეტად ღირებულია მაღალი რეპუტაციის მქონე ჟურნალების თანამედროვე სტატიების განხილვა; თუმცა ლოგიკურია ძველი სტატიების ციტირება, როდესაც პრობლემის ისტორიულ მიმოხილვას ვაკეთებთ ან ვსაუბრობთ კონკრეტული კვლევის ინსტრუმენტზე, რომელიც, მაგალითად, მე-20 საუკუნის 40-იან წლებში შეიქმნა.

ლიტერატურის მიმოხილვაზე მუშაობისას ძალიან მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ის უნდა იყოს ლოგიკურად თანმიმდევრული – გამოყენებული წყაროები და ციტატები მკვლევარს სჭირდება თავისი ლოგიკური თანმიმდევრულობის სადემონსტრაციოდ და ხაზს უსვამს მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას. გამოყენებული წყაროების ძირითადი დანიშნულებაა სწორედ ეს არის და არა მკითხველზე შთაბეჭდილების მოხდენა იმით, რომ ნაშრომზე მუშაობისას ავტორი მრავალრიცხოვან წყაროს გაეცნო. ავტორის ობიექტურობა შეიძლება რამდენიმე გზით გამოვლინდეს, მაგალითად, მან ჩართოს ტექსტში ის წყაროები, რომლებიც მისთვის სანინალმდეგო მოსაზრებებსაც ასახავს – საკითხის შესახებ არსებული ორი მხარის წარდგენა მკითხველს არწმუნებს იმაში, რომ მკვლევარი კარგად არის გარკვეული საკითხის შესახებ არსებულ ლიტერატურაში და, იმავდროულად, ლიტერატურის მიმოხილვისას ობიექტურობას ინარჩუნებს.

ლიტერატურის მიმოხილვაზე მუშაობისას რა პოზიცია უნდა ჰქონდეს ავტორს – უნდა ჩანდეს მისი სუბიექტური დამოკიდებულება, თუ შეინარჩუნოს ნეიტრალურობა? იეიჯიდისი (Yegidis) და კოლეგები (2012) აღნიშნავენ: კარგად დაწერილ ლიტერატურის მიმოხილვაში ავტორი მკითხველს ეხმარება, გაერკვეს მოცემული საკითხის შესახებ არსებულ ცოდნაში და, იმავდროულად, დაინახოს

მისი პოზიციაც, რომელსაც შეიძლება დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს. მთავარია, ჩანდეს ის გზა, რომლითაც ავტორი მივიდა თავის დასკვნებამდე. კარგად დაწერილ ლიტერატურის მიმოხილვაში ავტორი არ ცდილობს, გავლენა მოახდინოს მკითხველზე, ის კარგად ასაბუთებს საკუთარ არგუმენტებს და საშუალებას აძლევს მკითხველს, მისდიოს მის არგუმენტებს, რომლებიც იმავე დასკვნებამდე მიიყვანს. ლიტერატურის მიმოხილვის გაცნობისას მკითხველისთვის ავტორის დასკვნები უცნაური და მოულოდნელი არ უნდა იყოს – მისი მხარდამჭერი არგუმენტები ტექსტში კარგად უნდა ჩანდეს. მაგალითად, როდესაც ავტორი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დამცველია და აშუქებს დეინსტიტუციონალიზაციის პროცესს, შეიძლება ჩათვალოს, რომ ამ თემის მნიშვნელობასა და მართებულობას ბევრი მტკიცება და არგუმენტაცია არ სჭირდება, რადგან დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის სისწორე და მნიშვნელობა „ისედაც ცხადია“. დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის მნიშვნელობას, სავარაუდოდ, ბევრი იზიარებს, თუმცა, როდესაც ამ თემის აკადემიურ ნაშრომში გაშუქებაზე ვსაუბრობთ, აუცილებელია იმ არგუმენტების თანმიმდევრულად მოყვანა, რომლებიც ამ პროცესის აუცილებლობასა და მნიშვნელობას ადასტურებს – სწორედ ამით განსხვავდება აკადემიური ნაშრომი მხატვრული ლიტერატურისგან. აკადემიურ ნაშრომში ვწერთ იმას, რასაც მტკიცებულებებით ვადასტურებთ.

როდესაც ლიტერატურის მიმოხილვაში აშკარად იგრძნობა ავტორის მოსაზრებების ზეგავლენა, ამან შესაძლოა, მკითხველში უნდობლობა გააჩინოს; მან შეიძლება ჩათვალოს, რომ ავტორის დასკვნები სათანადოდ არ ეფუძნება სფეროში არსებულ ცოდნას. მაშინაც კი, როდესაც ტექსტში საკმარისი რაოდენობის წყაროა მოყვანილი, ამან შესაძლოა, საჭირო ბალანსი ვერ შექმნას და მკითხველმა ჩათვალოს, რომ ავტორმა განსახილველად მხოლოდ ის ლიტერატურა შეარჩია, რომელიც მის მოსაზრებებს ადასტურებს. ასეთ შემთხვევაში მკითხველი შესაძლოა, დაეჭვდეს კვლევის სხვა ეტაპებზეც მკვლევრის მიკერძოებულობაში. ლიტერატურის მიმოხილვისას დაშვებული მეორე შეცდომაა, როდესაც ავტორის მოსაზრებები მთლიანად ემთხვევა განხილულ ლიტერატურას და ის თითქოს „ერთ დიდ ციტირებას წარმოადგენს“ (Yegidis et al., 2012, გვ. 92). ასეთ დროს ნაშრომი აკადემიურად გამოიყურება, მაგრამ შინაარსობრივად არა – რადგან მკითხველს არ აძლევს საშუალებას, თვალი მიადევნოს იმას, თუ როგორ ყალიბდება ავტორის მოსაზრება და როგორ მიდის ის დასკვნებამდე; იქმნება შთაბეჭდილება, რომ ავტორმა, უბრალოდ, უკვე არსებული მოსაზრებები „აითვისა“.

როგორც ვხედავთ, როდესაც ლიტერატურის მიმოხილვისას ავტორი მკითხველს შესაბამისად აწვდის საკითხის შესახებ არსებულ ცოდნას, სწორად იყენებს სანდო წყაროებს და მკითხველს შესაძლებლობას აძლევს, ლოგიკურად მიადევნოს თვალი მის მსჯელობას, შეიძლება ითქვას, რომ ლიტერატურის მიმოხილვა თავის ფუნქციას ასრულებს.

სოციალური მუშაობის კვლევის ანგარიშზე, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა აკადემიურ ნაშრომზე მუშაობისას, ავტორი იყენებს APA-სტილს. ამერიკის ფსი-

ქოლოგიური ასოციაციის (APA) მიერ წარმოდგენილი აკადემიური წერის სტილი ფართოდ არის დანერგილი სოციალურ მეცნიერებებში, მათ შორის, სოციალურ მუშაობაში. შესაბამისად, საქართველოშიც ამ სფეროში მოქმედი სპეციალისტები აკადემიური წერისას სწორედ APA-სტილით ხელმძღვანელობენ. დღეს გამოიყენება APA-სტილის სახელმძღვანელოს ბოლო, მეშვიდე რედაქცია.

რატომ ვიყენებთ APA-სტილს? APA-სტილი ხელს უწყობს მეცნიერებს შორის ეფექტურ კომუნიკაციას, რადგან საშუალებას აძლევს ავტორებს, ჩამოაყალიბონ იდეები ნათლად, მოკლედ და გასაგებად (*The Publication Manual of the American Psychological Association, 2019*). წერის ერთგვაროვანი და თანმიმდევრული მანერა, რომელსაც APA-სტილი გულისხმობს, საშუალებას აძლევს მკითხველს, ყურადღების კონცენტრირება გააკეთოს წარმოდგენილ ძირითად იდეებზე, სწრაფად გაეცნოს მთავარ მოსაზრებებს, მიგნებებსა და წყაროებს. APA-წერის სტილი საშუალებას აძლევს ავტორებს, სრულად წარმოადგინონ ძირითადი სათქმელი და მკითხველის ყურადღებას იცავს როგორც გრამატიკული, ისე ორთოგრაფიული უზუსტობებისგან. როდესაც APA-სტილი კარგად არის დაცული, იდეები წარმოდგენილია ლოგიკურად, სანდო წყაროები მითითებულია შესაბამისად და ნაშრომის სტრუქტურა ჩამოყალიბებულია გეგმაზომიერად და თანმიმდევრულად. გამოყენებული ლექსიკონი ამჟღავნებს ადამიანების ღირსების მიმართ პატივისცემას, დაცულია ეთიკური სტანდარტები; ავტორისგან განსხვავებული ან საწინააღმდეგო მოსაზრებები წარმოდგენილია ისე, რომ მკითხველს საშუალება ეძლევა, მოყვანილ არგუმენტებზე დაყრდნობით, თავად ჩამოაყალიბოს საბოლოო შეფასებები და შეადაროს ისინი ავტორისეულ დასკვნებს. ციფრები და სტატისტიკა არის თანამედროვე, პირველწყაროთი დასაბუთებული და წარმოდგენილია თანმიმდევრული და ლოგიკური გზით.

ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე ძირითადი წესი, რომლებიც ავტორმა APA-სტილის გამოყენებისას უნდა გაითვალისწინოს (*The Publication Manual of the American Psychological Association, 2019*):

- APA-სტილი გულისხმობს წყაროების ტექსტსა და არა სქოლიოში მითითებას;
- ტექსტში წყაროს მითითებისას გამოიყენება ავტორის გვარი და პუბლიკაციის წელი – მაგალითად, (მახარაძე, 2020), რაც საშუალებას აძლევს მკითხველს, ნაშრომის ბოლოს „გამოყენებულ ლიტერატურაში“ ნახოს ეს ავტორი და მისი ნაშრომი. ორი ავტორის შემთხვევაში – იწერება ორივე ავტორის გვარი და პუბლიკაციის წელი – მაგალითად, (მახარაძე & დოლიძე, 2020). სამზე მეტი ავტორის შემთხვევაში, იწერება შემდეგნაირად – (მახარაძე და სხვ., 2020).
- როდესაც ნაშრომს ჰყავს კორპორაციული ავტორი, მაგალითად, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველო, ამ შემთხვევაში, ავტორად ვწერთ ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს, ხოლო გამომცემლის ადგილზე ვწერთ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს:

ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველო (2020) – ინკლუზიური განათლება საქართველოში [წლიური ანგარიში], საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

- ტექსტში მითითებული ყველა ავტორი უნდა იძებნებოდეს „გამოყენებულ ლიტერატურაში“ მოცემულ ჩამონათვალში და, პირიქით, „გამოყენებულ ლიტერატურაში“ მითითებული ყველა წყარო მოხმობილი უნდა იყოს ტექსტში.

APA-სტილის რეგულაციების სიღრმისეულად შესასწავლად გაეცანით სახელმძღვანელოს მე-7 გამოცემას American Psychological Association (7th ed.). Washington, DC: American Psychological Association. ასევე, ენვით შემდეგ ვებგვერდებს:

- <http://owl.english.purdue.edu/owl>
- <https://apastyle.apa.org>

IV. ლიტერატურის მიმოხილვის შინაარსის ორგანიზება – კონკრეტული თემის მაგალითზე

წარმოიდგინეთ, რომ ლიტერატურის მიმოხილვას გეგმავთ კონკრეტულ საკითხზე – რა გავლენას ახდენს დასაქმება შშმ პირთა ფიზიკურ ჯანმრთელობასა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე? ამ საკითხში მნიშვნელოვანი ორი ასპექტია: (1) დასაქმების გავლენა ადამიანის ბიოფსიქოსოციალურ მდგომარეობაზე და (2) შშმ პირთა ბიოფსიქოსოციალური მდგომარეობის თავისებურებები. შესაბამისად, ამ თემის ირგვლივ არსებული ცოდნის სორტირება და ორგანიზება შესაძლებელია შემდეგი ფორმატის მიხედვით:

- 1. ბიოფსიქოსოციალური ფაქტორების გავლენა ადამიანის სოციალურ ფუნქციონირებაზე**
 - 1.1 რას გულისხმობს ბიოფსიქოსოციალური ფაქტორები;
 - 1.2 რას გულისხმობს ეფექტური სოციალური ფუნქციონირება;
 - 1.3 როგორ აისახება ადამიანის განვითარების ბიოფსიქოსოციალური ფაქტორები მის სოციალურ ფუნქციონირებაზე.
- 2. ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე**
 - 2.1 რას გულისხმობს კარგი ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქოლოგიური კეთილდღეობა;
 - 2.2 როგორ აისახება ადამიანის განვითარების ბიოფსიქოსოციალური ფაქტორები მის ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე.
- 3. შშმ პირთა სოციალური ფუნქციონირების თავისებურებები**
 - 3.1 შშმ პირის დეფინიცია;
 - 3.2 შეზღუდული შესაძლებლობის ძირითადი ტიპები;

3.3 ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს შშმ პირთა სოციალურ ფუნქციონირებაზე: შშმ პირთან დაკავშირებული ფაქტორები (მისი პიროვნული მახასიათებლები და დამოკიდებულებები) და გარეგანი ფაქტორები (ვიზიკური და სოციალური ბარიერები).

4. დასაქმების როლი შშმ პირთა სოციალურ ფუნქციონირებაში

4.1 რას გულისხმობს შშმ პირთა ეფექტური დასაქმება;

4.2 რა შემთხვევაში მოქმედებს დასაქმება შშმ პირთა ჯანმრთელობაზე დადებითად და უარყოფითად;

4.3 ეფექტური დასაქმების გავლენა შშმ პირთა ფსიქოლოგიურ და სოციალურ მდგომარეობაზე.

V. კვლევის მეთოდები, რომლებიც ფოკუსირებულია ლიტერატურის მიმოხილვაზე

კვლევის მეთოდების ზოგიერთი ტიპი ლიტერატურის ანალიზს განიხილავს როგორც კვლევის ძირითად მიზანს. მათ რიცხვს მიეკუთვნება სისტემური მიმოხილვა და მეტაანალიზი. ამ ტიპის კვლევებში მონაცემების შეგროვების ტიპი და, ზოგადად, კვლევის დიზაინი გულისხმობს ლიტერატურის მიმოხილვას. საქართველოში ამ ტიპის კვლევებს „სამაგიდე კვლევასაც“ უწოდებენ.

5.1. სისტემური მიმოხილვა

სისტემური მიმოხილვა გულისხმობს განსაზღვრული საკითხის შესახებ უკვე არსებული კვლევების კარგად ორგანიზებულ, ყოველსმომცველ და გამჭვირვალე შესწავლას. ის მისდევს წინასწარ ჩამოყალიბებულ გეგმას, რომელშიც ნათლად არის წარმოდგენილი კვლევის ძირითადი მიზანი, ამოცანები და მეთოდები. გამოყენებული მეთოდები წინასწარ განსაზღვრავს რელევანტური კვლევების იდენტიფიცირების, შერჩევის, სინთეზირებისა და მონაცემების წარდგენის პროცედურებს (Littell & Corcoran, 2010). სისტემური ანალიზი ბევრი ნიშნით განსხვავდება ჩვეულებრივი ლიტერატურის ანალიზისგან. პირველი – ტრადიციული ლიტერატურის მიმოხილვა არასისტემური ხასიათისაა და, უმეტესწილად, ეფუძნება კონკრეტულ სფეროში ხელმისაწვდომი ლიტერატურის მიმოხილვას – ლიტერატურის შერჩევა, ძირითადად, მისი ხელმისაწვდომობით არის განპირობებული. შესაბამისად, ლიტერატურის შერჩევა შეიძლება მიკერძოებული იყოს. სისტემური შერჩევა კი, თავისი სახელწოდებიდან გამომდინარე, გულისხმობს ლიტერატურის მოძიების დეტალურ და ყოველსმომცველ სტრატეგიასა და გეგმას. ხშირად სისტემური ანალიზი მეტაანალიზის ელემენტებსაც გულისხმობს, რომლებიც მონაცემების გაერთიანებისას სტატისტიკური ტექნიკების გამოყენებას მოიაზრებს (Lindsay, 2011). სისტემური მიმოხილვა ხშირად ქვეყნდება აკადემიურ ფორუმებზე; ასევე არსებობს სპეციალური ორგანიზაციები და მონაცემთა ბაზები, რომ-

ლებიც სწორედ სისტემური მიმოხილვის ჩატარებასა და გავრცელებას უწყობს ხელს, მაგალითად, **Cochrane Collaboration (www.cochrane.org)**. აღნიშნულ ვებ-გვერდზე შესაძლებელია სისტემური მიმოხილვის ნახვა ისეთ თემებზე, როგორებიცაა (Yegidis et al., 2012):

- ძალადობის შემცირებაზე მიმართული ინტერვენციების ეფექტურობა და იმ ქალთა ფიზიკური და ფსიქოსოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესება, რომლებსაც პარტნიორისგან ძალადობა განუცდიათ;
- დღის ცენტრის მომსახურება სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის;
- კულტურულად შესატყვისი პროგრამები ასთმის მქონე ბავშვებისთვის ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფებიდან.

სისტემური მიმოხილვის შესრულება რვა ეტაპს გულისხმობს, ესენია:

1. *საკვლევი საკითხის ფორმულირება* – ამ ეტაპზე ხდება საკვლევი საკითხის ან ჰიპოთეზის ფორმულირება და მიმოხილვის სახელწოდების ჩამოყალიბება. უმჯობესია, თუ სახელწოდება, შეძლებისდაგვარად, მოკლე და აღწერილი იქნება, მაგალითად, ინტერვენციები, რომლებიც ხელს უწყობს შშმ პირთა დასაქმებას;
2. *ჩართვისა და გამორიცხვის კრიტერიუმების განსაზღვრა* – მკვლევარმა უნდა განსაზღვროს კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც შეარჩევს არსებულ კვლევებს, რას ჩართავს კვლევაში და რას გამორიცხავს. მაგალითად, შეიძლება შეზღუდოს ასაკი და დაანესოს კრიტერიუმი, რომ აინტერესებს მხოლოდ ის კვლევები, რომლებიც 18-იდან 25 წლამდე შშმ პირების დასაქმებას ან მხოლოდ ფსიქოსოციალური პრობლემების მქონე პირთა დასაქმებას ეხება, ან კვლევები, რომლებიც მხოლოდ რაოდენობრივ მეთოდებს ეყრდნობა, ან იყენებს მხოლოდ იმ კვლევებს, რომლებიც გამოქვეყნდა ხელმისაწვდომ იმფაქტუალური მქონე ჟურნალებში 2015–2020 წლებში და სხვ. ამ კრიტერიუმებით ნათლად ჩანს ის გზა, რომელსაც ავტორი გადის არსებული კვლევების შერჩევისას და ხაზს უსვამს კვლევის სისტემურ ხასიათს;
3. *ძებნის სტრატეგიის განსაზღვრა* – ამ ეტაპზე მკვლევარი განსაზღვრავს, თუ რა ხერხებს იყენებს რელევანტური მასალის მოსაძიებლად. მაგალითად, შესაძლოა, მან განსაზღვროს, რომ ეძებს მხოლოდ თსუ-ის ელექტრონულ ბაზებში, მხოლოდ JSTOR-ზე არსებულ ჟურნალებში, სოციალური მუშაობის სფეროში. მნიშვნელოვანია სწორად შერჩეული სამძებრო სიტყვა. ზემოთ განხილულ მაგალითში ეს შეიძლება იყოს: „**employment of persons with psychosocial needs**“ ან „**factors affecting employment of persons with psychosocial needs aged 18-25**“;
4. *კვლევების შერჩევა* – მკვლევარი ეცნობა ჩართვისა და გამორიცხვის კრიტერიუმებისა და ძებნის სტრატეგიების გამოყენების შედეგად მის ხელთ არსებულ კვლევებს – მათი შესწავლა იწყება აბსტრაქტების გაცნობით. ის კვლევები, რომლებიც მთლიანად აკმაყოფილებს კვლევის წინასწარ დადგენილ

- კრიტიკრიუმებს, განიხილება სრულად. შინაგანი სანდოობის მისაღებად, როგორც წესი, სულ მცირე, ორი მკვლევარი განიხილავს ნაშრომებს;
5. *მონაცემების ორგანიზება* – სასურველია, თუ მკვლევარი თითოეული განხილული ნაშრომიდან მონაცემებს ორგანიზებულად შეინახავს, მაგალითად, გააკეთებს ცხრილს, რომელშიც თავმოყრილი იქნება ისეთი მონაცემები, როგორებიცაა: ავტორები, პუბლიკაციის წელი, კვლევის მონაწილეთა რაოდენობა, ასაკი, კვლევის დიზაინი, ძირითადი შედეგები. ორი მკვლევრის მიერ მონაცემების ასეთი ბაზის გაკეთება მნიშვნელოვანია შინაგანი სანდოობისთვის და მონაცემების შეყვანის დროს შეცდომების მინიმუმამდე დასაყვანად;
 6. *კვლევის ხარისხის უზრუნველყოფა* – ლიტერატურის ძებნის საუკეთესო სტანდარტების შესამუშავებლად და, შესაბამისად, კვლევის ხარისხის უზრუნველსაყოფად, მკვლევრები ხშირად მიმართავენ საერთაშორისო ხარისხის სტანდარტებს. მაგალითად, (Yegidis და კოლეგები (2012) სოციალური მუშაობისთვის რეკომენდაციას PICO framework-ს უწევენ. მას შემდეგ, რაც შერჩეული გაქვთ საკვლევი თემა და განსახილველი ლიტერატურა, თქვენ შესაძლოა, უფრო კონკრეტული და სპეციფიკური კითხვების დაყენება დაიწყოთ; კითხვების დასმა PICO-ს სერიიდან:
Population or Problem – პრობლემა ან მოსახლეობა – რა არის პიროვნების/თემის/მოსახლეობის ძირითადი მახასიათებლები (სქესი, ასაკი, სხვა დემოგრაფიული მაჩვენებლები), რა ძირითადი სოციალური პრობლემა ახასიათებს (სიღარიბე, უმუშევრობა, ნივთიერებებზე დამოკიდებულება და სხვ.) მას.
Intervention – ჩარევა – რას ისახავთ მიზნად პიროვნებასა თუ პოპულაციასთან მიმართებით – მაგ., დაკვირვება ან რეაბილიტაცია.
Comparison – შედარება – რა არის დაგეგმილი – ჩარევის ალტერნატივა, მაგალითად, სხვა სახის თერაპიული პროგრამა ან რეაბილიტაცია.
Outcome – შედეგები – რა სახის შედეგებია მოსალოდნელი, მაგალითად, აკადემიური მიღწევების, სოციალური ურთიერთობების გაუმჯობესება და სხვ.;
 7. *შედეგების ანალიზი* – სტატისტიკური მონაცემების დამუშავებისას, ძირითადად, სპეციალური პროგრამები გამოიყენება, მაგალითად, **Review Manager (RevMan)**. თუმცა სტატისტიკური დამუშავება, უმეტესწილად, მეტაანალიზის დროს ხდება;
 8. *შედეგების გავრცელება* – როგორც აღინიშნა, არის სპეციალური ვებგვერდები, რომლებიც, ძირითადად, სისტემური და მეტაანალიზის შედეგების გავრცელებას ემსახურება, როგორც, მაგალითად, ზემოთ ხსენებული **Cochrane Collaboration**; თუმცა, რასაკვირველია, კვლევის სისტემური მიმოხილვის, ანგარიშის გამოქვეყნება ნებისმიერ აკადემიურ ჟურნალში არის შესაძლებელი. როგორც აღინიშნა, მაღალი რეპუტაციის ჟურნალებში კვლევის შედეგების გამოქვეყნებას მკაცრი წესები აქვს – როგორც ჩატარებული კვლევა, ისე მისი ანგარიში და წარმოდგენა ამ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს.

5.2. მეტაანალიზი

მეტაანალიზი, სისტემური ანალიზის მსგავსად, არის კვლევა, რომლის მიზანია არსებული ლიტერატურის შესწავლა, თუმცა მეტაანალიზი ეყრდნობა სამეცნიერო ლიტერატურაში მოტანილი მეორეული სტატისტიკური მონაცემების რაოდენობრივ დამუშავებას. ამ მეთოდის გამოყენება ძალიან სასარგებლოა მაშინ, როდესაც არსებობს აზრთა სხვადასხვაობა კონკრეტული საკითხის შესახებ, გარკვეული პიპოთეზის გამოსაცდელად (Littell & Corcoran, 2010). მეტაანალიზის საშუალებით შესაძლებელი ხდება იმის დადგენა, შესწავლილი ლიტერატურიდან რამდენი უჭერს მხარს კვლევის პიპოთეზას. მეტაანალიზი მეტად საინტერესოა სოციალური მუშაობისთვის. მაგალითად, შესაძლოა, შევაჯამოთ არსებული ცოდნა კონკრეტული ინტერვენციის შესახებ, რის დანერგვასაც პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები აპირებენ. მეტაანალიზის დაგეგმვა და ჩატარება, ძირითადად, იმავე ნაბიჯებს გულისხმობს, რომლებიც აღწერილი იყო სისტემური მიმოხილვის ქვეთავში.

მიუხედავად იმისა, რომ მეტაანალიზის საშუალებით მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება შეიძლება კონკრეტული ინტერვენციის ან მეთოდის შესახებ, მას გარკვეული გამოწვევებიც აქვს. აღნიშნული კვლევის დასკვნები ეყრდნობა ბევრი სხვადასხვა ავტორის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს – ამ კვლევებისთვის შესაძლოა, დამახასიათებელი იყოს სხვადასხვა შეცდომა, როგორებიცაა, მაგალითად, შერჩევის მიკერძოება, შეცდომები კვლევის დიზაინში და სხვ., რაც, ცხადია, აისახება კვლევის როგორც შინაგან, ისე გარეგან ვალიდობაზე. შესაბამისად, მეტად მნიშვნელოვანია, რომ მეტაანალიზის დროს შერჩეული იყოს იმ ყურნალებში გამოქვეყნებული ლიტერატურა, რომლებშიც პუბლიკაციის მკაცრი ნესები არსებობს და დიდი ყურადღება ეთმობა მკვლევრის მიერ გამოყენებული მიდგომებისა და კვლევის დიზაინის ადეკვატურობას.

VI. თავის შეჯამება

კვლევის პროცესში არსებული რელევანტური ცოდნის ანალიზს მნიშვნელოვანი როლი აქვს. ლიტერატურის ანალიზი, ერთი მხრივ, გვეხმარება საკვლევი კითხვის ან პიპოთეზის ჩამოყალიბებაში და, მეორე მხრივ, კვლევის პროცესში მოპოვებული მონაცემების დამუშავებასა და დასკვნების გაკეთებაში. ყოველთვის საინტერესოა კვლევის მიგნებების განხილვა სხვების მიერ დაგროვილი ცოდნის პერსპექტივიდან.

სოციალურ მუშაობაში რელევანტური ინფორმაციის მოძიების ყველაზე გავრცელებული წყაროა: პროფესიული ჟურნალები, ვებგვერდები, წიგნები, კვლევის ანგარიშები, მონოგრაფიები, კონფერენციაზე წარდგენილი კვლევის პრეზენტაციები. წყაროების შერჩევისას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას მათ სანდობას ვაქცევთ.

ლიტერატურის მიმოხილვის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს აკადემიური სტილის ზედმინევენით დაცვას. სოციალურ მუშაობაში, ისევე როგორც, ზოგადად, სოციალურ მეცნიერებაში, ვხელმძღვანელობთ APA-სტილით. ამერიკის ფსიქოლოგიური საზოგადოების მიერ განვითარებული სახელმძღვანელოს ბოლო, მეშვიდე, რედაქციაში ნათლად არის ჩამოყალიბებული აკადემიურ ტექსტზე მუშაობის ძირითადი პრინციპები, რომლებიც ეხება როგორც შინაარსის სტრუქტურასა და წერის სტილს, ასევე ნაშრომის გაფორმებას.

კვლევის მეთოდების ზოგიერთი ტიპი, როგორებიცაა, მაგალითად, სისტემური მიმოხილვა და მეტაანალიზი, ლიტერატურის ანალიზს განიხილავს როგორც კვლევის ძირითად მიზანს. ამ ტიპის კვლევებში მონაცემების შეგროვების ტიპი და, ზოგადად, კვლევის დიზაინი ლიტერატურის მიმოხილვას გულისხმობს. საქართველოში ამ ტიპის კვლევებს „სამაგიდე კვლევასაც“ უწოდებენ. სისტემური მიმოხილვა და მეტაანალიზი გულისხმობს განსაზღვრული საკითხის შესახებ უკვე არსებული კვლევების კარგად ორგანიზებულ და ყოვლისმომცველ შესწავლას. ის მისდევს წინასწარ შემუშავებულ გეგმას, რომელშიც ნათლად არის ჩამოყალიბებული კვლევის ძირითადი მიზანი, ამოცანები და მეთოდები. გამოყენებული მეთოდები წინასწარ განსაზღვრავს რელევანტური კვლევების იდენტიფიცირების, შერჩევის, სინთეზირებისა და მონაცემების წარდგენის პროცედურებს. მეტაანალიზი ეყრდნობა სტატისტიკურ მეთოდებს. სისტემური მიმოხილვისა და მეტაანალიზის საშუალებით მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება შეიძლება კონკრეტული ინტერვენციისა და მეთოდის ეფექტურობის შესახებ, რაც სოციალური მუშაობისთვის მეტად მნიშვნელოვანია. თუმცა ამ მეთოდებს გამოწვევებიც ახასიათებს, რომლებიც, უპირველესად, მათ შინაგან და გარეგან ვალიდობას უკავშირდება.

VII. ძირითადი კითხვები /ან კითხვები რეფლექსიისთვის

1. დაასაბუთეთ ლიტერატურის მიმოხილვის მნიშვნელობა კვლევის სხვადასხვა ეტაპზე;
2. სფეროში არსებული ცოდნის მოსაძიებლად რა ითვლება ინფორმაციის სანდო წყაროდ? დაასახელეთ საქართველოში არსებული სანდო წყაროები სოციალური მუშაობის კვლევისთვის;
3. ლიტერატურის მიმოხილვაზე მუშაობისას უნდა გამოავლინოს თუ არა ავტორმა საკითხის მიმართ საკუთარი პოზიცია? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი;
4. როგორია კარგად შესრულებული ლიტერატურის მიმოხილვა – მოკლედ ჩამოაყალიბეთ ძირითადი მახასიათებლები;
5. რით განსხვავდება სისტემური მიმოხილვა ლიტერატურის ტრადიციული მიმოხილვისგან?
6. როგორ შეიძლება, მეტაანალიზი დაეხმაროს პრაქტიკოს სოციალურ მუშაკს კონკრეტულ კლიენტსა და კლიენტთა ჯგუფთან საჭირო ინტერვენციის შერჩევაში?

VIII. სავარჯიშოები

სავარჯიშო N1

წარმოადგინეთ ლიტერატურის მიმოხილვის შინაარსის ორგანიზება შემდეგი საკვლევე კითხვისთვის – მშობლების აღზრდის სტილის გავლენა ბავშვის თვითშეფასებაზე.

სავარჯიშო N2

ჩამოაყალიბეთ სისტემური მიმოხილვის გეგმა თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ თემაზე.

სავარჯიშო N3

მოიძიეთ საქართველოში სოციალური მუშაობისთვის რელევანტური სანდო ვებ-გვერდები.

გამოყენებული ლიტერატურა

American Psychological Association (2019) The Publication Manual of the American Psychological Association, (7th ed.). Washington, DC.

Bryman, A. (2005) Social Research Methods, Oxford University Press.

Lindsay S., (2011) Systematic Reviews and Meta-Analyses, The Journal of the Canadian Academy of Child and Adolescent Psychiatry, 20(1): 57–59.

Littell.J.H., & Corcoran, J. (2016). Systematic reviews In B. Thyer (ED.), The Handbook of Social Work research methods (2nd ed., pp 313-337). Thousands Oaks, CA: Sage Publications, Inc.

Sowers, K.M., Ellis, R., & Dessel, A. (2010) Literature Reviews, in B. Thyer (ED.), The Handbook of Social Work research methods (2nd ed., pp504-516). Thousands Oaks, CA: Sage Publications, Inc.

Yegidis, B.L., Weinbach, R.W., and Myers, L.L (2012) Research Methods for Social Workers, Allyn & Bacon.

თავი V

თანამონაწილეობითი კვლევის მნიშვნელობა სოციალურ მუშაობაში

შესავალი

წინამდებარე თავში განვიხილავთ ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის განსაზღვრებას, ისტორიას, პრინციპებს, მის სახეობებს, ძლიერ და სუსტ მხარეებს. შევეხებით ასევე მის მნიშვნელობას სოციალური მუშაობისათვის. წარმოგიდგინთ კრიტიკოსთა მოსაზრებას როგორც ქმედებაზე ორიენტირებულ კვლევაზე, ასევე მის სახეობებზე.

I. ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის განსაზღვრება

ქმედებაზე ორიენტირებული კვლევა „სოციალური ინჟინერიის“ ფორმაა, რომელშიც ამოცანები ისახება ადამიანის ქცევის შეცვლის მიზნით, ქმედება ხორციელდება ქცევაზე ზეგავლენისთვის, ეფექტიანობა ფასდება, მომდევნო ნაბიჯი რაციონალურად იგეგმება, ქმედება კი მოდიფიცირდება დაგეგმვის, ქმედების, დაკვირვებისა და რეფლექსიის ჩარჩოში (Humphries, 2008:71). ისინი, ვისთვისაც ქმედებაა გამიზნული, ყოველთვის არ ეთანხმებიან ამ პროცესს. ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარი შიშობს კიდევ, რომ ის გატაცებულია ტექნიკური რაციონალიზმის სამსახურით, რადგან ეს კონტროლირებადი ქცევის ადაპტირების ძალიან კარგი საშუალებაა წინასწარ განსაზღვრული ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად (Elliot, 2001 in Humphries, 2008).

ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის ავტორის, კურტ ლევინის, აზრით, „კვლევა, რომელიც მხოლოდ სახელმძღვანელოებს ქმნის, არ არის საკმარისი“ (Lewin, 1946:35 in Denscombe, 2007:123). ქმედებაზე ორიენტირებული კვლევა არის პრაქტიკული და გამოყენებითი, რადგან ის კონკრეტული ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრაზეა ფოკუსირებული. თუმცა მხოლოდ პრაქტიკულობა ან მხოლოდ გამოყენებითობა არ იქნებოდა საკმარისი მისი განსაზღვრისათვის, რადგან სხვა მიდგომებსაც აქვთ ეს მახასიათებელი. მთავარი განმასხვავებელი კი ისაა, რომ იგი *პრაქტიკის ნაწილია* და არა მისი ერთი დამატებითი ქანჭიკი (Denscombe, 2008).

ზინა ოკლირის აზრით (2007), კვლევის მიზანია კვლევით მიღებული ცოდნის მტკიცებულებად გარდაქმნა და პრობლემების გადასაჭრელად გამოყენება. თუ მიზნად მტკიცებულებებისა და რეკომენდაციების მიღმა წასვლას ვისახავთ, გვსურს კეთება, ცვლილება ან განხორციელება, მაშინ ოკლირი სწორედ ქმედება-

ზე ორიენტირებული კვლევის გამოყენებას გვირჩევს. მისი აზრით, რთულია ჩარჩოს მოძებნა, რომელიც ერთდროულად იძლევა მაღალხარისხიანი კვლევისა და ხელშესახები ცვლილების განხორციელების საშუალებას. ეს ორმაგი ფუნქცია კი სწორედ ქმედებაზე ორიენტირებულ კვლევას აქვს.

მუდმივი გაუმჯობესება არის მართვის ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ ის ეფუძნება:

1. არაფორმალურ და არასტრუქტურულ რეფლექსიას;
2. მომსახურების მიმღებთა, სტუდენტთა ან თემის წევრთაგან მიღებულ უფრო სტრუქტურულ უკუკავშირს; თუ
3. ხარისხის მართვის უფრო ფორმალურ სისტემებს, როგორცაა, მაგალითად, სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია – 9000.

კემისი და მაკრაგი ქმედებაზე ორიენტირებულ კვლევას (1990:16 in Humphries, 2008:74) განსაზღვრავენ როგორც: „ცვალებადი ინდივიდების“ თანასწორობისთვის ბრძოლას, ერთი მხრივ, და „იმ ჯგუფის, ინსტიტუტებისა და საზოგადოების კულტურას“, რომლებსაც მიეკუთვნებიან, მეორე მხრივ. ხშირად ქმედებაზე ორიენტირებული კვლევა ერევათ კვაზიექსპერიმენტულ ან შეფასებით კვლევაში. მართალია, სამივე ეს კვლევა მოიცავს შეფასებისა და ქმედების ელემენტებს, მაგრამ ქმედებაზე ორიენტირებული კვლევა მათგან გამოირჩევა მისი დაშვებებით, მიზნებითა და მეთოდებით (O’Leary, 2007).

დენსკომბის აზრით (2008), საკმაოდ ნათლად ჩანს, რომ ქმედებაზე ორიენტირებული კვლევა არის უფრო სოციალური კვლევის *სტრატეგია*, ვიდრე მეთოდი, სტრატეგია, რომელიც რეალური სამყაროს პრობლემებს უმკლავდება მონაწილეობითი და თანამშრომლობითი გზით, ქმედებისა და ცოდნის ინტეგრირებით ციკლური პროცესის საშუალებით. ქმედებაზე ორიენტირებულ კვლევაში პროცესი, შედეგი და მისი გამოყენება ურთიერთგადაჯაჭვულია. ის უარყოფს მიდგომას – ჯერ ცოდნა და შემდეგ ცვლილება (O’Leary, 2007).

ქმედებაზე ორიენტირებული კვლევა აყალიბებს კვლევის მიზნებსა და დიზაინს, თუმცა არ აკონკრეტებს რაიმე შეზღუდვას მონაცემთა შეგროვების საშუალებებზე, რომლებიც ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის მკვლევარმა უნდა გამოიყენოს (Denscombe, 2008). სუზმენისა და ევერიდის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ „მკვლევარი გამოყენებით ანთროპოლოგიაში, ფსიქონალიზში პირდაპირი დაკვირვების მეთოდს და/ან სიღრმისეულ ინტერვიუებას, ფსიქოლოგიაში კი კითხვარებს გამოიყენებდა“, ყველა ამ პროფესიული წარმომავლობის მკვლევრებს ასევე წარმატებით შეუძლიათ მონაცემები კლიენტთა მიერ რუტინულად ნაწარმოები საინფორმაციო ანგარიშებიდან და ჩანაწერებიდან შეკრიბონ (Denscombe, 2008).

II. ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის ისტორია

ქმედებაზე ორიენტირებული კვლევა, ჩვეულებრივ, ასოცირდება მცირემასშტაბიან, ქმედებაზე ორიენტირებულ კვლევით პროექტებთან. ის 1940-იან წლებ-

ში დაინერგა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში, როდესაც სოციალური მეცნიერები ცდილობდნენ სოციალურ კვლევასა და გადაუდებელი სოციალური პრობლემების გადაჭრას შორის მჭიდრო კავშირის დემონსტრირებას. ის მიიჩნეოდა ცვლილებისაკენ მიმართულ კვლევის სახეობად (Denscombe, 2008). მას სოციალური პრობლემების გადაჭრის ამბიცია ჰქონდა.

ტერმინი „ქმედებაზე ორიენტირებული კვლევა“ კურტ ლევიმ 1946 წელს დაამკვიდრა, რაც *ობიექტური* სამეცნიერო მეთოდისგან განდგომის მცდელობად ჩაითვა. ეს მეთოდი კი კვლევას აუცილებლად არ უკავშირებს განხორციელების პროცესს და მკვლევრის დღის წესრიგშიც არ შედის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით თავმოყრილი ცოდნის მიხედვით ქმედება (O'Leary, 2007). ლევიმ (1948:69in Humphries, 2008) მიზნად დაისახა მოწყვლადთა ცხოვრებისეული შანსების გაუმჯობესება. შესაბამისად, ამ მიდგომის მთავარი პრინციპი არის არა სამყაროს მხოლოდ შეცნობა, არამედ შეცვლა.

მკვლევრებმა, რომლებიც მუშაობენ ორგანიზაციაში ან ორგანიზაციისთვის, დაიწყეს იმის აღიარება, რომ კვლევისაგან წარმოებული ცოდნა სასიკეთო ცვლილებას უნდა ემსახურებოდეს და ცვლილების კვლევამ ცოდნა უნდა წარმოქმნას. შესაბამისად, კვლევის სტრატეგია მიმართული უნდა იყოს ამ ორი მიზნის დაკავშირებისაკენ და მოიცავდეს შეფასებისა და სწავლის ელემენტებს (O'Leary, 2007).

ქმედებაზე ორიენტირებული კვლევა ასევე განუდგა ხედვას, რომ მკვლევარი ექსპერტია და კვლევის სუბიექტები მეცნიერული ცოდნის პასიური მიმღებები. დღესდღეობით ის პოპულარულია სოციალურ მეცნიერებებში. ის გამოიყენება ორგანიზაციული განვითარების, განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური ზრუნვის სფეროში. ამ სფეროებში მას კონკრეტული ნიშა აქვს დაკავებული პროფესიონალებს შორის, რომლებსაც სურთ საკუთარი პრაქტიკის კვლევის საშუალებით დახვეწა (Denscombe, 2008).

კვლევის ეს მიდგომა განსაკუთრებით ფასეულია სათემო განვითარების მუშაკებისთვის, რადგან ისინი კვლევის თანამშრომლობით მიდგომას აფასებენ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ის პრაქტიკისა და გარემოს გაუმჯობესების საშუალებას იძლევა. პრაქტიკის გაუმჯობესება ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის გზით კი განსაკუთრებით დამახასიათებელია საგანმანათლებლო სექტორისათვის, რომელშიც მასწავლებლები უნარებისა და პრაქტიკის განვითარებით არიან მოტივირებულნი. ბოლო წლებში კი შეინიშნება, რომ ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის გამოყენება ჭარბობს ისეთ სფეროებში, რომლებშიც პროფესიული აღიარების, ავტონომიისა და ადგილობრივი ცოდნის პატივისცემის სურვილი მაღალია, მაგალითად, სამედიცინო ზრუნვის სფერო. მიუხედავად იმისა, რომ ქმედებაზე ორიენტირებული კვლევა 60 წელია, ორგანიზაციული ცვლილებების მენეჯმენტს ბევრს სთავაზობს, ის არ არის წმინდად მენეჯმენტის სტრატეგია. ის, ძირითადად, ორგანიზაციულ ცვლილებებზე ფოკუსირებული, თუმცა ცვლილების მართვის ლიტერატურა იშვიათად თუ მიმოიხილავს ქმედებაზე ორიენტირებულ კვლევას (O'Leary, 2007).

III. ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის პრინციპები

ქმედებაზე ორიენტირებული კვლევა იზიარებს მოსაზრებას, რომ ცვლილება კარგია. ცვლილების სწავლა დანახულია როგორც უფრო მეტის სწავლა იმის შესახებ, თუ რა მუშაობს კარგად (Bryman, 1989 in Denscombe, 2008). ცვლილება, ამ გაგებით, ცოდნის გაღრმავების ღირებულ საშუალებად მოიაზრება და არა მხოლოდ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მიმდინარე პროცესად. ის, ჩვეულებრივ, მიკროდონის ცვლილებაზეა ფოკუსირებული.

ქმედებაზე ორიენტირებული კვლევისთვის ერთ-ერთი ყველაზე მეტად დამახასიათებელი ცვლილება არის პროფესიული თვითგანვითარებისაკენ მიმართული ცვლილება. შესაბამისად, ის პროფესიონალს პრაქტიკის გაუმჯობესების საშუალებას აძლევს არა მხოლოდ რეფლექსიის, არამედ მონაცემთა აკურატული შეგროვების საფუძველზე (Denscombe, 2008).

უნდა ვაღიაროთ, რომ რეფლექსია შესაძლოა არ იყოს საკმარისი იმისათვის, რათა პროფესიონალის მიღწევები ქმედებაზე ორიენტირებულ კვლევად გადაიქცეს. რეფლექსია სისტემატური უნდა იყოს, რომ ის ასე დაკვალიფიცირდეს. უბრალოდ, ფიქრი საკუთარ პრაქტიკაზე, რაც, თავისთავად, პრაქტიკის გაუმჯობესების საფუძველია, არ არის იგივე, რაც ქმედების კვლევა. აქ უნდა განვასხვავოთ „მოაზროვნე პრაქტიკოსი“, რომელიც ორიენტირებულია პროფესიულ განვითარებაზე, საკუთარი პრაქტიკის კრიტიკული ხედვის საშუალებით და ქმედებაზე ორიენტირებული მკვლევარი, რომელიც იმასთან ერთად, რომ არის „ფიქრიანი პრაქტიკოსი“, იყენებს კვლევის სხვადასხვა ტექნიკას საკუთარი რეფლექსიის გაუმჯობესებისა და სისტემატიზაციისათვის (Schon, 1983 in Denscombe, 2008:125).

ასევე მნიშვნელოვანია, რამდენად უნდა იყვნენ კვლევის მონაწილეები ღია საკუთარი პრაქტიკის კვლევითი ასპექტების გაზიარებისათვის. უნდა იყოს თუ არა ის დაფარული ან შენიღბული. ზოგადად, ქმედებაზე ორიენტირებული კვლევისთვის დამახასიათებელია ღია სამუშაო პროცესი და რჩევებისადმი მიმღებლობა. თუმცა კვლევის მთელი პროცესი აშკარად ზემოქმედებს მასში მონაწილეებზე. ამის ფონზე კი მოსაზრება, რომ ქმედებაზე ორიენტირებული მკვლევარი თავისუფალია ნებართვის მოპოვებისაგან, ფერმკრთალდება. მნიშვნელოვანია, ნათლად იყოს განსაზღვრული, როდის და სად გადააბიჯებს ქმედებაზე ორიენტირებული კვლევა ინფორმაციის შეგროვების საზღვრებს, რომლებიც წმინდად პერსონალურია ან უკავშირდება მხოლოდ პრაქტიკოსებს. როდესაც ასე ხდება, კვლევის ეთიკის ზოგად სტანდარტს უნდა მივაქციოთ ყურადღება: ნებართვები ავიღოთ დაკვირვების ან სხვა მიზნებისთვის ნაწარმოები დოკუმენტების მოკვლევის დაწყებამდე; ინფორმირებული თანხმობა მოვიპოვოთ მონაწილეთა მხრიდან, სხვების სამუშაოს ან შეხედულებების აღწერა ამ მასალის გამოქვეყნებამდე სწორედ მათთან შეთანხმებით უნდა მოხდეს; კონფიდენციალურობა დავიცვათ, იდენტიფიკაციისგან დაცულობა შევინარჩუნოთ (Winter, 1996:17 in Denscombe, 2008:129).

კვლევის ამ სახეობაში, მიგნებების შესაბამისად, ცვლილებების დაგეგმვა და განხორციელება კვლევის ციკლის ნაწილია. ცენტრალური საკითხია, როგორ

უნდა ხორციელდებოდეს ქმედებაზე ორიენტირებული კვლევა – ჩარევამდე თუ ჩარევის პარალელურად. დიკის აზრით, ის არა მხოლოდ უნდა იკვლევდეს სოციალურ რეალობებსა და პრაქტიკას, არამედ უნდა ცვლიდეს მას, ე.ი. იმავე პროცესის საშუალებით ახდენდეს კვლევისა და პრაქტიკული ცვლილებების შერწყმას (დიკი, 2007 გრეისთან, მიდგლისა და სტივენთან, 2012).

მოგვიანებით ამ სფეროში თავად კვლევის სუბიექტების ჩართვა დაიწყო. ისინი კვლევის ყველა ეტაპზე მონაწილეობენ როგორც თანამკვლევრები (Denscombe, 2008). ეს კვლევის ამ სახეობის პრინციპად იქცა. ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის მონაწილეობით ელემენტს შეიძლება გამოკვეთილად პოლიტიკური ასპექტი ჰქონდეს, რაც კვლევის დემოკრატიზაციითა და პრაქტიკოსთა ცოდნის პატივისცემით გამოიხატება. ზუბერ-სკერიტი ამას *ემანსიპატორულ* ქმედებაზე ორიენტირებულ კვლევას უწოდებს (1996 in Denscombe, 2008).

უინტერი, ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის მახასიათებელი პრინციპების განსაზღვრისას აქცენტს აკეთებს *რეფლექსიურ კრიტიციზმსა* და *დიალექტურ კრიტიციზმზე*: პირველი არის პროცესი, რომელიც ჩვენი საკუთარი აღქმის შეცდომების გააზრების საშუალებას გვაძლევს; მეორე კი ჩვენს კონტექსტში მოვლენათა შორის ურთიერთმიმართების გააზრებაა, რაც საშუალებას მოგვცემს, ავხსნათ სხვადასხვა სოციალური ფენომენის ფორმირების პროცესი (Winter, 1989 in Humphries, 2008).

ეს ყველაფერი ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის 4 პრინციპულ მახასიათებელს აყალიბებს (Denscombe, 2008), ესენია:

- პრაქტიკული. ის ცხოვრებისეულ საკითხებზეა ფოკუსირებული, როგორც სამუშაო, ისე ორგანიზაციულ გარემოში;
- ცვლილებაზე ორიენტირებული. რადგან პრაქტიკულ პრობლემებზე მუშაობს და ფენომენის აღმოჩენის საშუალებაა, ცვლილება კვლევის ინტეგრალური ნაწილია;
- ციკლური პროცესი. კვლევის თავდაპირველი მიგნებები ცვლილების წარმოქმნის შესაძლებლობას შობს, რაც ხორციელდება, ფასდება და ახალი კვლევის წინაპირობას ქმნის;
- მონაწილეობითი. პრაქტიკოსები არიან კვლევის პროცესის მნიშვნელოვანი მონაწილენი. მათი მონაწილეობა აქტიურია და არა პასიური.

შილინგი (1997, გრეისთან, მიდგლისა და სტივენთან, 2012) ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის უფრო ფართო ხედვას გვთავაზობს. მისი აზრით, ეს არის კვლევა, რომელიც ცდილობს შეისწავლოს:

- სოციალური ფენომენი;
- მხარდამჭერი პროცესები;
- მომსახურების მიმღებთა მდგომარეობა განგრძობითი კვლევების საშუალებით ჩარევამდე და მის შემდეგ;
- კვლევები, რომლებიც სისტემატურად გეგმავენ და ახორციელებენ ჩარევას;
- სრულმასშტაბიანი არევები.

IV. ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის პროცესის აღწერა

ქმედებაზე ორიენტირებული კვლევა არ ხორციელდება ორ ეტაპად: ჯერ მკვლევარების მიერ და მათ მიგნებებზე დაყრდნობით, პრაქტიკოსების მიერ – შემდეგ. კვლევისა და ქმედების პროცესები ინტეგრირებულია და კვლევის პროცესში მიმდინარეობს (Somekh, 1995:34 in Denscombe, 2008).


ქმედებაზე ორიენტირებული კვლევა ციკლური პროცესია. მისი ციკლურობა ისაა, რომ პროცესში ხდება შესწავლა, კეთება და ფიქრი იმაზე, როგორ გააკეთო უკეთესად. კვლევის მიზანია მეთოდების მუდმივი განახლება, გაუმჯობესება, მონაცემებისა და ინტერპრეტაციების რაფინირება, ამ ციკლის წინა ფაზიდან გამომდინარე.

თავად ციკლი შეიძლება განისაზღვროს მრავალგვარად, მაგრამ მისი ყველა ნაირსახეობა მოიცავს (O’Leary, 2007):

- დაკვირვებას
- რეფლექსიას
- დაგეგმვასა და
- ქმედების სხვადასხვა ვარიაციას.

მოდით, თითოეული ცალ-ცალკე განვიხილოთ. იმისათვის, რომ ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის სულისკვეთების შესაბამისი იყოს, მკვლევარმა უნდა გამოიკვლიოს საკუთარი პრაქტიკა იმ თვალთ, რომ ის შეცვალოს და გახადოს უფრო სასარგებლო (Denscombe, 2008). ეს არის ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის პროცესის საწყისი ფაზა.

ციკლის დაკვირვების ეტაპზე კვლევა შეიძლება იყოს მონოგრაფიული დაკვირვების (ან როგორც მას სხვაგვარად უწოდებენ – შემთხვევის შესწავლის/case study) ფორმით. როგორც ყველა მონოგრაფიულ დაკვირვებაში, შესაძლოა, მრავალ



ვალი მიდგომა, მეთოდოლოგია და მეთოდი გამოვიყენოთ მონაცემთა შეგროვებისა და ცოდნის ფორმირების მცდელობისას (O'Leary, 2007). მოკვლევის მნიშვნელოვანი ასპექტია, რომ კვლევა უშუალო პრაქტიკას ასაზრდოებდეს და პროცესი მუდმივმდინარე იყოს.

ციკლის რეფლექსიის ეტაპი შეიძლება იყოს არაფორმალური და ინტროსპექტიული ან ფორმალური და ფორმალური შეფასების ელემენტებს მოიცავდეს (O'Leary, 2007). პრაქტიკოსის კრიტიკული რეფლექსია მიმართულია არა მხოლოდ იმ პრობლემის იდენტიფიკაციისაკენ, რომელიც პრაქტიკის გაუმჯობესებისთვისაა ფასეული, არამედ უკვე მიმდინარე ცვლილებების შეფასებისკენაც, რამაც შესაძლოა, მომდევნო კვლევის ინიცირება გამოიწვიოს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რეალობაში ქმედებაზე ორიენტირებული კვლევა მხოლოდ ერთჯერადი კვლევით შემოიფარგლება (Denscombe, 2008).

დაგეგმვისა და ქმედების ეტაპები კი სტრატეგიული დაგეგმვისა და ცვლილების მართვის შესახებ ცოდნას ითხოვს პრაქტიკოსებისაგან. გრანდი (1990:353 in Humphries 2008:70-73) განასხვავებს ქმედების სამ ტიპს ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის სხვადასხვა მოდელის მიზნებისა და პარადიგმების დემონსტრირებისთვის: ტექნიკური, პრაქტიკული და ემანსიპატორული. მოდით, ცალ-ცალკე განვიხილოთ თითოეული:

- ტექნიკური: ექსპერტები ნყვილდებიან მონაწილეებთან, რომლებსაც დაგეგმვის მწირი გამოცდილება აქვთ. გრანდის აზრით, ტექნიკურ ქმედებაზე ორიენტირებული კვლევა მიზნად ისახავს საგანმანათლებლო ან მენეჯერული პრაქტიკის ეფექტიანობის გაუმჯობესებას. პრაქტიკოსები თანაშერჩეულნი არიან და დამოკიდებული არიან მკვლევარსა ან ფასილიტატორზე.

ამ ტიპის ქმედებაზე ორიენტირებული კვლევა ცვლილების მასტიმულირებელია, თუმცა არსებობს მანიპულაციის შანსი, როდესაც მონაწილეები მიიჩნევიან ცვლილების ინსტრუმენტებად და არა აგენტებად.

- პრაქტიკული: ცდილობს პრაქტიკის დახვეწას პრაქტიკული სიბრძნის თავმოყრით ქმედების ინიციატორთა მიერ. სოციალური მუშაკი თავის ცოდნაზე, გამოცდილებაზე და ინტუიციაზე დაყრდნობით გადაწყვეტს, რა არის მომსახურების მიმღების საუკეთესო ინტერესში. ის ცდილობს, მათი მოტივაცია გააღვივოს ამოცანის განსახორციელებლად, ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის ციკლის ინიცირებით.

პრაქტიკულ ქმედებაზე ორიენტირებული კვლევა, ეფექტიანობასთან ერთად, მიზნად ისახავს პრაქტიკოსთა პროფესიულ განვითარებას. მკვლევრის როლია პრაქტიკის გააზრებისა და პრაქტიკოსთა თვითრეფლექსიის ხელშეწყობა.

- ემანსიპატორული: აქცენტს აკეთებს ინსტიტუციურ შეზღუდვებზე, რაც პრაქტიკაზეც აისახება, როდესაც ინდივიდი ან ჯგუფი ცვლილების განხორციელების ძალაუფლების არმქონეა, „სისტემის“ სიძლიერის გამო.

ქმედებაზე ორიენტირებული კვლევა ემსახურება ემანსიპაციას, როდესაც ის არა მხოლოდ ტექნიკურ და პრაქტიკულ გაუმჯობესებას ან ტრანსფორმაციას ახდენს არსებულ პირობებში, არამედ ინვესტს სისტემურსა და/ან ორგანიზაციულ ცვლილებებს (Zuber-Skerritt, 1996 in Denscombe 2008). კვლევის განმარტებულ ლეზებს კი უყურებს როგორც მის დამგვემავებს, ლიდერებს, კატალიზატორებს, მასწავლებლებს, ფასილიტატორებს, სოციალურ მუშაკებს, დამკვირვებლებს, მომხსენებლებს კვლევითი პროექტის სხვადასხვა ეტაპზე.

ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის განხორციელებისას უნდა გვახსოვდეს, რომ პროცესი მკვლევრისაგან ითხოვს სხვადასხვა საკითხზე მოლაპარაკების ნარმოებასაც (O'Leary, 2007):

- მისი მონაწილობითი ბუნების გამო, პროექტის მართვა საბოლოო მიზნისკენ სრულად მკვლევრის ხელში არ არის და გადაწყვეტილებები პროექტის მსვლელობასა და საბოლოო შედეგებზე კოლექტიურია, ამიტომ მკვლევარს მართებს ფასილიტირება და არა დირექტიულობა;
- ქმედებაზე ორიენტირებული კვლევითი პროექტები შესაძლებელია გახდეს ძალიან დიდი სულ მალე. ახალი მკვლევრები შესაძლოა, გაკვირვებულები დარჩნენ, როცა აღმოაჩინენ, რომ ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის მხოლოდ ერთ ციკლში ხარისხიანად ჩატარებული საჭიროების შეფასება შეიძლება თავად ერთი დიდი პროექტი აღმოჩნდეს, ამიტომ მკვლევარს მასშტაბის მართვაც მართებს;
- მიუხედავად იმისა, რომ გაუმჯობესების განგრძობითი სტრატეგიები დამოკიდებულია ნედლ მტკიცებულებასა და ზოგად რეფლექსიაზე, ქმედებაზე ორიენტირებულ კვლევას სჭირდება აკურატულობის მაღალი ხარისხი. აქ მთავარია კვლევის კითხვის იდენტიფიცირება ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის ციკლის ყოველ ეტაპზე და თითოეულის მცირე კვლევით პროექტად მიჩნევა. მიუხედავად იმისა, რომ ამ კვლევებს სჭირდება მკაფიო, რეალისტური საზღვრები, ისინი ისე უნდა ჩატარდეს, რომ შეესაბამებოდნენ კარგი კვლევის ინდიკატორებს, როგორებიცაა: ვალიდურობა, ავთენტურობა, სანდოობა, თანმიმდევრულობა და ა.შ. ამიტომ მკვლევარმა მეთოდის ხარისხის უზრუნველყოფა უნდა შეძლოს;
- დაინტერესებულ პირთა შეკრება, კონსენსუსამდე მისვლა და რეალური ცვლილების მოხდენა შეიძლება იყოს ნელი, განსაკუთრებით, რამდენიმე ციკლიან კვლევებში. ქმედებაზე ორიენტირებულ კვლევას დრო სჭირდება და საუკეთესოდ მუშაობს, როდესაც ერწყმის ყოველდღიურ პრაქტიკას. ამიტომ მკვლევარმა მისი ტემპის მართვა უნდა უზრუნველყოს;
- გრძელ პროექტებში პროცესები შეიძლება გაგვისხლტეს ხელიდან. ძირითადი დაინტერესებული პირები შეიძლება მოვიდნენ და წავიდნენ, ცვლილების ინიციატივა არ დაიძრას და ხარისხიანი კვლევა რთულად გასამკლავებელი აღმოჩნდეს. რადგან ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის ბუნება რეალური, ცხოვრებისეული პრობლემების კვლევაა, რეალისტური დაგეგმვა, დაუგეგმა-

ვის მიღება და მოქნილობისთვის მზაობა დაგვეხმარება პროცესების მსვლელობის უზრუნველყოფაში. ე.ი. მკვლევარმა მომენტით სარგებლობის შანსი არ უნდა გაუშვას;

- მოგეხსენებათ, თანამშრომლობის პროცესის ჯეროვნად წარმართვა არ არის ყოველთვის ადვილი: ზოგიერთი დაინტერესებული პირი ფიქრობს, რომ მის აზრს უგულვებელყოფენ; ზოგი ძალიან მბრძანებლური შეიძლება იყოს; სხვები საკუთარ დღის წესრიგს გვახვევენ თავს. როგორც ფასილიტატორს, მკვლევარსაც სჭირდება მოლაპარაკების, კონფლიქტების რეზოლუციის უნარ-ჩვევები, სხვაგვარად შეუძლებელია ხალხის მართვა;
- მკვლევრებს ეთიკური პასუხისმგებლობის ტვირთი აწევთ როგორც კვლევის წარმოებისთვის, ასევე კვლევის სუბიექტების კეთილდღეობისთვის. ქმედებაზე ორიენტირებულ კვლევაში, დაინტერესებული პირების ჩართვა კვლევით გუნდში მონაწილეთა ჩართულობის ძალიან მაღალ დონეს მოითხოვს. მონაწილეთა კეთილდღეობის დაცვა უმნიშვნელოვანესია. ამიტომ მკვლევარს ეთიკურად ქმედება მართებს;
- მკვლევარმა კვლევის შედეგებზე მოლაპარაკება უნდა აწარმოოს, რაც გამოქვეყნებისა და საავტორო უფლების საკითხსაც მოიცავს. გამოდის, რომ მას კვლევისადმი მიკუთვნებულობის საკითხზეც მოუწევს შეხვედრებისა და მოლაპარაკებების გამართვა;
- ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის მკვლევარს ბევრი უნარ-ჩვევა უნდა ჰქონდეს. იმის პარალელურად, რომ მეთოდოლოგიური ექსპერტია, ის უნდა იყოს სრულყოფილი ორგანიზატორი, ეფექტური კომუნიკატორი, მომლაპარაკებელი, კონფლიქტების რეზოლუციის მცოდნე, დროის კარგი მენეჯმენტით, სტრატეგიული დამგეგმავი, დოკუმენტების მწარმოებელი და მოსურნე, რომ „ხელები გაისვაროს“ – ამ ყველაფერს კი სპეციალური უნარ-ჩვევების განვითარება სჭირდება (O’Leary, 2007:204).

მიუხედავად ძირითადი პრინციპების გაზიარებისა, ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის სხვადასხვა სახეობას აქვს სპეციფიკური მახასიათებლები, რაც პრინციპების დონეზეც აისახება. ამას ჩვენ მომდევნო ქვეთავებში განვიხილავთ.

მაგალითი განხილვისათვის

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ, არასამთავრობო ორგანიზაცია People in Needs-ის მხარდაჭერით, ჩაატარა თანამონაწილეობითი ქმედითი კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა სკოლის საჭიროებების შესწავლას და ამ საჭიროებებზე მორგებული კონკრეტული მიდგომების სისტემური დანერგვის ხელშეწყობას სკოლაში მოსწავლეზე ორიენტირებული კლიმატის შექმნისა და მოსწავლეების მხარდაჭერის მექანიზმების ამოქმედებისათვის.

კვლევა ჩატარდა დედაქალაქის 2 სკოლაში. კვლევის სამიზნე იყო მთლიანად სკოლა: სკოლის ადმინისტრაცია, სკოლის მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი მშობლები.

კვლევის კონკრეტული ამოცანები იყო:

- მოსწავლეების სასკოლო მოტივაციის გაზრდის ხელშემწყობი სტრატეგიების შესწავლა, როგორებიცაა: მოსწავლის სასკოლო მოტივაცია, მოსწავლის გაცდენები, მოსწავლის მიერ საკუთარი აკადემიური და სოციალური უნარების თვითშეფასება და ა.შ.
- სკოლისა და კლასის კლიმატის შეფასება, კერძოდ, სკოლის პერსონალის მხრიდან გამოყენებული მოსწავლეთა ქცევის მართვის სტრატეგიების შესწავლა სკოლისა და კლასის დონეზე;
- მოსწავლის სარისკო ქცევების შესამცირებლად გასატარებელი ჩარევების იდენტიფიკაცია და კლასის დონეზე მოსწავლის ქცევითი პრობლემების ბუნებისა და გავრცელების დონის შესწავლა;
- სკოლაში ბუღინგის შემცირების სტრატეგიების შესწავლა;
- სკოლის ორგანიზაციული პროცესების გაჯანსაღების ხელშემწყობი ფაქტორების გამოვლენა და ეფექტური ჩარევის დანერგვა კვლევის პროცესში, მათ შორის, მულტიდისციპლინური ჯგუფის წევრების შიდა და გარე კომუნიკაციის გაუმჯობესება სკოლაში და სკოლის გარეთ არსებული რესურსების ეფექტიანი გამოყენების გზით;
- ინკლუზიური განათლების დანერგვასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიკაცია და მათი დაძლევის მცდელობა კვლევის პროცესში;
- სკოლის გაძლიერებაზე დაფუძნებული ინტერვენციების განვითარება კვლევის პროცესში, მოსწავლეზე ორიენტირებული სერვისების დანერგვით.

თანამონაწილობითი კვლევა შედგება ოთხი საფეხურისგან:

პირველი საფეხურზე განხორციელდა ექსპერტების (მასწავლებლების, მანდატურების, სპეციალური საჭიროების პედაგოგების, დამრიგებლების, მშობლების, მოსწავლეების ექსპერტებად) მკვლევართა თანაშემწედ მომზადება. ჩატარდა 2-დღიანი ტრენინგი, სადაც ექსპერტებმა შეისწავლეს კვლევის ჩატარების ტექნიკები, მათ შორის პრობლემის, კვლევითი კითხვების ჩამოყალიბება და ინდივიდუალური და ჯგუფური ინტერვიუების ტექნიკები. ამ ტრენინგის საფუძველზე შემუშავდა ფოკუსჯგუფების გზამკვლევები.

მეორე საფეხურზე განხორციელდა ინფორმაციის შეგროვება და პრობლემის იდენტიფიკაცია 8 ფოკუსჯგუფის ჩატარების საფუძველზე (სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან (სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეები და ტიპური), მშობლებთან (სპეციალური საჭიროების მქო-

ნე მოსწავლეებისა და ტიპურის) ორივე სკოლაში მათივე მონაწილეობით საფეხურის ყველა ეტაპზე (როგორც ინფორმაციის შეგროვებისას, ასევე პრობლემის იდენტიფიკაციისა და გამოკითხვისას).

ფოკუსჯგუფის ფასილიტაციას ახდენდა ორი გამოცდილი სკოლის სოციალური მუშაკი.

მესამე საფეხურზე ჩატარდა 8 სამუშაო ჯგუფი (სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან (სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეები და ტიპური), მშობლებთან (სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისა და ტიპურის), რომლის დროსაც მათთან ერთად მოხდა დაგეგმვა და აქტივობის განხორციელება. ექსპერტები აკვირდებოდნენ პროცესს – აწარმოებდნენ დღიურს/პროცესის ჩანაწერებს.

მეოთხე საფეხურზე კვლევის მონაწილეებთან ერთად მოხდა შედეგების შეფასება/კრიტიკული რეფლექსია – ახალი დაგეგმვა (სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან (სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეები და ტიპური), მშობლებთან (სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისა და ტიპურის).

V. ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის ძლიერი და სუსტი მხარეები

ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის მონაწილეობითი ბუნება არის მისი ერთ-ერთი განმასხვავებელი მახასიათებელი, რომელიც მას ტრადიციული, ფორმალური სოციალური კვლევისაგან განასხვავებს. ტრადიციულად, კვლევა ექსპერტის საქმეა – გარე პირისა, რომელიც არის პროფესიონალი. მკვლევარი უფრო ხშირად, ვიდრე არა, ახდენს კვლევის პროცესის ინიცირებას, ადგენს დღის წესრიგს და მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ფორმატს. კვლევის დასრულებისთანავე მონაწილეები იღებენ უკუკავშირს კვლევის შედეგებზე. ისინი ან მოახდენენ ცვლილებებს კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ან არა. გამოდის, რომ კვლევის აქტი არ არის დაკავშირებული ცვლილების აქტთან (Boutilier et al, 1997 in Denscombe, 2008). ქმედებაზე ორიენტირებული კვლევა კი, პირიქით, მოითხოვს, რომ მონაწილენი იყვნენ პრაქტიკოსები, არა მხოლოდ მონაწილეობის მიღების ნიშნით, არამედ იყვნენ კვლევის პარტნიორები. ქმედებაზე ორიენტირებულ კვლევაში პრაქტიკოსი ახდენს ცვლილების ინიცირებას და არა გარე პროფესიონალი. ქმედებაზე ორიენტირებული კვლევა კვლევის პროცესის დემოკრატიზაციას ახდენს, ამ დროს გარე ექსპერტი არის პრაქტიკოსთა პროექტის ფასილიტატორის როლში, მას მიიწვევენ მაშინ და იმ ეტაპზე, როდესაც ამას პრაქტიკოსი ჩათვლის საჭიროდ. ეს, ნამდვილად, კვლევის ამ სახეობის უპირატესობაა.

ქმედებაზე ორიენტირებულ კვლევას აქვს სხვა უპირატესობებიც და სუსტი მხარეებიც. მის უპირატესობად შეგვიძლია ჩავთვალოთ ის, რომ (Denscombe, 2008):

- ის პრაქტიკულ პრობლემებზეა ფოკუსირებული და კვლევის შედეგებს პრაქტიკაში იყენებს;
- მას პრაქტიკოსისთვის პირადი სარგებელი მოაქვს, რადგან პროფესიულ თვითგანვითარებაზეა ფოკუსირებული;
- ის განვითარებისა და ცვლილების განგრძობად ციკლს მოიცავს, რადგან პრაქტიკის ობიექტზე ხორციელდება (მაგალითად, სკოლაში, სოციალური მომსახურების სააგენტოში, ხანდაზმულთა პანსიონატში და ა.შ.) და ამავე ორგანიზაციის პრაქტიკის გაუმჯობესებას ემსახურება;
- ის კვლევაში პრაქტიკოსთა მონაწილეობას გულისხმობს. ამას კი კვლევის პროცესის დემოკრატიზაცია შეუძლია. ის პრაქტიკოსის ცოდნას აღიარებს და პატივს სცემს.

ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის სისუსტედ კი შეგვიძლია ჩავთვალოთ ის, რომ (Denscombe, 2008):

- პრაქტიკოსის ჩართულობის აუცილებლობა ზღუდავს კვლევის მასშტაბს. მისი ფართოდ გამოყენება იშვიათობაა. სამუშაო გარემოთი შემოფარგვლა შედეგების რეპრეზენტატიულობაზე მოქმედებს და განზოგადების საშუალებას არ იძლევა;
- კვლევის პრაქტიკასთან ინტეგრაცია ამცირებს კვლევისთვის რელევანტურ ფაქტორებზე კონტროლის შესაძლებლობას. კვლევის გარემო ცვლადებით მანიპულირების საშუალებას არ იძლევა, რადგან კვლევა ხორციელდება არარუტინული საქმიანობის პარალელურად, არამედ როგორც ამ საქმიანობის ნაწილი;
- კვლევის ბუნება შემოიფარგლება იმით, თუ რა არის ნებადართული ან ეთიკური სამუშაო გარემოში;
- კვლევის პროცესზე მფლობელობა სადავოა მკვლევარსა და პრაქტიკოსს შორის პარტნიორული ურთიერთობის ჩარჩოში;
- ის პრაქტიკოსისთვის დამატებითი ტვირთია, განსაკუთრებით, კვლევის თავდაპირველ ეტაპზე, სანამ ის პრაქტიკის ეფექტიანობის ზრდის სარგებელს შეიგრძნობს.

ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის მკვლევარი ვერ იქნება სრულიად მიუკერძოებელი საკუთარი კვლევისადმი. აი, სწორედ ამით განსხვავდება ის პოზიტივისტური მიდგომისაგან, როგორც სუსმანი და ევერედი (1978 in Denscombe, 2008) აღნიშნავენ. ის მიმართულია იმ რუტინული პრობლემების მოგვარებისკენ, რომლებიც ადამიანებს ხელს უშლიან ყოველდღიურ საქმიანობაში, ამიტომაც მათ კვლევის მიგნებებისადმი მწველი ინტერესი აქვთ. შესაბამისად, მათ არ შეუძლიათ, სრულიად განცალკევებულნი და მიუკერძოებელნი იყვნენ, მეცნიერების კლასიკური გაგების შესაბამისად.

ქმედებაზე ორიენტირებულ კვლევაში ჩართულ პრაქტიკოსებს აქვთ პრივილეგია, ზედმინვენით კარგად იცოდნენ, რა ხდება მათ სამუშაო გარემოში. მათ აქვთ „შინაურის/ინსაიდერის ცოდნა“. ეს კი დიდი ბონუსია კვლევისთვის. თუმცა პრობლემებიც შეიძლება წარმოქმნას. „უცხო“ შეუძლია, უფრო მარტივად დაინახოს ის, რაც შინაურისთვის ჩვეულებრივია და ამიტომაც რთული შესამჩნევია. რადგან შინაურს უჭირს, თავი დააღწიოს ფიქრთა, დამოკიდებულებათა შიდა ნაკადს, ის ამ შინაარსითაა მოცული მექანიკურად, ამიტომ „უცხო“ შესაძლოა, არ ჰქონდეს სწორი პასუხი, მაგრამ შეუძლია ალტერნატიული პერსპექტივის შეთავაზება, რომელიც პრაქტიკოსს ამ პრაქტიკულ პრობლემაზე ახალ ხედვას ჩამოუყალიბებს (Denscombe, 2008).

VI. ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის სახეები

ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის ერთ-ერთი სახეობაა *კრიტიკულ ქმედებაზე ორიენტირებული კვლევა*. სარანტაკოსი (1995) მის ძირითად პრინციპებს ასე აყალიბებს:

- კვლევის მიზეზისადმი თავდადება: კვლევა დავალება კი არ არის მხოლოდ, არამედ მოვალეობაცაა;
- ემანსიპატორული ბუნება: ხსნის სოციალური სტრუქტურისა და პრობლემების მიზეზებს.

ის მკვლევარს განიხილავს როგორც ფასილიტატორსა და თანამშრომელს და არა როგორც „გამომძიებელს“, თუმცა უშვებს შესაძლებლობას, კვლევა განხორციელდეს ინტერესთა გასვლის შემთხვევაშიც. რიზონი და ბრედბერი (2003, in Humphries, 2008) იზიარებენ მოსაზრებას, რომ სტრუქტურული მოცემულობა უნდა შეიცვალოს ემანსიპატორული მიზნების მისაღწევად. მაგრამ, მათი აზრით, ბრძოლა, რაც ამაში მოიაზრება, არ არის ბოლომდე გააზრებული.

გრანდის (1990 in Humphries, 2008) მიხედვით, *ემანსიპატორულ ქმედებაზე ორიენტირებული კვლევა* ცდილობს მონანილეთა ინფორმირებას არალეგიტიმურ სტრუქტურულსა და ინტერპერსონალურ წინააღმდეგობებზე, რომლებიც თავისუფლებასა და ავტონომიას ზღუდავს. ქმედებაზე ორიენტირებული ბევრი მკვლევრისთვის კვლევა სოციალური ცვლილების რეკონსტრუქციისკენ მიმართული ინსტრუმენტია, თუ ის მონყვლადთა ინტერესების დასაცავად გამოიყენება.

კოჰენი, მანიონი და მორისონი (2000 in Humphries, 2008) ეჭვქვეშ აყენებენ კრიტიკულ ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის სოციალურად ტრანსფორმირებადობის საკითხს და მიზეზებს შორის ასახელებენ:

- ის ძალიან მაკონტროლებელი და პრესკრიპტულია და ამიტომაც კონფორმიზმისკენ იხრება;
- ძალაუფლება არ ქრება ან არ იცვლება მხოლოდ რაციონალიზმით;
- გულუბრყვილოა ჯგუფების გააზრებაში და ჯგუფს ინდივიდზე მაღლა აყენებს (შიდა ჯგუფებს უფრო, ვიდრე გარე ჯგუფებს);
- ელიტურია, არადა, იჩემებს ეგალიტარიზმს.

მათი აზრით, ის დიდად არის დამოკიდებული რაციონალურ დებატებსა და არგუმენტირების გზით დარწმუნების ცნებაზე. არადა, აშკარაა, რომ არგუმენტი არ ცვლის ძალაუფლებისა და „ფესვგამდგარი წინასწარ განწყობების მქონეთა“ შეხედულებებს (Cohen, Manion, Morrison, 2000 in Humphries, 2008:84).

კოჰენი, მანიონი და მორისონი (2000 in Humphries, 2008) აკრიტიკებენ ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის განმარტებასაც, თითქოს ის ჯგუფური ღონისძიებაა და არა ინდივიდუალისტური. მათი აზრით, ეს განმარტება ვიწრო და შემზღუდავია და ამ არგუმენტის მხარდასაჭერად წარმოგვიდგენენ გრანდის „ტექნიკურ“ მეთოდს. კოჰენი და კოლეგები სიფრთხილით ეკიდებიან კონსენსუალური მოდელის დაკავშირებას „პრაქტიკოს-მკვლევრის“ მოძრაობასა და „ფიქრიანი პრაქტიკოსის“ ცნებასთან.

კოჰენი და კოლეგები ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის ორ ბანაკს გამოყოფენ: შონის (1983) ტრადიციის მიმდევარნი, რომლებიც *ინდივიდუალისტურ რეფლექსიურ* პრაქტიკას ადვოკატობენ (რომელიც ძალიან ნააგავს გრანდის „ემანსიპატორულ“ ტიპს) და რომლებიც ადვოკატობენ *კრიტიკული ქმედების* მოდელს, რომელიც გრანდის *ემანსიპატორული* მიდგომის მაგვარია. ეს მნიშვნელოვანი განსხვავებაა, რადგან წარმოშობს კითხვას იმაზე, თუ რამდენად არის ორივე ან მათ შორის რომელია სოციალური სამართლიანობის იდეის მხარდამჭერი.

თუმცა არის მოდელი, რომელიც ამ ორ კატეგორიაშიც არ თავსდება. ბრადბურისა და რიზონის მიერ წარმოდგენილი მოდელი (2003 in Humphries, 2008:76) არ მოიცავს მხოლოდ ინდივიდუალისტურ ან კრიტიკულ პარადიგმას, იგი უფრო ლიბერალურ პოზიციას იჭერს. ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის განხორციელების მთავარ ამოცანად მიიჩნევენ კვლევის განხორციელებას არა *ხალხზე*, არამედ *ხალხთან ერთად*. ის კონსენსუალური მოდელია, რომელიც უშვებს, რომ ინტერესები თავსებადია და არ განიხილავს ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის გამოყენებას სიტუაციაში, როდესაც ინტერესები დაპირისპირებულია, როგორც ზემოთ წარმოგვიდგენს სარანტაკოსი.

ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული სახეობაა *მონაწილეობითი ქმედებაზე ორიენტირებული* კვლევა. ახლა, როდესაც ძალაუფლებით აღჭურვა ცენტრალური თემაა თითქმის ქმედებაზე ორიენტირებულ ყველა კვლევაში, ის კიდევ უფრო ხაზგასმულია მონაწილეობით ქმედებაზე ორიენტირებულ კვლევაში. პრობლემებზე ისიც ციკლურად მუშაობს და ისიც მონაწილეობით პრინციპებს ემყარება ცოდნის ბაზის შექმნისა და ქმედებების განხორციელებისათვის, რომლებიც სასარგებლოა დაინტერესებული პირებისათვის.

ქმედებაზე ორიენტირებული მონაწილეობითი კვლევა, რომელიც რურალური სათემო განვითარებიდან იღებს სათავეს, დიდ აქცენტს აკეთებს მარგინალიზებულთა ძალაუფლებით აღჭურვაზე. ის ხშირად გამოიყენება ბავშვებთან განხორციელებულ კვლევებში და არა მხოლოდ სოციალურად მონყვლად ბავშვებთან (Nieuwenhuys, 2006). ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის სხვა სახეობების მსგავსად, მისი მიზანია ტრადიციულად დისკრიმინირებულთა დახმარება საკუ-

თარი ცოდნის კონსტრუირებაში, საკუთარი ქმედებების განხორციელებასა და საკუთარი სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში უკეთესი მომავლისათვის (O'Leary, 2007).

ალსტონისა და ბოულესის მიხედვით, ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის ორი ძირითადი პრინციპია: პირველი მიზნად ისახავს სოციალური სიტუაციის ცვლას ან გაუმჯობესებას და ყველაზე მონყვლადთა ჩართვას; მეორე ნათელყოფს იმას, რომ სიტუაციის ნებისმიერი ცვლილება ან გაუმჯობესება მათთან მოლაპარაკებით ხორციელდება, ვისაც ის ყველაზე მეტად ეხება (1998:164 in Humphries, 2008). პროცესი ექსპერიმენტული მეთოდების იდენტიფიკაცია, მაგრამ მთავარი შემადგენელი არის მკვლევრის ჩართულობა მონაწილეობით მოძრაობაში სოციალური ცვლილებისათვის. ამ მხრივ, ქმედებაზე ორიენტირებული მონაწილეობითი კვლევა იმავე ფილოსოფიას იზიარებს, რასაც სხვა მონაწილეობითი კვლევა (Humphries, 2008).

ქმედებაზე ორიენტირებული მონაწილეობითი კვლევის მხარდამჭერთა მიერ გაზიარებული ძირითადი პრინციპებია:

- პრობლემის განსაზღვრაზე, მეთოდებზე, ანალიზსა და ქმედებაზე კონტროლი მათ მიერ, ვისზეც ყველაზე მეტი ზეგავლენა აქვს კვლევას;
- აქცენტი პროცესსა და არა მხოლოდ შედეგზე;
- მკვლევარი ფასილიტატორისა და ცვლილებების მხარდამჭერის როლში უფროა, ვიდრე დირექტორისა (Humphries, 2008).

ჰოლსი გამოყოფს ამ მიდგომისთვის ცენტრალურ სამ ღონისძიებას: კვლევას, განათლებას და ქმედებას (1993 in Humphries, 2008), რომლებიც ფოკუსირდებიან:

- პროცესში ადამიანების, როგორც მკვლევრების, ჩართვასა და ამით მათი ცოდნის ლეგიტიმაციაზე;
- ადამიანებში მათი ჩაგვრისა და ექსპლუატაციის შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე;
- ადამიანების მობილიზებაზე ქმედებისთვის, მათ მიერ სიტუაციის კონტროლისა და ცვლილებისათვის.

ძირითადი პრინციპი ის არის, რომ მეთოდი, ისევე როგორც კვლევის ყველა ასპექტი, კონტროლდება მათ მიერ, ვინც ყველაზე მეტადაა პრობლემით დაზარალებული. ამით ის ბრადბურისა და რიზონის მოდელის მსგავსია.

მიჩნეულია, რომ ძალაუფლების ნაკლებობა თემს თვითორგანიზების საშუალებას უზღუდავს და ამიტომაც კვლევა ხდება ქმედების მთავარი ინსტრუმენტი. მონაწილეობის, განათლებისა და ქმედების კომპონენტები ქმედებაზე ორიენტირებულ, მონაწილეობით კვლევას მკვეთრად პოლიტიკურს ხდის, რადგან მიზანი უფრო სამართლიანი საზოგადოების ფორმირებაა კრიტიკული ცოდნის (conscientization) საშუალებით, როგორც ფრეიერე (ფრეიერე, 1972 in Humphries, 2008) უწოდებდა ამას. გერგენი და გერგენი (2008:159 ბოლდვინთან, 2012:486) კვლევის ამ სახეობას სწორედ ამიტომ უწოდებენ კვლევას „საქმის კეთების შესახებ“ (Gray, 2012).

რიზონისა და ბრადბერის აზრით, ქმედებაზე ორიენტირებული მონაწილეობითი კვლევა არის პოლიტიკური იმ თვალსაზრისით, რომ ადამიანების გამოხატვის უფლების დაცვასა და გადანყვეტილების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფას გულისხმობს, განსაკუთრებით იმ გადანყვეტილებებისას, რომლებიც მათ ეხება და იმ პროცესებისას, რომლებიც მათზე ცოდნის თავმოყრას ემსახურება; უმნიშვნელოვანესია სოციალურად მონყვლადთა ძალაუფლებით აღჭურვა, რათა იცოდნენ, რომ შეუძლიათ საკუთარი ცოდნის „გაღრმავება და გამოყენება“ (რიზონი და ბრადბერი, 2008:9 ბოლდვინთან 2012:469).

ქმედებაზე ორიენტირებული, მონაწილეობითი კვლევა სტატუს კვოს შენარჩუნებას საფრთხეს უქმნის, რადგან ადგილობრივი მოსახლეობის ხედვას ამზერებს და „სასარგებლო“ ცოდნის განოყიერებას უწყობს ხელს (შვანცი, 2008 ბოლდვინთან 2012:470). ის შორდება მოდერნისტულ, პოზიტივისტურ მიდგომებს, რომლებიც, ქმედებაზე ორიენტირებული მონაწილეობითი კვლევის მხარდამჭერთა აზრით, „ეკონომიკური პროგრესის ტლანქი ცნების“ ზეგავლენის ქვეშ ექცევა. პროფესიულ პრაქტიკაში კი უფრო მნიშვნელოვანია მონაწილეთა სუბიექტური გამოცდილებისა და ქვევის ჯეროვნად გააზრება კონკრეტულ სიტუაციებში, ვიდრე „ახალი“ ცოდნის დაბადება ან საერთო სოციალური პრობლემების გადანყვეტის გზების ძიება (რიზონი და ბრადბერი, 2008:7 ბოლდვინთან 2012:470).

VII. ქმედებაზე ორიენტირებული თანამონაწილეობითი კვლევის შესაბამისობა სოციალურ მუშაობასთან

ქმედებაზე ორიენტირებული თანამონაწილეობითი კვლევის მიდგომას აქვს როგორც იდეოლოგიური, ასევე ფუნქციური საფუძველი. იდეოლოგიურ დონეზე მონაწილეობითი მიდგომა აღიარებს ღარიბ და მონყვლად ადამიანებსა და ძალაუფლების მქონეთა (გადანყვეტილების მიმღებ პირთა, მკვლევართა) შორის ძალაუფლების დინამიკის ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ გადანაწილებას. ამიტომ კვლევის კონტროლი, გადანყვეტილების მიღებისა და პოლიტიკის განხორციელების პროცესში მონაწილეობა, უმნიშვნელოვანესია მათ მიერ მათივე ცხოვრებისა და გარემოს კონტროლისათვის. ეს კი პირდაპირ უკავშირდება სოციალურ მუშაობას, რადგან ძალაუფლებით აღჭურვის ფასეულობას შეესაბამება. ფუნქციური ასპექტი კი იმის აღიარებაა, რომ პოლიტიკის ინიციატივები მხოლოდ მაშინაა მდგრადი, თუ რაიმე შინაარსის მატარებელია მათთვის, ვისზეც ახდენს ან უნდა მოახდინოს ზეგავლენა. მონაწილეობის მაქსიმიზაცია კი უკეთესი დიზაინის, უფრო ეფექტიანი და ვალიდური შედეგების გარანტიას ქმნის (Humphries, 2008).

ბოლდვინის (2012) აზრით, ქმედებაზე ორიენტირებული მონაწილეობითი კვლევა და სოციალური მუშაობა შემდეგნაირადაა დაკავშირებული:

- დიდი მსგავსებაა მიზნებს, ფასეულობებსა და უნარებს შორის (ბარბერა, 2008; ჰილი, 2001 ბოლდვინთან, 2012);
- სოციალურ მუშაკს უყვარს მომსახურების მიმღებთა მონაწილეობით განხორციელებული თანამშრომლობითი კვლევითი მიდგომები;

- სოციალური მუშაობა შეიძლება დავინახოთ როგორც ქმედებაზე ორიენტირებული მონაწილეობითი კვლევის ფორმა, და პირიქითაც;
- ორივე პოლიტიკურია, რადგან წარმოადგენს ჩაგრულთა და მარგინალიზებულითა ჯგუფების ინტერესებს;
- ორივე ძლიერ მხარეებზე დაყრდნობით ოპერირებს;
- ორივე ფოკუსირებს როგორც შედეგზე, ასევე პროცესზე;
- ორივე აღიარებს კრიტიკული რეფლექსიის მნიშვნელობას.

მომსახურების მიმღებ პირებთან თანამშრომლობითი დამოკიდებულება ერთ-ერთი მთავარი მიდგომაა სოციალური მუშაობისთვის. სოციალური მუშაკის თანამშრომლობის შესახებ მომსახურების მიმღებ პირებთან ზოგიერთი ქვეყნის საკანონმდებლო აქტებშიც კი წერია (მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს **Children's Act 1989, National Health Service and Community Care Act, 1990**). საქართველოში, სამწუხაროდ, ასეთ მოთხოვნას სამართლებრივ დონეზე სოციალურ მუშაკებს არც პროფესიული *ეთიკის კოდექსი* და არც *სოციალური მუშაობის მომსახურების სტანდარტი* არ უყენებს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ არცერთი არ არის დამტკიცებული ამ მასალის შექმნის დროს. თუმცა, როგორც წინა თავში განვიხილეთ, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ დაარსებისთანავე შემუშავებული *სოციალური მუშაობის ეთიკის კოდექსი* და *სოციალური მუშაობის მომსახურების სტანდარტები* ითვლება პროფესიული ეთიკისა და მომსახურების მინოდების გზამკვლევ დოკუმენტებად და ორივე განმარტავს ამგვარ კვლევას სოციალურ მუშაობაში, როგორც პროფესიული საქმიანობის მნიშვნელოვან ასპექტს.

კორნვოლი და ჯიუკესი (1995 in Humphries, 2008) ოთხი სახის მონაწილეობას გამოყოფენ:

- ხელშეკრულებითი – ხალხი კონტრაქტირებულია მკვლევართა პროექტებში გამოკითხვაში ან ექსპერიმენტში მონაწილეობის მისაღებად;
- საკონსულტაციო – ხალხს ეკითხებიან აზრს და მათთან მკვლევრები გადიან კონსულტაციებს ჩარევამდე;
- თანამშრომლობითი – მიუხედავად სხვადასხვა უნარ-ჩვევისა, მკვლევრები და ადგილობრივები ერთად მუშაობენ, როგორც კოლეგები ერთობლივი შესწავლის პროცესში, რომლის დროსაც ადგილობრივებს აქვთ კონტროლი სიტუაციაზე;
- კოლეგიალური – მიუხედავად სხვადასხვა უნარ-ჩვევისა, მკვლევრები და ადგილობრივები ერთად მუშაობენ, როგორც კოლეგები, ერთობლივი შესწავლის პროცესში, როცა ადგილობრივებს აქვთ კონტროლი სიტუაციაზე.

ჰამპრისი (2008) საუბრობს ასევე ზედაპირულ და ღრმა მონაწილეობაზე. „ზედაპირულ“ მონაწილეობაში მკვლევრები აკონტროლებენ პროცესს, მაშინ როდესაც „ღრმა“ მონაწილეობაში კონტროლი სუსტდება და პროცესის მესაკუთრე ხდება ის, ვისაც ეს პროცესი ეხება.

მიუხედავად იმისა, რომ ქმედებაზე ორიენტირებული, მონაწილეობითი კვლევა სოციალურ მუშაკთა აღფრთოვანებას იწვევს, მის განხორციელებას ბევრი გამონვევა და სირთულე ახლავს როგორც მეთოდოლოგიური, ასევე ტექნიკური თვალსაზრისით. მოდით, შევეცადოთ მათ გააზრებას:

ქმედებაზე ორიენტირებული, მონაწილეობითი კვლევა გვთავაზობს მონყვლადი ჯგუფების პრობლემების გაგებას პირდაპირი გზით (მედიაციის გარეშე), რაც ნებისმიერი მიგნების ვალიდობას ზრდის. რადგან ამ ტიპის კვლევაში აქცენტი მონაცემთა ვალიდობაზეა და მიჩნეულია, რომ ეს დამოკიდებულია სუბიექტების მიერ კვლევის მიზეზისადმი თანაგრძნობაზე, კითხვებისა და განზრახვის ზედმინევენით გააზრებასა და საჭირო ინფორმაციის გაცემის სურვილზე, რამდენადაც და როგორც შეუძლიათ ეს მათ.

ქმედებაზე ორიენტირებული მონაწილეობითი კვლევის ცენტრალური პრინციპია დიალოგის ცნება. ის კი არ მიიღწევა, თუ კვლევის პროცესი მხოლოდ მკვლევრის მიერ დასმულ კითხვებს პასუხობს, რადგან ეს კითხვები არ აძლევს ხალხს მთელი ხმით საუბრის საშუალებას იმ საკითხებზე, რომლებიც მათ იციან. ცოდნის ვალიდაცია კი „ცოდნის მფლობელის“ სტატუსით არ ხდება. სახელების ძალაუფლება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თავად ცოდნა. აი, სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი იმ ადამიანთა მხარდაჭერა, რომლებზეც ყველაზე დიდი ზეგავლენა აქვს კვლევას, რომ მათ თავდაჯერებით შეძლონ საკუთარი მოსაზრების გაყდერება. ეს კი ზოგჯერ ქვემოთ ჩამოთვლილი სხვადასხვა ტექნიკური მიზეზის გამო რთულდება, მარტინის (1999 in Humphries, 2008) აზრით:

- მონაწილეთა თვითდაჯერების ხარისხი. ხშირად ადამიანებს არ სჯერათ, რომ მათი მოსაზრება მნიშვნელოვანია, ან ვინმეს საერთოდ აინტერესებს, ან მათ მიაჩნიათ, რომ არ აქვთ კვლევითი უნარ-ჩვევები ან შესაბამისი ცოდნა. მათთვის მკვლევარი ექსპერტია, ე.ი. უნარ-ჩვევებით, რომლებიც სხვებს არ აქვთ და მონაწილეობის მიღების სურვილი უნელდებათ. ამიტომ დიდი ძალისხმევაა მათი ჩართულობისთვის გასაღები.
- შიში და დაურწმუნებლობა. ბევრ თემში უამრავი კვლევა ჩატარდა, თუმცა მონაწილეებს არანაირი სიკეთე არ უნახავთ მათ მიერ გაღებული ძალისხმევის სანაცვლოდ. გამოცდილებამ მათ უჩვენა, რომ თემის ხმა არაფერია, თუ არა რიტორიკა და რომ მათ არანაირი კონტროლი არ აქვთ სიტუაციაზე. მათ ცრუ მოლოდინი გაუჩნდათ არაერთხელ.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ 2011 წელს *სოციალური მუშაობის სიტუაციური ანალიზის* განხორციელებისას, მომსახურების მიმღებ პირებთან ჩატარებული ფოკუსჯგუფების დროს, პირიქით, გამოცდილება მივიღეთ. მომსახურების მიმწოდებლებმა გაგვაფრთხილეს, რომ მომსახურების მიმღებთა ჩართვა გართულდებოდა სწორედ ზემოთქმული მიზეზით, მაშინ როდესაც ისინი მკვლევრებს ემადლიერებოდნენ იმის გამო, რომ მათი აზრით დაინტერესდნენ (სოციალურ მუშაკთა სიტუაციური ანალიზი, 2011).

- მარგინალიზებულთა ჩართულობა. სიღარიბის პრობლემის მქონე პირთა ჩართულობა, განსაკუთრებით ქალების, რომელთაც დიდი ჯაფა აწევთ ოჯახებში, არ არის რეალისტური მიზანი; განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათ მიერ გაღებული დრო და ძალისხმევა არ არის კომპენსირებული.

თუმცა აქაც უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ნახსენები კვლევის ფარგლებში გამართული ფოკუსჯგუფებისა და ჩაღრმავებული ინტერვიუების დროსაც პირიქით იყო. მონაწილეები იყვნენ მეურვეობისა და მზრუნველობის სისტემის ბენეფიციარი ქალები, რომელთა შვილები იყვნენ სახელმწიფო ზრუნვაში ან უკვე რეინტეგრირებულნი ოჯახებში. მათ თავი დაფასებულად იგრძნეს და განგვიცხადეს, რომ არასდროს უგრძნიათ დადებითი დამოკიდებულება იმ რთულ მდგომარეობასთან გამკლავების უნარებისა და მედეგობის ასეთი მაღალი ხარისხის გამო, რომელმაც მათ ცხოვრებაში უმძიმესი პერიოდების გადალახვის საშუალება მისცა.

მნიშვნელოვანია ასევე პოლიტიკური საკითხი: ერთი მხრივ, ადგილობრივი ძალაუფლების სტრუქტურებში მუშაობა კვლევით მანიპულირებას იწვევს, ძალაუფლების მქონეთა დღის წესრიგის მიხედვით; მეორე მხრივ, ამ სტრუქტურების წინააღმდეგ გარედან მუშაობამ შესაძლოა „შეასუსტოს პროექტის პოტენციური ზეგავლენა და ხელი შეუწყოს მარგინალიზაციის გაღრმავებას“ (კორნელი და ჯიუკესი, 1995:1673 in Humphries, 2006).

ქმედებაზე ორიენტირებულ, მონაწილეობით კვლევას კრიტიკოსებიც ჰყავს. ფრიდერესს (1992:5, ბოლდვინთან 2012:477) იერიში მოაქვს მონაწილეობითი კვლევის არასამეცნიერო საფუძველზე და ამბობს, რომ ის „მორალური და იდეოლოგიურია ლეგიტიმური სტრატეგიის“ ძიებაში. ის ქმედებაზე ორიენტირებულ, მონაწილეობით კვლევაში აკუმულირებულ ცოდნას „იდიოსინკრატულს“ უწოდებს, რომელიც ასახავს კონკრეტული ადამიანის შეხედულებას ან რწმენას. ის ამით არ შემოიფარგლება და კვლევის ამ სახეობას აბრალეხს მეცნიერული ცოდნის პრივილეგიების დისკრედიტაციას, რაც „ეთიკური საკითხია“. ის ქმედებაზე ორიენტირებული, მონაწილეობითი კვლევის განათლებისა და სათემო განვითარების მიდგომად რებრენდირებას იუწყება, რაც სცდება კვლევის სფეროს და ახდენს იდეოლოგიისა და პოლიტიკის შეზავებას მეცნიერულ კვლევაში (ფრიდერესი, 1992:8-9, ბოლდვინთან 2012:477).

ჰილის (2001, ბოლდვინთან, 2012) აზრით, ქმედებაზე ორიენტირებული, მონაწილეობითი კვლევა არის ძალიან კონფლიქტური და ოპოზიციური მის მიდგომაში, რადგან:

- ის სტრუქტურული ჩაგვრის შედეგებს ებრძვის;
- სოციალურმა მუშაკებმა უნდა გააკეთონ პრაგმატული არჩევანი, რომელი ბრძოლა გააჩაღონ – შესაძლოა, ისინი საკუთარი სამსახურის დაკარგვის რისკის წინაშე აღმოჩნდნენ, თუ ძალაუფლების გადაწინაღობის სტრუქტურას სწორად არ გაიაზრებენ და ძალაუფლების ბროკერებს არასწორად შეარჩევენ.

მისი აზრით, სოციალური მუშაკისთვის თანამკვლევრებად მუშაობის მცირე შანსები არსებობს თანამედროვე დასავლურ გარემოში, რომელშიც საბაზრო და-

ლები, მენეჯერიალიზმი და პრივატიზაციის პოლიტიკა ემუქრება პროფესიულ ავტონომიას, უკიდურესად ინსტრუქტირებულ სამუშაოს ასრულებინებს სოციალურ მუშაკებს და მცირე ადგილს ტოვებს ქმედებაზე ორიენტირებული, თანამონაწილეობითი კვლევის რეფლექსიური მიდგომისთვის.

ქმედებაზე ორიენტირებული, თანამონაწილეობითი კვლევა არის საკმაოდ რესურსინტენსიური და ფონდების მოზიდვას ართულებს. დაბოლოს, ის ადვილად ტრანსფერირებადი არ არის კულტურებს შორის, რადგან აღმოცენებული და დამკვიდრებულია დასავლურ ეთოსზე, რომ კონფლიქტები, „პროტესტი და უთანხმოება სოციალური პროგრესის მახასიათებელია“ (ჰილი, 2011:102 ბოლდვინთან, 2012:478). დასკვნისთვის: ვან როიენისა და გრეის აზრით, ქმედებაზე ორიენტირებული, თანამონაწილეობითი კვლევის მკვლევრებს აქვთ მოვალეობა, შეინარჩუნონ კონსისტენტურობა და სიცხადე „სისტემური მეთოდოლოგიების“ გამოყენებით, განსაკუთრებით, თუ მათ სურთ პერცეფციების არიდება. ქმედებაზე ორიენტირებული, მონაწილეობითი კვლევა „პრობლემის გადაჭრის პროცესი“ უფროა, ისევე როგორც სათემო მუშაობა, ვიდრე მეინსტრიმული კვლევითი მეთოდოლოგია (ვან როიენი და გრეი, 1995:93 ბოლდვინთან, 2012:478).

თავად სოციალურ მუშაობაში ზოგიერთმა მკვლევარმა ქმედებაზე ორიენტირებული კვლევა მიიჩნია კვლევასა და პრაქტიკას შორის უსარგებლო დაყოფის გადალახვის გზად მათ შორის, ვინც ფიქრობს და ვინც აკეთებს (უეიეტი, მორპეტი და ბალოკი, 2000 in Humphries, 2008). აკადემიური თავისუფლება მკვლევარს საშუალებას აძლევს, იბრძოდოს სოციალური სამართლიანობისთვის, სოციალურ მუშაკ-პრაქტიკოსს კი შეიძლება არ ჰქონდეს ეს თავისუფლება, განსაკუთრებით, ნეოლიბერალური კეთილდღეობის რეჟიმის პირობებში (ფერგისონი და კოლეგები, 2005 ბოლდვინთან, 2012). ამიტომ აქტუალურია კვლევითი საქმიანობა, რაც სოციალურ მუშაკს პროფესიული მანდატის აღსრულების საშუალებას აძლევს.

VIII. თავის შეჯამება

ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია კვლევის შედეგების მტკიცებულებად გარდაქმნისა და პრობლემების აღმოფხვრის მიზნად დასახვა. ზინა ოკლირის აზრით (2007), მას ორმაგი ფუნქცია აქვს, რადგან იძლევა მაღალხარისხიანი კვლევისა და ხელშესახები ცვლილების განხორციელების საშუალებას.

ქმედებაზე ორიენტირებული კვლევა არის უფრო სოციალური კვლევის სტრატეგია, ვიდრე მეთოდი. სტრატეგია, რომელიც რეალური სამყაროს პრობლემებს თანამშრომლობითი გზით უმკლავდება, ქმედებისა და ცოდნის ინტეგრირებით, ციკლური პროცესის საშუალებით. კვლევის ამ სახეობაში, მიგნებების შესაბამისად, ცვლილებების დაგეგმვა და განხორციელება კვლევის ციკლის ნაწილია. მისი ციკლურობა კი გულისხმობს იმას, რომ პროცესში ხდება შესწავლა, კეთება და ფიქრი იმაზე, როგორ გააკეთო უკეთესად. კვლევის მიზანია მეთოდების მუდმივი

განახლება, გაუმჯობესება, მონაცემებისა და ინტერპრეტაციების რაფინირება, ამ ციკლის წინა ფაზიდან გამომდინარე (დენსკომბი, 2008). ციკლი კი მოიცავს დაკვირვებას, რეფლექსიას, დაგეგმვასა და ქმედების სხვადასხვა ვარიაციას (O'Leary, 2007).

ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის მონაწილეობითი ბუნება არის მისი ერთ-ერთი განმასხვავებელი მახასიათებელი, რომელიც მას ტრადიციული ფორმალური სოციალური კვლევისაგან განასხვავებს. ამიტომაც, ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული სახეობაა *მონაწილეობითი, ქმედებაზე ორიენტირებული კვლევა*.

ქმედებაზე ორიენტირებულ კვლევაში პრაქტიკოსი ახდენს ცვლილების ინიცირებას და არა გარეპროფესიონალი. კვლევის სუბიექტები კვლევის ყველა ეტაპზე მონაწილეობენ, როგორც თანამკვლევრები (Denscombe, 2008). ეს კვლევის ამ სახეობის პრინციპია. ქმედებაზე ორიენტირებულ კვლევაში პროცესი, შედეგი და მისი გამოყენება ურთიერთგადაჯაჭვულია. ის უარყოფს მიდგომას – ჯერ ცოდნა და შემდეგ ცვლილება (O'Leary, 2007).

მკვლევრებმა დაიწყეს იმის აღიარება, რომ კვლევისაგან წარმოებული ცოდნა სასიკეთო ცვლილებას უნდა ემსახურებოდეს და ცვლილების კვლევამ ცოდნა უნდა წარმოქმნას. შესაბამისად, კვლევის სტრატეგია მიმართული უნდა იყოს ამ ორი მიზნის დაკავშირებისაკენ და მოიცავდეს შეფასებისა და სწავლის ელემენტებს (O'Leary, 2007). ქმედებაზე ორიენტირებული კვლევა ასევე განუდგა ხედვას, რომ მკვლევარი ექსპერტია და კვლევის სუბიექტები მეცნიერული ცოდნის პასიური მიმღებები.

უინტერი, ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის მახასიათებელი პრინციპების განსაზღვრისას, აქცენტს აკეთებს *რეფლექსიურ კრიტიციზმსა და დიალექტურ კრიტიციზმზე*. პირველი არის პროცესი, რომელიც ჩვენი საკუთარი აღქმის შეცდომების გააზრების საშუალებას გვაძლევს; მეორე კი ჩვენს კონტექსტში მოვლენათა შორის ურთიერთმიმართების გააზრებაა, რაც საშუალებას მოგვცემს, ავხსნათ სხვადასხვა სოციალური ფენომენის ფორმირების პროცესი (Winter, 1989 in Humphries, 2008).

ქმედებაზე ორიენტირებული კვლევისთვის ერთ-ერთი ყველაზე მეტად დამახასიათებელია *პროფესიული თვითგანვითარებისაკენ* მიმართული ცვლილება. ის პროფესიონალს პრაქტიკის გაუმჯობესების საშუალებას აძლევს არა მხოლოდ რეფლექსიის, არამედ მონაცემთა აკურატული შეგროვების საფუძველზე (Denscombe, 2008). ქმედებაზე ორიენტირებული კვლევა აყალიბებს კვლევის მიზანსა და დიზაინს, თუმცა არ უნესებს მკვლევრებს რაიმე შეზღუდვას მონაცემთა შეგროვების საშუალებებზე.

გრანდი (1990:353 in Humphries 2008:70-73) განასხვავებს ქმედების სამ ტიპს ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის სხვადასხვა მოდელის მიზნებისა და პარადიგმების დემონსტრირებისთვის, ესენია: ტექნიკური, პრაქტიკული და ემანსიპატორული. მისი აზრით, სოციალური მუშაობის სულისკვეთების ყველაზე უფრო

გამომხატველი – *ემანსიპატორული, ქმედებაზე ორიენტირებული კვლევა* ცდილობს მონაწილეთა ინფორმირებას არალეგიტიმურ სტრუქტურულსა და ინტერპერსონალურ წინააღმდეგობებზე, რომლებიც მათ თავისუფლებასა და ავტონომიას უზღუდავს.

ქმედებაზე ორიენტირებული ბევრი მკვლევრისთვის კვლევა სოციალური ცვლილების რეკონსტრუქციისკენ მიმართული ინსტრუმენტია, თუ ის მონაცვლადთა ინტერესების დასაცავად გამოიყენება. თუმცა თავში გაშუქებულია ისიც, თუ რა მიიჩნევა ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის სისუსტედ და რას აყენებს ეჭვქვეშ სხვადასხვა მკვლევარი. მაგალითად, კოჰენი, მანიონი და მორისონი (2000 in Humphries, 2008) კრიტიკული, ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის სოციალურად ტრანსფორმირებადობის საკითხს აყენებენ ეჭვქვეშ, დესკომბი (2008) მას სისუსტედ უთვლის სამუშაო გარემოთი შემოფარგვლის აუცილებლობას, რადგან ეს შედეგების რეპრეზენტატიულობას ამცირებს; კვლევის პრაქტიკასთან ინტეგრაციასაც, რადგან ეს კვლევის რელევანტურ ფაქტორებზე კონტროლის შესაძლებლობას ამცირებს და ა.შ. ამასთან, ქმედებაზე ორიენტირებული, თანამონაწილეობითი კვლევა არის საკმაოდ რესურსინტენსიური. ის ადვილად ტრანსფერირებადი არ არის კულტურებს შორის, რადგან აღმოცენებული და დამკვიდრებულია დასავლურ ეთოსზე, რომ კონფლიქტები, „პროტესტი და უთანხმოება სოციალური პროგრესის მახასიათებელია“ (ჰილი, 2011:102 ბოლდვინთან, 2012:478).

თუმცა სოციალური მუშაკებისთვის განსაკუთრებით საგულისხმოა მომსახურების მიმღებ პირებთან თანამშრომლობითი დამოკიდებულება და ამიტომაცაა, რომ ქმედებაზე ორიენტირებული, თანამონაწილეობითი კვლევა ინარჩუნებს ერთ-ერთ მთავარ ადგილს სოციალური მუშაობის კვლევაში. სოციალური მუშაკის თანამშრომლობის შესახებ მომსახურების მიმღებ პირებთან ზოგიერთი ქვეყნის საკანონმდებლო აქტებშიც კი წერია (მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს Children's Act 1989, National Health Service and Community Care Act, 1990).

IX. ძირითადი კითხვები /ან კითხვები რეფლექსიისთვის

1. ქმედებაზე ორიენტირებული კვლევა კვლევის რომელ ეტაპზე უწესებს მკვლევარს შეზღუდვებს?
2. რას დაასახელებთ ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის ციკლის ძირითად განმასხვავებელ ნიშნად?
3. მოგეხსენებათ, ქმედებაზე ორიენტირებულმა კვლევამ შეიძლება მომდევნო კვლევის ინიცირება გამოიწვიოს. ნიშნავს თუ არა ეს, რომ მას კვლევის განხორციელების პროცესშივე შეუძლია რამდენიმე კვლევა მოიცვას?
4. რამდენად ახდენს ქმედებაზე ორიენტირებული კვლევა კვლევის პროცესის დემოკრატიზაციას?
5. რა განსხვავებაა „ფიქრიან პრაქტიკოსსა“ და ქმედებაზე ორიენტირებულ მკვლევარს შორის?

6. რამდენად არის ქმედებაზე ორიენტირებული მონაწილეობითი კვლევა პოლიტიკური?
7. როგორ დაგეგმავდით ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის პროცესს, რომ აგერიდებინათ საქართველოს სოციალურ მუშაკთა მიერ განხორციელებული კვლევის შეზღუდვები?

გამოყენებული ლიტერატურა

- Denscombe, M. (2008). *The Good Research Guide: For Small-scale Social Research Projects*. Open University Press.
- Gray, M., Midgley, J., Webb, S. A. (2012). *The Sage Handbook of Social Work*. Sage Publication.
- Humphries, B. (2008). *Social Work Research for Social Justice*. Palgrave MacMillan.
- Nieuwenhuys, O. (2006). Participatory Action Research in the Majority World in Frazer, S., Lewis, V., Ding, S., Kellett, M., Robinson, C. (Eds.) *Doing Research with Children and Young People*, (2nd ed., pp.206-221). Sage Publications.
- O'Leary, Z. (2005). *Researching Real-World Problems: A Guide to Methods of Inquiry*. Sage Publications.
- Sadzaglishvili, S., Akobia, N., Shatberashvili, N., Gigineishvili, K. (2020). A Social Work Intervention's Effects on the Improvement of School Culture¹. *ERIS Journal-Winter*, 45.

თავი VI

როგორ გამოვიყენოთ კვლევის თვისებრივი მეთოდები სოციალურ მუშაობაში

შესავალი

წინამდებარე თავში მიმოვიხილავთ თვისებრივი კვლევის მეთოდის სპეციფიკას სოციალურ მუშაობაში. მოკლედ შევხებით კვლევის ამ მეთოდის ისტორიას, განვმარტავთ ტერმინებს, შევეცდებით, წარმოგიდგინოთ ყოველი ტერმინის სხვადასხვა ვერსია, რათა თქვენთვის დამაბნეველი არ იყოს სემანტიკური განსხვავებები მათ შორის და შემაფერხებელი არ გახდეს ეს საძიებო პროცესში.

თვისებრივი კვლევის ჩატარება მრავალი გზითაა შესაძლებელი, მაგრამ ჩვენ წინამდებარე თავში მიმოვიხილავთ თვისებრივი კვლევის იმ პარადიგმებს, მეთოდოლოგიასა და მეთოდებს, რომლებიც მეტადაა მახასიათებელი სოციალური მუშაობის კვლევისათვის.

კვლევის ამ სახეობის თვისებრივი ბუნებიდან გამომდინარე, მას ხშირად სიუსტედ უთვლიან იმას, რომ არ შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია დიდ მოსახლეობაზე ზუსტ სტატისტიკურ განაცხადზე. ამ თავში შევეცდებით იმის დემონსტრირებას, რამდენად შეესაბამება ეს სიმართლეს და/ან ასე რომც იყოს, რამდენადაა ეს კვლევის მნიშვნელოვნებისთვის დამაკინებელი. შევეცდებით, წარმოგიდგინოთ, რამდენად შეესაბამება კვლევის ამ მეთოდს სოციალური მუშაობის პროფესიული ფასეულობები, რა ზეგავლენა აქვს ამა თუ იმ ფასეულობით მიდგომას კვლევის მეთოდოლოგიისა და მეთოდების შერჩევაში, რამდენადაა კვლევის დიზაინი მკვლევრის ღირებულებითი სისტემის ანარეკლი. ბოლოს, შევეცდებით, გაგაცნოთ სოციალური მუშაობის თვისებრივი კვლევის შეფასების სტანდარტები.

I. თვისებრივი კვლევის განვითარების ისტორია

თვისებრივი კვლევის ისტორია გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება ჩიკაგოს უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტიდან, როდესაც პროფესორებიცა და სტუდენტებიც ადგილობრივ თემზე უშუალო დაკვირვებით დაინტერესდნენ და გამოვიდნენ ქუჩაში. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და შთამბეჭდავი კვლევა უილიამ ფუტ უაიტის ეთნოგრაფიული ნაშრომია „Street Corner Society“, რომელიც კორნერვილის იტალიური წარმოშობის ამერიკელთა ყოფას გვაცნობს. ავტორი კვლევის განხორციელებისათვის ქუჩის ლიდერს დაუკავშირდა, რომელიც მისი ძირითადი ინფორმანტი გახდა. ამით უაიტს საკვლევი თემის ყოველ-

დღიურობაში მონაწილეობის საშუალება მიეცა. სწორედ ამან შეაძლებინა მას ასეთი მსუყე და რეალური სურათის წარმოდგენა საკვლევ თემზე, რასაც ის ვერაფრით შეძლებდა გამოკითხვით (Rubin&Babbie, 2011).

თუ შევადარებთ სოციალური მუშაობის ადრეულ კვლევებს, ვნახავთ, რომ ამერიკასა და ევროპაში თითქმის ერთდროულად ხორციელდება სოციალური მუშაობის მომსახურებების ეფექტიანობის შესწავლა. აშშ-ში ფიშერი ცდილობდა, გამოეყენებინა სამეცნიერო მეთოდები იმის დასადგენად, თუ რამდენად ეფექტიანია შემთხვევაზე მუშაობა (Fischer, 1973 ...). იმავეს ცდილობდნენ გაერთიანებულ სამეფოში მკვლევრები (Mayer and Timms, 1970) მიღებულ მომსახურებებზე კლიენტთა შეხედულებების შესწავლით. მოგვიანებით კი სეინსბარიმ (1975) გააანალიზა ორივე – კლიენტებისა და სოციალური მუშაკების შეხედულებები და დაასკვნა, რომ კმაყოფილების მაღალი ხარისხი არის, განურჩევლად იმისა, რა შედეგი აქვს შემთხვევას, ე.ი. დაკმაყოფილდა თუ არა კლიენტის საჭიროება, ის მაინც კმაყოფილია. მან გამოყენებული მიდგომის შეზღუდვა აღმოაჩინა. მისი აზრით, წინასწარგანსაზღვრული კითხვების დასმით კლიენტის მოლოდინს მაინცდამაინც ვერ განვსაზღვრავთ, ვერ გავიგებთ, რა არის მათთვის მნიშვნელოვანი (Saunbury, 1987 ...). ის მომსახურების მიმღებთა ჩართულობას უსვამდა ხაზს, რადგან ფიქრობდა, რომ რთულია იმსჯელო იმაზე, რაც არ განგიცდია. მკვლევარი კი თითქმის მუდამ ამ როლშია (Orme & Shemmings, 2010).

II. ტერმინის განსაზღვრება

კვლევის განვითარებასთან ერთად, კვლევის სხვადასხვა ტრადიცია ჩამოყალიბდა სოციალურ მეცნიერებებში. თითოეული მათგანი ეპისტემოლოგიური ნააზრევის შესწავლას გულისხმობს. ეპისტემოლოგია ცოდნის ბუნებას შეისწავლის და სწორედ ამ უკანასკნელის გააზრება ახდენს ზეგავლენას იმაზე, თუ როგორ და რაზე დაყრდნობით შეუდგეს მკვლევარი კვლევის პროცესს. კვლევის განვითარებასთან ერთად გამოიკვეთა განსხვავებები მეთოდოლოგიურ მიდგომებსა და მეთოდებს შორის. ამასთან ერთად, დაინერგა კვლევის სხვადასხვა მიდგომა და/ან ტრადიცია და სულ უფრო და უფრო გამოიკვეთა მეთოდოლოგიური ზეგავლენა კვლევაზე. სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომა განსხვავებულად აყალიბებს ინფორმაციის შეგროვების ფორმატსაც (Orme & Shemmings, 2010).

ტერმინი „თვისებრივი კვლევა“ გულისხმობს კვლევის სახეობას, რომლის მიგნებებსაც სტატისტიკური მანიპულაციებით ან რაოდენობრივი მონაცემებით ვერ მოვიპოვებთ. ის შეიძლება ეხებოდეს როგორც კვლევას ადამიანის ცხოვრებაზე, ცხოვრებისეულ ეპიზოდსა და მის ქცევაზე, ასევე ორგანიზაციულ ფუნქციონირებასა და სოციალურ მოძრაობებზე. ზოგიერთი ტიპის მონაცემები შეიძლება სტატისტიკური ბიუროდან მივიღოთ და მათი თვისებრივი ანალიზი ჩვენ განვახორციელოთ (Strauss&Corbin, 1990 in Soydan&Palinkas, 2014). ეს რაოდენობრივი მონაცემების მიღმა საკითხის და/ან მოვლენის უფრო სიღრმისეული გააზრებისა და გაანალიზების საშუალებას მოგვცემს.

III. პარადიგმა, მეთოდოლოგია თუ მეთოდი?

სანამ უშუალოდ თვისებრივი კვლევის პარადიგმებზე, მეთოდოლოგიასა და მეთოდებზე გადავალთ, გავიხსენოთ, რა განსხვავებაა მათ შორის. კვლევის განხორციელებისას, უფრო სწორად, ჯერ კიდევ მის დაწყებამდე, საჭიროა გავიაზროთ, რა ეპისტემიოლოგიურ საფუძველზე უნდა განვხორციელოთ ის. სოციალური მუშაობის კვლევისთვის მხოლოდ ერთი პარადიგმული მიდგომა არსებობს – განხორციელო სხვადასხვა ტიპის კვლევა სხვადასხვა მიზნისთვის. სწორედ ეს მიზანი გვკარნახობს, რა ცოდნის ბაზა და რა სახის ინფორმაცია გვჭირდება.

მეთოდოლოგია კვლევის წარმართვის „ლოგიკურ და თეორიულ საფუძველს“ ქმნის, რომლის ფარგლებშიც ხდება კვლევის პრობლემის ჩამოყალიბება და მისი აქტუალობის დასაბუთება. ის არათუ განიხილავს კონკრეტულ მეთოდებს, არამედ ცდილობს, თეორიულად დაასაბუთოს ამა თუ იმ მეთოდის გამოყენების მართებულობა და, ამავ დროს, დაამტკიცოს სხვა მეთოდის არამართებულობა. მეთოდოლოგია სოციალურ თეორიას ეყრდნობა და სოციალური ცოდნის გაღრმავებასა და მისი პრაქტიკული გამოყენების გზების შესწავლას ემსახურება, მეთოდიკა კი შეისწავლის კვლევის განხორციელების კონკრეტულ გზებს. ის პრაქტიკულ ხასიათს ატარებს, მის ფარგლებში თითქმის არ გვხვდება თეორიული ანალიზი (მასალა სასწავლო კურსიდან: სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდები).

ხშირად საუბარი მომსახურების დაფინანსებაზე ყველა ქვეყანაში, მათ შორის, ჩვენთან. ზოგიერთ ქვეყანაში ეს ხარჯთსარგებლიანობის ანალიზით განისაზღვრება. მაგალითად, აშშ-ში მკვლევარი სოციალური მუშაკები ეკონომისტებთან ერთად მუშაობენ ამ საკითხებზე, რადგან ერთი საკითხია, დაადგინო, რა არის ხარჯი და სარგებელი, ღირს თუ არა პრობლემის ამ კონკრეტული ხარჯის გაღებით მოგვარება, რომ მივიღოთ ესა და ეს სარგებელი, მაგრამ სულ სხვა საკითხია, როგორ განვსაზღვრავთ საჭიროებას. ეს კი მრავალი კუთხიდან და სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. მკვლევარს შესაძლოა, ერთი კონკრეტული ხედვა ჰქონდეს და ღია იყოს იმისადმი, რომ მის ნაშრომს სწორედ ამ პერსპექტივიდან განიხილავენ. სწორედ ეს არის მეთოდოლოგიური არჩევანი. თუ კონკრეტული მეთოდოლოგიური ხედვაა გამოყენებული, მკვლევარიც გამჭვირვალე უნდა იყოს და მიიღოს გამოწვევა. ეს არის პოზიციის დეკლარირება, გამოწვევა და პასუხი. სწორედ ეს გაგვიძღვება კვლევის ძლიერი მიდგომების ფორმირებისკენ (Orme & Shemmings, 2010).

IV. თვისებრივი კვლევა სოციალურ მუშაობაში

თვისებრივი კვლევის დიზაინი ეფუძნება თეორიულსა და პარადიგმულ დაშვებებს. ამ კატეგორიას მიეკუთვნება დაფუძნებული თეორია, ეთნოგრაფიული მიდგომა, ისტორიული ანალიზის მეთოდი, ფენომენოლოგიური მიდგომა, კონსტრუქტივისტული მიდგომა, ინტერპრეტაციული მიდგომა და ქმედითი კვლევა. სოციალურ მუშაობაში ქმედითი კვლევა და დაფუძნებული თეორია, ისევე რო-

გორც პერსონალური ნარატივი (მომსახურების მიმღების ცხოვრებისეული ისტორია) და მომსახურების მიმღებისა და სოციალური მუშაკის დიალოგის ანალიზი, ყველაზე პოპულარული თვისებრივი მიდგომაა.

ამიტომ მონაცემთა შეგროვება, ანალიზი და თეორია ურთიერთმიმართულია. ის არ იწყება თეორიით, მაგრამ მოგვიანებით ამტკიცებს მას. ის იწყება კვლევითი ასპექტების შესწავლით, არ იზღუდება არაფრის ათვისებით, რაც კი დაკავშირებულია ამ ასპექტებთან (Strauss&Corbin, 1990:23 in Soydan&Palinkas, 2014).

დროდადრო თვისებრივი კვლევის მხარდამჭერები მიიჩნევენ, რომ კვლევის ეს მეთოდი მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენისთვის ძლიერი ინსტრუმენტია, მაშინ როდესაც კრიტიკულები არიან რაოდენობრივი კვლევის მეთოდთა მიმართ, რადგან ის არაფერს გვეუბნება იმაზე, რაც არის ე.წ. შავ ყუთში, მაშინ როდესაც კვლევის თვისებრივ მეთოდს შეუძლია მოახდინოს ფაქტებისა და მოვლენების ამგვარი ინტერპრეტაცია.

სხვადასხვა ავტორი თვისებრივი კვლევის სხვადასხვა სახეობას ასახელებს, თუმცა არის რიგი მახასიათებლებისა, რომლებზეც ყველა თანხმდება. მაგალითად, ტეში (Tesch, 1990 in Miles, 1994), რომელიც 27 ტიპის თვისებრივ კვლევაზე საუბრობს, ამბობს, რომ ყველა მეთოდმა უნდა უპასუხოს შემდეგ არსებით კითხვებს:

- რა არის ენის, როგორც კომუნიკაციისა და კულტურული თავისებურებების, მახასიათებელი?
- შესაძლებელია ადამიანის გამოცდილებაში რეგულარობის აღმოჩენა – გარკვეული ელემენტების იდენტიფიცირება, კატეგორიზაცია და მათ შორის კავშირების ახსნა?
- შესაძლებელია ტექსტის ან მოქმედების მნიშვნელობის გაანალიზება – მათი გაშიფვრა: საერთო და უნიკალური მახასიათებლების გამოხშირვა და ინტერპრეტაცია?

ახლა, მოდით, განვიხილოთ, რა მახასიათებლებით უნდა გამოირჩეოდეს კვლევა სოციალურ მუშაობაში?

- განსაკუთრებული მგრძობელობით კვლევის ეთიკური და მართვითი საკითხებისადმი;
- საკუთარი და სხვათა როლის ნათლად გააზრებით კვლევის პროცესში;
- სოციალური და პოლიტიკური კონტექსტის ზედმინწევნით კარგად ცოდნით;
- ემანსიპატორული კვლევის ჩატარების ცოდნით;
- მონაწილეობითი მიდგომის გამოყენებით.

პირველი სამი ნებისმიერი სოციალური კვლევის მახასიათებელია, მეოთხე კი, სოციალური მუშაობის კვლევებში მეტადაა ხაზგასმული, ვიდრე სხვა სფეროებში (Shaw, 2007, სასწავლო კურსის მასალიდან: სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდები).

თვისებრივი მეთოდი სოციალურ მუშაობაში მიზნად ისახავს კონკრეტული ადამიანური გამოცდილების მნიშვნელობის სიღრმეების ჩანვდომას. ეს კი მოითხოვს უფრო საფუძვლიან დაკვირვებას, მსუყე აღმოჩენებს, რაც მნიშვნელობას ვერ

იქნეს მხოლოდ რიცხვებით. მაგალითად გამოდგება სოციალური შემწეობის მიმღებთა „გადამრჩენელებად“ დანახვის მცდელობა და არა მხოლოდ ადამიანთა სახელმწიფო შემწეობაზე დამოკიდებულ პირებად, ე.ი. დამოუკიდებლად საკუთარი პრობლემების გამკლავების უნარის არმქონეებად დანახვა; ან ქუჩაში მცხოვრებთა უარის, ღამე ბინძურ თავშესაფარში გაათიონ, „უტიფარ ღირსებად“ მიჩნევა, რასაც მათ სახელმწიფოს მხრიდან შეთავაზებულ, თუნდაც მოკრძალებულ, პირობებზე უარის თქმას „აბედინებს“, მაშინ, როდესაც დამოუკიდებლად არ აქვთ საცხოვრისით საკუთარი თავის უზრუნველყოფის საშუალება. ასეთი მაგალითი სასჯელალსრულების სისტემაში მუშაობიდან მახსენდება. ერთი შუახნის მამაკაცი თავშესაფრის მოთხოვნით მიმართავდა მთავრობას. მიზეზთა გამო მას აღარ ჰქონდა სახლი. კაცი ქუჩაში ათენებდა ღამეს სასჯელალსრულების სისტემიდან გამოსვლის შემდეგ. როდესაც მას სოციალური მუშაკი თბილისში იმ დროს არსებულ უსახლკაროთა თავშესაფარში განთავსებისთვის ამზადებდა, მამაკაცმა უარი განაცხადა, თავი შეურაცხყოფილად იგრძნო – „იქ როგორ წავალ, ის პირობები ჩემთვის მიუღებელია“. ვერ წარმოიდგენთ, რა დიდი იყო ჩვენი გაკვირვება, მაგრამ თავშესაფრის ნახვის შემდეგ თითქოს ყველაფერი ნათელი გახდა. მისი შემთხვევის შეფასებისას ყველაფერი თავის ადგილზე განლაგდა, თუმცა დამოუკიდებლად ან მშრალად ფაქტების მოპოვებით სურათი არ იხატებოდა. თვისებრივ კვლევას შეუძლია უმუშევარ „მოზირუავეთა ფატალიზმის“ გადმოცემა. თუმცა კვლევის ეს მეთოდი ამის შესწავლას არ დაინწყებს მხოლოდ რიცხვებსა და რაოდენობაში, რადგან ეს არ არის მხოლოდ მონაცემთა შეგროვების საქმე, არამედ თეორიის ფორმირების საქმიანობაა. როგორც თვისებრივი მეთოდის მკვლევარი, თქვენ იშვიათად თუ შეუდგებით კვლევას მყარად ჩამოყალიბებული ჰიპოთეზის დატესტვით (Rubin&Babbie, 2011:456).

მეთოდი მკვლევარს მოვლენის, ქცევისა თუ დამოკიდებულების უამრავი ნიუანსის აღმოჩენის საშუალებას აძლევს, რასაც ის ვერ შეძლებდა სხვა მეთოდის გამოყენებით. ამასთან, მას მოვლენის, ქცევისა თუ დამოკიდებულების ბუნებრივ სიტუაციაში შესწავლის საშუალება აქვს. ის საუკეთესო ხერხია სოციალური მოვლენის, მისი მიმდინარეობის პროცესის შესწავლისათვისაც. მას შეუძლია სოციალური მოვლენების (საპროტესტო მოძრაობების, ორგანიზაციის გამგეობის თუ დირექტორთა საბჭოს შეხვედრების, შრომითი მოლაპარაკებების, საჯარო მოსმენების და სხვა) და სოციალური ურთიერთობების (იქნება ეს მუშაკსა და კლიენტს შორის, ექიმსა და პაციენტს შორის, ცოლსა და ქმარს შორის თუ სხვა) პროცეს-შივე შესწავლა, ნაცვლად მათი პოსტფაქტუმ გაშიფვრისა. (Rubin&Babbie, 2011).

V. სოციალური მუშაობის კვლევისთვის მახასიათებელი პარადიგმები

იმისათვის, რომ გვესმოდეს, რას ნიშნავს მონაცემი და ინფორმაცია, რომლებსაც მკვლევარი მოიპოვებს ამა თუ იმ სოციალური მოვლენისა თუ საკითხის ასახსნელად, უნდა გვეკონდეს გარკვეული ცოდნა იმაზე, თუ რა დგას ამ მოვლენების უკან. როგორც ზემოთ ვთქვით, თვისებრივ კვლევას მრავალი მიდგომა აქვს,

მრავალი მეთოდი და ინსტრუმენტი. სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვაგვარად აკლასიფიცირებს მათ. მაგალითად, ჯაკობის ტაქსონომია (Jacob, 1987 in Miles & Huberman, 1994) კვლევის 5 ტრადიციას გვაცნობს, ტეში (Tesch, 1990 in Miles & Huberman, 1994) თვისებრივი კვლევის 27 ტიპს, ვოლკოტი (Walcott, 1992 in Miles & Huberman, 1994) მონაცემთა შეგროვების ოცზე მეტ სტილს წარმოგვიდგენს და ა.შ. ჩვენ განვიხილავთ სოციალურ მუშაობაში ყველაზე ხშირად გამოყენებული თვისებრივი კვლევის პარადიგმებს, რომლებსაც რუბინი და ბაბი (2011) წარმოგვიდგენენ: ნატურალისტური, დაფუძნებული თეორია, მონაწილეობითი ქმედითი კვლევა (რომელიც წინა თავში განვიხილეთ) და შემთხვევის შესწავლა. მნიშვნელოვანია, თავიდანვე შევთანხმდეთ, რომ ამ პარადიგმათა შორის არცერთი არ ითხოვს აუცილებლად კონკრეტულ მეთოდს (Rubin & Babbie, 2011).

მოდით, ნატურალისტით დავიწყეთ. ნატურალისტით თვისებრივი კვლევის ტრადიციული პარადიგმაა. ის გულისხმობს ადამიანების შესწავლას მათთვის ბუნებრივ გარემოში და მათი მონათხრობის აღწერას. ის გაჟღენთილია რწმენით, რომ სოციალური მოვლენის ან ჯგუფის შესასწავლად საჭიროა არა მხოლოდ მისი გარედან დაკვირვება და აღწერა, არამედ მისი ღრმად შესწავლა. მეცნიერთა აზრით, ეს აგვარიდებს „ეთნოგრაფიულ შეცდომას“, რაც ნიშნავს იმის დაშვების არიდებას, თითქოს, დაკვირვების სუბიექტები ან მოვლენა ერთგვაროვანია და შესაძლოა მათი ზედმეტად განზოგადება ან გამარტივება (Rubin & Babbie, 2011). მაგალითად, განა შესაძლებელია, ყველა ქართველი, მოსწავლე ან ორგანიზაციის ლიდერი იდენტურად ფიქრობდეს ან მოქმედებდეს? რასაკვირველია, არა.

ზოგიერთი მკვლევარი თვისებრივი მეთოდის „ნატურალისტურ“ ბუნებას უსვამს ხაზს. კვლევის ეს მეთოდი უფრო დაახლოებულია „ველსა“ და ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. მკვლევრის როლია „ჰოლისტური“ ინფორმაციის მიმოხილვა. მკვლევარი ცდილობს, მიიღოს ინფორმაცია „შიგნიდან“, საკითხის ადგილობრივთა აღქმაზე დაყრდნობით. მაგალითად, ვოლკოტი (Walcott, 1982 in Miles, 1994)) გვთავაზობს ნატურალისტის შემდეგ მახასიათებლებს:

- კვლევა ტარდება დაკვირვების სუბიექტთა რეალურ გარემოში, ამ უკანასკნელზე ინტენსიური დაკვირვებით;
- მკვლევრის ამოცანაა საკვლევი კონტექსტის „ჰოლისტური“ მიმოხილვა – მისი ფუნქციონირების ლოგიკაზე, მის მოწყობაზე, გარე თუ შიდა წესებზე დაკვირვებით;
- მკვლევარი მონაცემებს შიდა აქტორების აღქმაზე დაყრდნობით აგროვებს;
- მკვლევარი მასალას გულდასმით შეისწავლის, ზოგიერთ საკითხს კი ველზე უშუალოდ მყოფი პირის – „ინფორმანტის“ დახმარებით უღრმავდება, თუმცა ინარჩუნებს თავდაპირველ აღწერით ვერსიას;
- იმის გააზრება, თუ როგორ ფიქრობს, იაზრებს ან მოქმედებს დაკვირვების სუბიექტი/ჯგუფი;
- შედარებით ნაკლებ სტანდარტიზებული ინსტრუმენტის გამოყენება ადგილზე, რადგან თავად მკვლევარი ასრულებს საზომი ინსტრუმენტის ფუნქციას;

- ანალიზის უმეტესი ნაწილი სიტყვიერია. სიტყვები შეიძლება დაჯგუფდეს, დაიყოს სემანტიკურ სეგმენტებად, რაც მკვლევარს შედარებისა და ანალიზის საშუალებას აძლევს.

რაც შეეხება **დაფუძნებულ თეორიას**, ის ინდუქციური მიდგომაა და იწყება დაკვირვებით, თემებისა და საერთო კატეგორიების მოძიებით. ეს არ ნიშნავს, რომ მკვლევარს არ აქვს წინასწარი მოლოდინები. ფაქტობრივად, რაც უკვე შესწავლილია, სწორედ ის ქმნის ახალი კვლევის საფუძველს. თუმცა ანალიზი არ ფორმირდება ჰიპოთეზის დასამტკიცებლად, ან პირიქით. დაფუძნებული თეორიის ღიაობა აფართოებს მოულოდნელის აღმოჩენის არეალს, ზოგიერთი თანმიმდევრულობა ან აცდენა ზრდის სივრცეს ახალი თეორიის ან ჰიპოთეზის ჩამოყალიბებისთვის (Rubin&Babbie, 2011).

დაფუძნებული თეორია, მიუხედავად იმისა, რომ ინდუქციური პროცესია, დედუქციურობასაც მიმართავს. ამას ის მუდმივი შედარებების საფუძველზე აკეთებს. როგორც კი მკვლევარი აღმოაჩენს პატერნს ინდუქციური დაკვირვებების გზით, ის განავითარებს კონცეპტს და სამუშაო ჰიპოთეზას ამ პატერნებზე დაყრდნობით. შემდეგ ის უფრო მეტ შემთხვევას ეძიებს, უფრო მეტ დაკვირვებას ახორციელებს და აღარებს ამ დაკვირვების შედეგებს, კონცეპტსა და წინა დაკვირვებების შედეგად ფორმირებულ ჰიპოთეზას (Rubin&Babbie, 2011).

ახალი შემთხვევების შერჩევა თეორიული შერჩევის კონცეპტზე დაყრდნობით ხორციელდება. თეორიული შერჩევის პროცესი იდენტური შემთხვევების შერჩევით იწყება. როგორც კი მკვლევარი ხედავს, რომ იდენტური შემთხვევების შესწავლით აღარ ხდება ახალი ინფორმაციის მოპოვება, სხვა ტიპის შემთხვევას ამოირჩევს. ეს პროცესი მეორდება მანამდე, სანამ სიახლის წარმოქმნა შესაძლებელია და მკვლევარი არ დარწმუნდება, რომ ახალი მიგნებების მოპოვების შანსები აღარ არსებობს. მუდმივი გამეორების პროცესის გასააზრებლად ასეთ მაგალითს შემოგთავაზებთ: წარმოიდგინეთ, რომ გსურთ სოციალური მუშაობის ჩარევის ეფექტიანობის შეფასება შიზოფრენიით დიაგნოსტირებულ ახალგაზრდებში. სავარაუდოდ, თქვენ დაიწყებთ პრაქტიკოსთა ინტერვიუებას ღია კითხვებით, ალბათ, მათ ყველაზე წარმატებული შემთხვევების გაზიარებასა და გამოყენებული ინტერვენციის გაცნობას მოსთხოვთ. წარმოიდგინეთ, რომ ყოველ ინტერვიუს იდენტურ შედეგამდე მიყავხართ, ყოველი პრაქტიკოსი აღნიშნავს, რომ ახალგაზრდების რეაბილიტაციისათვის სოციალური უნარ-ჩვევების ტრენინგი, ხოლო მათი მშობლებისათვის კომუნიკაციის უნარ-ჩვევების ტრენინგი არის წარმატების განმაპირობებელი.

თქვენ ჩამოაყალიბებთ სამუშაო ჰიპოთეზას, რომ ასეთი ქცევითი ჩარევა გამოარჩევს ეფექტიანს არაეფექტიანი პრაქტიკისაგან ამ სფეროში. იმისათვის, რომ უფრო მეტად „დაამიწოთ“ თქვენი ჰიპოთეზა ემპირიულ სამყაროში, ე.ი. მოახდინოთ მისი ვერიფიკაცია, თქვენ შესაძლოა სხვა რესპექტაბელური პრაქტიკოსებიც გამოჰკითხოთ, რათა დარწმუნდეთ მიგნებების განმეორებაში. თუ ისინიც იმავე შედეგს მოგცემთ, თქვენ შეგიძლიათ, განმეორებით გამოჰკითხოთ იგივე პრაქ-

ტიკოსები, მაგრამ განსხვავებული შემთხვევის შერჩევის მიდგომით. ასევე შეგიძლიათ მათგან მიიღოთ ინფორმაცია ნაკლებეფექტიან ჩარევაზე. წარმოიდგინეთ, რომ მათ იგივე ქცევითი ჩარევა შეარჩიონ, რაც ყველაზე წარმატებულ შემთხვევაში დაასახელეს.

გილგანი (Gilgun, 1991) ავლებს პარალელს დაფუძნებულ თეორიასა და სოციალური მუშაობის უშუალო პრაქტიკას შორის – განსაკუთრებით, კლინიკურ შეფასებასთან: ორივე მეთოდი იწყება შემთხვევასთან ერთად და ინფორმანტის პერცეფციებზეა ფოკუსირებული; ორივე მიზნად ისახავს შემთხვევის გააზრებას გარემოს კონტექსტში; ორივე აერთიანებს ინდუქციასა და დედუქციას; ორივე იყენებს სისტემატურ შედარების მეთოდს, დაკვირვებაზე დაფუძნებით, სამუშაო ჰიპოთეზის ფორმულირებისთვის და შემდეგ მომდევნო დაკვირვებების ფონზე ჰიპოთეზის კვლავ მოდიფიცირებას ახდენს; ორივე ცდილობს წინასწარი განწყობებისა და თეორიების არიდებას შემთხვევასთან მიმართებით; ორივე ეფუძნება ღია ინტერვიუების და იყენებს იდენტური ინტერვიუების ტექნიკას. ჩანაწერებისა და მემოების გამოყენება დაფუძნებულ თეორიაში ჰგავს სოციალური მუშაობის პროცესისა და პრობლემაზე ორიენტირებული შემთხვევის ჩანაწერებს; ორივე ცდილობს კლიენტის მხარდაჭერას, მაგრამ, ამავე დროს, საკითხის ანალიზის პრიზმიდან გააზრებას; ორივე კლიენტისათვის ორგანულ გარემოში ხორციელდება – იქნება ეს სახლი, სკოლა, თემი თუ კლინიკა და ა.შ. (Rubin & Babbie, 2011).

შემთხვევის შესწავლა კონკრეტული ინდივიდის, ოჯახის, ჯგუფის, თემის ან საზოგადოების იდეოგრაფიული შესწავლაა. მისი ძირითადი ამოცანაა აღწერა, თუმცა ახსნაც მისაღებია. მაგალითად, სოციალური მუშაკი ცდილობს კეთილდღეობის სისტემაში ორგანიზაციული დინამიკის ღრმა შესწავლას მომსახურების მიწოდებაზე ზეგავლენის ახსნის მიზნით ან სათემო რესურსცენტრებში სოციალური მომსახურების დაარსების პროცესის აღწერას. შემთხვევის შესწავლისას მკვლევარი ფოკუსირდება კონკრეტულ შემთხვევაზე ან შემთხვევებზე, მაგრამ იყენებს ნაირგვარ მტკიცებულებებს ამ შემთხვევასთან მიმართებით, მათ შორის, კვლევის რაოდენობრივი მეთოდით მოპოვებულ მტკიცებულებასაც. მტკიცებულების წყაროდ მოიაზრება არსებული დოკუმენტური მასალა, დაკვირვება, ინტერვიუები. მტკიცებულების მოპოვება შეიძლება ადამიანების გამოკითხვითაც კი ამ შემთხვევის ირგვლივ.

შემთხვევის შესწავლის მიზანი ხშირად არის ამ კონკრეტული მოვლენის და ან პირის იდეოგრაფიული¹ გააზრება ან ზოგადი, ნომოთეტური თეორიის ფორმირება. შემთხვევის შესწავლის ლოგიკური ფოკუსი არ არის სხვა შემთხვევებზე სტა-

¹ ნეოკანტიანელი ფილოსოფოსის, ვილჰელმ ვინდელბანდის, მიერ დამკვიდრებული ტერმინია ცოდნისადმი ორი განსხვავებული მიდგომის აღწერისათვის, როდესაც თითოეული სხვადასხვა ინტელექტუალურ მიმართულებას შეესაბამება. *იდეოგრაფიული ჰუმანიტარული მეცნიერებებისთვის დამახასიათებელი სპეციფიციტების ტენდენციაა და უნიკალური ან სუბიექტური ფენომენის გააზრების ძალისხმევას აღწერს. ნომოთეტური კი პირიქით – განზოგადების ტენდენცია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს ახასიათებს და ობიექტური ფენომენის გააზრების ძალისხმევას აღწერს.*

ტისტიკური განზოგადება (ან გარეგანი ვალიდობა), არამედ ამ კონკრეტული შემთხვევის მიგნებების კონკრეტულ თეორიასთან დაკავშირებაა. ეს ხორციელდება იმის დემონსტრირებით, თუ რამდენადაა კონკრეტული შემთხვევის შესწავლისას მოპოვებული ნონადი მტკიცებულებები კონსისტენტური თეორიასთან. თუმცა ეს არ არის თეორიის ადეკვატური ტესტი, რადგან ეს მხოლოდ ერთი შემთხვევაა; მაგრამ კონსისტენტური შედეგების თავმოყრა რეპლიკაციის პროცესში ისევე გამოდგება თეორიის დატესტვისთვის, როგორც ერთეული შემთხვევის შეფასებები ან ჯგუფური ექსპერიმენტები. რაციონალური შემთხვევის შესწავლის მეთოდის გამოყენების უკან არის ფასეული შემთხვევის არსებობა, რომელიც ინტენსიურ შესწავლად ღირს (Rubin&Babbie, 2011).

მინოდებული სოციალური მომსახურებების ზეგავლენის გაზომვა ძალიან რთულია, ხშირ შემთხვევაში, მრავალი მიზეზით. ერთ-ერთი ასეთი მიზეზია იმის დადგენის სირთულე, თუ რამდენად მიენერება სწორედ ეს მომსახურება კლიენტში ამ კონკრეტულ ცვლილებას. შესაძლოა, ამ სამიზნე ქცევის/დამოკიდებულების ცვლილება სულ სხვა გარე ფაქტორებმა განაპირობა. ეს რთულია ყველაზე ეფექტიანად ანეობილ მომსახურების სისტემაშიც კი, რომლებშიც მომსახურების მინოდების ყველა ეტაპი კონსისტენტურად ერწყმის ერთმანეთს და მომსახურებიდან გასვლის შემდეგაც შესაძლებელია კლიენტის ქცევაზე დაკვირვება (მაგალითად, სასჯელალსრულების სისტემაში მიენოდა კლიენტს მომსახურება ემოციების მართვაზე, მაგრამ სასჯელის მოხდის შემდეგ არ ვიცით, როგორ პასუხობს ის გამონვევებს საზოგადოებაში რესოციალიზაციის შემდეგ. არ არსებობს სათემო მომსახურებები, რომლებიც მის სათემო ინტეგრაციაში ან მონიტორინგში იქნება ჩართული). ამიტომ დამხმარე შესაძლოა აღმოჩნდეს კლიენტის ან მისი ოჯახის წევრების, ახლობლების ინტენსიური თვისებრივი (კლინიკური) ინტერვიუება, იმის დადგენაში, რომელი სხვა ცვლილებებია პასუხისმგებელი ამ ცვლილებაზე (Rubin&Babbie, 2011).

ასევე გამოგვადგება კლიენტთან მუშაობის ჩანაწერების გამოყენება (ამას ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ). თუ ინტერვიუებას დამატებული ჩანაწერები არ გამოავლენს გარეფაქტორების ზემოქმედებას, ე.ი. ცვლილება შეგვიძლია თამამად მივანეროთ ინტერვენციას. თუ, პირიქით, აღმოჩნდა, რომ რალაც ხდებოდა კლიენტის ცხოვრებაში, ინტერვენციისგან დამოუკიდებლად, რასაც მართლაც შეეძლო ზეგავლენის მოხდენა, მაშინ ინტერვენციის შედეგს ეს ნაკლებად შეგვიძლია მივანეროთ. თუმცა იმის დადგენა, თუ რომელი ფაქტორი იყო ნამყვანი, ე.ი. რამდენად მიენერება ეს უფრო ამ გარე ფაქტორს, ვიდრე ინტერვენციას, ძალიან რთულია (Rubin&Babbie, 2011). ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ინტერვენციის გარეშე გარეფაქტორს შესაძლოა, საერთოდ არც ეარსება, ან მისი ზეგავლენა ნაკლები იქნებოდა. აი, წარმოიდგინეთ, თქვენ მუშაობთ პატიმართან, რომელსაც სასჯელალსრულების სისტემაში მოხვედრამდე არცერთი მეგობარი არ ჰყავდა, რადგან მას ძალიან სუსტად განვითარებული სოციალიზაციის უნარ-ჩვევები ჰქონდა. ინტერპერსონალური ურთიერთობებისა და ეფექტიანი კომუნიკაციის სარეაბილიტაციო კურსის წარმატებით გავლის შემდეგ ის ტოვებს სისტემას და თავის სოფელს

უბრუნდება. მამაკაცი 30 წლისაა. არც სახლში და არც თემში არავინ ელოდება. სოფელში დაბრუნების შემდეგ ის ახალგაზრდა ქალს გაიცნობს, რომელსაც დაუმეგობრდება და ოჯახის შექმნაზეც კი ფიქრობენ. ამას მოჰყვება ქალის ნათესავ-ახლობლებთან ურთიერთობა. მამაკაცი აღარ არის მარტო, ის წარმატებით უძღვება სოციალურ ურთიერთობებს. თქვენი აზრით, შეგვიძლია ეს მივანეროთ სარეაბილიტაციო პროგრამას, თუ, უბრალოდ, საჭირო ქალის საჭირო მომენტში შეხვედრას? რთული სათქმელია, არა?

კლიენტის ჩანაწერები

მოგეხსენებათ, სოციალური მუშაკისა და კლიენტის ურთიერთობას შეიძლება ახლდეს ჩანაწერების წარმოების პასუხისმგებლობა კლიენტის მხრიდან. ის აწარმოებს ჩანაწერების ჟურნალს თავის პრობლემებთან დაკავშირებით. მისი წარმოება შეიძლება მასში როგორც სამიზნე ქცევაზე რაოდენობრივი, ასევე მნიშვნელოვან ინციდენტებზე თვისებრივი მონაცემების ასახვით. კოლეგები (Bloom, Fischer&Orme, 2006) აღწერენ სხვადასხვა ტიპის ჩანაწერის წარმოებას სხვადასხვა მიზეზისთვის. ასე მაგალითად, გამოკვლევითი ჩანაწერი შესაძლოა გამოვიყენოთ პრობლემის შეფასების საწყის ეტაპზე და მან აღწეროს, სად და როგორ მოხდა ინციდენტი, რა დამოკიდებულება ჰქონდა კლიენტს ამ მოვლენისადმი, როგორ იქცეოდა. ოდნავ განსხვავებული ჩანაწერის გამოყენება შეგვიძლია შეფასების მომდევნო ეტაპზე, რომელიც აღწერს მხოლოდ კონკრეტულ სამიზნე პრობლემას და ცდილობს იმის გარკვევას, ეს პრობლემა რა სიტუაციაში გამწვავდება, ან პირიქით. კლიენტის ჩანაწერში შესაძლოა, აისახოს გარე მოვლენებიც, რომლებიც ხდება როგორც საბაზისო მონაცემების შეგროვებისას, ასევე ჩარევის ფაზის პროცესში. ეს მკვლევარს დაეხმარება იმის დადგენაში, თუ რას ჰქონდა რეალურად გავლენა ქცევის ცვლილებაზე. ის ასევე მეხსიერების იმედად არ გვტოვებს (Rubin&Babbie, 2011). ჩანაწერის აგება გემოვნებისამებრ შეგვიძლია. ზოგს უადვილდება საინფორმაციო მონაცემების ვერტიკალურად წარმოება, ზოგს კი ჰორიზონტალურად. აქ წესი არ არსებობს, ავაგოთ ისე, როგორც უკეთ და მარტივად ვანარმოებთ ან მოვიხმართ ჩანაწერებს. ის უნდა მოიცავდეს თარიღის, დროის, ადგილის, საქმიანობის, პროცესში მონაწილეთა, მოვლენის აღმწერ, მასზე მრეაგირებელ პირთა და მათი ქცევის, თავად კლიენტის კოგნიტიური და ქცევითი რეაქციების სვეტებს ან რიგებს და ა.შ. ჩანაწერების სიზუსტე უფრო ადვილად გავაღვივებინებს პარალელურად მოვლენებს შორის და, შესაბამისად, დაგვადგენინებს, რას ჰქონდა რეალურად ზეგავლენა.

VI. შერჩევის მეთოდი სოციალური მუშაობის თვისებრივ კვლევაში

ამ ნაწილში შევეცდებით, განვიხილოთ სოციალური მუშაობის თვისებრივი კვლევისათვის მეტად დამახასიათებელი შერჩევის მეთოდები. თვისებრივი კვლევისთვის დამახასიათებელია მიზნობრივი (იგივე არაალბათური) შერჩევა, თუმცა შემთხვევითი შერჩევის მეთოდიც გამოიყენება. მაგალითად, ზიპი (2002) აღწერს

განგრძობითი თვისებრივი ინტერვიუების კვლევას, რომელშიც მან შემთხვევითი შერჩევით შეარჩია მეტალურგები. შერჩევის ჩარჩოდ მან გამოიყენა ორი დახურული ფოლადის ქარხნის მუშათა სია. მაშ, რატომ მივმართავთ თვისებრივ კვლევაში არაალბათურ შერჩევას უფრო ხშირად? ამას მრავალი მიზეზი აქვს. ანალიზის ერთეული თვისებრივ კვლევაში შესაძლოა, ბუნდოვანი იყოს (Rubin&Babbie, 2011). სოციალურ მოძრაობაში ჩართული თემის შესწავლისას უნდა გავიაზროთ, კონკრეტულად რა გვინტერესებს – საზოგადოებრივი თემის ერთ-ერთი ჯგუფი? ამ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი? თუ ეს სოციალური ქმედება?

წარმოიდგინეთ, 14 წლამდე უკანონო ქმედებებში შემჩნეული ბავშვების შესწავლით ხართ დაინტერესებული. ქალაქში ასეთი რამდენიმე დაჯგუფებაა. თქვენ უნდა გაიაზროთ, კონკრეტულად რა გინტერესებთ – ამ დაჯგუფებიდან ერთ-ერთი? ერთ-ერთი დაჯგუფების ყველაზე პატარა წევრები? ამ დაჯგუფებებს შორის კომუნიკაციის ან თანამშრომლობის ფორმები? ამ ბავშვების ე.წ. მფარველები? მათი ოჯახის წევრები? მოკლედ, დაუსრულებლად შეიძლება კონკრეტული ინტერესის გამოკვეთა. ეს კი აუცილებელია, რადგან მხოლოდ ასე შეიძლება დასკვნის მომზადებას კვლევის ბოლოს.

ამ კითხვებზე პასუხი არ იქნება ნათელი და თან ის შესაძლოა, იცვლებოდეს კვლევის მიმდინარეობისას. ამით გამოწვეული თავდაპირველი შფოთვა კი შეიძლება გამძაფრდეს ბოლოსკენ, როდესაც აღმოაჩენთ, რომ ფენომენი, რომელსაც იკვლევთ, ვრცელდება თქვენი კვლევის კონკრეტულ მონაწილეებს მიღმაც. ეს ზოგადი საკითხი შეიძლება ადვილად გადაიჭრას პრაქტიკაში, თუმცა მგრძობიარობა მათ მიმართ დაგეხმარებათ თქვენი მიზნებისა და მეთოდების დაწმენდაში. თვისებრივ კვლევაში შერჩევის საქმეს ართულებს ისიც, რომ ბევრ მკვლევარს სურს, შეისწავლოს ყველაფერი თავიანთ საკვლევ სფეროში. გამოდის, რომ ისინი არც აკეთებენ შერჩევას. არადა, რეალურად შეუძლებელია ყველაფრის შესწავლა. რამდენადაც თვისებრივი მკვლევრები შეისწავლიან მხოლოდ იმის ნაწილს, რაც ხდება, გამოდის, რომ რასაც/ვისაც ისინი შეისწავლიან, არის კიდევ დე ფაქტო შერჩევითი ერთობლიობა. მაგალითად, თუ რამდენიმე მშობელი მშობელთა შეკრებაზე სკოლაში რაღაცას უყვირის დირექტორს, ეს იქნება ყოველი ასეთი წამოყვირების შერჩევითი ერთობლიობა; ან, თუ მკვლევარი დააკვირდება ძალადობის ფაქტებს მიტინგისას, სწორედ ეს ქმედებებია ძალადობის ყველა ამგვარი ფაქტის განსახიერება. თქვენ იშვიათად თუ შეიძლება ასეთ დაკვირვებას საკონტროლო ჯგუფზე, მაგრამ მაინც უნდა გაითვალისწინოთ წარმომადგენლობითობის ზოგადი პრინციპი და, შესაბამისად, მოახდინოთ მონაცემების ინტერპრეტირება.

ხანდახან შესაძლოა, მოგინიოთ შერჩევა დაკვირვებისთვის ხელმისაწვდომ გარემოში. მაგალითად, თუ გსურთ საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის განვითარების შესწავლა, თქვენ, ალბათ, უნდა გამოკითხოთ ვინმე ამ ორგანიზაციის გამგეობიდან, რამდენიმე თანამშრომელი თუ წევრი, რომლებსაც მათი სრული სიიდან შემთხვევითი შერჩევით შეარჩევთ, ამ ორგანიზაციის მოწყობიდან გამომდინარე. თუმცა თქვენ გჭირდებათ იცოდეთ, შერჩევის რომელი მეთოდი იქნება საუკეთესო თქვენი მიზნისათვის.

სამი ყველაზე მეტად შესაფერისი, არაალბათური შერჩევის მეთოდია: კვოტური შერჩევა, თოვლის გუნდის მეთოდით შერჩევა და დევიანტური შემთხვევა. მოდით, გავიაზროთ, როდის რომელი მეთოდის გამოყენება სჯობს (Rubin&Babbie, 2011).

თუ ჯგუფს ან სოციალურ პროცესს, რომელსაც შეისწავლით, მონაწილეთა მკაფიოდ განსაზღვრული კატეგორია ჰყავს, კვოტური შერჩევაა საუკეთესო მეთოდი. უნდა შეისწავლოთ ყველა კატეგორიის მონაწილე. ფორმალური ჯგუფების შესწავლისას სასურველია, გამოკითხოთ ჯგუფის ლიდერიცა და არალიდერი წევრებიც. სათემო ორგანიზაციის შესწავლისას უკეთესია, გამოიკითხოთ ამ ჯგუფის რადიკალური და ნაკლებრადიკალური წევრები. ზოგადად, როდესაც წარმომადგენლობითობა სასურველია, კვოტური შერჩევა უნდა გამოიყენოთ და გამოკითხოთ ქალები და კაცები, ახალგაზრდები და ხანდაზმულები, და ა.შ. (Rubin&Babbie, 2011).

თოვლის გუნდის პრინციპით შერჩევის პროცესს იწყებთ რამდენიმე რელევანტური მონაწილის შერჩევით და შემდეგ ჯგუფი ფართოვდება გადამისამართების პრინციპით. მაგალითად, თუ გსურთ კონკრეტულ ორგანიზაციაში თანამშრომელთა დაქირავების პროცესის შესწავლა, შეგიძლიათ დაიწყოთ ახალაყვანილი კადრებით და გამოკითხოთ თანამშრომელი, რომელმაც ისინი გუნდში წარადგინა. შემდეგ გამოკითხოთ მათ მიერ დასახელებული პირები, რომლებსაც იმავეს ჰკითხავთ. ამის შემდეგ მომდევნო ჯგუფს შეხვდებით. შემდეგ ნახევრად სტრუქტურირებულ ჯგუფში ერთ-ერთ წევრს ჰკითხავთ, ვინ არის ჯგუფის ყველაზე გავლენიანი წევრი. შემდეგ მას შეხვდებით და ასე „აგორებთ“ გუნდას. ყოველი რესპონდენტი გამისამართებთ ახალ რესპონდენტთან (Rubin&Babbie, 2011).

მესამე მეთოდი, დევიანტური ან ექსტრემალური შერჩევა, ისეთი შემთხვევების შესწავლას გულისხმობს, რომლებიც ჩვეულებრივის კატეგორიას სცდება. ის ამტკიცებს რეგულარული ქცევის პატერნებზე ჩვენს შეხედულებებს. ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება შეიძლება ადამიანებისაგან, რომლებიც საერთო კოლექტიურ შეხედულებას არ იზიარებენ. წარმოიდგინეთ, გსურთ შემთხვევის მართვის რამდენიმე პროგრამის გაცნობა ამ პრაქტიკის ნაირგვარობის აღწერისათვის და ჰიპოთეზის ფორმირება იმ ფაქტორებზე, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ შემთხვევის მართვის პროცესზე. თუ თქვენ თვლით, რომ შემთხვევის მართვის ხარისხი დამოკიდებულია შემთხვევათა რაოდენობაზე, თქვენ უნდა შეარჩიოთ რამდენიმე პროგრამა, რომლებიც განსაკუთრებით გადატვირთული შემთხვევათა რაოდენობით გამოირჩევა და რამდენიმე, რომლებშიც ერთ სპეციფიკურ შემთხვევათა რაოდენობა გაცილებით ნაკლებია (Rubin&Babbie, 2011); ან გსურთ ჰიპოთეზის ფორმირება ბიოლოგიური მშობლების ჩართულობაზე მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრებ ბენეფიციართა ყოველდღიურობაში. ალბათ, დაგჭირდებათ იმ მშობლებთან შეხვედრაც, რომლებსაც აღმზრდელები და/ან ადმინისტრაციის წარმომადგენლები აქტიურად დაგისახელებენ და მათთანაც, რომლებიც იშვიათად სტუმრობენ მცირე საოჯახო ტიპის სახლს, ან ამ უკანასკნელ

ლიდან გაჰყავთ შვილები. თუმცა ალბათ ხვდებით, რომ ექსტრემალური ან დევიანტური შემთხვევები იმდენად იშვიათობაა, რომ ისინი თქვენთვის საინტერესო ფენომენის დამახინჯებულ სურათს ხატავენ.

პატონი (1990) გვიჩვენებს ინტენსიურ შერჩევას – შემთხვევების, რომლებიც მეტ-ნაკლებად ტიპურია და არ არის იმდენად უჩვეულო, რომ დევიანტური ვუნოდოთ. მაგალითად, ნაცვლად იმისა, რომ შეარჩიოთ ოჯახი, რომელიც ძალიან ხშირად ან ძალიან იშვიათად, ან საერთოდ არ სტუმრობს მცირე საოჯახო ტიპის სახლში მცხოვრებ საკუთარ შვილს, შეარჩიეთ ოჯახები, რომლებიც უფრო ხშირად სტუმრობენ, ვიდრე უმეტესი ოჯახები და არა შვილის ცხოვრებაში ყველაზე აქტიურად ან პასიურად ჩართულნი, რომელთა აზრიც შეცდომაში შეგიყვანთ.

კიდევ ერთი სტრატეგია, რომელსაც ექსტრემალური შერჩევის სტრატეგიაოდ განვიხილავთ, არის **კრიტიკული შემთხვევების შერჩევა**. ეს სტრატეგია განსაკუთრებით სასარგებლოა ჰიპოთეზის ფორმირებისათვის სოციალური მუშაობის პრაქტიკის ეფექტიანობის გაზომვისას.

კრიტიკულია შემთხვევა, რომელშიც რაღაც განსაკუთრებული ხდება, პოზიტიური ან ნეგატიური, რაც ახალ და ფასეულ შტრიხს გვთავაზობს პრაქტიკის გაუმჯობესებისათვის. ამ ტექნიკის გამოყენების ერთი გზაა, სთხოვოთ უშუალო პრაქტიკოსებს ისეთი შემთხვევის იდენტიფიცირება, რომელიც, მათი შეფასებით, არის ყველაზე წარმატებული ან ყველაზე წარუმატებელი. შემდეგ ყველა დასახელებული შემთხვევის ირგვლივ გამოკითხოთ ისინი, იმისათვის, რათა აღმოაჩინოთ, რით განსხვავდება ან რა მსგავსებაა ამ შემთხვევებსა და სხვა პრაქტიკოსთა საუკეთესო თუ ყველაზე წარუმატებელ შემთხვევებს შორის. ამ ნიმუშებიდან შეგიძლიათ ჰიპოთეზის ფორმირება მომდევნო კვლევისათვის, რომელიც საუკეთესო თუ უარესი პრაქტიკის განმსაზღვრელ ელემენტებს შეიცავს. პატონი **ვა-რიაციული შერჩევის** ვარიანტზეც საუბრობს. ეს სტრატეგია გამიზნულია, შეისწავლოს ფენომენი, მთელი მისი ნაირგვარობით, ინტენსიური შესწავლის ობიექტ მცირე ჯგუფში. ფენომენის ჰეტეროგენულ პირობებში შესწავლისას მის ირგვლივ უფრო საინტერესო ხედვების ჩამოყალიბების საშუალება გვეძლევა. მაგალითად, თუ გსურთ შემთხვევის მართვის პროცესის შესწავლა შემთხვევათა დატვირთვის მიხედვით, უნდა შეარჩიოთ მაღალი, საშუალო და დაბალმაჩვენებლიანი პროგრამები. აქედან: ზოგი ურბანულ გარემოში, ზოგიც გარეუბანსა და სოფელში, ზოგი ახალი, ზოგიც უკვე დიდი ხნის მიმდინარე პროგრამები და ა.შ.; მეორე მხრივ, ჰომოგენური შემთხვევების შესწავლაც შეგიძლიათ. ვთქვათ, გაინტერესებთ, თუ როგორ უმკლავდებიან შემთხვევის მენეჯერები შემთხვევათა ზეგადატვირთულ ოდენობას (Rubin&Babbie, 2011).

არაალბათურ შერჩევასა და მის სტრატეგიებს ვუნოდებთ მიზნობრივ შერჩევას. მიზნობრივი შერჩევისას – განსხვავებით ალბათური (იმავე შემთხვევითი) შერჩევისაგან – არჩევთ დაკვირვების ჯგუფს/მოვლენას, რომელიც, თქვენი აზრით და თქვენს ინტუიციაზე დაყრდნობით, ყველაზე ნათლად წარმოადგენს შესწავლის სუბიექტს/ობიექტს. შეგიძლიათ, გამოიყენოთ არაალბათური (იმავე მიზ-

ნობრივი) შერჩევის პროცედურები დევიანტური (იმავე ექსტრემალური ან კრიტიკული შემთხვევების) შერჩევისათვის, მაგრამ შეგიძლიათ, ასევე გამოიყენოთ ისინი შესასწავლი ფენომენის წარმომადგენლობითობისათვის (Rubin&Babbie, 2011).

მიუხედავად იმისა, რომ კონტროლირებადი შემთხვევითი შერჩევა იშვიათად გამოიყენება თვისებრივ კვლევაში, მისი პრინციპისა და ლოგიკის გააზრება უფრო ეფექტიანი, ინტუიციური შერჩევის საშუალებას მოგცემთ.

თვისებრივ კვლევაში ყურადღება მიაქციეთ შერჩევის ორ ფაზას:

1. რამდენადაა თქვენთვის ხელმისაწვდომი სიტუაცია/მოვლენა ტიპური განსახიერება იმ ფენომენისა, რომელსაც აკვირდებით და ხსნით? 14 წლამდე ასაკის უკანონო ქმედებების განმხორციელებელთა ოთხი ჯგუფი, რომელსაც თქვენ აკვირდებით, წარმოადგენს ყველა ამ სამიზნე ჯგუფს?
2. თქვენი დაკვირვება ამ კონკრეტულ სიტუაციაზე/მოვლენაზე ტიპური სიტუაციაა ყველა შესაძლო სიტუაციებს შორის, რომელზე დაკვირვებაც შეგიძლოთ? თქვენ ამ ოთხი ჯგუფის წარმომადგენლობით ჯგუფს აკვირდებით?

ამ კითხვებზე პასუხი რომც არ იყოს დადებითი და კონტროლირებადი შემთხვევითი შერჩევა შეუძლებელი იყოს, ლოგიკური კავშირი წარმომადგენლობითობასა და განზოგადებითობას შორის მაინც მნიშვნელოვანია (Rubin&Babbie, 2011). თქვენი მიზანია, რაც შეიძლება მსუყე მონაცემების შეგროვება. ეს კი ნიშნავს ნაირგვარი ინფორმაციის თავმოყრას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, რასაც თქვენ მიაღწევთ პირისპირ კომუნიკაციით ან სოციალურ გარემოში ჩანერგვით სასურველ ვერსიაში.

VII. სოციალური მუშაობის თვისებრივი კვლევის მეთოდები

თვისებრივი კვლევის მეთოდებიდან სოციალურ მუშაობაში ხშირად გამოიყენება ინტერვიუების, ცხოვრების ისტორიის, ფოკუსჯგუფის, ფემინისტური მეთოდი. ჩვენ თითოეულს განვიხილავთ. განვიხილვა კი ინტერვიუების მეთოდით დავიწყეთ.

მიუხედავად იმისა, რომ ინტერვიუს სასაუბრო ფორმატი აქვს, მის შინაარსსა და მსვლელობის პროცესს მკვლევარი ადგენს და, უმეტესწილად, რესპონდენტი საუბრობს. რუბინი და ბაბი (2011) გვასწავლიან, რომ ინტერვიუერი ინტერვიუს მსვლელობისას დროის 5 პროცენტზე მეტს არ უნდა საუბრობდეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ინტერვიუს პროცესისათვის განსაკუთრებით კარგად უნდა მოვემზადოთ.

პატონი (Patton 1990:280) თვისებრივი კვლევის ღია ინტერვიუების სამ ფორმას ასხვავებს: **არაფორმალური სასაუბრო ინტერვიუ (Informal Conversational Interview)**, **ინტერვიუს ზამკვლევის გამოყენება (General Interview Guide Approach)** და **სტანდარტიზებული ღია ინტერვიუ (Standardized Open-ended Interview)**. ჩვენ თითოეულს ცალ-ცალკე გავეცნობით.

არაფორმალური სასაუბრო ინტერვიუ

არაფორმალური სასაუბრო ინტერვიუ დაუგეგმავი და მოულოდნელი ინტერაქციის ფორმაა. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თქვენ სრულიად მოუმზადებელი ან მოდუნებული იყოთ. მაგრამ თქვენ უნდა შექმნათ გარემო, რომელშიც კვლევის მონაწილე სრულიად მოდუნებულია. ერთ-ერთი ყველაზე მთავარი აქ მოსმენის ტექნიკაა. ეს კი, სავარაუდოდ, გაქვთ გავარჯიშებული, როგორც სოციალურ მუშაკებს. ხშირად ხდება, რომ რესპონდენტი აზრს წყვეტს ან სხვა საკითხზე გადადის, მაგრამ იგი არ უნდა შეაჩეროთ, თუმცა არც ინტერვიუს მთავარი ხაზი დაკარგოთ, არამედ უნდა შემოდოთ თქვენი ახლო მესხიერების თაროზე და დაუბრუნდეთ საკითხს. თქვენივე თავი გაიხსენეთ, როდესაც ვინმეს რაიმეს გულით უყვებით, ის კი განწყვეტინებთ. როგორი შეგრძნებაა? ასევე გაიხსენეთ, როდესაც ის გულდასმით გისმენთ. ეს როგორია? ინტერვიუება ხომ ჩვეულებრივი საუბრისმაგვარი პროცესია, მაგრამ, მისგან განსხვავებით, სულ ფხიზლად უნდა იყოთ, რომ თქვენი კვლევის ფოკუსი არ დაკარგოთ.

ალბათ, არაერთხელ გახსენდებთ, სატელევიზიო გადაცემაში ჟურნალისტი კითხვას რომ სვამს იმაზე, რაზეც რესპონდენტმა უკვე უპასუხა, თანაც გულდასმით. გიფიქრიათ, ალბათ, რა ხდება, არ უსმენს, თუ ვერ გაიგო. თითქოს, ჟურნალისტი არც ისე უინტელექტო ან მესხიერების პრობლემებითაა, მაგრამ ის ზედმეტად კონცენტრირებულია მომდევნო შეკითხვის დასმაზე ან სათქმელზე, ან საპროდიუსეროდან ყურში რალაცას ეუბნებიან და იმისკენაა მიმართული მისი აზრი, ეს კი ყურადღებას უფანტავს. უმეტესობა ასე ვართ, გვინდა, რომ რალაც ძალიან საინტერესო ვთქვათ და წინასწარ ველავთ. თუ ჰკითხავთ გამომსვლელებს, მათ წინ გამომსვლელმა ბოლო წინადადება რა თქვა, შეიძლება არც ახსოვდეთ, რადგან თავადაც ემზადებიან გამოსვლისათვის. თქვენს შემთხვევაში ეს კონტრპროდუქტიულია. ამიტომ გახსოვდეთ, რომ რესპონდენტს აღუწებთ, თქვენ კი მობილიზებული ხართ, ოღონდ შეუმჩნევლად. ამას ლოფლენდი და ლოფლენდი „სოციალურად მისალეები არაკომპეტენტურის“ როლს უწოდებენ (Loflans&Lofland, 1995:56-57 in Rubin&Babbie, 2011).

რუბინი და ბაბი (2011) რამდენიმე ხრიკს გვასწავლიან, რომლებითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ, რომ არ დაგკარგოთ მთავარი ხაზი:

- შევამციროთ ძირითად საკითხთა ნუსხა, რათა ადვილად არ დაგკარგოთ საუბრის ხაზი ერთი საკითხიდან მეორეზე გადასვლისას;
- საკითხიდან საკითხზე თანმიმდევრულად და ლოგიკურად გადავიდეთ, რათა რესპონდენტს არ დარჩეს შთაბეჭდილება, რომ მისი ამბავი კი არ გვაინტერესებს, არამედ ჩვენს საქმეს ვაკეთებთ. ამიტომ კი არ შევანწყვეტინოთ და ვაფიქრებინოთ, რომ არ გვაინტერესებს, არამედ ჩავეჭიდოთ კონკრეტულ საკითხს და ჩავუღრმავდეთ. ასე დავუბრუნდებით ძირითად ხაზს.

„გმართებთ, იყოთ უფრო დაინტერესებული, ვიდრე საინტერესო“. ამასთან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ სვამთ კითხვას, რადგან ყოველი კითხვა გან-

საზღვრავს პასუხს. ზოგჯერ ის რესპონდენტს აიძულებს, გაექცეს მას, ან თავი მოგვანონოს; ან პასუხმა იქვე ახალი კითხვის დასმის აუცილებლობა განსაზღვრა – კითხვის, რომელიც არც იყო თქვენს სიაში. სწორედ ამიტომაც მომხიბლავი ეს მეთოდი: მკვლევარი მოდუნებულია, შეისწავლის, აღმოაჩენს და სიტუაციისამებრ სვამს კითხვებს. შესაძლოა, პასუხმა წინასწარ მომზადებული მომდევნო კითხვები გაგიუქმოთ; ან დამაზუსტებელი, ჩამძიებელი კითხვის დასმა მოგიწიოთ, მაგალითად ასეთის: რას გულისხმობთ? თქვენი აზრით...? ეს როგორ? რამეს ხომ არ დაამატებთ? და ა.შ. მოკლედ, როგორც რუბინი ამას უწოდებს: „ფიქრობთ, ისმენთ და საუბრობთ ერთდროულად“, ოღონდ, სასურველია, ზემოხსენებული ჟურნალისტიკით არა.

ინტერვიუს გზამკვლევის გამოყენება

თვისებრივი გამოკითხვა შეიძლება წინასწარ დაგეგმილი და უფრო სტრუქტურირებული იყოს, ვიდრე წინა შემთხვევაში. სტრუქტურირებას ძალუძს ინტერვიუერის ტენდენციურობასა და სხვადასხვა ინტერვიუერის მიერ განხორციელებულ ინტერვიუებს შორის განსხვავებების შემცირება. მეტად სტრუქტურირება მკვლევარს მონაცემების ორგანიზებასა და ანალიზსაც უადვილებს. თუმცა ის გარემოს ბუნებრიობას და ინტერვიუს საუბრის ფორმატში წარმართვას ართულებს, ასევე ინტერვიუერს უფრო მოქნილ მრეაგირებლად აქცევს მოულოდნელი პასუხების ან სიტუაციის შემთხვევაში. სტრუქტურირებამ მოქნილობა რომ არ დაგვაკარგვინოს, პატონი გვთავაზობს (1990) გამოვიყენოთ ინტერვიუს გზამკვლევის სტრატეგია. ის შეიცავს ინტერვიუს კითხვებს, მაგრამ იმგვარად, რომ გვიტოვებს ოსტატურად მანევრირების საშუალებას, სიტყვები და თანმიმდევრობა სიტუაციის მიხედვით ცვცვალთ თითოეულ რესპონდენტთან. წარმოიდგინეთ, რომ სოციალურ მუშაკებთან გაქვთ ინტერვიუ განგრძობითი განათლების პროგრამის ეფექტიანობაზე მათი პროფესიული უნარ-ჩვევების გაძლიერებისათვის. ვთქვათ, პროგრამა სკოლებში აღდგენითი პროცესების დანერგვაზეა. ახლა, მართლაც, ამ საკითხზე ვმუშაობთ საგანმანათლებლო სივრცეში მომუშავე სოციალური მუშაკების გაძლიერებისათვის.

შედარებით მოკლე გზამკვლევი, დაახლოებით, ამ ტიპის და ოდენობის კითხვებს უნდა მოიცავდეს:

1. რა სახის აღდგენით მიდგომებს გაეცანით?
2. გამოგადგებათ ნასწავლი სასკოლო სოციალური მუშაობის განხორციელებისას?
3. ტრენინგის შედეგად აღდგენითი პროცესების რომელ ასპექტში გრძნობთ თავს უფრო დამაჯერებლად?
4. ტრენინგმა თქვენი პროფესიული კონცენტრაცია ხომ არ შეცვალა? როგორ?
5. რა მოგეწონათ და რა არ მოგეწონათ ტრენინგის შიგთავსში?
6. რომელიმე საკითხზე დამატებით ტრენინგს ხომ არ ისურვებდით? რომელზე?
7. პროცესის წარმართვას როგორ გეგმავთ?

ინტერვიუერი კარგად უნდა იცნობდეს თემას, უნდა ესმოდეს, როდის გაჰყვეს და როდის გააჩეროს რესპონდენტი იმის მიხედვით, რამდენად მნიშვნელოვანია ან შეიძლება თუ არა აღმოჩნდეს მნიშვნელოვანი „გადახვევები“ საკვლევი თემისთვის.

სტანდარტიზებული ღია ინტერვიუ

ეს სტრატეგია ც შეიძლება დაგვჭირდეს, როდესაც ლიმიტირებული რესურსები დროშიც გვზღუდავს, რომ განვახორციელოთ ნაკლებ სტრუქტურირებული სტრატეგია მრავლობით რესპონდენტთან; ან როდესაც გამოკითხვას ვაწარმოებთ პერიოდულად ბევრთან და გვსურს, შევამციროთ შანსები, რათა ცვლილებები რესპონდენტის ცხოვრებაში არ გამოაშკარავდეს მხოლოდ იმიტომ, რომ ინტერვიუების ფორმატი შეიცვალა. სიტყვების წყობასა და თანმიმდევრობას დიდი ყურადღება ექცევა, ამიტომ დაზუსტებებისგანაც კი უნდა შევიკავოთ თავი ამ შემთხვევაში, თუ ძალიან გამოცდილი ინტერვიუერი არ ვართ.

თუ ამ მიდგომით ჩავატარებთ ინტერვიუს წინა თავში განხილულ თემაზე (საგანმანათლებლო სისტემის სოციალურ მუშაკებთან განგრძობითი განათლების პროგრამის ეფექტიანობაზე, რომელიც სკოლებში აღდგენითი პროცესების დაწერგვას ეხება), ინტერვიუ აი ასეთ სახეს მიიღებს:

1. შეგიძლიათ, მიაბოთ, რამ განაპირობა თქვენი არჩევანი, საგანმანათლებლო სისტემაში დაგენწყოთ მუშაობა?
2. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე ვინმეს ესაუბრეთ? რა რჩევა მიიღეთ?
3. როგორი იყო თქვენი მოლოდინი ამ სისტემაში მუშაობისადმი?
4. როგორი იყო თქვენი ცოდნა აღდგენითი პროცესების შესახებ სკოლაში?
5. როგორი იყოს თქვენი მოლოდინი აღდგენითი პროცესების შესახებ სკოლაში? ტრენინგმა რამდენად გაამართლა ეს მოლოდინი?
6. რამდენად შეიცვალა თქვენი პროფესიული კონცენტრაცია? რა მხრივ?
7. თუ შეიძლება, გაგვიზიარეთ ტრენინგის თქვენთვის ყველაზე საინტერესო თემა და/ან მიდგომა?
8. აღდგენითი პროცესის რომელ მიდგომას ანიჭებთ უპირატესობას? რა არის ამის მიზეზი?
9. როგორ გამოვიყენებთ შეძენილ ცოდნას სკოლაში?
10. თქვენი აზრით, ამ მიდგომებიდან თქვენს სკოლაში რომლის დანერგვა მოხერხდება?
11. რაიმე ხელშემშლელ ფაქტორებს ხედავთ დასწავლილი მიდგომებიდან/ტექნიკებიდან რომელიმეს განხორციელებისათვის სკოლაში? გაგვიზიარეთ რომელს.
12. თქვენი აზრით, ხელშემშლელი ფაქტორების ალაგმვაში ვინ შეიძლება დაეხმაროს პროცესს?
13. რამდენად საკმარისი იყო ხუთი დღე ტრენინგისთვის ამ თემაზე? ხომ არ არის სასურველი დამატებითი დღეები ზოგიერთი ამ თემის კიდევ უფრო ღრმად განხილვისათვის? თუ შეიძლება, დაგვისახელეთ ეს თემა/თემები.

14. რამდენად საჭიროა, რომ ამ ტრენინგს დაესწროს მონაწილე, რომელსაც გარკვეული თეორიული ცოდნა აქვს ამ საკითხებზე? კონკრეტულად რომელი საკითხის გააზრებაა რთული თეორიული ცოდნის გარეშე?
15. თავს როგორ გრძნობთ ამ პროცესის დაწყებისას? როგორ ფიქრობთ, როგორ განვითარდება პროცესი შუა ეტაპზე? ბოლო ეტაპზე?
16. პროცესის დასასრულს რა შედეგს ელოდებით? რამდენ ხანში?

ცხოვრების ისტორია

კიდევ ერთი გავრცელებული მეთოდი თვისებრივ კვლევაში, რომელსაც სოციალური მუშაკები საკმაოდ ხშირად იყენებენ, არის *ცხოვრების ისტორია*, მას სხვაგვარად ცხოვრების ამბავს ან *ზეპირი ისტორიის ინტერვიუს* უწოდებენ. ამ მეთოდის გამოყენებისას მკვლევარი ღია კითხვებს იყენებს, ინტერვიუ არასტრუქტურირებულია. ცხოვრების ისტორია ადამიანის ცხოვრების იდეოგრაფიულ შესწავლას გულისხმობს. ის შემთხვევის შესწავლის პარადიგმაში უნდა მოვიზიაროთ, ის ნატურალისტურ ტრადიციასაც მიეკუთვნება, რადგან მისი ძირითადი ამოცანაა, გაიგოს კონკრეტულ მოვლენებზე ადამიანის სუბიექტური დამოკიდებულება, თუნდაც მისივე ვერსიას აკლდეს ობიექტურობა. საილუსტრაციოდ განვიხილოთ რობინსონის (Robinson, 1994 in Rubin&Babbie, 2011) ნაშრომი სოციალურ კეთილდღეობაში. ის შეეცადა დელინკვენტური ქცევის გოგონების იმ ცხოვრებისეული მოვლენების შესწავლას, რომელთა მიზეზითაც ისინი სოციალურ მომსახურებებში გადამისამართდნენ. მან 30 გოგონა შემთხვევითი (იგივე ალბათური) შერჩევით შეარჩია იმ დაშვებით, რომ მათ ცხოვრებაში იქნებოდა სექსუალური ძალადობის ეპიზოდები და სწორედ ძალადობა იქნებოდა მათი სოციალურ მომსახურებებში აღმოჩენის მიზეზი. რობინსონი, რასაკვირველია, გოგონების მონათხრობს ეყრდნობოდა. იგი ინტერვიუს, მაგ., ასეთი ღია კითხვებით იწყებდა: „ოჯახზე მიაბობ?“ (Robinson, 1994:81 in Rubin&Babbie, 2011:487). მკვლევარი საუბრის მიღმა აკვირდებოდა მათ გამომეტყველებას, სხეულის ენას. მკვლევარმა მალევე იგრძნო, როდის მიადგნენ გოგონებისათვის სენსიტიურ ისტორიას – რაც მათ უძნელებდა საუბარს. მათ მკვლევარს თავიანთი ცხოვრების ძალიან მტკივნეული ეპიზოდები გაანდეს, როგორებიცაა: დისფუნქციურ ოჯახებში ცხოვრება, ღალატი, აბორტები, ნაყოფის დაკარგვა, თვითმკვლელობის მცდელობები და ა.შ. მკვლევარი სექსუალური ძალადობის ეპიზოდების აღმოჩენაზე იყო ორიენტირებული და ასეც მოხდა. 30 გოგონადან 23 სექსუალური ძალადობის მსხვერპლი აღმოჩნდა. 10 გოგონაზე ძალადობდა არაერთი ადამიანი. რობინსონმა დაასკვნა, რომ სასჯელალსრულებისა და სოციალურმა სისტემებმა გოგონები უნდა განიხილოს არა როგორც დამნაშავენი, არამედ როგორც საშინელი ისტორიების მსხვერპლნი, რომლებსაც სასწრაფოდ სჭირდებოდათ სარეაბილიტაციო მომსახურებები.

ფემინისტური მეთოდები

ფემინისტური კვლევა ქალთა გამოცდილებას იკვლევს, რომელიც ხშირად მათი ცხოვრების ძალიან პირად და პერსონალურ ასპექტებს მოიცავს. ამიტომ ისეთი მეთოდებით უნდა განხორციელდეს კვლევა, რომლებიც მგრძობიარესთან ერთად ძლიერიც იქნება. სწორედ ამიტომ უფრო ხშირად ფემინისტური კვლევა თვისებრივი. ქალები, მოგეხსენებათ, სოციალურ მუშაკთა საქმეების უმრავლესობას წარმოადგენენ (Orme, 1997) და მათი ცხოვრების შესწავლის სფეროებზე „სოციალურმუშაკურია“, რადგან ისინი ხშირად სიღარიბეს, უსამართლობას, უთანასწორობას, მშობლობას, ზრუნვას, ოჯახურ ძალადობას ეხება. სწორედ ამიტომ ფემინისტური კვლევა „სოციალურმუშაკური“. ფემინისტურ კვლევას, განსაკუთრებით, სოციალური მუშაობაში, ახასიათებს ცვლილების ამბიციაცია და არა მხოლოდ შესწავლისა (Stanley, 1990).

ფემინისტური თეორია არა მხოლოდ ქალებისთვისაა აქტუალური, არამედ მთელი საზოგადოებისათვის. კვლევის ფოკუსში არა მხოლოდ ქალები უნდა იყვნენ, არამედ მამაკაცებიც. ეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სოციალური მუშაობის კვლევაში, რადგან სწორედ მამაკაცთა ქცევა ახდენს განსაკუთრებულ ზეგავლენას სოციალური მუშაობის პრაქტიკაზე, როგორც ეს ბავშვთა დაცვის სფეროს კვლევებმა გამოავლინა (Featherstone&Lancaster, 1997; Scourfield, 2002 in Orme, 2010). ამასთან ფემინისტური მიდგომა ეხმიანება სოციალური მუშაობის ფასეულობებსა და პრაქტიკას. ამიტომაც ფემინისტური მიდგომა განსაკუთრებით რელევანტურია კვლევაზე დაფუძნებული სოციალური მუშაობის პრაქტიკის განვითარებისათვის.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქალებს თავიანთი შეხედულებების, შეგრძნებებისა და დამოკიდებულებების თავისუფლად გამოთქმა შეეძლოს, თუნდაც ისინი სრულიად განსხვავებულნი იყვნენ დანარჩენი საზოგადოებისაგან.

ფოკუსჯგუფი

ფოკუსჯგუფი, რომელსაც რუბინი და ბაბი (2011) სხვაგვარად *ჯგუფურ ინტერვიუს*, ქართულ წყაროებში კი *ჯგუფურ დისკუსიას* უწოდებენ, ადამიანების გამოკითხვას მკვლევრის სივრცეში ახორციელებს. ჯგუფი, ავტორთა აზრით, 5-15 ადამიანისაგან უნდა შედგებოდეს, თუმცა ქართველ მკვლევრებს მაქსიმალურ რაოდენობად 10 მიაჩნიათ (ზურაბიშვილი, 2006). მონაწილეები არაალბათური შერჩევით შეირჩევიან, მათი ამ საკითხისადმი შესაფერისობის ნიშნით.

თქვენ, დიდი ალბათობით, სოციალური მუშაობის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი ხართ. წარმოიდგინეთ, გეკითხებიან, რამდენად კმაყოფილი ხართ პროგრამით და როგორ შეიძლება მისი დახვეწა. წარმოიდგინეთ, რომ სტრუქტურირებულ ინტერვიუზე ხართ ან სტრუქტურირებულ კითხვარს ავსებთ დახურული კითხვებით, თქვენი კმაყოფილების ხარისხის განსაზღვრისათვის. ნაცვლად ერთი-ორი არჩევითი კურსის იდენტიფიცირებისა, რომელსაც ერთი ან ორი

თქვენგანი დაასახელებდა, კითხვარში ფოკუსჯგუფის დისკუსიას შეუძლია მეტი ახალი არჩევითი კურსისა და იმის დემონსტრირებაც, თუ რომელი გამოიწვევს მეტ მონონებას მონაწილეთა შორის.

თუმცა ფოკუსჯგუფს აქვს სუსტი მხარეებიც. პირველი არის **წარმომადგენლობითობა**. ფოკუსჯგუფის მონაწილეობაზე სურვილს ხშირად ის ადამიანები გამოთქვამენ, რომლებიც კონკრეტული პროგრამით კმაყოფილნი არიან. თავად ფაქტი, რომ შეძლით მათი მონვევა, ზოგჯერ პირდაპირ უდრის იმას, რომ მათთან კოლეგა სოციალურმა მუშაკმა ან სოციალური მომსახურების პროგრამის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა დაგაკავშირეს, რაც ავტომატურად გაფიქრებინებთ იმას, რომ ისინი სისტემისთვის „სასურველი“ და მომსახურებით „კმაყოფილი“ კლიენტები არიან. ეს ასეა, განსაკუთრებით, საქართველოში, რადგან ეს ველი, პრაქტიკულად, ხელმიუწვდომელია მკვლევრისათვის. სოციალური მომსახურების მიმღებთა შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია და სოციალური მუშაკი იქნება ეს, მკვლევარი თუ სტუდენტი, სადიპლომო ან სემესტრული ნაშრომით, ამ კლიენტებს ვერ მისწვდება დამოუკიდებლად. ის კი არა, არც უმაღლეს სასწავლებლებსა და კვლევით ცენტრებს აქვთ მათდამი წვდომა.

კიდევ ერთი საკითხია ჯგუფის დინამიკის ზეგავლენა მონაწილეზე. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფის დინამიკას შეუძლია უფრო მსუყე ინფორმაციის წამოწევა, რომელიც კითხვარში შეიძლება არც გამოიყვანებულყო, რომ შესაძლოა ადამიანებმა თქვან ისეთი რამ, რაც მათ რეალურ გრძნობებსა და შეხედულებებს არ გამოხატავს. მონაწილეები, რომლებიც მომსახურებით და/ან პროგრამით უკმაყოფილონი არიან, ამის გამოსახატავად თავს უფრო კომფორტულად გრძნობენ, თუ ამაზე საუბარს ვილაც სხვა იწყებს. ამ დროს შესაძლოა, უკმაყოფილო მონაწილე შეზღუდოს პოზიციის დაფიქსირებაში იმან, რომ პირველი მონაწილე დიდ კმაყოფილებას გამოხატავს ამ მომსახურებით და/ან პროგრამით. ან პირიქით, კმაყოფილი მონაწილეები შეიზღუდონ პოზიციონირებით, თუ პირველი მონაწილე დიდ უკმაყოფილებას გამოხატავს. ამიტომ მოდერატორი ჯგუფის დინამიკის მართვაში გამოცდილი უნდა იყოს. დომინანტ წევრებს საუბრის მიმართულების მათი შეხედულებისამებრ მართვა შეუძლიათ. ზოგჯერ ისე ხდება, რომ საუბრის თემაც კი იცვლება. ასე რომ, ეს დიდი გამოწვევაა მოდერატორისათვის, სოციალურ მუშაობაში განსაკუთრებით, რადგან, ძირითადად, საუბარი მგრძნობიარე თემებზეა და მონაწილეებიც, მათი სოციალური სტატუსიდან და/ან მიღებული მომსახურებების ბუნებიდან გამომდინარე, სოციალურად არცთუ ისე სასურველ მდგომარეობაში არიან.

მოდერატორი განსაკუთრებით სენსიტიური უნდა იყოს, რომ არ გადაამლავოს ჯგუფის მართვის სტილში და ძალიან ხისტად არ შეეცადოს სამიზნე თემასთან დაბრუნებას. ვის, თუ არა სოციალურ მუშაკს, ესმის, რომ ზოგჯერ ფოკუსჯგუფია ის ერთადერთი სივრცე, სადაც მონაწილეები იკრიბებიან და საკუთარი მოსაზრებების გამოხატვისა და „ბოლის გამოშვების“ საშუალება ეძლევათ. ისეთი შემთხვევების მომსწრენიც ვართ, რომ ჯგუფის წევრები თავად მონაწილეობის

ფაქტით, იმით, რომ მათ ვილაც რაღაცას ეკითხება, იმდენად არიან კმაყოფილნი, რომ სურვილი უჩნდებათ, მადლიერება მხოლოდ ამის გამო გამოხატონ და უკმაყოფილების გამომჟღავნება ეუხერხულოთ თუნდაც სულ სხვა სოციალური პროგრამის/მომსახურების მიმართ, რომელთანაც მოდერატორს არანაირი კავშირი არ აქვს. ეს მათ პროცესებში მონაწილეობის უფლებას უცხოველებს და აქაც არ უნდა იგრძნონ დისკრიმინირებულად თავი (რადგან დიდი შანსია, ყველგან სხვაგან თავს ასე გრძნობდნენ). ამიტომ მნიშვნელოვანია, მათ თავიდანვე გარკვევით აუუხსნათ, რა არის კვლევის მიზანი და როგორაა დაკავშირებული მოდერატორი ან ორგანიზაცია, რომლის ფარგლებშიც კვლევა ხორციელდება, მათ მიერ მიღებულ მომსახურებასთან.

კიდევ ერთი გამოწვევაა ფოკუსჯგუფის მონაცემების დამუშავება, რადგან ის მოცულობითია და თან არ არის ისე სტრუქტურირებული, როგორც გამოკითხვის სხვა მეთოდების გამოყენებისას მიღებული მონაცემები. სწორედ ამიტომ მიმართავენ მეთოდების შერევის ტექნიკას მკვლევრები თვისებრივი კვლევისას (კვლევის შერეულ მეთოდებზე მომდევნო თავში ვისაუბრებთ). მორგანის (1993 in Rubin@Babbies, 2011.) აზრით, ფოკუსჯგუფი საუკეთესო საშუალებაა კითხვარისთვის კითხვების წარმოქმნისთვის.

ფოკუსჯგუფის შემთხვევაში, გამოწვევად თვლიან ხოლმე გენერალიზაციის გაუმართლებლობას, თუმცა ის აზრიც მომნიშვნელოვანია, რომ ეს აუცილებლად ასე არ არის. თუ ჩატარებული ფოკუსჯგუფების რაოდენობა, მით უფრო თუ ის წარმომადგენლობითია, განზოგადების საშუალებას გვაძლევს, ამ გამოწვევის დაძლევაც შეიძლება.

სოციალური მუშაობის ფოკუსჯგუფისა და ფემინისტური მეთოდების კომბინაციით განხორციელებული ერთ-ერთი ტიპური კვლევა ჩატარდა ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ქალთა გამოცდილების შესწავლისთვის იაპონიაში. კვლევას მონაწილეობითი ქმედითი კვლევის მეთოდმა საშუალება მისცა, მონაწილე ქალებს გადაეღებინათ სირცხვილისა და უხერხულობის გრძნობა თავიანთი მდგომარეობის გამო. მათ, გარდა იმისა, რომ ჩამოიყალიბეს თავიანთი პრობლემის შესახებ საერთო ხედვა, მიიღეს ინფორმაცია საკუთარი უფლებებისა და არსებული მომსახურებების შესახებ და, რაც ყველაზე მთავარია, შექმნეს მხარდამჭერთა ჯგუფი (Yoshihama, 2002 in Rubin&Babbies, 2011). როგორც ხედავთ, კვლევამ არა მხოლოდ შესწავლის, არამედ ძალაუფლებით აღჭურვის მიზნის განხორციელებაც შეძლო.

VIII. თვისებრივი კვლევის შეფასების სტანდარტები

მიუხედავად იმისა, სხვადასხვა ეპისტემოლოგიური ხედვის მქონე მეცნიერები ერთხმად აღიარებენ, რომ კვლევის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზომი მისი სანდოობაა, არც იმას უარყოფენ, რომ მასზე გავლენას ახდენს ეპისტემოლოგიური საფუძველი, რომელზეც ეს კვლევა აღმოცენდა. მაგალითად, პოსტმოდერნისტული ან სოციალური კონსტრუქტივიზმის პარადიგმიდან სანდო-

ობა იქნებოდა მთავარი კრიტერიუმი, მაგრამ თანამედროვე პოზიტივისტებისაგან განსხვავებით, არ შემოიფარგლებოდნენ ობიექტური რეალობის ცნებით. ხოლო მათთვის, ვინც კვლევას კრიტიკული სოციალური მეცნიერების ან მონაწილეობითი ქმედითი კვლევის პრიზმიდან აფასებს, დამატებითი და უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი იქნებოდა კვლევის შედეგად ადამიანთა ძალაუფლებით აღჭურვის საკითხი.

კვლევის შეფასების თანამედროვე პოზიტივისტური სტანდარტი

პოზიტივისტი ქცევას მიზეზისა და შედეგის ურთიერთმიმართებით ხსნის და ქვეყნარტებას წინა ცოდნაზე დაშენებით ადგენს. კვლევის დიზაინი მაქსიმალურად კონტროლირებულად და ობიექტურობის სტანდარტის დაცვით უნდა განხორციელდეს, რათა მკვლევარს რაც შეიძლება ნაკლები ზეგავლენა ჰქონდეს კვლევის პროცესზე.

თანამედროვე პოზიტივისტური სტანდარტით სანდოობა არის უმთავრესი კრიტერიუმი თვისებრივი კვლევის შეფასებისას. პაჯეტიმა (1998 in Rubin&Babbie, 2011) თავის ნაშრომში – „სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდები“ – ხაზი გაუსვა სამ საფრთხეს სანდოობისათვის: რეაქტიულობა, კვლევის შეზღუდვები და რესპონდენტის შეზღუდვები.

რეაქტიულობა მაშინაა, როდესაც მკვლევრის ველზე ყოფნა არღვევს გარემოს ნატურალობას, შესაბამისად, იმასაც, რასაც აკვირდება. თავად მკვლევრის გავლენებმა და შეზღუდვებმა შეიძლება დააზარალოს პროცესი, მისი არჩევანის გამო: რა გარემოს აირჩევს დაკვირვებისათვის და როგორ აღიქვამს, რასაც აკვირდება. რესპონდენტის გავლენები მას სოციალურად მიმღებლობისაკენ უბიძგებს.

ამ საფრთხეების მაქსიმალურად შემცირებისათვის პაჯეტი გვაცნობს ექვს სტრატეგიას, რომლებიც უნდა გამოვიყენოთ თვისებრივი კვლევის ხარისხის უზრუნველსაყოფად. თუმცა ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა სტრატეგია ყველა კვლევისათვის არ არის შესაბამისი. შესაბამისობა თავად მკვლევარმა უნდა განსაზღვროს (Rubin&Babbie, 2011).

ავტორი პირველ სტრატეგიას *გახანგრძლივებულ ჩართულობას* უწოდებს. ის გამოიყენება რეაქტიულობისა და რესპონდენტის ტენდენციურობის ზეგავლენის შესამცირებლად. მისი აზრით, ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა რესპონდენტს ინფორმაციის დამახინჯებისა და დამალვის ნაკლებ შანსს უტოვებს. ერთი და იმავე მკვლევრის მიერ ჩატარებული ხანგრძლივი ინტერვიუები აადვილებს ხარვეზის აღმოჩენას ან რესპონდენტისთვის სოციალურად არასასურველი სიმართლის გამჟღავნებას. თუმცა ურთიერთობის ინტენსივობას თავისი მინუსიც აქვს. შესაძლოა, ამან მკვლევარს ობიექტურობა დააკარგვინოს, ის იდენტიფიცირდეს რესპონდენტთან და საკუთარი იდენტობის განცდისაგან განიძარცვოს. ამ ფენომენს გულუბრყვილობას ვუწოდებთ სხვაგვარად;

მეორე სტრატეგიად ავტორი *ტრიანგულაციას* ასახელებს. ეს უკანასკნელი გამოიყენება მონაცემთა ორი ან მეტი წყაროს გადამოწმების, დაზუსტებისა და

ინტერპრეტაციისათვის. ის ხუთი ტიპის ტრიანგულაციაზე საუბრობს თვისებრივ კვლევაში:

1. მონაცემები გაანალიზებულია კოლეგების მიერ, რომლებსაც განსხვავებული თეორიული ორიენტაცია აქვთ;
2. ერთზე მეტი თვისებრივი მეთოდი გამოყენებული (შესაძლოა, რაოდენობრივი მეთოდიც) მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისათვის;
3. რამდენიმე დამკვირვებელი აგროვებს მონაცემებს და რამდენიმე ახდენს კოდირებას ამ მონაცემების კლასიფიცირებისათვის;
4. მონაცემთა შეგროვების ერთზე მეტი მეთოდი გამოყენებული (მაგ., უშუალო დაკვირვება, ინტერვიუ, ჩანაწერები);
5. ინტერდისციპლინური ტრიანგულაცია, როდესაც მკვლევრები სხვადასხვა სფეროდან თანამშრომლობენ.

ავტორი გვაფრთხილებს, რომ ზემოთხსენებული არ გამოვიჩინოთ ტრიანგულირებულ მონაცემებს შორის განსხვავებაზე. მისი აზრით, ეს განსხვავება ხშირად, უბრალოდ, ამ მოვლენაზე სხვადასხვა შეხედულების დემონსტრირებაა, დაახლოებით ისე, როგორც განსხვავდება ხოლმე ორი კონფლიქტური მხარის მიერ მონათხრობი ამა თუ იმ პრობლემაზე;

მესამე სტრატეგია, გარკვეულწილად, მოიცავს ტრიანგულაციას. მას *თანასწორთა ბრიფინგი* და *მხარდაჭერა* ჰქვია. ამ დროს მკვლევართა ჯგუფები სისტემატურად იკრიბებიან ურთიერთგაზიარებისათვის, რაც მათ ეხმარება ტენდენციურობის, მონაცემების შეგროვებასა და ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული პრობლემების კორექტირებაში;

მეოთხე სტრატეგიაა *უარყოფითი შემთხვევის ანალიზი*, როდესაც მკვლევარი ეძიებს დევიანტურ (იმავე ექსტრემალურ) შემთხვევას, რომელიც სრულიად განსხვავდება მკვლევრის ინტერპრეტაციისაგან;

მეხუთე კი ნევრების მიერ *მონაცემთა გადამოწმებაა*, როდესაც მკვლევარი კვლევის მონაწილეებს სთხოვს მონაცემთა ინტერპრეტირების დადასტურებას, ან პირიქით, მკვლევარი რწმუნდება, რომ მონაცემების ინტერპრეტაცია არ არის აზრს მოკლებული მონაწილეთათვის;

მეექვსე და ბოლო კი არის *აუდიტი*, როდესაც მკვლევარი კვლევის მთელ დოკუმენტაციას შესაფასებლად გადასცემს კოლეგას, რომელიც არ ყოფილა ჩართული კვლევაში. ის წინა სტრატეგიების შედეგებსაც ეცნობა და აფასებს მათი შესრულების ხარისხსაც.

კვლევის შეფასების სოციალურ-კონსტრუქტივისტული სტანდარტი

სოციალური კონსტრუქტივიზმი ასევე აფასებს სანდოობას თვისებრივ კვლევაში, თუმცა ორიენტირებულია სოციალური რეალობის მრავლობითი სუბიექტური ინტერპრეტაციის შეჯამებაზე, ნაცვლად ერთი ობიექტურისა. მაგალითად, რესპონდენტის ტენდენციურობის მინიმიზებას ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება, უფრო მნიშვნელოვანია მრავალი სუბიექტური რეალობის გამოვლენა, რაც შეიძ-

ლება ადეკვატურად. ამიტომ, მაგალითად, წევრთა მიერ გადამონმებაში (რაც ზევით კვლევის შეფასების თანამედროვე პოზიტივისტურ სტრატეგიად ვახსენეთ) ნაკლებმნიშვნელოვანია, რამდენად ობიექტურად და აკურატულად აისახა მონაცემები და უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს, რამდენად მათი ხედვის შესაბამისად აისახა რესპონდენტების სუბიექტური რეალობა (Rubin&Babbie, 2011).

მეორე კრიტერიუმია, რამდენად იძლევა კვლევის ანგარიში საკმარის დეტალებს კვლევის კონტექსტსა და მონაწილეებზე, რომ მკითხველმა განსაჯოს, შეესაბამება თუ არა მიგნებები იმ კონტექსტსა და სიტუაციას, რომლებიც მათ აინტერესებთ. გუბა (1981) ამას ტრანსფერირების კრიტერიუმს უწოდებს. ლინკოლნი-სა და გუბას (1985) აზრით, ეს კრიტერიუმი განსხვავდება გარეგანი ვალიდობისა და განზოგადებისუნარიანობის კრიტერიუმისაგან, რადგან თვისებრივ კვლევაში მკვლევარს არ აწევს პასუხისმგებლობა, რომ მის კვლევას აქვს გარეგანი ვალიდობა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მიგნებების განზოგადებისუნარიანობა. პირიქით, აქ კვლევის მომხმარებელმა უნდა გადანყვიტოს, შეესაბამება თუ არა კვლევის მონაცემები იმ მოსახლეობასა და კონტექსტს, რომლებსაც აღწერს და ეხება. ეს კი მკვლევარს აკისრებს ვალდებულებას, რაც შეიძლება დეტალურად აღწეროს მონაწილეები და გარემო, რომელშიც კვლევა განხორციელდა.

კონსტრუქტივისტული მიდგომა იყენებს ტრიანგულაციას, თუმცა ოდნავ განსხვავებულად. თუ თანამედროვე პოზიტივისტური მიდგომით შეუსაბამობები მონაცემთა სანდოობის დეფიციტად მიიჩნევა, კონსტრუქტივისტული მიდგომით, მრავალრეალობიანი ასახვის შედეგად ჩაითვლება. პოზიტივისტები მკვლევრის ტენდენციურობას უწოდებენ, თუ ორი სხვადასხვა მკვლევარი მონაცემების ურთიერთსაინანაღმდეგო ინტერპრეტაციას წარმოადგენს, მაშინ, როცა კონსტრუქტივისტები ამას სხვადასხვა რეალობის შესაძლო ასახვად ჩათვლიან (Rubin&Babbie, 2011).

კვლევის შეფასების ძალაუფლებით აღჭურვის სტანდარტი

კრიტიკული სოციალური მეცნიერები ან თვისებრივი კვლევის მკვლევრები, რომლებიც მონაწილეობითი ქმედითი კვლევის მიდგომას იყენებენ, ზემოთ ჩამოთვლილ შვიდ სტანდარტს დაამატებდნენ ძალაუფლებით აღჭურვის სტანდარტს. როდველი (Rodwell, 1998 in Rubin&Babbie. 2011) ამას კატალიტურ ავთენტიკურობასა და ტაქტიკურ ავთენტიკურობას უწოდებს. მისი პარადიგმის მიხედვით, რომელშიც კონსტრუქტივიზმი შერწყმულია ძალაუფლებით აღჭურვასთან, ახალი ცოდნის წარმოება არ არის აქტუალური კონსტრუქტივისტული კვლევისათვის. კვლევამ უნდა გამოიწვიოს ქმედება მონაწილეთა მიერ სასურველი ცვლილების მიღწევისა და ძალაუფლების რედისტრიბუციისათვის. ის თავადვე ამატებს, რომ, მიუხედავად იმისა, თითქმის შეუძლებელია დამტკიცება, ცვლილება კვლევამ გამოიწვია თუ არა, აუცილებელია, ანგარიში წარმოადგენდეს, რამდენად ტრანსფორმირდება მონაწილეთა შეხედულებები ცვლილების საჭიროების შესახებ და რამდენად გაიზარდა მათი ოპტიმიზმი ცვლილების შესაძლებლობისადმი.

IX. თავის შეჯამება

თვისებრივი კვლევა მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენისთვის ძლიერ ინსტრუმენტად მიიჩნევა. მას შეუძლია ფაქტებისა და მოვლენების ღრმა ანალიზი. ამასთან, მას ამ მოვლენებისა და ფაქტების ბუნებრივ სიტუაციაში შესწავლის საშუალებაც აქვს, ნაცვლად მათი პოსტ ფაქტუმ გაშიფვრისა (Rubin&Babbie, 2011). სოციალურ მუშაობაში თვისებრივი კვლევა ხასიათდება: განსაკუთრებული მგრძობელობით ეთიკური და მართვითი საკითხებისადმი; საკუთარი და სხვათა როლის ნათლად გააზრებით კვლევის პროცესში; სოციალური და პოლიტიკური კონტექსტების ზედმინვენით კარგად ცოდნით; ემანსიპატორული კვლევის ჩატარების ცოდნით; და მონაწილეობითი მიდგომის გამოყენებით. ბოლო ორი მახასიათებელი სოციალური მუშაობის კვლევის განსაკუთრებული შტრიხია. (Shaw, 2007 სასწავლო კურსის მასალიდან: სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდები).

თვისებრივი მეთოდი სოციალურ მუშაობაში მიზნად ისახავს კონკრეტული ადამიანური გამოცდილების წვდომას არა მხოლოდ მონაცემთა შეგროვებით, არამედ თეორიის ფორმირებით. თვისებრივი მეთოდის მკვლევრები იშვიათად თუ იწყებენ კვლევას მყარად ჩამოყალიბებული ჰიპოთეზის დატესტვით (Rubin&Babbie, 2011:456).

თვისებრივი კვლევის კატეგორიას მიეკუთვნება: დაფუძნებული თეორია, ეთნოგრაფიული მიდგომა, ისტორიული ანალიზის მეთოდი, ფენომენოლოგიური მიდგომა, კონსტრუქტივისტული მიდგომა, ინტერპრეტაციული მიდგომა და ქმედითი კვლევა. თვისებრივი კვლევის მრავალ მიდგომათა, მეთოდთა და ინსტრუმენტთა შორის წინამდებარე თავში განხილულია სოციალურ მუშაობაში ყველაზე ხშირად გამოყენებული თვისებრივი კვლევის პარადიგმები: ნატურალისტური, დაფუძნებული თეორია, მონაწილეობითი ქმედითი კვლევა და შემთხვევის შესწავლა. ამ პარადიგმათა შორის არცერთი არ ითხოვს უცილობლად კონკრეტულ მეთოდს (Rubin&Babbie, 2011).

რაც შეეხება მეთოდებს, თვისებრივი კვლევისთვის სოციალურ მუშაობაში უფრო დამახასიათებელია ინტერვიუების, ცხოვრების ისტორიის, ფოკუსჯგუფის, ფემინისტური მეთოდი. უფრო ხშირად გამოიყენება არაალბათური შერჩევა, თუმცა ალბათური შერჩევის მეთოდსაც მიმართავენ მკვლევარი სოციალური მუშაკები. სამი ყველაზე მეტად შესაფერისი, არაალბათური შერჩევის მეთოდად ავტორები ასახელებენ: კვოტურ შერჩევას, თოვლის გუნდის მეთოდით შერჩევასა და დევიანტურ შემთხვევას (Rubin&Babbie, 2011).

თვისებრივი კვლევის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საზომად მეცნიერები სანდოობას მიიჩნევენ, მაგრამ იმასაც აღიარებენ, რომ მასზე გავლენას ახდენს კვლევის ეპისტემოლოგიური საფუძველი. მაგალითად, თუ, პოსტმოდერნისტული ან სოციალური კონსტრუქტივიზმის პარადიგმიდან გამომდინარე, სანდოობაა მთავარი კრიტერიუმი, კრიტიკული სოციალური მეცნიერების ან მონაწილეობითი ქმედითი კვლევის პრიზმაში კვლევის შედეგად ადამიანთა ძალაუფლებით აღჭურვის საკითხიც ასეთივე მნიშვნელოვანია.

თავში წარმოდგენილია საფრთხეები სანდოობისათვის და მათი შემცირების სტრატეგიები. საფრთხეებად დასახელებულია: რეაქტიულობა, კვლევისა და რესპონდენტის შეზღუდვები, ხოლო გადაჭრის ექვს სტრატეგიად დასახელებულია: გახანგრძლივებული ჩართულობა, ტრიანგულაცია, თანასწორთა ბრიფინგი, უარყოფითი შემთხვევის ანალიზი, წევრების მიერ მონაცემთა გადამონმება და აუდიტი (Rubin&Babbie, 2011).

თავში ხაზგასმულია, რომ კვლევამ სოციალურ მუშაობაში უნდა გამოიწვიოს ქმედება მონაწილეთა მიერ, სასურველი ცვლილების მიღწევისა და ძალაუფლების რედისტრიბუციისათვის. მართალია, რთულია იმის დამტკიცება, ცვლილება კვლევამ გამოიწვია თუ არა, მაგრამ აუცილებელია, ანგარიში წარმოადგენდეს, რამდენად შეიცვალა მონაწილეთა დამოკიდებულება ცვლილების საჭიროებაზე, შეიცვალა თუ არა მათი შეხედულებები ცვლილების შანსის შესახებ.

X. ძირითადი კითხვები/კითხვები რეფლექსიისთვის

1. თავშეყრის ადგილებში გაგონილ პოლიტიკურ პრეფერენციებს მთელი ელექტორატის საარჩევნო ქცევის წინასწარ განსაზღვრა ძალუძს?
2. რა მახასიათებლებით გამოირჩევა კვლევა სოციალურ მუშაობაში?
3. თვისებრივი კვლევის რომელ პარადიგმებს იცნობთ?
4. რა მსგავსებაა დაფუძნებულ თეორიასა და სოციალური მუშაობის უშუალო პრაქტიკას შორის?
5. რა მიდგომას გამოიყენებთ სოციალური მომსახურებების ზეგავლენის გაზომვისათვის?
6. რაში გამოგვადგება კლიენტთან მუშაობისას ჩანაწერების წარმოება?
7. დაასახელეთ სოციალური მუშაობის თვისებრივი კვლევისათვის უფრო დამახასიათებელი შერჩევის მეთოდები.

XI. სავარჯიშოები

სავარჯიშო N1

წარმოიდგინეთ, რომ გჭირდებათ, პროფესიული ასოციაციის დაარსების პროცესს გაეცნოთ. თქვენთვის ხელმისაწვდომია საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის განვითარების შესწავლა. ორგანიზაციას ჰყავს გამგეობის 6 წევრი, სხვადასხვა დროს დაქირავებულ თანამშრომელთა სხვადასხვა ოდენობა და ამ ეტაპისთვის 600-ზე მეტი წევრი. ვის გამოჰკითხავთ? რამდენს გამოჰკითხავთ? შერჩევის რომელი მეთოდით?

სავარჯიშო N2

საქართველოში განხორციელდა ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაცია. რა მეთოდს გამოიყენებდით ამ კვლევის ჩატარებისთვის, თუ მისი მიზანია, გამოარკვიოს:

- თუ რატომ გადანყვიტა ქვეყანამ ამდენი საალმზრდელი დაწესებულების დახურვა;
- როგორ განახორციელოს ეს;
- რა გაუთვალისწინებელი ბარიერები წამოიჭრა პროცესში;
- რამ შეუშალა ხელი პირველად ჩანაფიქრს;

სავარჯიშო N3

ინტერვიუს გზამკვლევის გამოყენებაში წარმოგიდგინეთ კვლევა, რომლის მიზანია სოციალური მუშაკებისთვის მიწოდებული განგრძობითი განათლების პროგრამის ეფექტიანობის გაზომვა. ტექსტში მოკლე გზამკვლევია მოცემული. მოამზადეთ დეტალური გეგმა.

გამოყენებული ლიტერატურა

Miles, M.B., Huberman, M., Saldana, J. (2014). *Qualitative Data Analysis*. SAGE.

Orme, J., Shemmings, D. (2010). *Developing Research Based Social Work Practice*. Palgrave MacMillan.

Rubin, A., Babbies, E.R. (2011). *Research in Social Work*, Boos/Cole Cengage Learning.

ზურაბიშვილი, თ., (2006). თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში. CSS.

თავი VII

დამოკიდებულებების კვლევა სოციალურ მუშაობაში

შესავალი

ადამიანის დამოკიდებულებებს მისი რწმენები და ღირებულებები აყალიბებს; ეს უკანასკნელნი მნიშვნელოვნად განაპირობებენ მის ცხოვრებისეულ გზას. დამოკიდებულებები სერიოზულ გავლენას ახდენს ჩვენს ქცევაზე, საზოგადოებრივ აქტიურობასა და პროფესიულ საქმიანობაზე.

სოციალურ სამუშაოში დამოკიდებულებების შესწავლა საჭირო ბევრი მიზეზის გამო შეიძლება იყოს. მაგალითად, ვგეგმავთ ახალი პროგრამის შემუშავებას და გვინტერესებს განსაზღვრული საკითხების მიმართ სამიზნე ჯგუფისა და საზოგადოების დამოკიდებულება, ან გვინტერესებს ბენეფიციარების დამოკიდებულება ახალდანიერგილი პროგრამის მიმართ და სხვ.

დამოკიდებულებების შესწავლა, ძირითადად, რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით ხდება. თუმცა თანამედროვე კვლევებში სულ უფრო მეტად გამოიყენება კვლევის შერეული მეთოდები. ამ თავში განვიხილავთ დამოკიდებულებების კვლევაში რაოდენობრივი მეთოდის, კერძოდ კი, ლაიკერტის სკალის გამოყენებას – გავანალიზებთ ამ მეთოდის ძლიერ მხარეებსა და იმ გამოწვევებს, რომლებიც მისი გამოყენების დროს იჩენს თავს. რაც მთავარია, განხილული ინფორმაცია დაგვეხმარება ლაიკერტის სკალის სწორად აგებასა და გამოყენებაში.

ამ თავის ბოლოს კი განვიხილავთ სოციალურ მუშაობაში დამოკიდებულებების კვლევების მიმართულებით ჩატარებულ კვლევებს და გავანალიზებთ მათ მნიშვნელობას. ეს მკითხველს საშუალებას მისცემს, რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით დაგვეგმოს სოციალური მუშაობის აქტუალური თემების საკუთარი კვლევა.

I. როგორ ყალიბდება და იცვლება დამოკიდებულებები?

დამოკიდებულება – „ატიტუდი“ (attitude) არის რწმენების ნაკრები, რომელიც ჩვენ გვაქვს განსაზღვრული ობიექტის მიმართ (Taylor et al., 2005). ეს ობიექტი შეიძლება იყოს პიროვნება, საგანი ან მოვლენა. დამოკიდებულება შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. თუმცა ჩვენ შეიძლება გვქონდეს რალაცის მიმართ დამოკიდებულება ყოველგვარი ძლიერი ემოციური ფონის გარეშე.

როგორ ყალიბდება დამოკიდებულებები? ამ საკითხს სოციალური ფსიქოლოგები მრავალი ათეული წელია, იკვლევენ. დამოკიდებულებების ფორმირების სა-

კითხი სოციალური მუშაკებისთვისაც მეტად საინტერესო თემაა, რადგან ის უადვილებს მათ, უპასუხონ ისეთ კითხვებს, რომლებიც ადამიანის ქცევისა და მისი ცხოვრების წესის გაგებაში ეხმარება; მაგალითად, რატომ აქვთ ადამიანებს რასისტული და ჰომოფობიური დამოკიდებულებები? რატომ ემხრობიან ისინი სიკვდილით დასჯას? რატომ არიან პესიმისტები ან ოპტიმისტები? და სხვ.

სოციალური ფსიქოლოგიის ნიაღში ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევებით აღმოჩნდა, რომ დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაზე მოქმედებს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: ობიექტის მრავალჯერ ნარდგენა, დასწავლა, თვითაღქმა და ადამიანის ფსიქოლოგიური საჭიროებები (Taylor et al., 2005). კვლევებმა აჩვენა, რომ ადამიანების მხედველობის ველში გარკვეული ობიექტების უბრალოდ ნარდგენა, მათთან ყოველგვარი მიმართებისა და კავშირის გარეშეც, უკვე ხელს უწყობს მათ მიმართ განსაზღვრული დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას – რაც უფრო ხშირად ვხედავთ ობიექტს, მით მეტია მის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბების შესაძლებლობა (Zajonc, 1968). კვლევებმა ასევე აჩვენა, რომ ადამიანები „სწავლობენ“ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას იმის მიმართ, რაც დადებით ემოციებს იწვევს და პირიქით, არ მოგვწონს ის, რაც ჩვენში უარყოფით ემოციურ ფონს ქმნის (Zajonc, 1968). დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს დასჯა-წახალისება – ჯილდოს მიღება ადამიანს დადებითად განაწყობს, და პირიქით, სასჯელი უარყოფითი დამოკიდებულებების წარმოქმნას უწყობს ხელს (Taylor et al., 2005). დაბოლოს, დამოკიდებულებები ყალიბდება ჩვენი ფსიქოლოგიური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, როგორცაა, თუნდაც, საკუთარი ღირებულებებისა და იდეალების გამოხატვა (Taylor et al., 2005).

როგორც ვხედავთ, ადამიანის დამოკიდებულებების ცოდნა მისი ქცევის უკეთ გაგებაში გვეხმარება. თუმცა ადამიანის დამოკიდებულებებსა და მის ქცევას შორის ურთიერთკავშირი უფრო რთულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. არაერთმა კვლევამ დაადასტურა, რომ არ არის პირდაპირი კავშირი ადამიანის დამოკიდებულებასა და მის მიერ განხორციელებულ ქცევას შორის (LaPierre, 1934). მაგალითად, ლაპიერის (LaPierre) მიერ მე-20 საუკუნის ოცდაათიან წლებში ჩატარებულ კვლევაში (რომელიც დღემდე ითვლება დამოკიდებულებისა და ქცევის ურთიერთმიმართების შემსწავლელ კლასიკურ კვლევად) გამოჩნდა, რომ, მიუხედავად იმისა, სასტუმროებისა და რესტორნების მფლობელები გამოთქვამდნენ უარყოფით, რასისტულ დამოკიდებულებას ჩინელების მიმართ და თეორიულად უარს ამბობდნენ მათ მომსახურებაზე, რეალურად ისინი სთანხმდებოდნენ მათთან მისულ ჩინელ წყვილს მომსახურებაზე (LaPierre, 1934). დამოკიდებულებებსა და ქცევას შორის არაერთგვაროვანი ურთიერთდამოკიდებულება კარგად ჩანს ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებიდან – მაგალითად, ჩვენ შეიძლება ვთვლიდეთ, რომ თამბაქოს მოხმარება მავნებელია ჯანმრთელობისთვის, მაგრამ ვიყოთ მწვევლები; მიგვაჩნდეს, რომ მნიშვნელოვანია ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვა, თუმცა არ მივიღოთ სამსახურში ადამიანი მისი ეთნიკური მიკუთვნებულობის ან სექსუალური ორიენტაციის გამო.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მხოლოდ ადამიანის დამოკიდებულების ცოდნა მისი ქცევის პროგნოზირების საშუალებას ვერ იძლევა. იმის გასაანალიზებლად, თუ რა გავლენას ახდენს ადამიანის დამოკიდებულება მის ქცევაზე, მნიშვნელოვანია ამ დამოკიდებულების განხილვა ქცევის წინმსწრებ სხვა ფაქტორებთან მიმართებით. დაგეგმილი ქცევის თეორია (**Theory of Planned behavior, TPB**) განიხილავს სამ ფაქტორს, რომელთა ურთიერთდამოკიდებულება განსაზღვრავს ადამიანის ქცევას, ესენია: დამოკიდებულება, სუბიექტური ნორმები და ქცევის აღქმული კონტროლი (**Ajzen, I.1985**). ამ თეორიის მიხედვით, ადამიანისგან უნდა ველოდოთ კონკრეტული ქცევის განხორციელებას, თუ ის ამ ქცევას დადებითად აფასებს (დამოკიდებულება); თვლის, რომ მისთვის მნიშვნელოვანი ადამიანებისთვის ეს ქცევა მისაღებია (სუბიექტური ნორმები) და თვლის, რომ წარმატებულად შეუძლია მისი განხორციელება (**Ajzen, I.1985**).

როგორც ვნახეთ, ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ ხდება დამოკიდებულებების ჩამოყალიბება და რა კავშირი აქვს მას პიროვნების ქცევასთან, ადამიანის უკეთ გაგებაში გვეხმარება. თუმცა ადამიანის ქცევის გაგებასა და პროგნოზირებაში არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, ექვემდებარება თუ არა ერთხელ ჩამოყალიბებული დამოკიდებულებები ცვლილებებს და რა ფაქტორები ახდენს გავლენას ამ პროცესზე. საკუთარ თავზე დაკვირვებით შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენი დამოკიდებულებები დროთა განმავლობაში იცვლება. მაგალითად, დროთა განმავლობაში შევიძინეთ მეტად დემოკრატიული შეხედულებები, შეიცვალა ჩვენი დამოკიდებულება ჩვენგან სხვადასხვა ნიშნით განსხვავებული ადამიანების მიმართ და სხვ. კვლევებმა აჩვენა, რომ არსებული დამოკიდებულებების შეცვლაზე გავლენას ახდენს: (1) თვითაღქმა – რაც უფრო სუსტია გარკვეული ობიექტის მიმართ ადამიანის დამოკიდებულება, ან ეს უკანასკნელი უმნიშვნელოა მისი „მე“-სთვის, მით უფრო ადვილად ექვემდებარება ეს დამოკიდებულება ცვლილებას (**Taylor et al., 2005**); და (2) პიროვნების შიგნით მიმდინარე კოგნიტური დისონანსი – როდესაც პიროვნების დამოკიდებულება და მის მიერ განხორციელებული ქცევა ერთმანეთის საწინააღმდეგოა და ეს წინააღმდეგობა დისკომფორტს უქმნის პიროვნებას, იგი იძულებული ხდება, შეცვალოს დამოკიდებულება ან ქცევა იმისთვის, რომ შეამციროს ამ წინააღმდეგობით გამოწვეული პიროვნული დისკომფორტი (**Festinger, 1957**). პიროვნულის გარდა, ჩამოყალიბებული დამოკიდებულებების შეცვლაზე მოქმედებს ისეთი გარეგანი ფაქტორები, როგორებიცაა მასმედიიდან და სხვა წყაროებიდან მომდინარე გზავნილები (**Taylor et al., 2005**).


როგორც ვხედავთ, პიროვნული დამოკიდებულებების ანალიზი საკმაოდ რთულია, რადგან მის ჩამოყალიბებასა და შეცვლაზე მოქმედებს როგორც პიროვნული, ისე გარეგანი ფაქტორები. ასევე, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ პიროვნების დამოკიდებულებების ცოდნა არ გვაძლევს მისი ქცევის ზუსტი პროგნოზირების საშუალებას. ეს გარემოება გათვალისწინებული უნდა იყოს ამ მიმართულებით კვლევების დაგეგმვის დროს.

II. დამოკიდებულებების გაზომვა

არსებობს დამოკიდებულებების კვლევის პირდაპირი და არაპირდაპირი გზები. დამოკიდებულებების პირდაპირი გაზომვის ყველაზე გავრცელებული საზომია ლაიკერტის სკალა. დამოკიდებულებების არაპირდაპირ გაზომვას უკავშირდება ისეთი ტექნიკები, როგორებიცაა, მაგალითად, რორშახის მელანისა (Rorschach Inkblot Test) და თემატური აპერცეფციის ტესტები (Thematic Apperception Test, TAT).

სოციალური მუშაობის მიზნებისა და სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ დამოკიდებულებების პირდაპირ კვლევაზე და განვიხილავთ ისეთ ფართოდ გავრცელებულ ტექნიკას, როგორიცაა ლაიკერტის სკალა.

რენსის ლაიკერტი (Rensis Likert) იყო ამერიკელი ფსიქოლოგი, რომელმაც თავისი სადოქტორო ნაშრომით საზოგადოებას გააცნო დამოკიდებულებების გაზომვის სკალა, რომელიც შემდგომ ლაიკერტის მეთოდით გახდა ცნობილი (Likert, 1932). ლაიკერტს, თავისი კოლეგის, ლუის ტურსტონის (Louis Thurstone), მსგავსად, მიაჩნდა, რომ ადამიანის დამოკიდებულებების ზუსტი გაზომვა შეიძლება კონტინუუმზე – „დადებითი – უარყოფითი“; ისევე, როგორც სიმალლე იზომება კონტინუუმზე – „დაბალი – მაღალი“ ან სიმდიდრე – კონტინუუმზე – „მდიდარი – ღარიბი“. შესაბამისად, ლაიკერტისთვის დამოკიდებულების გაზომვა ნიშნავდა „დადებითი – უარყოფითი“ კონტინუუმზე მისი ადგილის განსაზღვრას. გარკვეული ობიექტის მიმართ პიროვნების დამოკიდებულების გასაზომად ლაიკერტი რესპონდენტებს აძლევდა სავარაუდო პასუხებს და ისინი ირჩევდნენ იმ ერთ პასუხს, რომელიც საუკეთესოდ ასახავდა მათი დამოკიდებულების მდებარეობას კონტინუუმზე „დადებითი – უარყოფითი“. გრაფიკულად ეს შემდეგნაირად გამოიყურება:



როგორც გრაფიკული გამოსახულებიდან ჩანს, ლაიკერტის სკალა გულისხმობს ხუთქულიან კონტინუუმს; ორი პასუხი ასახავს უარყოფის სხვადასხვა ხარისხს (სრულიად არ ვეთანხმები, არ ვეთანხმები), ორი – თანხმობის სხვადასხვა ხარისხს (სრულად ვეთანხმები, ვეთანხმები) და ერთი – ნეიტრალურ პასუხს (არც „ვეთანხმები“ და არც „არ ვეთანხმები“).

ლაიკერტის მეთოდით შედგენილი ნებისმიერი საზომი შედგება ორი ნაწილისგან: (1) დებულება, მაგალითად, თამბაქოს მოხმარება ზიანს აყენებს ჯანმრთელობას და (2) პასუხების სკალა – სავარაუდო პასუხები, რომლებიც ეძლევა რეს-

პონდენტს ერთი პასუხის არჩევის ინსტრუქციით. ლაიკერტის მეთოდით კითხვარის აგება არც ისე ადვილია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დებულებების სწორად შედგენა. დებულებების აგებისას საჭიროა შემდეგი სამი წესის გათვალისწინება:

წესი N1 – თავი ავარიდოთ დებულებების /კითხვის ისეთად ჩამოყალიბებას, როცა ის ორ აზრს შეიცავს და ერთი დებულებით / კითხვით რესპონდენტს ორი საკითხის შესახებ ვთხოვოთ დამოკიდებულების გამოხატვა. მაგალითად:

„რამდენად ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებას: ალკოჰოლის მოხმარება ზიანს აყენებს მოზარდის ჯანმრთელობას და ხელს უწყობს მის აგრესიული ქცევას“.

- სრულად ვეთანხმები
- ვეთანხმები
- არც „ვეთანხმებო და არც „არ ვეთანხმები“
- არ ვეთანხმები
- სრულიად არ ვეთანხმები

ეს კითხვა დაბნეულობას გამოიწვევს იმ რესპონდენტებში, რომლებიც ეთანხმებიან დებულების პირველ ნაწილს (ალკოჰოლის მოხმარება ზიანს აყენებს მოზარდის ჯანმრთელობას) და არ ეთანხმება მეორე ნაწილს (ხელს უწყობს მის აგრესიული ქცევას) – ან პირიქით. ამ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება, პასუხების სკალაზე რესპონდენტმა შეძლოს იმ პასუხის შერჩევა, რომელიც მის აზრს გამოხატავს. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ მან არჩევანი უნდა გააკეთოს, მას მოუწევს რომელიმე ისეთი პასუხის გამოყოფა, რომელიც არ გამოხატავს მის რეალურ დამოკიდებულებას.

წესი N2 – თავი ავარიდოთ რაოდენობრივ დებულებებს, რომლებიც გარკვეულ „ფარულ ცვლადს“ შეიცავენ, მაგალითად:

„რამდენად ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებას: კერძო სკოლები უკეთეს განათლებას აძლევს მოსწავლეებს, ვიდრე საჯარო სკოლები.“

- სრულად ვეთანხმები
- ვეთანხმები
- არც „ვეთანხმები“ და არც „არ ვეთანხმები“
- არ ვეთანხმები
- სრულიად არ ვეთანხმები

ამ შემთხვევაში გაუგებარია, რას გამოხატავს იმ რესპონდენტის პასუხი, რომელიც ირჩევს პასუხს „სრულებით არ ვეთანხმები“ – თვლის, რომ კერძო სკოლებში, საჯარო სკოლებთან შედარებით, უკეთესი განათლება არ არის, თუ თვლის, რომ კერძო სკოლებში უარესი განათლებაა. უნდა გვახსოვდეს, რომ ლაიკერტის სკალა ზომავს რესპონდენტის დამოკიდებულებას კონკრეტული ობიექტისა თუ იდეის მიმართ და არა მის შედარებით ღირებულებას. ზემოთ მოყვანილ მაგალითში კერძო სკოლების განათლების შედარებითი ხარისხი სწორედ ის „ფარული

ცვლადია“, რომელსაც ლაიკერტის მეთოდით შედგენილი კითხვა /დებულება არ უნდა შეიცავდეს.

ნესი N3 – თავი ავარიდოთ მიმანიშნებელ კითხვებს. როგორც ვიცით, გამოკითხვისას კითხვები ფორმულირებული უნდა იყოს ისე, რომ რესპონდენტებს მიმართულება არ მივცეთ განსაზღვრული პასუხისკენ. ლაიკერტის მეთოდი, გარკვეულწილად, არღვევს ამ წესს, რადგან მისი დებულებები გამოხატავს ნათელ და არაორაზროვან მტკიცებულებებს. მაგალითად, ზემოთ მოყვანილ მაგალითში კერძო სკოლების განათლების ხარისხის შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტები რაღაც კუთხით მიმართულნი არიან კერძო სკოლების განათლების ხარისხის პოზიტიურად შეფასებისკენ, ე.წ. უსიტყვოდ დათანხმების ტენდენციის (**acquiescence bias**) გამო, რომელიც გულისხმობს ადამიანებში არსებულ მიდრეკილებას, დაეთანხმონ მტკიცებით ფორმაში მოცემულ დებულებებს. უსიტყვოდ დათანხმების ტენდენცია (**acquiescence bias**) მიჩნეულია ლაიკერტის მეთოდის ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად (**Schuman & Presser, 1981**). ამ მიზეზის გამო ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ უმჯობესია, შეძლებისდაგვარად, თავი ავარიდოთ ლაიკერტის ტიპის კითხვებს. მაგალითად, ზემოთ მოყვანილი კითხვის ალტერნატივა იქნებოდა შემდეგი ფორმულირება: „როგორ ფიქრობთ, სად იღებენ უკეთეს განათლებას – კერძო თუ საჯარო სკოლაში?“

ლაიკერტის მეთოდის განხილვისას დებულებებთან ერთად მნიშვნელოვანია შეფასების სკალასთან – სავარაუდო პასუხებთან – დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის განხილვა. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ქულების რაოდენობა სკალაზე. როგორც ცნობილია, თავად ლაიკერტი იყენებდა შეფასების ხუთქულიან სისტემას – რესპონდენტს ეძლეოდა ხუთი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან ორი გამოხატავდა თანხმობის სხვადასხვა ხარისხს, ორი – უარყოფის სხვადასხვა ხარისხს და ერთი იყო ნეიტრალური დამოკიდებულების გამომხატველი. შემდგომში, ლაიკერტის მეთოდის გამოყენებისას, სავარაუდო პასუხების რაოდენობა შეიცვალა და ამჟამად ორიდან თერთმეტ ქულამდე მერყეობს. თუმცა ყველაზე გავრცელებულ პრაქტიკაა ხუთ- და შვიდქულიანი სკალის გამოყენება. უფრო მეტი რაოდენობის ქულების გამოყენებისას პრობლემა ხარისხის განსხვავების სახელდება. ამ შემთხვევაში გავრცელებულ პრაქტიკა არის დათანხმებისა და არდათანხმების სანინაალმდეგო პოლუსების სახელდება, ხოლო გრადაციებისთვის მხოლოდ ციფრების მინიჭება.

მნიშვნელოვანია, რამდენიმე სიტყვით შევეხოთ სკალაზე ნეიტრალური დამოკიდებულების გამომხატველ ქულას. თავად ლაიკერტის ვერსიაში ის სახელდებული იყო როგორც „გადაუწყვეტილი“ (გაურკვეველი, დაუდგენელი) (**undecided**); შემდგომ ვერსიებში მკვლევრები იყენებდნენ ისეთ სახელდებას, როგორიცაა – არც „ვეთანხმები“ და არც „არ ვეთანხმები“. ამ სავარაუდო პასუხის არსებობით რესპონდენტი არ განიცდის ზეწოლას, აუცილებლად გამოხატოს დამოკიდებულება იმ შემთხვევაში, თუ საკითხის მიმართ საკუთარი შეხედულება ჩამოყალიბებული არ აქვს. გარდა ამისა, ეს მიდგომა მკვლევარს უფრო ზუსტი მონაცემების

შეგროვებაში ეხმარება – იმ შემთხვევაში, როდესაც პასუხების ჩამონათვალში ასეთი პუნქტი არ არის, რესპონდენტი იძულებულია, არჩევანი რომელიმე პასუხზე გააკეთოს, რათა თავი აარიდოს კითხვების პასუხის გარეშე დატოვებას; თუმცა ამ შემთხვევაში მისი პასუხები ნაკლებად გამოხატავს მის რეალურ დამოკიდებულებას. შესაბამისად, როდესაც არსებობს ნეიტრალური დამოკიდებულების გამომხატველი პასუხის საშუალება, მკვლევრები უფრო ზუსტ მონაცემებს იღებენ (Johns, 2005).

როგორც უკვე აღინიშნა, თავად ლაიკერტის მიერ ჩამოყალიბებული ხუთქულიანი სკალა ეხებოდა იმას, თუ რამდენად ეთანხმებოდა ან არ ეთანხმებოდა რესპონდენტი მოცემულ დებულებას; თუმცა შემდგომში მკვლევრებმა ლაიკერტის სკალა სხვა თემებთან მიმართებითაც გამოიყენეს, მაგალითად:

მნიშვნელობა	სიხშირე	ხარისხი
ძალიან მნიშვნელოვანი	ყოველთვის	ძალიან კარგი
მნიშვნელოვანი	ხშირად	კარგი
არც მნიშვნელოვანი და არც უმნიშვნელო	ზოგჯერ	საშუალო
უმნიშვნელო	იშვიათად	ცუდი
ძალიან უმნიშვნელო	არასდროს	ძალიან ცუდი

როგორ გავანალიზოთ ლაიკერტის სკალით მიღებული მონაცემები? ლაიკერტის სკალით მიღებული მონაცემების დამუშავებისას გვჭირდება ის ტექნიკები, რომლებიც გამოიყენება რიგის სკალის მონაცემების ანალიზისას, რადგან ლაიკერტის სკალა სწორედ რიგის სკალას მიეკუთვნება. ლაიკერტის სკალა ადგენს კონტინუუმზე პასუხის განლაგებას, თუმცა ვერ წარმოაჩენს განსხვავების ხარისხს, რადგან შეუძლებელია ვთქვათ, რომ ინტერვალის სავარაუდო პასუხებს შორის ერთნაირია – ვერავინ იტყვის, რომ მანძილი პირველ და მეორე სავარაუდო პასუხებს შორის (სრულიად ვეთანხმები და ვეთანხმები) იგივეა, რაც მანძილი მეორე და მესამე სავარაუდო პასუხებს შორის (ვეთანხმები და არც „ვეთანხმები“ და არც „არ ვეთანხმები“). შესაბამისად, ისეთი საზომები, რომლებიც დამახასიათებელია ინტერვალის სკალის მონაცემების გასაანალიზებლად (საშუალო და სტანდარტული გადახრა), ამ შემთხვევაში ვერ გამოიყენება. ლაიკერტის სკალის მონაცემების დამუშავებისას ყველაზე გავრცელებული გზა მოდის გამოყენებაა, რაც გრაფიკულად შეიძლება კარგად იყოს წარმოდგენილი დიაგრამის სახით.

როგორც ვხედავთ, ლაიკერტის სკალის გამოყენება ეფექტურად შეიძლება სხვადასხვა სფეროში დამოკიდებულებების შესასწავლად. თუმცა ამ მეთოდის გამოყენებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მისი შეზღუდვები. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მისი ერთ-ერთი შეზღუდვა მტკიცებულებითი ფორმის მქონე დებულებების გამოყენებაა – ეს უკანასკნელნი, გარკვეულწილად, თანხმობისკენ უბიძგებენ რესპონდენტებს (უსიტყვო დათანხმების ტენდენცია (acquiescence bias). ამიტომ, როდესაც ვიღებთ პასუხს „სრულიად ვეთანხმები“,

შეიძლება გაჩნდეს კითხვა – მოცემული პასუხი რესპონდენტის რეალურ დამოკიდებულებას გამოხატავს, თუ ეს მისი დათანხმებისკენ მიდრეკილების გამოვლინებაა? ამ კითხვამ შესაძლოა, ნაკლებად იჩინოს თავი, თუ კითხვარი ბალანსირებულად არის შედგენილი, რაც ნიშნავს იმას, რომ მასში დებულებები ისე უნდა იყოს ფორმულირებული, რომ დადებითი და უარყოფითი კატეგორიები თანაბრად განაწილდეს. მაგალითად, თუ ვსწავლობთ პიროვნების დამოკიდებულებას ავტორიტარული და დემოკრატიული ღირებულებების მიმართ, შესაფასებელი მტკიცებულებები, ორივე კონტინუუმის შესაბამისად, თანაბრად უნდა ეხებოდეს ორივე ჯგუფს. შესაბამისად, თუ ვნახავთ, რომ რესპონდენტი კითხვარში მოცემულ მტკიცებულებებს, ძირითადად, ეთანხმება, ბალანსირებული კითხვარის შემთხვევაში ადვილად შესამჩნევია, რომ ის გამოხატავს უფრო პიროვნების დათანხმებისადმი მიდრეკილებას, ვიდრე ავტორიტარული და დემოკრატიული ღირებულებებისადმი მის დამოკიდებულებას, რადგან ვნახავთ, რომ ეს უკანასკნელი ხშირად სანინა-აღმდეგო შინაარსის დებულებებთან არის თანხვედრილი.

ლაიკერტის სკალის სუსტ მხარედ ასევე დასახელებულია შინაგანი სანდობა – რამდენად ერთნაირად ზომავს კითხვარის დებულებები იმას, რის შესწავლასაც მიზნად ისახავს კითხვარი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ზემოთ განხილულ მაგალითში, თუ კითხვარში ხუთი დებულება ზომავს პიროვნების დემოკრატიულ ღირებულებებს, მაშინ ამ ხუთივე კითხვაზე მას მსგავსი მაჩვენებლები უნდა ჰქონდეს. ლაიკერტის სკალის შინაგანი სანდობის სტანდარტული საზომია „ალფა კოეფიციენტი“, რომელიც ეფუძნება დებულებების წყვილს შორის არსებულ კორელაციას – რაც უფრო ახლოსაა კორელაციის კოეფიციენტი 1-თან, მით მეტია სკალის შინაგანი სანდობა. კორელიციის სასურველ ნიშნულად მიჩნეულია 0,5 და მეტი, რომლის მიღწევა ყოველთვის ვერ ხერხდება. დაბოლოს, ლაიკერტის სკალით დამოკიდებულებების ზუსტად გამოზომვის ბარიერად დასახელებულია სოციალური სასურველობა – ადამიანებმა შესაძლოა, იცრუონ იმისთვის, რომ სოციალურად უფრო მისაღებად წარმოაჩინონ თავი – დღეს, ალბათ, არავინ ისურვებს, წარმოჩნდეს, მაგალითად, როგორც რასისტი ან ჰომოფობი. დამოკიდებულების ანონიმურად ჩატარება მნიშვნელოვნად ამცირებს ამ რისკს.

III. დამოკიდებულებების კვლევა და სოციალური მუშაობა

სოციალური მუშაობის სფეროში ჩატარებული საერთაშორისო კვლევების ანალიზი აჩვენებს, რომ რაოდენობრივი მეთოდები, მათ შორის, ლაიკერტის სკალა, ფართოდ გამოიყენება სოციალური მუშაობისთვის აქტუალური თემების შესასწავლად. დამოკიდებულებების კვლევა აქტუალურია როგორც პროფესიულ თემთან, ისე მომსახურებების მიმღებებსა და საზოგადოებასთან მიმართებით. წინამდებარე ქვეთავში განხილული იქნება სოციალური მუშაობის სფეროში ჩატარებული ის კვლევები, რომელთა თემატიკა განსაკუთრებით საინტერესოა ქართული სოციალური მუშაობისთვის.

სოციალური მუშაობა ახალგაზრდა პროფესიაა და ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში, არსებობის ხანმოკლე ისტორია აქვს. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ საზოგადოება კარგად არ არის ინფორმირებული ამ პროფესიისა და მისი მიზნების შესახებ. საზოგადოების ინფორმირებულობისა და ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების დაგეგმვისთვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რამდენად ინფორმირებულია საზოგადოება ამ სპეციალობის შესახებ, რა ცოდნა აქვს მისი მიზნებისა და როლების შესახებ. სოციალური მუშაობის მიმართ საზოგადოებრივი დამოკიდებულების კვლევის საინტერესო მაგალითებია ისრაელსა და თურქეთში. ისრაელში გამოკითხვის მეთოდით შესწავლილი იყო 21 წელს ზემოთ მყოფი 1 417 რესპონდენტის დამოკიდებულება სოციალური მუშაობის პროფესიის მიმართ (Kagan, 2015). კვლევაში გამოყენებული იყო სტრუქტურირებული ინტერვიუები. კვლევამ აჩვენა, რომ საზოგადოებას სრული ინფორმაცია არ აქვს იმ როლების შესახებ, რომლებსაც სოციალური მუშაკები ასრულებენ. რესპონდენტების უმრავლესობა აფასებდა მათ, როგორც ადამიანებს, რომლებიც მუშაობისას პროფესიული ეთიკითა და სოციალური იდეოლოგიით ხელმძღვანელობენ.

პროფესიის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების ცოდნა მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრაში, თუ რამდენად ენდობიან საზოგადოების წევრები სოციალურ მუშაკებს და მზად არიან თუ არა, პროფესიული დახმარება სთხოვონ საჭიროების შემთხვევაში. სწორედ სოციალური მუშაკებისადმი საზოგადოების ნდობას სწავლობდა 2015 წელს თურქეთში ჩატარებული კვლევა (Bolgün&Şahin, 2015). მასში მონაწილეობდა 500 რესპონდენტი. მონაცემების შესაგროვებლად გამოყენებული იყო გამოკითხვის მეთოდი, სტრუქტურირებული პირისპირ ინტერვიუები. კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტების ნახევარს არასოდეს გაუგია სოციალური მუშაკების შესახებ, ხოლო ისინი, ვინც იცოდა ამ პროფესიის შესახებ, სოციალური მუშაკების მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ (Bolgün&Şahin, 2015). ანალოგიური შედეგები იყო მიღებული ისრაელში ჩატარებულ კვლევაში, რომელშიც მკვლევრები რაოდენობრივი კვლევის მეთოდებით სწავლობდნენ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის დამოკიდებულებას სოციალური მუშაკების მიმართ (Kagan&Zychlinski, 2012). კვლევამ აჩვენა, რომ ქალები, რელიგიური ადამიანები და ისინი, ვისაც სოციალური მუშაკების მომსახურების გამოცდილება ჰქონდათ, მეტად პოზიტიურ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ მათ მიმართ და მზად იყვნენ, კვლავ მიემართათ ამ მომსახურებისთვის, ვიდრე მამაკაცები, არარელიგიური პირები და ისინი, ვისაც არ ჰქონდათ სოციალურ მუშაკთან ურთიერთთანამშრომლობის გამოცდილება (Kagan&Zychlinski, 2012). ამ და მსგავსი კვლევების შედეგები პრაქტიკოს სოციალურ მუშაკებს იმის გაგებაში ეხმარება, თუ რამდენად ინფორმირებულია საზოგადოების განსხვავებული, განსაკუთრებით, მოწყვლადი ჯგუფები სოციალური მუშაობის პროფესიის შესახებ და რამდენად მზად არიან ისინი თანამშრომლობისთვის. ეს ინფორმაცია მეტად მნიშვნელოვანია სოციალური მუშაობის პროფესიის მიმართ საზოგადოებაში ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების დასაგეგმად.

სოციალური მუშაობის მიმართ საზოგადოების ცნობიერებისა და დამოკიდებულებების კვლევის გამოცდილება საქართველოში არ არსებობს. თუმცა პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებით საზოგადოების ინფორმირებულობა ძალიან დაბალია და სოციალური მუშაკები ხშირად სოციალურ აგენტებში ერევათ. ასევე ისინი, ვინც იცის ამ პროფესიის შესახებ, საკმაოდ შეზღუდულად ხედავენ სოციალური მუშაკის როლსა და მას მხოლოდ „ღარიბების დახმარების“ ფუნქციას აკისრებენ. იმისთვის, რომ პრაქტიკაზე დაფუძნებულ ამ ინფორმაციას მტკიცებულების ღირებულება ჰქონდეს, აუცილებელია ამ მიმართულებით სამეცნიერო კვლევების ჩატარება, რომლებშიც რაოდენობრივ მეთოდებს წამყვანი როლი მიენიჭება.

სოციალური მუშაობის ხარისხის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია მომსახურების მიმღებთა უკუკავშირისა და დამოკიდებულებების კვლევა. ამ მიმართულებით არაერთი საინტერესო საერთაშორისო კვლევის გამოცდილება არსებობს. მომსახურებების მიმღებთა დამოკიდებულებების შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სხვადასხვა ინტერვენციისა და პროგრამის შეფასებისას. მაგალითად, გამოკითხვის მეთოდით შესწავლილი იყო 138 მომსახურებების მიმღებების მოსაზრებები, რომლებიც მონაწილეობდნენ ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა სოციალური ინკლუზიის ხელშესაწყობად 2005-2010 წლებში განხორციელებულ პროექტში. ეს უკანასკნელი გულისხმობდა 10 სხვადასხვა პროგრამას, რომლებიც ფსიქიკური პრობლემების მქონე პირებს სხვადასხვა სახის სატრენინგო პროგრამას სთავაზობდა (Ramon, Griffiths&Nieminen, 2010). კვლევა მიზნად ისახავდა იმ ცვლილებების გაანალიზებას, რომლებიც პროგრამაში მონაწილეობამ გამოიწვია მომსახურებების მიმღებთა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. გამოკითხვა ჩატარდა პროგრამაში მონაწილეობის დაწყებისას და მისი დასრულების შემდეგ. კვლევა ეყრდნობოდა შერეულ მეთოდებს – მონაწილეების მოსაზრებები შესწავლილი იყო სიღრმისეული ინტერვიუებითა და გამოკითხვის მეთოდით. კვლევამ აჩვენა, რომ პროგრამის მონაწილეებს ჰქონდათ წინსვლა სოციალური ქსელის განვითარებისა და დასაქმების მიმართულებით. ასევე უმრავლესობას ჰქონდა კარგად ჩამოყალიბებული სამომავლო გეგმები. კვლევამ აჩვენა აგრეთვე ის სირთულეები, რომლებსაც ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანები ხვდებოდნენ სოციალური ინტეგრაციის პროცესში – ძირითადად, დასახელებული იყო ფსიქიკური აშლილობის მქონე პირის სტატუსთან დაკავშირებული სტიგმა, ახლო პიროვნული ურთიერთობების დამყარების სირთულეები და ეკონომიკური პრობლემები (Ramon, Griffiths&Nieminen, 2010).

სოციალური მუშაობის პროფესიის შემდგომი განვითარების, მომსახურებების მიმღებთა და სოციალურ მუშაკთა თანამშრომლობის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, რა მოლოდინი აქვთ ბენეფიციარებს სოციალური მუშაკების მიმართ, როგორ ხედავენ მათ პიროვნულ და პროფესიულ მახასიათებლებს. სწორედ ამ საკითხებს სწავლობდა ჰონგ-კონგში 2019 წელს ჩატარებული კვლევა (Kam, 2019). თვისებრივი კვლევის ფარგლებში სოციალური კეთილდღე-

ობის პროგრამების მომსახურების მიმღებებიდან შერჩეული იყო 47 ბენეფიციარი და სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდით გაანალიზებული იყო მათი მოსაზრებები იმ ღირებულებების, პიროვნული, პროფესიული თვისებებისა და უნარების მიმართ, რომლებსაც სოციალური მუშაკები უნდა ფლობდნენ. კვლევის შედეგად გამოყოფილი იყო სოციალური მუშაკებისთვის დამახასიათებელი ექვსი ძირითადი მახასიათებელი (Kam, 2019). აღნიშნული კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებული იყოს ამ საკითხის შემდგომი კვლევისთვის – რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით, შეიძლება იმის ნახვა, თუ რამდენად გავრცელებულია თვისებრივ კვლევაში იდენტიფიცირებული მახასიათებლები მომსახურების მიმღებთა ფართო ჯგუფში.

სოციალური მუშაობის ეფექტურობის ასამაღლებლად მეტად ღირებული მტკიცებულებების მიღება შეიძლება სოციალურ მუშაკთა პროფესიული თემის დამოკიდებულებების კვლევით. ეს უკანასკნელი საინტერესო შეიძლება ბევრი მიმართულებით იყოს, მაგალითად, როგორი დამოკიდებულება აქვთ სოციალურ მუშაკებს პროფესიული ღირებულებების მიმართ, რამდენად მოქმედებს მათი მუშაობის ეფექტურობაზე სამუშაო გარემოპირობები, რა დამოკიდებულება აქვთ მათ კვლევებისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის მიმართ, როგორ ურთიერთკავშირს ხედავენ სუბიექტურ კეთილდღეობასა და სამუშაოს შორის და სხვ.

სოციალურ მუშაკთა პროფესიული თემის საერთაშორისო კვლევის ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული მიმართულებაა სოციალურ მუშაკთა პიროვნული ღირებულებებისა და პროფესიული გადაწვის გამომწვევი ფაქტორების კვლევა. ისრაელში ჩატარებული ერთ-ერთი კვლევა სწავლობდა სოციალურ მუშაკებთან პიროვნულ ღირებულებებსა და პროფესიულ გადაწვას შორის კავშირს (Tartakovsky, 2015). კვლევაში მონაწილეობა მიიღო ქვეყნის მასშტაბით მომუშავე 512-მა სოციალურმა მუშაკმა. პროფესიული გადაწვის ხარისხის დასადგენად გამოყენებული იყო სპეციალური ინსტრუმენტი – მასლაჩის პროფესიული გადაწვის კითხვარი (Maslach Burnout Inventory, MBI) (Maslach, J., & Leiter, 1996). კითხვარი შედგება 22 კითხვისგან, რომლებიც სამ კატეგორიად ჯგუფდება: (1) ემოციური გადაქანცვა – სამუშაო ვალდებულებების შესრულებით გამონეული უარყოფითი ემოციური ფონი (მაგ., „ჩემი სამუშაოს გამო განვიცდი ემოციურ გამოფიტვას“), (2) დეპერსონალიზაცია – კლიენტების მიმართ უარყოფითი, უგულო და ცინიკური დამოკიდებულება (მაგ., „ზოგჯერ კლიენტს ისე ვუყურებ, როგორც საგანს“) და (3) პიროვნული მიღწევების დაქვეითება – პროფესიული კომპეტენტურობის დაქვეითების გრძობა (მაგ., „ამ სამუშაოში მე უკვე მივალწი ყველაფერს“). კითხვარი აგებულია ლაიკერტის მეთოდით – რესპონდენტები ეთანხმებიან ან არ ეთანხმებიან მოცემულ დებულებებს ხუთქულიან სკალაზე, რომელზეც 1 გულისხმობს – სრულიად არ ვეთანხმები და 5 – სრულად ვეთანხმები. შედეგებმა აჩვენა, რომ რესპონდენტებს განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლები ჰქონდათ ემოციური გადაქანცვისა და დეპერსონალიზაციის სკალაზე. რაც შეეხება პიროვნულ ღირებულებებსა და პროფესიულ გადაწვას შორის კორელაციას, აღმოჩნდა, რომ მაღა-

ლი მაჩვენებლები ისეთ პარამეტრებში, როგორებიცაა: სიკეთე, სიახლისადმი ღიაობა და მიღწევებზე ორიენტაცია, ძალაუფლებისა და კონტროლისადმი ნაკლებ მიდრეკილებასთან კომბინაციით, ნაკლებად უკავშირდება პროფესიულ გადანვას. სოციოდემოგრაფიული მახასიათებლებიდან პროფესიულ გადანვაზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: განათლება, პრაქტიკოსად მუშაობის წლები და ხელფასის ოდენობა. ქართველი სოციალური მუშაკების პროფესიულ გადანვასთან დაკავშირებული კვლევა არ იძებნება გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში; თუმცა 2011 და 2017 წლებში ჩატარებული სოციალურ მუშაკთა საჭიროებათა კვლევა, სხვა საკითხებთან ერთად, ამ საკითხსაც ეხება. ქართველ სოციალურ მუშაკებთან პროფესიულ გადანვასთან დაკავშირებული რაოდენობრივი კვლევა საშუალებას მოგვცემს, გავანალიზოთ პროფესიულ თემში არსებული ღირებულებები და პრიორიტეტები. საინტერესო იქნებოდა კვლევაში ზემოაღნიშნული მასლაჩის პროფესიული გადანვის კითხვარის გამოყენება – აღნიშნული ინსტრუმენტის ქართულ პოპულაციაზე ადაპტაცია მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ქართული სოციალური მუშაობის მეცნიერულ კვლევას და გაამყარებდა მტკიცებულებაზე დაფუძნებულ პრაქტიკას.

საერთაშორისო კვლევები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ადამიანთა კეთილდღეობის სუბიექტური განცდისა და ობიექტური ფაქტორების შესწავლას. ამ მიმართულებით საინტერესო კვლევებია ჩატარებული სოციალური მუშაობის პროფესიულ თემში. მათ შორისაა იტალიელი მკვლევრების მიერ 2018 წელს ჩატარებული კვლევა, რომელიც სწავლობდა კავშირს სოციალური მუშაკების ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასა და სამუშაო მოთხოვნების შესრულებას შორის. (Tesi, A., Aiello, A. & Giannetti, E., 2018). კვლევაში მონაწილეობდა 140 იტალიელი სოციალური მუშაკი. გამოკითხვა ეფუძნებოდა ლაიკერტის მეთოდით აგებულ კითხვარს. შედეგებმა აჩვენა, რომ სოციალური მუშაკების ფსიქოლოგიური კეთილდღეობა დაკავშირებული იყო სამუშაო მოთხოვნების შესრულებასთან – რაც უფრო მაღალი იყო ფსიქოლოგიური კეთილდღეობის განცდა, მით უფრო მაღალი იყო სამუშაო ვალდებულებების შესრულების მაჩვენებელი – მკვლევრები ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას განიხილავდნენ, როგორც სოციალურ მუშაკთა გარკვეულ ბუფერულ, დამცავ ფაქტორს, რომელიც აძლიერებდა მათ პიროვნულ რესურსს. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ძალიან მაღალი სამუშაო მოთხოვნების შემთხვევაში მკვეთრად ეცემოდა ფსიქოლოგიური კეთილდღეობის განცდა და სამუშაო მოთხოვნების შესრულებასაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ჰქონდა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ გაზრდილმა სამუშაო მოთხოვნებმა შეიძლება შეამციროს ფსიქოლოგიური კეთილდღეობის განცდა, რაც აისახება სამუშაოს ვალდებულებების შესრულებაზე (Tesi, A., Aiello, A. & Giannetti, E., 2018). მსგავსი კვლევების შედეგები მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის სოციალური სამუშაოს ხელმძღვანელ პირებს – მათ გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ, თუ რა გავლენას ახდენს სუბიექტური, ფსიქოლოგიური კეთილდღეობის განცდა სოციალური მუშაკების მუშაობაზე; მას განიხილავდნენ როგორც მნიშვნელოვან ფაქტორს სოციალური

მუშაკების პიროვნული რესურსების გასაძლიერებლად. იმის გამო, რომ ხშირად სოციალურ მუშაკებს გაზრდილი სამუშაო მოთხოვნების პირობებში უწევთ მუშაობა, მნიშვნელოვანია, სამსახურის ხელმძღვანელები საქმის კურსში იყვნენ მათი ფსიქოლოგიური კეთილდღეობის განცდის შესახებ და იზრუნონ მის გაუმჯობესებაზე. ამ მიმართულებით კვლევების ჩატარების დიდი საჭიროებაა საქართველოში, რადგან პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები სამუშაოსთან დაკავშირებით ხშირად უჩივიან დაუცველობის განცდასა და მაღალ ფსიქოლოგიურ სტრესს, რაც ხაზგასმული იყო 2019 წელს საქართველოში სოციალური მუშაკების მიერ ორგანიზებულ საყოველთაო გაფიცვისას. თუმცა სამეცნიერო კვლევების არარსებობის გამო ეს მონაცემები გამყარებული არ არის შესაბამისი მტკიცებულებებით.

ზემოაღნიშნულ კვლევებში განხილული თემები (პროფესიული გადაწვა და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის ხარისხი) დაკავშირებულია კადრების დენადობასთან – რაც უაღრესად მნიშვნელოვანია სოციალური მუშაობისთვის. კადრების დენადობა უარყოფითად აისახება სოციალური მუშაობის პრაქტიკის ხარისხზე (Shaun et al., 2018). რომელი ფაქტორები ახდენს გავლენას სოციალური მუშაკების მიერ მიღებულ სამუშაოდან წასვლის გადაწყვეტილებაზე? ამ კითხვაზე პასუხს ვერ გავცემთ საქართველოს სოციალურ მუშაკებთან მიმართებით, რადგან არ არსებობს ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევები. 2017 წელს კორეაში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ სამსახურიდან წასვლის შესახებ სოციალური მუშაკების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: ორგანიზაციისადმი ნდობა და სამუშაოსთან დაკავშირებული ემოციური ფონი (Cho, Y.J. & Song, H.J., 2017). კერძოდ, ორგანიზაციისადმი ნდობა, რომელიც დაკავშირებული იყო ეფექტურ პროფესიულ სუპერვიზიასა და თანამშრომლის ავტონომიურობასთან, დადებითად მოქმედებდა თანამშრომლის დამოკიდებულებებსა და ქცევაზე. სამუშაოსთან დაკავშირებულ ემოციურ ფონს უკავშირდებოდა ორგანიზაციაში არსებული ემოციების კონტროლის სტრატეგია – აღმოჩნდა, რომ სოციალური მუშაკების მიმართ არსებული მკაცრი მოთხოვნები, რომლებიც კლიენტებთან ემოციურ კონტროლს უკავშირდებოდა, ე.წ. **Surface acting**, უარყოფითად აისახებოდა თანამშრომელთა ქცევასა და ემოციებზე. ცხადია, ეს კვლევა ნათელს ჰფენს იმ ფაქტორების მხოლოდ ნაწილს, რომლებიც გავლენას ახდენენ სოციალური მუშაკების კადრების დენადობაზე. პროფესიული კადრების დენადობა უცხო არც საქართველოსთვისაა. როგორც ზემოთ აღინიშნა, სოციალური მუშაკების კადრების ხშირი ცვლა გავლენას ახდენს მათ მიერ მიწოდებული მომსახურების ხარისხზე (Shaun et al., 2018). შესაბამისად, სოციალური მომსახურების სისტემის ხარისხის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია იმ ფაქტორების მეცნიერული შესწავლა, რომლებიც გავლენას ახდენს სოციალური მუშაკების სამუშაოდან წასვლის გადაწყვეტილებაზე.

როგორც ვხედავთ, სოციალური მუშაობის სფეროში კვლევები სხვადასხვა მიმართულებით ხორციელდება – ყველა მათგანის ძირითადი მიზანია მომსახურების სრულყოფა და ეფექტიანობის ზრდა. საინტერესოა, თავად სოციალურ მუშა-

კებს რა დამოკიდებულება აქვთ კვლევებისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული მიდგომის მიმართ. ამერიკელი მკვლევრები სწავლობდნენ სოციალური მუშაობის სპეციალობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტების დამოკიდებულებას სოციალური მუშაობის კვლევის მიმართ (Bolin et al., 2012). კვლევაში მონაწილეობდა 283 სტუდენტი. გამოყენებული იყო გამოკითხვის მეთოდი, რომელიც ეყრდნობოდა ლაიკერტის ოთხქულიან სკალაზე აგებულ კითხვარს. კვლევა სწავლობდა, თუ რამდენად მნიშვნელოვნად და სასარგებლოდ მიაჩნდათ რესპონდენტებს კვლევა სოციალური მუშაობისთვის და მათი ეს დამოკიდებულება რამდენად აისახებოდა კვლევებისადმი გამოვლენილ ინტერესში. როგორც შედეგებმა აჩვენა, იმ შემთხვევაში, როდესაც სტუდენტებს სჯეროდათ, რომ კვლევები ღირებული და სასარგებლო იყო სოციალური მუშაობისთვის, ისინი რეალურ ინტერესს იჩენდნენ კვლევის მეთოდების შესწავლისა და, ზოგადად, კვლევების მიმართ. შესაბამისად, კვლევის ავტორები უნივერსიტეტების აკადემიურ პერსონალს მოუწოდებენ, სოციალური მუშაობის სტუდენტები კვლევისადმი უფრო მეტად დადებითად განაწყონ, რადგან ასეთი დამოკიდებულება პირდაპირ აისახება მათ ქცევაზე – მეტი ცოდნა შეიძინონ კვლევის მეთოდების მიმართულებით (Bolin et al., 2012). მსგავსი კვლევა ჩატარდა ავსტრალიაში, მხოლოდ აქ კვლევისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის მიმართ დამოკიდებულება შეისწავლეს პრაქტიკოს სოციალურ მუშაკებთან (Grayet al., 2013). გამოკითხვის მეთოდით შესწავლილი იყო 364 სოციალური მუშაკის აზრი. მკვლევრები სწავლობდნენ, ერთი მხრივ, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ რესპონდენტებს კვლევის მიმართ და, მეორე მხრივ, რამდენად მიაჩნდათ, რომ კვლევები რეალურად ხელს უწყობს საჭირო ცვლილებებისა და რეფორმების გატარებას. შედეგებმა აჩვენა, რომ კვლევებისადმი დადებითი დამოკიდებულება და რწმენა, რომ კვლევის შედეგები ხელს უწყობს საჭირო ცვლილებების გატარებას, დომინირებდა, ძირითადად, მენეჯერულ რგოლსა და იმ რესპონდენტებში, რომლებსაც პროფესიული პრაქტიკის 10 წელზე მეტი გამოცდილება ჰქონდათ. ასევე გამოჩნდა რესპონდენტებს შორის მტკიცებულებისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის არაკვალიფიციური გაგება და ნაკლებად განვითარებული კვლევის უნარები.

IV. თავის შეჯამება

დამოკიდებულება – „ატიტუდი“ (attitude) არის რწმენათა ნაკრები, რომელიც გვაქვს განსაზღვრული ობიექტის მიმართ. ეს ობიექტი შეიძლება იყოს პიროვნება, საგანი ან მოვლენა. დამოკიდებულება შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. თუმცა ჩვენ შეიძლება გვქონდეს რალაციის მიმართ დამოკიდებულება, ყოველგვარი ძლიერი ემოციური ფონის გარეშე. დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაზე მოქმედებს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: ობიექტის მრავალჯერ ნარდგენა, დასწავლა, თვითაღქმა და ადამიანის ფსიქოლოგიური საჭიროებები. დამოკიდებულებების ცოდნა ადამიანის ქცევისა და მისი მდგომარეობის უკეთ გაგებაში

გვეხმარება, თუმცა არ არსებობს პირდაპირი კავშირი ადამიანის დამოკიდებულებასა და მის მიერ განხორციელებულ ქცევას შორის. პიროვნების დამოკიდებულებების ცოდნა მისი ქცევის ზუსტი პროგნოზირების საშუალებას არ იძლევა. დამოკიდებულებების გარდა, ადამიანის ქცევაზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა სუბიექტური ნორმები და ქცევის აღქმული კონტროლი. დაგეგმილი ქცევის თეორია (**Theory of Planned behavior, TPB**) განიხილავს სამ ფაქტორს, რომელთა ურთიერთდამოკიდებულება განსაზღვრავს ადამიანის ქცევას, ესენია: დამოკიდებულება, სუბიექტური ნორმები და ქცევის აღქმული კონტროლი. იცვლება თუ არა ერთხელ ჩამოყალიბებული დამოკიდებულებები? არსებული დამოკიდებულებების შეცვლაზე გავლენას ახდენს: (1) თვითაღქმა – რაც უფრო სუსტია გარკვეული ობიექტის მიმართ ადამიანის დამოკიდებულება ან უმნიშვნელოა მისი „მე“-სთვის, მით უფრო ადვილად ექვემდებარება ეს დამოკიდებულება ცვლილებას და (2) პიროვნების შიგნით მიმდინარე კოგნიტური დისონანსი – როდესაც პიროვნების დამოკიდებულება და მის მიერ განხორციელებული ქცევა ერთმანეთის საწინააღმდეგოა, ეს წინააღმდეგობა კი დისკომფორტს უქმნის მას, იგი იძულებული ხდება, შეცვალოს დამოკიდებულება ან ქცევა იმისთვის, რომ შეამციროს ამ წინააღმდეგობით გამოწვეული პიროვნული დისკომფორტი. პიროვნული ფაქტორების გარდა, ჩამოყალიბებული დამოკიდებულებების შეცვლაზე მოქმედებს ისეთი გარეგანი ფაქტორები, როგორებიცაა მასმედია და სხვა წყაროებიდან მომდინარე გზავნილები. დამოკიდებულებების ჩამოყალიბებისა და შეცვლის, ასევე, დამოკიდებულებებსა და ქცევას შორის არსებული არაერთგვაროვანი ურთიერთკავშირის დეტალები გათვალისწინებული უნდა იყოს ამ მიმართულებით კვლევების დაგეგმვის დროს.

არსებობს დამოკიდებულებების კვლევის პირდაპირი და არაპირდაპირი გზები. სოციალური მუშაობის სფეროში დამოკიდებულებების კვლევაში გაზომვის არაპირდაპირი გზებიდან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საზომი ლაიკერტის სკალაა. ეს უკანასკნელი დამოკიდებულებებს ზომავს კონტინუუმზე – „დადებითი – უარყოფითი“; დამოკიდებულებების გასაზომად რესპონდენტებს ეძლევათ სავარაუდო პასუხები და ისინი ირჩევენ იმ ერთ პასუხს, რომელიც საუკეთესოდ ასახავს მათი დამოკიდებულების მდებარეობას კონტინუუმზე – „დადებითი – უარყოფითი“. ლაიკერტის სკალა გულისხმობს ხუთქულიან კონტინუუმს; ორი პასუხი ასახავს უარყოფის სხვადასხვა ხარისხს (სრულიად არ ვეთანხმები, არ ვეთანხმები), ორი – თანხმობის სხვადასხვა ხარისხს (სრულიად ვეთანხმები, ვეთანხმები) და ერთი – ნეიტრალურ პასუხს (არც „ვეთანხმები“ და არც „არ ვეთანხმები“). ლაიკერტის მეთოდით შედგენილი ნებისმიერი საზომი შედგება ორი ნაწილისგან: დებულება და პასუხების სკალა. დებულებების აგებისას მნიშვნელოვანია შემდეგი წესების გათვალისწინება: (1) თავი ავარიდოთ ისეთი დებულების/კითხვის ჩამოყალიბებას, რომელიც ორ აზრს შეიცავს და ერთი დებულებით/კითხვით, რესპონდენტს ორი საკითხის შესახებ ვთხოვთ დამოკიდებულების გამოხატვას; (2) თავი ავარიდოთ რაოდენობრივ დებულებებს, რომლებიც გარკვეულ „ფარულ ცვლადს“

შეიცავს, (3) ნუ მივმართავთ მიმანიშნებელ კითხვებს. ლაიკერტის სკალის შემდგომ გამოყენებაში შეიცვალა ქულების რაოდენობა სკალაზე და ამჟამად ორიდან თერთმეტ ქულამდე მერყეობს. თუმცა ყველაზე გავრცელებულ პრაქტიკას ხუთ-და შვიდქულიანი სკალის გამოყენება წარმოადგენს. სკალაზე ნეიტრალური დამოკიდებულების გამომხატველი ქულა რესპონდენტებს ეხმარება, არ გამოხატონ საკითხისადმი დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება იმ შემთხვევაში, როდესაც საკუთარი აზრი ჯერ არ აქვთ ჩამოყალიბებული. ეს კი საშუალებას აძლევს მკვლევრებს, უფრო ზუსტი მონაცემები შეაგროვონ. თუ ლაიკერტის თავდაპირველ ვერსიაში სკალა ეხებოდა იმას, რამდენად ეთანხმებოდა ან არ ეთანხმებოდა რესპონდენტი მოცემულ დებულებას, შემდგომში მკვლევრებმა ლაიკერტის სკალა სხვა თემებთან მიმართებითაც გამოიყენეს, როგორებიცაა, მაგალითად: მნიშვნელობა, სიხშირე, ხარისხი და სხვ. იქიდან გამომდინარე, რომ ლაიკერტის სკალა რიგის სკალაა, მისი მონაცემების დამუშავებისას, ძირითადად, გამოიყენება მოდა, რომელიც გრაფიკულად შეიძლება კარგად წარმოდგენილი იყოს დიაგრამის სახით, და შეუძლებელია ისეთი საზომის გამოყენება, როგორიცაა საშუალო ან სტანდარტული გადახრა, რომელიც ინტერვალის სკალის მონაცემების დამუშავებისას გამოიყენება. ლაიკერტის სკალის ძირითად შეზღუდვებად დასახელებულია დებულებების მტკიცებითი ფორმით ფორმულირება, რაც დადებითი პასუხისკენ განაწყობს რესპონდენტს, ასევე სკალის შინაგანი სანდოობა და რესპონდენტის სოციალური სასურველობა.

სოციალური მუშაობის საერთაშორისო კვლევების ანალიზი აჩვენებს, რომ პროფესიის შემდგომი განვითარებისა და მომსახურების ეფექტიანობის ზრდისთვის ღირებული ინფორმაციის მიღება შეიძლება საზოგადოების, სოციალურ მუშაკთა პროფესიული თემისა და მომსახურების მიმღებთა დამოკიდებულებების კვლევით.

V. ძირითადი კითხვები /ან კითხვები რეფლექსიისთვის

1. გააანალიზეთ ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს დამოკიდებულების ჩამოყალიბებასა და შეცვლაზე;
2. რატომ არ იძლევა პიროვნების დამოკიდებულების ცოდნა მისი ქცევის ზუსტი პროგნოზირების საშუალებას?
3. რა უნდა ვიცოდეთ ლაიკერტის სკალაზე დაფუძნებული კითხვარის ჩამოყალიბების დროს?
4. რატომ განიხილება ლაიკერტის სკალა რიგის სკალად?
5. როგორ ხდება ლაიკერტის სკალით მიღებული მონაცემების ანალიზი?
6. დაახასიათეთ ლაიკერტის სკალის შეზღუდვები;
7. რატომ არის მნიშვნელოვანი სოციალურ მუშაობაში დამოკიდებულებების კვლევა?

VI. სავარჯიშოები

სავარჯიშო N1

ჩამოაყალიბეთ კვლევის მიზანი და ამოცანები, რომლებიც დაგეხმარებათ, გაიგოთ საზოგადოების დამოკიდებულება სოციალური მუშაობის მიმართ. შეადგინეთ ლაიკერტის მეთოდზე დაფუძნებული კითხვარი.

სავარჯიშო N2

ჩამოაყალიბეთ კვლევის მიზანი და ამოცანები, რომლებიც დაგეხმარებათ, გაიგოთ ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს საქართველოში სოციალური მუშაკების მიერ სამსახურიდან წასვლის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებაზე. შეადგინეთ ლაიკერტის მეთოდზე დაფუძნებული კითხვარი.

სავარჯიშო N3

აირჩიეთ სოციალური მომსახურების სისტემაში არსებული ერთ-ერთი პროგრამა და შეისწავლეთ მომსახურების მიმღებთა დამოკიდებულება ამ პროგრამის მიმართ. ჩამოაყალიბეთ კვლევის მიზანი და ამოცანები. შეადგინეთ ლაიკერტის მეთოდზე დაფუძნებული კითხვარი.

გამოყენებული ლიტერატურა

- Bolgün, C. & Şahin, F. (2018), Public perception and attitudes about social work in Turkey, *International Social Work*, 1-4.
- Bolin, B.L., Lee, K.H., GlenMaye, L.F., and Yoon, D. P. (2012). Impact of Research Orientation on Attitudes toward Research of Social Work Students, *Journal of Social Work Education*, 48 (2), 223-243.
- Cho, Y. J. & Song, H.J. (2017). Determinants of Turnover Intention of Social Workers: Effects of Emotional Labor and Organizational Trust, *Public Personnel Management*, vol. 46, 1: pp. 41-65.
- Festinger, L. (1957). *A Cognitive Dissonance Theory*, Stanford University Press.
- Gray, M., Joy, E., Plath, D., & Webb, S.A. (2013) Opinions about evidence: A study of social workers' attitudes towards evidence-based practice, *Journal of Social Work*, vol. 14, 1: 23-40.
- Icek Ajzen (1985) „From intentions to actions: A theory of planned behavior, Springer Publication
- Itzick, M., Kagan, M., & Ben-Ezra, M. (2016) Social worker characteristics associated with perceived meaning in life, *Journal of Social Work*, vol. 18, 3: 326-347.
- Kagan M. (2015) Public attitudes and knowledge about social workers in Israel, *Journal of Social Work*, 16 (2) 322-343.
- Kagan, M., & Zychlinski, E. (2017). The likelihood of seeking help from social workers in Israel: Effect of gender, religiosity and prior experience of receiving professional help from social workers, *Journal of Social Work*, 60 (6), 1482-1497.

- Kam, P.K. (2019) Social work is not just a job': The qualities of social workers from the perspective of service users, *Journal of Social Work*, 0 (0): 1-22.
- LaPiere, R. (1934) Attitudes vs. Actions. *Social Forces*, 13 (2), 230–237.
- Likert, Rensis (1932) A Technique for the measurement of attitudes, *Archives of Psychology*, 140 (1): 44-53.
- Myers, D., & Twenge, J.M (2015). *Social Psychology* (12th Edition), McGraw Hill Education.
- Ramon, Sh., Griffiths, C., Nieminen, I., Pedersen, M. & Dawson, I (2010) Towards Social Inclusion Through Lifelong Learning in Mental Health: Analysis of Change in the Lives of the Emilia Project Service Users, *International Journal of Social Psychiatry*, vol. 57, 3: 211-223.
- Shaun M. Eack, Sh. M. & Christina E. Newhill, Ch. E. (2018) What Influences Social Workers' Attitudes toward Working with Clients with Severe Mental Illness? Families in Society, 89 (3), 418-427.
- Tartakovsky, E. (2015) Personal value preferences and burnout of social workers, *Journal of Social Work*, vol. 16, 6: 657-673.
- Taylor, Sh. E., Letitia Anne Peplau, L.A., and Sears, D.O. (2005) *Social Psychology* (12th Edition), Pearson Education.
- Tesi, A., Aiello, A., & Giannetti, E. (2018). The work-related well-being of social workers: Framing job demands, psychological well-being, and work engagement, *Journal Of Social Work*, 0 (0), 1-21.
- Zajonc, R. B. (1968). Attitudinal effects of mere exposure. *Journal of Personality and Social Psychology*, 9(2.), 1–27.

თავი VIII

კვლევის შერეული მეთოდების გამოყენება სოციალურ მუშაობაში

შესავალი

წინამდებარე თავში განვიხილავთ კვლევის შერეულ მეთოდს, რადგან ის მიიჩნევა სოციალური მუშაობის კვლევისთვის უფრო შესაფერისად. წინა თავებში გაგაცანით სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდები, რომლებმაც ამ თავისათვის შეგამზადათ.

წარმოგიდგინთ კვლევის ამ მეთოდის განვითარების მოკლე ისტორიას, ტერმინთა განმარტებებს, რომ თქვენთვის დამაბნეველი არ იყოს სემანტიკური განსხვავებები მათ შორის და ეს არ გახდეს შემაფერხებელი საძიებო პროცესში.

გაგაცნობთ შერეული მეთოდით კვლევის განხორციელების მიზეზებსა და სხვადასხვა დიზაინს. გავიაზრებთ, კვლევის რომელ ეტაპზეა სასურველი მეთოდების შერწყმა, რა არის ამის მიზეზი; როგორია მონაწილეთა შერჩევის სპეციფიკა სხვადასხვა დიზაინში, რა არის რეკომენდებული შერჩევითი ერთობლიობის ზომა. ამის ფონზე შევეცდებით, გავიაზროთ, რომელი დიზაინია ყველაზე მომხიბლავი სოციალური მუშაობის კვლევისთვის და რა არის ამის მიზეზი.

I. ისტორია

კვლევის შერეული მეთოდი გაცილებით ახალია სოციალური მეცნიერებების კვლევაში. ის კვლევის ახალი „მოძრაობა“. მას სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ: „შერეული მეთოდოლოგია“, „მულტისტრატეგიული კვლევა“, „ინტეგრირებული მეთოდი“, „მულტიმეთოდური კვლევა“, „კომბინირებული მეთოდი“ (Denscombe, 2007:108). ამ სახელებით იწოდება კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების ნებისმიერი სახის კომბინირება. ხოლო თუ როგორ და რა დონეზე, კვლევის რომელ ეტაპზეა შესაძლებელი და/ან ეფექტიანი მათი შერწყმა, ამას წინამდებარე თავში განვიხილავთ.

კვლევის მეთოდებს შორის განსხვავებებსა და უპირატესობებზე განსჯა აგერ უკვე საუკუნეს ითვლის. ერთნი რაოდენობრივ კვლევას ანიჭებდნენ უპირატესობას, მეორენი კი თვისებრივს. ეს დისკუსია დღემდე გრძელდება ზოგიერთ სკოლასა და სამეცნიერო წრეში. თუმცა სოციალური მუშაობის სკოლებში იშვიათადაა ამ საკითხებზე კამათი. აღიარებულია კვლევის ორივე მეთოდის ძლიერი და სუსტი მხარეები და არსებობს შეთანხმება, რომ შერეული მეთოდი ამ სისუსტეების დაძლევის საუკეთესო საშუალებაა. არადა, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ

შტატებში „მეთოდების კონფლიქტი“ სწორედ კოლუმბიისა და ჩიკაგოს სკოლის მეცნიერთა შორის წამოიჭრა (ზურაბიშვილი, 2006:10) წინა საუკუნის დასაწყისში. ამჟამად კი, სოციალური მუშაობის აკვნად წოდებულ ნიუ-იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტში ასეთს ველარაფერს მოისმენთ.

II. რატომ კვლევის შერეული მეთოდი?

სანამ შერეული მეთოდით კვლევის განხორციელების მიზეზებს განვიხილავთ, გავიაზროთ, რა არის მისი ძირითადი შტრიხები.

დენსკომბის (2007) მიხედვით, კვლევის შერეულ მეთოდს სამი ძირითადი მახასიათებელი აქვს:

1. ორივე მეთოდის გამოყენება ერთ კვლევით პროექტში;
2. ორიენტაცია მიდგომებს შორის კავშირზე (ტრიანგულაცია);
3. საკვლევო პრობლემის პრაქტიკულ მიდგომებზე ფოკუსირება (პრაგმატიზმი).

რას გვაძლევს კვლევის მეთოდების შერევა? გრინი და კოლეგები თვლიან (1989), რომ ეძებენ მონაცემების შედარებას, გადამონმება-დაზუსტებას, შედეგების შესაბამისობას. როდესაც ორივე მეთოდით მიღებული ინფორმაცია მეტნაკლებად იდენტურია, მკვლევარი თავს უფრო დაჯერებულად გრძნობს და მიიჩნევს, რომ მიგნებები ზუსტია.

ოკეისინის (Orme & Shemmings, 2010) აზრით კი, მნიშვნელოვანია დავასაბუთოთ შერეული მეთოდის გამოყენების აუცილებლობა. ამისათვის კი საჭიროა:

1. დარწმუნებული ვიყოთ, რომ ეს შესაბამისი დიზაინია ამ კონკრეტული საკვლევო კითხვისთვის;
2. მან დაფაროს საკვლევო საკითხის მეტი ასპექტი, ვიდრე ერთ-ერთი მეთოდი ცალკე;
3. შერეული მეთოდის ისეთ ასპექტებს ჩასწვდეს, რასაც ერთ-ერთის გამოყენებით ვერ შეძლებს.

რა შემთხვევაში ვიყენებთ შერეულ მეთოდს?

- **როდესაც სიზუსტის გაუმჯობესება გვინდა.** თუმცა ის კვლევის ინსტრუმენტების განვითარებაშიც გვეხმარება. ასე მაგალითად, თუ მკვლევარს სურს კითხვარის შედგენა და მონაცემებს ფოკუსჯგუფით მოიპოვებს, მან უნდა გამოიყენოს უფრო შესაფერისი ენა, კონტენტი და სწორედ ასე სრულყოს კითხვარი და მისი ვალიდობა. ასე რომ, მეთოდების შერევა ფასეული კვლევის სტრატეგიაა, რადგან:

- მიგნებების ვალიდაცია მეთოდებს უფრო ზუსტს ხდის;
- ის კვლევის მეთოდების ხარვეზებს აკორექტირებს;
- ის ავითარებს და ხვეწს კვლევის ინსტრუმენტებს.

- **სურათის სრულყოფისათვის.** სხვადასხვა მეთოდის საშუალებით მიღებული მონაცემები კომპლემენტარულია. ისინი სხვადასხვა პერსპექტივას წარმოგვიდგენს, რომლებიც შერწყმისას უფრო მრავლისმომცველობით სურათს გვაძლევს, ვიდრე ამას მონომეთოდით შევძლებდით. ამასთან, გვაქვს არა

მხოლოდ რიცხვები, ასაკი, სქესი და ეთნიკური მონაცემები, არამედ ინფორმაცია თვითაღქმაზე, სტრესზე, განწყობებზე, შეგრძნებებზე.

- **როცა გვინდა ძლიერი და სუსტი მხარეების კომპენსირება.** წარმოიდგინეთ, გაინტერესებთ მატარებლის გამცილებლების ფიქრების, განწყობებისა და გრძნობების შესწავლა. ამას ნახევრადსტრუქტურული ინტერვიუებით გეგმავთ, მაგრამ, რადგან ამას დრო სჭირდება, ამასთან, თუ არც ისე ინტენსიური სარკინიგზო მიმოსვლაა ქვეყანაში, არ გყოფნით არც დრო და არც რესურსი, მონაცემები არ იქნება რეპრეზენტატიული. ამიტომ ამ სისუსტეს კითხვარს წააშველებთ და თან შეგიძლიათ, ქვეყანათშორისი სარკინიგზო მიმოსვლის მარშრუტის გამცილებლებიც ჩართოთ კვლევაში. თავდაპირველი მონაცემები უფრო დიდ მასშტაბზე შეგიძლიათ დატესტოთ. კითხვარები ცალკე არ მოგცემთ ღრმა შესწავლის საშუალებას, მაგრამ ამგვარი კომბინირებით ნამდვილად აიცილებთ კოლეგების კრიტიციზმს წარმომადგენლობითობასთან დაკავშირებით (Denscombe, 2007).

III. კვლევის შერეული მეთოდის სხვადასხვა დიზაინი

კრესველი და კლარკი (2011) გვაცნობენ შერეული მეთოდის ექვს დიზაინს: დადარებითი (იგივე კონვერგენტული/Convergent), აღწერითი (Explanatory), მოკვლევითი (იგივე ექსპლორატორული/Exploratory), ჩართული (Embedded), ტრანსფორმაციული (Transformative), მულტიფაზური (Multiphase). ავტორები თითოეულს ნათლად წარმოგვიდგენენ ცხრილში. მოდით, რამდენიმე მათგანი, რომლებიც ხშირად გვხვდება სოციალური მუშაობის კვლევაში, უფრო დეტალურად განვიხილოთ.

ცხრილი 8.1. შერეული მეთოდის დიზაინი

შერეული მეთოდის დიზაინი	მონაცემთა შეგროვებისთვის საჭირო გადანწყვეტილებები	რეკომენდაციები შერეული მეთოდით კვლევის დიზაინისთვის
დადარებითი	ორი შერჩევითი ერთობლიობა მოიცავს სხვადასხვა თუ ერთსა და იმავე ადამიანებს?	თუ მიზანია მონაცემთა შედარება, მაშინ ერთი და იმავე ადამიანებისაგან.
	შერჩევითი ერთობლიობა იდენტური ზომის იქნება?	გაიაზრეთ, რომელი ვარიანტი გამოიყენოთ: სხვადასხვა ზომის შერჩევითი ერთობლიობა? თუ ეს კვლევის შეზღუდვას ქმნის? თუ თანაბარი ზომის შერჩევითი ერთობლიობა?
	ერთი და იგივე კონცეპტი უნდა გაიზომოს თვისებრივად და რაოდენობრივად?	მოამზადეთ პარალელური კითხვები თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების შეგროვებისთვის.
	მონაცემები ორი სხვადასხვა წყაროდან შეგროვდება თუ ერთი წყაროდან?	შეაგროვეთ დამოუკიდებელი თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემები ორი სხვადასხვა წყაროდან.

აღწერითი	ორივე შერჩევაში სხვადასხვა ინდივიდები მიიღებენ მონაწილეობას თუ ერთი და იგივე?	ერთი და იგივე ინდივიდები უნდა მონაწილეობდნენ კვლევის თვისებრივ და რაოდენობრივ ფაზაზე.
	შერჩევითი ერთობლიობა იდენტური ზომის იქნება?	თვისებრივ ფაზას უფრო მცირე ზომის შერჩევითი ერთობლიობა აქვს, ვიდრე რაოდენობრივს.
	რომელი რაოდენობრივი შედეგები უნდა მოჰყვეს მომდევნო ფაზას?	დაფიქრდით სხვადასხვა ვარიანტზე, მომდევნო ფაზის საჭიროების გათვალისწინებით (მაგ., მნიშვნელოვანი შედეგი, მნიშვნელოვანი პრედიქტორი).
	როგორ შეირჩევიან მომდევნო მონაწილეები?	შეარჩიეთ მომდევნო მონაწილეები, თავდაპირველ რაოდენობრივ შედეგებზე დაყრდნობით.
მოკვლევითი	რომელი და რამდენი ინდივიდი უნდა მოიცვას მომდევნო რაოდენობრივმა ფაზამ?	რაოდენობრივი ფაზისთვის გამოიყენეთ შერჩევის სხვა და უფრო დიდი ზომის ერთეული და არა ის, რომელიც წინა ფაზაში იყო.
	რა/რომელ თვისებრივ შედეგებს გამოიყენებთ რაოდენობრივი მონაცემების განოციერებისათვის?	გამოიყენეთ თემები, კოდირება და ციტატები ინსტრუმენტის შექმნისა (მაგ., თემები აქციით ცვლადებად) ან ტაქსონომიის (მაგ., სხვადასხვა ჯგუფები) შემუშავებისათვის.
	როგორ შეირჩეს საუკეთესო ინსტრუმენტი?	გამოიყენეთ ძლიერი პროცედურა მასშტაბურობის გაზრდისთვის.
ჩართული	რატომ და როდის უნდა გამოიყენოთ მონაცემები კვლევაში?	რაოდენობრივი ფაზისთვის გამოიყენეთ სხვა, უფრო დიდი შერჩევა, ვიდრე თვისებრივში გქონდათ.
	მეორეული მონაცემების გამოყენება ცდომილებას ხომ არ გამოიწვევს?	შეაგროვეთ მეორეული მონაცემები მოკრძალებულად (მაგ., კვლევის მონაწილის მიერ დღიურის წარმოება ექსპერიმენტისას).
	რომელი დიზაინი ან პროცესი (თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების შესაკავშირებლად) უნდა გამოიყენოთ?	გაიაზრეთ, რომელი დიზაინი ან პროცესი უნდა გამოიყენოთ შერეული მეთოდით კვლევაში (მაგ., შემთხვევის შესწავლა, სოციალური ქსელი).
	მონაცემების შეგროვებისას რა არის გასათვალისწინებელი?	მოიკვლიეთ ლიტერატურა შერეული დიზაინის ან პროცესის გამოყენების თავისებურებებზე.

ტრანსფორმაციული	რა იარლიყებს გამოიყენებთ მონაწილეებთან მიმართებით?	გამოიყენეთ იარლიყები, რომლებიც მისაღებია მონაწილეთათვის.
	როგორ უზრუნველყოფთ ინკლუზიურობას კვლევაში?	შერჩევის პროცესი მონაწილეებთან თანამშრომლობით დაგეგმეთ.
	როგორ მოიპოვებთ კვლევის სამიზნე თემისათვის დამაჯერებელ/სარწმუნო ინფორმაციას?	ჩართეთ მონაწილეები თანამკვლევრებად (მაგ., მრჩეველთა საბჭო).
	რა ტიპის ინსტრუმენტებს გამოიყენებთ, რათა ისინი მგრძობიარე იყოს მონაწილეებისადმი?	მიმართეთ კვლევის მონაწილეებისადმი მგრძობიარე ზომებს.
	როგორ უზრუნველყოფთ, რომ მონაცემთა შეგროვების პროცესი მგრძობიარე იყოს საკვლევე თემის წარმომადგენლებისადმი?	გაუზიარეთ კვლევა მონაწილეებს (მაგ., რეფერალები, მიგნებების გაზიარება).
მულტიფაზური	რომელი მულტიშერჩევის სტრატეგია გამოიყენება სხვადასხვა ფაზაში ან პროექტში?	გამოიყენეთ კვლევის სხვადასხვა ფაზისა და პროექტისათვის შესაფერისი შერჩევის სტრატეგია.
	თანმიმდევრულიცა და პარალელური შერჩევაც მოხდება?	შეუთავსეთ შერჩევის სტრატეგია კვლევის ან პროექტის საჭიროებებს.
	როგორ გაუმკლავდება პროექტი გაზომვისა და მონაწილეების პერიოდულ შემცირებას?	გაითვალისწინეთ მოულოდნელად წარმოქმნილი პრობლემები, თავიდან დაუკავშირდით მონაწილეებს, რომლებიც შესაძლოა, გამოეთიშონ პროექტს.
	რა მიზნები (ან თეორიული სწრაფვა) დააკავშირებს ფაზებს ან პროექტს?	ერთი მიზნის იდენტიფიცირება საკვლევე მრავალფაზიანი დიზაინის ან პროექტის ერთ საკითხთან მიმართებით.

დადარებით დიზაინში, როგორც ცხრილში ხედავთ, მონაცემთა შეგროვება ერთდროულად ორივე მეთოდს მოიცავს. მონაცემთა ანალიზი კი ცალ-ცალკე იწყება და მომდევნო ეტაპზე ერთდება. დიზაინი ორივე მეთოდს თანაბარპრიორიტეტულად იყენებს, თუმცა ზოგიერთი მკვლევარი თავად გადაწყვეტს, რომელს მიანიჭოს დომინანტური როლი, კვლევის მიზნიდან გამომდინარე. მკვლევარმავე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება შერჩევით ერთობლიობასა და მონაცემების შეგროვებაზე. მონაცემთა შეგროვების შესახებ გადაწყვეტილება მოიცავს იმაზე ჩამოყალიბებას, თუ ვის შევარჩევთ, რა ზომის ჯგუფი და რა დიზაინის კითხვარი გვექნება, როგორი იქნება მონაცემთა შეგროვების ფორმატი და თანმიმდევრობა.

გადაწყვეტილების მიღება გვმართებს იმაზეც, თუ ვინ შეადგენს შერჩევით ერთობლიობას: ერთი და იგივე თუ სხვადასხვა ადამიანი. ამ დიზაინში ორივე ვა-

რიანტია შესაძლებელი. საქმე ისაა, როდის რომელი ვარიანტია უმჯობესი? სხვადასხვა ადამიანს შევარჩევთ, თუ მკვლევარი ცდილობს ინფორმაციის სინთეზირებას სხვადასხვა დონის მონაწილისაგან. მაგალითად, შილაჩიმ და კოლეგებმა (2004) იმუნიზაციის პრაქტიკის შესასწავლად გამოიყენეს მონაცემები რაოდენობრივი გამოკითხვით, რომლებიც ალბათური (იმავე შემთხვევითი) შერჩევით საოჯახო მეურნეობებიდან მოიპოვეს, თვისებრივი ეთნოგრაფიული მონაცემები კი ინდივიდებისაგან, რომლებიც სხვადასხვა ზრუნვის მიმწოდებელ ორგანიზაციაში მუშაობდნენ (მაგ.: ექიმები, ექთანები, პაციენტები). როდესაც მიზანია მონაცემების გადამოწმება-დაზუსტება, პირდაპირ შედარება ან ორი ტიპის მონაცემების დაკავშირება ამ თუ იმ საკითხზე, ავტორები გვირჩევენ ერთი და იმავე ინდივიდების გამოყენებას თვისებრივსა და რაოდენობრივ კვლევაში. მაგალითისთვის მორელი და ტენი (2009) წარმოგვიდგენენ რაოდენობრივ კვლევას, რომელშიც 230 სკოლის მოსწავლე იყო ჩართული და მათგან მხოლოდ 34-მა მიიღო მონაწილეობა თვისებრივ კვლევაში.

ალბათ დაგაფიქრათ 230:34 თანაფარდობამ. გადანყვეტილება გემართებს იმისიც, იდენტური ზომის უნდა იყოს თუ არა შერჩევითი ერთობლიობა. ავტორები სხვადასხვა ზომის შერჩევით ერთობლიობას გვირჩევენ, რომელშიც თვისებრივ კვლევაში ჩართული ჯგუფი გაცილებით მცირეა რაოდენობრივზე. ეს მკვლევარს ეხმარება საკითხის ღრმა თვისებრივ და ძლიერ რაოდენობრივ შესწავლაში. ჩნდება კითხვა, როგორ მოვახდინოთ ამ არათანაბარი ინფორმაციის შერწყმა? არსებობს რამდენიმე ვარიანტი.

მკვლევართა ნაწილი, განსაკუთრებით თვისებრივი მეთოდის მკვლევრები, ამ განსხვავებას ზომაში პრობლემად არ მიიჩნევენ, რადგან მონაცემთა შეგროვების მიზანი სხვადასხვაა მონაცემთა ამ ორი ბაზისათვის: რაოდენობრივი კვლევის მეთოდი განზოგადებას ისახავს მიზნად, ხოლო თვისებრივი – საკითხის ღრმად გააზრებას ადამიანთა მცირე ჯგუფისაგან.

თუ შერჩევითი ერთობლიობის ზომაში განსხვავება პრობლემატურია, არსებობს სხვა გზაც. ერთ-ერთ დადარებით კვლევაში, რომელიც მასწავლებელთა ცოდნასა და მულტიკულტურულ დამოკიდებულებებს სწავლობდა, კაპელა-სანტანამ (2003) რაოდენობრივი მონაცემები შეაგროვა 90 მასწავლებლისგან. მან ისინი მოინვია ინტერვიუზეც, რაოდენობრივი გამოკითხვისას მიღებული მონაცემების დასადასტურებლად. ამ თანაბარი ზომის შერჩევითი ერთობლიობის იდეამ შეინირა თვისებრივი მონაცემების სიმსუფე. თუმცა ეს ვარიანტი რეკომენდებულია მკვლევრებისათვის, რომლებიც მონაცემთა ტრანსფორმაციის ვარიანტს იყენებენ, რომლის დროსაც ორი დიდი, თანაბარი ზომის, ერთი და იმავე ადამიანებისაგან შემდგარი ჯგუფი მნიშვნელოვანია მოპოვებული თვისებრივი მონაცემების თანდათან რაოდენობრივად გადაქცევისათვის. როდესაც ორი ჯგუფის ზომა თანაბრად მცირეა, მკვლევარს უნევს ძლიერი რაოდენობრივი ტესტის გამოყენების იდეასთან შელევა.

უნდა მივიღოთ გადანყვეტილება იმაზე, მოვამზადოთ თუ არა პარალელური კითხვები თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების შეგროვებისთვის, რაც

გულისხმობს ერთი და იმავე კონცეპტის გამოყენებას როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ მონაცემთა შეგროვებისას ისე, რომ შეიძლებოდეს მათი შედარება და შერწყმა. ავტორების აზრით, ორი მონაცემთა ბაზის გაერთიანება ყველაზე კარგად მუშაობს, თუ კვლევის დიზაინი კითხვების პარალელურად დასმას გულისხმობს ორივე მეთოდით მონაცემების შეგროვებისას.

კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც უნდა ჩამოვყალიბდეთ, არის – როგორ შევავროვოთ დამოუკიდებელი თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემები – ორი სხვადასხვა, დამოუკიდებელი წყაროდან თუ ერთი წყაროდან. უპირველეს ყოვლისა, იმაზე უნდა ჩამოვყალიბდეთ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ვავროვებთ ინფორმაციას, სხვადასხვა ფორმის გამოყენებით (როგორებიცაა: რაოდენობრივი მონაცემებისა – კითხვარით და თვისებრივისა – ფოკუსჯგუფში ინტერვიუებით), თუ ორივე ერთი ფორმით შეგროვდება (როგორიცაა ერთი კითხვარი, ღია და დახურული კითხვებით). მიუხედავად იმისა, რომ მკვლევრები მონაცემთა ტრანსფორმაციისას უფრო ხშირად ერთ ფორმატს იყენებენ, ავტორები გვირჩევენ ორი, დამოუკიდებელი მონაცემთა სისტემის გამოყენებას ამ დიზაინის ფარგლებში.

თავსატყუბია, ასევე, თანმიმდევრობის საკითხი მონაცემთა ორი სისტემიდან ინფორმაციის შეგროვებისას. ჩვეულებრივ, დადარებითი დიზაინის გამოყენებისას მონაცემთა ერთი ფორმა (მაგ., გამოკითხვა) გამოიყენება მეორეზე (მაგ., ფოკუსჯგუფი) წინ. მაგრამ, თუ მკვლევარი თვლის, რომ მათ შორის ინტერაქცია არის შესაძლებელი მონაცემების შეგროვებისას (მაგ., ფოკუსჯგუფში მონაწილეობამ შესაძლოა მონაწილეთა პასუხები შეცვალოს კითხვარის შევსებისას), თანმიმდევრობის აღრევაც შეიძლება.

აღწერით დიზაინში მონაცემთა შეგროვების პროცედურა გულისხმობს ჯერ რაოდენობრივი მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს, შემდეგ კი, შედეგებზე დაყრდნობით, თვისებრივი კვლევის მონაცემთა ინფორმირებას. გამოდის, რომ ამ დიზაინში შერჩევა ორ ეტაპზე ხორციელდება: რაოდენობრივსა და თვისებრივზე. ამასთან, რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემთა შეგროვება არ არის დამოუკიდებელი პროცესი, არამედ ერთმანეთთანაა დაკავშირებული. რადგან მონაცემთა შეგროვება ერთმანეთზე დაშენებული პროცესია, ის რიგით პირველ მეთოდს აწინაურებს (ხდის წამყვანად), ამიტომ რაოდენობრივი მეთოდი მეტადაა ხაზგასმული, ვიდრე თვისებრივი.

აღწერითი დიზაინის მონაცემთა შეგროვებისას მნიშვნელოვანია გადანყვეტილების მიღება იმაზე, თუ ვინ იქნება მონაწილე მეორე ფაზაში, რა ზომის იქნება შერჩევის ერთეული, რა სახის მონაცემებს ვავროვებთ თითოეულ ფაზაში, ვისგან და ა.შ.

რადგან დიზაინის ეს ფორმა მიზნად ისახავს თავდაპირველი რაოდენობრივი შედეგების ახსნას თვისებრივ ფაზაში, რომელიც მოსდევს რაოდენობრივს, სწორედ თავდაპირველ ფაზაში მონაწილეები უნდა გადავიდნენ მომდევნო ფაზაში. მთელი არსიც ესაა ამ დიზაინისა, რომ რაოდენობრივი მეთოდით მიღებული ინფორმაცია შეავსოს თვისებრივში მიღებულმა. ამისთვის კი ყველაზე კარგი რე-

სურსი სწორედ ის ინდივიდები არიან, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საწყის – რაოდენობრივ ფაზაში.

ახლა გავიაზროთ შერჩევის ორივე ერთეულის ზომები. მკვლევართა ნაწილი არჩევს, პირველი ფაზის მონაწილეებმა სრულად მოიცვან თვისებრივი ფაზაც. თუმცა ავტორები გვირჩევენ, რომ მეორე ფაზაში მონაწილეთა რაოდენობა შევამციროთ. განსხვავებით დადარებითი დიზაინისაგან, ამ დიზაინის მიზანი არის არა მონაცემების შედარება ან შერწყმა, არამედ საკმარისი თვისებრივი მონაცემების შეგროვება მნიშვნელოვანი თემების წარმოსაჩენად. მაგალითად, როჟერსენ-ნტოუმანისა და ფოქსის (2005) კვლევაში ასეთი პროპორცია იყო: 312 მონაწილე რაოდენობრივ ფაზაში და მხოლოდ 10 თვისებრივი.

იმის დასადგენად, თუ რომელი შედეგების შესწავლაა საჭირო მომდევნო ფაზაში, ავტორები რამდენიმე ვარიანტს გვთავაზობენ. არსებითია იმის გააზრება, თუ რომელი მონაცემია ბუნდოვანი ან მოულოდნელი, რის გამოც საჭიროებს ჩაღრმავებას. აქ შეიძლება შერჩევის სტრატეგია შევიშუშაოთ სტატისტიკურად უმნიშვნელო ან, პირიქით, მნიშვნელოვანი შედეგების შერჩევის საფუძველზე, ან ცვლადებზე ორიენტაციით, რომლებიც მკვეთრად განსხვავდება ჯგუფებს შორის, ან დემოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ან შევარჩიოთ დევიანტური (იგივე ექსტრემალური) შემთხვევები (რომლებზეც წინა თავში ვისაუბრეთ).

მონაწილეთა შემცირების ვარიანტს თუ ვიყენებთ, კიდევ ერთი გადანყვეტილებაა მისაღები – მონაწილეთა შერჩევა მომდევნო ფაზისათვის. ხანდახან მონაწილეთა მოხალისეობა არის მათი შერჩევის მიზეზი მომდევნო ფაზისათვის. ან რაოდენობრივ ფაზაში გამოკვეთილი იმ მონაწილეების მიზანმიმართული შერჩევა, რომლებიც, მკვლევრის აზრით, ყველაზე მეტად ინფორმატიულები არიან მომდევნო ფაზისათვის, რადგან ყველაზე უკეთ შეუძლიათ საკვლევი მოვლენის ახსნაში დახმარება. მაგალითად, უეისა და კოლეგების კვლევაში (Way et al., 1994 in Cresswell&Plano Clark, 2011), რომელიც მიზნად ისახავდა დებრესიასა და ნივთიერების მოხმარებას შორის კავშირის დადგენას ურბანული და პერიფერიული დასახლებების მოსწავლეებს შორის, შეარჩიეს მოსწავლეთა ის 10%, რომლებშიც დებრესიის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გამოიკვეთა.

მოკვლევით დიზაინში, ჩვეულებრივ, მკვლევარი ჯერ თვისებრივი მონაცემების შეგროვებას იწყებს, ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით კი გადადის რაოდენობრივ ფაზაში. შერჩევა ორ ურთიერთდაკავშირებულ ფაზაში ხორციელდება. თუმცა დიზაინმა შეიძლება სამი ფაზაც მოიცვას. ეს მაშინ ხდება, როდესაც საწყის – საკვლევ ფაზას მოჰყვება ინსტრუმენტის, დიზაინის ფაზა და შემდეგ მისი ტესტირების ფაზა. ან, შესაძლოა, შუა ფაზა დაეთმოს ტიპოლოგიის განვითარებას, ან ინსტრუმენტის მაძიებლობას, ან მის მოდიფიკაციას.

ამ დიზაინში ძირითადია გადანყვეტილება:

- შერჩევის თაობაზე თითოეული ფაზისათვის;
- პირველი ფაზის შედეგების გამოყენებაზე;
- თუ შუა ფაზა გვაქვს, კარგი ფსიქომეტრული მახასიათებლების მქონე ინსტრუმენტის განვითარებაზე.

რაც შეეხება იმ საკითხს, თუ ვინ და რამდენი ადამიანი უნდა იყოს ჩართული რაოდენობრივ ფაზაში, აქ წინა დიზაინისაგან განსხვავებით, არ არის აუცილებელი იმავე ხალხის ჩართვა, რადგან რაოდენობრივი ფაზის მიზანია შედეგების განზოგადება. მეორე ფაზა უფრო მეტი მონაწილის ჩართვას ითხოვს, რომ მკვლევარმა შეძლოს მონაცემების სტატისტიკურად დამუშავება. მაგალითად, მილტონმა და კოლეგებმა (2003), განათლების პროგრამაზე ზემოქმედების ფაქტორების შესწავლისას, თვისებრივი ინტერვიუება ჩაატარეს ფაკულტეტის 11 წევრთან, ხოლო რაოდენობრივ ნაწილში 131 მონაწილე მოიწვიეს.

დასაფიქრებელია, ასევე, თვისებრივი კვლევის შედეგებიდან რომელი უნდა გამოვიყენოთ რაოდენობრივი ფაზისათვის. როგორც ცხრილშია ასახული, სანყისი ფაზა მომდევნო – რაოდენობრივი ფაზისთვის ინსტრუმენტის შემუშავების ძირითადი რესურსია. ტიპური, თვისებრივი მონაცემების ანალიზისთვის ავტორები გვირჩევენ, ტიპური ციტატები და წინადადებები გამოვიყენოთ კოდირებული ინფორმაციის დიდ თემებად ფორმირებისათვის. თვისებრივი მონაცემების ამგვარი კონფიგურაციით შერეული მეთოდით მოსარგებლე მკვლევარს შემუშავებული ინსტრუმენტის საშუალებით შეუძლია გამოიყენოს: ცენტრალური ფენომენი რაოდენობრივი კვლევის შესაფასებელ კონსტრუქტად; მნიშვნელოვანი თემები მასშტაბურობის გაზომვისთვის; თითოეული თემის ინდივიდუალური კოდები ცვლადებად; სპეციფიკური ციტატები კი სპეციფიკურ კითხვებად ინსტრუმენტზე.

დრო მოვიდა, ძლიერი ფსიქომეტრული ფუნქციის მქონე ინსტრუმენტის შექმნის პრინციპებზე დავფიქრდეთ. მკვლევარს შეუძლია სანყის ფაზაში გამოკვეთილი თემები გამოიყენოს, უკვე არსებული ინსტრუმენტის ამ თემებთან შეთავსებისთვის ან შექმნას ახალი ინსტრუმენტი, თვისებრივ ფაზაში მიღებულ მიგნებებზე დაყრდნობით.

ჩართულ დიზაინში თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება შესაძლებელია როგორც პარალელურად, ასევე თანმიმდევრობით. ამ დიზაინში ერთი ტიპის მონაცემები მეორე ტიპის მონაცემების შიგთავსია (მაგ., თვისებრივი მონაცემები ექსპერიმენტული ჩარევის კვლევაში ან თვისებრივი ინტერვიუს გამეორებად კორელაციურ დიზაინში). ამ მიდგომის ვარიანტია ორივე მეთოდით მიღებული მონაცემების ტრადიციულ დიზაინში განთავსება (მაგ., გეოგრაფიულ-საინფორმაციო გამოკითხვამ რომ მოიცვას რაოდენობრივი და თვისებრივი ინფორმაცია).

ტრანსფორმაციული დიზაინი განსაკუთრებით საინტერესოა სოციალური მუშაობისათვის, რადგან ზედმიწევნით ეხმიანება პროფესიულ ღირებულებებსა და კვლევის ეთიკას. დიზაინის ეს სახეობა ფორმირდება ტრანსფორმაციული თეორიული პერსპექტივის წიაღში, უსამართლობასთან ბრძოლის, მონყვლადი ჯგუფებისათვის სასიკეთო ცვლილებების ინიცირებისა და მიღწევისათვის. კვლევის ორივე მეთოდით მონაცემების შეგროვება შეიძლება როგორც პარალელურად, ასევე თანმიმდევრობით. დიდი ყურადღება ექცევა შერჩევას, კვლევის მონაწილეთა სარგებელს და მათთან თანამშრომლობას მონაცემების შეგროვების პროცესში.

კვლევის ამ დიზაინის მკვლევრები განსაკუთრებით კარგად უნდა იყვნენ მომზადებული მონაწილეებთან ურთიერთობისათვის, უნდა იცოდნენ მათი სასაუბრო ენა, ქცევის ეტიკეტი. ასეთი კვლევის ფარგლებში სპეციალურ ტრენინგებსაც კი გადაინტერვიუებები. მაგალითად, თუ კვლევა შშმპ-ის მონაწილეობით ხორციელდება, მკვლევარმა ზედმინევნით კარგად უნდა იცოდეს შშმპ-თა სხვადასხვა ჯგუფთან ურთიერთობა, სპეციალურადაც კი გადამზადებულან ისინი შეზღუდულობის სოციალურ მოდელში, რათა მისი არსი ესმოდეო.

დიდი სიფრთხილით უნდა მოიძებნოს შერჩევის სტრატეგია. ის აუცილებლად ინკლუზიური უნდა იყოს, რათა ტრადიციულად გარიყული თემი წარმოდგენილი იყოს კვლევაში, რომელიც მათზეა ან მათთან დაკავშირებულ მოვლენებს შეისწავლის და ჰქონდეს შეგრძნება, რომ პროცესების მონაწილეა და არა კვლევის შედეგებისა, თუნდაც მისი სიკეთეების პასიური მიმღები. ხშირად მკვლევრები, განსაკუთრებით, თუ ისინი სოციალური მუშაკები არიან, თანამშრომლობითი მიდგომით აყალიბებენ შერჩევის პრინციპებს. მაგალითად, პეინი (2008) აღწერს, როგორ შექმნა კვლევის გუნდი ქუჩის ცხოვრებით მცხოვრები ოთხი აფროამერიკელი მამაკაცისაგან, მედეგობის კვლევისას. მან მათთან ერთად შეადგინა ქუჩაში მცხოვრებთა რუკა, გაიაზრა მოკავშირეთა ჯგუფები, თოვლის გუნდის შერჩევის მეთოდით.

ამ დიზაინის ფარგლებში განსაკუთრებით მხარდაჭერილია საკვლევ თემთან ეფექტიანი კომუნიკაცია კვლევის გუნდის მხრიდან, თემის კულტურული მახასიათებლების გათვალისწინება და მისი მონაწილეობა სოციალური ცვლილების პროცესებში. ამის მიღწევის ერთ-ერთი გზაა მრჩეველთა საბჭოს ფორმირება, საკვლევ თემის წარმომადგენელთა ჩართულობის მიზნით. ამასთან, საბჭო მაქსიმალურად დაკომპლექტებული უნდა იყოს სხვადასხვა უმცირესობის ჯგუფის წარმომადგენელთაგან.

დიზაინი ასევე ხაზს უსვამს კვლევისას ურთიერთსარგებლიანი გარემოს შექმნას. საკმარისი არ არის ისეთი კვლევის განხორციელება, რომელიც სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს საკვლევ თემისათვის, არამედ ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს კვლევის შედეგების გავრცელებაზე თემში. კუმანია და კოლეგების (2000) კვლევა საკვლევ თემის წარმომადგენლებს უფასო აივ/შიდსის ტესტირებითა და კონსულტირებით, სამედიცინო კლინიკაში რეფერირებითა და საკვებით უზრუნველყოფდა. ასევე შანსს აძლევდა მათ, გამხდარიყვნენ თანასწორგანმანათლებლები ნივთიერებების მომხმარებელთათვის.

გარდა იმისა, რომ გასააზრებელია, რომელ ეტაპზე შეგვიძლია „შერევა“, შერეული მეთოდით კვლევის განხორციელება ხშირად შერეული მეთოდით შერჩევას გულისხმობს. ეს კი ორი ტიპის შერჩევას ნიშნავს: ალბათური/შემთხვევითი (რომელიც განზოგადების საშუალებას იძლევა) და არაალბათური/მიზნობრივი (დასკვნის ხარისხს ზრდის). მოდით, გავიაზროთ, როგორია შერჩევის პრინციპი. წარმოგიდგინებ ყველაზე ხშირად გამოყენებულ შერჩევის პროცედურებს კვლევის შერეულ მეთოდში (Tashakkori&Teddlie, 2003).

შერჩევის ტექნიკა	რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება	თვისებრივი მონაცემების შეგროვება	რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების შეგროვება
შემთხვევითი შერჩევის ტექნიკა	ხშირად ხდება (1 უჯრედი)	იშვიათად ხდება (2 უჯრედი)	ხანდახან ხდება (3 უჯრედი)
არაალბათური შერჩევის ტექნიკა	იშვიათად ხდება (4 უჯრედი)	ხშირად ხდება (5 უჯრედი)	ხანდახან ხდება (6 უჯრედი)
შერეული მეთოდით შერჩევის სტრატეგია	ხანდახან ხდება (7 უჯრედი)	ხანდახან ხდება (8 უჯრედი)	ხშირად ხდება (9 უჯრედი)

მე-9 უჯრედი ყველაზე ხშირად გამოსაყენებელი შერჩევის ტექნიკაა შერეულ კვლევაში. ასე მაგალითად, კონკრეტული მონაწილეების, თუნდაც აღმზრდელების, შერჩევა ფოკუსჯგუფისათვის შეიძლება, გამონვეული იყოს თავდაპირველი გამოკითხვისას ალბათური/შემთხვევითი შერჩევით შერჩეულ მონაწილეთაგან. მეორე შერჩევითი ერთობლიობა (ფოკუსჯგუფისთვის) კი იმიტომ გვჭირდება, რომ კონკრეტული პროფილის აღმზრდელები გვჭირდება, რომლებიც ოპერაციულად განისაზღვრა იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც კითხვარის პასუხებიდან მივიღეთ შერჩევის პირველი ჯგუფიდან.

IV. რატომ ვიყენებ კვლევის შერეულ მეთოდს სოციალური მუშაობის კვლევაში

სოციალურ მუშაობაში მნიშვნელოვანია იმ სოციალური საკითხების ზედმიწევნით კარგად ცოდნა, რომლებსაც დიდი ზეგავლენა აქვს იმ ადამიანების ცხოვრებაზე, რომლებიც სოციალური მუშაკის მომსახურებას საჭიროებენ, მათ შორის, მათი, ვინც სოციალური მომსახურებით სარგებლობენ. ასეთები კი შეიძლება იყვნენ როგორც ეკონომიკური პრობლემების მქონე ადამიანები, ასევე ასეთი პრობლემების უქონელები; ადამიანები, რომლებიც ფორმალურ ან არაფორმალურ ზრუნვას იღებენ და/ან ახორციელებენ; ადამიანები, რომლებიც კანონთან კონფლიქტში არიან ან მათ ირგვლივ მყოფნი; სხვადასხვა ნიშნით მონყვლადი ადამიანები ან მათი ჯგუფები; მოკლედ, ეს სია უსასრულო შეიძლება იყოს ისევე, როგორც უსასრულოა სოციალური თემები და/ან მოვლენები, რომლებსაც სოციალური მუშაკები იკვლევენ, ან, რომელთა კვლევითაც ისინი შეიძლება დაინტერესდნენ.

ამ საკითხების კვლევისათვის კი საკმარისი არ არის ხოლმე კონკრეტული მოვლენის განყენებულად შესწავლა და გააზრება. საჭიროა ამ მოვლენების და მათზე ზეგავლენის ფაქტორების გაგებაც. კვლევისას მოპოვებულ ინფორმაციას კი შეუძლია კონკრეტული სოციალური მოვლენების განსხვავებული ზეგავლენის ახსნა ადამიანებზე, მათი ასაკის, სქესის, რასის, ფიზიკური და მენტალური შესაძლებლობებისა და სხვა მახასიათებლების მიხედვით. ასევე მნიშვნელოვანია ინდი-

ვიდებზე გარემოებების ზეგავლენის შესწავლა. თუ ვთანხმდებით, რომ ადამიანი მისი გარემოს პროდუქტია, მაშინ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება შერეული მეთოდით კვლევას.

რამდენიმე საუკეთესო კვლევა აერთიანებს რაოდენობრივსა და თვისებრივ მეთოდებს. ამის კარგი მაგალითია მაკროის (McRoy, 1981) კვლევა შვილად აყვანილი ბავშვების თვითშეფასებაზე განსხვავებული და იდენტური რასის ოჯახებში. რაოდენობრივ კვლევაში მკვლევარს კვლევამ განსხვავებები არ უჩვენა ამ ორ ჯგუფს შორის, როდესაც თვისებრივმა ისინი აღმოაჩინა. ამ შეუსაბამო მიგნებების გამო, მკვლევარმა თვისებრივი მეთოდიც გამოიყენა, ღია კითხვებისა და ზონდირების საშუალებით ინტერვიუებით. მას აინტერესებდა, როგორ უმკლავდებიან მშობლები იდენტობის პრობლემებს განსხვავებული რასის ბავშვებთან. თვისებრივმა კვლევამ გამოავლინა სხვადასხვა ფაქტორი, რომლებსაც გარკვეული ზეგავლენა შეიძლება ჰქონოდა რასობრივ განსხვავებულობასთან გამკლავების პროცესზე. ესენია: მშობელთა დამოკიდებულებები, და-ძმებს შორის ურთიერთობები, თანატოლებთან ურთიერთობები, როლური მოდელის არსებობა, სკოლისა და თემის რასული კომპოზიცია, რასიზმისა და დისკრიმინაციის გამოცდილება.

ასეთივე საინტერესო კვლევას გვიზიარებენ რუბინი და ბაბი (2011). სოციალური მუშაკის მთავარი ამოცანაა, დაადგინოს, რამდენად განსხვავდება ცხოვრების ხარისხი ჯანდაცვის ორ სხვადასხვა მომსახურებაში: ჰოსპიტალურ მომსახურებასა და ჰოსპისში. სოციალურმა მუშაკმა სტანდარტიზებული კითხვარი შეავსებინა თითოეული პაციენტის ოჯახის წევრს რაოდენობრივ კვლევაში, რომელშიც იკვლევდა პაციენტის ტკივილის ხარისხს, სამედიცინო ტექნოლოგიების შედეგად გამოწვეულ არასასურველი გვერდითი ეფექტების სიხშირეს (როგორცაა თმის ცვენა ქიმიოთერაპიის შემდეგ), პაციენტის გუნება-განწყობას, მის საქმიანობას და ა.შ. ტესტი ქულათა დაჯამების პრინციპით განსაზღვრავდა ცხოვრების ხარისხის დონეს. თუ ჰოსპისში მყოფი პაციენტის ქულები უფრო მაღალი იქნებოდა, ვიდრე სტანდარტულ სამედიცინო კლინიკაში, სოციალური მუშაკი დაასკვნოდა, რომ ჰოსპისი უფრო ეფექტიანია პაციენტის ცხოვრების ხარისხის უზრუნველყოფისათვის. თუმცა ის სკეპტიკურად იყო განწყობილი, რამდენად უნარიანია ინსტრუმენტი ცხოვრების ხარისხის კომპლექსური ასპექტების გაზომვისათვის, რადგან ის მხოლოდ ზედაპირულად ზომავს, იძლევა ნუმეროლოგიურ მონაცემს და ძალიან მწირ ინფორმაციას პაციენტის გამოცდილებაზე, ამ უკანასკნელის მნიშვნელობაზე პაციენტისათვის. ამიტომ სოციალურმა მუშაკმა გადაწყვიტა უფრო სუბიექტური და თვისებრივი მიდგომის არჩევა.

ეს კი გაცილებით მეტ დროს ითხოვდა მისგან. ის უნდა ყოფილიყო ჰოსპისში, ესაუბრა ჰოსპისის თანამშრომლებსა და პაციენტის ახლობლებთან. მას უნდა ენარმოებინა ჩანაწერები, აესახა ყველაფერი, რასაც აკვირდებოდა და რასაც აღმოაჩენდა (ჩანაწერების წარმოების ტექნიკაზე მეექვსე თავში ვისაუბრეთ). სწორედ უშუალო დაკვირვებით სოციალურმა მუშაკმა აღმოაჩინა განსხვავებები პაციენტთან მოპყრობაში ამ ორ სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში.

სოციალური მუშაკებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შერეული მეთოდის გამოყენება კვლევაში, რადგან მათ უნდა ესმოდეთ როგორც მდგომარეობა, რომელსაც ადამიანების ცხოვრებაზე ზეგავლენა აქვს, ასევე ისიც, თუ როგორ იაზრებენ თავად ისინი საკუთარ გამოცდილებასა და ამ მდგომარეობას.

V. თავის შეჯამება

კვლევის შერეული მეთოდი კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდის სისუსტეების დაძლევის საუკეთესო საშუალებაა. მისი ძირითადი მახასიათებლებია: კვლევის ორივე მეთოდის გამოყენება, ტრიანგულაცია და პრაგმატიზმი (დენსკომბი, 2007). მას ხშირად ვიყენებთ სოციალური მუშაობის კვლევაში, რადგან ჩვენს პროფესიაში მნიშვნელოვანია ზედმინევენით კარგად ცოდნა იმ სოციალური საკითხებისა, რომლებსაც დიდი ზეგავლენა აქვთ სოციალურ მუშაკთა კლიენტებზე. ამ საკითხების კვლევისათვის კი საკმარისი არ არის ხოლმე კონკრეტული მოვლენის განყენებულად შესწავლა და გააზრება. საჭიროა ამ მოვლენების და მათზე ზეგავლენის ფაქტორების გაგებაც. ასევე მნიშვნელოვანია ინდივიდებზე გარემოებების ზეგავლენის შესწავლა.

კრესველი და კლარკი (2011) გვაცნობენ შერეული მეთოდის ექვს დიზაინს, ესენია: დადარებითი, აღწერითი, მოკვლევითი, ჩართული, ტრანსფორმაციული, მულტიფაზური. თავში მიმოხილულია პირველი ხუთი, რადგან ისინი უფრო ხშირად გვხვდება სოციალური მუშაობის კვლევაში. თავი გვირჩევს, თითოეული ამ მეთოდის მიხედვით, კვლევის ცალკეულ ფაზაში როგორი გადაწყვეტილების მიღებაა უმჯობესი.

მაგალითად, თუ დადარებით დიზაინში მონაცემთა შეგროვება ერთდროულად ორივე მეთოდს მოიცავს, აღწერით დიზაინში ჯერ რაოდენობრივი მონაცემები გროვდება და ის არის თვისებრივი მონაცემების ინფორმირების წყარო. ექსპლდდიზაინში პირიქით ხდება – ჯერ თვისებრივი მონაცემები გროვდება, ხოლო შემდეგ რაოდენობრივი. ჩართულსა და ტრანსფორმაციულ დიზაინში თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება პარალელურადაც შეიძლება და თანმიმდევრულადაც. ამასთან, ტრანსფორმაციული დიზაინი გამორჩეულად საინტერესოა სოციალური მუშაობისათვის, რადგან ფორმირდება ტრანსფორმაციული თეორიული პერსპექტივის წიაღში, უსამართლობასთან ბრძოლისა და მონყვლადი ჯგუფებისათვის სასიკეთო ცვლილებების მიღწევისათვის.

ასეთი განსხვავებულია რჩევები შერჩევითი ერთობლიობის ზომასთან დაკავშირებით. თუმცა ყველაზე ხშირად გამოყენებული შერჩევის სტრატეგია კვლევის შერეულ მეთოდში შერეული მეთოდით ხდება (Cresswell&Plano Clark, 2011). ასე მაგალითად: დადარებით დიზაინში სხვადასხვა ზომის შერჩევით ერთობლიობას გვირჩევენ ავტორები; აღწერით დიზაინში მკვლევართა ერთი ჯგუფი გვირჩევს, რომ სრულად მოვიცვათ პირველი ფაზის მონაწილენი, მეორენი მეორე ფაზაში მონაწილეთა შემცირებას გვთავაზობენ; მოკვლევით დიზაინში არ არის აუცი-

ლებელი იმავე მონაწილეთა ჩართვა მეორე ფაზაში; ჩართულში რაოდენობრივი ფაზისთვის უფრო დიდი შერჩევის გამოყენებას გვირჩევენ; ტრანსფორმაციულში კი მთავარი აქცენტი ინკლუზიურობაზეა. განსხვავებულია მონაცემთა ანალიზის თანმიმდევრობა თვისებრივსა და რაოდენობრივ მონაცემებს შორის შერეულ კვლევაში და ა.შ.

თავი გვაცნობს რამდენიმე საინტერესო კვლევას, რომლებიც აერთიანებს რაოდენობრივსა და თვისებრივ მეთოდებს. ორივე მეთოდით მიღებული მსგავსი ინფორმაცია მკვლევარსაც უფრო თავდაჯერებულად აგრძნობინებს თავს და კვლევის მიგნებებსაც მატებს სიზუსტეს. დენსკომბის (2007) მიხედვით, ორივე მეთოდის გამოყენების გარდა, კვლევის შერეული მეთოდის ძირითადი მახასიათებელი ნიშნებია: ტრიანგულაცია და პრაგმატიზმი.

VI. ძირითადი კითხვები/კითხვები რეფლექსიისთვის

1. რა არის კვლევის შერეული მეთოდის ძირითადი მახასიათებელი?
2. თქვენი აზრით, რომელი მეთოდი აძლევს სოციალურ მუშაკს მეტ და უფრო დამაჯერებელ ინფორმაციას?
3. თუ კვლევა ქუჩასთან კონტაქტში მყოფ პირებს ეხება, კვლევის ჯგუფის წევრები როგორ უნდა მოემზადონ მათთან სამუშაოდ? რა უნდა იცოდნენ მათ შესახებ?
4. მეთოდი ნამყვანი კვლევაში თუ საკვლევი საკითხი?
5. შერეული მეთოდით კვლევის განხორციელება შერეული მეთოდით შერჩევას გულისხმობს?
6. ტრანსფორმაციულ დიზაინში რა არის შერჩევის სტრატეგიის მთავარი მახასიათებელი?

VII. სავარჯიშო

სავარჯიშო N1

თქვენ იკვლევთ სკოლაში მასწავლებლებსა და ბავშვებს, ბავშვებსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, მასწავლებლებსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შორის ინტერაქციის პატერნებს. კვლევის რომელ დიზაინს გამოიყენებდით? დაასაბუთეთ პასუხი.

სავარჯიშო N2

თქვენ გაინტერესებთ ყოფილ პატიმარ ქალთა რესოციალიზაციის ხელშემშლელი ფაქტორების გამოვლენით მათ დაძლევაზე მუშაობა. შერჩევის რა ფორმას გამოიყენებთ? როგორ მიაღწევთ წარმომადგენლობითობას?

სავარჯიშო N3

თქვენ გაინტერესებთ, რატომ არ ხდება ბავშვზე ძალადობის ფაქტების შეტყობინება სკოლიდან შესაბამის ორგანოებში. როგორ შეუდგებოდით ამ მოვლენის შესწავლას?

გამოყენებული ლიტერატურა

- Creswell, J.W., Clarl, P. (2011). Designing and Conducting Mixed Methods Research. Sage Pulications Inc.
- Denscombe, M. (2008). The Good Research Guide: For Small-scale Social Research Projects. Open University Press.
- Orme, J., Shemmings, D. (2010). Developing Research Based Social Work Practice. Palgrave MacMillan.
- Rubin, A., Babbies, E.R. (2011). Research in Social Work, Boos/Cole Cengage Learning.
- Tashakkori, A., Teddlie C. (2003). Handbook of Mixed Mrthods in Social & Behavioral Research. Sage Publications Inc.

თავი IX

ინტერნეტისა და სოციალური მედიის გამოყენება სოციალური მუშაობის კვლევაში

I. შესავალი

მას შემდეგ, რაც ინტერნეტი ხელმისაწვდომი გახდა ფართო საზოგადოებისთვის, ის ეფექტურად გამოიყენება მეცნიერებს შორის კომუნიკაციისა და კვლევითი მიზნებისთვის. დღეს, როდესაც ადამიანის სოციალური ფუნქციონირების ყველა სფეროში დანერგილია ინტერნეტტექნოლოგიები, სმარტფონები და სხვადასხვა ინტერნეტაპლიკაცია, ინტერნეტის გამოყენებამ კიდევ უფრო მყარად მოიკიდა ფეხი აკადემიურ სფეროში – სულ უფრო პოპულარული ხდება ელექტრონული წიგნები და ჟურნალები, ინტერნეტის გამოყენება კვლევაში.

მკვლევრები აღნიშნავენ ინტერნეტის დახმარებით გამოყენებული კვლევების რამდენიმე უპირატესობას: უპირველეს ყოვლისა, ის საშუალებას იძლევა, დიდი რაოდენობით მონაცემები შევკრიბოთ სწრაფად და ადვილად; მეორე, ინტერნეტის გამოყენებით მკვლევრებს შეუძლიათ, უფრო მრავალფეროვანი შერჩევა ჰქონდეთ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ სამიზნე ჯგუფი რთულად ხელმისაწვდომია, მაგალითად, ლგბტ-ჯგუფი ან წამალდამოკიდებულები; დაბოლოს, ინტერნეტით ჩატარებული კვლევები მნიშვნელოვნად ზოგავს რესურსებს (Cheung, Burns, Sinclair, & Sliter, 2017; Gosling & Mason, 2015).

ბოლო წლებში გაიზარდა მკვლევრების ინტერესი სოციალური მედიისადმი, რომელიც ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. თუ განვიხილავთ სოციალურ ქსელებს (რომლებიც სოციალური მედიის ერთ-ერთ ქვეჯგუფს წარმოადგენს), ფეისბუქს მილიარდ-ნახევარი მომხმარებელი ჰყავს, ხოლო ტვიტერზე ყოველდღიურად 500 მილიონზე მეტი „ტვიტი“ იგზავნება. სოციალური მედიის ადვილად და სწრაფად ხელმისაწვდომი მონაცემების ასეთი გავრცელების გამო, მკვლევრები სულ უფრო მეტად ინტერესდებიან ამ მონაცემების კვლევაში გამოყენებით. სოციალური მედიის მონაცემების ანალიზს ბევრი ქვეყნის მთავრობაც მიმართავს – მტკიცებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად.

ამ თავში განხილული იქნება ინტერნეტის გამოყენებით ჩატარებული კვლევების თავისებურებები, მათი უპირატესობები და გამოწვევები. დეტალურად განვიხილავთ სოციალური მედიის კვლევის თავისებურებებს. წარმოდგენილი იქნება სოციალური მედიის განსხვავებული დეფინიციები – განსხვავებული კატეგორიები და მათი კავშირი კვლევასთან. გაანალიზებულია სოციალური მედიიდან მონაცემების შეგროვების სტრატეგიები და მათი ანალიზის გზები. დაბოლოს, გან-

ნილულია ის ეთიკური გამოწვევები, რომლებიც თავს იჩენს ინტერნეტკვლევების ჩატარების დროს.

II. კვლევაში ინტერნეტის გამოყენების თავისებურება

სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ავტორის მიერ შესრულებულმა ლიტერატურის მიმოხილვამ აჩვენა, რომ ინტერნეტკვლევები, ძირითადად, ფოკუსირებული იყო ოთხ თემაზე – ჯანმრთელობა, ბიზნესი, საზოგადოება და ადამიანებისა და ტექნოლოგიების ურთიერთკავშირი (Peng et al. 2013). მეთოდები, რომლებსაც მკვლევრები ინტერნეტკვლევებისას იყენებდნენ, დროთა განმავლობაში ცვლილებებს განიცდიდა. ინტერნეტის გამოყენების ადრეულ პერიოდში, უმეტესწილად, დომინირებდა მარტივი კითხვარების გამოყენება (Gosling & Bonnenburg, 1998), ექსპერიმენტები კომპიუტერის მეშვეობით კომუნიკაციების შესასწავლად (Guadagno & Cialdini, 2002; 2007) და მარტივი ექსპერიმენტები კომპიუტერული პროგრამების შესაქმნელად (Fraley, 2004). დღეს სოციალურ მეცნიერებებში ფართოდ გამოიყენება ელექტრონული გამოკითხვის მეთოდი, შექმნილია ინტერნეტგამოკითხვის აპლიკაციები, როგორებიცაა, მაგალითად, SurveyMonkey: surveymonkey.com ან Qualtrics: qualtrics.com, რომელთა გამოყენება უკვე სმარტფონებშიც არის შესაძლებელი. ასევე დანერგილია თვითადმინისტრირებადი კითხვარების რესპონდენტებთან ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნის პრაქტიკა (Edlund, E. 2019). ელექტრონული გამოკითხვის მეთოდი განსაკუთრებით ეფექტურია იმ ჯგუფებთან სამუშაოდ, რომლებიც ადვილად ხელმისაწვდომი არ არის. მაგალითად, Reece-ის და კოლეგების მიერ ჩატარებულ კვლევაში გამოკითხული იყო 25 295 გეი და ბისექსუალი მამაკაცი, მათთვის დამახასიათებელი სექსუალური ქცევის თაობაზე (Reece et al. 2010). მათი რეკრუტირება მოხდა გეი მამაკაცებისთვის არსებული ინტერნეტსოციალური ჯგუფებიდან. ამ შემთხვევაში, მკვლევრებმა საკმაოდ დიდი შერჩევა მიიღეს, რის მიღწევაც შეუძლებელი იქნებოდა კვლევის ტრადიციული მეთოდებით ჩატარებით.

ონლაინგამოკითხვებს ხშირად იყენებენ სხვადასხვა ფსიქომეტრული ინსტრუმენტის¹ ვალიდაციისთვის. მაგალითად, Anderson-ისა და მისი კოლეგების მიერ ჩატარებული ინტერნეტგამოკითხვა გამოყენებული იყო ჰოსპიტალიზაციის შფოთისა და დეპრესიის სკალის ვალიდაციისთვის, როგორც „ონლაინ“, ისე „ოფლაინ“ ჩასატარებლად (Anderson et al. 2003).

როგორც ვხედავთ, ინტერნეტის გამოყენებით შესაძლებელია მოკლე დროში მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მონაცემების შეგროვება, და ზოგ შემთხვევაში ისეთი მონაცემების მიღება, რომელთა შეგროვება კვლევის ტრადიციული მეთოდების საშუალებით შეუძლებელი იქნებოდა. თუმცა ინტერნეტის საშუალებით ჩატარებულ კვლევებს ასევე გამოწვევებიც აქვს, რომლებიც, უპირველესად, მონაცემების ხარისხსა და კვლევის შერჩევას უკავშირდება. მკვლევარსა და

¹ ფსიქომეტრული ტესტები ზომავს ინდივიდის პიროვნულ ან პროფესიულ მახასიათებლებს.

რესპონდენტებს შორის ფიზიკური კონტაქტის არარსებობის გამო, შეუძლებელია ისეთი ფაქტორების კონტროლი, როგორცაა, თუნდაც, ის გარემო, რომელშიც მიმდინარეობს კვლევა (მაგალითად, შესაძლოა, რესპონდენტი კითხვარს დამოუკიდებლად არ ავსებს) ან რესპონდენტის ქცევა (მაგალითად, ზუსტად არ მისდევს კითხვარის ინსტრუქციას), რამაც შესაძლოა, გავლენა მოახდინოს მონაცემების სიზუსტეზე. ასევე არსებობს დაშვება, რომ ონლაინგამოკითხვებში ადამიანები მეტად ცრუობენ, მაგალითად, მათი დემოგრაფიული მახასიათებლების შესახებ (Barbeite & Weiss 2004). თუმცა თანამედროვე კვლევებში ნაჩვენებია, რომ, გულწრფელობის თვალსაზრისით, განსხვავება არ არის ინტერნეტით და პირისპირ ჩატარებულ გამოკითხვებს შორის (Brock et al. 2012).

ინტერნეტკვლევების მეორე გამოწვევა უკავშირდება კვლევის შერჩევას. ინტერნეტის გამოჩენის საწყის ეტაპზე, როდესაც ინტერნეტის მომხმარებლები, ძირითადად, საშუალო კლასის პრივილეგირებული წარმომადგენლები იყვნენ, ცხადია, ინტერნეტკვლევაში მონაწილეების შერჩევა სწორედ ამ პოპულაციიდან მოხდებოდა და შერჩევის ერთობლიობის მიკერძოება სრულიად ნათელია, რაც არაერთი კვლევით დადასტურდა (Bordia 1996; Coomber, 1997). თუმცა ბოლო ოცი წლის განმავლობაში ინტერნეტი ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა – მას წამყვანი ადგილი უჭირავს ვაჭრობაში, სოციალიზაციასა და ადამიანის სოციალური ფუნქციონირების სხვა სფეროებში; შესაბამისად, ინტერნეტის მომხმარებლის პორტრეტი მნიშვნელოვნად შეცვლილია და ის დღეს ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ჯგუფია. აქედან გამომდინარე, შერჩევის მიკერძოების ზომაც ნაკლებია (Danowski & Cantoni, 2015). ერთ-ერთ კვლევაში შედარებული იყო პირისპირ, ალბათურ შერჩევაზე დაფუძნებული კვლევის შედეგები ინტერნეტით, არაალბათურ შერჩევაზე დაფუძნებული კვლევის შედეგებთან (Malhotra and Krosnick, 2007). ინტერნეტით ჩატარებული კვლევის შერჩევა რეკრუტირებული იყო ონლაინპანელიდან სტრატეგიული შერჩევის გამოყენებით. მკვლევრებმა ნახეს, რომ ტრადიციული გზით ჩატარებული კვლევის შერჩევა უკეთესად ასახავდა გენერალურ ერთობლიობას. თუმცა არსებობს სხვა კვლევებიც, რომლებიც იძლევა იმის მტკიცებულებას, რომ ინტერნეტკვლევის შერჩევა არ ჩამოუვარდება პირისპირ კვლევით ჩატარებული შერჩევის ხარისხს (Miller et al., 2010), და უფრო მეტიც, განზოგადების თვალსაზრისით, უკეთეს მაჩვენებელსაც კი იძლევა (Chang and Krosnick, 2009).

ბოლო პერიოდის განმავლობაში ინტერნეტის დახმარებით ჩატარებულ კვლევებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სოციალური მედიის გამოყენებას.

III. რა არის სოციალური მედია?

არსებობს სოციალური მედიის არაერთი განსაზღვრება. ყველა მათგანი მის საფუძვლად განიხილავს ვებპლატფორმებს, რომლებიც ხელს უწყობს მომხმარებლებს შინაარსის შექმნასა და გავრცელებაში, რაც გულისხმობს სხვა მომხმარებლებს.

რებლებთან მომდევნო ონლაინინტერაქციებს. ასეთი პლატფორმები შეიძლება დავაჯგუფოთ შინაარსის ფუნქციის მიხედვით (Kaplan & Haenlein, 2010):

- ბლოგები და მიკრობლოგები (Twitter, Tumblr);
- სოციალური ქსელის საიტები (Facebook, MySpace);
- შინაარსების ჯგუფი (YouTube, Instagram, Flickr);
- თანამშრომლობითი პროექტები (Wikipedia);
- ვირტუალური სათამაშო სამყარო (World of Warcraft);
- ვირტუალური სოციალური სამყარო (Second Life, Farmville).

Kaplan & Haenlein-მა აჩვენეს, რომ სოციალური მედია არ გულისხმობს მხოლოდ სოციალურ ქსელს – ამ ტერმინს ხშირად ერთნაირი მნიშვნელობით იყენებენ. მაგალითად, ვიკიპედია არ წარმოადგენს სოციალურ ქსელს, თუმცა არის სოციალური მედია, რომლის მომხმარებლები ქმნიან და აზიარებენ შინაარსს/ინფორმაციას. მედია (ტექსტი, გამოსახულება, მუსიკა და სიტყვით გამოსვლა) შექმნილია, განახლებულია და გავრცელებულია მისი მომხმარებლების მიერ, და ნებისმიერს შეუძლია ამ რესურსების რედაქტირება. შესაბამისად, ის რაც არ წარმოადგენს სოციალურ ქსელს, ასევე შეიძლება განიხილებოდეს როგორც სოციალური მედია.

მიუხედავად იმისა, რომ სულ უფრო იზრდება მკვლევართა ინტერესი სოციალური მედიის მიმართ, არ არსებობს მისი ერთიანი ფორმალური განმარტება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია სხვადასხვა ავტორის მიერ გაკეთებული განმარტება, რომლებიც ეფუძნება სოციალური მედიის შინაარსსა და მოქმედების გზებს.

ცხრილი 9.1

**სოციალური მედიის განმარტებები
(ადაპტირებულია Sloan & Quan – Haase, 2017)**

სოციალური მედიის განმარტება	თემები		
	რას უწყობს სოციალური მედია ხელს	როგორ ოპერირებს სოციალური მედია	სოციალური მედიის შინაარსი
სოციალური მედია აუდიტორისთვის და მათი მეგობრებისთვის იძლევა კონტაქტისა და კომუნიკაციის საშუალებას მომენტალური მესიჯების ან ქსელების სახით (Correa, Hinsley, and de Zuniga, 2010:247-248)	სხვებთან დაკავშირებას, კომუნიკაციასა და ურთიერთობას	სწრაფი გზავნილების საიტებით, სოციალური ურთიერთობების საიტებით	

<p>ნებისმიერი ვებგვერდი ან ვებზე დაფუძნებული აქტივობა, რომელიც გულისხმობს 2.0 მახასიათებლებს და მომხმარებლის მიერ შექმნილ გარკვეულ შინაარსს (Gruzd et al., 2012: 2341).</p>	<p>ონლაინშინაარსის შექმნასა და მოდიფიკაციას</p>	<p>ვებგვერდებით ან ვებზე დაფუძნებული მომსახურებებით</p>	<p>მომხმარებლის მიერ შექმნილი შინაარსი</p>
<p>სოციალური მედია არის ინტერნეტზე დაფუძნებული აპლიკაციების ჯგუფი, რომლებსაც აქვს გარკვეული იდეოლოგიური ან ვებ 2.0 ტექნოლოგიური საფუძველი, და რომელიც მომხმარებლის მიერ შექმნილი შინაარსის გაზიარების საშუალებას იძლევა (Kaplan nd Haenlein, 2010:61).</p>	<p>შინაარსის შექმნასა და გაცვლას</p>	<p>ინტერნეტზე დაფუძნებული აპლიკაციების ჯგუფით, რომელსაც აქვს გარკვეული იდეოლოგიური ან ვებ 2.0 ტექნოლოგიური საფუძველი.</p>	<p>მომხმარებლის მიერ შექმნილი შინაარსი</p>
<p>სოციალური მედია არის კომპიუტერული საშუალებით კომუნიკაციის ფორმა (McIntyre, 2014:6).</p>	<p>კომუნიკაციას</p>	<p>კომპიუტერული გასაშუალებით</p>	

სოციალური მკვლევრების უმრავლესობის ინტერესი ფეისბუქისა და ტვიტერისკენ არის მიმართული. ამ მედიაპლატფორმებისადმი მკვლევრების ინტერესი, სავარაუდოდ, გამოწვეულია იმით, რომ მათ, სხვა პლატფორმებთან შედარებით, მეტი მომხმარებელი ჰყავთ. ამ ორ შორის კი ლიდერი მაინც ფეისბუქია.

სოციალური მედიის კატეგორიზაციის არაერთი მცდელობა არსებობს, მათ შორის ყველაზე გავრცელებულია სოციალური მედიის ტექნოლოგიის ტიპის მიხედვით კატეგორიზაცია – Grahl (2013), რომელიც განასხვავებს სოციალური მედიის ექვს ტიპს, ესენია:

1. სოციალური ქსელი;
2. ვებგვერდები;
3. სოციალური ახალი ამბები;
4. მედიაგაზიარება;
5. მიკრობლოგები;
6. ბლოგები და ფორუმები.

Grahl-ის ტიპოლოგია მომხმარებელს საშუალებას აძლევს, გაიგოს, თუ როგორ შეიძლება გამოყენებული იყოს თითოეული მათგანი მარკეტინგის ან კვლევის მიზნით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში (ცხრილი 9.2) მოცემულია სოციალური მედიის ტიპები, რომლებიც დაგეხმარებათ, გაერკვეთ თითოეული მათგანის ფუნქციებსა და მოქმედების თავისებურებაში.

ცხრილი 9.2

სოციალური მედიის ტიპები (ადაპტირებულია Sloan & Quan - Haase, 2017)

სოციალური მედიის ტიპი	მაგალითები
სოციალური ურთიერთობების საიტები	Facebook, LinkedIn
გზამკვლევი	Delicious, StumbleUpon
მიკრობლოგები	Twitter, Tumblr
მედიაგაზიარება	YouTube, Flickr, Pinterest
სოციალური ახალი ამბები	Digg, Reddit
თანამშრომლობითი ავტორობა	Wikipedia, Google, Docs
ვებკონფერენცია	Skype, GoToMeeting, Zoho Meeting
განრიგი და შეხვედრა	Doodle, Google Calendar, Microsoft Outlook

IV. მონაცემების შეგროვების სტრატეგიები

სოციალური მედიის კვლევა ჯერ კიდევ არ არის კარგად განსაზღვრული. მკვლევრები სხვადასხვა დისციპლინიდან იყენებენ სოციალური მედიის განსხვავებულ პლატფორმებს კვლევისთვის. სხვადასხვა ინტერესის მქონე მკვლევრები სხვადასხვა საკვლევ თემაზე კონცენტრირდებიან, მათ შესაძლოა, განსხვავებული ხედვა ჰქონდეთ იმის შესახებ, თუ რა არის სოციალური მედიის კვლევა. ეს შეიძლება კარგიც იყოს, რადგან მეტი მოქნილობა შემოაქვს ორიგინალური და ახალი საკითხების კვლევისთვის მიდგომებისა და სტრატეგიების შერჩევას. თუმცა ამას თავისი უარყოფითი მხარეც აქვს – სტანდარტიზაციის არარსებობა კვლევების შედეგების შესაძლებლობას არ იძლევა, რაც მეცნიერული ცოდნის დაგროვებასა და გაზიარებას უშლის ხელს.

სოციალური მედიის კვლევისას ჩვენ განვიხილავთ არა სოციალური მედიის მომხმარებელთა ქცევის შესწავლას კვლევის სხვადასხვა მეთოდის (ინტერვიუ, გამოკითხვა და სხვა) გამოყენებით, არამედ ჩვენი ძირითადი ფოკუსი მიმართულია იმაზე, თუ როგორ გამოვიყენოთ კვლევითი მიზნებისთვის სოციალური მედიის პლატფორმებზე არსებული სხვადასხვა მონაცემი. სოციალურ მედიაში არსებულ მონაცემებს შეიძლება სხვადასხვა სახე ჰქონდეს – ტექსტი, მომხმარებელთა გვერდები, ასევე მომხმარებელთა რეაქციები, როგორებიცაა: მოწონება, გაზიარება და სხვ. ეს მონაცემები შეიძლება იყოს ბლოგებიდან ან პლატფორმებიდან, როგორცაა: ფეისბუქი, ტვიტერი, იუთუბი და სხვა. ზოგიერთი პლატფორ-

მის შემთხვევაში, მონაცემების შეგროვებისთვის შეიძლება გამოყენებული იყოს სპეციალური პროგრამული აპლიკაციები (**Application Programming Interface API**) ან მონაცემები შეძენილი იყოს სპეციალური კომპანიებისგან, მაგალითად, **CNIP Datasift**. ზოგიერთი მკვლევარი კი იყენებს უფრო მარტივ ტექნიკებს, როგორებიცაა, მაგალითად, მედიაპლატფორმებიდან საჭირო ტექსტების ხელით დაკოპირება და ექსელის ფაილის შეყვანა, სხვები კი შეიძლება მიმართავდნენ პროფილის გვერდების შეგროვებას – იღებდნენ პროფილის გვერდების სკრინშოტებს, ინახავდნენ და სხვ. რა თქმა უნდა, სოციალური მედიის პლატფორმებიდან მონაცემების შეგროვებაზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: პლატფორმების ტექნიკური შეზღუდვები, საკანონმდებლო შეზღუდვები, ეთიკური საკითხები და სხვ. ამ შეზღუდვების შესახებ მკვლევარი კარგად უნდა იყოს ინფორმირებული კვლევის დაგეგმვის პროცესში.

სოციალური მედიის კვლევის პირველი ნაბიჯი, ისევე როგორც ნებისმიერი კვლევისას, არის საკვლევი კითხვის ფორმულირება – იმის განსაზღვრა, თუ რისი შესწავლა გსურთ და რა სახის მონაცემებია ყველაზე კარგი ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად. „დიდი ზომის მონაცემებზე“ დაფუძნებულ კვლევებს ხშირად სწორედ იმის გამო აკრიტიკებენ, რომ ჯერ არჩეულია მონაცემების ჯგუფი და აქედან გამომდინარეა ჩამოყალიბებული საკვლევი კითხვა – ანუ ჯერ შერჩეულია მონაცემების ტიპი და ამის შემდეგ არის ჩამოყალიბებული საკვლევი საკითხი, რაც არასწორია. როდესაც ვფიქრობთ, თუ რა სახის მონაცემები გვჭირდება ჩვენი საკვლევი თემის საუკეთესოდ გასაანალიზებლად, უნდა დაფიქრდეთ იმაზე, არის თუ არა სოციალური მედიიდან მიღებული მონაცემები ის, რაც გვჭირდება. შესაძლოა, კვლევის სხვა, უფრო ტრადიციული მეთოდები (გამოკითხვა, ექსპერიმენტი, დაკვირვება და სხვა) მეტად შესატყვისი იყოს. ქვემოთ ჩამოყალიბებული კითხვები, რომლებიც მკვლევარმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს სოციალური მედიის კვლევისას.

- რომელი სოციალური პლატფორმები იქნება ყველაზე რელევანტური ჩემი კვლევისთვის – რა იქნება უკეთესი, მხოლოდ ერთი თუ რამდენიმე პლატფორმის განხილვა?

მომდევნო ნაბიჯია მზადება შერჩეული პლატფორმ(ებ)იდან მონაცემების შესაგროვებლად. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემა:

- რა არის ჩემი ძირითადი კრიტერიუმი შერჩეული პლატფორმიდან მონაცემების შეგროვებისას (სოციალური მედიიდან მონაცემების შეგროვების რომელ ძირითად მიდგომებს ვიყენებთ)?
- რამდენი მონაცემი მჭირდება (დიდი მონაცემები თუ მცირე მონაცემები – **Big Data VS Small Data**)?
- რას სახის ინფორმაციას დავკარგავ, თუ მონაცემებს ამ გზით შევაგროვებ (მიკერძოება მონაცემების შეგროვებისას)?

მოცემულ ქვეთავებში ამ კითხვებს დეტალურად განვიხილავთ.

2.1. მონაცემების შესაგროვებლად ვიყენებთ მხოლოდ ერთ თუ რამდენიმე პლატფორმას?

სოციალური მედიის კვლევები, ძირითადად, ფოკუსირებულია მონაცემების მხოლოდ ერთი მედიაპლატფორმიდან შეგროვებაზე, ძირითადად, ფეისბუქიდან ან ტვიტერიდან. იმ კვლევებისთვის, რომლებიც ითვალისწინებს კონკრეტული პლატფორმის სიღრმისეულ ანალიზს, ეს მიდგომა ყველაზე შესატყვისია. მაგალითად, იმის შესასწავლად, როგორ იყენებენ ტვიტერის მომხმარებლები „ტვიტებს“ ან „ჰეშთეგებს“, ცხადია, კვლევამ უნდა გამოიყენოს მხოლოდ ერთი პლატფორმიდან მონაცემების შეგროვების მიდგომა და მონაცემები ტვიტერიდან შეაგროვოს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც, სასურველია, სხვა პლატფორმებთან შედარება, იმის სანახავად, კვლევის შედეგად ნანახი ფენომენი მხოლოდ ტვიტერისთვის არის უნიკალური, თუ ის სხვა პლატფორმებსაც ახასიათებს.

არის კვლევები, რომლებიც ფოკუსს აკეთებენ არა კონკრეტული პლატფორმის შესწავლაზე, არამედ ინტერესდებიან პლატფორმების რეაგირებით კონკრეტულ ფენომენებზე, როგორებიცაა, მაგალითად: სოციალური აქტივიზმი, კატასტროფებზე რეაგირება და სხვ. ეს თემები შემდეგ კიდევ ვინროვდება და იღებს უფრო კონკრეტული შემთხვევების სახეს – როგორ იყო გამოყენებული კონკრეტული პლატფორმა გარკვეულ სიტუაციებში, მაგალითად, ფეისბუქი საპრეზიდენტო არჩევნების დროს, იუთუბი ელექტრონული სწავლებისას და სხვ. როგორც ზემოთ აღინიშნა, სხვადასხვა მედიაპლატფორმა მომხმარებელთა განსხვავებულ ინტერესებსა და საჭიროებებს აკმაყოფილებს. აქედან გამომდინარე, პლატფორმის არჩევას მნიშვნელოვნად განაპირობებს ის, თუ რის კვლევას ვაპირებთ. მაგალითად, თუ ჩვენ გვინტერესებს საზოგადოების დამოკიდებულება ლგბტ-ჯგუფის მიმართ, უნდა ავირჩიოთ ფეისბუქი, რადგან ამ პლატფორმის მომხმარებლები ყველაზე მეტად განიხილავენ ამ თემას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი სოციალური მედიაპლატფორმა ურთიერთდაკავშირებულია ან ავსებს ერთმანეთს – ტვიტები შეიძლება შეიცავდეს ფეისბუქის ლინკებს, ფეისბუქის პოსტები შეიძლება შეიცავდეს იუთუბის ვიდეოებს და ა.შ. შესაბამისად, ზოგიერთი საკითხის შესწავლისთვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის შეკრება ერთზე მეტი მედიაპლატფორმიდან. ამავე დროს, განსაზღვრული საკითხების შესასწავლად შესაძლოა, გარკვეული მედიაპლატფორმების გამოყენება იყოს მიზანშეწონილი, რადგან, როგორც წესი, ისინი სხვადასხვა ტიპის კომუნიკაციებისთვის გამოიყენება.

მას შემდეგ, რაც მკვლევარი გადაწყვეტს, თუ რომელი მიდგომა გამოიყენოს სოციალური მედიის კვლევისას – კონცენტრირდეს მხოლოდ ერთ თუ რამდენიმე პლატფორმაზე, ის გადადის კვლევის შემდეგ ეტაპზე, რომელზეც უნდა გადაწყვიტოს, მონაცემების შეგროვების არსებული ძირითადი მიდგომებიდან რომელს დაეყრდნობა.

2.2 სოციალური მედიიდან მონაცემების შეგროვების ძირითადი მიდგომები

უპირველეს ყოვლისა, მკვლევარმა უნდა განსაზღვროს მონაცემების შეგროვების პერიოდი. ამ უკანასკნელმა შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს შედეგებზე, შესაბამისად, ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული, რა პერიოდში ხდება მონაცემების შეგროვება – კონკრეტული საათებისა თუ თვეების განმავლობაში. მონაცემების შეგროვების კონკრეტული პერიოდი მონაცემების შეგროვების კონკრეტულ სტრატეგიასთან ერთად უნდა იყოს განხილული. ძირითადად, გავრცელებულია სოციალური მედიის მონაცემების შეგროვების შემდეგი სტრატეგიები:

მომხმარებელთა „ექაუნთებზე“ დაფუძნებული – ამ შემთხვევაში ჩვენ ვიცით ჯგუფის ყველა მომხმარებელი და სასურველია მონაცემების შეგროვება ყოველი მათგანისგან. მაგალითად, ერთ-ერთ კვლევაში (Kaczmirek et al, 2014) მკვლევრები სწავლობდნენ გერმანიის ბუნდესტაგის არჩევნების კანდიდატებს, კერძოდ, მათ ქცევას სოციალურ მედიაში. შესაბამისად, კვლევაში გამოყენებული იყო პიროვნებაზე მიმართული მიდგომა და სამიზნე იყო კონკრეტული ადამიანების ფეისბუქისა და ტვიტერის „ექაუნთები“.

თემებსა და ძირითად სიტყვებზე დაფუძნებული – ეს სტრატეგია გულისხმობს სოციალური მედიის შინაარსის შეგროვებას, რასაც საფუძვლად უდევს კონკრეტული მოვლენა, მაგალითად, არჩევნები ან სპორტული ოლიმპიადა. ამ შემთხვევაში ინფორმაციის შეგროვება ეფუძნება სპეციალურ სამძებრო სიტყვებს, ფრაზებს, რომლებიც გამოიყენება კონკრეტულ „პოსტებსა“ და „ჭეშთეგებში“. ზემოთ მითითებულ კვლევაში მკვლევრებმა წინასწარ შექმნეს მათთვის საინტერესო სიტყვებისა და „ჭეშთეგების“ სია და ანალიზებდნენ მათ გამოყენებას მათთვის საინტერესო „ექაუნთებში“.

მეტამონაცემებზე დაფუძნებული – ამ შემთხვევაში ფოკუსი კეთდება ისეთ მახასიათებლებზე, როგორებიცაა, მაგალითად: გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, დრო – სტატუსები, რომლებიც გამოქვეყნდა კონკრეტულ დღეს, მაგალითად, კვირას ან იუთუბზე გავრცელებული ვიდეოები, რომლებიც 3 სთ-ზე მეტ ხანს გრძელდება და სხვ.

V. სოციალური მედიის მონაცემთა შეგროვება და ანალიზი

სოციალური მედიის მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისას გამოიყენება როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი ტექნიკები.

რაოდენობრივი მიდგომები

საინტერესო სურათის მიღება შეიძლება მიღებული მონაცემების კატეგორიული ცვლადების სიხშირეებიდან.

- **მოცულობის ანალიზი** – ეს არის მონაცემთა მოცულობის სიხშირეების დათვლის უმარტივესი გზა. მაგალითად, პლატფორმის მომხმარებლები და მათი დემოგრაფიული მახასიათებლები, „პოსტებისა“ და „ჭეშთეგების“, მონონებების რაოდენობა და სხვ.

- **ურთიერთმიმართების ანალიზი** – ესეც უკავშირდება სისშირეებს, თუმცა ამ შემთხვევაში ფოკუსი კეთდება არსებულ ურთიერთობებზე (მაგალითად, მეგობრების რაოდენობა ფეისბუქზე, მიმდევრების რაოდენობა ინსტაგრამზე) ან პოსტზე პასუხების რაოდენობა.
- **კორელაცია** – გულისხმობს სოციალური მედიის ერთი სახის მონაცემების შედარებას მეორესთან დროის გარკვეულ ინტერვალში ან სხვა სახის დამოუკიდებელი ცვლადის მიხედვით (ადგილმდებარეობა, ასაკი და სხვ.). ამგვარი შედარებით შესაძლოა მივიღოთ კორელაცია. ანალიზი შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც მიმართულების მიმცემი ან პროგნოზირების საშუალება.
- **რეგრესია/კლასიფიკაცია** – კორელაციაში მყოფი მონაცემების გამოყენებით, შესაძლოა განსაზღვრული მოდელების შექმნა იმ კატეგორიების საპროგნოზოდ, რომლებიც დამოუკიდებელ ცვლადს შეიძლება ახასიათებდეს. ეს მეთოდი განსაკუთრებით ეფექტურია ინტერვენციებზე ინფორმაციის მისაღებად. მაგალითად, ტვიტერი ან ფეისბუქი შეიძლება გამოყენებული იყოს იმის სანახავად, თუ რამდენად შემცირდა გრიპის სიმპტომები, მისი სანაღამდეგო ინტერვენციის დაწყების შემდეგ.
- **კლასტერული ანალიზი** – ეს მიდგომა არის სეგმენტიზაციის რაოდენობრივი ვერსია. ის იყენებს ალგორითმს ერთნაირი მონაცემების კლასტერებად დახარისხებისთვის. ეს მიდგომა საინტერესოა, მაგალითად, იმის განსასაზღვრავად, თუ რა მახასიათებლის მქონე მომხმარებლები საუბრობენ კონკრეტულ საკითხზე.
- **გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემათა ანალიზი (GIS)** – სივრცესთან დაკავშირებული მახასიათებლები ხშირად ნიშანდობლივია სოციალური მედიის მონაცემებისთვის (მაგალითად, კომპიუტერების IP მისამართები, GPS ლოკაცია მობილური ტელეფონით გაკეთებული პოსტების შემთხვევაში), რაც გულისხმობს იმას, რომ ჩვენ შეგვიძლია გქონდეს ზუსტი ინფორმაცია მოვლენის (მაგალითად, საპროტესტო ტალღა, ეპიდემია) დროისა თუ ადგილმდებარეობის შესახებ.

თვისებრივი მიდგომები

სოციალური მედიიდან მიღებული მონაცემების დიდი ნაწილი თვისებრივი ხასიათისაა – მონაცემების შეგროვებისა და დამუშავებისას ეფექტურად გამოიყენება სხვადასხვა თვისებრივი ტექნიკა:

- **აქტიური/პასიური ეთნოგრაფიული მიდგომები** – ეს მეთოდი ხშირად გამოიყენება სოციალური მედიიდან ინფორმაციის მიღებისას, როდესაც მკვლევარი ხდება გარკვეული ჯგუფის წევრი და შიგნიდან აკვირდება მოვლენებს.
- **სეგმენტიზაცია** – მკვლევარმა შესაძლოა, გამოიყენოს სოციალური მედიიდან მიღებული მონაცემები, როგორც დამატებითი წყარო, რომელიც ამდიდრებს არსებულ თვისებრივ კვლევას. ამის ერთ-ერთი მაგალითია სოციალური მედიის გამოყენება რთულად ხელმისაწვდომ ჯგუფებთან დასაკავშირებლად, მათი ინტერვიუების მიზნით.

- **თემატური ანალიზი** – შესაძლებელია სოციალური მედიიდან მიღებული მასალის კოდირება და თემატური ანალიზი, რაც დაგვეხმარება შინაარსის ემოციური მხარის გაანალიზებაში ან იერარქიული კლასიფიკაციის რაგვარობის სანახავად, რომელიც თემის მნიშვნელობას დაგვანახვებს. არსებობს სპეციალური კომპიუტერული პროგრამები, რომლებიც ამ დროს გამოიყენება.
- **ემოციების/გრძნობების ანალიზი** – არსებული ალგორითმების გამოყენებით შესაძლოა, შინაარსი – პოსტები, ტვიტები – დაკავშირებული იყოს დადებით ან უარყოფით ემოციებთან. თუმცა ამ მეთოდს საკმაოდ შეზღუდული გამოყენება აქვს, რადგან ყოველთვის ვერ ხერხდება ემოციების ამოცნობა, თუნდაც მაშინ, როდესაც გამოყენებულია სარკაზმი ან კულტურული ფაქტორების შემთხვევაში.

VI. ეთიკური საკითხები ინტერნეტით კვლევის ჩატარებისას

ინტერნეტის საშუალებით კვლევების ჩატარების დროს თავს იჩენს ეთიკური საკითხები, რომლებიც მსგავსია იმისა, რასაც შეიძლება შევხვდეთ კვლევის ტრადიციულად ჩატარებისას – კვლევაში მონაწილეობაზე თანხმობის მიღება, ინტერვიუს შემდგომი ახსნა-განმარტებები და კვლევიდან გასვლის პროცედურები. თუმცა ინტერნეტკვლევების დროს გვხვდება სრულიად ახალი ეთიკური გამოწვევები, რომელთა შესახებ ჯერ კიდევ არ არსებობს შეთანხმებული და ნათელი პასუხი. მაგალითად, ყოველთვის გარკვეული არ არის, როდის შეიძლება საჯაროდ ხელმისაწვდომი სხვადასხვა ონლაინ ფორუმის ტექსტების გამოყენება კვლევის მიზნით. ამ საკითხის შესახებ ჯერ კიდევ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა და არ არსებობს ერთიანი გზამკვლევი მკვლევრებისთვის. **Association of Internet Researchers** -ის ანგარიშში მოცემულია ზოგადი რეკომენდაციები ინტერნეტკვლევებში ეთიკური სტანდარტებით მოქმედების შესახებ (**Association of Internet Researchers, 2010**); თუმცა მაინც არ არსებობს ერთიანი მიდგომა. ამას ადასტურებს შემდეგი ორი კვლევა: **Fox**-ისა და კოლეგების მიერ ჩატარებულ კვლევაში (2005) მკვლევრები მონაწილეობდნენ ანორექსიის მქონე პირთა ინტერნეტჯგუფში – თუმცა მათ გაამხილეს, რომ მკვლევრები იყვნენ და ჯგუფში კვლევის მიზნებიდან გამომდინარე განევრდნენ. საპირისპირო პრაქტიკა იყო **Brotsky** და **Giles (2007)** – ის კვლევაში – ამ შემთხვევაში მკვლევრები ანორექსიის მქონე პირთა ინტერნეტჯგუფში განევრდნენ, როგორც თემის წევრები და არ გაამხილეს თავიანთი რეალური სტატუსი და მიზნები. ეს ურთიერთსაწინააღმდეგო პრაქტიკა გვარწმუნებს, თუ რამდენად არაერთგვაროვანია ინტერნეტკვლევის ეთიკური სტანდარტები – ორივე ზემოთ მითითებული კვლევა დამტკიცებული იყო ეთიკური კომისიის მიერ.

ინტერნეტკვლევის ჩატარებისას აქტუალური ეთიკური საკითხებია მონაწილეთა თანხმობა კვლევაზე, ანონიმურობა, კონფიდენციალურობა და პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხები. როდესაც მკვლევარი თვალს ვერ ადევნებს პროცედურებს, ის დარწმუნებული ვერ იქნება, რომ მონაწილე დეტალურად გაეცნო თანხმობის ფურცელს და გააზრებულად დასთანხმდა კვლევაში

მონაწილეობას; ასევე, იმ შემთხვევაში, თუ კვლევაში მონაწილეობამ მონაწილეზე არასასურველი ფსიქოლოგიური გავლენა მოახდინა, ესეც უცნობი რჩება მკვლევართვის და მას შესაძლებლობა არ ექნება, სათანდო ზომები მიიღოს. ზოგიერთ შემთხვევაში, ინტერნეტკვლევა სერიოზული გამოწვევების წინაშე აყენებს მონაწილეთა ანონიმურობას. ინტერნეტსივრცეიდან აღებულ ტექსტებში შესაძლებელია ავტორების ამოცნობა – ერთ-ერთ კვლევაში გამოყენებული ბლოგებიდან აღებული ტექსტების ავტორების უმრავლესობის იდენტიფიცირება მოახერხეს (Dawson, 2014). ინტერნეტკვლევებმა შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას ადამიანების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას – ინტერნეტი ინახავს ინფორმაციას ჩვენი პირადი ცხოვრების ბევრი მგრძობიარე დეტალის შესახებ, რომლებიც შეიძლება სტიგმისა და დისკრიმინაციის საფუძველი გახდეს. რადგან თანამედროვე ტექნოლოგიები სულ უფრო პიროვნებაზე ორიენტირებული და ზოგ შემთხვევაში, აბეზარიც კია, პირადი ცხოვრების დეტალები სულ უფრო დაუცველი ხდება ინტერნეტსივრცეში. მნიშვნელოვანი გამოწვევების მიუხედავად, არ არსებობს ცალსახა ეთიკური სტანდარტები და პროცედურები, რომლებიც მკვლევრებმა ინტერნეტკვლევის დროს უნდა დაიცვან – ეს განსაკუთრებით აქტუალურია სოციალური მედიის გამოყენების დროს. ინტერნეტტექნოლოგიების რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ადამიანის ინტერნეტაქტიურობის შესახებ მრავალწლიანი „დოსიეს“ მოპოვება. მიუხედავად იმისა, რომ ამ მასალის უდიდესი ნაწილი – ბლოგების ტექსტები, პოსტები, ფოტოები და სხვ. – საჯაროდ ხელმისაწვდომია, კვლევაში მათ გამოყენებას ავტორები არ გულისხმობდნენ. ჯერ კიდევ არ არსებობს ზუსტად განვრცობილი რეგულაციები იმის შესახებ, სოციალურ მედიაში განთავსებული მასალიდან რომელია საჯარო და რომელი პირადი, და რომლის გამოყენებისთვის სჭირდებათ ნებართვა (Buchanan & Williams, 2010). აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ინტერნეტკვლევების დაგეგმვას მკვლევრები დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდონ, განსაკუთრებით ისეთ ვითარებაში, თუ არ არსებობს კვლევის ეთიკის ინსტიტუციური კომისიები.

VII. თავის შეჯამება

ინტერნეტის დანერგვამ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ხელი შეუწყო მეცნიერებაში მისით სარგებლობას – ის ეფექტურად გამოიყენება როგორც მეცნიერებს შორის კომუნიკაციისთვის, ისე კვლევითი მიზნებით. კვლევებში ინტერნეტის გამოყენებას რამდენიმე უპირატესობა აქვს – ის საშუალებას იძლევა, დიდი რაოდენობით მონაცემები შევკრიბოთ სწრაფად და ადვილად, ინტერნეტის გამოყენებით მკვლევრებს შეუძლიათ, დაეყრდნონ უფრო მრავალფეროვან შერჩევას – ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, თუ სამიზნე ჯგუფი რთულად ხელმისაწვდომია, მაგალითად, ლგბტქ-ჯგუფის ან წამალდამოკიდებულების შემთხვევაში; დაბოლოს, ინტერნეტით ჩატარებული კვლევები მნიშვნელოვნად ზოგავს რესურსებს, თუმცა ინტერნეტის საშუალებით ჩატარებული კვლევებისთვის დამახასიათებელია მთელი რიგი გამოწვევებისა, რომლებიც, უპირველესად,

მონაცემების ხარისხსა და კვლევის შერჩევას უკავშირდება. ინტერნეტკვლევის ბუნებიდან გამომდინარე, მკვლევარი ვერ აკონტროლებს ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა: გარემო, რომელშიც მიმდინარეობს კვლევა (მაგალითად, შესაძლოა, რესპონდენტი კითხვარს დამოუკიდებლად არ ავსებს), რესპონდენტის ქცევას (მაგალითად, რესპონდენტი ზუსტად არ მისდევს კითხვარის ინსტრუქციას), რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მონაცემების სიზუსტეზე. აზრთა სხვადასხვაობა არსებობს იმის შესახებ, თუ რამდენად განსხვავდება გულწრფელობის თვალსაზრისით ინტერნეტით და პირისპირ ჩატარებული კვლევის შედეგები. ბოლო პერიოდის კვლევები აჩვენებს, რომ ამ მიმართულებით განსხვავება არ არის.

დღეს, როდესაც ინტერნეტის მომხმარებელთა პროფილი ძალიან მრავალფეროვანია და ის არ არის შეზღუდული მხოლოდ საშუალო კლასის პრივილეგირებული წარმომადგენლებით, როგორც ეს ინტერნეტის გამოჩენის პირველ წლებში, შერჩევის მიკერძოების ხარისხიც დაბალია. თუმცა აქაც აზრთა სხვადასხვაობა გვხვდება იმის შესახებ, თუ რომელი უკეთ წარმოადგენს გენერალურ ერთობლიობას – ინტერნეტით თუ პირისპირ ჩატარებული კვლევები. კვლევებს არ აქვთ ერთმნიშვნელოვანი შედეგები: ზოგიერთი მათგანი მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ ტრადიციული გზით ჩატარებული კვლევის შერჩევა უკეთესად ასახავდა გენერალურ ერთობლიობას; სხვების მიხედვით კი, იმის მტკიცებულება გვაქვს, რომ ინტერნეტკვლევის შერჩევა არ ჩამოუვარდება პირისპირ კვლევით ჩატარებული შერჩევის ხარისხს და, უფრო მეტიც, განზოგადების თვალსაზრისით, უკეთეს მაჩვენებელსაც კი იძლევა.

ბოლო პერიოდის განმავლობაში ინტერნეტის დახმარებით ჩატარებულ კვლევებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სოციალური მედიის გამოყენებას. არსებობს სოციალური მედიის არაერთი განსაზღვრება. ყოველი მათგანი მის საფუძვლად განიხილავს ვებპლატფორმებს, რომლებიც ხელს უწყობს მომხმარებლებს შინაარსის შექმნასა და გავრცელებაში, რაც გულისხმობს სხვა მომხმარებლებთან მომდევნო ონლაინინტერაქციებს. ასევე მრავალნაირია სოციალური მედიის დახარისხება; მათ შორის ყველაზე გავრცელებულია სოციალური მედიის ტექნოლოგიის ტიპის მიხედვით კატეგორიზაცია: სოციალური ქსელი, ვებგვერდები, სოციალური ახალი ამბები, მედიაგაზიარება, მიკრობლოგები, ბლოგები და ფორუმები.

სოციალური მუშაობის კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, სოციალური მედიის კვლევისას ჩვენი ძირითადი ფოკუსი მიმართული იქნება იმაზე, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ სოციალური მედიის პლატფორმებზე არსებული სხვადასხვა მონაცემი. მას შემდეგ, რაც მკვლევარი დარწმუნდება, რომ მისი საკვლევი საკითხისთვის მნიშვნელოვანია მონაცემების შეგროვება სოციალური მედიიდან, მან უნდა გადანყვიტოს, რა იქნება უკეთესი, მხოლოდ ერთი თუ რამდენიმე პლატფორმის განხილვა? მომდევნო ნაბიჯი კი იქნება მონაცემების შეგროვების მიდგომის შერჩევა – ძირითადად, გავრცელებულია სოციალური მედიის მონაცემების შეგროვების შედეგები, სტრატეგიები: მომხმარებელთა „ექაუნთებზე“ დაფუძნე-

ბული, თემებსა და ძირითად სიტყვებზე დაფუძნებული და მეტამონაცემებზე დაფუძნებული მიდგომები.

სოციალური მედიის მონაცემთა ანალიზისას გამოიყენება როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი ტექნიკები. რაოდენობრივი მიდგომებიდან ხშირად გამოიყენება: მოცულობის ანალიზი, ურთიერთმიმართების ანალიზი, კორელაცია, რეგრესია/კლასიფიკაცია, კლასტერული და გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემათა ანალიზი (GIS); თვისებრივი მიდგომებიდან გამოიყენება: აქტიური/პასიური ეთნოგრაფიული მიდგომები, სემანტიზაცია თემატური ანალიზი ემოციების/გრძნობების ანალიზი.

ინტერნეტის გამოყენებით კვლევების ჩატარებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კვლევის ეთიკურ საკითხებს. ამ დროს თავს იჩენს როგორც ტრადიციული ეთიკური საკითხები, როგორებიცაა, მაგალითად, მონაწილეთა ინფორმირებული თანხმობა ან კვლევიდან გასვლის პროცედურები, ასევე გვხვდება საკითხები, რომლებიც ამ ტიპის კვლევისთვის განსაკუთრებით აქტუალურია, როგორებიცაა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და კონფიდენციალურობა, რადგან, ინტერნეტტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ინტერნეტსივრცეში არსებული ადამიანის პირადი ინფორმაცია სულ უფრო მონყვლადი ხდება. ინტერნეტკვლევების ეთიკური სტანდარტების შესაბამისად წარმართვას ართულებს ის გარემოებაც, რომ არ არსებობს შეთანხმებული და ერთიანი ეთიკური სტანდარტები, რომლებიც მკვლევართა მოქმედებას დაარეგულირებს ინტერნეტით კვლევების ჩატარების დროს.

VIII. კითხვები რეფლექსიისთვის

1. რა მიმართულებით ხდება ინტერნეტის გამოყენება აკადემიურ სფეროში?
2. დაახასიათეთ ინტერნეტით კვლევების ჩატარების უპირატესობა და გამოწვევები;
3. რომელი უფრო სრულად წარმოადგენს გენერალურ ერთობლიობას, ინტერნეტით თუ პირისპირ ჩატარებული გამოკითხვისას გაკეთებული შერჩევა?
4. რა განსხვავებაა სოციალურ მედიასა და სოციალურ ქსელს შორის?
5. დაგეგმეთ ნაბიჯები, რომლებიც მკვლევარმა უნდა გადადგას სოციალური მედიის კვლევისას;
6. დაახასიათეთ სოციალური მედიის მონაცემების ანალიზის რაოდენობრივი და თვისებრივი მიდგომები;
7. რა ეთიკურ გამოწვევებს ხვდებიან მკვლევრები ინტერნეტით კვლევის ჩატარებისას და რატომ არის რთული მათთან გამკლავება?

IX. სავარჯიშოები

სავარჯიშო N1

დაგეგმეთ კვლევა, რომლის მიზნებიდან გამომდინარე, აუცილებელია მონაცემების სოციალური მედიიდან შეგროვება.

სავარჯიშო N2

დაახსიანთ „ფეისბუქის“ გამოყენების ფუნქციები ქართველ მომხმარებლებთან – რა თემები განიხილება ყველაზე ხშირად ამ პლატფორმით?

სავარჯიშო N3

როგორ შეისწავლიდით შიდსის მქონე პირთა სექსუალურ ქცევას საქართველოში ინტერნეტის გამოყენებით?

გამოყენებული ლიტერატურა

- Association of Internet Researchers (2012) Ethical Decision-Making and Internet Research :Recommendations from the AoIR Ethics Working Committee(Version 2.0).
- Boddy, J. & Dominelli, L. (2014) Social Media and Social Work: The Challenges of New Ethical Space, *Australian Social Work*, 70 (2) 172-184.
- Brotsky and Giles (2007) – Inside the „pro-ana” community: a covert online participant observation, *Eat Disorders*.15(2):93-109.
- Buchanan, T., & Williams, J. E. (2010). Ethical issues in psychological research on the Internet. In S. D. Gosling & J. A. Johnson (Eds.), *Advanced methods for conducting online behavioral research* (p. 255–271).
- Dawson J.F, (2014) Moderation in Management Research: What, Why, When, and How, *Journal of Business and Psychology* 29(1).
- Edlund, E. (2019) *Advanced Research Methods for the Social and Behavioral Sciences*, Cambridge University Press.
- Engel, R.L., & Schutt, R.K (2017) *The Practice of Research in Social work*, SAGE.
- Fox, Ward and O'Rourke (2005) – Pro-anorexia, weight-loss drugs and the internet: an „anti-recovery” explanatory model of anorexia. *Sociol Health Illn*. 2005 Nov;27(7):944-71.
- Hardwick, L., Smith, R. Worsley (2016) *Innovations in Social Work Research*, Jessica Kingsley Publishers.
- Kaplan, M. & Haenlein, M. (2010) Users of the world, unite! The challenges and opportunities of Social Media, *Business Horizons* 53, 59-68.
- McLaughlin, H. (2011) *Understanding Social Work Research*, SAGE Publications.
- Rubin, A., & Babbie, E (2016) *Essential Research Methods for Social Work*, Fourth Edition, CENGAGE Learning.
- Rubin, A., & Babbie, E (2011) *Research Methods for Social Work*, BROOKS / COLE.
- Sloan, L., & Quan -Haase, . (2017) *The SAGE Handbook of Social Media Research Methods*, SAGE.
- Social Media Research Group (2016) *Using Social Media for Social Research: An Introduction Social Science in Government*.
- Yegidis, B.L., Weinbach, R.W. and Meyers, L. L (2012) *Research Methods for Social Workers*, Pearson- My Social Work Lab.

თავი X

საჭიროებათა კვლევა

I. შესავალი

საჭიროებათა ანალიზი არის პრაქტიკული დანიშნულების კვლევა, რომელსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალური მუშაობისთვის. კვლევის შედეგები ააშკარავებს იმ პრობლემებსა და საჭიროებებს, რომლებიც საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს აქვს. საჭიროებათა ანალიზმა შეიძლება დღის წესრიგში მნიშვნელოვანი საკითხები წამოჭრას, მაგალითად, რამდენად აკმაყოფილებს არსებული მომსახურებები ბენეფიციარების საჭიროებებს? რომელი ახალი მომსახურებების განვითარებაა საჭირო სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად? და სხვ. როგორც ვხედავთ, საჭიროებათა კვლევა მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის ახალი სოციალური პროგრამების შესაქმნელად და, ზოგადად, სოციალური რეფორმების გასატარებლად. საჭიროებათა კვლევის შედეგები არის მტკიცებულება გადაწყვეტილების მიმღებ იმ პირთა სიტყვების საპირსონედ, რომლებიც თვლიან, რომ სოციალური პროგრამებისთვის განვითარება ნაკლებად პრიორიტეტულია. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ არასწორად ჩატარებულმა საჭიროებათა ანალიზმა შეიძლება ხელი შეუწყოს სოციალური პოლიტიკის არასწორად წარმართვას – რომელიმე მომსახურების განვითარების მნიშვნელობა შესაძლოა, სათანადოდ არ იყოს შეფასებული ან, პირიქით, ზედმეტი მნიშვნელობა მიენიჭოს. შესაბამისად, საჭიროებათა კვლევის სწორად ჩატარების ტექნიკების ცოდნას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სოციალური მუშაკებისთვის.

საჭიროებათა შეფასება არის კვლევის ტრადიციული, რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებზე დაფუძნებული, კონკრეტული თემებისა და ჯგუფების პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და გაანალიზება. ამ თავში განხილული იქნება საჭიროებათა შეფასების რაობა და მისი ძირითადი მიზნები. გაანალიზდება საჭიროების ცნება და მისი შინაარსი სხვადასხვა პერსპექტივიდან. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება საჭიროებათა ანალიზის მნიშვნელობაზე სოციალური მუშაობისთვის და შესაბამისი მაგალითების გამოყენებით აღწერილი იქნება ის ძირითადი ტექნიკები, რომლებსაც სოციალურ მუშაობაში საჭიროებათა კვლევისას იყენებენ.

II. რა არის საჭიროებათა შეფასება

საჭიროებათა შეფასება მონაცემების შეგროვების ორგანიზებული გზაა, თემში არსებული სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებების შესახებ. საჭიროებათა კვლევა გამოიყენება ახალი სერვისების განვითარებისა და უკვე არსებული პროგრამების

რელევანტურობის შესაფასებლად. Kuh-ი (1982, cited Tutty & Rotherym, 2011) გამოყოფს ხუთ ძირითად მიზანს, რომლებსაც, ძირითადად, ემსახურება საჭიროებათა შეფასება: (1) კონკრეტული ჯგუფების შეხედულებების შესწავლა იმ საკითხებზე, რომლებმაც შესაძლოა, ხელი შეუწყოს ახალი პროგრამების განვითარებას, (2) მიმდინარე პროგრამების რელევანტობისა და მნიშვნელობის დასაბუთება, (3) მიღებული მომსახურებით ბენეფიციართა კმაყოფილების გაგება, (4) სხვადასხვა ალტერნატივიდან ყველაზე სასურველი პროგრამის შერჩევა და (5) იმის განსაზღვრა, თუ რამდენად დაკმაყოფილდა ბენეფიციართა საჭიროებები – ეს მიმართულება საკმაოდ ახლოსაა პროგრამის შეფასებასთან, რომელსაც მე-11 თავში განვიხილავთ.

საჭიროებათა შეფასების დაგეგმვისას მნიშვნელოვანია ორ კითხვაზე პასუხის გაცემა – ვის საჭიროებებს ვსწავლობთ და როგორ? მკვლევარი კარგად უნდა იცნობდეს იმ ჯგუფს, რომლის საჭიროებების შესწავლასაც აპირებს. საჭიროებათა კვლევამ შეიძლება მოიცვას ის ადამიანებიც, რომლებსაც კონკრეტული მომსახურებით არასდროს უსარგებლიათ, თუმცა ძლიერ განიცდიან ამ მომსახურების დეფიციტს და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მონოდება შეუძლიათ იმ საჭიროებების შესახებ, რომლებსაც ამ მომსახურების არარსებობის გამო განიცდიან, და ამ მხრივ, მათ მეტი აქვთ სათქმელი, ვიდრე, მაგალითად, მომსახურების მიმწოდებლებს, აკადემიური სფეროს ან სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებს. კვლევის საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომელი მეთოდებით ვაპირებთ ინფორმაციის შეგროვებას – საჭიროებათა კვლევა ეყრდნობა კვლევის იმავე მეთოდებს, რომლებიც, ზოგადად, კვლევისას გამოიყენება, მაგალითად, გამოკითხვა, სიღრმისეული ინტერვიუ, ფოკუსჯგუფი და სხვ. თუმცა სამიზნე ჯგუფიდან და კვლევის ფოკუსიდან გამომდინარე, აუცილებელია, ზუსტად შეირჩეს კვლევის ის მეთოდი, რომელიც მოცემულ სიტუაციაში მონაცემების შეგროვების საუკეთესო საშუალება იქნება.

საჭიროებათა კვლევის დაწყებამდე მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ, თუ რას ვგულისხმობთ „საჭიროების“ ცნებაში. ერთ-ერთი კლასიფიკაციის მიხედვით, არსებობს ოთხი ტიპის საჭიროება (Bradshaw, 1977 cited in Alston & Bowles, 2018): (1) ნორმატიული – სტანდარტული ან მოსალოდნელი საჭიროება, რომელიც განისაზღვრება პროფესიონალების და სხვა კომპეტენტური პირების მიერ – მაგალითად, ქცევითი თერაპიის საჭიროება აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვისთვის; (2) განცდილი – სამიზნე ჯგუფის სურვილები, რომლებიც გამოხატავს იმას, თუ რა სურთ მათ, მაგალითად: დღის ცენტრის ბენეფიციართა სურვილი, მომსახურების ჩამონათვალში იყოს თვეში ერთხელ ექსკურსიაზე სიარული; (3) გამოხატული – სამიზნე ჯგუფის ღიად დაფიქსირებული საჭიროება, მაგალითად, ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის პროგრამის მომლოდინეთა სია და (4) შედარებითი – თემისა და ჯგუფის საჭიროება, რომელიც სხვა თემსა თუ ჯგუფთან შედარების შედეგად განისაზღვრა, მაგალითად, დღის ცენტრის მომსახურების მსგავსად, ბენეფიციართა ტრანსპორტით მომსახურების არსებობა სკოლაში ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში. როგორც ვხედავთ, საჭიროებას განსხვავებუ-

ლად გამოხატავენ პროფესიონალები / ექსპერტები (ნორმატიული და შედარებითი საჭიროება) და სამიზნე ჯგუფი/თემი (გამოხატული და შედარებითი საჭიროება). ექსპერტული მოსაზრება შეიძლება შეცდომაში შემყვანი იყოს, რადგან მას აკლია სამიზნე ჯგუფის ცხოვრებისეული, ყოფითი გამოცდილება; მეორე მხრივ, თავად სამიზნე ჯგუფის/თემის მოსაზრება შეიძლება არარეალისტური და ეგოისტური აღმოჩნდეს. ნებისმიერი ხასიათის საჭიროებათა კვლევის დროს მკვლევარმა უნდა მოახერხოს საკითხის სხვადასხვა პერსპექტივიდან განხილვა. მკვლევრის საბოლოო მიზანია საჭიროებათა ყოვლისმომცველი ანალიზის გაკეთება, რომელიც, ფაქტობრივად, საჭიროებათა ზემოთ განხილულ ოთხივე დონეს მოიცავს.

III. რატომ არის მნიშვნელოვანი საჭიროებათა შეფასება

საჭიროებათ კვლევა, უპირველეს ყოვლისა, სწორად დაგეგმვაში გვეხმარება. საჭიროებათა ანალიზი საშუალებას გვაძლევს (Alston & Bowles, 2018):

- შევაფასოთ თემის/ჯგუფის საჭიროებები და შედეგების სწრაფად და ეფექტურად წარმოდგენით შესაბამისი თემი/ჯგუფი მივმართოთ მოქმედებისა და ცვლილებებისკენ;
- განვსაზღვროთ, არსებობს თუ არა საჭირო მომსახურებები;
- გავანალიზოთ მომსახურებების არარსებობით გამომწვეული პრობლემები;
- განვსაზღვროთ, რამდენად კარგად ასაბუთებენ მომსახურების პოტენციური მიმღებები მომსახურების საჭიროებას;
- განვსაზღვროთ, ვინ სარგებლობს არსებული მომსახურებებით;
- განვსაზღვროთ, რა პრობლემები იჩენს თავს არსებული მომსახურებისას;
- განვსაზღვროთ, რა სახის რესურსები და პროგრამული პრიორიტეტები უკავშირდება კონკრეტულ მომსახურებას;
- შევაფასოთ, რამდენად კარგად პასუხობს არსებული მომსახურებები თემის/ჯგუფის საჭიროებებს;
- გამოვავლინოთ არსებული სოციალური პრობლემები.

როგორც ვხედავთ, სოციალურ მუშაობაში საჭიროებათა შეფასება მხოლოდ კვლევა არ არის, ის თემის/ჯგუფის მობილიზებაა განსაზღვრული ცვლილებებისკენ. თუ სოციალური მუშაკი საჭიროებათა ანალიზს მხოლოდ კვლევის მიზნით აკეთებს, მან უნდა გადახედოს სოციალური მუშაობის საყრდენ პრინციპებსა და სტანდარტებს. საჭიროება-ანალიზი მიმართული უნდა იყოს კონკრეტული თემის/ჯგუფის გასაძლიერებლად და საჭირო ცვლილებების ადვოკატირებისკენ (Alston & Bowles, 2018)

IV. საჭიროებათა კვლევის მონაწილეები

როგორ განვსაზღვროთ საჭიროებათა კვლევის მონაწილეები? ვინ არიან ის ადამიანები, რომელთა აზრიც უნდა გავიგოთ? კვლევაში ჩართული უნდა იყოს ყველა იმ ჯგუფის თუ თემის წარმომადგენელი, რომლებიც პირდაპირ თუ ირი-

ბად უკავშირდებიან ჩვენთვის საინტერესო თემას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კვლევაში მონაწილეობენ დაინტერესებული ჯგუფები. მაგალითად, თუ ჩვენ გვინტერესებს დღის ცენტრით მომსახურების ბენეფიციართა საჭიროებები, ჩვენს კვლევაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა იმ ჯგუფის წარმომადგენელმა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ამ მომსახურებით და გავლენას ახდენენ ამ მომსახურების განხორციელებასა და შედეგებზე.

სოციალურ მუშაობაში საჭიროებათა კვლევა მონაცემების შეგროვებისას, ტრადიციულად, შემდეგ ჯგუფებს ეყრდნობა: სამიზნე ჯგუფი (კლიენტები, პოტენციური კლიენტები), ინფორმირებული პირები (მომსახურების მიმწოდებლები, ექსპერტული ცოდნის მქონე პირები და სხვ.) და მთლიანი თემის შერჩევითი ერთობლიობა.

სამიზნე ჯგუფი დაკომპლექტებულია იმ ადამიანებისგან, რომლებიც ყველაზე მეტად არიან დაკავშირებული მომსახურებასთან ან ყველაზე მეტად განიცდიან ამ მომსახურების არარსებობით გამოწვეულ პრობლემას. მკვლევარი სწორედ მათ საჭიროებებს სწავლობს. ზემოთ განხილულ მაგალითში, დღის ცენტრის ბენეფიციართა საჭიროებებთან დაკავშირებით, სამიზნე ჯგუფი იქნებოდა დღის ცენტრის ამჟამინდელი და ყოფილი ბენეფიციარები და მათი ოჯახის წევრები. როდესაც ვსაუბრობთ კვლევაში სამიზნე ჯგუფის ჩართვაზე, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყოველთვის ადვილი როდია. მარგინალიზებული ჯგუფები, ისეთები, როგორებიცაა, მაგალითად, უსახლკაროები, ნივთიერებაზე დამოკიდებული პირები, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები და სხვ., ყოველთვის სათანადოდ არ არის წარმოდგენილი კვლევაში (Montesanti et al, 2016). ზოგ შემთხვევაში მკვლევარს უშუალო შეხება არ აქვს ამ ჯგუფთან და უჭირს მათთან დაკავშირება. ასევე ხშირად პრობლემაა ამ ჯგუფებთან საჭირო კონტაქტის დამყარება და ნდობის მოპოვება (Montesanti et al, 2016). დღის ცენტრის ბენეფიციარებთან მიმართებით, მკვლევარი შესაძლოა, ასევე, შეხვედროდა პრობლემას – დღის ცენტრის ბენეფიციარებს შორის ბევრია განვითარების სხვადასხვა დარღვევის მქონე ადამიანი – კვლევაში მათი მონაწილეობისთვის მკვლევარს უნდა ჰქონდეს მათთან მუშაობისთვის საჭირო უნარ-ჩვევები; ასევე, მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ შესაძლოა, დასჭირდეს კვლევის ინსტრუმენტების მათ საჭიროებებზე მორგება – კითხვარის ფორმის გამარტივება ან ინტერვიუსთვის მეტი დროის გამოყოფა. სამიზნე ჯგუფის ჯერონად წარმოდგენა კვლევაში მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ. შესაბამისად, მკვლევარმა კარგად უნდა დაგეგმოს და ყველა ზომა მიიღოს მათი ეფექტური მონაწილეობისთვის.

ინფორმირებული პირები შეიძლება იყვნენ: ექიმები, მასწავლებლები, თანამდებობის პირები, თემის ლიდერები და სხვ. – ყველა ის ადამიანი, რომლებიც ღირებულ ინფორმაციას ფლობენ სამიზნე ჯგუფის საჭიროებების შესახებ. ინფორმირებული პირებისგან მიღებული ინფორმაცია, სამიზნე ჯგუფისგან მიღებული ინფორმაციისგან განსხვავებით, უფრო ფართოა და ხშირად კონტექსტურ ინფორმაციასაც შეიცავს. თუმცა ინფორმირებული პირებისგან მიღებულ ინფორ-

მაციას ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ, რადგან მათ შეიძლება საკუთარი ინტერესები ჰქონდეთ ამა თუ იმ მომსახურების განვითარებასთან ან არსებულის შენარჩუნებასთან დაკავშირებით. ზემოთ მოყვანილი დღის ცენტრის ბენეფიციარების შემთხვევაში, ინფორმირებული პირები შეიძლება იყვნენ მომსახურების მიმწოდებლები, მომსახურების დამფინანსებლები, სოციალური პოლიტიკის ექსპერტები, ადამიანის განვითარების სპეციალისტები და სხვ.

რელევანტური თემის წარმომადგენლები ქმნიან მესამე ჯგუფს, რომლისგანაც ღირებულ ინფორმაციას იღებს მკვლევარი საჭიროებათა შეფასების დროს. რელევანტური თემი შეიძლება უკავშირდებოდეს როგორც უშუალოდ სამიზნე ჯგუფს, ისე ნებისმიერ იმ ადამიანს, რომელიც შესაძლოა, უშუალოდ არ არის ჩართული მომსახურებაში, მაგრამ ირიბად ახდენს მასზე გავლენას ან, პირიქით, განიცდის მის გავლენას. ამ გზით მიღებული ინფორმაცია გვეხმარება, გავიაზროთ, თუ რამდენად სცდება აღნიშნული საჭიროებები სამიზნე ჯგუფს და უკვე თემის სხვა წევრებისთვისაც არის დამახასიათებელი. ასევე, გვექმნება წარმოდგენა, თუ როგორ განიხილება პრობლემები და საჭიროებები გაფართოებული თემის კონტექსტში, რა სახის ცვლილებები მიაჩნიათ საჭიროდ. თუმცა აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ თემის წევრები, ზოგადად, ნაკლებად არიან ინფორმირებულნი თემის ყველაზე მარგინალიზებული ჯგუფების შესახებ. თუ დავუბრუნდებით დღის ცენტრის ბენეფიციარების საჭიროების კვლევას, აქ თემის მაგალითი შეიძლება იყოს, ზოგადად, განვითარების დარღვევების მქონე პირების მშობლები და ოჯახის წევრები, თუმცა ხშირად დღის ცენტრის ბენეფიციართა მშობლები ნაკლებად არიან ინფორმირებულნი მძიმე დარღვევის მქონე ბავშვების/ზრდასრულების და მათი მშობლების საჭიროებების შესახებ, რადგან საქართველოში მძიმე დარღვევის მქონე ბავშვები და ზრდასრულები, ძირითადად, სახლში არიან და მათ ნაკლებად ვხვდებით დღის ცენტრებში (მახარაძე, 2018).

როგორც ვხედავთ, საჭიროებების შესახებ სრული და ზუსტი ინფორმაციის მისაღებად კვლევაში მრავალფეროვანი ჯგუფების ჩართვაა საჭირო და სურათი მრავალმხრივი პერსპექტივით უნდა იყოს გაანალიზებული.

V. საჭიროებათა კვლევისას გამოყენებული მეთოდები

სამეცნიერო წრეებში მიაჩნდათ, რომ საჭიროებათა კვლევის დროს, ძირითადად, კვლევის რაოდენობრივი მეთოდები გამოიყენება. თუმცა თანამედროვე ლიტერატურაში სულ უფრო მეტად გვხვდება მოსაზრება შერეული მეთოდების გამოყენების სასარგებლოდ (Alston & Bowles, 2018). ქვემოთ განხილულია ის მეთოდები, რომლებიც ყველაზე ხშირად გამოიყენება საჭიროებათა შეფასების დროს.

– **გამოკითხვა** – რაოდენობრივი კვლევის მეთოდებიდან, გამოკითხვა ყველაზე ხშირად გამოიყენება საჭიროებათა კვლევის დროს. ამ შემთხვევაშიც გამოკითხვა ზუსტად იმ მიზნებს ემსახურება, რომლებსაც ნებისმიერი სხვა კვლევის დროს, ამიტომ მისი დაგეგმვისა და ჩატარების დეტალებს აქ აღარ განვიხილავთ.

აქ მხოლოდ გავიხსენებთ იმ ძირითად ნაბიჯებს, რომლებსაც ეს მეთოდი გულისხმობს:

- განვსაზღვროთ გამოკითხვის სამიზნე ჯგუფი;
- დავადგინოთ შერჩევითი ერთობლიობის განსაზღვრის დიზაინი;
- განვსაზღვროთ კითხვარის შინაარსი – რომლის შედგენას წინ უსწრებს ლიტერატურის დამუშავება; შესაძლოა, ინტერვიუები და ფოკუსჯგუფები ინფორმირებულ პირებთან;
- დავადგინოთ კითხვების ტიპი – როგორ კითხვებს გამოვიყენებთ კითხვარში – დახურულს, ღიას თუ შერეულს;
- განვსაზღვროთ ჩატარების გზა – პირისპირ, ფოსტით, ტელეფონით და სხვ.

გამოკითხვა დიდი რაოდენობით ინფორმაციის შეგროვების საშუალებას იძლევა. თუმცა ამ მეთოდით ნაკლებად უნდა ველოდოთ ისეთი ინფორმაციის მიღებას, რომელიც არსებული საჭიროებების შესახებ სიღრმისეულ წარმოდგენას შეგვიქმნის. მაგალითად, კითხვარის საშუალებით გავიგებთ, რამდენად მოსწონთ ბენეფიციარებს დღის ცენტრის მომსახურება, თუმცა კონკრეტულად რა არ მოსწონთ და რისი შეცვლა სურთ, ამის გაგება მხოლოდ ღია კითხვებისა და სიღრმისეული ინტერვიუს ან ფოკუსჯგუფის დროს არის შესაძლებელი. კითხვარის ჩატარებას საკმაოდ ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ სხვადასხვა მარგინალიზებულ ჯგუფთან. არაერთგვაროვანი მიზეზების გამო (ენის საფუძვლიანად არცოდნა, წერა-კითხვის არცოდნა და სხვ.) მათ შეიძლება გაუჭირდეთ კითხვარის შევსება ან გაგება. ასევე, თუ ვაპირებთ კითხვარის გაგზავნას ფოსტით, უნდა დავრწმუნდეთ, რომ ყველა ჩვენს რესპონდენტს აქვს მუდმივი საცხოვრებელი მისამართი, ხოლო თუ ვაგზავნით ელექტრონული ფოსტით – ყველას აქვს თუ არა წვდომა ინტერნეტთან.

– საჭიროებების შეფასების სტანდარტიზებული საზომები – საჭიროებათა კვლევისას განსაზღვრული ჯგუფების საჭიროებების შესაფასებლად სულ უფრო მეტად გამოიყენება სტანდარტიზებული საზომები. მაგალითად, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ შემუშავებულია ფსიქიკური ჯანმრთელობის სისტემის შეფასების საზომი (WHO, 2005). ინსტრუმენტი სხვადასხვა ქვეყანასა თუ რეგიონში ფსიქიკური ჯანმრთელობის სისტემის შესახებ მრავალმხრივი ინფორმაციის შეგროვების შესაძლებლობას იძლევა, რაც, საბოლოო ჯამში, მიმართულია სისტემის გაუმჯობესებისკენ. ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა საჭიროებების შეფასებისას ხშირად გამოიყენება სტანდარტიზებული საზომი – **Mental Health Needs Assessment Study (MHNAS)** – არაერთმა კვლევამ აჩვენა, რომ MHNAS კარგად ზომავს ამ ჯგუფის სპეციფიკურ საჭიროებებს (Norman, 2017). ჰოსპიტალიზებულ ხანდაზმულებზე მზრუნველი პირების საჭიროებების შესასწავლად შექმნილი იყო სპეციალური ინსტრუმენტი – **Needs Inventory for Caregivers of Hospitalized Elders (NICHE)** (Cummings et al., 1998). ეს უკანასკნელი შეიქმნა ოჯახის საჭიროებების შესაფასებლად და იმის გასაანალიზებლად, თუ რა ზეგავლენას ახდენს ოჯახების ფუნქციონირებაზე ხანდაზმული

ნევრის ჰოსპიტალიზაცია. ინსტრუმენტში რესპონდენტებს სთხოვენ, ლაიკერტის ხუთქულიან სკალაზე შეაფასონ 17 ბაზისური საჭიროება. საჭიროებათა ანალიზისას სტანდარტიზებული საზომების გამოყენების სარგებელი არის ის, რომ ინსტრუმენტის სანდობა და ვალიდობა უკვე დადგენილია. თუმცა სტანდარტიზებული ინსტრუმენტების გამოყენება სხვადასხვა კულტურაში მოითხოვს ადაპტაციისა და სტანდარტიზაციის პროცედურების დაცვას.

- არსებული სტატისტიკური და სხვა ინფორმაციის გამოყენება – საჭიროებათა შეფასების დროს მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება შეიძლება უკვე არსებული მონაცემებით. საქართველოში სხვადასხვა მონეყვლადი ჯგუფის მდგომარეობის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება შეიძლება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბაზებში: <https://www.geostat.ge/ka>; ასევე, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებების შესახებ დეტალური ინფორმაციაა მოცემული საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო და სპეციალურ ანგარიშებში: <http://www.ombudsman.ge/>. მკვლევრისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები. ამგვარი მეორეული მონაცემების ანალიზი მკვლევარს საშუალებას აძლევს, უკეთ კონცენტრირდეს საკვლევ ამოცანასა და მის მნიშვნელობაზე. მაგალითად, ისეთი სტატისტიკური მონაცემი, როგორცაა თანაფარდობა საქართველოში ზრდასრულ შშმ პირთა რაოდენობასა და დასაქმებულ შშმ პირთა რაოდენობას შორის, კარგად წარმოაჩენს შშმ პირთა და მათი ოჯახების საჭიროებებს – შშმ პირებში გავრცელებულ უმუშევრობასა და სიღარიბის მაღალ მაჩვენებლებს იმ ოჯახებში, რომლებშიც შშმ პირია (მახარაძე და სხვ., 2018). ასევე, საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშებში ასახული ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პაციენტებთან არასათანადო მოპყრობის შემთხვევები მიუთითებს იმ საჭიროებებზე, რომლებიც საქართველოში ფსიქიკური აშლილობების მქონე პირებსა და მათ ოჯახებს აქვთ (საქართველოს სახალხო დამცველი, 2019). მსგავსი მეორეული მონაცემები კარგ მიმართულებას აძლევს მკვლევარს როგორც კვლევის დაგეგმვის, ისე შეგროვებული პირველადი მონაცემების ანალიზის დროს.

- სიღრმისეული ინტერვიუ – პირისპირ და სატელეფონო, სიღრმისეული ინტერვიუები ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული თვისებრივი კვლევის მეთოდია საჭიროებათა კვლევაში. სიღრმისეული ინტერვიუების წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ინტერვიუერსა და რესპონდენტს შორის რაპორტის დამყარებაზე, რაც ყოველთვის ადვილი არ არის მარგინალიზებული ჯგუფების შემთხვევაში (Montesanti et al, 2016). საჭიროებებზე საუბრისას შესაძლოა, წინ წამოინიოს მგრძობიარე თემებმა, რომლების განხილვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც რესპონდენტსა და ინტერვიუერს შორის არის თავისუფალი და ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა. ასევე, ინტერვიუს დროს რესპონდენტმა შესაძლოა, დაინყოს ისეთ საჭიროებებზე საუბარი, რომლების ადგილი მოცემულ ინტერვიუში არ იყოს (Allen, 2017). ამასთანავე, ინტერვიუერი მზად უნდა იყოს, რომ ინტერვიუმ შეიძლება იმოქმედოს რესპონდენტის გუნება-გან-

წყობილებაზე – საჭიროებებზე საუბარი, განსაკუთრებით, ზოგიერთი მარგინალიზებული ჯგუფის შემთხვევაში, შეიძლება, მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური დისტრესის შემცველი იყოს (Gilbert, 2000). ყველაფერი ეს მიუთითებს იმაზე, რომ სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარებას საკმარისი კვალიფიკაცია და გამოცდილება სჭირდება, რაც ხანგრძლივ და საფუძვლიან მომზადებასთანაა დაკავშირებული. ასევე, სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარებასა და მისი მონაცემების დამუშავებას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება.

– **ფოკუსჯგუფი** – 8-12 წევრისგან დაკომპლექტებულ, ჰომოგენურ ჯგუფთან ჩატარებული ინტერვიუ ერთდროულად რამდენიმე ადამიანის აზრის გაგების შესაძლებლობას იძლევა. ფოკუსჯგუფის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემული მე-6 თავში, შესაბამისად, აქ ამ საკითხზე ყურადღებას აღარ გავამახვილებთ. საჭიროებათა კვლევის დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ფოკუსჯგუფის თითოეულმა მონაწილემ მოახერხოს საკუთარი მოსაზრების გამოთქმა – კარგად ორგანიზებული და ჩატარებული ფოკუსჯგუფის დროს ყოველ კითხვაზე პასუხის მოსმენა თითოეული წევრისგან უნდა იყოს შესაძლებელი; ფოკუსჯგუფის ფასილიტატორი ინიშნავს მონაწილეთა მოსაზრებებს ყოველგვარი ცვლილებების გარეშე. ზოგადად, ფასილიტატორის როლზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ფოკუსჯგუფის წარმატება – არაგანსჯითი და მხარდამჭერი დამოკიდებულებით ის ჯგუფში მეგობრულ და თავისუფალ ატმოსფეროს ქმნის, რაც მონაწილეებს საკუთარი მოსაზრებების გულწრფელად გამოთქმაში ეხმარება. ფოკუსჯგუფი არ ითვალისწინებს მონაწილეების მოსაზრებების დაახლოებას, ის გამოიყენება, რაც შეიძლება მეტი აზრის მოსასმენად.

– **ნომინალური ჯგუფები** – ნომინალური ჯგუფის ტექნიკა იდეების ჯგუფურად წარმოქმნის კარგ შესაძლებლობას გვაძლევს. ეს არის მკაცრად სტრუქტურირებული ჯგუფური ინტერვიუ, რომელიც მონაწილეებს საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირების საშუალებას აძლევს. ნომინალური ჯგუფის ტექნიკა შეიმუშავეს Delbecq-მა და Van de Ven-მა (Delbecq et al., 1986). მისი ჩატარება ოთხ ძირითად ეტაპს გულისხმობს: სიჩუმეს, წრეზე მუშაობას, გარკვევა-დაზუსტებასა და კენჭისყრას (პრიორიტეტიზაცია). ნომინალური ჯგუფის ტექნიკაში მონაწილეობას იღებს 2-იდან 14-ამდე წევრი – რეკომენდებულია 7 წევრი. ამ ტექნიკის თანახმად, კვლევის მონაწილეების სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლები, მაგალითად, მომსახურების მიმღებები, მომსახურების მიმწოდებლები და ინფორმირებული პირები ერთად იკრიბებიან პრობლემებისა და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზებზე სამსჯელოდ. ნომინალური ჯგუფების მუშაობა მკაცრად ფორმალიზებულია. მუშაობის წესები გულისხმობს მცირე ჯგუფებად (10 წევრამდე) დაყოფას. ჯგუფში თითოეულ წევრს ეძლევა კითხვების ჩამონათვალი (ხშირად წინასწარ ეგზავნებათ), რომელზეც 10-15 წუთის განმავლობაში ინდივიდუალურად, სიჩუმეში უნდა გასცენ პასუხი – სიჩუმის ფაზა. ეს კითხვები ეხება არსებულ პრობლემებსა და მათი მოგვარების გზებს. ამის შემდეგ იწყება წრეზე მუშაობის ეტაპი – ჯგუფის ლიდერი იწყებს მონაწილეთა პასუხების ფლიპჩარტზე გადატანას. წრეში თი-

თოეული მონაწილე რიგრიგობით ასახელებს თავის პასუხს და ჯგუფის ლიდერს ის ფლიპჩარტზე გადააქვს მანამ, სანამ ყველა პასუხი არ ამოიწურება. ამ ეტაპზე დისკუსია არ არის ნებადართული, ხდება მხოლოდ ყველა იდეის დაფიქსირება. მას შემდეგ, რაც ყველა მონაწილის პასუხს გადაიტანენ ფლიპჩარტზე, იწყება მესამე ეტაპი – გარკვევა-დაზუსტება. აქ უკვე მონაწილეები იწყებენ მსჯელობას დასახელებული იდეებისა და მოსაზრებების შესახებ, ხდება მოსაზრებების გაერთიანება, ზოგიერთის გამორიცხვა, ახლების დამატება. მნიშვნელოვანია, რომ იდეების საბოლოო სიის შემუშავებაში ყველა იყოს ჩართული, თუმცა აუცილებელი არ არის, რომ საბოლოო სიას ყველა ეთანხმებოდეს, რადგან კენჭისყრისა და პრიორიტეტების მინიჭების ფაზაში მონაწილეები შეძლებენ, იგნორირება გაუკეთონ მათთვის ნაკლებად სასურველ იდეებსა და მოსაზრებებს. წრისა და გარკვევა/დაზუსტების ფაზას, თითოეულს, დაახლოებით, 30 წუთი სჭირდება. ნომინალური ჯგუფის ჩატარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ფასილიტატორმა არ წარმართოს ჯგუფის მუშაობა, რაც, გარკვეულწილად, ართულებს სამუშაო პროცესს. ბოლო, კენჭისყრის ეტაპზე, მონაწილეებს ურიგდებათ ცხრილი, რომელშიც დასახელებული იდეები/მოსაზრებები თავიანთი პრიორიტეტების მიხედვით უნდა განალაგონ. პრიორიტეტების რაოდენობა დამოკიდებულია საკვლევ თემაზე, თუმცა, როგორც წესი, მონაწილეებს სთხოვენ ხუთი პრიორიტეტული იდეის შერჩევას და ციფრების პრიორიტეტების მიხედვით მინიჭებას – ყველაზე მეტად პრიორიტეტულიდან ნაკლებად პრიორიტეტულის მიმართულებით. პრიორიტეტების მინიჭების პროცესი არის კონფიდენციალური. საბოლოო ჯამში, თითოეული იდეის/მოსაზრების ქულები ჯამდება და წარმოდგენილია ჯგუფის წინაშე. ნომინალური ჯგუფის ბოლო ეტაპისთვის საჭირო დრო ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის, საკითხის სირთულეზე, შესაფასებელი იდეების რაოდენობაზე და სხვ. ზოგადად, ეს ეტაპი 10-15 წუთს გულისხმობს. ისე კი, ერთი ნომინალური ჯგუფის ჩასატარებლად საჭირო დრო დამოკიდებულია ჯგუფის ზომაზე – რამდენი მონაწილეა ჩართული, კითხვების ტიპსა და რაოდენობაზე და სხვ. ჯგუფური მუშაობის სხვა ფორმების მსგავსად, ნომინალური ჯგუფის ტექნიკას აქვს თავისი უპირატესობა და ნაკლოვანება „ბრეინშთორმინგთან“ შედარებით. „სიჩუმის“ ეტაპზე ინდივიდუალურად მუშაობის შედეგად, მონაწილეებს უფრო სრულყოფილი იდეები მოაქვთ ჯგუფში სადისკუსიოდ. ინდივიდუალური მუშაობის დროს ისინი ნაკლებად ახდენენ ერთმანეთის მოსაზრებაზე გავლენას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ნომინალური ჯგუფის ჩატარებას წინ სერიოზული მოსამზადებელი სამუშაო უსწრებს, ამიტომ ეს უკანასკნელი ხშირად არ გამოიყენება. თუმცა შესაძლებელია მისი სქემის გამარტივება და ზემოთ აღწერილი ზოგიერთი ეტაპის გამოტოვება. არაერთმა კვლევამ აჩვენა, რომ ნომინალური ჯგუფის ტექნიკა ეფექტურად გამოიყენება დაინტერესებული პირების საჭიროებების კვლევის დროს. მაგალითად, ნომინალური ჯგუფის ტექნიკა გამოყენებული იყო დაინტერესებული ჯგუფების პრიორიტეტების საკვლევ კითხვარის შესაქმნელად სკლეროდერმის მქონე პირებზე მზრუნველი პირების შემთხვევაში (Rice et al. 2018); ასევე, ნომინალური ჯგუფების ტექნიკა ეფექტურად იყო გამოყენებული წამალდამოკიდებული პირე-

ბის მკურნალობა-რეაბილიტაციის პროცესში ძირითადი ბარიერების გამოსავლენად (Madden et al, 2019).

- დელფიპანელი - ნომინალური ჯგუფების მსგავსად, დელფიტექნიკა მკაცრად სტრუქტურირებული ჯგუფური მუშაობაა. თუმცა, ამ შემთხვევაში, პირის-პირ კომუნიკაციის ნაცვლად, გამოიყენება კითხვარი. ეს ნიშნავს, რომ ის, კონფიდენციალურობასთან ერთად, მონაწილეების ანონიმურობას იცავს, თუ ეს მნიშვნელოვანია. დელფიჯგუფში არ არსებობს მონაწილეთა მკაცრად განსაზღვრული რაოდენობა, თუმცა რეკომენდებულია 13-15 მონაწილის ჩართვა. დელფიტექნიკის მიზანია მონაწილეებს შორის განსაზღვრული კონსენსუსის მიღწევა. პირველ ეტაპზე მონაწილეებს ეგზავნებათ კითხვარი, რომელშიც მოცემული მტკიცებულებები უნდა შეაფასონ ლაიკერტის სკალაზე. მონაწილეებს სთხოვენ როგორც თვითონ დებულების სკალაზე შეფასებას, ისე კომენტარის დაწერას. მაგალითად, ახსნან პასუხი, რატომ გამოხატავენ თანხმობას ან უარყოფას; მონაწილეებს ასევე სთხოვენ, განსაზღვრულ თარიღამდე დააბრუნონ შევსებული კითხვარები - დაგვიანების შემთხვევაში, ეგზავნებათ შესხენებები. პირველი რაუნდის კითხვარზე მიღებული პასუხები მუშავდება და იქმნება მეორე რაუნდის კითხვარი, რომელშიც მოცემულია იგივე დებულებები, რომლებიც იყო პირველი რაუნდის კითხვარში და ასევე, რესპონდენტების მიერ თითოეული დებულების შეფასების ქულა, რომელსაც თან ახლავს ჯგუფის მიერ ამ დებულებების შეფასების საშუალო ქულა - როგორც ეს გამოსახულია ნახაზ 1-ზე. შესაბამისად, რესპონდენტები ხედავენ როგორც საკუთარ, ისე ჯგუფის საშუალო შეფასებას. ქულებთან ერთად, მეორე რაუნდის კითხვარში რესპონდენტი კითხულობს თითოეულ დებულებასთან დაკავშირებით მონაწილეების მიერ გამოთქმული კომენტარების შეჯამებას.

ნახაზი 10.1

დღის ცენტრის მომსახურების ეფექტურობის ინდიკატორად შეიძლება ჩაითვალოს ბენეფიციართა ყოველდღიური უნარ-ჩვევების გაუმჯობესება.

თქვენი წინა შეფასება	ჯგუფის შეფასების მედიანა						
3	4						
ვეთანხმები	არ ვიცი		არ ვეთანხმები				
სკალა	1	2	3	4	5	6	7
პასუხების N	(2)	(5)	(4)	(5)	(3)	(10)	(12)

რესპონდენტების რაოდენობა, რომლებმაც დაწერეს კომენტარი - 15

შეჯამებული კომენტარები:

- ვეთანხმები, რადგან სწორედ ყოფითი უნარ-ჩვევების განვითარება არის დღის ცენტრის მომსახურების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი;
- ნაკლებად დასაშვებია, რადგან ყოფითი უნარ-ჩვევების განვითარებაზე ოჯახიც უნდა ზრუნავდეს;
- რთული სათქმელია, გააჩნია ბენეფიციარის მდგომარეობას.

ჯგუფის საშუალო პასუხებისა და კომენტარების გაცნობის შემდეგ რესპონდენტები თავიდან აფასებენ დებულებებს – უცვლელად ტოვებენ ან ცვლიან პირველი რაუნდის კითხვარში თავიანთ მინიჭებულ ქულას. მათ, სურვილის შემთხვევაში, ასევე შეუძლიათ ახალი კომენტარის დაწერა. ის, თუ რამდენი რაუნდი უნდა ჩატარდეს, დამოკიდებულია მონაწილეთა შორის არსებულ აზრთა სხვადასხვაობაზე. თუმცა რაუნდების რაოდენობის განსაზღვრა მაინც წინასწარ ხდება. როგორც წესი, ორ რაუნდზე მეტი იშვიათად ტარდება. მთლიანად დელფიპანელის ჩატარების პროცედურას, დაახლოებით, 30 დღე სჭირდება. დებულებების შესაფასებლად ყველაზე ხშირად გამოიყენება ლაიკერტის 9-ქულიანი სკალა, თუმცა ასევე მიმართავენ 3-, 5- და 7-ქულიან სკალებს. გადანყვეტილება იმის შესახებ, თუ როდის ჩაითვლება კონსენსუსი მიღწეულად, წყდება კვლევის დასაწყისში. მაგალითად, თუ დებულებების შეფასება ხდება 9-ქულიან სკალაზე, შეიძლება დაშვებული იყოს, რომ დებულების შესახებ კონსენსუსი მიღწეულია, თუ ამ დებულებაზე ჯგუფის პასუხის მედიანა არის 7-ზე მეტი.

– **სათემო ფორუმები** – უფრო დიდი და მრავალფეროვანი ჯგუფისგან ინფორმაციის შეგროვების მიზნით, საჭიროებათა კვლევაში გამოიყენება სათემო ფორუმები. ეს არის ღია კრება, რომელზე დასწრებაც შეუძლია თემის ნებისმიერ წარმომადგენელს. ამ შეკრების მიზანია იმ საკითხებისა და საჭიროებების გამოვლენა, რომლებიც მთლიანად თემს აწუხებს. ეს არის ინფორმაციის შეგროვების სწრაფი და იაფი გზა, რომელიც ასევე წარმოაჩენს იმ ადამიანებს, რომლებიც მზად არიან დასახმარებლად საჭირო ცვლილებების გასატარებლად. თუმცა, ფორმატიდან გამომდინარე, რთულია ყველა ჩართული პირის მოსაზრებების გაგება; შესაძლებელია, წინ წამოიწიოს უფრო აქტიური ჯგუფების ინტერესები და ყველაზე მარგინალიზებულნი კი – კვლავ განზე დარჩნენ (Alston & Wendy, 2018). სათემო ფორუმის კარგ მაგალითს წარმოადგენს მიდვესტერნის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული სათემო ფორუმი, რომლის მიზანი იყო რეკომენდაციების ჩამოყალიბება უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამების გასაუმჯობესებლად (Tutty & Rothery, 2011). რამდენიმე დღის განმავლობაში უნივერსიტეტის დარბაზში იკრიბებოდნენ ყველა დაინტერესებული ჯგუფის წარმომადგენლები – სტუდენტები, პროფესორები, ადმინისტრაციის თანამშრომლები და მსჯელობდნენ ინიციატორების მიერ წინასწარ შერჩეულ თემებზე, რომელთა შესახებ გადანყვეტილება უნდა მიეღოთ. ეს თემები თემის წარმომადგენლებისთვის წინასწარ იყო ცნობილი სხვადასხვა გზით – დაეგზავნათ ელექტრონულ ფოსტაზე, გამოქვეყნდა უნივერსიტეტის ვებგვერდზე და სხვ. ამ თემების შესახებ გაიმართა ღია და აქტიური დისკუსია. შესაბამისად, სტუდენტთა საგანმანათლებლო საჭიროებებისა და მათი მოგვარების შესახებ საკმაოდ მდიდარი ინფორმაცია იყო შეკრებილი.

როგორც ვხედავთ, ზემოთ განხილული ყველა მეთოდი შეიძლება ეფექტურად იყოს გამოყენებული საჭიროებათა კვლევისას, თუმცა თითოეული მათგანი ფოკუსს განსაზღვრულ ასპექტზე აკეთებს. მაგალითად, დღის ცენტრის ბენეფიციართა საჭიროებების კვლევის ფარგლებში ჩატარებული კვლევისას მომსახუ-

რების მიმწოდებლებთან ჩატარებული სირღმისეული ინტერვიუები წარმოაჩენს ნორმატიულ საჭიროებებს, ხოლო ბენეფიციარებთან ჩატარებული ფოკუსჯგუფები კონცენტრირდება გამოხატულ საჭიროებებზე. შესაბამისად, ნათელია, რომ კვლევის პროცესში მნიშვნელოვანია კვლევის შერეული მეთოდების გამოყენება და ყველა დაინტერესებული ჯგუფის მონაწილეობა. მართალია, კვლევის შერეული მეთოდების გამოყენება მეტ მატერიალურ რესურსს და დროს მოითხოვს, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ არასწორად ან ზერელედ ჩატარებული საჭიროებათა ანალიზი შესაძლოა, ძალიან უარყოფითად აისახოს სოციალური პროგრამების განვითარებასა და გაუმჯობესებაზე.

VI. თავის შეჯამება

სოციალურ მუშაობაში საჭიროებათა შეფასება მონაცემების შეგროვების ორგანიზებული გზაა თემში არსებული სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებების შესახებ, რომლებიც არსებული სოციალური სისტემის გაუმჯობესებას ემსახურება. სოციალურ მუშაობაში საჭიროებათა შეფასება მხოლოდ კვლევა არ არის, ის თემის/ჯგუფის მობილიზება განსაზღვრული ცვლილებებისკენ.

გამოყოფენ ხუთ მთავარ მიზანს, რომლებსაც, ძირითადად, საჭიროებათა შეფასება ემსახურება, ესენია: (1) კონკრეტული ჯგუფების შეხედულებების შესწავლა იმ საკითხებზე, რომლებმაც შესაძლოა, ხელი შეუწყოს ახალი პროგრამების განვითარებას, (2) მიმდინარე პროგრამების რელევანტობისა და მნიშვნელობის დასაბუთება, (3) მიღებული მომსახურებით ბენეფიციართა კმაყოფილების გაგება, (4) სხვადასხვა ალტერნატივიდან ყველაზე სასურველი პროგრამის შერჩევა და (5) იმის განსაზღვრა, თუ რამდენად დაკმაყოფილდა ბენეფიციართა საჭიროებები. საჭიროებათა შეფასების დაგეგმვისას მნიშვნელოვანია ორ კითხვაზე პასუხის გაცემა – ვის საჭიროებებს ვსწავლობთ და როგორ? მკვლევარი კარგად უნდა იცნობდეს იმ ჯგუფს, რომლის საჭიროებების შესწავლას აპირებს და კარგად უნდა ერკვეოდეს მონაცემების შეგროვების ტექნიკებში. საჭიროებათა კვლევის დაწყებამდე მნიშვნელოვანია განსაზღვროთ, თუ რას ვგულისხმობთ სიტყვაში – „საჭიროება“. არსებობს ოთხი ტიპის საჭიროება: (1) ნორმატიული – სტანდარტული ან მოსალოდნელი საჭიროება, რომელიც განისაზღვრება პროფესიონალებისა და სხვა კომპეტენტური პირების მიერ (2); განცდილი საჭიროება – სამიზნე ჯგუფის სურვილები, რომლებიც გამოხატავს იმას, თუ მათ რა სურთ (3); გამოხატული – სამიზნე ჯგუფის ღიად დაფიქსირებული საჭიროება და (4) შედარებითი – თემისა და ჯგუფის საჭიროება, რომელიც სხვა თემსა თუ ჯგუფთან შედარების შედეგად განისაზღვრა. საჭიროებას განსხვავებულად გამოხატავენ პროფესიონალები/ექსპერტები (ნორმატიული და შედარებითი საჭიროება) და სამიზნე ჯგუფი/თემი (გამოხატული და შედარებითი საჭიროება).

სოციალურ მუშაობაში საჭიროებათა კვლევა მონაცემების შეგროვებისას, ტრადიციულად, შემდეგ ჯგუფებს ეყრდნობა: სამიზნე ჯგუფს (კლიენტები, პო-

ტენციური კლიენტები), ინფორმირებულ პირებს (მომსახურების მიმწოდებლები, ექსპერტული ცოდნის მქონე პირები და სხვ.) და მთლიანი თემის შერჩევით ერთობლიობას. ყველაზე ხშირად კი მონაცემების შეგროვების ისეთ გზებს მიმართავენ, როგორებიცაა: გამოკითხვა, საჭიროებების შეფასების სტანდარტიზებული საზომები, არსებული სტატისტიკური და სხვა ინფორმაციის გამოყენება, სიღრმისეული ინტერვიუ, ფოკუსჯგუფი, ნომინალური ჯგუფები, დელფიპანელი და სათემო ფორუმები. ყოვლისმომცველი საჭიროებათა ანალიზის შესასრულებლად სულ უფრო ხშირად მიმართავენ კვლევის შერეულ მეთოდებს.

VII. ძირითადი კითხვები/კითხვები რეფლექსიისთვის

1. რას გულისხმობს საჭიროების შეფასება სოციალურ მუშაობაში?
2. დაასაბუთეთ საჭიროებათა კვლევის მნიშვნელობა სოციალურ მუშაობაში.
3. რას გულისხმობს საჭიროებათა ოთხი დონე Bradshaw-ის მიხედვით?
4. დაახასიათეთ საჭიროებათა კვლევაში ყველაზე ხშირად გამოყენებული ტექნიკები.
5. დაასაბუთეთ საჭიროებათა შეფასებისას კვლევის შერეული მეთოდების გამოყენების მნიშვნელობა.

VIII. სავარჯიშოები

სავარჯიშო N1

გამოყავით ყველა დაინტერესებული ჯგუფი ხანდაზმულთა და შშმ პირთა სათემო მომსახურების პროგრამის ბენეფიციართა საჭიროებათა კვლევისთვის.

სავარჯიშო N2

დაგეგმეთ ნომინალური ჯგუფის ტექნიკა მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მომსახურებების მიმღებთა საჭიროებათა შეფასებისთვის.

სავარჯიშო N2

დაგეგმეთ სათემო ფორუმი თბილისში ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა საჭიროებების შესაფასებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

- Alston, M. & Bowles, W. (2018) Research for Social Workers 4th Edition, ALLEN & UNWIN.
- Cummings, S.m., Kelly, T.B and Holland T.P (1998) Development and Validation of the Needs Inventory for Caregivers of the Hospitalized Elderly, Research on Social Work Practice, 8 (1): 120-132.

- Delbecq, A.L. Van de Ven, A. H and Gustafson, D.H. (1986) *The Delphi Techniques: Group Techniques for Program Planning: A Guide to Nominal Groups and Delphi Process*, Green Briar Press.
- Gilbert, K.R 2000 *The emotional nature of qualitative research*, CRC Press.
- Allen, M (Edited), (2017) *The SAGE Encyclopedia of Communication Research Methods*, SAGE.
- Montesanti, S.R., Abeslon, J., Lavis, J.N and Dunn, J.R (2016) Enabling the participation of marginalized populations: case studies from a health service organization in Ontario, Canada , *Health Promotion International*, 32: 636-649.
- Madden, L., Bojko, M.J., Farnum, S., Mazhnaya, A., Fomenko, T., Marcus, R., Barry, D., Ivanchuk, I., Kolomiets, V., Filippovych, S., Dvoryak, S., Altice, F.L (2017) Using nominal group technique among clinical providers to identify barriers and prioritize solutions to scaling up opioid agonist therapies in Ukraine, *International Journal of Drug Policy*, 49:48-53.
- Norman, Ch.C., McDonald, K., Schneider, A.E., Malinov, I., Goldman, E., Blauschild, M.K., Driver, C. (2017) *The New York City Mental Health Needs Assessment Study (MHNAS)*.
- Rice, D., Cafedo-Ayala, M., Turner, K.A., Gumuchian, T., Malcarne, V.L. Hagedoorn, M., Thombsm B.D., (2018) Use of the nominal group techniques to identify stakeholder priorities and inform survey development: an example with informal caregivers of people with scleroderma, *MBJ Open* , March.
- Tutty, L.M & Rotherym M.A. (2011) *The Handbook of Social Work Research Methods*, SAGE Publications, Inc.
- World Health Organization (2005) *World Health Organization Assessment Instrument for Mental Health System, WHO-AIMS, Version 2.2*.

თავი XI

პროგრამის შეფასება

I. შესავალი

რა არის პროგრამის შეფასება? ეს არ არის მონაცემების შეგროვება ტრადიციული მეთოდების გამოყენებით, როგორც არის, მაგალითად, გამოკითხვა ან ექსპერიმენტი. პროგრამის შეფასება სოციალურ მუშაობაში – ეს არის კვლევა, რომლის ძირითადი მიზანია, შეაფასოს სოციალური პროგრამები, როგორებიცაა, მაგალითად: ნივთიერებებზე დამოკიდებულ პირთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის პროგრამა, დასაქმების პროგრამა, ბავშვთა კეთილდღეობის პროგრამა და სხვ. ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის მკვლევარი ირჩევს კვლევის დიზაინსა და მონაცემების შეგროვების მეთოდს, რომელიც ყველაზე ზუსტად იძლევა შეფასების ძირითად კითხვებზე პასუხის გაცემის საშუალებას. შეფასება შეიძლება ეყრდნობოდეს როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის მეთოდებს. როგორც ვხედავთ, სოციალური მუშაობის კვლევის ძირითადი მიზნები, სოციალური პროგრამების შეფასების მიზნებთან მიმართებით, მნიშვნელოვნად იკვეთება. შესაბამისად, სოციალური მუშაკებისთვის აუცილებელია, კარგად ერკვეოდნენ პროგრამის შეფასების ტექნიკებში.

წინამდებარე თავში განხილული იქნება შეფასების სქემა და მისი ძირითადი კომპონენტები – შენატანი (input), პროგრამის მიმდინარეობა (პროცესი), ნამუშევარი (output) და შედეგი (outcome) და მათ შორის ურთიერთმიმართება. გაანალიზებული იქნება პროგრამის შეფასების მნიშვნელობა – პროგრამების ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანობის საკითხმა მათი შეფასების მიმართულებით წარმართული კვლევები მეტად აქტუალური გახადა. ამ აქცენტს აძლიერებს სოციალურ პოლიტიკაში მტკიცებულებაზე დაფუძნებული მიდგომის მნიშვნელობის გაზრდა. გარდა ამისა, ამ თავში განხილულია პროგრამის შეფასების სახეები – გავეცნობით პროგრამის საჭიროებათა შეფასებას, პროცესის შეფასებას, შედეგების შეფასებასა და ეფექტიანობის შეფასებას. დაბოლოს, ვისაუბრებთ პროგრამის შეფასების პრაქტიკული განხორციელების დეტალებზე.

II. რატომ არის მნიშვნელოვანი პროგრამის შეფასება

კვლევები პროგრამის შეფასების მიმართულებით მრავალი წელი ტარდება სოციალური მეცნიერების მიერ. თუმცა ბოლო პერიოდში სოციალური პროგრამების შეფასება განსაკუთრებით აქტუალური გახდა. პროგრამის შეფასების აქ-

ტუალობა ბევრმა მიზეზმა გამოიწვია. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია **ანგარიშვალდებულების** საკითხი (**Accountability**). წლიდან წლამდე იზრდება იმ სახელმწიფო პროგრამების დაფინანსება, რომლებიც მიმართულია საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისთვის საჭირო მომსახურებების განვითარებასა და დაწერვაზე, კერძოდ, მსოფლიო მასშტაბით საგრძნობლად გაზრდილია იმ პროგრამების ბიუჯეტი, რომლებიც მიმართულია ისეთი სოციალური პრობლემების დასაძლევად, როგორებიცაა: სიღარიბე, ოჯახში ძალადობა, ნივთიერებებზე დამოკიდებულება, კრიმინალური ქცევა მოზარდებში და სხვ. შესაბამისად, როგორც სახელმწიფოს, ისე საზოგადოებას სურს, დაინახოს ამ პროგრამების შედეგები და დარწმუნდნენ, რომ ისინი იმ მიზანს აღწევენ, რომლისთვისაც შეიქმნნენ. აქედან გამომდინარე, პროგრამის შეფასება განსაკუთრებით აქტუალურია, როდესაც საქმე მის დაფინანსებას ეხება. სოციალური პროგრამების დაფინანსების შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. პოლიტიკურ წრეებში არსებობს ჯგუფები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სოციალურ პროგრამებზე ნაკლებად უნდა იხარჯებოდეს თანხა, თუმცა ყველა ჯგუფი თანხმდება იმის შესახებ, რომ თანხა არ უნდა იხარჯებოდეს არაეფექტურ პროგრამებზე. ისინიც, ვისაც მიაჩნია, რომ სახელმწიფო უნდა ხარჯავდეს თანხას სხვადასხვა სოციალური პროგრამის განვითარებასა და დაწერვაზე, თვლიან: საჭიროა, დავრწმუნდეთ, რომ ეს პროგრამები რეალურ დახმარებას უწევს იმ ჯგუფებს, რომლებისთვისაც ისინი შეიქმნა და დაინტერესებულნი არიან, მონახონ ის გზები, რომლებითაც ეს პროგრამები მეტად ეფექტური გახდება. სამეცნიერო ლიტერატურაში არის კვლევები, რომლებიც აჩვენებს, რომ ზოგიერთი ინტერვენცია და კვლევა არათუ ეფექტურია, არამედ ზიანის მომტანიც კი არის ბენეფიციარებისთვის. შესაბამისად, კლიენტების ინტერესებიდან გამომდინარე, სოციალური მუშაკები დიდ ყურადღებას უნდა უთმობდნენ ინტერვენციებისა და სოციალური პროგრამების ანგარიშვალდებულებას და ხელს უწყობდნენ მათ რეგულარულ შეფასებას.

დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება ინტერვენციებისა და სოციალური მომსახურებების **ხარჯთეფექტურობის (ეფექტიანობის)** თემა. სოციალური პროგრამების დამფინანსებლებისთვის მნიშვნელოვანი საკითხია სასურველი შედეგების ნაკლები ხარჯებით მიღება. მსგავსი ინტერესი აქვთ მომსახურების გამწვევ ორგანიზაციებსაც – მათ სურთ, მომსახურებები დაგეგმონ ისე, რომ ნაკლები ხარჯით რაც შეიძლება მეტ ადამიანს მოემსახურონ. აქედან გამომდინარე, საჭირობოროტო საკითხია, როგორ შეამცირონ ხარჯები ისე, რომ ამან მომსახურების ხარისხზე არ იმოქმედოს. ამ კითხვას მივყავართ პროგრამების ეფექტიანობის, ხარჯთეფექტურობის საკითხთან – მომსახურებების მიმწოდებლებს უნდა ჰქონდეთ მტკიცებულება იმისა, რომ მათ მიერ მიწოდებული მომსახურება აღწევს მიზანს და ასევე, გეგმა იმისა, თუ რა პერიოდშია შესაძლებელი ამ მიზნის მიღწევა. მაგალითად, არსებობს ნივთიერებებზე დამოკიდებულების შემცირების ორი პროგრამა, რომლებიც გვთავაზობს მკურნალობა-რეაბილიტაციის განსხვავებულ მიდგომებს. ერთ პროგრამას არ აქვს არავითარი მტკი-


ცებულება იმისა, თუ როგორ მუშაობს მისი მიდგომა; მეორე პროგრამას კი აქვს მტკიცებულება იმისა, რომ მკურნალობა-რეაბილიტაციის ამ მიდგომის გამოყენებით ბენეფიციარების 90%-თან პროგრამის დასრულების შემდეგ აღარ აღინიშნება ნივთიერებაზე დამოკიდებულება – აღარ უბრუნდებიან ამ ჩვევას; ასევე, აქვთ მტკიცებულება იმისა, რომ ამ ეფექტს პროგრამა აღწევს 10 სეანსის ფარგლებში. ადვილი მისახვედრია, რომ ამ ორი პროგრამიდან მეორე მიიღებს დაფინანსებას. პროგრამის ხარჯთეფექტურობის თემა ასევე მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკებისთვის, რადგან ისინი ხშირად განიცდიან ზენოლას, გაზომონ მათ მიერ გაწეული მომსახურებების შედეგები და დაადასტურონ მათი ეფექტიანობა.

პროგრამის შეფასების მნიშვნელობა უკავშირდება **მტკიცებულებაზე დაფუძნებული მიდგომის** დანერგვის აქტუალობას. გადამწყვეტილებები საუკეთესო შედეგების მქონე ინტერვენციებისა და სოციალური მომსახურებების დანერგვის შესახებ სულ უფრო მეტად ეფუძნება მეტაანალიზს – სტატისტიკურად ორიენტირებული, რელევანტური კვლევების სისტემურ ანალიზს. როგორც პროგრამის დამფინანსებლებს, ისე მომსახურების გამწევ ორგანიზაციებს სულ უფრო მეტად სჭირდებათ ინფორმაცია ეფექტიანი მომსახურებების შესახებ, რაც გამორიცხულია სწორად დაგეგმილი და განხორციელებული შეფასების გარეშე.

III. შეფასების სქემა და ძირითადი კომპონენტები

პროგრამის შეფასება შეიძლება განვიხილოთ როგორც მარტივი მექანიზმი, რომელიც განსაზღვრული კომპონენტებისგან შედგება. პროგრამის შეფასება გულისხმობს იმის განსაზღვრას, თუ რამდენად კარგად მუშაობს ეს მექანიზმები. ნახაზ 11.1-ზე წარმოდგენილია შეფასების პროცესი და მისი ძირითადი კომპონენტები.

ნახაზი 11.1



როგორც ზემოთ მოცემული ნახაზიდან ჩანს, შეფასების პროცესში გასათვალისწინებელია მისი ისეთი კომპონენტები, როგორებიცაა: შენატანი (**input**), პროგრამის მიმდინარეობა (პროცესი), ნამუშევარი (**output**) და შედეგი (**outcome**).

სოციალური მომსახურების სააგენტოს ბენეფიციარები, სტუდენტები, ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფი, რომლებიც მონაწილეობენ პროგრამებში, შეიძლება განვიხილოთ როგორც პროგრამის **შენატანი**, რესურსი, რომელიც აუცილებელია პროგრამის ასამუშავებლად. მაგალითად, იმისთვის, რომ შშმ პირთა დასაქმების მხარდაჭერის პროგრამა ამოქმედდეს, მასში ჩართული უნდა იყოს დასაქმების სურვილის მქონე შშმ პირი; იმისთვის, რომ ამოქმედდეს ნივთიერებებზე დამოკიდებულ პირთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის პროგრამა, მასში ჩართული უნდა იყვნენ ნივთიერებებზე დამოკიდებული პირები და სხვ. ადამიანთა კონკრეტულ ჯგუფს განვიხილავთ როგორც კონკრეტულ რესურსს იმისთვის, რომ განსაზღვრული პროგრამა ამოქმედდეს. კლიენტების გარდა, პროგრამის ასამოქმედებლად ასევე საჭიროა სხვა შენატანი, რესურსი, როგორიცაა პროგრამაში მომუშავე კონკრეტული ცოდნისა და უნარების მქონე თანამშრომლები; ასევე ფინანსური და მატერიალური რესურსი.

პროგრამის შემდეგ ეტაპად განიხილება კონკრეტული ჯგუფისთვის განსაზღვრული მომსახურების ან მკურნალობის განევა. მომსახურება შეიძლება იყოს ძალიან მრავალფეროვანი, მაგალითად, სკოლაში შშმ ან სსსმ მოსწავლეებისთვის საჭირო დახმარების განევა სასწავლო პროცესში მათი სრულფასოვანი ჩართვისთვის, სოციალური საცხოვრისის შეთავაზება ან მშობლებისთვის საჭირო კონსულტაციის განევა. **პროგრამის მიმდინარეობა** (პროცესი) წარმოადგენს სხვადასხვა აქტივობის ერთობლიობას, რომლებისგანაც შედგება პროგრამა, და რომლებმაც განსაზღვრული გავლენა უნდა მოახდინოს მონაწილეებზე.

პროგრამის მომსახურების მიწოდების პირდაპირი პროდუქტია პროგრამის ფარგლებში განეული **ნამუშევარი**; ეს შეიძლება იყოს: მშობლები, რომლებმაც მიიღეს კონსულტაცია, შშმ პირები, რომლებიც დასაქმდნენ, სსსმ მოსწავლე, რომელმაც მიიღო პირადი ასისტენტის მომსახურება და სხვ. თუმცა პროგრამის ნამუშევარი არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ რამდენად გაუმჯობესდა ბენეფიციარის მდგომარეობა კონკრეტული მომსახურების მიღების შემდეგ – რამდენად გაიზარდა მშობლების კომპეტენცია კონსულტაციის მიღების შემდეგ, რამდენად კარგად ადაპტირდა შშმ პირი სამუშაო ადგილზე, ან რამდენად ჩართულია სსსმ მოსწავლე სასწავლო პროცესში. პროგრამის ნამუშევარი მიუთითებს მხოლოდ პროგრამის ფარგლებში განეული ძალისხმევის პროდუქტზე.

პროგრამის **შედეგი** მიუთითებს იმ გავლენაზე, რომელიც კონკრეტულ ადამიანზე ჰქონდა პროგრამაში მონაწილეობას. პროგრამიდან გამომდინარე, შედეგი სხვადასხვანაირია და შეიძლება იყოს, მაგალითად, სოციალური ფუნქციონირების გაუმჯობესება ან სამუშაოს ძიების უნარ-ჩვევების გაუმჯობესება და სხვ. ნებისმიერ სოციალურ პროგრამას აქვს მრავლობითი შედეგი, რომელთაგან ზოგიერთი არის დაგეგმილი პროგრამის ფარგლებში, ზოგი კი დაუგეგმავად მიღებული. მაგა-

ლითად, შშმ პირთა დასაქმების პროგრამის შედეგად, შესაძლოა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს შშმ პირთა ურთიერთობა ოჯახის წევრებთან, რასაც პროგრამა თავისთავად არ გულისხმობდა.

პროგრამის ნამუშევარი (ძალისხმევა) და შედეგები გავლენას ახდენს მის შენატანზე (რესურსებზე) უკუკავშირის პროცესის გზით (იხილეთ ნახ.11.1). მაგალითად, თუ პროგრამა მოემსახურა ძალიან მცირერიცხოვან ჯგუფს, საჭირო იქნება რესურსების მობილიზაცია ახალი ბენეფიციარების მოსაზიდად; თუ პროგრამის თანამშრომლებს არ აღმოაჩნდათ საჭირო კომპეტენცია, საჭირო იქნება მათი პროფესიული გადამზადება ან ახალი თანამშრომლების მიღება; თუ აღმოჩნდა, რომ პროგრამამ ვერ მიაღწია შედეგებს, საჭიროა მისი შეცვლა ან შეწყვეტა. პროგრამის შეფასება არის უკუკავშირის მიღების სისტემური მიდგომა – ის წარმოადგენს პროგრამის მოქმედებისა და შედეგების სანდო ანალიზს. წარმატებულად ითვლება პროგრამა, რომელშიც შენატანი (რესურსები) საკმარისი და ადეკვატურია პროგრამის აქტივობების განსახორციელებლად. პროგრამამ მარცხი შეიძლება განსხვავებული მიზეზების გამო განიცადოს: შესაძლოა, პროგრამის აქტივობების განსახორციელებლად საკმარისი არის რესურსები (შენატანთან დაკავშირებული მარცხი); შესაძლოა, რესურსები საკმარისი იყოს, მაგრამ არასწორად იყოს დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები (პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული მარცხი); შესაძლოა, რესურსები საკმარისი იყოს და აქტივობებიც სწორად დაგეგმილი და განხორციელებული, მაგრამ მაინც ვერ მივიღოთ სასურველი შედეგი (შედეგთან დაკავშირებული მარცხი).

პროგრამის შეფასების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დაინტერესებული მხარეების (stakeholders) შეხედულებებსა და პერსპექტივებს. დაინტერესებულ მხარეებად განიხილებიან ის ადამიანები და ჯგუფები, რომლებსაც პროგრამაში გარკვეული ინტერესი აქვთ. ეს შეიძლება იყვნენ: პროგრამის მონაწილეები, თანამშრომლები, დამფინანსებლები, ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები და სხვ. ის, თუ ვინ არიან პროგრამის დაინტერესებული მხარეები და რა როლი აქვთ პროგრამაში, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შეფასების პროცესზე.

IV. პროგრამის შეფასების ძირითადი ტიპები

პროგრამის შეფასება შეიძლება ფოკუსირებული იყოს სოციალური პროგრამის სხვადასხვა კომპონენტსა და შედეგზე. შეფასების პროცესში, ძირითადად, ფოკუსი შემდეგი ოთხი მიმართულებით კეთდება:

- არის თუ არა საჭირო პროგრამა?
- როგორ მუშაობს პროგრამა?
- რა გავლენა აქვს პროგრამას?
- რამდენად ეფექტიანია (ხარჯთეფექტურია) პროგრამა?

აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის შეფასება შეიძლება წარმართოს როგორც: (1) საჭიროებათა კვლევა, (2) პროცესის შეფასება, (3) შედეგების შეფასება და (4) ეფექტიანობის შეფასება.

4.1. საჭიროებათა კვლევა

საჭიროებათა კვლევა ცდილობს, პასუხი გასცეს ისეთ ძირითად კითხვას, როგორცაა: კვლავ საჭირო არის თუ არა პროგრამა, თუ საჭიროა ახალი პროგრამის შემუშავება? საჭიროებათა შეფასება ამ კითხვას სისტემური და სანდო მტკიცებულებით პასუხობს. პროგრამის საჭიროება შეიძლება განსაზღვრული იყოს სოციალური ინდიკატორებით (მეორეული მონაცემებით), როგორებიცაა, მაგალითად, ქვეყანაში სიღარიბის მაჩვენებელი ან არასრულწლოვნების რაოდენობა, რომლებიც არ არიან ჩართულნი სასწავლო პროცესში, ასევე, ინფორმირებულ პირებთან ინტერვიუსა და ფოკუსჯგუფების მეშვეობით. პროგრამის საჭიროების განსაზღვრასა და პრიორიტეტების იდენტიფიცირებას, საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვნად განაპირობებს ძირითადი დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები. თუმცა ეს პროცესი გარკვეულ გამოწვევებთან არის დაკავშირებული – უპირატესად, ვის მოსაზრებას უნდა დავუყრდნოთ პროგრამის საჭიროების დონის განსაზღვრისას? ობიექტური და სწორი პასუხის მიღებისთვის აუცილებელია კვლევაში მრავლგანზომილებიანი მიდგომის გამოყენება. მაგალითად, თუ გვსურს, გავიგოთ, საჭირო არის თუ არა სოციალური პროგრამის შენარჩუნება, რომელიც შშმ პირთა დღის ცენტრით მომსახურებას უზრუნველყოფს, აუცილებელია, გავიგოთ ისეთი მნიშვნელოვანი ჯგუფების მოსაზრებები, როგორებიცაა თავად შშმ პირები, მათი ოჯახის წევრები, დღის ცენტრის თანამშრომლები, პროგრამის დამფინანსებლები, რელევანტური სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები და სხვ. პროგრამის საჭიროებათა შეფასების დროს გამოყენებული უნდა იყოს მრავლობითი ინდიკატორი. ასევე გასათვალისწინებელია, რომ არ არსებობს საჭიროების აბსოლუტური განსაზღვრება. კარგად განხორციელებული პროგრამის შეფასება ეცდება, მოიცვას საჭიროების შესახებ განსხვავებული პერსპექტივები და დაეხმაროს ყველას პროგრამის შედეგების გააზრებაში. საჭიროებათა კვლევა სიღრმისეულად განხილულია მე-10 თავში.

4.2. პროცესის შეფასება

პროცესის შეფასება აანალიზებს პროგრამის მიმდინარეობას, მის ფოკუსში ხვდება პროგრამის მუშაობასთან დაკავშირებული კითხვები. ეს უკანასკნელნი ეხება პროგრამის მონაწილეებს – ემსახურება თუ არა პროგრამა სამიზნე ჯგუფს? შესაბამისი პოპულაციის რა რაოდენობა დაფარა პროგრამამ? ასევე მნიშვნელოვანია მომსახურებასთან დაკავშირებული კითხვები – ხორციელდებოდა თუ არა პროგრამა ისე, როგორც მისი დიზაინი ითვალისწინებს? რა არის სხვადასხვა აქტივობის შედეგები? ზოგჯერ პროგრამის დამფინანსებლების ძირითადი ინტერესი სწორედ იმ საკითხის გარკვევას ემსახურება, განახორციელა თუ არა ორგანიზაციამ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები. თუმცა ბოლო პერიოდში პროცესის შეფასების დროს აქტუალური გახდა კონკრეტული ატივობების შედეგებისა და მონაწილეების კმაყოფილების განსაზღვრა.

პროცესის შეფასება შეიძლება მრავალ ინდიკატორს გულისხმობდეს. პროგრამის შესრულების მონიტორინგი ბევრი სხვადასხვა გზით შეიძლება, მაგალითად: პროგრამის დოკუმენტაცია, მონაწილეთა და საზოგადოების გამოკითხვა და მონაცემების შედარება. ასევე ინფორმაციულია თანამშრომლების ანგარიშები და სხვადასხვა სახის ჩანაწერი.

პროცესის შეფასების დროს კვლევის თვისებრივ მეთოდებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ისინი მოვლენის უფრო სიღრმისეული გაგების საშუალებას იძლევა. თვისებრივი მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია სრული სურათის შექმნა იმის შესახებ, თუ როგორ ჩაერთო ადამიანი პროგრამაში და რა გზა გაიარა, რამდენად განსხვავებულია ადამიანების გამოცდილება პროგრამაში მონაწილეობასთან დაკავშირებით და სხვ.

პროცესის შეფასება განსაკუთრებით სასარგებლოა მაშინ, როდესაც კომპლექსური პროგრამის შეფასება ხდება. ბევრი სოციალური პროგრამა გულისხმობს რამდენიმე კომპონენტს, რომელთა მიწოდება სხვადასხვა განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ხდება. ამ მიზეზის გამო ზოგჯერ პროგრამის მიწოდება ისე არ ხდება, როგორც მისი რეალური დიზაინი ითვალისწინებს და, შესაბამისად, ისე გამოდის, რომ პროგრამის მონაწილეები ერთი პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა მომსახურებას იღებენ, რაც შეუსაბამოა პროგრამის აღწერილობასთან. პროცესის შეფასებამ შეიძლება მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი მომსახურებების მიწოდება. მაგალითისთვის განვიხილოთ უცხოელი კოლეგების მიერ ჩატარებული პროგრამის პროცესის შეფასება და მისი გავლენა პროგრამის განხორციელებაზე. მოზარდების გაძლიერების პროგრამა ემსახურებოდა ახალგაზრდებში ძალადობის გამოყენების შემცირებას. პროგრამას ჰქონდა სამი კომპონენტი: მოზარდების გაძლიერება, ზრდასრულების შესაძლებლობების გაუმჯობესება და ადგილობრივი თემის განვითარება. ახალგაზრდებთან მუშაობის კომპონენტი გულისხმობდა პერსონალურ შეხვედრებსა და კონსულტაციებს, ასევე შეხვედრებს, რომლებიც ზრდიდა მათ ინფორმაციულობას სხვადასხვა საკითხზე. ახალგაზრდებს სუპერვიზიასა და მენტორობას ორგანიზაციის თანამშრომლები და ის მოხალისეები უწევდნენ, რომლებიც მომზადებულნი იყვნენ ახალგაზრდებთან მუშაობის პროგრამის ფარგლებში. პროცესის შეფასება ჩატარდა პირველი და მეორე წლების ბოლოს. შეფასების პროცესი გულისხმობდა როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდების გამოყენებას; ასევე გათვალისწინებული იყო საკითხის გასაანალიზებლად სხვადასხვა პერსპექტივის გამოყენება. ახალგაზრდა მონაწილეები ავსებდნენ 15-პუნქტიან კითხვარს, რომელიც აფასებდა როგორც პროგრამის აქტივობებს, ისე პროგრამაში ჩართულ ზრდასრულებს. ახალგაზრდები შემდეგ იყოფოდნენ რამდენიმე ფოკუსჯგუფად, სადაც, როგორც პროგრამის აქტივობებზე, ისე ჩართული ზრდასრულების მუშაობის შესახებ უფრო მეტ და სიღრმისეულ ინფორმაციას იღებდნენ. ზრდასრული მოხალისეები მონაწილეობდნენ სატელეფონო ინტერვიუებში, რომლებიც იძლეოდა ინფორმაციას პროგრამის შესახებ მათი დამოკიდებულებების, მათ მიერ განეული მუშაობისა და თემზე

პროგრამის ზეგავლენის შესახებ. პირველი წლის შეფასების შედეგები განიხილეს პროგრამის თანამშრომლებმა. გაანალიზებული იყო ის სფეროები, რომლებიც საჭიროებდა მუშაობის გაუმჯობესებას. მეორე წელს ჩატარებულმა შეფასებამ აჩვენა, რომ ახალგაზრდების მიერ პროგრამის აქტივობებისა და თანამშრომლების მუშაობით კმაყოფილება ყველა პუნქტში იყო გაუმჯობესებული (Rubin, A., & Babbie, E. 2015).

4.3. შედეგების შეფასება

პროგრამის შეფასების ძირითადი კითხვებია: იმუშავა თუ არა პროგრამამ? ჰქონდა თუ არა ინტერვენციას დაგეგმილი შედეგი? შეფასების ეს ნაწილი ეხება შედეგების შეფასებას და სწავლობს იმის გარკვევას, რა მდგომარეობაა პროგრამის დასრულების შემდეგ და პროგრამა რომ არ ყოფილიყო, იქნებოდა თუ არა განსხვავებული სურათი.

შედეგების შეფასების კარგი მაგალითია უცხოელი კოლეგების მიერ ჩატარებული კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა სარისკო ქცევების სატრენინგო პროგრამის (Risk Skills Training Program, RSTP) შეფასებას. სატრენინგო პროგრამის დასრულებიდან ექვსი თვის შემდეგ მკვლევრებმა შეადარეს RSTP-ის ეფექტი საკონტროლო ჯგუფსა და სხვა სატრენინგო პროგრამას (D.A.R.E). აღმოჩნდა, რომ RSTP-სის მონაწილეებთან ალკოჰოლის ყოველკვირეული მოხმარება მნიშვნელოვნად შემცირებული იყო, საკონტროლო ჯგუფსა და D.A.R.E-ის მონაწილეებთან შედარებით. ამ შემთხვევაში პროგრამა, მაგალითად RSTP, შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც დამოუკიდებელი ცვლადი და ალკოჰოლის მიღება – როგორც დამოკიდებული ცვლადი. როდესაც პროგრამა ხორციელდება, ჩვენ მოლოდინი გვაქვს, ალკოჰოლის მიღება შემცირებული იქნება. შევადაროთ იმას, თუ რა მდგომარეობაა, როდესაც პროგრამა არ მოქმედებს და ასევე, სხვა მსგავსი პროგრამების შედეგებს.

პროგრამის შეფასებისთვის ექსპერიმენტის მეთოდის გამოყენება ხშირად ვერ ხერხდება, რადგან ის საკმაოდ დიდი ხარჯებთან არის დაკავშირებული. გარდა ამისა, კვლევის ექსპერიმენტული დიზაინი, გარკვეულწილად, ეთიკურ სტანდარტებს უპირისპირდება. შესაბამისად, პროგრამის შედეგები შესაძლოა, შეფასდეს კვლევის ისეთი მეთოდებით, როგორებიცაა: კვაზიექსპერიმენტი, პრე- და პოსტტესტები და გამოკითხვით.

4.4. ეფექტიანობის შეფასება

როდესაც მკვლევრებს აინტერესებთ კავშირი პროგრამის შედეგებსა და მის განხორციელებაზე დახარჯულ თანხებს შორის, შეფასება მიმართულია პროგრამის ეფექტიანობის, მისი ხარჯთეფექტურობის შესწავლაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროგრამის შედეგები რამდენად ღირებულია, შესაბამისია თუ არა განუხლები ხარჯებისა. ეს საკითხი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პროგრამის დაფინანსებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაზე.

პროგრამის ეფექტიანობის შესწავლის დროს უნდა განისაზღვროს, რომელი ხარჯი და სარგებელი (ბენეფიტი) იქნება გაანალიზებულ; მკვლევარმა უნდა განსაზღვროს, რომელი პერსპექტივიდან იქნება წარმოდგენილი პროგრამის ხარჯი და ბენეფიტი. მაგალითად, პროგრამის მონაწილის პერსპექტივიდან ხარჯი და ბენეფიტი სრულიად განსხვავებულად გამოიყურება, ვიდრე დამფინანსებლისა და პროგრამის განმახორციელებლის პერსპექტივიდან; ისევე როგორც სტუდენტებისა და უნივერსიტეტისთვის – სწავლის გადასახადი სტუდენტისთვის ხარჯია, უნივერსიტეტისთვის კი სარგებელი.

მას შემდეგ, რაც განსაზღვრულია ხარჯები და სარგებელი, ისინი უნდა გაიზომოს. ამისათვის აუცილებელია გამოიყოს გაზომვადი ინდიკატორები, რომლებიც აღწერს მომსახურების მიმღების მდგომარეობას პროგრამაში ჩართვამდე და მისი დასრულების შემდეგ.

სამედიცინო და სოციალური მუშაობის ინტერვენციებსა და პროგრამებში ხშირად რთულია შედეგები მონეტარულ ტერმინებში შევაფასოთ (**cost-benefit analysis**), მაგალითად, ძნელია, ფინანსურ ტერმინებში შევაფასოთ პალიატიური მომსახურებების სარგებელი. ამ შემთხვევაში პროგრამის ეფექტიანობის განსაზღვრისთვის აანალიზებენ მის შედეგებს სხვა პროგრამებთან/მომსახურებებთან მიმართებით ან (**cost-efficiency analysis**) – აანალიზებენ და ადარებენ თითოეული პროგრამის ხარჯებსა და შედეგებს. ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების ეფექტიანობის შესაფასებლად გამოიყენება ისეთი საზომები, როგორებიცაა: სიცოცხლის წლები, დღეების რაოდენობა ალკოჰოლის მიღების გარეშე, ჰოსპიტალიზაციის დღეების რაოდენობა (მაგალითად, ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანების შემთხვევაში) და სხვ. პროგრამის ეფექტიანობის კვლევის კარგი მაგალითია Susan Essock-ისა და მისი კოლეგების კვლევა, რომელიც სწავლობდა ფსიქიკური პრობლემების მქონე პირებისთვის არსებულ თემებზე დაფუძნებულ ასერტიულ მომსახურებას **Assertive Community Treatment (ACT)**. მათ შეადარეს **ACT**-ის ხარჯები და შედეგები სტანდარტულ ქეისმენეჯმენტის (**SCM**) მომსახურებას. **ACT** იყენებს მულტიდისციპლინურ მიდგომას და ხელმისაწვდომია 24 საათის განმავლობაში. **SCM**-ს შემთხვევაში კი მომსახურებას გასწევს ქეისმენეჯერი ან კლიენტს სხვა სპეციალისტთან გადაამისამართებს. კვლევაში ჩართული იყო მძიმე ფსიქიკური პრობლემების მქონე 262 პირი. მონაწილეები შემთხვევითი შერჩევით განაწილდნენ **ACT** და **SCM** პროგრამებში. მონაცემების შეგროვება ხდებოდა საწყისი კვლევიდან 6, 12 და 18 თვის შემდეგ. მკვლევრებმა ინდიკატორებად გამოიყვეს ჰოსპიტალში გატარებული დღეები, ცხოვრების ხარისხი, ფსიქიატრიული სიმპტომები და ამ მდგომარეობით გამოწვეული ოჯახის ტვირთი. კვლევამ აჩვენა, რომ 18 თვის შემდეგ **ACT** პროგრამაში ჩართული პირები მიუთითებდნენ ცხოვრების უფრო მაღალ ხარისხზე, რომელიც გულისხმობდა მეტ პერსონალური უსაფრთხოების განცდას, თავისუფალი დროის უფრო აქტიურად გატარებას, უფრო ხშირ კონტაქტს მეგობრებსა და ახლობლებთან. ოჯახის მიერ განცდილი სიმძიმის თვალსაზრისით, არ აღინიშნებოდა დიდი განსხვავება **ACT** და **SCM** პროგრამის მონაწილეებთან მიმართებით, თუმცა **ACT** პროგრამაში ჩართული კლიენტების

ოჯახის წევრები აღნიშნავენ ნაკლებ სუბიექტურ ტვირთს. ამ ორ პროგრამაზე სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯი მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, თუმცა პროგრამის ყოველ კომპონენტში ACT-ის შემთხვევაში ხარჯი უფრო ნაკლები იყო. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ იმავე ხარჯების პირობებში, ACT პროგრამას უკეთესი შედეგები ჰქონდა.

V. პროგრამის შეფასების დაგეგმვა და განხორციელება

5.1. დაინტერესებული მხარეების ჩართვა

მას შემდეგ, რაც შევარჩევთ, შეფასების რომელ კომპონენტზე ვაკეთებთ ფოკუსს და ჩამოვაცალიბებთ კვლევის მიზანს, მომდევნო მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება შეფასების პროცესის ზედმინევენით დაგეგმვა. ამ პროცესში მნიშვნელოვანია დაინტერესებულ ჯგუფებთან თანამშრომლობა. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ დაინტერესებული მხარეების მიერ გამოთქმული საჭიროებები და ნუხილები აყალიბებს შეფასების ძირითად მიზანს. დაინტერესებულ მხარეებში იგულისხმება ყველა, ვისაც პროგრამისადმი გარკვეული ინტერესი აქვს, ესენი შეიძლება იყვნენ: პროგრამის დამფინანსებლები, განმახორციელებლები, კლიენტები (ყოფილი და მიმდინარე) და თემის სხვა წევრები, როგორებიც შეიძლება იყვნენ ბიზნესის ან სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებიც შესაძლოა, გავლენას ახდენენ პროგრამაზე, ან პირიქით, მის გავლენას განიცდიან. პროგრამის შეფასების პირველ ეტაპზე მკვლევარებმა რაც შეიძლება მეტი უნდა გაიგონ დაინტერესებული ჯგუფების შესახებ. მაგალითად, რამდენად საჭიროდ მიაჩნიათ პროგრამის შეფასება, როგორ გავლენას მოახდენს შეფასება მათ სამუშაოზე, შემოსავალზე ან სტატუსზე. შეფასების პროცესში დაინტერესებული ჯგუფებისგან საჭირო ინფორმაციის მისაღებად მნიშვნელოვანია კვლევისადმი მათი დაინტერესება და შეფასების პროცესის დაგეგმვაში მათი აქტიურად ჩართვა.

საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ ვის და რატომ სურს შეფასების ჩატარება, და პირიქით, ვის არ სურს. მაგალითად, თუ პროგრამის დამფინანსებელს სურს მისი შეფასება, პროგრამის განმახორციელებლები კი არ არიან ინფორმირებულნი ამის შესახებ, ან არ სურთ შეფასება, მკვლევარმა უნდა მოახერხოს მათი დაინტერესება და მათთვის კომფორტული გარემოს შექმნა, რათა განაწილოს თანამშრომლობისთვის და მათგან კვლევისთვის საჭირო მონაცემები მიიღოს. დაინტერესებული მხარეების ჩართვა უნდა დაიწყო კვლევის საწყის ეტაპზე და არა მას შემდეგ, რაც კვლევის დიზაინი უკვე განისაზღვრება. მეტად მნიშვნელოვანი ამ პროცესში პროგრამის განმახორციელებლების მონაწილეობაა და მათი უკუკავშირის მიღება კვლევის ყველა ეტაპზე. მათი ჩართვა მკვლევრებს დაეხმარება როგორც პროგრამის შინაარსობრივი მხარის უკეთ გაგებაში, ასევე ლოჯისტიკური საკითხების კარგად დაგეგმვაშიც; ასევე, მათი მონაწილეობით უკეთ განისაზღვრება კვლევაში გამოყენებული ინსტრუმენტებიც. მაგალითად, თუ კვლევაში გათვალისწინებულია თვითადმინისტრირებადი კითხვარების გამოყენება, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს შეუძლია ინფორმაციის

მონოდება იმის შესახებ, თუ რამდენად შეძლებენ მომსახურების მიმღებები ამ კითხვარების შევსებას, ან, თუ ექნებათ კითხვარების შევსების სურვილი. ასევე, მკვლევრებს შეიძლება კარგად არ ჰქონდეთ გაცნობიერებული, რამდენად მძიმე შეიძლება იყოს მომსახურებების მიმღებებისთვის მონაცემების შეგროვების პროცედურაში მონაწილეობა – ამ მიმართულებით პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს კარგი რჩევების მოცემა შეუძლია. პროგრამის განმახორციელებელი გუნდის თანამშრომლობისთვის მნიშვნელოვანია, ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ კვლევის ანგარიშის სამუშაო ვერსიის გაცნობასა და უკუკავშირის მიცემის შესაძლებლობა ექნებათ. რა თქმა უნდა, მათ უნდა იცოდნენ, რომ ისინი ვერ შეძლებენ ანგარიშის შინაარსის გაკონტროლებას, თუმცა დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ მათი უკუკავშირი და მოსაზრებები ყურადღებით იქნება განხილული.

5.2. ლოგიკური მოდელი

შეფასების დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართვის გარდა, კვლევის პროცესისთვის მეტად სასარგებლოა ლოგიკური მოდელის აგება. ეს უკანასკნელი არის პროგრამის ძირითადი კომპონენტების გრაფიკული გამოსახვა და აჩვენებს მათ შორის ურთიერთმიმართებას – როგორ არის დაკავშირებული პროგრამის კომპონენტები მოკლევადიან და გრძელვადიან მიზნებთან, როგორია შედეგების გაზომვადი ინდიკატორები. ლოგიკური მოდელის კომპონენტების განხილვა ხელს უწყობს შეფასების ძირითადი მიზნის განსაზღვრას, ასევე იმ ასპექტებისა და ინდიკატორების გამოყოფას, რომლებსაც კვლევის მიზნამდე მივყავართ. ლოგიკურ მოდელში კარგად ჩანს პროგრამის მოკლე- და გრძელვადიანი მიზნები და შედეგები. უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს ლოგიკური მოდელის ერთი უნივერსალური დიზაინი – ის დიდად არის დამოკიდებული კვლევის მიზანსა და ამოცანებზე; მის შედგენაზე ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ის, თუ შეფასების რომელ კომპონენტზეა გაკეთებული ფოკუსი. განასხვავებენ ლოგიკური მოდელის აგების სამ მიდგომას: (1) ე.წ. თეორიაზე ორიენტირებული ლოგიკური მოდელი – აქცენტს აკეთებს იმ ძირითად დაშვებებზე, რომლებიც გარკვეული თეორიული პერსპექტივიებიდან მოდის. ამ შემთხვევაში პროგრამის შეფასება აქცენტირებულია იმაზე, თუ როგორ და რატომ მუშაობს პროგრამა; (2) შედეგებზე ორიენტირებული ლოგიკური მოდელი, რომელშიც აქცენტი კეთდება რესურსებისა და აქტივობების მოსალოდნელ შედეგებთან დაკავშირებაზე და (3) აქტივობებზე ორიენტირებული ლოგიკური მოდელი – ამ შემთხვევაში შეფასება მიმართულია იმის გასაანალიზებლად, რეალურად რა გაკეთდა პროგრამის ფარგლებში (W.K.Kellog, 2004). ზოგიერთ შემთხვევაში პროგრამის დამფინანსებლებს ასევე აინტერესებთ ის ეფექტი, რომელიც პროგრამას ჰქონდა თემზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რა გააკეთა პროგრამამ უფრო ფართო საზოგადოებისთვის? ასეთ შემთხვევაში პროგრამის შეფასება სცდება ტრადიციულ ვიწრო ჩარჩოს, რომელიც სწავლობს პროგრამის გავლენას მის მონაწილეებზე და აანალიზებს მის უფრო ფართო გავლენას.

ლოგიკური მოდელის გრაფიკულად აგების სადემონსტრაციოდ გამოვიყენებთ Kotsopoulos-ისა და კოლეგების კვლევას, რომელიც სწავლობდა ფსიქიკური აშლილობის მქონე ბავშვების ნახევრად ჰოსპიტალიზაციის მომსახურების ეფექტურობას სრულად ჰოსპიტალიზაციასთან მიმართებით. როგორც ვხედავთ, კვლევა არ არის თანამედროვე, შეიძლება კარგად იყოს გამოყენებული მისი ლოგიკური მოდელის აგების სადემონსტრაციოდ.

ლოგიკური მოდელის პირველი ნაბიჯი არის იმ *სოციალური პრობლემის* გამოყოფა, რომლისთვისაც შექმნილია პროგრამა. ასეთი სოციალური პრობლემები მრავალგვარია – ხანდაზმულების სოციალური იზოლაცია, ბავშვზე ძალადობა, ნივთიერებების მოხმარება და სხვ. ცხადია, ერთი სოციალური პროგრამა სრულად ვერ დაფარავს სოციალურ პრობლემას და კონცენტრირდება მხოლოდ მის განსაზღვრულ ასპექტებზე. მაგალითისთვის ერთ-ერთ სოციალურ პრობლემად განვიხილოთ საშუალო და მძიმე ფსიქიატრიული პრობლემების მქონე ბავშვთა ადგილობრივ თემში ფუნქციონირების სირთულეები, რომლებიც მათი ინსტიტუციონალიზაციის რისკს ზრდის. როგორც ზემოთ აღინიშნა, სწორედ ამ პრობლემის მაგალითზე განვიხილავთ ლოგიკური მოდელის აგებას, რომელიც წარმოდგენილია ნახაზ 11.2.-ზე

პირველ სვეტში (პროგრამის სამიზნე) განსაზღვრულია პროგრამის სამიზნე პოპულაცია. მკვლევარი/შემფასებელი განსაზღვრავს იმ კრიტერიუმს, რომლის მიხედვითაც არიან შერჩეულნი პროგრამის მონაწილეები. ასეთი ბევრი კრიტერიუმი შეიძლება არსებობდეს, მაგალითად: ასაკობრივი ჯგუფი, შემოსავლის სტატუსი, საცხოვრებელი ადგილი, კონკრეტული ფიზიკური თუ ფსიქიკური პრობლემების არსებობა და სხვ. ჩვენს კონკრეტულ მაგალითში პროგრამის მონაწილე პოპულაცია განისაზღვრა ასაკის (6–12 წლის), საცხოვრებელი ადგილისა (კონკრეტული რეგიონებში ცხოვრება) და ფსიქიკური მდგომარეობის (მძიმე ფსიქიკური დარღვევების არსებობა) მიხედვით.

სოციალური პროგრამის შექმნის ძირითადი აზრი უკავშირდება კონკრეტული სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. აქედან გამომდინარე, პროგრამის დიზაინის საფუძვლად არსებული დაშვებები ეხება იმას, თუ (1) რა არის არსებული სოციალური მდგომარეობის გამომწვევი მიზეზი და (2) რა არის ყველაზე ეფექტური ინტერვენცია არსებულ სოციალურ მდგომარეობასთან გასამკლავებლად. ეს ნიშნავს იმას, რომ ერთსა და იმავე სოციალურ მდგომარეობაზე შეიძლება რამდენიმე ორგანიზაცია მუშაობდეს, თუმცა თითოეულმა მათგანმა შესაძლოა, განსხვავებული პროგრამა შექმნას სხვადასხვა შედეგის მისაღებად. მაგალითად, მოზარდების მიერ ალკოჰოლისა და ნივთიერებების მოხმარება შეიძლება გამონვეული იყოს იმით, რომ ისინი არ ფლობენ ინფორმაციას ამ ნივთიერებების მავნე მაგალითად, დაბალი თვითშეფასებით; ამ შემთხვევაში, პროგრამის ძირითადი ინტერვენცია ფოკუსირებული იქნება მოზარდებისთვის თვითშეფასების ამაღლებასა და მათთვის ჯგუფის მხრიდან განხორციელებულ ზეწოლასთან გამკლავების ზეგავლენის შესახებ, და ამ შემთხვევაში, ინტერვენცია ფოკუსირებული იქნება საჭირო ცოდნისა და ინფორმაციის მიწოდებაზე. სხვა პროგრამა შეიძლება დაეფუძნოს

ლოგიკური მოდელის მაგალითი

სოციალური პრობლემა: თემში დამოუკიდებლად ფუნქციონირების უუნარობა

სამიზნე ჯგუფი	დაშვებები	შენატანი	აქტივობები	ნამუშევარი	შედეგი
6-12 წლის ასაკის ბავშვები, რომელთაც აქვთ სა-შუალო და მძიმე ფსიქიკური აშლილობები.	<p>თემში დამოუკიდებლად ფუნქციონირების უუნარობა, გამონვეული შემდეგი მიზეზებით:</p> <ul style="list-style-type: none"> - გაზრდილი ფსიქიატრიული სიმპტომები; - ბრაზის მართვის უნარის ნაკლებობა; - ქცევითი პრობლემები; - პრობლემის გადაწყვეტის უნარის ნაკლებობა; - კომუნიკაციის უნარის ნაკლებობა; - დაბალი თვითშეფასება; - მშობლების დაბალი ინფორმირებულობა. <p>მკურნალობის მოდელი: მრავლობითი ინტერვენციები: კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპია და მედიკამენტური მკურნალობა.</p>	<p>სამი მაგისტრის ხარისხის მქონე თერაპევტი;</p> <p>ერთი ბავშვთა ფსიქიატრი;</p> <p>ერთი ექთანნი;</p> <p>ერთი სპეციალური მასწავლებელი;</p> <p>სივრცე, სკამები, მაგიდები, საგანმანათლებლო მასალა, კომპიუტერი, ფული.</p>	<p>შეფასება; მკურნალობის დაგეგმვა; ინდივიდუალური კონსულტაცია;</p> <p>ჯგუფური თერაპია;</p> <p>ოჯახთან შეხვედრები; გუნდის შეხვედრები;</p> <p>განერა კლინიკიდან; საგანმანათლებლო გაკვეთილები.</p>	<p>შუალედური: ჩატარებული კონსულტაციების რაოდენობა;</p> <p>თვის განმავლობაში ჩატარებული ინდივიდუალური კონსულტაციების საათების რაოდენობა;</p> <p>თვის განმავლობაში ჩატარებული ჯგუფური თერაპიების რაოდენობა;</p> <p>ოჯახთან შეხვედრების საათების რაოდენობა;</p> <p>გუნდის შეხვედრის საათების რაოდენობა;</p> <p>კლინიკიდან განწერების რაოდენობა;</p> <p>სერვისების შესრულება;</p> <p>ბავშვი ესწრებოდა ყველა ინდივიდუალურ და ჯგუფურ თერაპიას; ოჯახი ესწრებოდა ყველა შეხვედრას.</p>	<p>შუალედური:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. შემცირებული ფსიქიკური სიმპტომები; 2. ბრაზის მართვის გაზრდილი უნარები; 3. ნაკლები ქცევითი პრობლემები; 4. პრობლემების მოგვარების გაზრდილი უნარები; 5. გაზრდილი კომუნიკაციის უნარები; 6. გაზრდილი თვითშეფასება; 7. მშობლების მეტი ინფორმაცია დიაგნოზისა და სიმპტომების შესახებ; <p>საბოლოოდ ბავშვს შეუძლია სკოლაში, სახლსა და თემში დამოუკიდებლად ფუნქციონირება.</p>

დაშვებას, რომ მოზარდების მიერ ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარება, ძირითადად, გამოწვეულია მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობით, უნარ-ჩვევების სწავლაზე. ჩვენს შემთხვევაში, როგორც ეს ნახაზი 11.1-იდან ჩანს, პროგრამა დაეყრდნო დაშვებას: ბავშვთა ინსტიტუციონალიზაციის რისკი დაკავშირებულია რამდენიმე სერიოზულ პრობლემასთან, კერძოდ ესენია: ფსიქიატრიული სიმპტომების კონტროლის უუნარობა, პრობლემები ბრაზის მართვაში, ქცევითი პრობლემები, არაეფექტური კომუნიკაციური უნარები, დაბალი თვითშეფასება და მშობლების ინფორმირებულობის დაბალი დონე. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაშვებულია, რომ შექმნილ სიტუაციასთან გასამკლავებლად საუკეთესო ინტერვენცია უნდა მოიცავდეს ორივეს, როგორც კოგნიტურ-ბიჰევიორულ თერაპიას, ისე მედიკამენტებით მკურნალობას.

ლოგიკური მოდელის შემდეგი კომპონენტი გულისხმობს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო შენატანის, რესურსის განსაზღვრას. როგორც ზემოთ აღინიშნა, პროგრამის შენატანად/რესურსად მიჩნეულნი არიან პროგრამის მომხმარებლები, თანამშრომლები და მატერიალური რესურსები. ლოგიკურ მოდელში შენატანის/რესურსის აღწერა არის უფრო დეტალური – რა კომპეტენცია უნდა ჰქონდეს თანამშრომლებს, რა სახის ტექნიკა/აღჭურვილობა არის საჭირო. ჩვენი კონკრეტული შემთხვევისთვის საჭირო რესურსი ჩამოყალიბებულია ნახაზი 11.1-ის მესამე სვეტში (შენატანი/რესურსი).

ნახაზი 11.1-ის მეოთხე სვეტში მოცემულია კონკრეტული აქტივობები (პროგრამის მიმდინარეობა, პროცესი), რომლებისგანაც შედგება პროგრამა. აქტივობები გულისხმობს იმ ქმედებებს, რომლებიც უშუალოდ პროგრამის მონაწილეს ეხება, მაგალითად: შეფასება, კონსულტირება, ოჯახში ვიზიტები და ქმედებები, რომლებიც შესაძლოა, პირდაპირ მონაწილეს არ ეხება, მაგრამ აუცილებელია პროგრამის მოქმედებისთვის, მაგალითად, დაგეგმვა და გუნდის ნევრების შეხვედრები.

სოციალური პროგრამები, ზოგადად, ორი სახის პროდუქტს წარმოქმნის: (1) შუალედური პროდუქტები, რომლებიც ასახავს მომსახურების მაჩვენებლებს და (2) საბოლოო პროდუქტი, რომელსაც მომსახურების დასრულებას უწოდებენ. მომსახურების მაჩვენებლები შეიძლება იყოს მიწოდებული მომსახურების რაოდენობა, მაგალითად, პირისპირ კონსულტაციის რაოდენობა, კონსულტაციის მიმდინარეობის დრო. მომსახურების მიწოდების დასრულება ასახულია კონკრეტულ ჩანაწერებში, ასევე თანამშრომელთა ანგარიშებში. ჩვენი კონკრეტული მაგალითის შემთხვევაში, პროგრამის პროდუქტი (ნამუშევარი) განერილია ნახაზი 11.1-ის მეოთხე სვეტში.

ლოგიკური მოდელის ბოლო კომპონენტი არის პროგრამის მოსალოდნელი შედეგები. ეს არის მონაწილეებთან დაკავშირებული ის ცვლილებები, რომლებიც გამოწვეულია პროგრამაში მათი მონაწილეობით. გამოყოფენ სანყისსა და საბოლოო შედეგებს. სანყისი შედეგები უკავშირდება იმ ცვლილებებს, რომლებიც ხდება საბოლოო შედეგებამდე. მაგალითად, ჩვენი კონკრეტული ქეისის შემთხვევაში, ეს შეიძლება იყოს რისხვის მართვის გაუმჯობესება, ნაკლები ქცევითი პრობლემები, ნაკლები ფსიქიატრიული სიმპტომები, გაუმჯობესებული კომუნიკაციური

უნარები, პრობლემის გაუმჯობესებული გადაწყვეტის უნარი, მშობლების ინფორმირებულობის ამაღლება შვილის დიაგნოზისა და სიმპტომების შესახებ. თუ ეს შედეგები მიღწეულია, მეტად მოსალოდნელია, რომ მიღწეული იქნება პროგრამის საბოლოო მიზანიც – სკოლაში, სახლსა და თემში ბავშვის დამოუკიდებელი სოციალური ფუნქციონირება.

როგორც ნახაზი 11.1-იდან ჩანს, არსებობს ურთიერთდამოკიდებულება თეორიულ დაშვებებსა (იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც უკავშირდება არსებულ სოციალურ პრობლემას) და პროგრამის საწყის შედეგებს შორის. მოდელში მითითებული აქტივობები განკუთვნილია დაშვებებში გამოყოფილი თითოეული სფეროს გასაუმჯობესებლად; საწყისი შედეგები გამოხატავს თითოეული ამ სფეროს გაუმჯობესების სასურველ შედეგს. განხილულ მაგალითში ერთ-ერთ პრობლემად დასახელებული იყო გაზრდილი ფსიქიატრიული სიმპტომები, შესაბამისად, პროგრამის საწყისს შედეგს წარმოადგენდა ამ სიმპტომების შემცირება. დაშვებებში დასახელებულ თითოეულ ფაქტორს აქვს შესაბამისი შუალედური შედეგები – ანალოგიურად, მთლიანად სოციალურ პრობლემასაც. თუ პრობლემაა ის, რომ ბავშვებს დამოუკიდებლად არ შეუძლიათ თემში ფუნქციონირება, პროგრამის საბოლოო შედეგი უნდა იყოს ამ პრობლემის მოხსნა. მსგავსი სიმეტრია შეინიშნება აქტივობებსა და შუალედურ შედეგებს შორის, რადგან თითოეულ აქტივობას აქვს თავისი გასაზომი მომსახურება. ნახევრად ჰოსპიტალიზაციის პროგრამაში მომსახურების აქტივობები იზომებოდა გარკვეული რაოდენობის ან სიხშირის შემოტანით. აქ საყურადღებოა იმის აღნიშვნა, რომ რაოდენობისა და სიხშირების დათვლა ხდებოდა პერსონალსა და არა კლიენტებთან მიმართებით, მაგალითად, რამდენ საათს უთმობდა პერსონალი კლიენტებთან მუშაობას თვის განმავლობაში ან რამდენი წუთი სჭირდება გარკვეული კითხვარის შევსებას და სხვ.

როგორც ხედავთ, ლოგიკური მოდელით საკმაოდ დიდი ინფორმაციის მიღება შეიძლება პროგრამის შესახებ. ლოგიკური მოდელის შევსებას რაც შეეხება, როგორც წესი, მკვლევარი და დაინტერესებული ჯგუფები უკეთ არიან გარკვეულნი იმ ლოგიკის შესახებ, რომელიც საფუძვლად უდევს პროგრამას; ასევე კარგად იკვეთება დაინტერესებული მხარეების საჭიროებები და ინტერესები.

5.3. რომელ მეთოდებს ვიყენებთ პროგრამის შეფასებისას

პროგრამის შეფასება, რომელიც მიზნად ისახავს სოციალური პროგრამის შედეგის შესწავლას, ძირითადად, რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს ეყრდნობა, მაგალითად, შეიძინეს თუ არა დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევები სარეაბილიტაციო ცენტრის ბენეფიციარებმა? შემცირდა თუ არა მონანილეებში ალკოჰოლის მოხმარება? და სხვ. რაოდენობრივი მეთოდები გამოიყენება მაშინ, როდესაც გვინდა შევადაროთ ორი სახის შედეგები, მაგალითად, საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფისა; ან პერიოდულად აღვრიცხოთ შედეგები. თუმცა თვითონ მეთოდების დამატებამ შესაძლოა, მეტი სიღრმე და დეტალები შესძინოს რაოდენობრივი მეთოდებით შეგროვებულ ინფორმაციას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ვაანალიზებთ პროგრამის პროცესს. მაგალითად, როცა გვსურს, გავი-

გოთ იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს მომსახურება და რას ფიქრობენ მომხმარებლები პროგრამის შესახებ, ყველაზე სწორად შერჩეული იქნებოდა სიღრმისეული, პირისპირ ინტერვიუს გამოყენება. თვისებრივი მეთოდები გვცხმარება, უკეთ გავიგოთ, რეალურად თუ როგორ მუშაობს პროგრამა. მრავალმხრივ სოციალურ პროგრამას ძალიან ბევრი ასპექტი აქვს და ზოგჯერ საკმაოდ რთულია განსაზღვრა, კონკრეტულად რომელი მახასიათებელი ან მახასიათებლების წყება არის პასუხისმგებელი პროგრამის შედეგზე, და პირიქით იმაზე, რომ ის შედეგები არ დადგა. რაც უფრო რთულია სოციალური პროგრამა, შეფასების პროცესში მით მეტად ღირებულია თვისებრივი მეთოდების გამოყენება.

თვისებრივი მეთოდები ასევე ეფექტურად შეიძლება გამოყენებული იყოს იმის გასაანალიზებლად, თუ რამდენად განსხვავებულად რეაგირებენ ბენეფიციარები მომსახურებაზე. ამ თვალსაზრისით საინტერესოა Patton-ის მიერ ჩატარებული კვლევა (Patton 2002), რომელიც სწავლობდა ახლი ემიგრანტებისთვის შექმნილ ზრდასრულების ძირითადი უნარების განმავითარებელ პროგრამას. ეს პროგრამა, ძირითადად, ეყრდნობოდა იმ მთავარ მიზნებს, რომლებსაც პროგრამის მონაწილეები სანყის ეტაპზე ისახავდნენ. თუმცა თვისებრივმა კვლევამ აჩვენა, რომ მონაწილეების – ამერიკაში ახლად ჩამოსული ემიგრანტების – დიდი ნაწილი, უბრალოდ, ეთანხმებოდა ტრენერის მოსაზრებებს, რადგან, როგორც აღმოჩნდა, მათ, ამერიკაში ცხოვრების მცირე გამოცდილების გამო, უჭირდათ რელევანტური მიზნების თვითონ დასახვა (Patton 2002).

5.4. რა უნდა გავითვალისწინოთ პროგრამის შეფასებისას

სოციალური პროგრამის შეფასების წამატებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოციალური კონტექსტი. ეს უკანასკნელი, უპირველეს ყოვლისა, აისახება შეფასების განხორციელების ლოჯისტიკურ საკითხებზე, მაგალითად, რამდენად ადვილად შეძლებს მკვლევარი კითხვარების გავრცელებას მომსახურების მიმღებებთან, ან რამდენად მზად არიან პროგრამის თანამშრომლები, დაეხმარონ საჭირო რესპონდენტებთან დაკავშირებაში და სხვ. არის შემთხვევები, როდესაც პროგრამის ხელმძღვანელები და თანამშრომლები ნაკლებად არიან დაინტერესებულნი შეფასების პროცესით, შესაბამისად, ისინი ნაკლებად გამოხატავენ კვლევის პროცესში დახმარების სურვილს. ამავე დროს, ისეთი შემთხვევებიც ხშირია, როდესაც პროგრამის მესვეურნი დაინტერესებულნი არიან შეფასების ეფექტურად ჩატარებით, თუმცა იმდენად დაკავებულნი არიან თავიანთი ძირითადი საქმით, ჯეროვან დახმარებას ვერ უწევენ მკვლევრებს.

ლოჯისტიკური საკითხის გარდა, გასათვალისწინებელია ის ფაქტორები, რომლებმაც შესაძლოა, გავლენა მოახდინოს შეფასების სიზუსტეზე. კერძოდ, მიენოდება თუ არა მომსახურება ბენეფიციარებს ზუსტად ისე, როგორც უნდა მიენოდებოდეს; თუმცა ეს ყოველთვის ასე არ არის. მაგალითად, ბევრი სოციალური მომსახურების მიწოდების დროს არ არსებობს ზუსტი, ნაბიჯ-ნაბიჯ პროტოკოლი – ზოგჯერ ნავარაუდევია, პროფესიონალი კადრი იმდენად კარგად არის მომზადებული და გამოცდილი, რომ საჭირო ნაბიჯებს თავად გადადგამს. თუმცა

ამგვარ ორაზროვან სიტუაციებში განხორციელებული ქმედებები შეიძლება სრულიად განსხვავებული შედეგის მომტანი იყოს. ასეთ მოცემულობაში ჩატარებული პროგრამის შეფასება ვერ იქნება ზუსტი, რადგან გამოდის, რომ მისი სხვადასხვა მონაწილე სხვადასხვანაირად იღებს მომსახურებას და, შესაბამისად, ვერაფერს ვიტყვით ბენეფიციარებსა და ამ პროგრამის ეფექტზე; ასევე ერთი და იმავე პროგრამის განსხვავებულად განხორციელებაზე შეიძლება გავლენა მოახდინოს ისეთმა ფაქტორებმა, როგორებიცაა პერსონალის კვალიფიკაცია და რაოდენობა. შეფასების პროცესში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ის გარემოება, არის თუ არა პროგრამაში ჩართული ახალი თანამშრომელი, რომელსაც მოცემული მომსახურების განევის გამოცდილება არ აქვს.

პროგრამის შეფასებაზე აღნიშნული და სხვა ფაქტორების უარყოფითი მოქმედების შესამცირებლად რეკომენდებულია პროგრამის დაგეგმვის პროცესში ყველა დაინტერესებული ჯგუფის აქტიურად ჩართვა.

VI. თავის შეჯამება

პროგრამის შეფასების ძირითადი მიზანია, შეაფასოს სოციალური პროგრამები, ისეთები, როგორებიცაა, მაგალითად: ნივთიერებებზე დამოკიდებულ პირთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის პროგრამა, დასაქმების პროგრამა, ბავშვთა კეთილდღეობის პროგრამა და სხვ. პროგრამის შეფასების დროს მკვლევარი ირჩევს შეფასების ტრადიციულ მეთოდებს – შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის მეთოდები.

პროგრამის შეფასების აქტუალობა ბევრმა მიზეზმა გამოიწვია. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ანგარიშვალდებულების საკითხი – როგორც სახელმწიფოს, ისე საზოგადოებას, ასევე, სხვა დაინტერესებულ პირებს სურთ, იცოდნენ, რამდენად გამართლებულია ის თანხა, რომელიც სხვადასხვა სოციალური პროგრამის განვითარებასა და დანერგვაზე იხარჯება; რამდენად აღწევს პროგრამა იმ მიზანს, რომლისთვისაც შეიქმნა. გარდა ამისა, სამეცნიერო ლიტერატურაში არის კვლევები, რომლებიც აჩვენებს, რომ ზოგიერთი ინტერვენცია არათუ ეფექტურია, არამედ ზიანის მომტანიც კი არის ბენეფიციარებისთვის. შესაბამისად, გაზრდილმა მოთხოვნამ სოციალური პროგრამების ანგარიშვალდებულების მიმართ დღის წესრიგში დააყენა კვლევები პროგრამების შეფასების მიმართულებით. განსაკუთრებული ინტერესი მიმართული იყო პროგრამების ეფექტიანობის შესასწავლად – სულ უფრო აქტუალური გახდა საკითხი, თუ როგორ შეიძლება ნაკლები ხარჯით უკეთესი მომსახურების განევა. დაბოლოს, პროგრამის შეფასებისკენ ინტერესი განპირობებული იყო თანამედროვე სოციალურ პოლიტიკაში მტკიცებულებაზე დაფუძნებული მიდგომის მნიშვნელობის ზრდით. გადანყვეტილებები საუკეთესო შედეგების მქონე ინტერვენციებისა და სოციალური მომსახურებების დანერგვის შესახებ სულ უფრო მეტად ეფუძნება მეტაანალიზს – სტატისტიკურად ორიენტირებულ, რელევანტური კვლევების სისტემურ ანალიზს. როგორც პროგრამის დამფინანსებლებს, ისე მომსახურების გამწევ ორგანიზაციებს სულ

უფრო მეტად სჭირდებათ ინფორმაცია ეფექტიანი მომსახურებების შესახებ, რაც გამორიცხულია სწორად დაგეგმილი და განხორციელებული შეფასების გარეშე.

პროგრამის შეფასება შეიძლება ფოკუსირებული იყოს სოციალური პროგრამის სხვადასხვა კომპონენტსა და შედეგზე. შეფასების პროცესში, ძირითადად, ფოკუსი შემდეგი ოთხი მიმართულებით კეთდება: არის თუ არა საჭირო პროგრამა? როგორ მუშაობს პროგრამა? რა გავლენა აქვს პროგრამას? და რამდენად ეფექტიანია (ხარჯთეფექტურია) პროგრამა? აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის შეფასება შეიძლება წარმართოს როგორც (1) საჭიროებათა კვლევა, (2) პროცესის შეფასება, (3) შედეგების შეფასება და (4) ეფექტიანობის შეფასება.

პროგრამის შეფასების სწორად დაგეგმვა და განხორციელება გულისხმობს დაინტერესებული მხარეების დროულ და ეფექტურ ჩართვას. დაინტერესებულ მხარეებში იგულისხმება ყველა, ვისაც პროგრამისადმი გარკვეული ინტერესი აქვს. ეს შეიძლება იყვნენ: პროგრამის დამფინანსებლები, განმახორციელებლები, მომხმარებლები (ყოფილი და მიმდინარე) და თემის სხვა წევრები, როგორებიც შეიძლება იყვნენ ბიზნესის ან სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებიც შესაძლოა, გავლენას ახდენენ პროგრამაზე ან, პირიქით, მის გავლენას განიცდიან. პროგრამის შეფასების პირველ ეტაპზე მკვლევრებმა რაც შეიძლება მეტი უნდა გაიგონ დაინტერესებული ჯგუფების შესახებ. შეფასების ეფექტურად განხორციელებას ხელს უწყობს ლოგიკური მოდელის აგება და მის ძირითად კომპონენტებს (შენატანი (input), პროგრამის მიმდინარეობა (პროცესი), ნამუშევარი (output) და შედეგი (outcome)) შორის ურთიერთმიმართების ანალიზი. პროგრამის შეფასების მიზნებიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს თეორიაზე, შედეგებსა და აქტივობებზე ორიენტირებული ლოგიკური მოდელები.

სოციალური პროგრამის შეფასების წარმატებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოციალური კონტექსტი, რომელიც ხშირად ზემოქმედებს კვლევის ლოჯისტიკურ საკითხებზე. ასევე მხედველობაშია მისაღები ის ფაქტორები, რომლებიც არასწორ მიმართულებას აძლევს პროგრამის განხორციელების პროცესს და, ცხადია, პასუხისმგებელი ვერ იქნება მოსალოდნელ შედეგებზე.

VII. ძირითადი კითხვები/კითხვები რეფლექსიისთვის

1. რა არის პროგრამის შეფასება?
2. რამ გამოიწვია პროგრამის შეფასების აქტუალობის ზრდა?
3. ჩამოთვალეთ და განმარტეთ შეფასების სქემის ძირითადი კომპონენტები.
4. ჩამოთვალეთ და განმარტეთ პროგრამის შეფასების ძირითადი ფორმები.
5. რა არის პროგრამის ლოგიკური მოდელი? ჩამოთვალეთ და ახსენით ლოგიკური მოდელის ტიპები.
6. რატომ და როდის გამოიყენება პროგრამის თვისებრივი კვლევის მეთოდები?
7. გააანალიზეთ ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს პროგრამის შეფასების სიზუსტეზე.

VIII. სავარჯიშოები

სავარჯიშო N1

გაეცანით სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2020 წლის სახელმწიფო პროგრამის დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამას:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4845291?publication=0>

შეადგინეთ პროგრამის აქტივობებზე ორიენტირებული ლოგიკური მოდელი.

სავარჯიშო N2

გაეცანით სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2020 წლის სახელმწიფო პროგრამის სათემო ორგანიზაციებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამას:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4845291?publication=0>

გამოყავით ყველა დაინტერესებული ჯგუფი და შეადგინეთ პროგრამის შეფასების პროცესში მათი ჩართვის გეგმა.

სავარჯიშო N2

გაეცანით სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2020 წლის სახელმწიფო პროგრამის მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამას:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4845291?publication=0>

შეადგინეთ პროგრამის შედეგების შეფასების სქემა.

გამოყენებული ლიტერატურა

სუმბაძე ნ., მახარაძე თ., აბაშიძე თ. და ჟვანია ი. (2015), მიკრო- და მაკროფაქტორების გავლენა შშმ პირთა სამუშაო გარემოსთან ადაპტაციაზე და შრომით ეფექტურობაზე, კვლევის ანგარიში.

საქართველოს მთავრობა (2019) სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2020 წლის სახელმწიფო პროგრამა, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4845291?publication=0>

Rubin, A., & Babbie, E. (2015) *Research Methods for Social Work* (4th Edition), CENGAGE Learning.

Yates, B.T., Delany, P.J & Dillard D. L (2011) *The Handbook of Social Work Research Methods*, SAGE Publications, Inc.

Logan, T.K & Royse, D. (2011) *The Handbook of Social Work Research Methods*, SAGE Publications, Inc.

Ramon, Sh., Morant, N., Stead, U., and Perry, B. (2017) Shared decision-making for psychiatric medication: A mixed-methods evaluation of a UK training programme for service users and clinicians, *International Journal of Social Psychiatry*, 63 (8) 863-772.

თავი XII

კვლევის შედეგების გავრცელება – პოლიტიკასა და პრაქტიკაზე გემოქმედება

I. შესავალი

სოციალური მუშაობის კვლევის ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყოს იმ ცოდნის დაგროვებას, რომელიც მნიშვნელოვანია არსებული პრაქტიკისა და სოციალური პოლიტიკის გაუმჯობესებისთვის. იმისთვის, რომ კვლევის შედეგებმა მიაღწიოს სამიზნე აუდიტორიებამდე, ისინი სათანადოდ უნდა იყოს წარმოდგენილი და გავრცელებული. კვლევის შედეგების გავრცელების არაერთი გზა არსებობს – მკვლევარმა უნდა გამოიყენოს ის, რომელიც ყველაზე ეფექტურია ადრესატების ყურადღების მისაპყრობად.

კვლევის ანგარიშით მკითხველმა ამომწურავი ინფორმაცია უნდა მიიღოს კვლევის შესახებ. ამავე დროს, მას შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, შეაფასოს, თუ რამდენად არგუმენტირებული და მტკიცებულებებით გამყარებულია მკვლევრის დასკვნები და რეკომენდაციები, რამდენად შესაძლებელია მათი გამოყენება პრაქტიკასა და პოლიტიკის განვითარებაში. შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად კარგად არის დაწერილი კვლევის ანგარიში – რამდენად ნათლად არის წარმოდგენილი კვლევის ძირითადი მიგნებები და მის საფუძვლად არსებული არგუმენტები.

წინამდებარე თავში განვიხილავთ კვლევის ანგარიშზე მუშაობის თავისებურებებს – წარმოდგენილი იქნება ანგარიშის ძირითადი სტრუქტურა და ის მოთხოვნები, რომლებსაც თითოეული ქვეთავი უნდა აკმაყოფილებდეს; ასევე გაანალიზებული იქნება ის ძირითადი გზები, რომლებითაც ვრცელდება სოციალური მუშაობის კვლევის შედეგები; დაბოლოს, გაანალიზებული იქნება, თუ როგორ გამოვიყენოთ კვლევის შედეგები არსებული პოლიტიკისა და პრაქტიკის გასაუმჯობესებლად.

II. კვლევის ანგარიშის სტრუქტურა

კვლევის ანგარიშისთვის დამახასიათებელია, ძირითადად, იგივე ფორმატი, რაც სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებულ სტატიებს ახასიათებს. კერძოდ, კვლევის ანგარიშზე მუშაობისას გასათვალისწინებელია შემდეგი სტრუქტურა და მახასიათებლები (Yegidis, et al., 2012):

- **სათაური** – კვლევის სათაური ძალიან მნიშვნელოვანია და საკმაოდ რთული შესარჩევია. კარგი სათაური უნდა შეიცავდეს კვლევის ძირითად მიზანს; ზოგჯერ ის ასევე გულისხმობს ინფორმაციას ინტერვენციისა და იმ ჯგუფების შესახებ, რომლებსაც კვლევა ეხება. სათაური ზოგჯერ ქვესათაურსაც შეიცავს, რომელიც მკვლევარს საშუალებას აძლევს, მკითხველს მეტი ინფორმაცია მიანოდოს კვლევის შესახებ. მაგალითად, 2020 წელს საქართველოს სახალხო დამცველის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევა, სახელწოდებით „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გენდერული პოლიტიკის შეფასება – სპეციალური აქცენტი ქალთა ეკონომიკური გაძლიერებაზე“, მკითხველს სათაურიდანვე აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა არის კვლევის ძირითადი მიზანი და ვინ მოიაზრება მის ძირითად ობიექტად (საქართველოს სახალხო დამცველი, 2020). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შშმ პირთა საკითხების კვლევის ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევა, სახელწოდებით „ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა ხანდაზმულებისთვის საქართველოში – არსებული სერვისები და ძირითადი საჭიროებები“, მკითხველს სათაურიდან აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ კვლევის ძირითადი ობიექტები არიან საქართველოში მცხოვრები ხანდაზმულები; მიზანი კი არის მათთვის ხელმისაწვდომი სამედიცინო და სოციალური მომსახურებების შესწავლა და ხანდაზმულების საჭიროებებთან მათი შესაბამისობის დადგენა (სუმბაძე და სხვ., 2020). სათაურები, რომლებშიც მოკლედ და, იმავდროულად, სრულად იკითხება კვლევის ძირითადი არსი, მკითხველს ეხმარება, სწრაფად შეარჩიოს მისთვის საინტერესო კვლევა საჭირო ლიტერატურის ძიებისას.
- **აბსტრაქტი** – კვლევის ანგარიშების უმრავლესობა, ისევე როგორც სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები და დისერტაციები, შეიცავს აბსტრაქტს. აბსტრაქტი მოკლედ აჯამებს კვლევას. როგორც წესი, აბსტრაქტი შეიცავს: (ა) კვლევის ძირითად პრობლემას და მიზანს, (ბ) კვლევის მონაწილეთა მოკლე დახასიათებას, (გ) ინფორმაციას გამოყენებული მეთოდების შესახებ და (დ) კვლევის ძირითად შედეგებსა და დასკვნებს. APA-სტილის მიხედვით, კვლევის აბსტრაქტში გამოყენებული სიტყვების რეკომენდებული რაოდენობაა 150-200 (American Psychological Association, 2019).
- **შესავალი** – ამ ნაწილში აღწერილია კვლევის საგნის ზოგადი ფონი და თემის აქტუალობა. საკვლევი თემა განხილულია უფრო ზოგადი კონტექსტის ჩრჩილში. ასევე ზოგადი სახით წარმოდგენილია კვლევის ძირითადი ფოკუსი და მიზანი.
- **ლიტერატურის მიმოხილვა** – ამ ნაწილში შეჯამებულია ის ცოდნა, რომელიც არსებობს საკვლევი საკითხის შესახებ, განხილულია სხვადასხვა პერსპექტივა თემის შესახებ. ლიტერატურის მიმოხილვა ლოგიკური საფუძველია კვლევის მიზნის /ჰიპოთეზის ჩამოსაყალიბებლად.
- **საკვლევი საკითხი/ჰიპოთეზა** – ლიტერატურის მიმოხილვის ლოგიკური გაგრძელებაა კვლევის ძირითადი კითხვის/ჰიპოთეზის ჩამოყალიბება. ოპერაცი-

ონალიზაციის პროცესის შედეგად განმარტებულია ყველა მნიშვნელოვანი ტერმინი.

- **მეთოდოლოგია** – ამ ნაწილში დეტალურად არის აღწერილი კვლევის დიზაინი, რომელიც გულისხმობს ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: გამოყენებული მეთოდები და მათი შერჩევის დასაბუთება, კვლევის მონაწილეები – რაოდენობრივი კვლევის დროს დეტალურად უნდა იყოს აღწერილი კვლევის შერჩევა, მისი მონაცემების დამუშავების ტექნიკები. კვლევის ანგარიშის ეს ნაწილი მკითხველს ანალოგიური კვლევის დაგეგმვისა და ჩატარების საშუალებას უნდა აძლევდეს. ასევე მკითხველს უნდა შეეძლოს, იმსჯელოს იმის შესახებ, თუ რამდენად ადეკვატურად არის მეთოდები შერჩეული, მონაცემები შეკრებილი და დამუშავებული.
- **კვლევის შედეგები** – წარმოდგენილია კვლევის ძირითადი შედეგები. რაოდენობრივი კვლევის დროს შედეგები ხშირად მოცემულია ცხრილებისა და დიაგრამების სახით. თვისებრივი კვლევის დროს მოყვანილია ნარატიული აღწერა, ციტატები ინტერვიუებიდან, მოყვანილია ციფრებს მიღმა არსებული, უფრო ღრმა და დეტალური ინფორმაცია.
- **დისკუსია** – ამ ნაწილში მკვლევარი კვლევის შედეგებს საკვლევ საკითხთან/ჰიპოთეზასთან მიმართებით განიხილავს. კვლევის შედეგები განხილულია სხვა კვლევებსა თუ თეორიებთან მიმართებით. ამ ანალიზის შედეგად მკვლევარი პასუხობს კვლევის ძირითად კითხვას, ან მსჯელობს ჰიპოთეზის დადასტურების შესახებ.
- **კვლევის შეზღუდვები** – ჩვეულებრივ, ამ ნაწილში აღწერილია: (ა) კონკრეტული შეზღუდვის ბუნება, (ბ) ახსნა იმისა, თუ რატომ ვერ აარიდა თავი მკვლევარმა ამ შეზღუდვას, (გ) მკვლევრის მოსაზრება იმის შესახებ, თუ რამდენად იმოქმედა შეზღუდვამ კვლევისა და მის შედეგებზე, (დ) რა ზომები იყოს მიღებული კვლევის შედეგებზე შეზღუდვის გავლენის შესამცირებლად და რამდენად წარმატებული იყო ეს მცდელობები.
- **დასკვნები და რეკომენდაციები** – მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, კვლევამ რა წვლილი შეიტანა საკითხის შესახებ არსებულ ცოდნაში – რამდენად შეუწყო ხელი არსებული ცოდნის გაღრმავებას. განსაკუთრებით ღირებულია ინფორმაცია იმის შესახებ, რამდენად ეხმარება კვლევის მიგნებები სოციალური მუშაობის პრაქტიკისა და პოლიტიკის გაუმჯობესებას. როგორც წესი, მკვლევარი იძლევა რეკომენდაციებს იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება კვლევის შედეგების გამოყენება კონკრეტული მომსახურებებისა თუ პროგრამების გაუმჯობესებისთვის, რა სახის ცვლილებების გატარება არის საჭირო.
- **გამოყენებული ლიტერატურა** – მითითებულია ის ლიტერატურა, რომელიც გამოყენებულია ანგარიშზე მუშაობის დროს. მკვლევარი უნდა დარწმუნდეს, რომ, როგორც გამოყენებული ლიტერატურის სია, ისე წყაროების ტექსტში მითითების ფორმატი, შეესაბამება APA სტილს. ასევე მკვლევარი უნდა დარ-

ნმუნდეს, რომ გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალში მოცემული ყველა წყარო მითითებულია ტექსტში და, პირიქით, ყველა წყარო, რომელიც გამოყენებულია ტექსტში, იძებნება გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალში.

- **დანართები** – ამ ნაწილში თავმოყრილია ის სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც შეიძლება მხოლოდ მკითხველთა შეზღუდული რაოდენობისთვის იყოს საინტერესო, მაგალითად: მონაცემების შეგროვების ინსტრუმენტები, კონკრეტული პროგრამების აღწერა და სხვ.

III. კვლევის შედეგების გავრცელების გზები

სოციალური მუშაობის კვლევის შედეგები საინტერესოა როგორც აკადემიური სფეროს წარმომადგენლებისთვის, ისე პრაქტიკოსებისა და სოციალური პოლიტიკის შემქმნელებისთვის. შესაბამისად, კვლევის შედეგების გავრცელების გზები ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ ყველა დაინტერესებულ ჯგუფს ფარავდეს.

სოციალური მუშაობის კვლევები, როლებიც ზედმინვენით კონკრეტულ საკითხს სწავლობს და, შესაბამისად, რომელთა გარეგანი ვალიდურობა მაღალი არ არის, ძირითადად, ვინრო პროფესიულ თემზეა გათვალისწინებული, აქედან გამომდინარე, მსგავსი კვლევის შედეგების გასავრცელებლად, ძირითადად, **შიდა ორგანიზაციულ და ვინრო პროფესიულ გზებს მიმართავენ**. მაგალითად, თუ კვლევა კონკრეტული სააგენტოს სოციალური მუშაკების მიერ გამოყენებული კონკრეტული შეფასების ინსტრუმენტის შესწავლას ეხება, ეს თემა ყველაზე მეტად შეიძლება სწორედ ამ სააგენტოს პროფესიული თემისთვის იყოს საინტერესო. ასეთ შემთხვევაში, ხშირად მიმართავენ კვლევის შედეგების გავრცელებას სააგენტოს საინფორმაციო გზებით, რომლებიც შეიძლება იყოს სიახლეების ელექტრონული ფოსტით გავრცელება, კვარტალური საინფორმაციო ბიულეტენები და სხვ. (Yegidis, et al., 2012). მართალია, მსგავსი კვლევები განზოგადებას არ ექვემდებარება, ის შეიძლება საინტერესო იყოს უფრო ფართო პროფესიული ქსელისთვის – ამ მიმართულებით ინფორმაციის გავრცელებაში მნიშვნელოვანი როლი აქვს ადგილობრივ პროფესიულ ორგანიზაციებს. საქართველოში სოციალურ მუშაკთა პროფესიულ თემში ინფორმაციის გავრცელების მნიშვნელოვანი წყაროა საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია (GASW).

აკადემიური და პროფესიული კონფერენციები/სიმპოზიუმები სოციალური მუშაობის კვლევის შედეგების გავრცელების საუკეთესო გზაა. არსებობს საერთაშორისო და ეროვნული კონფერენციები – მათი პრესტიჟულობა და ხარისხი დაკავშირებულია კონფერენციების ორგანიზატორების სახელთან. სოციალური მუშაობის პრესტიჟულ საერთაშორისო კონფერენციებს მიეკუთვნება ისინი, რომელთა ორგანიზატორები არიან ისეთი გავლენიანი ორგანიზაციები, როგორებიცაა: National Association of Social Workers (NASW), Society for Social Work and Research (SSWR), Council on Social Work Education (CSWE) და სხვ. საქართველო-

ში არ არსებობს სოციალური მუშაობის ყოველწლიური კონფერენციების ჩატარების ტრადიცია, თუმცა საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია (GASW) ხშირად არის სხვადასხვა ეროვნული თუ საერთაშორისო კონფერენციისა და სიმპოზიუმის ორგანიზატორი. კონფერენცია შეიძლება იყოს ზოგადი ხასიათის ან აშუქებდეს კონკრეტულ თემას, მაგალითად, ეძღვნებოდეს ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში სოციალურ მუშაკთა როლს. პრესტიჟულ კონფერენციებზე კვლევის წარდგენა მარტივი არ არის, რადგან ავტორმა თანმიმდევრული ეტაპები უნდა გაიაროს. როგორც წესი, კონფერენციის ორგანიზატორები ავტორებს სთხოვენ გარკვეული რაოდენობის სიტყვების ლიმიტის ფარგლებში კვლევის აბსტრაქტის წარდგენას, რომელსაც კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი განიხილავს. აბსტრაქტების შეფასებისას კომისია მსჯელობს, ერთი მხრივ, თუ რამდენად ეხმიანება კვლევის ძირითადი მიზანი კონფერენციის თემატიკას და, მეორე მხრივ, მსჯელობენ კვლევის აკადემიურ ხარისხზე. როგორც წესი, მხოლოდ საუკეთესო კვლევების ჩართვა ხდება მაღალი რეიტინგის მქონე კონფერენციების დღის წესრიგში. ვერბალურ პრეზენტაციებთან ერთად, კონფერენციებს ასევე აქვთ კვლევების პოსტერებით წარდგენის შესაძლებლობა, რომელსაც ხშირად სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტები იყენებენ. ნამუშევრები წარმოდგენილია დარბაზში, სადაც ავტორებს შესაძლებლობა აქვთ, უპასუხონ კონფერენციის მონაწილეების შეკითხვებს და მიაწოდონ დამატებითი ინფორმაცია კვლევის შესახებ.

აკადემიური სფეროს წარმომადგენლებისთვის მეტად მნიშვნელოვანია სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა. კონფერენციები საშუალებას აძლევს მკვლევარებს, გაცვალონ ინფორმაცია სამეცნიერო სიახლეების შესახებ; ასევე ეხმარება პრაქტიკოსებს გამოყენებული მეთოდებისა და ინტერვენციების გაუმჯობესებაში.

კვლევის შედეგების გავრცელების ტრადიციული და ეფექტური გზა **სამეცნიერო და პროფესიული პუბლიკაციებია**. მათ საკმაოდ დიდი აუდიტორია ჰყავს, რადგან რეიტინგულ ჟურნალებს ყიდულობენ როგორც უნივერსიტეტები, ისე პროფესიული საზოგადოებები და ორგანიზაციები. ამჟამად სულ უფრო პოპულარული ხდება ელექტრონული ჟურნალები, რომელთაგან ზოგიერთზე წვდომა არის უფასო, ზოგი კი – ფასიანია. ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება, განსაკუთრებით მაღალი იმფაქტფაქტორის მქონე ჟურნალებში, დიდ ძალისხმევას მოითხოვს, რადგან ავტორმა უნდა დააკმაყოფილოს სარედაქციო კომისიის მიერ დადგენილი პირობები. როგორც წესი, გამოსაქვეყნებლად გავზავნილი სტატია გადის ე.წ „ბრმა“ შერჩევას – მას კითხულობს ორი ან მეტი რეცენზენტი და აფასებს როგორც ჩატარებული კვლევის კვალიფიკაციას, ისე წარმოდგენილი შედეგებისა და მიგნებების ლოგიკურობასა და არგუმენტირებულობას. სოციალურ მუშაობასთან დაკავშირებული საერთაშორისო ჟურნალები ეყრდნობიან **APA-სტილს**. ჟურნალის რეიტინგსა და იმფაქტფაქტორზე გავლენას ახდენს გამომცემლობა – რაც უფრო პრესტიჟულია გამომცემლობა, მით უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება

ჟურნალს. მაგალითად, სოციალურ მუშაობაში პოპულარულია SAGE-ის გამომცემლობის ისეთი ჟურნალები, როგორებიცაა: **Journal of Social Work: იმფაქტფაქტორი – 1.178**, **International Social Work: იმფაქტფაქტორი – 0.603**; **Taylor & Francis** ის გამომცემლობის ჟურნალები – **Journal of Social Work Practice: იმფაქტფაქტორი – 0.8**, **European Journal of Social Work: იმფაქტფაქტორი 0.66** და სხვ. არსებობს სფეროების მიხედვით ჟურნალების რეიტინგის სისტემა. საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობს სოციალური მუშაობის პროფესიული ჟურნალი.

IV. სოციალური მუშაობის კვლევის შედეგების გავლენა პრაქტიკასა და პოლიტიკაზე

სოციალური მუშაობის კვლევა გავლენას ახდენს როგორც პროფესიულ პრაქტიკაზე, ისე სოციალური პოლიტიკის ფორმირებაზე. სოციალური მუშაობის კვლევის შედეგებით პროფესიას შეუძლია:

- შეაფასოს კონკრეტული ჯგუფების საჭიროებები და რესურსები;
- შეაფასოს კონკრეტული ინტერვენციებისა და მომსახურებების ეფექტურობა და ეფექტიანობა;
- გააანალიზოს კანონმდებლობისა და სოციალური პოლიტიკის გავლენა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფზე და სხვ.

იმისათვის, რომ სოციალური მუშაობის კვლევას გავლენა ჰქონდეს პროფესიულ პრაქტიკაზე, კვლევის შედეგები და მიგნებები ასახული უნდა იყოს სოციალური პოლიტიკის ფორმირებისას, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ პოლიტიკის შემქმნელები ელიან კვლევის ნათელ და არაორაზროვან შედეგებს (**Social Work Policy Institute, 2018**). კარგი კვლევა სრულად ასახავს არსებული კონტექსტის მრავალფეროვნებას – ეს მნიშვნელოვანია კვლევის შედეგების საფუძვლიანად გასაანალიზებლად, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მკვლევარი ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგებს იღებს – იმისთვის, რომ პოლიტიკის შემქმნელებისთვის ეს არ იყოს გაუგებარი და არალოგიკური, კვლევის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს არგუმენტირებული ახსნა და დასაბუთება. მაგალითად, **2018** წელს საქართველოში შშმ პირების დასაქმებასთან დაკავშირებულ კვლევაში გამოჩნდა, რომ დამსაქმებლების ნაწილი მზად იყო შშმ პირთა დასასაქმებლად, ნაწილი კი არა. კვლევის ავტორმა ამ ფაქტის ახსნისას გამოიყენა არსებული კონტექსტი და სხვა კვლევები, რომლებშიც ხაზგასმულია, რომ ის დამსაქმებლები, რომლებსაც შშმ პირებთან ეფექტური მუშაობის გამოცდილება აქვთ, მომავალშიც მზად არიან მათთან თანამშრომლობისთვის; ხოლო ისინი, ვისაც შშმ პირების დასაქმების გამოცდილება არ აქვთ ან ეს გამოცდილება არ არის პოზიტიური, შშმ პირთა დასაქმების მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავენ (მახარაძე და სხვ., **2018**). როგორც ზემოთ აღინიშნა, პოლიტიკის შემქმნელებს სჭირდებათ ზუსტი და ცალსახა გზავნილები იმისთვის, რომ კვლევის მიგნებები გამოიყენონ სახელმწიფო პროგრამებსა თუ მომსახურებებზე მუშაობისას.

დღეს სულ უფრო მეტად არის გავრცელებული მოთხოვნა, რომ არსებული სოციალური პოლიტიკა და პროფესიული პრაქტიკა ეყრდნობოდეს სოციალური კვლევის შედეგებს (Teater, B., 2017). კვლევის დონორები ხშირად ინტერესდებიან, თუ რა ზეგავლენა მოახდინა მათ მიერ დაფინანსებულმა კვლევამ შესაბამისი სფეროს განვითარებაზე – სამიზნე პროგრამებსა და მომსახურებებში გათვალისწინებული იყო თუ არა კვლევის მიგნებები; ეს, ერთი მხრივ, ეხმარება დონორ ორგანიზაციებს, გააანალიზონ მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგები და, მეორე მხრივ, კარგ საფუძველს ქმნის სამომავლო ნაბიჯების დაგეგმვისთვის. მაგალითად, საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), პროგრამის „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში, აფინანსებს კვლევებს მიმდინარე სახელმწიფო პროგრამებისა და მომსახურებების ეფექტურობის შესასწავლად (United Nations Development Program, 2016). თუმცა პროგრამის ძირითადი მიზანია არა მხოლოდ კვლევითი საქმიანობა, არამედ კვლევის შედეგების შესაბამისი სფეროში ასახვის ადვოკატირება, რისთვისაც ხელი ეწყობა კვლევით გუნდსა და შესაბამის სახელმწიფო უწყებებს შორის კომუნიკაციას.

კვლევის შედეგების პრაქტიკაში გამოყენების ხელშეწყობის საინტერესო პრაქტიკა აქვს კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრს (CTC). 2019 წელს პროგრამის – „ჯანმრთელობის, ზრუნვისა და სოციალური უფლებებისთვის“ – ფარგლებში ჩატარებული კვლევის – „ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა ხანდაზმულებისთვის საქართველოში“ – შედეგები გამოყენებული იყო შესაბამისი სოციალური ცვლილებების განხორციელებისათვის. ორგანიზაციის საგრანტო კონკურსი ორი რაუნდისგან შედგებოდა: პირველი ეხებოდა კვლევით კომპონენტს, ხოლო მეორე კვლევის შედეგების პრაქტიკაში გამოყენების ადვოკატირებას (კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი, 2020).

როგორც უკვე აღინიშნა, კვლევის შედეგებს შესაძლოა, გავლენა ჰქონდეს პოლიტიკაზე, პრაქტიკასა და ინდივიდის ქცევაზე, თუმცა ეს გავლენა ყოველთვის პირდაპირი და მომენტალური არ არის. კვლევის შედეგებს ზოგჯერ აქვს გრძელვადიანი ეფექტი და ამ უკანასკნელის გაზომვა მომენტალურად შეუძლებელია, თუმცა ამ შემთხვევაში შესაძლებელია მივადევნოთ თვალი ხანგრძლივი პერსპექტივით დაგეგმილ ნაბიჯებს (Social Work Policy Institute, 2018).

V. თავის შეჯამება

სოციალური მუშაობის კვლევის შედეგები გავლენას ახდენს როგორც პროფესიულ პრაქტიკაზე, ისე სოციალური პოლიტიკის ფორმირებასა და გაუმჯობესებაზე. იმისთვის, რომ კვლევის შედეგებმა ადრესატების ყურადღება მიიპყროს, ის სათანადოდ უნდა იყოს წარმოდგენილი. დიდი ყურადღება ექცევა კვლევის ანგარიშის სტრუქტურას – უმრავლეს შემთხვევაში, მას იგივე ფორმატი აქვს, რაც სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებულ სტატიებს და იგულისხმება შემდეგი

კომპონენტები: სათაური, აბსტრაქტი, შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, საკვლევე საკითხი/ჰიპოთეზა, მეთოდოლოგია, კვლევის შედეგები, დისკუსია, კვლევის შეზღუდვები, დასკვნები/რეკომენდაციები, გამოყენებული ლიტერატურა და დანართები. სოციალურ მუშაობაში აკადემიური ნაშრომი ეყრდნობა APA-სტილს.

კვლევის შედეგების გავრცელების არაერთი გზა არსებობს. ყველაზე ხშირად მიმართავენ კვლევის შედეგების გავრცელების შიდა ორგანიზაციულ და ვიწრო პროფესიულ გზებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კვლევა ეხება ძალიან სპეციფიკურ თემას, რომელსაც დაბალი გარეგანი ვალიდურობა აქვს. ასევე კვლევის შედეგების გასავრცელებლად გამოიყენება ეროვნული და საერთაშორისო კონფერენციები. ამ კონფერენციების პრესტიჟულობა და მნიშვნელობა დაკავშირებულია მათი ორგანიზატორი ორგანიზაციების რეპუტაციასა და გავლენასთან. სამეცნიერო და პროფესიული პუბლიკაციები განიხილება სოციალური მუშაობის კვლევის შედეგების გავრცელების ტრადიციულ და ეფექტურ გზად. საქართველოში სოციალური მუშაობის კვლევის შედეგების გასავრცელებლად ეფექტურად გამოიყენება საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული ღონისძიებები.

იმისთვის, რომ სოციალური მუშაობის კვლევის შედეგებმა გავლენა მოახდინოს სოციალური მომსახურების ხარისხზე, ისინი ასახული უნდა იყოს სოციალური პოლიტიკის ფორმირებისას. გავრცელებული საერთაშორისო პრაქტიკაა სოციალურ პოლიტიკაზე სოციალური კვლევის შედეგების გავლენის შესწავლა და ადვოკატირება, რასაც საქართველოშიც ახორციელებს ზოგიერთი საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია.

VI. კითხვები რეფლექსიისთვის

1. ჩამოაყალიბეთ და აღწერეთ სოციალური მუშაობის კვლევის ანგარიშის სტრუქტურის ძირითადი ელემენტები;
2. კვლევის შედეგების გავრცელების რომელ ძირითად გზებს მიმართავენ სოციალურ მუშაობაში?
3. რისი მაჩვენებელია ჟურნალის იმფაქტფაქტორი?
4. რას გულისხმობს სამეცნიერო კონფერენციაზე კვლევის შედეგების პოსტერებით წარმოდგენა ?
5. როგორ შეიძლება შევუწყოთ ხელი კვლევის შედეგების სოციალურ პოლიტიკაში ასახვას?

VII. სავარჯიშოები

სავარჯიშო N1

მოიძიეთ საქართველოში სოციალური მუშაობის კვლევის შედეგების გავრცელების საუკეთესო გზები – მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები.

სავარჯიშო N2

მოიძიეთ სოციალური მუშაობის იმფაქტუაქტორის მქონე საერთაშორისო ჟურნალები – დაასახელეთ, სულ მცირე, სამი ჟურნალი.

სავარჯიშო N3

მოიძიეთ სოციალური მუშაობის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციები – დაასახელეთ, სულ მცირე, სამი მათგანი.

გამოყენებული ლიტერატურა

American Psychological Association (2019) The Publication Manual of the American Psychological Association, (7th ed.). Washington, DC.

Socia Work Policy Institute (2018) Maximizing Social Work’s Policy Impact in a Changing Political Landscape, NASW foundation.

Teater, B. (2017) Social Work Research and Its Relevance to Practice: The Gap Between Research and Practice Continues to be Wide, Journal of Social Service Research 43 (5).

Yegidis, B.L., Weinbach, R.W., and Myers, L.L (2012) Research Methods for Social Workers, Allyn & Bacon.

United Nations Development Program (2016) Supporting Public Administration Reform in Georgia through the Governance Reform Fund.

https://www.undp.org/content/dam/georgia/docs/prodocs/GE_UNDP_DPID%20Project%20Document%20signed.pdf

სუმბაძე ნ., ქიტიაშვილი ა., აბაშიძე თ., ჟვანია, ი., მახარაძე თ. (2020), „ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა ხანდაზმულებისთვის საქართველოში – არსებული სერვისები და ძირითადი საჭიროებები“.

<https://www.ctc.org.ge/wp-content/uploads/2020/03/Research-Report-for-Print-06.03.2020.pdf>;

მახარაძე თ., ჟვანია ი. და სტივენსონი ლ. (2018), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების მხარდაჭერი სოციალური სერვისების გაუმჯობესება – კვლევის ანგარიში.

კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (2020), ზრუნვის საჭიროებების, სერვისებისა და პოლიტიკის ადვოკატირების პროექტების საგრანტო კონკურსი – II რაუნდი.

ავტორების შესახებ

თამარ მახარაძე – სოციალური პოლიტიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის ასოცირებული პროფესორი. მინვეული მკვლევრის სტატუსით იმყოფებოდა კემბრიჯის უნივერსიტეტში (2012), ლოზანის უნივერსიტეტში (2010), ვარშავის უნივერსიტეტში (2007), ვაშინგტონის უნივერსიტეტში (2010).

თამარ მახარაძეს აქვს კვლევების ჩატარებისა და ხელმძღვანელობის მდიდარი გამოცდილება. ის იყო წამყვანი მკვლევარი ევროკავშირის, გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ კვლევით პროექტებში. არის არაერთი საერთაშორისო და ადგილობრივი პუბლიკაციის ავტორი.

ნინო შატბერაშვილი – სოციალური მუშაობის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი. ნინო არის საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი და გამგეობის წევრი; სოციალურ მუშაკთა კლუბის დამფუძნებელი და გამგეობის წევრი. ნინო აქტიურ პროფესიულ საქმიანობას ეწევა საქართველოშიც და საერთაშორისო დონეზეც. ამჟამად ის არის *სოციალური კეთილდღეობის საერთაშორისო საბჭოს* მეორე წარმომადგენელი ევროპის საბჭოში; *ამერიკის სკოლის სოციალურ მუშაკთა ასოციაციის* წევრი; *ამერიკის სოციალური მუშაობის მართვის ქსელის* წევრი; *ევროპის აღდგენითი მართლმსაჯულების ფორუმის*, აღდგენითი სკოლის სამუშაო ჯგუფის წევრი; ევროპის *სოციალური მუშაობის სკოლების საერთაშორისო ასოციაციის* ეკოსოციალური მუშაობის საინიციატივო ჯგუფის წევრი.

გამომცემლობის რედაქტორი
გარეკანის დიზაინერი
დამკაბადონებელი
გამოცემის მენეჯერი

თამარ გაბელაია
მარიამ ებრალიძე
ლალი კურდღელაშვილი
მარიკა ერქომაიშვილი

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel: +995 (32) 2250484, 6284; 6278
www.press.tsu.edu.ge